

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ძ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

ნ. ჯ ა ნ ა უ ი ა

ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი
ნარკვევები



თბილისი
„მეცნიერება“
1986

წიგნი წარმოადგენს ისტორიულ და წყაროთ-
მცოდნეობით კრებულს. მასში შეტანილია უპირატე-
სად ნ. ჯანაშიას გამოუქვეყნებელი შრომები, რომელ-
თა დიდი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის გარ-
კვეული საკითხების კვლევისათვის უეჭველია.

კრებული დაინტერესებს როგორც ისტორიკოს
სპეციალისტებს, ისე ფართო მკითხველ საზოგადო-
ებრიობას.

რედაქტორები: ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
ე. ცაგარეიშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ელ. ხოშტარია

რეცენზენტები: აკად. გ. მელიქიშვილი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
ე. გაბიძაშვილი

ქართლი IV—V საუკუნეებში

ქართლი IV ს. პირველ ნახევარში. ქრისტიანობის გამოცხადება
სახელმწიფო სარწმუნოებად*

IV საუკუნე ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესო ხანაა საქართველოს ისტორიაში. ამ საუკუნეში ჩაისახა მთელი რიგი მოვლენებისა, რომელთაც შემდგომი განვითარება მომდევნო პერიოდში პოვებს. ამავე საუკუნეში მოხდა პოლიტიკურა, სოციალური და ეკონომიკური ხასიათის უმნიშვნელოვანესი ძვრები, რომლებიც უდიდეს როლს ასრულებდნენ მთელი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის მანძილზე. სამწუხაროდ, ჩვენ მეტისმეტად ცოტა გვაქვს ზუსტი, შემოწმებული ცნობები ამ ეპოქის შესახებ. მართალია, „ქართლის ცხოვრებაში“ ამ ხანაზე საკმაოდ ვრცელი და გაბმული თხრობაა, მაგრამ ამ წყაროს ცნობები განსახილველი პერიოდის შესახებ ჯერ კიდევ არაა სათანადოდ შესწავლილი. რიგ შემთხვევებში ისინი არ დასტურდებიან და საფუძვლიან ეჭვებს იწვევენ. განსაკუთრებით საგრძნობია ზუსტი ცნობების უქონლობა IV საუკუნის პირველი ნახევრის ქართლის ისტორიისათვის.

განსახილველი პერიოდისათვის მახლობელ აღმოსავლეთში შემდეგი ვითარება შეიქმნა: III საუკუნის პირველ მეოთხედში ირანში ძალაუფლება ხელთ იგდო სასანიდების დინასტიამ, რომელმაც მნიშვნელოვნად განამტკიცა ქვეყნის სოციალური და პოლიტიკური ორგანიზაცია. გაძლიერდა ქვეყნის ცენტრალიზაცია, მოხდა ირანულ ენებზე მოლაპარაკე ხალხებისა და ტომების კონსოლიდაცია. დიდად გაიზარდა ირანის სამხედრო ძლიერება. ამის შედეგად ძალთა თანაფარდობა მახლობელ აღმოსავლეთში არსებითად შეიცვალა. სასანიდური ირანი შეტევაზე გადავიდა თავისი ძველისძველი მტრის, რომის, წინააღმდეგ და დიდ წარმატებებსაც მიაღწია. პირველივე სპსანიდმა, არდაშირმა (224—241) მიდიის, საკასტანისა და ზორასნის შემდეგ ატროპატენა დაიპყრო და სომხეთს შეუტია. 230 წ. იგი გადავიდა ევფრატზე,

* გამოქვეყნდა წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, :33. 57—107.

ხელთ იგდო მესოპოტამია და ალყა შემოარტყა ნიზიბინს. კიდევ უფრო დიდი წარმატებები მოიპოვეს ირანელებმა შაბურ I-ის (241—272) დროს. 260 წ. მათ დაატყვევეს იმპერატორი პუბლიუს ლიცინიუს ვალერიანე. ირანელებმა აიღეს და ააოხრეს იმპერიის აღმოსავლეთის უმდიდრესი პროვინციები და ქალაქები — ანტიოქია, ტარსი, კესარია. თავისი გამარჯვებების გამო შაბურმა მიიღო წოდება „მეფეთა-მეფე ირანისა და არაირანისა“ (Shāhānshāh ī Ērān u Anērān). ირანელების მიერ დახარკულ ქვეყნებში შედიოდა აგრეთვე ქართლი, სომხეთი, ალბანეთი და ატროპატენა. ამრიგად, სასანიდური ირანის სახით ამიერკავკასიის ქვეყნებს და, კერძოდ, ქართლს არშაკიდულ პართიანზე უფრო ძლიერი და საშიში მტერი გამოუჩნდა.

ბრძოლა რომაელებსა და ირანელებს შორის შემდეგშიაც გაგრძელდა. ირანელთა შემოტევა რომაელებმა მხოლოდ 80-იან წლებში შეაჩერეს. თავისი ხანმოკლე მეფობის დროს იმპერატორმა კარმა (282—283) მოასწრო ლაშქრობა ირანის წინააღმდეგ და მისი ორივე დედაქალაქის, სელევკიისა და ქტეზიფონის, აღება. მართალია, ასეთი წარმატებით დაწყებული ლაშქრობა იმპერატორის მოულოდნელმა სიკვდილმა შეწყვიტა, მაგრამ 283 წ. დადებული ზავი მაინც ხელსაყრელი იყო რომაელებისათვის, რომლებმაც მიიღეს მესოპოტამია და სომხეთი, თუ მის ნაწილი. ქართლი, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ირანელთა გავლენის სფეროში რჩებოდა.

რომაელთა წარმატების ერთ-ერთი გამოვლინება იყო ისიც, რომ 287 წ. მათ სომხეთის ტახტზე თავისი კაცი, თრდატი, აიყვანეს. ადრე ირანელებმა მუხანათურად მოაკვლევინეს თრდატის მამა ხოსროვ II და თრდატი იძულებული იყო, თავშესაფარი რომში ეძია.

296 წ. შაპი ნერსეპი შეიჭრა რომის სამფლობელოებში, მათ შორის სომხეთშიც. თავდაპირველად ირანელებმა მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწიეს კეისარ ვალერიუს მაქსიმიანეზე. ამ უკანასკნელის დასახმარებლად მესოპოტამიაში იმპერატორი დიოკლიტიანე^I მივიდა. თვით ვალერიუსი 25000-იანი ჯარით სომხეთში შევიდა და სასტიკად დაამარცხა ირანელები. დაჭრილი ნერსეპი გაჭირვებით გადარჩა ტყვეობას. ბანაკი, სახელმწიფო სალარო და შაპის ჰარამხანაც კი რომაელებმა იგდეს ხელთ. 298 წ. დაიდო ნიზიბინის ორმოცწლიანი ზავი, რომლითაც ირანმა ცნო რომის უპირატესობა სომხეთსა და იბერიაზე.

^I დიოკლიტიანემ (284—305) დააწესა ე. წ. „ტეტრარხია“ — „ოთხის მმართველობა“, რის საფუძველზეც რომის იმპერიას მართავდნენ ორი იმპერატორი და ორი კეისარი. იმპერატორი დიოკლიტიანე და კეისარი ვალერიუსი განაგებდნენ იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილს, მაქსიმიანე და კონსტანციუს ხლორი — დასავლეთს.

ზავის პირობების თანახმად, ქართლის მეფეს სამეფო ნიშნები რომაელებისაგან უნდა მიეღო.

„ქართლის ცხოვრება“ (მისი ერთ-ერთი ნაწილი — „ცხოვრება ქართულთა მეფეთა“) გადმოგვცემს, რომ მეფე ასფაგურის სიკვდილით შემწყყდარა ქართლის სამეფო დინასტია, რომელსაც თითქოს არ-შაკიდული წარმოშობა ჰქონია. ამავე დროს, ასფაგური ქართლის პირველი სამეფო დინასტიის, ფარნავაზიანთა უკანასკნელი შთამომავალიც ყოფილა. ქართლის დიდებულებს ირანის შაჰ ქასრე ანუ შირვან სასანიანისთვის უთხოვიათ, ქართლის მეფედ დაესვა თავისი ვაჟი. შაჰიც დათანხმებულა. შვიდი წლის ირანელი უფლისწული მიპრანი, ქართული გამოთქმით მირიანი, დაუქორწინებიათ ასფაგურის ქალზე და ქართლის სამეფო ტახტზე დაუსვამთ. მისთვის ჩაუბარებიათ, აგრეთვე, ეგრისი, სომხეთი, რანი, მოვაკანი და ჰერეთი. მირიანს დაუვიწყია სპარსული, უსწავლია ქართული ენა და მტკიცედ შეუთვისებია ქართული ზნე-ჩვეულებანი².

შემდეგ „მეფეთა ამბავი“ დაწვრილებით აღწერს მირიანის მეფობას: მირიანი ხშირად ომობდა კავკასიის მთიანეთსა და კავკასიონის გადაღმა მცხოვრებ ხალხებთან. ბევრჯერ ულაშქრია მას ჩრდილოეთიდან მომდგარი მტრისაგან დარუბანდის დასაცავადაც. მირიანი რომ ორმოცი წლის გამხდარა, მოჰკვდომია მამა, ირანის შაჰი, და სამეფო ტახტზე დამჯდარა მირიანის უმცროსი ძმა ბარტამი. მირიანს, როგორც უფროსს, პრეტენზია განუცხადებია ირანის მეფობაზე, მაგრამ რაკი მირიანის დედა უბრალო მხევალი ყოფილა, ირანელ დიდებულებს ირანის მეფობა მაინც ბარტამისათვის, ინდოელი დედოფლის შვილისათვის, დაუმტკიცებიათ. სამაგიეროდ, კომპენსაციად მირიანისათვის ჯაზირეთი, შამის ნახევარი და ადარბადაგანი მიუციათ.

ამ დროს მამისეული ტახტის დასაბრუნებლად კეისრის ჯარით სომხეთში შევიდა სომეხი უფლისწული თრდატი. თრდატსა და მირიანს შორის დაიწყო ომი, რომელიც მრავალ წელს გაგრძელდა. როდესაც თრდატს რომაელები ეხმარებოდნენ, გამარჯვება მის მხარეზე იყო, ხოლო, როდესაც მირიანი დაიხმარებდა ხოლმე ირანელებს, მირიანი იმარჯვებდა. საბოლოო გამარჯვება მაინც თრდატს დარჩენია. მაგრამ ამ დროს ირანში გამეფებულმა მირიანის მეორე ძმამ მირიანს რომის იმპერიაზე სალაშქროდ მოუწოდა. გაერთიანებულმა ირანელ-ქართველთა ჯარებმა სომხეთი დალაშქრეს და რომის იმპერიაში შევიდნენ. შეწუხებულმა იმპერატორმა კონსტანტინემ ქრისტიანთა რჩევით ქრისტიანობა მიიღო და ქრისტეს დახმარებით ირანელ-ქართველთა

² ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართულთა მეფეთა, „ქართლის ცხოვრება“, 1, გვ. 62—65.

ლაშქარი უკუაგდო. მირიანმა დაზავება სთხოვა კონსტანტინეს. კონსტანტინემ მირიანს მძევლად გამოართვა შვილი, ბაქარი და არა მარტო თვითონ დაეზავა, არამედ თრდატიც დააზავა მასთან. თრდატის ქალი ცოლად შერთეს მირიანის მეორე ვაჟს, რევს. საზღვრად ქართლსა და სომხეთს შორის კონსტანტინემ მდინარეთა წყალგამყოფი ხაზი დადო.

ამის შემდეგ დაწვრილებით არის აღწერილი მირიანის გაქრისტიანების ამბავი.

ერთი შეხედვითვე ცხადად ჩანს, რომ ამ მოთხრობაში ბევრი რამ არასწორია. პირველ ყოვლისა, ყურადღებას იქცევს მირიანის წარმომავლობის ამბავი, რომელიც მეტად საეჭვოდ გამოიყურება. თავი რომ დავანებოთ იმას, რომ მირიანი დასახელებულია პირველი სასანიდი შაჰის, ე. ი. არდაშირის (224—241) შვილად, რაც სავსებით გამორიცხულია, „მეფეთა ამბავის“ მონაცემები (სახელები, მეფობის ხანგრძლივობა და ზოგი სხვა) არ შეესაბამება III—IV საუკუნეების ირანის მეფეებს. ამდენად, სწორი უნდა იყოს ის აზრი, რომ გადმოცემა მირიანის ასეთი წარმომავლობის შესახებ გამოწვეულია სურვილით, მოეძებნოს მას განსაკუთრებით დიდი და მნიშვნელოვანი წინაპრები³. გაუგებარია, ირანელმა უფლისწულმა როგორ, ან რატომ დაივიწყა ყოველივე ირანული, შეითვისა ქართული, დაუკავშირდა რომაელებს ირანის საწინააღმდეგოდ, გახდა ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწე, ქრისტიანობის შემომტანი და თავგამოდებული გამაგრებელი.

აქ დგება ადგილობრივი დინასტიის, ფარნავაზიანთა, არსებობის საკითხიც, ამ მხრივ ყურადღებას იქცევს V ს. მეორე ნახევრის სომეხი ისტორიკოსის ფავსტოს ბუზანდის ერთი ცნობა. ამ ცნობის თანახმად, IV ს. 60-იან წლებში სომხეთის მეფეს აუჯანყდა რამდენიმე დიდებული და მათ შორის გუგარქის პიტიაზში. ეს უკანასკნელი განუდგა სომხეთის მეფეს და თავისი სამფლობელო ქართლის მეფეს

3 გ. მელიქიშვილი, ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის, ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, თბ., ტ. IV, ნაკვ. I, 1958, გვ. 162; კ. თუმანოვის აზრით, მირიანი იყო არა ირანის უფლისწული, არამედ ერთ-ერთი უდიდესი გვარის, მიპრანის შთამომავალი (C. Toumanoff. Studies in Christian Caucasian History. Georgetown University Press, 1963, გვ. 83 და შენ. 105, იქვე). სახელთა დამთხვევა (მირიანი — მიპრანი) აქ მტკიცე დასაყრდენად არ გამოდგება, რადგან „მეფეთა ამბავის“ მიხედვით, სპარსული სახელები მეტად გავრცელებული ყოფილა ქართლის მეფეთა შორის. თვით კ. თუმანოვის სიტყვით, სახელი „მირიანი“ უფრო ადრე ქართლის ორ მეფეს რქმევია, თუმცა, არა მიპრანიდს (იქვე). მიპრანიდებისგან წარმომავლობა არათუ არა ხსნის წინააღმდეგობათა მთელ რიგს, პირიქით, თავის მხრივ უმატებს ახალს.

დაუმორჩილა. სომხეთის სპარაპეტმა მუშელ მამიკონიანმა ურჩი პიტიახშის დასასჯელად ქართლზე გაილაშქრა და გუგარქი სომხეთს დაუბრუნა. ამ სამხედრო კამპანიას ფავსტოს ბუზანდი შემდეგნაირად აღწერს: „შემდეგ დაიძრა სპარაპეტი მუშელი ქართველთა მეფეზე, დიდად შეავიწროვა იგი, დასცა ის ქვეყანა, დაიპყრო მთელი ქართველთა ქვეყანა. მახვილს მისცა ყოველნი აზატნი და ნახარათა გვარნი, რომელნიც ნახა. სპარაპეტმა მუშელმა ბრძანა ფარ[ნ]ავაზიანნი ჯვარს ეცვათ ქართლის ქვეყანაში, ხოლო გუგარქის ბღეშნი, რომელიც წინათ მსახურებდა სომხეთის მეფეს და აუჯანყდა მას, შეიპყრო და თავი მოჰკვეთა, მისი გვარის ვაჟები ამოწყვიტა, ხოლო ცოლები და ასულები ტყვედ წამოასხა“⁴. ცხადია, რომ ქართლის მეფეზე გალაშქრებულ მუშელ მამიკონიანს ყველაზე მეტად უნდა დაესაჯა უმთავრესი დამნაშავენი, გამდგარი პიტიახში და მისი მფარველი ქართლის მეფე. ამიტომ, უეჭველია, რომ ამ ცნობის „ფარ[ნ]ავაზიანები“ სწორედ ქართლის სამეფო საგვარეულოს გულისხმობს. მაშასადამე, ფავსტოსის თანახმად, IV ს. 60—70-იან წლებში ქართლის სამეფო ტახტზე ისევ ფარნავაზიანები მსხდარან, რაც ეწინააღმდეგება „მეფეთა ამბავის“ ცნობას, თითქოს ასთავურის ასულის, მირიანის მეუღლის, სიკვდილით „დაესრულა ქართლს შინა მეფობა და დედოფლობა ფარნავაზიანთა მეფეთა“⁵.

ცხადია, სულ სხვა საკითხია, რამდენად სწორია თავისთავად ფავსტოსის ცნობები ქართლის დარბევისა და ფარნავაზიანთა ჯვარცმის შესახებ.

თუ სწორია ფავსტოსის ცნობა, რომ IV ს. მეორე ნახევარში, ე. ი. მირიანის შემდეგ ქართლში ისევ ფარნავაზიანები მეფობენ, მირიანის ირანული წარმომავლობა კიდევ უფრო საეჭვო ხდება. ამას უნდა დაემატოს ის მოსაზრებაც, რომ მირიანის გამეფება დაახლოებით იმ დროზე მოდის, როდესაც რომაელებმა დაიწყეს თავიანთი პოზიციების აღდგენა მახლობელ აღმოსავლეთში. როგორც უკვე ითქვა, 287 წ. მათ სომხეთის ტახტზე თავიანთი კაცი, თრდატი აიყვანეს. 298 წ. კი ქართლიც რომაელთა გავლენის სფეროში შევიდა. ნაკლებად სავარაუდებელია, რომ ამ პირობებში ირანელი უფლისწული თუ დიდებული რომაელებს ქართლის მეფედ დაეტოვებინათ.

დაბოლოს, უაღრესად მნიშვნელოვანი ჩვენებაა დაცული „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატიანეში, სადაც მირიანის მამად დასახელებულია

⁴ Фавстосиჩи ჩхелანიყავსი. Պատմութիւն Հայոց. Թիֆլիս, 1912, გვ. 315—316.

⁵ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 66.

ფეთა ამბავის“ მონათხრობში ბევრი რამ არასწორია, მაგრამ შემონახული უნდა იყოს ისტორიული სინამდვილის ანაჩეკლიც. სრულიად დაუჯერებელია, თითქოს მირიანს, როგორც ირანელ უფლისწულს, მიეღოს ჯაზირეთი (შუამდინარეთი), ადარბადაგანი და შამის (სირიის) ნახევარი. თავი რომ დავანებოთ მირიანის ირანული ჩამომავლობის ლეგენდარულობას, იმდროინდელი პოლიტიკური სიტუაცია სავსებით გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ქართლის მეფეს ეს ქვეყნები სჭეროდა. არადამაჯერებლად გამოიყურება ისიც, თითქოს მირიანს ქართლის გარდა სჭეროდეს ეგრისი, სომხეთი, რანი, ჰერეთი და მოვაკანი, ე. ი. მთელი ამიერკავკასია.

უფრო სარწმუნოა ის ცნობა, რომ მირიანი რომაელების წინააღმდეგ ირანელებთან ერთად გამოსულა. ირანელ-რომაელთა ომის მსვლელობის აღწერილობა ზოგადად ემთხვევა ამ ომის მსვლელობის ნამდვილ ისტორიას. ისევე როგორც „მეფეთა ამბავშია“ მოთხრობილი, ომი დაიწყო ირანელებმა და თავდაპირველად წარმატებასაც მიაღწიეს; ომის გადამწყვეტი ფაზა მიმდინარეობდა სომხეთის ტერიტორიაზე; საბოლოოდ რომაელებმა გაიმარჯვეს⁹. შესაძლებელია, ომის პირველ პერიოდში, როდესაც ირანელებმა ზღვით იგდეს რომის იმპერიის ტერიტორიის ნაწილი, სომხეთი, თუ მისი რომელიმე ოლქი ირანელებმა საგამგეოდ ჩააბარეს კიდევაც მირიანს. რაც შეეხება რანს, ჰერეთსა და მოვაკანს, არ ჩანს, რატომ უნდა გაეგრცვლებინათ ირანელებს მირიანის უფლება ამ ქვეყნებზეც. შესაძლებელია, მირიანმა ისარგებლა ომის მსვლელობის პირველი ნახევრით და გარკვეული პრეტენზიები წაუყენა სომხეთს საკამათო სასაზღვრო რაიონებზე. ყოველ შემთხვევაში, საყურადღებო უნდა იყოს „მეფეთა ამბავის“ ცნობა, რომ, როდესაც რომაელებმა გაიმარჯვეს, იმპერატორმა დაახვია მირიანი და თრდატი და მათ შორის ტერიტორიული დავაც გადაწყვიტა: „და განუჩინა საზღვარი მირიანს და თრდატს ესრეთ: რომელთა ქუეყანათა მდინარენი დიან სამხრეთით და მიერთვიან რავსა, ესე ქუეყანანი თრდატის კერძად დაყარნა; და რომლისა ქუეყანისა მდინარენი ჩრდილოთ დიან და მიერთვიან მტკუარსა, ესე მირიანის კერძად დაყარნა“¹⁰.

სამწუხაროდ, ჩვენ ძალიან ცოტა გვაქვს ცნობები იმის შესახებ,

⁹ თუმცა ისტორიული პერსპექტივა დარღვეულია და ავტორს არასწორად აქვს გადმოცემული ზოგი ისტორიული მოვლენის ქრონოლოგია: ირანელ-რომაელთა ომი მოხდა არა კონსტანტინე დიდის (306—337), როგორც ეს წარმოდგენილი აქვს „მეფეთა ამბავის“ ავტორს, არამედ დიოკლიტიანეს (284—305) დროს. კონსტანტინეს მონათლა ავტორს ამ ომის დროზე გადააქვს, სინამდვილეში კი კონსტანტინე მონათლა სიკვდილის წინ, 337 წ., და სხვ.

¹⁰ ქართლის ცხოვრება I, გვ. 70.

თუ როგორ განვითარდა ქართლის საგარეო ურთიერთობანი მომდევნო ხანაში. შეიძლება წამოყენებულ იქნეს მხოლოდ ზოგადი მოსაზრებანი.

ნიზიბინის ზავის შემდეგ რომსა და ირანს შორის მშვიდობიანობა არ დარღვეულა თითქმის ორმოცი წლის განმავლობაში. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ხნის განმავლობაში ამიერკავკასიაში პოლიტიკური ვითარება არ შეცვლილა და ქართლი ისევ რომის ვასალად ითვლებოდა. თუმცა ეს დამოკიდებულება, ალბათ ნომინალური იქნებოდა, რადგან რომაელებს არ ჰქონდათ საშუალება დიდი პრეტენზიებით გამოსულიყვნენ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. ქართლიცა და სომხეთიც ფაქტიურად დამოუკიდებელი სახელმწიფოები იყვნენ. სწორედ ასეთი დამოკიდებულების შედეგი უნდა ყოფილიყო ის, რომ ქართლის მმართველ წრეებს რომთან სიახლოვე ერჩივნათ ირანთან სიახლოვეს. ამისი ერთ-ერთი გამოხატულება იყო ისიც, რომ ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადდა.



უძველესი ცნობები ქართლის გაქრისტიანების შესახებ შემონახული აქვს ბერძნულ-ლათინურ მწერლობას. ყველაზე ადრინდელი ცნობა ყოფილა გელასი კესარიელის „საეკლესიო ისტორიაში“, რომელიც დაიწერა IV ს. ბოლოს სულ რაღაც ნახევარი საუკუნის შემდეგ ქართლის გაქრისტიანებიდან. მართალია, თვით გელასი კესარიელის თხზულებას ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ მისი მოთხრობა იბერთა გაქრისტიანებაზე დაცულია უშუალოდ მომდევნო ხანის ისტორიკოსებთან — რუფინუსთან, თეოდორიტე კვირელთან, სოკრატესთან, სოზომენესთან, გელასი კვიზიკელთან. ყველანი V ს. მოღვაწეობდნენ. ამრიგად, ეს გადმოცემა ფიქსირებულია ქართლის გაქრისტიანებიდან ძალიან ახლო დროში.

გადმოცემის შინაარსი ასეთია: იბერებთან მოხვდა ვინმე ქრისტიანი ტყვე ქალი. იგი ქადაგებდა ქრისტიანობას და ქრისტეს ძალის დახმარებით კურნავდა ავადმყოფებს. ასე განუკურნავს მას მძიმედ დაავადებული იბერთა დედოფალიც. ამას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია იბერთა მეფეზე, მაგრამ მას ჯერ კიდევ ვერ გადაუწყვეტია ქრისტიანობის მიღება. ცოტა ხნის შემდეგ მეფე სანადიროდ წასულა. უეცრად ისეთი ბურუსი ჩამოწოლილა, რომ მეფე თავის მხლებლებს დაშორებია და მარტოდ დარჩენილს გზა ველარ გაუგნია. შეშინებულ მეფეს დახმარებისთვის ვედრებით მიუმართავს ტყვე ქალის ღმერთისათვის. ბურუსი მაშინვე გაფანტულა და ისევ ნათელი ღმე დამდგარა. შინ დაბრუნებულმა მეფემ თავისთან იხმო ტყვე ქალი და დაწვრი-

ლებით გამოჰკითხა ყოველივე მისი სარწმუნოების შესახებ. ამის შემდეგ დაუწყიათ ეკლესიის მშენებლობა. მშენებლობის დროს ხალხში რწმენის განსამტკიცებლად ღმერთმა სასწაული მოავლინა: ერთ-ერთი სვეტი მშენებლებმა ვერაფრით ვერ დააყენეს თავის ადგილას. ღამით, ტყვე ქალის ვედრების შემდეგ, ეს სვეტი შვეულად გაჩერდა ჰაერში თავისი ადგილის ზემოთ: როდესაც დილით ხალხი ისევ შეგროვდა, სვეტი თავისით დაეშვა საფუძველზე. ეკლესიის აშენების შემდეგ იმპერატორ კონსტანტინეს გაუგზავნეს ელჩობა თხოვნით: გამოეგზავნა მღვდელმსახურები ეკლესიის კურთხევისა და ხალხის მოსანათლავად. კონსტანტინეს ეს თხოვნა სიხარულით აუსრულებია.

უალრესად საყურადღებოა გელასი კესარიელის ცნობა, რომლის თანახმადაც ყველაფერი ეს მას გაუგია იბერთა სამეფო სახლის ერთ-ერთი წარმომადგენლის, ბაკურისაგან¹¹.

ასეთივე გადმოცემა აქვს შემონახული ძველ სომეხ ისტორიკოსს მოვსეს ხორენაცისაც¹². მის მოთხრობაში ყურადღებას იქცევს ის, რომ ხორენაცი ახსენებს ტყვე ქალისა და ქართლის მეფის სახელებს — ნუნე და მიჰრანი. ოღონდ მიჰრანი იხსენიება არა მეფედ, არამედ ქართლის მთავრად, რომელიც ემორჩილებოდა სომხეთის მეფე თრდატს. ყურადღებას იქცევს ისიც, რომ ნუნე დაკავშირებულია სომხეთში წამებულ ქალთა ჯგუფთან, ე. წ. რიფსიმიანელებთან. ნათქვამია აგრეთვე, რომ ქართლის გაქრისტიანების შემდეგ ნუნეს სომხეთის განმანათლებელ გრიგორისათვის უკითხავს, როგორ მოქცეულიყო შემდგომში. არაფერია ნათქვამი კონსტანტინესთან ელჩობის გაგზავნაზე.

დაბოლოს, ქართლის გაქრისტიანების ამბავი მოთხრობილია ქართულ წყაროებშიც. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ორივე ნაწილში — „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატიანესა და „ნინოს ცხოვრებაში“ — პირველში მოკლედ, მეორეში ვრცლად, მხოლოდ ოდნავი განსხვავებით — გადმოცემულია ქართლის გაქრისტიანება. მოთხრობა ძირითად ხაზებში იგივეა, რაც ბერძნულ-ლათინურ-სომხურ წყაროებში, ოღონდ აქ იგი გავრცელებულია მრავალი დეტალით. „ნინოს ცხოვრების“ მოთხრობა გამეორებულია „ქართლის ცხოვრებაშიც“, სადაც მცირედენად გადამუშავებული სახითაა წარმოდგენილი (გადამუშავება ძირითადად ლიტერატურულ მხარეს შეეხა, თვით მოთხრობა კი არსებითად უცვლელადაა გამეორებული). გარდა ამისა, ამ რედაქციაში დამატებით მოიპოვება რიგი საკმაოდ საყურადღებო ცნობებისა. შემ-

¹¹ გ ე ლ ა ს კ ე ს ა რ ი ე ლ ი, გეორგია, ტ. I, გვ. 194.

¹² მოვსეს ხორენაციის ცხოვრების ხანა ჯერჯერობით სავსებით დადგენილია ვერ ჩაითვლება. სხვადასხვა მკვლევართა შრომებში ეს ხანა განისაზღვრება V საუკუნიდან IX საუკუნემდე. უფრო სარწმუნოდ ჩანს, რომ იგი ამ პერიოდის პირველ ნახევარში, V—VII საუკუნეებში, ცხოვრობდა.

დგომში ეს რედაქცია თავის მხრივ ამოსავალი გახდა ნინოს ცხოვრების სხვა რედაქციებისა და სხვა თხზულებებისა, რომლებშიც, აგრეთვე, მოთხრობილია ქართლის გაქრისტიანების ამბები. მაინც ყველაზე დიდი გავრცელება და პოპულარობა მოიპოვა იმ რედაქციამ, რომელიც წარმოდგენილია „ქართლის ცხოვრებაში“ და რომელიც ლეონტი მროველს მიეწერება.

ქართული ეროვნული ტრადიცია ქართლის გაქრისტიანების შესახებ ასეთია: სახელგანთქმულ კაბადოკიელ სარდალს, ქრისტიანობის გამავრცელებელ ზაბილონსა და იერუსალიმის პატრიარქ იუბენალის დას, სუსანას, ჰყავდათ ასული ნინო. როდესაც თორმეტი წლისა შეიქმნა, მისმა მშობლებმა მთელი თავიანთი ქონება გაყიდეს, ყველაფერი გლახაკებს დაურიგეს, თვითონ კი საერო ცხოვრება მიატოვეს და ღმერთის სანსახურს მისცეს თავი. მარტოდ დარჩენილი ნინო ორ წელიწადს იყო იერუსალიმში ერთ დვინელ სომეხ ქალთან, რომელიც ქრისტიანული რჯულის საუკეთესო მცოდნე ყოფილა. ქრისტეს მსახურებისთვის მოწადინებული ნინო შემდეგ მოხვდა სამეფო წარმომოშობის ქალ რიფსიმესთან. კეისარს მოუსურვებია რიფსიმეს ცოლად შერთვა, მაგრამ უბიწობის აღთქმადადებული რიფსიმე და მასთან ერთად ორმოცდაათი სხვა ქალწული სომხეთში გაქცეულა. მათ თან გაჰყოლია ნინოც. სომხეთის მეფემ, თრდატმა, რომელიც ჯერ კიდევ წარმართი იყო, ისინი აწამა. ნინო ცოცხალი გადარჩენილა და ღმერთის ჩაგონებით ჩრდილოეთისაკენ წასულა; ჯავახეთში გადასულა, იქიდან დიდი გაჭირვებით ურბნისისათვის მიუღწევია, ურბნისიდან კი მცხეთისაკენ სალოცავად და სავაჭროდ მიმავალებს გაჰყოლია და ქართლის დედაქალაქში ჩასულა.

მცხეთაში ნინომ ნახა, როგორ ემსახურებოდა ხალხი ადგილობრივ კერპებს: არმაზს, ვასცა და გაიმს. ნინოს ვედრების თანახმად ღმერთმა საშინელი ავღარი მოაწია და სეტყვით მთლად დაამსხვრია კერპები. ამის შემდეგ ნინოს ცხრა თვე უცხოვრია მეფის ბალის მცველთან (ეს ბალი ყოფილა იქ, სადაც სვეტიცხოვლის ტაძარია). შემდეგ ნინოს ვაზის ნასხლევისაგან გაუკეთებია ჯვარი, ერთ მაყვლის ბუჩქში დაუდგამს და თვითონაც იქ დასახლებულა. (დღევანდელი სამთავროს ტაძრის არემარეზე). ექვსი წლის განმავლობაში ცხოვრობდა იქ ნინო და ჯერ ფარულად, ხოლო შემდეგ აშკარად ქადაგებდა ქრისტეს რჯულს და მრავალ სასწაულსაც ახდენდა. ბოლოს მან უკუჩრებელი სენისაგან განკურნა დედოფალი ნანა და მოგვთა თავი. ერთხელ, ივლისის ოცს, შაბათს, მეფე მირიანი მუხრანისაკენ წავიდა სანადიროდ. ნადირობისას მეფემ გადაწყვიტა ქრისტიანთა ამოწყვეტა. უცბად, თხოთის მთაზე ასულს მზე დაუბნელდა და გზა ვეღარ გაიგნო. მირიანმა ჯერ თავის ღმერთებს მიმართა, შველა რომ ვერ მიიღო, ნინოს

ღმერთს შეევედრა ხსნას. მართლაც, მაშინვე განათლა და მეფემ იწა-
მა ქრისტეს ძალა. მეორე ღღესვე მირიანმა და ნინომ შეუთვალეს
თხოვნა კეისარს, მოსანათლად მღვდლები გამოეგზავნა, თვითონ კი
ეკლესიის შენებას შეუდგნენ მეფის ბაღში. მშენებლობისას ღმერთმა
ასეთი სასწაული მოაგვლინა: მშენებლებმა ვერაგზით ვერ ასწიეს ეკლე-
სიის მთავარ სვეტად გამზადებული ნაძვის ხის ბოძი. როდესაც საღა-
მოს დამწუხრებული მეფე და ხალხი დაიშალნენ, ნინომ ლოცვა დაი-
წყო. მრავალი საშინელი ჩვენების შემდეგ ციდან ჩამოეშვა ცეცხლის
ზეწარში გახვეული ქაბუჯი და ბოძი ზევით აიტანა. რამდენიმე ხნის
შემდეგ ცეცხლში გახვეული ბოძი ძირს დაეშვა და თავის საფუძველს
ზემოთ ჰაერში დაეკიდა. ამ საოცრების სანახავად მეფე და მთელი
ხალხი მოვიდნენ და, აი, განცვიფრებული მნახველების თვალწინ სვე-
ტი თავისით დაეშვა და თავის საფუძველზე განმტკიცდა. შემდეგში ამ
სვეტმა მრავალი სასწაული მოახდინა.

კეისრისაგან გამოგზავნილი სამღვდლო პირები რომ ჩამოვიდნენ,
მეფე, მისი ოჯახი, დიდებულები და ხალხი მონათლნენ. შემდეგ
ღვთიური მითითებით სამი ჯვარი აღმართეს; ერთი იმ ბორცვზე, სა-
დაც ახლა ჯვრის მონასტერია, მეორე თხოთის მთაზე, სადაც მირიანმა
პირველად იწამა ქრისტე, და მესამე ქალაქ უჯარმაში. ამის შემდეგ
ნინო წავიდა ქრისტეს რჯულის საქადაგებლად ქართლის მთიანეთში —
წობენს, შემდეგ ერწო-თიანეთში, იქიდან კი გადავიდა კუხეთში, სა-
დაც დასნეულდა, გარდაიცვალა და დაბა ბოდინში დაიმარხა.

რასაკვირველია, ამ გადმოცემებში შემონახულია რეალური ის-
ტორიული ვითარების ნიშნები, მაგრამ, ცხადია, ფაქტიური ვითარება
ბევრად უფრო რთული იყო. რა თქმა უნდა, ქრისტიანობის გავრცელე-
ბა და ოფიციალურ კულტად მიღება. შედეგი იყო არა რომელიმე
შქადაგებლის მოღვაწეობისა, არამედ ქვეყნის სოციალური, ეკონო-
მიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარებისა.

როგორც ცნობილია, თავდაპირველად ქრისტიანობა ვრცელდე-
ბოდა საზოგადოების დაბალ ფენებში, მის ექსპლოატირებულ ნაწილ-
ში და წარმოადგენდა ამ ნაწილის პროტესტს თავისი მჩაგვრელების წი-
ნაღმდეგ. ამიტომ იყო, რომ იგი იდევნებოდა გაბატონებული კლას-
ების მიერ. მაგრამ თანდათან ცხადი გახდა, რომ ამ ახალ რელიგიას
ჰქონდა რიგი თვისებებისა, რომლებიც მეტად გამოსადეგი იყო სწო-
რედ გაბატონებული კლასებისათვის. ამიტომ ქრისტიანობა მიიღეს გა-
ბატონებულმა კლასებმა და ჩაგრულთა თავდაცვის იარაღიდან იგი
კიდევ უფრო დიდი ჩაგვრის იარაღად გადაიქცა. უეჭველია, ასეთივე
ევოლუცია გაიარა ქრისტიანობამ და ქრისტიანულმა ეკლესიამ ქარ-
თლშიაც, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა ამ ეტაპის ჩვენება ღღესღღო-
ბით წყაროთა სიმწირის გამო არ ხერხდება. ზემოგანხილულ წყარო-

ებში მეტ-ნაკლებად ასახულია საკუთრივ ქრისტიანობის სახელმწიფო კულტად გამოცხადების პერიოდი. ამ დროისათვის კი ქრისტიანობის უპირატესობა უკვე სავსებით შეგნებული ჰქონდა ქართლის საზოგადოების ზედაფენებს, მეფეს, მის დაახლოებულ წრეებს — „პალატ-ბანაკს“ და წარჩინებულებს, აზნაურებს, ე. ი. ფეოდალიზაციის გზაზე შემდგარი ქართლის საზოგადოების ნაწილს. მართალია, ეს ნაწილი ჯერ კიდევ არ იყო ერთადერთი გაბატონებული ძალა, მაგრამ მისი მნიშვნელობა უკვე ძალიან დიდი იყო და, რაც მთავარია, იგი დღითი დღე ძლიერდებოდა და ძალებს იკრებდა. შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანობისათვის ბრძოლის ბედი სწორედ ამ ნაწილის პოზიციამ გადაწყვიტა.

საქმე ის იყო, რომ ქრისტიანობის შემოღებით ყველაზე მეტად სწორედ ქართლის ახალგაზრდა ფეოდალური ნაწილი იყო დაინტერესებული. ეს ინტერესი განპირობებული იყო რამდენიმე გარემოებით: პირველ ყოვლისა, ქრისტიანობა უნდა დახმარებოდა და ეხმარებოდა კიდევ მას ხალხის დამორჩილებაში ფეოდალურ უღელში შესაბამელად. ამასთან, ქრისტიანობის შემოღება უდიდეს საშუალებებს იძლეოდა ამ კლასისათვის ახალი მიწების ხელში ჩასაგდებად: დროთა განმავლობაში წარმართული ტაძრებისა და ქურუმთა ხელში უდიდესი მიწები დაგროვდა. ამავე დროს, სამხედრო-სალენო ურთიერთობის განვითარებამ დიდად შეამცირა მეფის უშუალო განკარგულებაში არსებული მიწების ფონდი. ქრისტიანობის შემოღება სპობდა სატაძრო მიწათმფლობელობას, ტაძრების მიწები გადადიოდა მეფის ხელში, მეფისაგან კი ეს მიწები იმავე აზნაურებს უნდა რგებოდათ. იგივე მიზნები ამოძრავებდა მეფესაც. სატაძრო მიწების მითვისებით და შემდეგ ერთგული ხალხისათვის დარიგებით მეფე, ცხადია, იმტკიცებდა თავის დასაყრდენს. გარდა ამისა, ქრისტიანული ეკლესიის ორგანიზაცია თავისი ერთიანობით, მოქნილობით უფრო შეეფერებოდა ფეოდალურ სახელმწიფოს, ე. ი. იმ ფორმას, რომლისაკენაც მიმართული იყო განვითარების ტენდენცია.

ქართულ წყაროებს თუმცა ძუნწად, მაგრამ მაინც შემოუნახავთ ცნობები, რომლებიც ასახავენ აზნაურობის როლს ქრისტიანობის გავრცელების საქმეში. როგორც ს. ჯანაშიამ შენიშნა, „თითქოს განსაკუთრებული აზრი ეძლევა ისეთ ცნობებს, რომლებშიც საუბარია ტაძრების აშენების შესახებ აზნაურთა მიერ, და ეს უკანასკნელნი აქ კორპორაციულად არიან ნაგულისხმევენი“¹³. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ თანახმად, მეოთხე საუკუნის მეორე ნახევრისათვის ვარაზ-ბაკურის

მეფობაში „ალაშენეს აზნაურთა წმიდა იგი ეკლესია მცხეთას“¹⁴, ხოლო მეხუთე საუკუნის დამდეგისათვის არჩილის მეფობაში „აზნაურთა სტეფანე-წმიდა ალაშენეს არაგუსა ზედა“¹⁵. ცხადია, ქართლის აზნაურთა ასეთი აქტიური მონაწილეობა საეკლესიო მშენებლობაში მიგვითითებს მათ განსაკუთრებულ მონდომებას ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებაში. ს. ჯანაშიას სამართლიანი შენიშვნით, „ქრისტიანობა საქართველოს მოველინა როგორც აზნაურთა რელიგია და ძველი მონარქიის ოფიციალური კულტი“¹⁶.

როგორც ითქვა, ქრისტიანობის მიღება ქვეყნის ფეოდალიზაციის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენდა და, ამდენად, აღსავსე იყო შინაგანი წინააღმდეგობებითა და ბრძოლით. ეს გამოიჩინა იმაში, რომ ახალ სარწმუნოებას ქართლის მთელი მოსახლეობა და ყველა საზოგადოებრივი ფენა ერთნაირად არ შეხვედრია. პირველ რიგში ქრისტიანობას, ცხადია, წინააღმდეგობას უწევდნენ ქურუმობა და მასთან დაკავშირებული წრეები, რომელნიც ქრისტიანობის მიღებასთან ერთად კარგავდნენ თავის პრივილეგიებს და, საერთოდ, არსებობის საშუალებასაც კი. მტრულად შეხვედრია ქრისტიანობას ქართლის მოსახლეობის ის ნაწილიც, რომელსაც ყველაზე ნაკლებად შეეხებოდა ფეოდალიზაციის პროცესი. ესენი იყვნენ მამაპაპური წესით პირველყოფილ-თემური წყობილებით მცხოვრები მთიელები, რომელთათვისაც ქრისტიანობას, უეჭველია, ფეოდალური ჩაგვრის რალაც ელემენტები მოჰქონდა. მეტად საინტერესო ცნობაა შემონახული ამასთან დაკავშირებით „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მათიანეში. იქ ნათქვამია, რომ მეფისა და ხალხის მონათვლის შემდეგ ნინოს წაუყვანია ერთი მღვდელი და ერისთავი და მთაში ქრისტიანობის საქადაგებლად წასულა. თავდაპირველად ასულა არაგვის ხეობაში, სადაც „უქადაგა სარწმუნოება ქრისტესი“ „მთეულთა, ქართალელთა და ფხოელთა და წილკანელთა“. მაგრამ ამჯერად მის ქადაგებას წინააღმდეგი შედეგი არ გამოუღია: „მათ განუყარეს თავი, და ერისთავმან მცირედ წარჰმართა მახული, და შიშით მოსცნეს კერპნი მათნი დალუწად“¹⁷.

ჩანს, მთიელთა ასეთი ქცევა მოულოდნელი არ იყო. აქი ქრისტიანობის საქადაგებლად წასულ ნინოს თან ღირისთავიც (ცხადია, სამხედრო რაზმითურთ) წაუყვანია.

არაგვის ხეობიდან ნინო კახეთში გადასულა. აქ ხალხი საერთოდ

14 მოქცევაჲ ქართლისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 92.

15 იქვე.

16 ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 221.

17 მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 88—89.

აყრილა და მიუვალი მთებისათვის შეუფარებია თავი. „და გარდავიდა ერწულ და დადგა ჟალეთს დაბასა ედემს, და ნათელ-სცა ერწუ-თიანელ-თა. და ყუარელთა ესმა ესე და გარდაკრბეს თოშეთა“¹⁸. უაღრესად საინტერესო ცნობას უმატებს აქ მროველისეული ნინოს ცხოვრების რედაქცია: „და სხუანიცა მთეულნი უმრავლესნი არა მოიქცეს, არამედ დაუმძიმა მათ მეფემან ხარკი, ოდეს არა ინებეს ნათლის ლება“¹⁹.

მაგრამ, როგორც ირკვევა, ქრისტიანობას მოწინააღმდეგენი თვით გაბატონებულ ფენებშიც კი ჰყოლია. ჩანს, მათ შორისაც იყო ძალები, რომლებიც თავისი პოლიტიკური და სოციალური ინტერესებიდან გამომდინარე, ანდა ძველი ტრადიციების დაცვის სურვილის გამო ეწინააღმდეგებოდნენ ქვეყნის ფეოდალიზაციას თუ ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებას. ასეთი ძალები თვით სამეფო ოჯახშიც კი ყოფილა. ნინოს ცხოვრების მროველისეულ რედაქციაში შემონახული ცნობის თანახმად, ქრისტიანობა არ მიუღია თვით მირიანის სიძეს, ფეროზს, რომელსაც თითქოს მირიანისაგან მიცემული ჰქონდა რანი ბარდავამდის. „არა ნათელ-ილო ფეროზ, სიძემან მირიან მეფისამან; რომელსა ჰქონდა რანი — ბარდავამდინ მიცემულად მირიან მეფისგან; არცა ერმან მისმან ნათელ-ილო, არამედ ჯორციელ ოდენ მსახურებდა მირიან მეფესა“. წარმართული საარწმუნოების მიმდევარი ნი მეფის ოჯახში, როგორც ჩანს, თვით IV ს. ბოლომდეც კი ყოფილან²⁰.

ქრისტიანობის გავრცელების დროინდელი ვითარების დასახასიათებლად უნდა აღინიშნოს, რომ სასტიკი ბრძოლები ყოფილა ქალაქის მოსახლეობის დაბალ ფენებშიც, ქალაქებში მცხოვრებ უცხო ტომთა შორისაც. ნინოს ერთ-ერთი პირველი მიმდევარი ებრაელი აბიათარ მის თანამეტომეებს კინაღამ ჩაუქოლავთ. „მაშინ აღიძრნეს ჰურიანა აბიათარს ზედა, რათამცა ქვა დაკრიბეს მას. ხოლო მირიან მეფემან მიაველინა მსახურნი და განარიცა აბიათარ სიკუდილისაგან“²¹. საინტერესოა, რომ ამ დროს თვით მირიანი ჯერ კიდევ არ იყო ქრისტიანი.

ქრისტიანობის ოფიციალურ კულტად აღიარებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პოლიტიკურ მოტივებსაც.

როგორც უკვე ითქვა, 298 წლის ნიზიბისის ზავით რომაელებმა გარკვეული უპირატესობანი მოიპოვეს სომხეთსა და ქართლზე, რომ-

18 მოქცევა ქართლისად, გვ. 88—89.

19 ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, ნინოს მიერ ქართლის მოქცევა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 126.

20 ლ ი ბ ა ნ ი ო ს ი, წერილი, 980; გეორგიკა, I, გვ. 63; ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი. ლიბანიოსი და ბაკური, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, I, 1940.

21 ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 102.

ლებიც მათი გავლენის სფეროში შევიდნენ. როგორც ჩანს, ქართლისათვის რომის ეს უპირატესობა მეტად მსუბუქი იყო. რომაელებისთვის კი მთავარი იყო ქართლი ირანის მხარეზე არ გადასულიყო და არ ჩაებარებინა მისთვის გადასასვლელი კავკასიონზე, რომლებითაც შეიძლებოდა ჩრდილოეთ კავკასიიდან მომთაბარე ტომების გადმოყვანა. უფრო დიდი მოთხოვნების წაყენება რომს, საფიქრებელია, იმჟამად არ შეეძლო. ვასაგებია, რომ ასეთი ურთიერთობა ხელსაყრელი იყო ქართლისთვისაც, რადგან იგი იცავდა მას აგრესიული ირანისაგან. ქრისტიანული სარწმუნოების მიღება ხელს უწყობდა ქართლსა და რომის იმპერიას შორის კავშირის განმტკიცებას, რადგან ეს ნიშნავდა ირანულ ორიენტაციაზე უარის თქმას, ბრძოლას ირანული პოლიტიკური და კულტურული გავლენის წინააღმდეგ. მართალია, ამ დროს საკუთრივ ირანშიც საკმაოდ ბევრი ქრისტიანი იყო, მაგრამ სასანიდები გამსაკუთრებით ცდილობდნენ ზოროასტრიზმის განმტკიცებასა და გაძლიერებას. ამასთან, თუმცა ქრისტიანობა რომის იმპერიაში ჯერ კიდევ არ იყო ოფიციალურად სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადებული, მაგრამ იგი აშკარად სარგებლობდა სახელმწიფოს, კერძოდ იმპერატორ კონსტანტინე დიდის სიმპათიითა და მხარდაჭერით.

ეს მხრივ-მხინტერესია ამ მოვლენის შეფასება არაბული ქართული საისტორიო წყაროებით, თუნდაც გვიანდელით. „ქართლის ცხოვრებას თანახმად, როდესაც მირიანმა ქრისტიანობა მიიღო და თავისი საბრძანებელი ახალ სარწმუნოებაზე განამტკიცა, კონსტანტინემ სამშობლოში დაბრუნა მირიანის ძე ბაქარი, რომელიც მძევლად იყო მასთან კონსტანტინეს მოუწერია მირიანისთვის: „ვინათგან იცან შენ სამტყა ერთხსება, ღმერთი დაუსაბამო, დამბადებელი ყოვლისა, არღაოა ზიქს მე შენგან მძევალი, არამედ კმა არს ჩუენ შორის შუამდგომლად ქრისტე... და შუამდგომელობითა ღმრთისა დამბადებელისათა ვიყვენთ ჩუენ სიყვარულსა ზედა ძმებრივ“²². რამდენად ნამდვილია ეს წერილი, ამას ჩვენთვის ამჟამად მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია ის, რომ აქედან ვიგებთ, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა ქართლის საზოგადოება ქრისტიანობის მიღებას.

აღსანიშნავია, რომ ასევე ესმოდათ ამ აქტის მნიშვნელობა რომშიც. გელასი კესარიელის სიტყვით, იბერიის გაქრისტიანების ამბავს კონსტანტინე სიხარულით შეჰხვედრია. გელასი გადმოგვცემს: „ამავე დროს მას (ე. ი. კონსტანტინეს — ნ. ჯ.) [კარგად] ესმის, რომ ეს არის ნიში ღმრთისა, რომელიც უცხოთესლთ უქვემდებარებს მას“²³.

²² ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 128.

²³ გეორგიკა, I, გვ. 194.

გარდა ამისა, ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადებით მეფე, და მისი სახით სახელმწიფო, მიზნად ისახავდა ქვეყნის კონსოლიდაციას. ერთიან კულტს უნდა შეემქიდროვნებინა ქვეყნის სხვადასხვა ნაწილი, განემტკიცებინა ცენტრალური ხელისუფლების ძალაუფლება. თვით ქრისტიანული ეკლესიის ორგანიზაცია იმეორებდა სახელმწიფო ორგანიზაციას. ისევე როგორც სამეფოს სათავეში იდგა მეფე, ქრისტიანული ეკლესიის სათავეში იდგა ერთი გამგებელი — მთავარეპისკოპოსი, რომელსაც ექვემდებარებოდნენ ეპისკოპოსები და მღვდლები.

ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადებასთან დაკავშირებულია კიდევ რიგი საკითხებისა. პირველ რიგში გასარკვევია ამ მოვლენის თარიღი.

უცხოური წყაროებისაგან განსხვავებით, ქართულში მოცემულია ქართლის გაქრისტიანებისა და ზოგი სხვა მოვლენის თარიღები. მაგრამ ამ თარიღების გამოყენება შეიძლება მხოლოდ წინასწარი, კრიტიკული განხილვის შემდეგ, რადგან ზოგიერთი მათგანი აშკარად მცდარია, ზოგიც ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ამიტომაც არის, რომ სპეციალურ ლიტერატურაში ქართლის გაქრისტიანების მრავალ თარიღს ვხვდებით. სხვადასხვა მკვლევარი სხვადასხვა საფუძველს ეყრდნობოდა და განსხვავებულ თარიღებს იღებდა²⁴. სპეციალური განხილვის ღირსია აკად. კ. კეკელიძის მიერ მოცემული თარიღი.

რუფინოსთან და, მაშასადამე, გელასი კესარიელთანაც, ვისგანაც აღებული აქვს რუფინოსს ეს გადმოცემა, ქართლის მოქცევის წინ მოთხრობილია აბაშთა გაქრისტიანების ამბავი, შემდეგ კი ნათქვამია, ამავე დროს მოხდა იბერთა გაქრისტიანებაცო. დასახელებული წყაროების თანახმად, აბაშთა გაქრისტიანება მომხდარა კონსტანტინე დიდის დროს. მაგრამ აბაშთა გაქრისტიანება სინამდვილეში უფრო გვიანდელი, 355—356 წწ. ამბავია. აქედან გამომდინარე, კ. კეკელიძემ ქართლის მოქცევაც ამ წლებით დაათარიღა. თავის დებულებას კ. კეკელიძე ამაგრებდა შემდეგი მოსაზრებებით: პირველი: გადმოცემაში ქართლის მოქცევის შესახებ ლაპარაკია მზის დაბნელებაზე, რომელიც მოხდა მირიანის ნადირობის დროს. მართლაც, 355 წ. 25 მაისს მოხდა მზის დაბნელება, რომელიც ვრცელდებოდა მცხეთა — კასპის რაიონზე. მეორე: ევსევი კესარიელმა, კონსტანტინე დიდის უახლოესმა პირ-

24 ვახუშტი ბატონიშვილი და მისი მიდევნებით ს. ბარათაშვილი და დ. ბაქრაძე ქართლის მოქცევის თარიღად მიიჩნევდნენ 317 წ., დიუბუა დე მონპერე — 276 წ., ბარონიუსი — 327 წ., პ. იოსელიანი — 318 წ., მ. ბროსე და მის კვალად თ. უორდანი, მ. ჯანაშვილი და ს. გორგაძე — 323 წ., ა. ხახანაშვილი — 332 წ. ა. ნატროშვილი — 326 წ., ე. თაყაიშვილი — 332—333 წწ., კ. ცინცაძე — 335 წ., ს. კაპაძე ჯერ — 311 წ., შემდეგ 336 წ., კ. კეკელიძე — 355 წ..

მა, 338 წ. დაწერა ისტორიული ხასიათის თხზულება „კონსტანტინეს ცხოვრება“, რომელშიც კონსტანტინეს საქმიანობის არც ერთი წერილმანა არ არის გამოტოვებული. განსაკუთრებული სინუსტით აღწერილია მისი სარწმუნოებრივი საქმიანობა. კ. კეკელიძეს შეუძლებლად მიაჩნდა, რომ ევსევი კესარიელს არ სცოდნოდა იბერთა გაქრისტიანება და გამოეტოვებინა ასეთი მნიშვნელოვანი ამბავი, ის რომ ნამდვილად მომხდარყო კონსტანტინე დიდის დროს²⁵.

ივ. ჯავახიშვილმა დაწვრილებით განიხილა კ. კეკელიძის მოსაზრებები. მან აღნიშნა, რომ უძველეს გადმოცემებში ქართლის მოქცევაზე ლაპარაკია არა მზის დაბნელებაზე, არამედ ბურუსით გამოწვეულ სიბნელეზე²⁶, ხოლო მზის დაბნელებაზე ლაპარაკი იწყება მხოლოდ IX ს., მაშასადამე, მზის დაბნელების ფაქტით ქართლის მოქცევის თარღი არ დადგინდება, მით უმეტეს, რომ თვით კ. კეკელიძის სიტყვით, მზის დაბნელება მომხდარა სხვა მახლობელ წლებშიც, მაგალითად, 319, 346, 348 წლებში.

ერთადერთ დამაფიქრებელ გარემოებად ივ. ჯავახიშვილს „კონსტანტინეს ცხოვრებაში“ იბერიის გაქრისტიანების მოუხსენებლობა მიაჩნდა, მაგრამ იქვე უმატებდა: შესაძლებელია ეს გამოწვეული იყოს იმით, რომ ქართლის მოქცევა კონსტანტინეს უშუალო მონაწილეობის გარეშეა მომხდარი და ამიტომ არ შეუტანია იგი ევსევი კესარიელს თავის წიგნში²⁷.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ისიც, რომ გელასი კესარიელის სიტყვით, იბერთა გაქრისტიანების ამბავი მას ამ ხალხის სამეფო სახლის წევრისაგან გაუგია. ცხადია, მისგანვე ეცოდინებოდა, თუ როდის მოხდა ეს ამბავი. რაც შეეხება აბაშთა გაქრისტიანებას, გელასის ისიც კონსტანტინე დიდის დროინდელ მოვლენად მიუჩნევია და იბერთა გაქრისტიანებისათვის დაუკავშირებია. გელასის შეცდომა აბაშთა მოქცევის დათარიღებაში სრულიადაც არ გვავალდებულებს, რომ ასეთივე შეცდომა დავეუშვათ იბერთა გაქრისტიანების მიმართაც და ის ქრონოლოგიურად აუცილებლად აბაშთა გაქრისტიანებას დავეუკავშიროთ. არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ იმასაც, რომ დაწყებული უძველესი IV—V საუკუნეების ბერძნულ-ლათინური წყაროებიდან, ყველა წყაროს თანახმად, იბერთა გაქრისტიანება იმპერატორ კონსტანტინეს დროს მომხდარა.

25 კ. კეკელიძე, ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბ., 1957, გვ. 278—279.

26 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 226.

27 იქვე.

ქართლში სახელმწიფო სარწმუნოებად ქრისტიანობის გამოცხადების თარიღად ივ. ჯავახიშვილს 337 წ. ახლო ხანები მიაჩნდა²⁸. ეს თარიღი ყველაზე სწორია და თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულია კიდევაც.

ამასთან მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ, თუმცა ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად ქართლში IV ს. 30-იან წლებში გამოცხადდა, უეჭველია, იგი აქ ბევრად უფრო ადრიდან ვრცელდებოდა. საფიქრებელია, რომ ქრისტიანული თემები ქართლში არსებობდნენ უკვე მესამე საუკუნიდან. ასეთი თემები, ცხადია, ჯერ ქალაქებში ჩნდებოდნენ, განსაკუთრებით დიდ სავაჭრო გზებზე მდებარე ქალაქებში და პირველ რიგში, თვით ქართლის დედაქალაქ მცხეთაში.

ქართლის გაქრისტიანებას უკავშირდება აგრეთვე საკითხი, თუ ვინ მეფობდა ამ დროს ქართლში. როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, ქართულ-სომხური წყაროების თანახმად, ქართლში ქრისტიანობა შემოიღო მეფე მირიანმა. მაგრამ პეტრე იბერის ე. წ. ასურულ ცხოვრებაში²⁹ ქართლის პირველ ქრისტიან მეფედ დასახელებულია პეტრე იბერის პაპა ბაკური. ამ ცნობამ წარმოშვა აზრი, თითქოს ქართლის გაქრისტიანების დროს აქ მეფობდა ბაკური და არა მირიანი³⁰.

თვით პეტრე იბერის ასურული ცხოვრების განხილვა გვიჩვენებს, რომ ეს აზრი სწორი არ უნდა იყოს. მიღებულია, რომ „ცხოვრების“ ავტორი პეტრესთან დაახლოებული პირი იყო და თვით პეტრესგან ჰქონდა მოსმენილი მისი წარმომავლობის ამბავი. ცხადია, 409—412 წლებს შორის დაბადებულ პეტრეს არ შეიძლება არ სცოდნოდა ის გადმოცემა ქართლის მოქცევაზე, რომელიც მის დაბადებამდე სულ ოციოდე წლით ადრე უამბო გელასი კესარიელს ქართლის სამეფო სახლის ერთ-ერთმა წევრმა. ასევე ცხადია, რომ ეს გადმოცემა უნდა

²⁸ იქვე, გვ. 233.

²⁹ როგორც ელ. შვარცმა დაადგინა, ეს „ცხოვრება“ დაწერილია იოანე რუფოსის მიერ ბერძნულად 518 წლის ახლოს (მის შემდეგ), ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ მისმა თარგმანმა. Ed. Schwarz, Iohannes Rufus, ein monophysitischer Schriftsteller: SB der Heidelberger Akademie der Wissenschaften, phil.—hist. KL, 1912. Abh. 16.

³⁰ ეს აზრი პირველად გამოთქვა ვ. ბოლოტოვმა (Христианское чтение, М., 1898. №4, გვ. 263), შემდეგ გაიზიარა და განავითარა ივ. ჯავახიშვილმა (ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 187, 213 და შმდ.). ს. ჯანაშვიას ეს ბაკური მირიანის მეგვიდრედ და მომდევნო მეფე ბაკურად მიაჩნდა, რომელიც, „მეფეთა ამბავის“ თანახმად, მძევლად იყო წაყვანილი კონსტანტინოპოლში. მეკლევარის სიტყვით, მძევლად წაყვანის ამბავი შესაძლებელია მერმინდელი შეთხზულიც ყოფილიყო, მაგრამ სავსებით დასაჯერებელია, რომ მას იმპერატორის კარზე ეცხოვრა და ქართლის სამეფო სახლიდან პირველად მასვე მიეღო ქრისტიანობაო (ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, I, გვ. 229).

სკოდნოდა პეტრეს „ცხოვრების“ ავტორსაც, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ დაივიწყებდა ამას მოთხრობას, ყველაფერი ეს რომ პეტრეს პაპსთან, ბაკურთან ყოფილიყო დაკავშირებული. ბაკურის დასახასიათებლად „ცხოვრების“ ავტორი მოგვითხრობს, რომ ბაკური თურმე კვირაში სამჯერ ჰკვიდა ეკლესიას თავისი ხელით; რომ მისი ბრძანებით სასახლეში მზადდებოდა საქმელი, და მას თვითონ მიჰქონდა გლახაკთა სახლში და იქ თავისი ხელით აკმევდა დავრდომილებს და სხვ. რა თქმა უნდა, ქართლის მოქცევასთან დაკავშირებულად გადმოცემები (მეფის დარწმუნება სასწაულით, სვეტის სასწაულებრივი დადგინება და სხვ.) ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესო იქნებოდა „ცხოვრების“ ავტორისათვის. ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ის ცნობა, თითქოს ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე იყო პეტრე იბერის პაპა, ბაკური, მერმინდელი ჩანამატიო პეტრეს განსაზღვრებლად და არ ეკუთვნის თვით „ცხოვრების“ ავტორს³¹.

ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ ქართულ-სომხურ წყაროებში ქართლის გაქრისტიანება ამა თუ იმ სახით დაკავშირებულია სომხეთის გაქრისტიანებასთან. „მოქცევაჲ ქართლისაჲსა“ და „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, ქართლის მომაქცეველი ნინო ბავშვობაში იერუსალიმში დვინელ სომეხ ქალთან ცხოვრობდა და მისგან უსწავლია სომხური. შემდეგ ქალთა ერთ ჯგუფთან, ე. წ. რიფსიმეანელებთან ერთად იგი იმპერატორისგან დევნის თავიდან ასაცილებლად საბერძნეთიდან გაქცეულა და სომხეთში შეხიზნულა. სომხეთის მეფე თრდატს ნინოს თანამგზავრები უწამებია (თუმცა შემდეგ თრდატს თვითონაც მიუღია ქრისტიანობა), ნინოს კი გაქცევა მოუხერხებია და ქართლში მოსულა. ამასთან საინტერესოა, რომ ქართულის უცოდინარობის გამო ნინო ადგილობრივ მცხოვრებლებს სომხურად ელაპარაკებოდა.

31 ამაზე ლაპარაკობენ იმავე წყაროს სხვა მონაცემებიც. მაგალითად, „ცხოვრების“ თანახმად, ბაკურის ძმა, არჩილი, მეფობდა V ს. 20—30-იან წლებში. თუ ბაკური, მართლაც, ქართლის პირველი ქრისტიანი მეფეა, გამოდის, რომ მას თავის ძმაზე ასი წლით ადრე, IV ს. 20-იან წლებში, უმეფია, რაც ძნელი დასაჯერებელია. ამასთანავე გამოდის, რომ ბაკური სულ მცირე ასი წლით უფროსი ყოფილა თავის შვილიშვილ პეტრეზე. რაც, აგრეთვე, საეჭვოა, მით უმეტეს, რომ ბაკური პეტრეს პაპა იყო დედის მხრივ. ამ საკითხზე იხ. კ. კეკელიძე, იბერიის ქრისტიანიზაციის საწყისებთან, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბ., 1955, გვ. 19—20.

არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ბაკურის მიჩნევა ქართლის მეფედ IV ს. 20—30-იან წლებში ეწინააღმდეგება ქართლის მეფეთა იმ თანამიმდევრობას, რომელიც დატულია „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ და „მეფეთა ამბავში“. ასევე ეწინააღმდეგება იგი ამიანე მარცელინესა და კორიუნის მონაცემებსაც.

მოვესეს ხორენაცის სიტყვით, ნინო სომხეთის მომაქცეველ გრგორ განმანათლებლის ხელმძღვანელობით მოქმედებდა. V ს. სომეხი ისტორიკოსის აგათანგელოსის მიერ დაწერილ სომეხთა მოქცევის არაბულ თარგმანში კი ქართლის მომაქცეველად უკვე თვით გრიგორია დასახელებული. ზოგიერთი მკვლევარი ამას იმით ხსნიდა, რომ თითქოს ნინო საქართველოს ერთ ნაწილში ავრცელებდა ქრისტიანობას, გრიგორ განმანათლებელი კი მეორეში³², ან თითქოს გრიგორი სამისიონერო სკოლის მეთაური იყო, ნინო კი ამ სკოლის ერთ-ერთი წარმომადგენელი³³.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ იმ წყაროთა შორის, რომლებიც ქართლის გაქრისტიანებას აღწერენ, უძველესია ბერძნულ-რომაული. ისინი თითქმის მხოლოდ ნახევარი საუკუნით არიან დატლებულნი თვით ქართლის მოქცევას. მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ სწორედ ამ უძველეს წყაროებში არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ ქართლის გაქრისტიანება რითიმე ყოფილიყო დაკავშირებული სომხეთის გაქრისტიანებასთან, ეს ბუნებრივიცაა, რადგან სომხეთში ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადება მოხდა ოცდაათი წლით უფრო ადრე, ვიდრე ქართლში (დაახლოებით 300 წ.). ამიტომ აშკარაა, რომ ნინოს დაკავშირება რიფსიმეანელებსა და გრიგორ განმანათლებელთან გვიანდელი ამბავია (იგულისხმება ორგანიზაციული მხარე, თორემ ისე, ცხადია, სომხეთში ქრისტიანობის ოფიციალურ კულტად აღიარებას გარკვეული გავლენა უნდა მოეხდინა ქართლზეც). ივ. ჯავახიშვილმა დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ აზრი გრიგორ განმანათლებლის ქართლის მოქცევაში მონაწილეობის შესახებ გავრცელებას იწყებს მხოლოდ VI ს. შუადა და გრძელდება VIII ს.-მდე. შემდეგ იგი თანდათან ქრება. ამ შეხედულების წარმომშობი მიზეზები იმდროინდელ პო-

32 ნ. მარის სიტყვით, ნინომ მოაქცია იბერია, რომელიც დასავლეთ საქართველოს აღნიშნავდა, ქართლ კი გრიგორ განმანათლებლის მოქცეულია. შემდეგ მოხდა ამ ორი გაღმოცემის შერწყმა (Н. Марр, Крещение армян, грузин, абхазов и аланов святым Григорием (армянская версия), ЗВРАО, т. XVI, Вып. II—III, გვ. 169 და შმდ.). ს. კაკაბაძისა და კ. კეკელიძის შეხედულებით, იბერია — ნინოს სამრევლო — წარმომადგენდა მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე ქართლის ნაწილს, მტკვრის სამხრეთით მდებარე ნაწილი — გუგარტი, კი, სომეხთა მიერ დაპყრობილი, გრიგორმა გააქრისტიანა (ს. კაკაბაძე, წმინდა ნინო და მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში, თბ., 1912, გვ. 5—8; კ. კეკელიძე, ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები, გვ. 261—265).

33 ასეთ აზრს დაადგა ს. კაკაბაძე მოგვიანებით, იხ. მისი რეცენზია კ. კეკელიძის ზემოხსენებულ წერილზე, საისტორიო კრებული, I, თბ., 1928, გვ. 131; მისივე, ძიებანი ქართველთა IV—VII საუკუნის ისტორიის შესახებ, საისტორიო კრებული, II, თბ., 1928, გვ. 7.

ლიტიკურ ვითარებაში იქებნება³⁴. მაგრამ ამაზე დაწვრილებით ლაპარაკი იქნება შემდგომში და ამიტომ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ქრისტიანობის მიღებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი ხელს უწყობდა და აჩქარებდა ქვეყნის ფეოდალიზაციას, ფეოდალთა კლასის გაძლიერებას და განმტკიცებას. ქრისტიანობა აძლიერებდა ქვეყნის ცენტრალიზაციასა და კონსოლიდაციას. ხელს უწყობდა ერთიანი ქართველი ხალხის ჩამოყალიბებას. ქრისტიანობის მიღებით ქართლი აშკარად დაუპირისპირდა ირანს და რომის მხარე დაიჭირა. ქრისტიანობა თავისთავადაც უფრო პროგრესული რელიგია იყო, ვიდრე წარმართობა და, გარდა ამისა, მან განამტკიცა კულტურული კავშირები ევროპის ქვეყნებთან. ქრისტიანობამ დიდი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში შუა საუკუნეების მთელ მანძილზე. ამასთან ერთად მან მოსპო ძველი ქართული წარმართული კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილი. მაგალითად, მან უკვალოდ გაანადგურა წინა-ქრისტიანული ქართული მწიგნობრობის ძეგლები.

ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად მიღება ასე აღრიხდელ პერიოდში ქართლის მაღალი განვითარების მაჩვენებელია.

§ 2. ბრძოლა ირანის აბრეხის წინააღმდეგ ქართლში IV საუკუნის ბორომ ნახევარსა და V საუკუნის პირველ ნახევარში

338 წელს, როდესაც ნიზიხინის ზავის ვადა ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე გასული, შაჰმა შაბურ II-მ დაიწყო საომარი მოქმედება რომაელთა წინააღმდეგ ჯერ შუამდინარეთში, შემდეგ კი სომხეთში. ომი ხანმოკლე შესვენებებით ოცდახუთ წელს გაგრძელდა. რამდენად შეეხო იგი ქართლს, ან რა მონაწილეობა მიიღო მასში ქართლმა, არ ვიცით. საფიქრებელია, რომ ქართლი რომაელთა მხარეზე იყო, თუმცა მისი აქტიური მონაწილეობა ბრძოლებში არა ჩანს. IV საუკუნის ბერძენი ისტორიკოსი ამიანე მარკელინე გადმოგვცემს, რომ 359 წ. ამიდთან ბრძოლაში ირანელთა ჯარში მას უნახავს ალბანეთის მეფე. ქართველების მოუხსენებლობა ირანელთა ჯარში გვიჩვენებს, რომ ქართლზე ირანელებს ხელი არ მიუწვდებოდათ. მეორე მხრივ, ქართველები არც რომაელთა მხარეზე მებრძოლთა რიგებში იხსენიებიან³⁵.

360 წ. ირანელებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს და რომაელებმა გაპირვებით უკუაგდეს ისინი, მაგრამ „ეშინოდით, რომ

³⁴ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 211—212; მისივე, ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, ტფ., 1935, გვ. 114—115.

³⁵ ამიანე მარკელინე, გეოგრაფია, I, გვ. 101.

ქარგი ამინდის დადგომისთანავე უფრო ძლიერ თავდასხმას (მოაწყობდა) სპარსთა მეფე, რომელიც გაჭირვებით იქნა უკან დახევინებული ზამთრის დროის სიძნელეების გამო. ტიგროსს გადაღმელ მეფეებთან და სატრაპებთან უხვი საჩუქრებითურთ ელჩები იქნენ გაგზავნილნი, რათა ყველასთვის მოეწოდებინათ და ჩაეგონებინათ, ჩვენთვის თანაგვრძნოთ და არაფერ მოტყუებას ანდა დალატს ცდილიყვნენ. მაგრამ ყველაზე უფრო მეტად მოქრთამულ იქნენ არშაკი და მერიბანი, არმენიისა და იბერიის მეფეები, ბრწყინვალედ შემკული სამოსლით და მრავალნაირი საჩუქრებით, რადგან, თუ მაშინდელ საეკვო ვითარებაში სპარსელებს მიუღებოდნენ, ავნებდნენ რომის საქმეებს³⁶. მარცელინეს ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ ქართლი განაგრძობდა რომაელთა მოკავშირედ ყოფნას.

ჩვეულებრივად ფიქრობენ, რომ ამიანე მარცელინეს „მერიბანი“ ქართლის მომაქციველი მირიანია. ასეთ გაიგივებას მხარს უჭერს „ქართლის ცხოვრების“ ცნობაც, რომლის თანახმად, მირიანი გარდაცვლილა ქრისტიანობის მიღებიდან ოცდამეხუთე წელს, ე. ი. ის შეიძლება ცოცხალი ყოფილიყო IV ს. 60-იან წლებში³⁷.

ირანელთა წინააღმდეგ ენერგიული საომარი მოქმედებები წამოიწყო ივლიანემ, რომელიც იმპერატორად გამოაცხადეს 361 წ. მან პირდაპირ ირანის დედაქალაქ ქტეზიფონზე ილაშქრა, მაგრამ უკან დახევა მოუხდა, ერთ-ერთ ბრძოლაში. მძიმედ დაიჭრა და გარდაიცვალა (363 წ.). ახლად არჩეულმა იმპერატორმა იოვანემ ირანელებთან დადო

30-წლიანი ზავი; რომლის პირობები მეტად მძიმე იყო რომაელთათვის. ისინი ირანელებს უბრუნებდნენ ხუთ პროვინციას და უთმობდნენ ქალაქებს: ნიზიბინსა და სინგარას. ამასთან, პირობას დებდნენ, რომ არ ჩაერეოდნენ სომხეთის საქმეებში და დახმარებას არ გაუწევდნენ თავიანთ ყოფილ ქვეშევრდომსა და მოკავშირე სომხებს ირანელებთან ბრძოლაში. ზავის პირობებში იბერიაზე ლაპარაკი არ ყოფილა. ჩანს, მისი პოლიტიკური სტატუსი უცვლელად რჩებოდა.

ირანელებმა არ დააყოვნეს, ესარგებლათ შექმნილი ვითარებით. უკვე მომდევნო 364 წელს ირანელთა ლაშქარი სომხეთში შეიჭრა.

36 ამიანე მარცელინე, გეორგია, I, გვ. 101—192.

37 მართალია, „მერიბანი“ უფრო „მირიანის“ და არა „მირიანის“ გადმოცემა უნდა იყოს, ხოლო ეს სახელები კი, როგორც ფიქრობენ, სხვადასხვაა (მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ., 1966, გვ. 481, 483), მაგრამ ეს მაინც საკმარისი საბუთი არაა მარცელინეს მერიბანის ქართლის მომაქციველ მირიანთან გაიგივების საწინააღმდეგოდ. სახელები იმდენად მსგავსია, რომ შეცდომა ადვილად შეიძლებოდა მომხდარიყო ორთოგრაფიულ თუ სხვა საფუძველზე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართლის მეფე მირიანი IV საუკუნეში ცნობილი არ არის არც ერთი წყაროდან.

სომხეთის მეფე არშაკ II მეტისმეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, რადგან ბრძოლა უხდებოდა არა მართო ირანელების წინააღმდეგ, არამედ თვით ქვეყნის შიგნით არსებულ ნახარათა ოპოზიციასთანაც. ძალზე საყურადღებოა მოვსეს ხორენაის ერთი ცნობა, რომლის თანახმადაც, ქართლი ეხმარებოდა სომხეთს ირანელთა წინააღმდეგ ბრძოლაში თვით 363 წ. ზავის შემდეგაც კი. მოვსეს ხორენაის სიტყვით, შაბურს გაუგზავნია ერთ-ერთი სარდალი თავის მომხრე სომეხთა რაზმთან ერთად არშაკის შესაპყრობლად, „მაგრამ მან თავს უშველა მათგან კავკასიის მხარეში ქართველთა დახმარებით“³⁸. სომეხმა ნახარაებმა ისარგებლეს არშაკის არყოფნით და დაანგრეს არშაკის ერთ-ერთი უმთავრესი დასაყრდენი, მის მიერ დაარსებული ქალაქი არშაკავანი, მაგრამ „არშაკი დაბრუნდა ქართლის ჯარით, შეაგროვა აგრეთვე მცირეოდენნი თავისი ერთგულნი და შეებრძოლა ნახარაებებს თავისი ქალაქის არშაკავანის დანგრევისათვის შურის საძიებლად“³⁹.

ხორენაის ეს ცნობები მიგვიჩივებენ იმ დიდ სიახლოვეზე, რომელიც ქართლსა და სომხეთს შორის ყოფილა. ქართლი დახმარებია სომხეთს 363 წ. ზავის შემდეგაც. ამ ზავით კი, როგორც ითქვა, თვით რომაელებიც ხელს იღებდნენ სომეხებისათვის დახმარებაზე ირანელებთან ბრძოლაში.

ჩანს, ქართლში სწორად ესმოდათ შექმნილი ვითარება და იცოდნენ, რომ თვით ქართლის თავდაცვის უპირველეს ინტერესებში იყო ირანის მოწინააღმდეგე ერთიანი, ძლიერი მეზობლის ყოლა სამხრეთიდან. მაგრამ სომხეთ-ირანის ომში ძალები მეტად არათანაბრად იყო განაწილებული. გაათრეებული წინააღმდეგობის მიუხედავად, შაბურმა მოტყუებით შეძლო ხელთ ეგდო არშაკ II და მისი სახელგანთქმული სარდალი ვასაკ მამიკონიანი. შემდეგ ირანელები უკვე ქართლსაც მიაღწენ. 368 წ. შაბურმა ქართლიდან გააძევა საურმაგი, „რომელიც რომაელთა შემწეობით განაგებდა იბერიას, და ამ ხალხის გამგებლობა ვინმე ათავაგურს გადასცა; თანაც გვირგვინი დაადგა, რათა ჩვენ გადაწყვეტილებისათვის შეურაცხყოფა მიეყენებინა“⁴⁰.

ბრძოლა ირანელთა წინააღმდეგ ამით არ შეწყვეტილა. ამჯერად რომაელები ჩაერვივნენ ამიერკავკასიის საქმეებში, რადგან აშკარა იყო, რომ ჩაურევლობას მათთვის მეტისმეტი ზიანის მოტანა შეეძლო. იმპერატორმა ვალენტმა არშაკის შვილს, პაპს, სარდალი ტერენციუსი

³⁸ И в д а х и х и х и р е н а и с . ო ათონიძის ჯაიგ. სქილს. 1913, გვ. 288.

³⁹ იქვე, გვ. 291. Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 453—454, 477.

⁴⁰ ამიანე მარცელინი, გეორგია, I, გვ. 125.

მიაშველა და 369 წ. გასაფხულზე პაპი სომხეთში გამეფდა. ამ ამბავმა შაბურის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ირანელებმა დალაშქრეს და ააოხრეს სომხეთი. მაშინ სომხების დასახმარებლად იმპერატორმა კომიტი არინთეოსი გაგზავნა და შაბურიც იძულებული გახდა მოეშალა ახალი ლაშქრობა სომხეთზე. მან იმპერატორს მოსთხოვა საზავო პირობები დაეცვა და არ დახმარებოდა სომხებს, მაგრამ იმპერატორმა ყური არ უგდო შაბურის მოთხოვნას და ამჯერად ჯარი შიაშველა იბერიიდან განდევნილ საურმაგს. ტერენციუსითა და თორმეტი ლეგიონით ზურგგამარებელი საურმაგი ქართლში შევიდა. როდესაც საურმაგი მტკვარს მიუახლოვდა, ასფაგური შეევედრა, ქართლის სამეფო გავიყოთ, „იმ მიზეზით, რომ არც გადადგომა შეეძლო, არც რომაელების მხარეზე გადასვლა, რადგან მისი ძე ულტრა აქამდე მძევლის წესით სპარსელებს ჰყავდათ“⁴¹. იმპერატორი დაეთანხმა ასფაგურის წინადადებას. „ეს რომ იმპერატორმა შეიტყო, რათა გონიერი განსჯით გაერიგებინა ამის გამო კიდევ მოსალოდნელი უთანხმოებანი, დათანხმდა იბერიის გაყოფას ისე, რომ საზღვრად შუაში მდინარე კიროსი დადებულიყო და სავრომაქს არმენიისა და ლაზების მოსაზღვრე (მხარე) რგებოდა, ასფაგურს კი — ალბანიისა და სპარსელების მომიჯნავე“⁴². შაბური არ იყო ამ გადაწყვეტილების თანახმა. მან დაიწყო მზადება ომისათვის. 371 წ. იგი ისევ შეიჭრა სომხეთში, მაგრამ ძირავის ველზე სასტიკი დამარცხება განიცადა გაერთიანებული რომაულ-სომხური ჯარისაგან და იძულებული გახდა შერიგებოდა შექმნილ ვითარებას.

აღსანიშნავია, რომ სპეციალურ ლიტერატურაში ამიანე მარცელინეს ცნობა ქართლის გაყოფის შესახებ — ქართლის რომელი ნაწილი ერგო საურმაგს და რომელი ასფაგურს — სხვადასხვანაირად ესმოდათ, მაგრამ კონტექსტი ცხადად აჩვენებს, რომ საურმაგი ქართლში შევიდა სომხეთიდან. იგი უთუოდ სამეფოს დედაქალაქ მცხეთისაკენ მიდიოდა. ცხადია, მტკვარს სამხრეთიდან მიადგებოდა და ქვეყნის გაყოფის შემდეგ მტკვრის სამხრეთით მდებარე ნაწილი უნდა რგებოდა.

მიუხედავად მიღწეული შეთანხმებისა, შაბურს, ჩანს, გულს ეთანაღრებოდა. რამდენიმე წლის შემდეგ იგი ისევ მოითხოვდა. იმპერატორ ვალენტისაგან სომხეთის დატოვებას, „ხოლო თუ ეს არ ენდობებოდა, მერე სხვას მოითხოვდა — რომ იბერიის გაყოფისთვის თავი დაენებებინა, გამოეყვანა იქიდან რომაული ნაწილის მეციხოვნე ჯარები და დაეთმო მეფობა მხოლოდ ასფაგურისთვის, რომელიც თვი-

41 ამიანე მარცელინე, გეორგიკა, I, გვ. 130.

42 იქვე.

თონვე დაუდგინა გამგებლად ამ ხალხს“⁴³. იმპერატორი არ თანხმდებოდა ამას და ორი წლის მოლაპარაკებამ შედეგი არ გამოიღო.

377 წ. ვალენტმა ირანთან ომისთვის მზადება დაიწყო, მაგრამ ამ დროს ევროპიდან მოვიდა ამბავი ვესტგუთების აჯანყების შესახებ და იმპერატორი იძულებული გახდა გაეყვანა ჯარი სომხეთიდან. საფიქრებელია, რომ რომაელები დატოვებდნენ ქართლსაც. ექვი არაა, შაბური შეეცდებოდა გამოეყენებინა ასეთი ხელსაყრელი ვითარება, რათა ქვემო ქართლიდან განედევნა რომაელთაგან დაყენებული საურმაგი. არაერთხელ გამოთქმულა აზრი, თითქოს ქართლის დაყოფა ორ სამეფოდ კარგა ხანს გაგრძელებულა, თვით V ს. 40-იან წლებამდისაც კი. მაგრამ, როგორც ირკვევა, ეს აზრი სწორი არ უნდა იყოს. ირანელებმა, ჩანს, ქართლის ერთიანობა უკვე IV ს. 70-იანი წლების ბოლოს აღადგინეს. ამჯერად მათ მთელი ქართლი დაუქვემდებარებიათ თავისთვის. ქართული წყაროების ცნობები მხარს უჭერენ ამ მოსაზრებას. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მათიანის თანახმად, ირანელებმა თავისი მმართველობა დაამყარეს ვარაზ-ბაკურის დროს, როდესაც „სპარსთა მეფის მარზაპანნი შემოვიდეს სივნიეთა და იგი ჯიღარდ უკუჯდა... და მაშინ მოვიდა ჯრამ ხუარ ბორზარდ სპარსთა მეფისა პიტიახში ტფილისად ქალაქად, ციხედ, და ქართლი მისსა ხარკსა შედგა და სომხეთი და სივნიეთი და გუასპურაგანი“⁴⁴. რამდენადაც დღესდღეობით ცნობილია, ეს უნდა ყოფილიყო ქართლის პირველი დახარკვა.

უკვე კარგა ხანია, ამიანე მარცელინეს ანთაგურს აიგივებენ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მათიანის ვარაზ-ბაკურთან. ასე რომ, ამ წყაროს ცნობით, სწორედ ვარაზ-ბაკურ — ანთაგურის დროს მოსულა ირანელი პიტიახში ქართლში და, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, თბილისში, ე. ი. ქართლის იმ ნაწილში, რომელიც საურმაგის სამფლობელოში უნდა ყოფილიყო.

„მეფეთა ამბავის“ თანახმადაც, ქრისტიანობის მოძულე ვარაზ-ბაქარის დროს „გამოგზავნა სპარსთა მეფემან ერისთავი სპითა დიდითა სომეხთა და ქართველთა ზედა ხარკისა დადებად“. ვარაზ-ბაქარს არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია ირანელებისათვის. „და აღაშენა ერისთავმან სპარსთამან ტფილისის კართა შორის ციხედ მცხეთისად“. ვარაზ-ბაქარს მშვიდობა უთხოვია ირანელი ერისთავისთვის. ამ უკანასკნელმა ვარაზ-ბაქარს ჩამოართვა მისი სამ-

1) 43 ამიანე მარცელინე, გეორგიკა, I, გვ. 140.

44 მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 91—92.

ფლობელოების ნაწილი „და განუკუთვთა ხარკი... და მიერთვან იქ-
მნენს სომეხნი და ქართველნი სპარსთა მოხარკენი“⁴⁵.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე „მეფეთა ამბავის“ ცნობა, რომლის
თანახმადაც ვარაზ-ბაკურის ირანელებისთვის დამორჩილების შემდეგ
„განდგეს კლარჯნი ვარაზ-ბაქარისაგან და მიერთნეს ბერძენთა“⁴⁶.
თუმცა ამ ცნობის შემოწმება არ ხერხდება, მაგრამ არაა გამორიცხუ-
ლი, რომ რომაელებს შერჩენოდეთ ქართლის რომელიმე ნაწილი, რო-
მელიც უშუალოდ ემიჯნებოდა მათ სამფლობელოებს სწორედ ისე,
როგორც კლარჯეთი⁴⁷.

ამრიგად, IV ს. 70-იან წლებში ირანელებმა ქართლის სამეფო
მთლიანად დაიმორჩილეს. თავდაპირველად ქართლში მოსულა ირანე-
ლი სარდალი, რომელსაც „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატიანე პიტიახშს,
ხოლო „მეფეთა ამბავი“ ერისთავს უწოდებს. ხარკსაც, ეტყობა, იგი-
ვე კრეფდა. შემდგომში ირანელებს, როგორც ჩანს, ეს ფუნქცია ად-
გილობრივი მმართველობისათვის დაუკისრებიათ. თავისი მუდმივი
მოხელე ქართლში ირანელებს არ ჰყოლიათ. მხოლოდ განსაკუთრებუ-
ლი საჭიროების შემთხვევაში აგზავნიდნენ ისინი მხარის გამგებელს—
მარზპანს (ახეთი იყო, მაგალითად, V ს. 30-იან წლებში სომეხი დი-
დებული ვასაკ სიუნი).

ვარაზ-ბაკურის შემდეგ IV ს. 80—90-იან წლებში ქართლის სამე-
ფო ტახტზე იჯდა ბაკური⁴⁸, რომელიც პეტრე იბერის ასურულ ცხოვ-
რებაში მოხსენიებულია როგორც პეტრეს პაპა დედის მხრიდან. ბაკუ-
რის დროს გრძელდებოდა ირანელთა ბატონობა. პეტრე იბერის ცხოვ-
რებაში ნათქვამია, რომ მეფე ბაკური ერთ-ერთი ომში ხლებია ირანის
შაჰს⁴⁹.

45 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 135—136. ყურადღება შეიძლება მიიქციოს იმ გა-
რკობებამ, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატიანესა და „მეფეთა ამბავს“ ქართლის
მეფეთა სხვადასხვა თანამიმდევრობა აქვთ დაცული. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მა-
ტიანეს თანახმად, მირიანის შემდეგ ქართლში მეფობდნენ ბაკურ — თრდატ —
ვარაზ-ბაკურ — ბაკურ-ფარსმან... „მეფეთა ამბავით“ — ბაქარ—მირდატ — ვარაზ-
ბაქარ — თრდატ — ფარსმან... თვით ამ წყაროთა ტექსტის ანალიზი არკვევს, რომ
„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატიანეში დაცული თანამიმდევრობა უფრო სწორი უნდა
იყოს. ამასვე ლაპარაკობს V ს. სომეხი ისტორიკოსის კორიუნის ცნობაც, რომლის
მიხედვითაც IV ს. 90-იანი წლების მეორე ნახევარში ქართლში მეფობდა ბაკური.

46 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 136.

47 გ. მელიქიშვილი, ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლო-
გიის საკითხისათვის, გვ. 166.

48 იქვე, გვ. 170; ლ. ჭანაშია, ლაზარ ფარპეტის ცნობები საქართველოს შე-
სახებ, თბ., 1962, გვ. 91—92.

49 Petrus der Iberer, Herausgegeben und übersetzt von Richard
Raabe, Leipzig, 1895. გვ. 17—18.

მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართლისათვის საზავო ხელშეკრულებას ბიზანტიელებსა და ირანელებს შორის, რომელიც დაიდო 387 წ. რამდენიმე წლის მოლაპარაკებების შემდეგ. ზავის პირობების თანახმად, სომხეთის რამდენიმე განაპირა ოლქი სომხეთს საერთოდ ჩამოსცილდა, დარჩენილი ნაწილი კი — შუა ქვეყანა — ბიზანტიელებმა და ირანელებმა გაიყვეს. ამ ქვეყნის ოთხი მეხუთედი ერგო ირანს, დანარჩენი — ბიზანტიას. ამ ზავის მნიშვნელობა ქართლისთვის იმაში მდგომარეობდა, რომ ამ დროიდან ირანმა მტკიცედ და დიდი ხნით მოიკიდა ფეხი სომხეთში. უადრესად მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ ამ დროს დაიშალა სომხეთის ერთ-ერთი უდიდესი ოლქი, გუგარქის საპიტიახშო. მისი ჩრდილოეთი რაიონები ქართლში შევიდა, სამხრეთის სამი რაიონი კი — ტაშირი, კანგარქი და აშოცი, სომხეთის შემადგენლობაში დარჩა. რამდენიმე საუკუნის შემდეგ ისინიც შეუერთდნენ ქართლს. გუგარქის საპიტიახშო ის გოგარენეა, რომელიც ძველი ბერძნული ცნობების თანახმად (სტრაბონი), სომხეთმა ჩამოაჭრა ქართლს ძვ. წ. II საუკუნეში.

ბაკურის შემდეგ, 398—400 წლებში, ქართლში გამეფებულა ფარსმანი⁵⁰. იგი, როგორც ჩანს, ცდილობდა თავი დაეღწია ირანელთა უღლისაგან. „მეფეთა ამბავის“ თანახმად, ფარსმანს ხარკის გადახდაც კი შეუწყვეტია ირანელებისათვის. მეორე მხრივ, იგი თითქოს ბიზანტიელებსაც ებრძოდა. პეტრე იბერის ცხოვრებაში ნათქვამია, რომ ფარსმანმა ბიზანტიელებს თეთრი ჰუნები შეუსია. მიუხედავად იმისა, სწორია თუ არა ეს ცნობები, ერთი რამ ცხადია: ამ პერიოდში ქართლი მძიმე მდგომარეობაშია. ირანელთა ბატონობის დამყარებისთანავე ქართლის მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდება. ირანელები სულ უფრო მეტად ერევიან ქართლის შინაგან საქმეებში, ცდილობენ ქართლის სამეფო ტახტზე აიყვანონ მათთვის ერთგული პირები. ამისთვის ისინი იყენებენ დინასტიურ ბრძოლას, რომელიც როგორც ჩანს, ქართლის სამეფო სახლში მირიანის ძის, ბაკურის დროიდან, წარმოებდა⁵¹. ეს ბრძოლა მიმდინარეობდა ბაკურ მირიანის ძისა და თრდატ რევის ძის შთამომავლებს შორის. თავდაპირველად, როგორც ვნახეთ, ირანელებს ქართლში გაუმეფებიათ ვარაზ-ბაკური, რომლის მამა მირდატი მეფე ბაკურის ძე, თვითონ არ ყოფილა ქართლის მეფე. შემდეგ ტახტზე რიგრიგობით სხედებიან ორი ზემოხსენებული შტოს წარმომადგენლები, ვარაზ-ბაკურის (ბაკურის შტო) შემ-

50 ლ. ჯანაშია, ლხარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 93—94.

51 გ. მელიქიშვილი, ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის, გვ. 163.

დევ ტახტზე ჯდება ბაკურ თრდატის ძე (თრდატის შტო). მომდევნო მეფე ფარსმანი ვარაზ-ბაკურის შვილი უნდა ყოფილიყო. მისი (ფარსმანის) ძმა ყოფილა მომდევნო მეფე მირდატი.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატეანისა და „მეფეთა ამბავის“ თანახმად, მირდატსაჲც უწარმოებია ბრძოლა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის და საბოლოოდ სიცოცხლეს კი შეუწირავს ამ ბრძოლისათვის. „მეფეთა ამბავში“ ნათქვამია, რომ მირდატ „მტერ ექმნა ბერძენთა და სპარსთა ბერძენთაგან ეძიებდა კლარჯეთს, საზღვარსა ქართლისასა, ხოლო სპარსთა არა მისცემდა ხარკსა“⁵². ირანელებს მის წინააღმდეგ გამოუგზავნიათ დიდი ლაშქარი, მირდატი დამარცხებულა, ტყვედ ჩავარდნილა და ირანში წაუყვანიათ, სადაც გარდაცვლილა კიდევც. ეს ამბავი შეიძლება დათარიღდეს V ს. 20-იანი წლების დასაწყისით, როდესაც წარმოებდა ირან-ბიზანტიის ომი. სწორედ ამ დროს შეეძლო მირდატს ბრძოლა ორივე მტრის წინააღმდეგ. მაგრამ, როგორც ჩანს, ბიზანტიელებთან ომის დამთავრების შემდეგ ირანელებს ისევ მოუცლიათ ქართლისათვის. ამ დროს მათ იერიში მიუტანიათ ქრისტიანული ეკლესიის წინააღმდეგაც და ცეცხლთაყვანისმცემლობის გავრცელება დაუწყიათ⁵³. „მეფეთა ამბავის“ თანახმად, მირდატთან ბრძოლის დროს ირანელებმა „გარყუნნეს ეკლესიანი“. ჯუანშერი უმატებს: „და დამალეს ჯუარები ქართველთა, და ყოველთა შინა ეკლესიათა ქართლისათა ცეცხლის-მსახურთა სპარსთა ადაგზნეს ცეცხლი“⁵⁴.

მირდატის შემდეგ, V ს. ოციანი წლებში, სამეფო ტახტზე დამჯდარა არჩილი, რომელიც, როგორც ჩანს, თრდატ რევის ძის შტოდან იყო. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატეანე და ჯუანშერი განსხვავებულ ცნობებს იძლევიან არჩილის მეფობის შესახებ. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატეანის მიხედვით, არჩილის მეფობაში, საფიქრებელია, იგივე მდგომარეობაა, რაც წინა პერიოდში იყო. აქ ნახსენები არ არის ამ პერიოდში მომხდარი რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა. საერთო ვითარებაზე ლაპარაკობს ერთი ფრაზა: „მოგუნნი მოგუეთჳს მოგობდეს ცეცხლსა მსახურებასა ზედა“⁵⁵. სამაგიეროდ, ჯუანშერთან „ქართლის ცხოვრებაში“ არჩილის მეფობა მეტად ღია ფერებშია დახატული. არჩილმა „განაცხადა მტერობა სპარსთა; გამოაჩინნა ჯუარნი და მოკაზმნა ეკლესიანი; მოსრნა და განასხნა ყოველნი ცეცხლის-მსახურნი საზღვართაგან ქართლისათა; მოირთო ძალი საბერძნეთით და წარძლუანებითა ჯუარისათა იწყო ბრძოლად სპარსთა“. რანსა და მოვაქანს ჰყო-

52 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 138.

53 იქვე.

54 იქვე, გვ. 139.

55 მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 92.

ლია ირანელთა მიერ დაყენებული ერისთავი, ბარზაბოდი, რომლის გამგებლობაში ყოფილა ქართლიც. ბარზაბოდს შეუტყრებია რანის, მოვაკნისა და ადარბადაგანის ჯარები და არჩილზე გაულაშქრაა. არჩილს სასტიკად დაუმარცხებია იგი და თავის მხრივ რანი დაულაშქრავს. რანსა და მოვაკანზე თურმე ხშირად ლაშქრობდა არჩილის ვაჟი მირდატი: „და მარადის ტყუენვიდის რანსა და მოვაკანს“. ომიანობა მხოლოდ მაშინ დამთავრებულა, როდესაც მირდატს შეჰყვარებია და ცოლად შეუერთავს ბარზაბოდის ქალიშვილიან.

ჯუანშერის ეს ცნობები რეალურ ვითარებას არ ასახავენ. სინამდვილეში, ქართლი ამ პერიოდშიც ირანს ემორჩილებოდა, და, ალბათ, ძირითადად ცდილობდა დაეცვა თავისი კულტურული თვითმყოფობა. ასეთივე პოლიტიკას ატარებდა, როგორც ჩანს, არჩილის მემკვიდრე მირდატი, რომლის მეფობა 30—40-იან წლებზე უნდა მოდიოდეს. მაგრამ ქართლის ბრძოლას ირანული უღლისაგან გასათავისუფლებლად ამ პერიოდში რაიმე ხელშესახები შედეგი არ მოჰყოლია.

V ს. 40-იანი წლებიდან იწყება ახალი ეტაპი ირანისა და ამიერკავკასიის ქვეყნების (ქართლის, სომხეთისა და ალბანეთის) ურთიერთობის ისტორიაში. ამ დროიდან ირანმა დაიწყო ახალი, მეტად აქტიური და აგრესიული პოლიტიკის გატარება აღნიშნული ქვეყნების მიმართ. ამჯერად ირანელთა მიზანი იყო, საესეებით მოესპოთ ის შინაგანი დამოუკიდებლობა, რომელიც შერჩენოდა მათ ქვეშევრდომ ამიერკავკასიის ქვეყნებს და გადაექციათ ისინი ირანის რიგით პროვინციებად. ამ მიზნის მისაღწევად ირანელებმა გადაწყვიტეს ამ ქვეყნების იზოლაცია არაირანული სამყაროსაგან, მათი კულტურის მოქაპობა და მოსახლეობის სრული ასიმილაცია. ირანელებს კარგად ჰქონდათ მოფიქრებული სამოქმედო გეგმა, რომელსაც, დიდი თანამიმდევრობითა და შეუპოვრობით ახორციელებდნენ. ამ გეგმის განხორციელება მათ რამდენიმე ეტაპად დაიწყეს. თავდაპირველად შემოიღეს მეტად მძიმე სამხედრო ბეგარა, რომელსაც მოჰყვა ახალი საგადასახადო სისტემა. შემდეგ ირანელები აპირებდნენ ამიერკავკასიის ქვეყნებში ყოველგვარი შინაგანი პოლიტიკური დამოუკიდებლობის ლიკვიდაციას და ქრისტიანული რელიგიის მახდენურით შეცვლას.

თავისი მიზნების მისაღწევად ირანელები მოხერხებულად იყენებდნენ არსებულ ვითარებას დაპყრობილ ქვეყნებში. ამ პერიოდში ქართლსა და ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებში მიმდინარეობს ფეოდალიზაციის პროცესი, რომელიც გულისხმობს გააფრთხეულ ბრძოლას ცენტრალურ ხელისუფლებასა (მეფესა) და ცენტრალურ ძალებს (ფეოდალებს) შორის. ფეოდალთა მიზანი იყო მემკვიდრეობით დაემ-

ტვიცებიანათ ის მიწები და თანამდებობები, რომლებიც მათ ეკირათ. ამასთან, ისინი ცდილობდნენ, მაქსიმალურად შეეზღუდათ მეფის უფლებები მათ ხელქვეით არსებულ მიწებზე. მეფე კი იმისათვის იბრძოდა, რომ თავისი გამგებლობიდან არ გაეშვა ეს მიწები, სრული ძალაუფლება შეენარჩუნებინა მთელი სამეფოს მიწა-წყალზე და ყოველ თანამდებობაზე დანიშვნა მხოლოდ მისი სურვილით მომხდარიყო. ირანელები იყენებდნენ ამ წინააღმდეგობებს და ფეოდალებს ჰპირდებოდნენ მათთვის სასურველი პრივილეგიების დამტკიცებას. რა თქმა უნდა, სწორი არ იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ ირანელთა მხარეზე გადავიდა მთელი ფეოდალთა კლასი. ცხადია, ირანელებს არ შეეძლოთ პრივილეგიები მიენიჭებინათ ყველასათვის. ფეოდალთა ნაწილი თავისი ინტერესებით მაინც დაკავშირებული იყო ადგილობრივ ხელისუფლებასთან, ნაწილს კი ესმოდა, რომ ირანელებთან კავშირი დამლუპველი იქნებოდა ქვეყნისათვის და, საბოლოო ანგარიშში, თვით ამ კავშირის მომხრეებისთვისაც. მაგრამ ირანელები მაინც ახერხებდნენ არეულობის შეტანას ქვეყნის დამცველთა რიგებში. ამ პოლიტიკამ პირველი დიდი წარმატება ირანელებს სომხეთში მოუტანა, სადაც 428 წ. ადგილობრივი ფეოდალების შემწეობით მათ მეფობა გააუქმეს.

საინტერესოა, რომ ირანელებს კავშირის გაბმა მოუხერხებიათ ქრისტიანულ ეკლესიასთანაც კი, რომელსაც ისინი საერთოდ ებრძოდნენ. ამას მათ უადვილებდათ ის გარემოება, რომ იმ დროს ქრისტიანულ ეკლესიაში უამრავი სხვადასხვა მიმდინარეობა არსებობდა, რომლებიც ერთმანეთის მიმართ უალრესად მტრულად იყვნენ განწყობილნი. ამიანე მარცელინეს სიტყვით, „არც ერთი მხეცი არაა ისე გაბოროტებული ადამიანზე, როგორც ქრისტიანული სექტანტები ერთმანეთზე“. ორთოდოქსალურ ეკლესიას კონსტანტინოპოლი მფარველობდა, მაგრამ მას უძლიერესი ოპოზიცია ჰყავდა ძირითადად აღმოსავლეთში. ირანელები მხარს უჭერდნენ ოპოზიციონერებს, რომელთაც ორთოდოქსებისა და, მაშასადამე, მათ უკან მდგომი სახელმწიფოს წინააღმდეგ იყენებდნენ. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ამ დროისათვის სხვა ქრისტიანული ქვეყნების მსგავსად ქართული ეკლესიაც უდიდეს მიწათმფლობელად გადაიქცა და ისეთივე ინტერესები გაუჩნდა, როგორც სხვა მიწათმფლობელებს.

ყოველივე ზემოაღნიშნული საშუალებას აძლევდა ირანელებს ამიერკავკასიის ქვეყნების საეკლესიო ცხოვრებაშიც ჩარეულიყვნენ. პირველწყაროებში კარგადაა ასახული, თუ როგორ ერეოდნენ ისინი სომხური ეკლესიის საქმეებში (მაგალითად, V ს. 20-იანი წლებიდან სომხეთის ეკლესიის მეთაურს, კათალიკოსს, შაჰი ნიშნავდა თავისი სურვილის მიხედვით). ჩანს, ირანელებს ქართლშიც დაუმყარებიათ

კავშირი გარკვეულ საეკლესიო წრეებთან. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატეანის ცნობა, რომლის თანახმადაც, არჩილის ძის, მირდატის დროს ქართლის მთავარეპისკოპოსი გლონოქორი „ერისთავადაც იყო ბარაზბოდ პიტიახშისაგან ქართლს და ჰერეთს“⁵⁷. ამ ცნობაში ბევრი რამ არის ბუნდოვანი. მაგალითად, არაა ნათქვამი, ვინ იყო ბარაზბოდ პიტიახში. ჟუანშერის მიხედვით, ბარაზბოდ პიტიახში იყო რანის, მოვკანისა და ქართლის ირანელი გამგებელი, რომელსაც, ალბათ, სომხეთი და ადარბადაგანიც უნდა დაქვემდებარებოდა. მაგრამ ასეთი სავამგეო ერთეული და, მამასადა-მე, თანამდებობაც, რამდენადაც ჯერჯერობით ცნობილია, მხოლოდ VI საუკუნეში გაჩნდა. გაურკვეველია, აგრეთვე, რას აღნიშნავდა „ქართლისა და ჰერეთის ერისთავი“, ან როგორ უნდა ყოფილიყო ქართლის მთავარეპისკოპოსი ამ ქვეყნების ერისთავად, საერო გამრიგედ და მოსამართლედ. უფრო ბუნებრივი იქნებოდა, რომ გლონოქორისათვის ირანელებს დაეკისრებინათ არა ერისთავობა, არამედ რომელიმე სხვა მნიშვნელოვანი საერო ფუნქცია. მაგალითად. ჩვენ ვიცით, რომ სწორედ ამ პერიოდში ირანელების მიერ დანიშნული სომხეთის კათალიკოსები ცხოველ მონაწილეობას იღებდნენ ირანელებისათვის ხარკის აკრეფაში. ასეა თუ ისე, ს. ჯანაშიას სიტყვით რომ ითქვას, „ირანელების მიერ ქართლის ეკლესიასთან კავშირის გაბმა არსებითად ნიშნავდა ადგილობრივი აზნაურობის გარკვეულ ფენასთან კავშირის დამყარებას“⁵⁸.

V ს. ორმოციანი წლების. დასაწყისში შაჰმა იეზიდგერდ II-მ (438—457) თავის ქვეშევრდომ ქვეყნებს, მათ შორის ქართლსაც, ბრძანება დაუგზავნა, ცხენოსანი ჯარი შეეკრიბათ შუა აზიაში წასასვლელად, სადაც ირანელები სისხლისმღვრელ ომებს აწარმოებდნენ ქუშანების წინააღმდეგ. 441—442 წლებიდან ირანელებმა დაიწყეს ამ ჯარების გაყვანა შუა აზიაში. ირანელთა მხარეზე ბრძოლა ქართველთა ლაშქარს, ალბათ, წინათაც უხდებოდა, მაგრამ ასე შორს ჯერ არასოდეს წასულა. ამასთან, ამ ბეგარამ ახლა რეგულარული ხასიათი მიიღო. მდგომარეობას განსაკუთრებით ამძიმებდა ქუშანებთან ომის სისასტიკე. ბრძოლაში იმდენი იღუპებოდა, რომ შაჰი იძულებული იყო მეზობელი ნაწილები ყოველ წელს ახლად გაწვეული რაზმებით შეეცვალა. მაგრამ, ამიერკავკასიის ქვეყნებიდან ჯარების ასე შორს გაყვანას ის მიზანიც ჰქონდა, რომ ირანელები ასუსტებდნენ მათ წარმგზავნელ ქვეყნებს, სადაც დამპყრობლები თავს უფრო უშიშრად გრძნობდნენ. ამავე დროს, ირანელებს უადვილდებოდათ თავიანთი

57 მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 92.

58 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა; შრომები, I, გვ. 274.

გავლენის გავრცელება სამშობლოს მოწყვეტილ ჯარში. ყველაფერი ეს გამოაშკარავდა 449 წ., როდესაც იეზიდგერდმა დიდი გამარჯვება მოიპოვა ქუშანებზე, გაპტანტა მათი ჯარები და ააოხრა მათი ქვეყანა. მიუხედავად ამ გამარჯვებისა, ირანელებმა მაინც არ დააბრუნეს სამშობლოში ამიერკავკასიიდან გაყვანილი მეომრები, რადგან შაჰის მიზნისათვის უკეთესი იქნებოდა, რაც უფრო შორს იქნებოდნენ ისინი სამშობლოდან.

შაჰის ბრძანებით, ამიერკავკასიის ქვეყნებში ჩატარდა აღწერა და შემოდებულ იქნა ახალი საგადასახადო სისტემა. გადამხდელთა კატეგორიაში ირანელებმა ახლა ქრისტიანული ეკლესიაც შეიყვანეს. გადასახადები იმდენად დამძიმდა, რომ V ს. სომეხი ისტორიკოსის ელიუმეს სიტყვით, ირანელებს „თვითონაც დიდად უკვირდათ, საიდან მოდის მთელი ეს განძი, ან როგორ არის კიდევ ეს ქვეყანა შენებულიო“.

ამჯერად ირანელებმა გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადეს ქრისტიანულ ეკლესიასაც, რომელსაც ამ პერიოდში სრულიად განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა ამიერკავკასიის ქვეყნებისათვის, რადგან აქ იგი უკავშირდებოდა ბიზანტიასთან ურთიერთობის საკითხს. ბიზანტია ირანის მუდმივი მოქიშპე იყო და ამიტომ ამიერკავკასიის ხალხების ბრძოლა ირანელების წინააღმდეგ მისი აშკარა თუ ფარული მხარდაჭერით სარგებლობდა. რელიგიის ერთიანობა, ცხადია, ერთ-ერთი ძლიერი დამაკავშირებელი რგოლი იყო ბიზანტიასთან. ამავე, დროს იგი აადვილებდა ბიზანტიასთან კულტურული ურთიერთობის შენარჩუნებასაც, რასაც, აგრეთვე, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის ხალხებისათვის.

თავდაპირველად შაჰი შეეცადა მაზდეანობა გაეგრცელებინა შუა აზიაში გაწვეულ ჯარებში, მაგრამ ამ ცდას წარმატება არ მოჰყოლია. შემდეგ მან სომხეთში გაგზავნა ბრძანება მაზდეანობის მიღების მოთხოვნით. როდესაც სომხებმა ამაზე უარი შეუთვალეს, შაჰმა ქართლის, სომხეთისა და ალბანეთის თავკაცები სასწრაფოდ თავისთან დაიბარა. ისინი მაშინვე მიმხვდარან, რომ შაჰის ბრძანება კარგს არაფერს უქადდა და ერთმანეთთან შიკრიკები უფრენიათ წაავლა-არწასვლის საკითხზე. დიდი ყოყმანის შემდეგ სამივე ქვეყნის დიდებულებს უმჯობესად ჩაუთვლიათ წასულიყვნენ, რადგან ეშინოდათ, რომ არწასვლას აჯანყებად ჩაუთვლიდნენ. ამავე დროს ერთმანეთისთვის პირობა მიუციათ, მაზდეანობის მიღებაზე არ დათანხმებულყვნენ. V ს. სომეხი ისტორიკოსი ლაზარ ფარპეცის სიტყვით, „ქართველთა ქვეყნიდან (წავიდნენ) ბღეშხი აშუშა და ამ ქვეყნის სხვა ტანუტერები“⁵⁹ (ტანუ-

59 ლ. ჯ ა ნ ა შ ი ა, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 218.

ტერი — სახლს, ოჯახს, აქ ფეოდალური სახლის, გვარის უფროსს, „მამასახლისს“ ნიშნავს).

ჩასულებს შაჰმა კატეგორიულად მოსთხოვა მანდენობის მიღება, სამაგიეროდ, მათ ყოველგვარ დიდებასა და პატივს აღუთქვამდა. უარის შემთხვევაში კი მთლიანად ამოწყვეტით ემუქრებოდა. ხანგრძლივი ბჭობის შემდეგ, სხვა გამოსავალი რომ არ ჩანდა, სამივე ქვეყნის თავაკებმა გადაწყვიტეს დათანხმებულიყვნენ შაჰის მოთხოვნას, მაგრამ სამშობლოში დაბრუნებისთანავე ისევ ქრისტიანობა მიეღოთ, რაზედაც ფიცი მისცეს ერთმანეთს. დიდად დასაჩუქრებულ სამშობლოსაკენ მიმავალ სამივე ქვეყნის დიდებულებს ისევ დაუდვიათ პირობა, მუდმივი კავშირი ჰქონოდათ ერთმანეთთან.

როგორც ეტყობა, შაჰს ეჭვი შეჰპარვია მათ გულწრფელობაში. ქართლის პიტიახში არშუშა და სომხეთის მარზპანის ვაჟაკ სიუნის ორი ვაჟი მას თავისთან დაუტოვებია, რადგან „მომავალში ხედავდა საქმეთა გაურკვევლობას, ეჭვობდა და ფრთხილობდაო“, გადმოგვცემს ლაზარ ფარპეცი.

ამიერკავკასიელ დიდებულებს ირანელებმა თან გამოაყოლეს მოგვები, რომელთაც უნდა დაესურათ ეკლესიები, სამეფო ხაზინისათვის გადაეცათ ეკლესიების სიმდიდრე, გაერეკათ მთელი ქრისტიანული სამღვდლოება და სამუდამოდ აღმოეფხრათ ქრისტიანობა ამიერკავკასიაში. მოგვებს უნდა გაეხსნათ სკოლები და მანდენობა ესწავლებინათ არა მარტო დიდებულთა, არამედ, უბრალო მღაბიურთათვისაც. უნდა გაეგრეკებინათ, აგრეთვე, ირანული წეს-ჩვეულებანიც, მაგალითად, ქორწინების, დასაფლავებისა და სხვ.

რათა წარმოდგენა ვიქონიოთ, თუ რაოდენ ფართო მასშტაბით ტარდებოდა ეს ღონისძიება, საკმარისია აღინიშნოს, რომ მხოლოდ სომხებს შვიდასზე მეტი მოგვი მიჰყვებოდა.

ადგილზე მისვლისთანავე მოგვები დავალების შესრულებას შესდგომიან. სომხეთში ამან გამოიწვია საერთო-სახალხო აჯანყება ირანელების წინააღმდეგ (450 წ.). მალე აჯანყება მოედო ალბანეთსაც. თავდაპირველად აჯანყება წარმატებით ვითარდებოდა, მაგრამ მომდევნო, ე. ი. 451 წელს, ირანელებმა შეძლეს მისი ჩახშობა. მიუხედავად ამ წარმატებისა, ირანელები მაინც იძულებული გახდნენ აჯანყებულთა წინაშე რიგ დათმობებზე წასულიყვნენ, რადგან, ჯერ ერთი, თვით მათაც გაურთულდათ მდგომარეობა შუა აზიაში, სადაც ისევ ამოქმედდნენ ქუშანები და მეორეც, ჩრდილო კავკასიიდან კასპიის გზით გამოიჭრნენ აჯანყებულთა მოკავშირე ჰუნები, რომლებმაც ააოხრეს ირანის რამდენიმე ოლქი. ამიტომ, ამჯერად ირანელებმა უარი თქვეს ამიერკავკასიის ხალხების ასიმილაციის პოლიტიკაზე, აღადგინეს სარწმუნო-

ებრივი თავისუფლება, შეამსუბუქეს სამხედრო ბეგარა და გადასახადები.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ამიერკავკასიის ირანის მორჩილი ქვეყნების თავკაცებს მოლაპარაკება ჰქონდათ, ერთად გამოსულიყვნენ ირანელთა წინააღმდეგ, მაგრამ 450—451 წწ. აჯანყებაში ქართლს მონაწილეობა არ მიუღია. რითი იყო ეს გამოწვეული? პირდაპირი ცნობების უქონლობის გამო, ამაზე პასუხის გაცემა ძნელდება. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ დავსახელოთ რამდენიმე ფაქტორი, რომელთაც, ალბათ, განაპირობეს ქართლის პოზიცია. პირველ რიგში აღსანიშნავია ის გარემოება, რომ, ეტყობა, ირანელებმა შესძლეს განხეთქილება შეეტანათ ქართლის ახალგაზრდა ძალებში, რომლებიც ამ პერიოდში თავიანთი კლასობრივი პრივილეგიების მოსაპოვებლად და განსამტკიცებლად ცენტრალურ ხელისუფლებას ებრძოდნენ და ამიტომ ირანელებში მარტო მტრებს კი არა, მოკავშირეებსაც ხედავდნენ. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ქართლი, როგორც უფრო შორეული და ძნელად მისაწვდომი ქვეყანა, ჩანს, ნაკლებ ჩაგვრას განიცდიდა ირანელებისაგან, ვიდრე სომხეთი და ალბანეთი, რომლებიც უკიდურეს გაჭირვებაში იყვნენ ჩაყარდნილი.

ყურადღების ღირსია, აგრეთვე, ამ აჯანყების თანამედროვე სომეხი ისტორიკოსის, ელიშეს, ცნობა, რომლის თანახმადაც, აჯანყებულ სომეხთა ერთ-ერთ მეთაურს, სომხეთის მარზპან ვასაკ სიუნის, რომელიც ძალიან მალე გადაუდგა აჯანყებას, განხეთქილება შეუტანია მოკავშირეთა შორის: ვასაკმა თურმე ყველგან დაგზავნა ცრუ ცნობები, თითქოს აჯანყებულთა მხარეზე არავინ დარჩენილიყოს და ყველას მისი მხარე დაეჭიროს. როგორც ეტყობა, ვასაკის მეცადინეობას ნაყოფი გამოუღია. ელიშე ამბობს: ვასაკმა „დაარღვია ერთიანობა ქართლის ქვეყნისა სომხეთთან“⁶⁰. კიდევ მეტიც, აჯანყებულთა მოკავშირე ჰუნებისათვის გზის შესაკრავად ვასაკს ჯარები გამოუყვანია, რომელთა შორის ქართველი მთიელებიც კი ყოფილან.

აჯანყებისაგან ქართლის განდგომაში, შესაძლებელია, იმანაც ითამაშა გარკვეული როლი, რომ ქართველ წარჩინებულთა აღიარებული ბელადი, არშუშა პიტიახში, იეზდიგერდს ჰყავდა თავისთან დაკავებულნი.

მიუხედავად იმისა, რომ ქართლს აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია, აჯანყებას გავლენა უნდა მოეხდინა ირანის პოლიტიკაზე ქართლის მიმართაც.

⁶⁰ სიქიქი վասն վարդանաց և Հայոց պատերազմին. სიხվան, 1957 გვ. 93.

უაღრესად საყურადღებო ამბები ხდება V ს. მეორე ნახევარში, როდესაც ქართლის მეფის ბრძოლა ფეოდალურ ძალებთან ერთმანეთს ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ამ დროს ქართლის სამეფო ტახტზე ზის ვახტანგ გორგასალი, გამოჩენილი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე. უნდა ითქვას, რომ ამ უაღრესად მნიშვნელოვანი პერიოდის შესახებაც მეტად არასაკმარისი ცნობები გვაქვს. ასე მაგალითად, მწირი და ცალმხრივი ცნობებია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატეანეში. საკმარისია ითქვას, რომ არც ერთი სიტყვით არ არის მოხსენიებული ის დიდი ბრძოლა, რომელიც ვახტანგ გორგასალმა აწარმოა ირანელთა წინააღმდეგ. არსებობს ვახტანგ გორგასალისადმი მიძღვნილი სპეციალური საისტორიო თხზულება, რომელსაც აკუთვნებენ XI ს. ავტორს, ჯუანშერს. მაგრამ ეს თხზულება ნახევრად მხატვრული ნაწარმოებია და ჯერ კიდევ არასაკმარისადაა შესწავლილი. მასში ბევრი აშკარად არარეალური ამბავია მოთხრობილი. „მეფეთა ამბავის“ მსგავსად ამ წყაროს გამოყენებაც უდიდეს სიფრთხილეს მოითხოვს. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ მასში შემონახულია არაერთი უძველესი და უძვირფასესი ცნობა. თავისთავად მეტად მნიშვნელოვანი წყაროა იაკობ ცურტაველის „მუშანიკოს მარტილობა“, მაგრამ ქვეყნის ზოგად პოლიტიკურ ვითარებაზე მასში ცოტა რამაა ნათქვამი. საყურადღებო და, რაც მთავარია, სავსებით სანდო ცნობები აქვს შემონახული V ს. სომეხ ისტორიკოს ლაზარ ფარაბეცის, მაგრამ ისინი მხოლოდ ირანელთა წინააღმდეგ აჯანყებას შეეხებიან.

ზუსტი ცნობა იმის შესახებ, თუ როდის გამეფდა ვახტანგ გორგასალი, არ მოგვეპოვება. ჯუანშერის თანახმად, მირდატის (ვახტანგის მამის) გარდაცვალებისას ვახტანგი შვიდი წლისა ყოფილა. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ, როდესაც ირანის შაჰმა თავისთან გაიწვია ამიერკავკასიელი თავკაცები, ქართლიდან წასულან „ბღემში აშუშა და ამ ქვეყნის სხვა ტანუტერები“ (ლაზარ ფარაბეცი). ჩვენ ვნახეთ, რაოდენ მნიშვნელოვან საქმეზე იბარებდა ირანის შაჰი ამიერკავკასიელ თავკაცებს. ცხადია, მას პირველ რიგში სახელმწიფოს მეთაურის, ქართლის მეფის, ჩასვლა აინტერესებდა. ქართლის მეფის ქტუზიფონში ჩაუსვლელობა შეიძლება აიხსნას მხოლოდ რაღაც განსაკუთრებული ვითარებით. ფარაბეცის ცნობით, ირანში წასვლა კარგა ხნის ყოყმანის შემდეგ გადაუწყვეტიათ. ქართლის მეფე რომ შეგნებულად არ წასულიყო ირანში, ამას ფარაბეცი უსათუოდ აღნიშნავდა. არც ისაა საფიქრებელი, რომ ქართლის მეფე უკვე ირანში ყოფილიყო, ვთქვათ, შუა აზიაში და იქიდან დაეძახათ შაჰთან.

ფარპეცი დაწვრილებით აღწერს ირანში ჩასულ დიდებულთა სჯა-ბაასს სარწმუნოების გამოცვლის შესახებ. მაგრამ ქართლის მეფეს არსად არ ახსენებს. დაგვრჩენია ვიფიქროთ, რომ ამ დროს ან ქართლის სამეფო ტახტი საერთოდ ცარიელი იყო, ან, როგორც ითქვა, რაიმე განსაკუთრებული ვითარება არსებობდა. შეიძლება, ვახტანგი ამ დროს, მართლაც, მცირეწლოვანი ყოფილიყო და ამიტომ მის წასვლას ირანში მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არ ჰქონოდა. ამ შემთხვევაში უნდა მივიღოთ, რომ ვახტანგი V ს. ორმოციანი წლების შუა ან ბოლო ხანებში უნდა გამეფებულიყო (ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ ამ ვარაუდს მხარს უჭერს ზოგი სხვა მოსაზრებაც).

ვახტანგის მეფობა დაემთხვა ქართლის ისტორიის მეტად მძიმე ხანას. ზემოთ უკვე ითქვა, რომ 450—451 წლების სომხეთისა და ალბანეთის აჯანყების შემდეგ ირანელები ზოგიერთ დათმობაზე წავიდნენ. მაგრამ მათ საკმაოდ მალე დაიბრუნეს დაკარგული პოზიციები ამიერკავკასიაში და ისევ დაიწყეს ქრისტიანობის დევნა და ცეცხლ-თაყვანისმცემლობის გავრცელება. ჟუანშერის ცნობით, ვახტანგის ბავშვობისას მცხეთაში მოსულა ცეცხლმსახურთა ეპისკოპოსი ბინქარანი, რომელიც დაუფარავად ქადაგებდა თავის რწმენას. მეტად აქტიურად დაიწყეს ირანელებმა დამორჩილებული ქვეყნების შინაგან საქმეებში ჩარევა. 463 წ. ირანელებმა დაამარცხეს ალბანელები, რომლებიც რამდენიმე წლის განმავლობაში ებრძოდნენ მათ და მეფობა გააუქმეს ალბანეთში. სომხეთში მეფობის გაუქმების შემდეგ ეს ირანის მეორე დიდი გამარჯვება იყო ამიერკავკასიაში.

ირანის შაჰის პეროზის (459—484) დროს ირანს ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ომი ჰქონდა შუა აზიაში. ეს ომი პეროზმა დაიწყო თავისი გამეფებიდან ცოტა ხნის შემდეგ. 468 წ. მან სძლია კიდარებსა და ქუშნებს, მაგრამ მათ მაგიერად ასპარეზზე გამოვიდნენ ჰეფთალეები, რომლებმაც სასტიკად დაამარცხეს ირანელები. პეროზმა მთელი თავისი ჯარი დაკარგა, თვითონ კი ტყვედ ჩავარდა. ტყვეობიდან განთავისუფლება მან შეძლო მხოლოდ უზარმაზარი გამოასყიდის გადახდითა და თავისი ვაჟის, კავადის, მძევლად დატოვებით. კავადს ორ წელიწადს მოუხდა ჰეფთალებთან ყოფნა, სანამ პეროზი მთლიანად არ გადაიხდიდა გამოსასყიდს. აღვილი წარმოსადგენია. რა დღე დაადგებოდათ ამ დროს ირანელების მიერ დამორჩილებულ ქვეყნებს, რომლებსაც, ცხადია, გადასახადსაც და ჯარსაც გაათქვეციებთ შეაწერდნენ.

ამ პერიოდში ქართლის მდგომარეობა გართულებულია ჩრდილოეთის საზღვრებთანაც. როგორც უკვე ითქვა, კავკასიონის გადასასვლელებს თვით ირანელები იცავდნენ. საფიქრებელია, რომ შუა აზიაში ომების დროს, ან მანამდის (გამეფებამდის პეროზს ორ წელიწადს

მოუხდა თავის უფროს ძმასთან ჰორმიზდთან ბრძოლა), ირანელებმა ყურადღება მოაღწუნეს გადასასვლელების დაცვაზე. 60-იანი წლების შუა ხანებში ჰუნთა ზოგიერთმა ტომებმა (სარაგურებმა, აკატირებმა და სხვებმა) გადმოლახეს კავკასიონის ქედი გადმოსასვლელით, რომელსაც V ს. ბიზანტიელი ისტორიკოსი პრისკე პანიონელი იუროპაახის სახელით იხსენიებს. მკვლევართა აზრით, ეს ციხე უნდა აღნიშნავდეს დარიალს ან ივრის გადმოსასვლელს⁶¹. გადმოსულ ტომებს დაურბევიათ და აუოხრებიათ ქართლისა და სომხეთის სოფლები. ირანელებს ძალზედ შეშინებიათ ამ შემოსევისა. ცხადია, მათთვის მეტად სახიფათო მდგომარეობა შეიქმნებოდა, თუ ზურგში ახალი მტერი გაუჩნდებოდათ. ამიტომ ირანელებს ბიზანტიელებისთვის უთხოვიათ: ან ფული გაეგზავნათ მათთვის, ან ჯარი იუროპაახის დასაცავად, მაგრამ ბერძნები ამაზე არ დათანხმებულან⁶².

ჩრდილოეთიდან შემოსევის ამბავი ჯუანშერსაც აქვს აღწერილი. მისი ცნობით, ჯერ კიდევ ვახტანგის მცირეწლოვანობის დროს ქართლი დაულაშქრავთ ოსებს, რომელთაც „მოტყუენეს ქართლი თავითგან მტკურისათ ვიდრე ხუნანამდე, და მოაოჯრნეს ველნი, არამედ ციხე-ქალაქნი დაურჩეს, თვნიერ კასპისა“. დაუტყვევებიათ მათ, აგრეთვე, მეფის და მირანდუხტი⁶³. თუ ეს ცნობა ჰუნების იმავე ლაშქრობას არ გულისხმობს, უნდა ვიფიქროთ, რომ კავკასიონზე გადმოსასვლელით ჰუნებზე ადრე ოსები შემოჭრილან.

ვახტანგს მდგომარეობა გართულებული ჰქონდა ქვეყნის შიგნითაც. ირანელთა გამთიშველი პოლიტიკის წყალობით, რიგი უმაღლესი დიდებულებისა სრულებით არ ეპუებოდა მეფეს. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია ის ვითარება, რომელიც აღწერილია „შუშანიკის მარტვილობაში“. ავტორის გადმოცემით, ქვემო ქართლის პიტიახში, ვარსქენი, გამგზავრებულა პეროზის კარზე (466 წ.) და ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, რადგან მას „არცა ჳირი ეხილვა, არცა შიში, არცა მახული, არცა პყრობილებაჲ ქრისტმსთჳს“, უარუყვია ქრისტანობა და მამზდენობა მიუღია. ძალიან საინტერესოა ვარსქენის ქცევა თავის სამფლობელოში, სადაც იგი სავესებით შეუზღუდველი მმართველი ყოფილა. სარწმუნოებრივ ნიადაგზე მას გაემიჯნა ცოლი, შუშანიკი, სომხეთის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამოჩენილი გვარის შვილი, 450—451 წწ. სომხეთის აჯანყების გმირის, სახელგანთქმული ვარდან მამიკონიანის ასული. შუშანიკს ხანგრძლივი წამებითა და სიმტკიცით სახელი გაუთქვამს მთელს ქართლში: „და მიერითგან განითქჳა ყო-

61 იხ. გეორგიკა, I, გვ. 260, შენ. 1.

62 იქვე, გვ. 259—260.

63 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 145—146.

ველსა ქართლსა საქმე შისი; მოვიდოდეს მამანი და დედანი აღნათ-
ქუემთა შეწირვად“... შუშანიკის სიკვდილის წინ მის სანახავად მისუ-
ლა უმაღლესი საზოგადოებაც — „აზნაურნი დიდ-დიდნი და ზეპურნი
დედანი, აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი“. ამრიგად,
ვარსკენისა და შუშანიკის დამოკიდებულება შორს ვასცდა ოჯახური
დრამის ფარგლებს და დიდი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი
მნიშვნელობა მიიღო. მიუხედავად ამისა, ვარსკენი არავის არ ერიდე-
ბა: სცემს თავის ძმას ჯოჯიკს, რომელიც გამოექომაგა შუშანიკს; ჯოხს
დაარტყამს ერთ ხუცესს; თვით უმაღლესი სამღვდელთა კი ერიდე-
ბა პიტიახშის რისხვას. იაკობი გვიამბობს, ნაცემ-ნაგვემ შუშანიკს
„მცირედ ვაიძულე ჭამადი, რომელი მიეძღუანა სამოელ ეპისკოპოსსა
და იოვანეს, რამეთუ ფარულად იღუწიდეს და ნუგეშინის სცემდეს“.

ამრიგად, ვარსკენის რისხვისაგან შუშანიკი ვერ დაუფარავს ვერც
ქართლის ეკლესიას, ვერც ქართლის აზნაურობას და მით უმეტეს,
ვერც ხალხს, „წვირლ ერს“.

ვარსკენის ეს შეუზღუდველი ძალაუფლება და სრული შეუვალო-
ბა, ალბათ, მნიშვნელოვანწილად ეყრდნობოდა ირანელების ძალას.
ირანელები, ჩანს, ქართლის მეფეს უპირისპირებდნენ ვარსკენსა და
მის მსგავს ქართლის ფეოდალთა კლასის უძლიერეს წარმომადგენ-
ლებს. უეჭველია, ვარსკენი მეფის ოპოზიციაში მდგომი ფეოდალების
ერთ-ერთი ბელადი იყო. დამახასიათებელია, რომ „შუშანიკის წამე-
ბაში“ ერთხელაც არ იხსენიება ქართლის მეფე. თვით თარიღის აღ-
ნიშვნის დროსაც ირანის მეფეა მოხსენიებული, ქართლის კი არა —
„იყო მერვესა წელსა [მრ...] სპარსთა მეფისასა“...

ასეთივე ვითარებაა ბოლნისის სიონის წარწერებშიაც, სადაც ნათ-
ქვამია: „[შეწევინთა წმიდ]ისა სამებისათა ოც წლისა პეროზ მეფ[ისა
ზე] [ხიქმნა დაწყებაჲ] ამის ეკლესიასაჲ და ათხოვთმეტ წლის[ა
შემდგომად] [განხეშორა]“⁶⁴ და სხვ. ამ შემთხვევაშიც ყურადღებას
იქცევს ის, რომ დასახელებულია ირანის მეფე პეროზი და არ იხსე-
ნიება ქართლის მეფე. როგორც ვხედავთ, თვით 90-იან წლებშიც კი
(წარწერა გაკეთებულია 493—494 წლებში) ქვემო ქართლის საპი-
ტიახშოში შესაფერის ანგარიშს არ უწევდნენ ქართლის მეფეს.

საფიქრებელია, რომ ისევე როგორც წინა პერიოდში, ირანელები
ხელს უწყობდნენ ბრძოლას თვით სამეფო სახლშიც. ჯუანშერის
თანახმად, ვახტანგი და მისი დები დარჩენილები იყვნენ ბაქარ მირია-
ნის. ძის შტოსაგან, „ხოლო მირიან და გრიგოლ იყვნეს ნათესავისა-
გან რევისა, მირიანისვე ძისა, და აქუნდა მათ კუხეთი, და ცხოვნდებო-

⁶⁴ Г. Цубинашвили, Болнисский Сион, енцикл. მოამბე, IX, თბ., 1940,
გვ. 69,

დეს რუსთავს ციხე-ქალაქსა. რამეთუ შემცირებულ იყვნეს ურთიერთსა კლვითა“⁶⁵. ამრიგად, ჯუანშერს შემონახული აქვს ცნობა ამ პერიოდში სხვა შტოს წარმომადგენლების არსებობის შესახებ და მას აშკარად უარყოფითი დამოკიდებულება აქვს მათ მიმართ. ეს კი იმისი კვალი უნდა იყოს, რომ ჯუანშერის ხელთ არსებულ წყაროში უფრო გარკვეული ცნობები იქნებოდა ვახტანგისა და მეორე შტოს წარმომადგენელთა ბრძოლაზე.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, ვახტანგს მნიშვნელოვანი ოპოზიციის აქვს ციხე-ქალაქში.

ცენტრალურ ხელისუფლებასთან მებრძოლ ამ ძალებს, როგორც უკვე ითქვა, კვებავდა, ერთი მხრივ, ირანელთა გამთავებლობა, ხოლო, მეორე მხრივ, თვით ქართლის, როგორც გარდამავალი საზოგადოების ვითარება. ამავე საფუძველზე ამ პერიოდში მრავლდება სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობა და სექტა. ბრძოლა მათ შორის შეურიგებელი იყო. გაბატონებული იყვნენ დიოფიზიტები, რომელთა მთავარ მოწინააღმდეგეებად მონოფიზიტები გამოდიოდნენ. ქართლში გავრცელება მიუღია ნესტორიანობასაც, რომელსაც ამ პერიოდში მხარს უჭერდნენ ირანელები. საკმაოდ ფართო გავრცელება მიუღია ქართლში მანიქეველობასაც.

როგორც კი ირანელები ხელახლა მომაგრდნენ ამიერკავკასიაში 450—451 წლების აჯანყების შემდეგ, მათ, ეტყობა, ისევ შემოიღეს სამხედრო ბეგარა. მართლაც, ჯუანშერის მიხედვით, ირანელებს თვით ვახტანგიც წაუყვანიათ საომრად. ამ წყაროში დაწვრილებითაა აღწერილი ის დიდი ომები, რომლებიც ვახტანგს გადაუხდია შუა აზიისა და ინდოეთში, შემდეგ კი ბიზანტიელებთან. ვახტანგის ირანში სალამქროდ გაწვევას უნდა გულისხმობდეს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატრიანე, როდესაც ამბობს: „და მის შემდგომად მეფობდა დიდი ვახტანგ გორგასალი, და მთავარ ეპისკოპოსი იყო იოველ: მაშინ წარიყვანეს ვახტანგ სპარსთა და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოიქცა“...⁶⁶ ჯერ კიდევ მ. ბროსემ აღნიშნა, რომ აქ უნდა იგულისხმებოდეს კასპის ზღვის აღმოსავლეთით მყოფ გურგანელთა და ჰეფთალელ ჰუნთა წინააღმდეგ ომები, რომლებიც პეროზმა დაიწყო 466 წელს. სამხედრო ბეგარის მოხდას ირანელები, ეტყობა, არც თავიანთ მომხრეებს აბატიებდნენ. მაგალითად, „ჰონთა ზედა“ „ბრძოლად წასელა“ ვარსკენ პიტიახშასაც მოუხდა⁶⁷. რაც შეეხება ჯუანშერის მიერ აღწერილ ვახტანგის ომიანობას შუა აზიისა და ინდოეთში, ისევე როგორც ბიზან-

65 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 159.

66 მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 93.

67 წამებაჲ წმინდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I გვ. 19.

ტიელების წინააღმდეგ, აქ ყველაფერი მეტად არარეალურ ფერებშია წარმოდგენილი.

ვახტანგის სპარსეთიდან დაბრუნება შეიძლება დაიდოს 60-იანი წლების ბოლოსთვის, როდესაც ჰეფთალებისგან დამარცხებული პეროზი იძულებული გახდა დაზავებოდა მათ. ჩანს, სწორედ ამ დროიდან იწყება ვახტანგის ძირითადი საქმიანობა, რომლის მთავარი ხაზები იყო ბრძოლა სახელმწიფოს ცენტრალიზაციისა და ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის. ეს ხაზები მკიდრად იყო გადახლართული ერთმანეთთან, რადგან ცენტრიდანული ძალები თავის ბრძოლაში მნიშვნელოვანწილად იყენებდნენ ირანელებს, რომლებიც თავის მხრივ ეყრდნობოდნენ ამ ძალებს. თავისი საქმიანობა ვახტანგმა, და სავსებით გონივრულადაც, დაიწყო ბრძოლით ქვეყნის შინაგანი სიმტკიცის შექმნისათვის. პირველი იერიში მან მიიტანა ეკლესიაზე, რომლის რეორგანიზაციაც დაუსახავს მიზნად. სამწუხაროდ, წყაროთა ნაკლები ცნობები საშუალებას არ გვაძლევს სრულად აღვადგინოთ ფაქტიური ვითარება. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შატბერდული რედაქცია მოგვითხრობს: „წარიყვანეს ვახტანგ სპარსთა და შემდგომად რაოდენისამე უამისა მოიქცა და მთავარ ებისკოპოსი იყო მიქაელ და მან მიამთხვა ფერჯი პირსა მეფისასა ვახტანგს. ხოლო მეფემან წარავლინა მოციქულნი საბერძნეთს და ითხოვა მეფისაგან და პატრეაქისაგან კათალიკოზი. ხოლო მან მოსცა პეტრე კათალიკოზი. და თანა ჰყვანდა მას სამოველ მონაზონი, წმიდაჲ და ღირსი. და აღაშენა ქუე მოე ეკლესიაჲ ვახტანგ მეფემან. და დასუა პეტრე კათალიკოზი“⁶⁸. ჭელიშური რედაქცია უმატებს, თითქოს ვახტანგი იმდენად აღშფოთებულა მიქაელის მოქმედებით, რომ თვით ქრისტიანობის დამხობაც კი გაუვლია გულში, მაგრამ შემდეგ მაინც გონს მოსულა⁶⁹. ამ ცნობებიდან არ ჩანს, თუ რა იყო კონფლიქტის ნამდვილი მიზეზი.

უარესად საყურადღებო ცნობები აქვს შემონახული ჯუანშერს, რომლის თანახმად ვახტანგს ადრევე გადაუწყვეტია ქართლის ეკლესიის რეორგანიზაცია, კერძოდ, კათალიკოსობის დაწესება. ჯუანშერის გადმოცემით, ვახტანგს ირანის შაჰის მოთხოვნით ირანელთა ჯართან ერთად გაულაშქრია ბერძნების წინააღმდეგ. იქ იგი გაცნობია და ძალიან დაახლოებია პეტრეს (მომავალი კათალიკოსი) და სამოელს და წინასწარმეტყველებაც მიუღია, რომ პეტრე მისგან კათალიკოსად უნდა დანიშნულიყო. კარგა ხნის შემდეგ, როდესაც ვახტანგი ირანიდან ბრუნდებოდა, მოციქული გაუგზავნია საბერძნეთში, რათა წამოეყვანათ

68 მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 93.

69 იქვე.

პეტრე კათალიკოსად, ხოლო სამოელი ეპისკოპოსად. ეს რომ მიქაელმა გაიგო, „დაუშძიმდა მას ზედა, და იწყო რეცა ამბოხებად და მიზეზობად“. მიქაელს ვახტანგისთვის შეუთვლია: „შენ დაგიტეობია ქრისტე და ცეცხლსა ესავ“. ვახტანგს ეს უარუყვია, მაგრამ დაუდასტურებია, რომ მართლაც აპირებდა კათალიკოსის ჩამოყენას. „ვითარცა ესმა ესე ეპისკოპოსსა, დაიდასტურა; და ჰგონებდა, რათა შფოთითა დააცადოს საქმე იგი და მოსვლა მათი, და კრულ ყო მეფე და ყოველნი სპანი მისნი“. ვახტანგი მაინც მივიდა მასთან „და გარდაცა საცედარსა, რათამცა შეემთხვა ფერკთა ეპისკოპოსისათა. და განძრა მან ფერკი, და მიამთხვა პირსა მეფისასა ფანდაკითა და შემუსრა კბილი მისი“. მაშინ განრისხებულ ვახტანგს მიქაელი კონსტანტინოპოლის პატრიარქთან გაუგზავნია დასასჯელად და უთხოვია ქართლის კათალიკოსად ეკურთხათ პეტრე და მასთან ერთად თორმეტი ეპისკოპოსი⁷⁰.

ამრიგად, ჭუანშერის ცნობების თანახმად, ქართლის ეკლესიის რეორგანიზაცია ვახტანგს კარგა ხნის წინათ ჰქონია მოფიქრებული. დამახასიათებელია, რომ თავისი გეგმის განხორციელება მას სწორედ ირანში ყოფნის შემდეგ დაუწყია. ეს ის დრო იყო, როდესაც ჰეფთალებსგან დამარცხებული ირანელები განსაკუთრებულ სიძნელეებს განიცდიდნენ. ჩანს, ვახტანგს ეს მომენტი, და სამართლიანადაც, ყველაზე ხელსაყრელად მიუჩნევია.

არ ჩანს, რამ გამოიწვია საკუთრივ ვახტანგისა და მიქაელის კონფლიქტი, რატომ თვით ეპისკოპოსთა თავი მიქაელი არ აკურთხეს კათალიკოსად. მაგრამ „ის გარემოება, რომ დაკრულვა და ეკლესიიდან გაძევება, ანუ ალბათ განკვეთა მეფის გარდა სპასაც ეწია, უეჭველია იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ უთანხმოება მაშინ მართო მეფის მოქმედების გამო კი არ უნდა იყოს ჩამოვარდნილი, არამედ სპას, ე. ი. მაღალ წრეს და რაინდობასაც ედებოდა ბრალი. მაშასადამე, ვახტანგ გორგასალის გეგმა და მოქმედება მართო მისი პირადი განზრახვა არ უნდა ყოფილიყო, არამედ, როგორც ეტყობა, ამ მოწინავე სამხედრო წრისაც.

ამგვარად, ირკვევა, რომ კათალიკოსობის დაწესებას და ახალ ეპისკოპოსთა დანიშვნასთან დაკავშირებულ უთანხმოებაში ორ მოპირდაპირე ბანაკთან უნდა გვექონდეს საქმე. ერთი მხრით ყოფილა ვახტანგი, „სპა“ და პეტრე და სამუელ ეპისკოპოსი დანარჩენი 12 საეპისკოპოსო პირითურთ, მეორე მხრით მიქაელ მთავარეპისკოპოსი თავისი თანამოაზრეებითურთ“⁷¹.

70 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 196—197.

71 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 336.

შესაძლებელია, ეკლესიის რეორგანიზაცია ვახტანგმა გარეგნულად დოგმატიკურ საკითხებთანაც დააკავშირა. ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ მონოფიზიტი ვახტანგი ებრძოდა დიოფიზიტ მიქაელს. ამის სასარგებლოდ მას შემდეგი მოსაზრებები მოჰყავდა: უძველეს წყაროებში მიქაელი იხსენიება როგორც ქალკედონიანობის, ანუ დიოფიზიტობის მოშურნე დამცველი⁷². ჭუანჭერის გადმოცემით, კათალიკოსი და ეპისკოპოსები თვით კონსტანტინოპოლის პატრიარქს კი არ უყურთხებია, არამედ მას ისინი ხელთდასხმისთვის ანტიოქიაში გაუგზავნია, სადაც ამ დროს მონოფიზიტი პატრიარქი იჯდა. „საფიქრებელია, რომ საკურთხი პირები პირდაპირ ანტიოქიაში იქმნენ ვახტანგ მეფისაგან შეგნებულად წარვლენილნი განზრახული მიზნის მისაღწევად. შემდეგში, როდესაც ქალკედონიანობამ ბიზანტიაშიც და საქართველოშიც საბოლოოდ გაიმარჯვა და მონოფიზიტობის წინათ არსებობის კვალი ყველა წყაროებიდან გულმოდგინედ იშლებოდა, მოსპობილი იქმნებოდა ამ ამბის შესახები ნამდვილი ცნობა“⁷³. ივ. ჯავახიშვილი ყურადღებას აქცევდა იმასაც, რომ VI ს. დასაწყისში ქართულმა ეკლესიამ მონოფიზიტობა აღიარა და ქალკედონიანობა უარყო⁷⁴. ამის საწინააღმდეგოდ ს. ჯანაშიას მიაჩნდა, რომ მიქაელი მონოფიზიტი იყო, ხოლო ვახტანგი დიოფიზიტი⁷⁵.

უნდა ითქვას, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა ჯერჯერობით ცნობების სიმცირის გამო ვერ ხერხდება. მაგალითად, გაუგებარია, რატომ უნდა დაენიშნა ვახტანგს, რომელიც ირანელებთან საბრძოლველად ემზადებოდა, ქართლის კათალიკოსად მონოფიზიტი, ე. ი. სწორედ იმ მიმდინარეობის მიმდევარი, რომელსაც ირანი მფარველობდა? გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ დროს ქართლი კონსტანტინოპოლის პატრიარქს ექვემდებარებოდა. მაშასადამე, თუ ქართლის კათალიკოსად ანტიოქიაში ხელდასხმული პირი დაჯდებოდა, ეს არაკანონიერი იქნებოდა და ვახტანგის მიზნის აღსრულებას გაართულებდა.

ერთი კი ცხადია, ამდენი ეპისკოპოსის ერთად კურთხევა აშკარად მიგვითითებს იმაზე, რომ ვახტანგი ქართლის ეკლესიის რალაც დიდ რეორგანიზაციას ისახავდა მიზნად. ამასთან, როგორც ირკვევა, ეს რეორგანიზაცია უფრო პოლიტიკური ხასიათისა უნდა ყოფილიყო, ვიდრე წმინდა საეკლესიო. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატეანის ქელიშური რედაქციის ცნობა, თითქოს მიქაელის საქციელით გამო-

72 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 340.

73 იქვე, გვ. 342—343.

74 იქვე, გვ. 342.

75 ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 293.

როტებულ ვახტანგს საერთოდ ქრისტიანობის დამხობაც კი გაუვლია გულში, თუ სწორია, გვიჩვენებს, რომ საკუთრივ სარწმუნოებრივ ინტერესებს ვახტანგის თვალში მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონია.

კათალიკოსობის დაწესებით ვახტანგი რამდენიმე მიზნის მიღწევას ცდილობდა. პირველ ყოვლისა, ეკლესიის თვითმწყისობა, ცხადია, აძლიერებდა ქვეყნის დამოუკიდებლობას. შემდეგ, სამეფო ხელისუფლება, უეჭველია, მეტ გავლენას იტენდა მღვდელმთავარზე, რომლის არჩევაში მეფეს მეტი ხმა ეძლეოდა. დაბოლოს, ვახტანგმა მოიცილა მთავარეპისკოპოსი, რომელიც, ეტყობა, მის მოწინააღმდეგეთა ბანაკს ეკუთვნოდა. ახლად დანიშნული ეპისკოპოსების სიმრავლე (თორმეტი ეპისკოპოსი) გვიჩვენებს, რომ ვახტანგმა, ერთი მხრივ, შეცვალა ზოგი ეპისკოპოსი, ცხადია, მიქაელის მომხრე და, მეორე მხრივ, დააწესა ახალი საეპისკოპოსოები. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ახალხელდასმულ ეპისკოპოსთაგან ხუთი კახეთ-კუხეთ-პერეთში უნდა მჯდარიყო. როგორც ირკვევა, ვახტანგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა თავისი დომენის, კახეთ-კუხეთ-პერეთის, განმტკიცებას, რადგან, სავსებით გასაგები მიზეზით, მას სურდა სრული ბატონ-პატრონი გამხდარიყო თავის ძირითად დასაყრდენ მიწა-წყალზე. მით უმეტეს, რომ ოპოზიცია მას ამ მხარეშიც ჰყავდა. საქმე ისაა, რომ ამ მხარეში, როგორც ქართლის სამეფო სახლის საერთო სამფლობელოში, ჯერ კიდევ იხსდნენ სამეფო სახლის სხვა შტოს წარმომადგენლებიც. „მეფეთა ამბავის“ თანახმად, მირიანმა კახეთი და კუხეთი საუფლისწულოდ მისცა რევს, რომელიც დასვა უჯარმას⁷⁶. მაგრამ, ძალიან მალე ამის შემდეგ, მეორე შტო, ბაქარის შტო, ცდილობს თანდათან შეავიწროოს რევის შთამომავლობა. უკვე თვით ბაქარ მირიანის ძეს რევის ძენი დაუტოვებია მხოლოდ კუხეთში და რუსთავის ერისთავებად დაუსვამს⁷⁷. ზევით ჩვენ მოვიყვანეთ ჯუანშერის ცნობა, რომ ვახტანგის დროს რევის შთამომავლები ისევ რუსთავში იხსდნენ, მაგრამ ჯუანშერი რამდენადმე ავღლებით ამბობს მათზე: „შემცირებულ იყვნენ უერთიერთსა კლვითა“. ვახტანგმა თავის რეზიდენციად აირჩია უჯარმა, კუხეთშივე, რითაც, ცხადია, კიდევ უფრო დაასუსტა რევიანები. ამავე მიზნით იქნებოდა ახალი ეპისკოპოსი დანიშნული რუსთავში. უნდა ვიფიქროთ, რომ მან შეცვალა ძველი, ვახტანგის მოწინააღმდეგე მღვდელმთავარი. მართლაც, აქ ჩვენ საქმე უნდა გვქონდეს სწორედ ეპისკოპოსის შეცვლასთან და არა საეპისკოპოსოს დასრუბასთან. შეუძლებელია, ასეთ დიდ საერისთავო ცენტრში, სამეფო საგვარეულოს ერთ-ერთი შტოს რეზიდენციაში, რუსთავში, მანამდე ეპის-

⁷⁶ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 70—71.

⁷⁷ იქვე, გვ. 131.

კობოსი არ მჯდარიყო. ამ დროს ქართლში სულ ოცამდე საეპისკოპოსო ყოფილა: მცხეთის, სამთავისის, რუისის, ნიჭოზის, წილკნის, თბილისის, მანგლისის, ბოლნისის, ცურტავეის, ჳერემის, რუსთავეის, ნინოწმინდის, ხორნაბუჯის, ბოდბის, ჩელთის, აწყვერის, წუნდის, ახიზის, ერუშეთისა და სხვ⁷⁸.

კათალიკოსობის დაწესების თარიღს შესახებ უნდა ითქვას, რომ 472 წ. „შუშანიკის წამებაში“ ჳერ კიდევ იხსენიება ეპისკოპოსთა თავი, მაგრამ უკვე 506 წ. საეკლესიო კრების საბუთებში ქართლის მღვდელმთავარს კათალიკოსი ეწოდება. წყაროების ერთხმივი მოწმობით კათალიკოსობის დაწესება უშუალოდ მოჰყოლია ვახტანგის დაბრუნებას ირანიდან. ამიტომ საფიქრებელა, რომ ეს უნდა მომხდარიყო V ს. 70-იან წლებში.

იმავე პოლიტიკურ მიზნებს (ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებას, ქვეყნის სამხედრო ძლიერების გაზრდას) ისახავდა მიზნად ის დიდი აღმშენებლობითი მუშაობა, რომელიც ჩაუტარებია ქართლში ვახტანგს. „თანდათან ფეოდალიზაციის პროცესის გაღრმავებასა და მთელი რიგი საქალაქო ცენტრების დაცემასთან დაკავშირებით, მათი პატარა სასოფლო დასახლებებად გადაქცევისას, კიდევ უფრო ცხადი გახდა „სამეფო ქალაქების“ როლი. მეფის ხელისუფლება ორიენტაციას იღებს სამეფო დომენში ახალი ქალაქების შექმნაზე, რომელიც მის დასაყრდენად გამოდგებოდნენ“⁷⁹. ასეთი პოლიტიკის გამოხატულებაა ვახტანგის საქმიანობა ამ დარგში. ჳუანშერიტ ვახტანგმა „აღაშენა ნაშენებითა უზომოთა“ ქალაქი უჯარმა, საფუძველი დაუდო თბილისს. აშკარაა, ეს ქალაქები, პირველ რიგში, შინაურ მტერთან ბრძოლაში უნდა დახმარებოდნენ მეფეს, მაგრამ ცხადია, ისინი ვახტანგს ირანელებთან ბრძოლაშიც გამოადგებოდნენ. უკანასკნელი მიზ-

78 ს. ჳანაშია, შრომები, I, გვ. 20. შდრ. ივ. ჳავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 299—300; ს. კაკაბაძე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, საისტორიო მოამბე, I, თბ., 1924, გვ. 50—53. კ. კეკელიძე, კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში, ეტიუდები... IV, 1957, გვ. 332—335; ზ. ალექსიძე, ეპისტოლეთა წიგნი, თბ., 1968, გვ. 161. კათალიკოსობის დაწესების შესახებ სრულიად განსხვავებული აზრი ჳქონდა კ. კეკელიძეს. მას მიაჩნდა, რომ ვახტანგ გორგასალამდე ქართლის ეკლესიას საერთოდ ერთი ეპისკოპოსი განაგებდა. იყვნენ სხვა ეპისკოპოსებიც, „ქარის ეპისკოპოსები“, რომლებსაც აღმინისტრაციული ფუნქციები არა ჳქონდათ. ვახტანგმა ქართლის ეკლესია დაყო 13 საეპისკოპოსოდ. ამან გამოიწვია საჭიროება ეპისკოპოსთა თავის, ანუ კათალიკოსის ტიტულის შემოღებისა, რასაც არ მოჰყოლია ქართლის ეკლესიის დამოუკიდებლობა (იხ. ზემოდასახელებული წერილი).

თუმცა კ. კეკელიძის შეხედულება გაზიარებული არაა თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიის შიერ, ის მაინც მოითხოვს შედგომ განხილვას.

⁷⁹ Г. Меликишвили, К истории древней Грузии, гв. 452.

ნისთვის იგი აშენებდა ახალს და ამაგრებდა ძველ ციხე-სიმაგრეებს: „ამაგრებდა ციხეთა და ქალაქთა, და ჰკაზმიდა მჭედართა და განამზადებდა ბრძოლად სპარსთა“⁸⁰.

ირანელებთან მომავალ ბრძოლაში წარმატებისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიონზე გადასასვლელებს. როგორც ითქვა, გადასასვლელები ირანელებს ეკავათ. მათ ხელში ჩაგდება საშუალებას მისცემდა ვახტანგს ზურგი გაემაგრებინა, არ გადმოეშვა ჩრდილოეთიდან მოთარეშეები და თვით გადმოეყვანა დამხმარე სამხედრო ძალა. ჭუნაშერი ვრცლად მოგვითხრობს ვახტანგის ჩრდილო კავკასიაში ლაშქრობის ამბავს. მართალია, ეს მოთხრობა სავსეა ზღაპრული აღწერილობით, მაგრამ, უეჭველია, მასში მაინც არის რეალური ამბების გამოძახილი. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ის ცნობა. რომელიც მოიპოვება წმ. ნინოს ცხოვრების ზოგიერთ რედაქციაში. ამ ცნობით ვახტანგმა „დაიმორჩილნა ოვსნი და ყივჩაღნი და შექმნა კარნი ოვსეთისანი და აღაშენა მას ზედა გოდოლი და დააყენა მას ზედა მცველნი მახლობელნი მის ადგილისანი და უწოდა მას კარად დარიალიშა, და აწ თუნიერ ბრძანებისა მეფისა ვერ კელ-ეწიფების გამოსვლად ოვსთა და ყივჩაღთა“⁸¹. ამ ცნობის თანახმად, ვახტანგმა ხელთ იგდო კავკასიონის გადასასვლელები და გაამაგრა ისინი. მართალია, აქ ნათქვამია, რომ ვახტანგმა ეს გადასასვლელები წაართვა ოსებსა და ყივჩაღებს (ყივჩაღთა ხსენება აქ აშკარა ანაქრონიზმია) და არა ირანელებს, მაგრამ ამას ადვილად შეიძლება მოეძებნოს ახსნა: თუმცა, როგორც აღნიშნული იყო, საერთოდ გადასასვლელები ირანელებს ეჭირათ, მაგრამ ხდებოდა ისიც, რომ ჩრდილოეთიდან შემოჭრილი მოთარეშეები დროებით იკავებდნენ ხოლმე მათ. საფიქრებელია, რომ ვახტანგმა სწორედ ასეთი ვითარებით ისარგებლა, ვითომცდა გაათავისუფლა ეს გადასასვლელები და თვითონ კი დაიკავა ისინი. ამ მხრივ საინტერესოა, რომ ჭუნაშერის თანახმად, ვახტანგის ექსპედიცია ჩრდილო კავკასიაში ოსთა ლაშქრობის საპასუხო აქტს წარმოადგენდა.

ვახტანგის მიერ კავკასიონის გადასასვლელების დაჭერას ადასტურებს ისიც, რომ მას მოლაპარაკება გაუმართავს ჰუნებთან და პირობაც მიუღია მათგან, რომ საჭიროებისას ჯარს მიაშველებდნენ. ლაზარ ფარპეცი გადმოგვცემს, რომ აჯანყების წინ ვახტანგს განუცხადებია, მე ბრძოლას არავის დაეანახებ, იმდენ ჰონს გადმოვიყვან, რომ

80 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 178.

81 თ. უორდანიძე, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, I, ტფ., 1892, გვ. 50.

სპარსთა ჯარები წინ ვერ დაუდგენო⁸². შემდეგში ვახტანგი, მართლაც, ელოდა ჰუნთა ჯარს, მაგრამ პირობა რატომღაც არ შესრულდა.

უშუალოდ აჯანყების დაწყების წინ ვახტანგმა იერიში მიიტანა თავის მოწინააღმდეგე ქართლის დიდებულებზე. პირველ ყოვლისა, მან თავის მოწინააღმდეგეთა ერთ-ერთი ბელადი ვარსკენ პიტიანში ჩამოიშორა. ლაზარ ფარპეცი გადმოგვცემს: „ქართლის ქვეყანაში მოხდა შფოთი და არეულობა. ვახტანგმა მოკლა ურჯულო ბღეშში ვახგენი მეფე პეროზის ოცდამეხუთე წელს“⁸³.

პეროზის ოცდამეხუთე წელი გვაძლევს 483—484 წწ. მაგრამ, როგორც ირკვევ⁸⁴, ლაზარ ფარპეცის აქ შეცდომა მოსვლია, სინამდვილეში ვარსკენი მოუკლავთ 482 წელს.

ქრისტიანობის უარყოფელი, გამაზღვანებული ვარსკენის მოკვლით ვახტანგმა, უეჭველია, მეტი იდეური სიცხოველე შეჰმატა თავის ბრძოლას ცეცხლთაყვანისმცემელ ირანელებთან. ამით ხაზი ესმებოდა იმას, რომ ბრძოლა წარმოებდა არა მარტო პოლიტიკური თავისუფლებისათვის, არამედ სარწმუნოებისათვისაც, დამახასიათებელია, რომ ლაზარ ფარპეციც კი, რომელიც დიდად იყო დავალებული ვარსკენის მამის არშუშა პიტიანშისაგან (ლაზარი მის კარზე აღიზარდა) და, რომელიც, უეჭველია, ახლოს იცნობდა თვით ვარსკენს, „ურჯულოს“ ეპითეტით იხსენიებს მას.

აჯანყება ფაქტიურად ვარსკენის მოკვლით დაიწყო. აჯანყებისათვის დრო კარგად იყო შერჩეული: ირანს ძალიან გართულებული ჰქონდა მდგომარეობა შუა აზიაში, ანტიირანული აჯანყება უკვე დაწყებულიყო ალბანეთში და სომხეთიც მცირე ბიძგსდა ელოდა, რათა თვითონაც აეღო ხელში იარაღი. ამას ემატებოდა ისიც, რომ ირანელებს ამიერკავკასიაში ცოტა ჯარები ჰყოლიათ, რადგან ისინი აღმოსავლეთში ჰყავდათ გაყვანილი.

ცნობამ ვახტანგის აჯანყებაზე დიდი აღფრთოვანება გამოიწვია სომეხ თავკაცებში, რომლებიც იმ დროს ირანელების მიერ ძალით იყვნენ გაყვანილნი აჯანყებულ ალბანელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. განსაკუთრებით დიდ იმედს აძლევდა სომხებს ცნობა ვახტანგის ჰუნებთან კავშირისა და თვით ვახტანგის პიროვნება, რადგან ამ დროს ვახტანგი უკვე ცნობილი ყოფილა როგორც მამაცი და ჰქვიანი მეთმარი. სომხებმა ითათბირეს და გადაწყვიტეს მხარი დაეჭირათ აჯანყებული ქართველებისათვის.

⁸² ლ. ჯ ა ნ ა შ ი ა, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 243—244.

⁸³ იქვე, გვ. 243.

⁸⁴ იქვე, გვ. 141—142.

აჯანყების პირველ წელს ვახტანგს, ეტყობა, მოუხერხებია ირანელების ქართლიდან განდევნა. მიუხედავად ამ წარმატებისა, აჯანყებულთა მდგომარეობა მძიმე იყო, რადგან ვახტანგმა ვერასვლით ვერ მიიღო ჰუნთაგან შეპირებული ჯარი. მას მხოლოდ რამდენიმე ასეულისაგან შემდგარი რაზმი მიუვიდა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ არავითარი დახმარების იმედი არ იყო ბიზანტიელებისაგან, რომელთაც თვითონაც დიდი გაჭირვება ადგათ ამ დროს, ცხადია, ჰუნებთან დადებული პირობის ჩაშლა ფაქტიურად მნიშვნელოვანწილად წყვეტდა აჯანყების ბედს. ჰუნთა მოუსვლელობა, ეტყობა, მძიმე მორალური მარცხიც იყო. ლაზარ ფარპეცის კარგად აქვს ნაჩვენები, როგორ აწუხებდათ ეს ამბავი სომხებს. ვახტანგი თურმე სულ ამშვიდებდა მათ — ეს-ეს არის მოვლენო. სინამდვილის გასარკვევად სომხები დაჟინებით სთხოვდნენ მას გაეგზავნა სომხეთში ჰუნთა ჯარი. ვახტანგს ჯერ დაუყოვნებია, შემდეგ კი, ალბათ, სომხების ეჭვების გასაფანტავად, გაუგზავნია მათთვის სამასკაციანი ჰუნთა რაზმი. ყველაფერი ეს ხდებოდა ზამთარში, როდესაც საომარი მოქმედება შეწყვეტილი იყო. ჩანს, ჰუნთა რაზმს უფრო მორალური ფუნქცია ეკისრებოდა.

მაგრამ ვახტანგს, როგორც ჩანს, მდგომარეობა გაურთულდა შინაურობაში. ჯერ კიდევ შუა ზამთარში ის იძულებული გამხდარა უკან გაეწვია ასე დაჟინებით ნათხოვნი რაზმი. ვინაიდან ზამთარში საომარი მოქმედება ირანელებთან შეწყვეტილი იყო, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს რაზმი ვახტანგს შინაურ მტერთან ბრძოლისათვის სჭირდებოდა.

შემდგომ, ე. ი. 483 წელს, ირანელებმა უფრო მტკიცედ მოჰკიდეს ხელი აჯანყებასთან ბრძოლის საქმეს. გაზაფხულზე ქართლსა და სომხეთში ორი დიდი ლაშქარი გამოგზავნეს. პირველს სარდლობდა მიჰრანი, მეორეს — ატრნერსეპი, ირანის ფუშტიპანსალარი (მონასპის უფროსი). ვახტანგმა დაინახა, რომ ირანელებს ვერ გაუმკლავდებოდა და თავი შეაფარა სომხეთის მთებს ქართლის საზღვრის მახლობლად. იქიდან მან დახმარება სთხოვა სომხებს, თან იტყობინებოდა, რომ სულ ახლო მომავალში ელოდა ჰუნების მაშველი ჯარების მისვლასაც. ამ დროისათვის სომხებს მნიშვნელოვანი წარმატება მოუპოვებიათ, სასტიკად დაუმარცხებიათ ირანელები ნერსეჰაპატის ბრძოლაში. ვახტანგის დესპანის მისვლისთანავე აჯანყებულ სომეხთა სარდალი ვაჰან მამიკონიანი სომეხთა მთელი ჯარით სასწრაფოდ გაემართა ვახტანგის დასახმარებლად და კანგარის მთებში დაბანაკდა.

როგორც ჩანს, ვახტანგი სწრაფი და გაბედული მოქმედების მომხრე იყო. მას ეშინოდა, რომ ირანელები ქართლის შიდა რაიონებში

შეიქრებოდნენ და იქაურობას ააოხრებდნენ. ამიტომ ცდილობდა დაეყოლიებინა სომხები, ბარში ჩასულიყვნენ და ირანელებს შებრძოლებოდნენ, თუნდაც ჰუნების მოსვლამდე. ვაჰან მამიკონიანი და სხვა სომეხი სარდლები კი ფრთხილობდნენ. ეტყობა, მათ აფიქრებდათ ირანელთა ჯარის მრავალრიცხოვნება. ჰუნების გარეშე ომის დაწყება სომხებს მიზანშეწონილად არ მიაჩნდათ და უმჯობესად თვლიდნენ მთებში დარჩენას, სადაც ირანელები ვერ გამოიყენებდნენ თავის რიცხობრივ უპირატესობას. ყურადღებას იქცევს ისიც, რომ როგორც ლაზარ ფარპეცი გადმოგვცემს, ვაჰან მამიკონიანმა „იცოდა სომეხთა ჯარის სისუსტე და ხედავდა, რომ მას დაჰკარგვოდა მხნეობა, დაუძღურებულოყო და სრულებით არა ჰგავდა სხვა დროის გულმოდგინებასა და მონღოლებს“⁸⁵. ლაზარ ფარპეცის ეს სიტყვები ისე უნდა გავიგოთ, რომ აჯანყებულ სომეხთა ჯარში არ იყო ერთიანობა, მრავალი შიშით მონაწილეობდა აჯანყებაში და პირველსავე შემთხვევაში მზად იყო აჯანყებისათვის ელაღატა და ირანელთა მხარეზე გადასულიყო. საყურადღებოა, რომ იმ თათბირზე, რომელზედაც სომხებს უნდა გადაეწყვიტათ, დაეჭირათ თუ არა მხარი აჯანყებულნი ქართლისათვის, ერთადერთი კაცი, რომელიც ამის წინააღმდეგ გამოვიდა, იყო თვით ვაჰან მამიკონიანი, აჯანყებულთა მომავალი სარდალი და ბელადი. თავის აზრის დასამტკიცებლად ერთ-ერთ უმთავრეს არგუმენტად ვაჰანს მოჰყავდა ის, რომ მისი სიტყვით, სომხებს შორის არ იყო ერთიანობა და მოსალოდნელი იყო დაღალტა⁸⁶. როგორც შემდგომში აღმოჩნდა, ვაჰანის შიში არ იყო მოკლებული რეალურ საფუძველს.

ვახტანგი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა დაერწმუნებინა სომეხები მისი გეგმა მიეღოთ და ბარში ჩამოსულიყვნენ. ლაზარ ფარპეცის გადმოცემით, ის აშკარა ტყუილზეც კი მიდიოდა სომხების გასამხნევებლად, ვითომ ჰუნები უკვე მოვიდნენო. ვახტანგს ასეთი ხერხიც უნდოდა: სომეხთა და ქართველთა ჯარიდან გაუგზავნია მწვერაეები, რომელთაც შორიდან დაანახეს დანთებული ცეცხლი და მეომართა მსგავსად გამოწყობილი ხის კუნძები. ვახტანგის განმარტებით ეს ჰუნთა ლაშქარი იყო, რომელიც ბარში დაბანაკებულიყო და მთაში არ აღიოდა, რადგან ვითომც თავის მხრივ არ სჯეროდა სომხების მოსვლა. ვახტანგს უთქვამს, ჰუნები მეუბნებიან, ოღონდ სომხები აქ ჩამოიყვანე და დაგვანახვე, მერე კი სპარსელები ჩვენ დაგვანებთ და თქვენ თავს ნუ შეიწუხებთო. ვახტანგი ეუბნებოდა სომხებს, თუ თქვენ ბარში არ ჩახვალთ, ჰუნები არ დამიჭერებენ და ადგილიდან ფეხსაც

85 ლ. ჯანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 253.

86 იქვე, გვ. 246.

არ მოიცვლიან, მიჰრანი კი მიბრუნდება და ქართლს ააოხრებსო. მაშ რაღა სარგებლობა ექნება ჩემთვის თქვენს აქ მოსვლასო⁸⁷.

ბოლოს და ბოლოს ვახტანგმა თავისი გაიტანა. მიუხედავად ზაფხულის სიცხისა და ზოგიერთ სომეხ ნახარართა წინააღმდეგობისა, აჯანყებულთა ლაშქარი ქარმანაინის ველზე⁸⁸ ჩასულა და მტკვრის ნაპირას დაბანაკებულა. რამდენიმე დღის შემდეგ, იქვე, ოღონდ მტკვრის გაღმა დაბანაკდა ირანელთა ლაშქარიც. ღამით სომეხთა ბანაკიდან მრავალი მოღალატე საიდუმლოდ დაკავშირებია ირანელებს. ისინი უთვლიდნენ მტერს, ჩვენი ნებით როდი მოვსულვართ, ვაჰანმა ძალით მოგვიყვანა, მაგრამ ბრძოლის ველს მივატოვეთ და სხვებსაც თან გაიყოლიებთო.

მეორე დღეს სომეხ-ქართველთა გაერთიანებული ლაშქარი ბრძოლის ველზე გავიდა. ვახტანგი უკანასკნელ წუთამდე ამხნევებდა და არწმუნებდა სომეხ სარდლებს, გამარჯვება ჰუნების გარეშეც შეიძლებაო. მაგრამ, თუმცა სომეხმა სარდლებმა ჯარი საბრძოლოდ განალაგეს, ვახტანგმა მაინც ვერ შეძლო მათი დარწმუნება. ცხადია, ასეთი მერყეობა, რითაც არ უნდა ყოფილიყო იგი გამოწვეული, უარყოფით გავლენას მოახდენდა ბრძოლის შედეგზე.

ქართველთა ლაშქარი ვახტანგის მეთაურობით მარცხენა ფრთას შეადგენდა. ცენტრში და მარჯვენა ფრთაზე სომეხები იდგნენ. ვაჰან მამიკონიანმა, რომელიც ცენტრს სარდლობდა, გაბედულად შეუტია მტერს, დიდი ზიანი მიიყენა მას და უკან დაახევინა, ისე რომ ირანელებს მტკვარზე გადასვლაც კი მოუწდათ. მაგრამ ამ დროს მოღალატეებმა თავისი დანაპირები შეასრულეს, მიატოვეს ბრძოლის ველი, არეუ-ღარევა შეიტანეს მებრძოლთა რიგებში და ბოლოს მთელი ლაშქარი შედრკა და გაიქცა. ირანელები დაედევნენ გაქცეულებს, ბევრი დახოცეს, ბევრიც ტყვედ ჩაიგდეს, მაგრამ თავისი გამარჯვება მაინც ვერ მიიყვანეს ბოლომდე, რადგან მათი სარდალი მიჰრანი იმავე წლის სექტემბერში ირანში გაიწვიეს.

484 წ. გაზაფხულზე, სომხეთში დიდი ლაშქრით შევიდა ზარმიპრ ჰაზარავუხტი. ბასიანში მყოფ ჰაზარავუხტს მიუვიდა შაჰის ბრძანება, გადასულიყო ქართლში, რათა „ქართლს მეფე ვახტანგი ან შეეპყრა, ან მოეკლა, ანდა იმ ქვეყნიდან განედევნა“⁸⁹. თვით ირანის შაჰი პეროზი კი ჰეფთალეებზე საომრად წავიდა.

⁸⁷ იქვე, გვ. 250—251.

⁸⁸ ზუსტად დადგენილი არ არის, რას აღნიშნავს ეს სახელი. საფიქრებელია, რომ ქარმანაინის ველი საღლაკ გარდაბნის რაიონში უნდა ვეძიოთ.

⁸⁹ ლ. ჯანაშიძე, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 263.

ჰაზარავეუხტი გადავიდა ქართლში, სადაც შეკრიბა ადგილობრივი დიდებულები, რომლებიც თავიდანვე მხარს არ უჭერდნენ ვახტანგს. მათ შეუერთდნენ ისინიც, ვინც გორგასალს შემდგომში განუდგნენ. ჰაზარავეუხტმა დიდი წყალობა აღუთქვა ყველას და მათგან რაზმიც კი შეადგინა. ვახტანგმა თავი შეაფარა ეგრისს.

ამ დროს ირანიდან მოვიდა პეროზისა და ირანელთა ჯარის დაღუპვის ამბავი. შეშინებულმა ჰაზარავეუხტმა ქართლში დაჩინა ველარ გაბედა და სასწრაფოდ ირანში გაბრუნდა.

ირანელები უალრესად მძიმე ვითარებაში აღმოჩნდნენ. ამან აიძულა ისინი მთელ რიგ მნიშვნელოვან დათმობაზე წასულიყვნენ. ჩვენ არა გვაქვს ცნობები, თუ რაში გამოიხატა ეს ქართლის მიმართ, სამაგიეროდ, კარგად ვიცით, რას მიიღწიეს აჯანყებულებმა სომეხთსა და ალბანეთში. აჯანყებულ სომეხთა მოთხოვნით, ირანელებმა პირობა დადეს შეეწყვიტათ ქრისტიანობის დევნა, არ დაერღვიათ ადგილობრივი ტრადიციები და მნიშვნელოვანი საქმეები თვითონ შაჰს გაერჩია. ირანელებმა გამოაცხადეს, რომ ისინი არ აღანაშაულებდნენ აჯანყებულებს, რადგან აჯანყება თვით პეროზის ძალმომრეობამ გამოიწვიათ. შემდგომ, 485 წელს, აჯანყებულთა მეთაური ვაჰან მამიკონიანი სომხეთის მარზპანად დანიშნეს. ირანელები ალბანელების წინაშეც წასულან დათმობაზე, კერძოდ, იქ მათ მეფობა აღუდგენიათ. საინტერესოა, რომ ალბანეთში გამეფებული ვაჩაკანი ისევ დაბრუნებია ქრისტიანობას, რომელიც ადრე ირანელთა ძალდატანებით უარუყვია.

უეჭველია, აჯანყებას დადებითი შედეგები ქართლისთვისაც უნდა მოეტანა. ამდენად, თუმცა ვახტანგმა ვერ შეძლო საბოლოოდ გაეთავისუფლებინა ქართლი ირანული უღლისაგან, მაგრამ მისმა აჯანყებამ ნაწილობრივ მაინც მიიღწია მიზანს. სამწუხაროდ, ჩვენ არ შეგვიძლია იმის ჩვენება, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატა ეს.

საფიქრებელია, რომ ვახტანგ გორგასალი ამის შემდეგაც განაგრძობდა ამა თუ იმ ფორმით ბრძოლას ირანელების წინააღმდეგ. ძველი ქართული წყაროების თანახმად, იგი ბოლოს და ბოლოს შეეწირა კიდევ ამ ბრძოლას. ჯუანშერი გადმოგვცემს, რომ ახლად გამეფებულმა ირანის შაჰმა ბიზანტიაზე გალაშქრება გადაწყვიტა. მან შეუთვალა ვახტანგს წინ წასძლოლოდა ირანელთა ლაშქარს. ვახტანგმა უარი განაცხადა და „თქვა ესრეთ: „უთხარით მეფესა ხუასროს: პირველად განემზადე ბრძოლად ჩუენდა, და ეგრე შევედ საბერძნეთად“. მართლაც, ირანელებმა გამოილაშქრეს ქართლზე, შემუსრეს რიგი ქალაქებისა და იოჯრზე დაიბანაკეს. განთიადისას ვახტანგი დაესხა მტრის ბანაკს, მოკლა შაჰის ძე, მაგრამ თვითონაც დაიჭრა, „სპარსმა ვინმე სცა ისარი მკერდსა ვახტანგისსა“. მართალია, ირანელები დამარცხდნენ, მაგრამ „დამძიმდა წყლულება ვახტანგისი, რამეთუ შეწეულ იყო ისა

რი ფირტუად. და წარვიდა უჯარმოს“. ირანელებმა ისარგებლეს ვახტანგის ავადმყოფობით და ააოხრეს ქართლი. ამ დროს ბიზანტიაში გამეფდა ზენონი. ბერძნებსა და ირანელებს შორის მოხდა დიდი ბრძოლა, რომელშიც ვერც ერთმა მხარემ ვერ გაიმარჯვა. ვახტანგი ამ ბრძოლის შემდეგ გარდაიცვალა.

ზემოაღწერილი ამბების დასათარიღებლად გამოდგებოდა ჯუანშერის ცნობა, რომ სწორედ ბერძენ-ირანელთა ომის წინ გამხდარა ბიზანტიის იმპერატორად ზენონი (474—491). მაგრამ კარგადაა ცნობილი, რომ ზენონის მეფობაში არავითარი ომი ბიზანტიასა და ირანს შორის არ ყოფილა. ამასთან, ზუსტად ვიცით, რომ ვახტანგი ცოცხალი იყო V ს. 80-იანი წლების პირველ ნახევარში. ბიზანტია-ირანის ომი 502—506 წლებში მიმდინარეობდა. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ჯუანშერის მიერ აღწერილი ამბები ამ ომს უნდა შეეხებოდეს. ამიტომ სავარაუდოა, რომ ვახტანგის გარდაცვალებაც ამ წლებზე უნდა დაიდოს.

არაერთხელ გაკეთებულა ცდა ზუსტად განსაზღვრულიყო ვახტანგ გორგასლის ზეობა. ეს ცდები დამყარებული იყო ჯუანშერის მონაცემებზე. კერძოდ, ს. გორგაძე ამოდიოდა ჯუანშერის ზემომოყვანილ ცნობებიდან და ვახტანგის გარდაცვალებას 503 წელზე დებდა. ხოლო, რადგან, ჯუანშერის სიტყვით, ვახტანგი ამ დროს „მიწევნულ იყო ვითარ სამოციას წლისა“, ს. გორგაძის თანახმად, ვახტანგი უნდა დაბადებულიყო 443 წელს⁹⁰. ივ. ჭავჭავიძე იზიარებდა ს. გორგაძის მსჯელობას, ოღონდ ვახტანგის გარდაცვალებას 502 წლის შემოდგომით ათარიღებდა⁹¹. უკანასკნელ დროს ვახტანგ გორგასლის მეფობის ახლებურად დათარიღება სცადა კ. თუმანოვმა. მისი მსჯელობა ასეთია: ჯუანშერის თანახმად, ცხრამეტი წლის ვახტანგმა ცოლად შეირთო შაჰ ჰორმიზდის ასული ბალენდუხტი. ეს ჰორმიზდი შეიძლება იყოს მხოლოდ ჰორმიზდ III (457—459). მაშასადამე, ვახტანგი დაბადებულა დაახლოებით 439 წ. და გამეფებულა დაახლოებით 446 წ. ხოლო, როდესაც ირანელები ემზადებოდნენ 502—506 წლების ომისათვის, ის სამოცი წლისა ყოფილა⁹². შემდეგ, კ. თუმანოვი ერთ პიროვნებად მიიჩნევს ვახტანგ გორგასალსა და პროკოპი კესარიელის მიერ მოხსენიებულ იბერთა მეფე გურგენს. იდენტიფიკაციას იგი ახდენს სახელთა ანალიზზე დაყრდნობით: „გურგენში“ თუმანოვი გამოჰყოფს „გურგს“, რომელიც შედის ვახტანგის მეტსახელ „გორგა-

⁹⁰ ს. გორგაძე, წერილები საქართველოს ისტორიიდან, ძველი საქართველო, II, ტფ., 1911—1913, გვ. 64—67.

⁹¹ ივ. ჭავჭავიძე, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 289.

⁹² С. Туманов, დასახ. ნაშრ., გვ. 362.

სალში“ და მგელს აღნიშნავს. გურგენის ქართლიდან გაქცევას კ. თუ-
შანოვი 522 წ. ათარილებს და ვახტანგის სიკვდილსაც ამ ამბის ახლო
დროზე დებს⁹³.

უნდა ითქვას, რომ ჯუანშერის ცნობები, ყოველ შემთხვევაში
ჯერჯერობით, სანამ მისი თხზულება სათანადოდ შესწავლილი არაა,
ვახტანგის მეფობის ზუსტი დათარიღების საშუალებას არ იძლევა.
ჯუანშერს არასწორი ცნობები აქვს ბიზანტი-ირანის ომების თარი-
ღებსა და მსვლელობაზე, ამ ომების თანამედროვე კეისრებსა და შა-
ჰებზე. ყველაზე სწორი იქნებოდა ვახტანგის მეფობა ზოგადად V ს.
მეორე ნახევრით განგვესაზღვრა. რაც შეეხება ვახტანგის იდენტიფი-
კაციას გურგენტან, ამისათვის, სახელების ასეთი მსგავსების გარდა,
საჭიროა სხვა საბუთებიც.

ვახტანგ გორგასლის პიროვნების დახასიათებისას უნდა ითქვას,
რომ იგი ყოფილა მეტად ჰკვიანი, წინდახედული, გამჭრიახი პოლი-
ტიკოსი, სახელმწიფო მოღვაწე და გულადი მეომარი — სარდალი.
ვახტანგის თავგანწირულ ბრძოლას უცხოელი დამპყრობლის წინააღმ-
დეგ ხალხის თვალში მისთვის დიდების შარავანდედი დაუდგამს, ნა-
ხევრად ლეგენდარულ, ეროვნულ გმირად უქცევია. მეტსახელი „გორ-
გასალი“ — სპარსულად „მგელთავა“ — იმიტომ შერქმევია, რომ მუ-
ზარაღზე წინ მგელი ჰქონია გამოსახული. ვახტანგზე ცალკე საისტო-
რიო თხზულებაც კი დაწერილა. მისი ავტორი, ჯუანშერი, უდიდესი
ქება-დიდებათ ლაპარაკობს ვახტანგზე. ჯუანშერის სიტყვებით, იგი
გოლიათური აღნაგობითა და ზღაპრული ძალით იყო დაჯილდოებული:
„და იყო იგი უმაღლეს კაცთა მის ჟამისათა, და უშუენიერეს სახითა
და ძლიერი ძალითა, რომელ ჰურვილი ქუეთითი ირემსა მიეწიის,
უპყრის რქა და დაიჭირის, და ცხენი ჰურვილი აღილის მჯართა ზედა
და მცხეთით აღვიდის ციხესა არმაზისასა“⁹⁴. შემდგომში საქართვე-
ლოს სახელმწიფო დროშას, სხვათა შორის, „ვახტანგიანსა“ და „გორ-
გასლიანსაც“ უწოდებდნენ. არაერთი გადმოცემაა შემონახული ვახ-
ტანგ გორგასალზე ხალხშიც.

ვახტანგი დაუსაფლავებიათ მცხეთაში, საკათალიკოსო ეკლესია-
ში. შემდეგ იმ ადგილას აშენდა სვეტიცხოვლის ტაძარი, რომელშიც
ერთი საფლავი ახლაც ვახტანგ გორგასალისად არის მიჩნეული.

⁹³ C. Toumanoff, დასახ. ნაშრ., გვ. 369—370.

⁹⁴ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 159.

ჰემომო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან

(ბოგარენე — ბუბარჰი)*

გოგარენე — გუგარქის შესახებ ბევრ მკვლევარს აქვს გამოთქმული საყურადღებო მოსაზრებები.

უპირველესად მივმართავთ უან სენ-მარტენს, უდიდესი ერუდიციისა და ბრწყინვალე ნიჭის მკვლევარს. მან კარგად იცოდა ძველი სომხური ენა და ზედმიწევნით იცნობდა ძველ სომხურ და ანტიკურ წყაროებს. სამწუხაროდ, მან, როგორც ჩანს, კარგად არ იცოდა ქართული, ხოლო ქართულ წყაროებს იგი თითქმის არ იცნობდა, თუ არ ჩავთვლით „ქართლის ცხოვრების“ იმ ნაწილებებს, რომლებიც თავის თხზულებებში მოყვანილი აქვს კლაპროტს და რომელიც („ქართლის ცხოვრება“) სენ-მარტენს ვახტანგ VI-ის დაწერილად მიაჩნდა. ამან ნაწილობრივ განაპირობა ის ცალმხრივობა, რომელიც ახასიათებს სენ-მარტენს. გუგარქის და ზოგიერთი სხვა პროვინციის (მაგალითად, ტაოს, სამცხის, ჭავჭავთის და სხვ.) ისტორიის კვლევის საკითხში.

საინტერესოა, რომ უკვე სენ-მარტენმა შენიშნა, რომ გუგარეთი მოხსენიებულია ანტიკურ წყაროებში. მისი სიტყვით, გუგარეთი გოგარენეს (Γαγαρηνη) ფორმით მოხსენიებულია სტრაბონთან, რომელიც მას სომხეთის შემადგენლობაში ათავსებს. ხოლო პტოლემეოსთან იგი ნახსენებია ტოსარენეს (Τωσαρηνη) და სტეფანე ბიზანტიელთან კი ობარენეს (Ὀβαραηνει) ფორმით¹.

სენ-მარტენს ბოლომდე არ გაუკეთებია ანალიზი სტრაბონის ცნობისათვის და ამიტომ მას მიაჩნდა, რომ გუგარეთი, ისევე როგორც ტაო, ძველთაგან სომხეთის პროვინცია იყო.

გუგარეთის მდებარეობას სენ-მარტენი შემდეგნაირად განსაზღვრავდა: გუგარქი მდებარეობდა ტაიქის აღმოსავლეთით, არარატისა

* ნაშრომი შესრულებულია ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძველი ისტორიის განყოფილებაში 1962 წ.

¹ I. Saint-Martin; Mémoires Historiques et Géographiques sur l'Arménie, 1, 81. უკანასკნელ შემთხვევაში სენ-მარტენს დამოწმებული ჰყავს Sainte-Croix, Mémoire sur l'Araxe et le Cyrus, p. 115.

და სიუნიქის პროვინციათა ჩრდილოეთით და უტი-ს დასავლეთით. ჩრდილოეთით მას ესაზღვრებოდა ქართლის ნაწილები, დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან — მტკვარი. გუგარქი, მისი აზრით, შედგება ზემო ქართლის ნაწილისაგან, რომელიც შედის ახალციხის საფაშოში; ქართლის პროვინციიდან მასვე ეკუთვნის სომხითი².

სენ-მარტენი სწორად შენიშნავს, რომ გუგარქის ტერიტორია მნიშვნელოვნად იცვლიდა თავის სახეს სხვადასხვა დროს. X ს. დასაწყისისთვის მასში შედიოდა სამშვილდე, რომელიც მუდამ ქართლის შემადგენლობაში იყო, და ქართლის პატარ-პატარა პროვინციები, მოთავსებული მტკვარსა და წანართა ქვეყანას შორის. წანართა ქვეყანას კი სენ-მარტენი ათავსებდა მთებში დარუბანდის მხარისკენ³. ამიტომ აერია ვარდან დიდს თავის „გეოგრაფიაში“ გუგარქი შაქის მხარეშიო.

VII ს. ანონიმური გეოგრაფიის მიყოლებით სენ-მარტენი მიიჩნევა, რომ გუგარქის შემადგენლობაში უძველესი დროიდანვე შედიოდა ცხრა კანტონი, რომელთა ლოკალიზაცია ძნელი არისო: 1. კოლბოფორი (სენ-მარტენის აზრით, იგი ტაიქის მეზობლად მდებარეობდა). 2. ძოროფორი, იგი იყო ტაშირის შუაში და X—XI სს. ძორაგეტის, ძორო გეტ-ის სახელს ატარებდაო (ეკუთვნოდა ქორიკეან ბაგრატიდებსო). 3. წობოფორი, ანუ მიაფორი, 4. არტაპანქი, დასავლეთის მხარე მტკვრის ნაპირებზე. 5. ჯავახქი, მტკვრის ნაპირებზე ახალციხის აღმოსავლეთით. 6. თრელქი — თრიალეთი, ტაშირის ჩრდილოეთით. აქ სენ-მარტენი შენიშნავს, რომ ეს უნდა შეესატყვისებოდესო პლინიუსის თრიარს. 7. კლარჯქი — კლარჯეთი. 8. კანგარქი — გუგარქის აღმოსავლეთ კიდეზე და 9. ტაშირი — გუგარქის ყველაზე უფრო ცნობილი და მნიშვნელოვანი კანტონი მის ცენტრში. ახლა მას ჰქვია ბამბაქის ხევიო.

გუგარქის ტერიტორიაზე სენ-მარტენი შემდეგ ქალაქებს ასახელებს: ლორი (მთავარი მათ შორის, იგი XI ს. ქორიკეან ბაგრატიდების საჯღომი იყო. მას ხშირად იღებდნენ ქართველებიო), დმანისი, რომელიც საკუთრივ საქართველოს საზღვარზე იყო; ასკურეთ — აწყური, ახალქალაქი, კაიან — კაენი, კაიწონ — კიწენი, სანაჰინი, ჰალპატი⁴.

საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული სენ-მარტენს გუგარქის პოლიტიკურ ისტორიაზეც: არშაკიდ მეფეების დროს და მათს შემდეგაც იგი ჩაბარებული იყო სამხედრო გამგებლებისთვის, რომელთაც ერქვათ პიტიახშები. მათ ევალებოდათ ქვეყნის დაცვა ქარ-

2 იქვე, გვ. 79. აღსანიშნავია, რომ სატომო სახელი „სომეხი“ სენ-მარტენს სომხითიდან წარმოშობილად მიაჩნია და არა პირიქით.

3 იქვე, 80—81.

4 იქვე, გვ. 84—86.

თველებსა და ჩრდილოეთის ხალხების შემოსევებისაგან. რადგან მათი საგამგეო ქართლის მეზობლად იყო და უმეტესად (en grande partie) დასახლებული იყო ქართველებით, ამ გამგეებს ერქვათ გუგართა, ან ქართველთა პიტიაზშები⁵. გუგარქი დანაწილებული იყო მრავალ პატარა მთავრებს შორის. საბოლოოდ იგი ქართველი მეფეების ხელში გადავიდა, რომელთაც არ მოუხსპიათ ეს წვრილი სამთავროები. სასულიერო ხაზით გუგარქი თავიდანვე ქართლის პატრიარქს ექვემდებარებოდა.

მამასადამე, სენ-მარტენის აზრით, გუგარქის ჩრდილოეთი საზღვარი გადიოდა დმანისის ჩრდილოეთით. თვით ქართლს გუგარქი შეუერთდა საკმაოდ გვიან, ყოველ შემთხვევაში, V ს. ის ჯერ კიდევ სომხეთის შემადგენლობაში შედიოდა. სენ-მარტენის სიტყვით, სომხეთის უკანასკნელი არშაკიდების დროს ტაშირის მთავრებმა (souverains) ხელში ჩაიგდეს გუგარქის სამხედრო გამგებლის სახელოც, ისე რომ V ს. დასაწყისში არშუშას ორივე სახელო ჰქონდა. ამ დროს არსებობდა აშოცის მთავარი (prince) და ტაშირის მთავარი ვრენი, ეს უკანასკნელი, როგორც ჩანს, არშუშას ვასალი იყო⁶. ამრიგად, სენ-მარტენს არშუშა პიტიაზში სომეხ დიდებულად მიაჩნია.

ძირითადად სენ-მარტენის მოსაზრებები აქვს გაზიარებული გამოჩენილ ქართველოლოგს მარი ბროსეს. მის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ, სენ-მარტენისაგან განსხვავებით, იგი მშვენივრად იცნობდა ქართულ წყაროებს. სამაგიეროდ, მას აქვს მნიშვნელოვანი ნაკლიც: იგი სათანადოდ კრიტიკულად არ ეკიდება პირველწყაროებს, განსაკუთრებით კი ქართულს. მისი „საქართველოს ისტორია“ ფაქტიურად ვახუშტისეული ისტორიის გამეორებას წარმოადგენს. მთლად კარგად არ იცნობდა ბროსე აგრეთვე ანტიკურსა და ძველსომხურ წყაროებსაც. ამასთან აღსანიშნავია, რომ ამ წყაროების (ე. ი. ანტიკურისა და ძველ სომხურის) ცნობების შეპირისპირებისას ძველ ქართულთან, იგი ან მექანიკურად აერთებდა მათ, ან უმეტესად ქართულს აძლევდა უპირატესობას, თუნდაც ზოგადი ისტორიიდან რომელიმე ფაქტი საკმაოდ კარგად ყოფილიყო ცნობილი.

გუგარქის ისტორიული გეოგრაფიის შესახებ ბროსეს ცოტა რამ ახალი აქვს ნათქვამი; ხშირად აღნიშნავს, რომ ეს იყო ქციის ხეობაში და მის სამხრეთით მდებარე ქართლის მხარე⁷. ამასთანავე იგი შენი-

⁵ იქვე, გვ. 79.

⁶ იქვე, გვ. 242.

⁷ M. Brosset, Histoire de la Géorgie I, გვ. 134, შენ. 2. Additions et Éclaircissements, გვ. 71, საქართველოს ისტორია, გვ. 30.

შნავს, რომ შესაძლებელია გუგარქში შედიოდა პროვინცია უტიქის ნაწილიც, რადგან „ქართლის ცხოვრებაში“ ვარსკენი მოხსენიებულია რანისა და მოვაკანის ერისთავად⁸. გუგარქის აღმოსავლეთ საზღვრად ბროსეს, როგორც ჩანს, მიაჩნდა ხრამის შესართავი მტკვართან, რადგან, მისი სიტყვით, ხრამის პირიდან იწყებოდა გარდმანის მაზრა⁹.

საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ბროსეს გუგარქის ისტორიის შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ გუგარქმა დიდი ცვლილებები განიცადა თავის ისტორიაში, წარმოადგენდა დავის საგანს ქართლისა და სომხეთის სამეფოებს შორის და ხშირად გადადიოდა ხელიდან ხელში. ამასთან, მისი სიტყვით, როდესაც გუგარქი შედიოდა ქართლში, მას ერქვა სომხეთი, ხოლო სომხეთში შემავალს სომხები მას ივერიას (ვრატანს) ეძახოდნენო¹⁰.

ქართული წყაროების ცოდნის საფუძველზე ბროსემ სწორი დასკვნა გააკეთა იმის შესახებ, რომ გუგარქი თავდაპირველად ქართული პროვინცია იყო¹¹, რადგან ფარნავაზმა იგი ორ საერისთავოდ დაჰყო — სამშვილდისა და ხუნანისა¹². მაგრამ შესაძლებელია, რომ უკვე იმავე ფარნავაზის შემკვიდრემ საურმაგმა გადასცა იგი თავის სიძეს სპარსელ ბირვანოზს. ყოველ შემთხვევაში სომხეთის პირველი არშაკიდი მეფის ვალარშაკის დროს, ძვ. წ. 150 წ. მახლობლად, გუგარქი სომხეთის ერთ-ერთ პროვინციას წარმოადგენდა¹³. საინტერესოა, რომ ბროსეს ტაციტუსის მიერ აღწერილი I ს. 30-40-იან წლებში სომხეთის სამეფო ტახტისათვის მებრძოლი ფარსმანი, მითრიდატი და რადამისტი მიაჩნდა არა ქართლის სამეფო საგვარეულოს წარმომადგენლებად, „არამედ მეორე ხარისხის მთავრებად, ანუ ერისთავებად, რომელნიც ფლობდენ სამხრეთ ივერიას, საკუთრად სომხეთის ჩრდილოეთ მხარეს, და ურთიერთში აშლილნი იყვნენ“¹⁴. მრავალი ცვლილების შემდეგ გუგარქი მოხვდა მირიან მეფის ხელში, მაგრამ მისმა შვილმა ბაქარმა იგი მისცა თავის სიძეს ფეროზს რანის სანაცვლოდ¹⁵. ჩანს, ბროსეს მიაჩნდა, რომ გუგარქი სომხებმა დაიბრუნეს ვარაზ-ბაქარის (379—393 წწ. ბროსეს მიხედვით) მეფობაში, რადგან, მისი სიტყვით, მუშუგ მამიკონიანი ამ დროს „ივერიის საზღვრებში შემო-

⁸ Additions et Éclaircissements, გვ. 74, შენ. 4.

⁹ საქართველოს ისტორია, გვ. 65.

¹⁰ Additions et Éclaircissements, გვ. 74; საქართველოს ისტორია, გვ. 79.

¹¹ M. Brosset, Histoire de la Géorgie, I, გვ. 46, შენ. 4.

¹² Additions et Éclaircissements, გვ. 74; საქ. ისტ., გვ. 25.

¹³ Additions... გვ. 73; საქ. ისტ., გვ. 30.

¹⁴ საქ. ისტ., გვ. 40.

¹⁵ Additions... გვ. 74; საქ. ისტ., გვ. 62—63.

ვარდა, დასაჯა ის მთავრები, რომელნიც არ ემორჩილებოდნენ სომხის მეფეს და შტკვრის პირად აღადგინა ორთავე სამეფოსი ძველი საზღვრები...“¹⁶. V ს. შუაში გუგარქი შედიოდა სომხეთში. მისი პიტიახში არშუშა იყო სომეხი. ელიშესა და ლაზარ ფარპეცისთან მოხსენიებული „ვირქ“ ქართლს კი არ გულისხმობს, არამედ გუგარქს¹⁷. ამიტომ იეზიდგერდ II-სთან გამოძახებული ივერიელები „საკუთრად ქართველები კი არ იყვნენ, არამედ სამხრეთ ივერიის მცხოვრებნი“¹⁸. სხვათაშორის, ბროსემ არ იცოდა, რომ ვარსქენი არშუშას შვილი იყო და აგრეთვე გუგარქის პიტიახში. ვახტანგ გორგასალის დროს, ბროსეს სიტყვით, გუგარქი ისევ ქართლს შეუერთდა და მას ორი ერისთავი განაგებდა¹⁹.

დ. ბაქრაძე თავის წიგნში „ისტორია საქართველოსი“ ყურადღებას აქცევს სტრაბონის ცნობას, რომლის თანახმადაც, თავდაპირველად პატარა სომხეთმა დიდი ტერიტორიები შეიერთა თავის მეზობელთაგან, მათ შორის იბერთაგან გოგარენე²⁰, რომელიც, მისი აზრით, შედგებოდა ხუნანისა და სამშვილდის საერისთავოთაგან²¹. სენ-მარტენის მიყოლებით დ. ბაქრაძეს მიაჩნდა, რომ სომხეთის შემადგენლობაში გუგარქი შეიცავდა აგრეთვე კლარჯეთს, არტაპანს, ჭავჭავთსა და თრიალეთს²². (სხვათაშორის, აღსანიშნავია, რომ არმენიას დ. ბაქრაძე უწოდებს სომხეთს, ხოლო სამხრეთ საქართველოს, გუგარქს კი — სომხითს)²³. გუგარქის დედაქალაქად დ. ბაქრაძეს მიაჩნდა ცურტავი, ანუ სანადირო ქალაქი, სადაც ისხდნენ პიტიახშები, „ჩვენებურად ერისთავნი“. გუგარქის პიტიახში იყო პირველი ოთხ სომეხ პიტიახშთაგან²⁴. დ. ბაქრაძე იხილავდა ქართულ-სომხურ ცნობებს იმის შესახებ, რომ ჩვ. წ. I საუკუნეში სომხებს ეჭირათ ქართლის არაერთი პროვინცია და უპირისპირებს მათ ტაციტუსის ცნობებს იმაზე, რომ სწორედ ამ დროს სომხეთი მეტად დასუსტებულა, ხოლო გაძლიერებული ქართლი სომხეთის სამეფოსთვისაც კი აწარმოებს ბრძოლებს პართელებთან.

უფრო გვიანდელი ეპოქისთვის, კერძოდ IV—V საუკუნეებისთვის,

16 საქ. ისტ., გვ. 65.

17 Additions... გვ. 73.

18 საქ. ისტ., გვ. 81.

19 Additions..., გვ. 74.

20 დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ისტორია საქართველოსი, 1889, გვ. 117.

21 იქვე, გვ. 126.

22 იქვე.

23 იქვე, გვ. 123.

24 იქვე, გვ. 127.

დ. ბაქრაძეს გუგარქი, როგორც ჩანს, ქართლის შემადგენლობაში მიაჩნია, თუმცა სპეციალურად ამაზე არაფერს ამბობს.

აღსანიშნავია, რომ სომხეთის ისტორიის გამოჩენილი მკვლევრის ნ. ადონცის აზრით, ფავსტოს ბუზანდის ცნობით, სხვა პროვინციებთან ერთად გოგარენე და გარდმანი სომხეთს განუდგნენ IV ს. არშაკის დროს. მისი მემკვიდრე პაპის დროს შეეცადნენ დაებრუნებინათ, მაგრამ სომხეთის დაყოფისას ისინი ისევ დაკარგა სომხეთმა²⁵.

ცნობილი არმენისტი მკვლევრის პ. ჰიუბშმანის აზრით, გუგარქი შეიცავდა ჭავახეთს, არტაანს, კლარჯეთს და თითქმის მთელ ქვემო ქართლს (თრიალეთამდე). მისი სიტყვით, ყველა ეს ქვეყანა სომხეთში იყო მოქცეული ძვ. წ. II ს-დან ახ. წ. IV ს-მდე.

განსაკუთრებული ღვაწლი გუგარქის შესწავლაში ისევე, როგორც საქართველოს ისტორიის მრავალი სხვა საკითხის კვლევაში, მიუძღვის ივ. ჭავახიშვილს.

თავისი „ქართველი ერის ისტორიის“ პირველ გამოცემაში იგი მიუთითებდა, რომ სტრაბონის ცნობის თანახმად, გუგარქი სომხეთმა მიითვისა ძვ. წ. II ს. დასაწყისში, 191 წ. შემდეგ, როდესაც სომხეთი არტაქსიასმა და ზარიადრემ დაიპყრეს. შემდეგ, ივ. ჭავახიშვილის სიტყვით, გუგარქი დაიბრუნეს იბერებმა, რადგან VII ს. ახ. წ. იგი იბერიაში შედიოდა. მაგრამ IX ს. კოლბოფორი და ტაშირი ისევ სომხეთის ხევები იყვნენ. სამაგიეროდ, პლინიუსის ცნობა, ივ. ჭავახიშვილის აზრით, გვიჩვენებს, რომ თეზი და თრიალეთი I ს-შიც ქრ. შ. იბერიაში შედიოდა. მისი სიტყვით, ეს გვიჩვენებს, რომ სტრაბონის დროს გუგარქი ისე დიდი არ ყოფილა, როგორც შემდეგში²⁶. საინტერესოა, რომ ამ წიგნის მეორე გამოცემაში (1914 წ.) ივ. ჭავახიშვილი სრულებით აღარ ახსენებს გუგარქს, თუმცა „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე ტომისადმი წამძღვარებულ საისტორიო გეოგრაფიის ნარკვევში დაწვრილებით ეხება სამხრეთ საქართველოსაც.

სამაგიეროდ, 1919 წ. გამოქვეყნებულ თავის „საქართველოს საზღვრების“ ნარკვევში ივ. ჭავახიშვილი აზუსტებს გუგარქის საზღვრებსაც. მისი სიტყვით, „სტრაბონის გუგარენა ანუ გუგარეთი ეხლანდელი ბორჩალოს მაზრის სამხრეთის ნაწილს უდრიდა, რომელიც დაახლოებით ჭოჭკანისა, ბოლნის-დმანისის, ლოქის ხეობათა, ტაშირს, აბოცს და თრიალეთის სამხრეთ ნაწილს შეიცავდა. ზოგჯერ გუგარეთს პოლიტიკური მიზეზების გამო უფრო ვრცელი მნიშვნელობა ენიჭებოდა და უფრო ფართოდაც იყო ხოლმე შემოხაზული. ამ ქვეყნის წინანდელი სახელის კვალი შერჩენილა ეხლანდელ საგეოგრაფიო სახელ გუ-

²⁵ Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908, гл. 225—226.

²⁶ ივ. ჭავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, 1908, გვ. 48—49.

ჯარეთში (Адонц, Армения, 425, შენ.) ქართული საგეოგრაფიო ტერ-
მინოლოგიით ეს გუგარეთი უფრო ხშირად ქვემო ქართლად იწოდე-
ბოდა, ხოლო რუსთა ბატონობის შემდეგ ბორჩალოს მაზრის სახელით
არის ცნობილი²⁷.

ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, ახ. წ. I ს-ში ქართლის გაძლიერების
დროს შესაძლებელია, რომ ქართველებმა გუგარეთი დაიბრუნეს სომ-
ხებისაგან. ამას გვაფიქრებინებს ისიც, რომ თუნი და თრიალეთი ფარ-
თოდ ნაგულისხმევ გუგარეთის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად ით-
ვლებოდა, ხოლო I ს-ში ისინი იბერებს ეკუთვნოდათო.

როგორც არ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი, ცხადია, რომ გუგარე-
თი, გარდაბანსა და კარწახთან ერთად დაიბრუნეს ქართველებმა 387 წ.
სომხეთის დაყოფის დროს²⁸.

შემდეგ ივ. ჯავახიშვილი იძლევა გუგარეთის მოკლე ისტორიულ
მიმოხილვას. მისი სიტყვით, შემდგომ პერიოდში გუგარეთი მტკიცედ
(საეკლესიო წესწყობილების მხრივაც) იყო დაკავშირებული ქართლ-
თან. მხოლოდ IX ს-ში სომეხთა ერისთავთ-ერისთავმა აშოტ ბაგრა-
ტუნიმ, რომელიც ჩაერია საქართველოს სამთავროების ბრძოლაში
პირველობისათვის, გვარამ მამფალისაგან მიიღო აბოცი. სომეხთა მე-
ფეებს ხელთ ჩაუგდიათ ტაშირიც. X ს. დასასრულისთვის ტაშირი და
ბოლნის-დმანისის ხეობანი სომეხებს ეჭირათ და იგი დავით გურგენის
შვილს ეპყრა, რომელმაც სამშვილდე თავის საჯდომად აქცია.

მაგრამ XI ს-ში ტაშირი, ლორე, ბოლნის-დმანისი ისევ ქართლ-
ში შედიან. X ს-დან ბოლნის-დმანისის ხეობებსა და ლორეს ველს
„სომხითი“ ეწოდებათ. დავით აღმაშენებლის ბრძოლების შემდეგ ეს
მხარე საქართველოს უცილობელ ნაწილად ითვლებოდა და სომეხებს
აღარასოდეს აღარ სჭერიათ²⁹.

საყურადღებოა, რომ ამ შრომაში ივ. ჯავახიშვილს აბოცი გუგა-
რეთისგან გამოცალკეებით, მესხეთთან ერთად, ამ უკანასკნელის შე-
მადგენლობაში აქვს განხილული³⁰. მისი სიტყვით, „აბოცი ჯავახეთის
სამხრეთით მდებარეობდა და ვითარცა მესხეთისა და ქვემო-ქართლის
შუა მდებარე თემი ზოგჯერ მესხეთს ეკუთვნოდა, მაგრამ ხშირად და
მე-XVII—XVIII-ე ს. ს-ში განსაკუთრებით ქვემო-ქართლის საზღვ-
რებში იყო მოქცეული“³¹.

აქვე დაწერილებით არის განსაზღვრული აბოცის მდებარეობა.

27 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს საზღვრები, გვ. 16.

28 იქვე, გვ. 17. მიუთითებს აღონცს.

29 იქვე, გვ. 18—23.

30 იქვე, გვ. 35.

31 იქვე, გვ. 35—36.

ივ. ჯავახიშვილის საისტორიო გეოგრაფიის კვლევის შეჯამებას წარმოადგენს მისი საქართველოს საისტორიო რუკა. მასზე გუგარეთის სახელით აღნიშნულია ტაშირი, სომხითი (ბერდუჯის ხეობა), ყაზახი, შამშადილო მდ. ძეგამამდე. თუ გავითვალისწინებთ მის ზევით მოყვანილ შეხედულებებს გუგარეთის შემადგენლობაზე, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ რუკაზე გუგარეთის შემადგენლობაში იგულისხმებიან აგრეთვე ქვემო ქართლის სხვა ნაწილებიც; ბოლნისი, დმანისი, სამშვილდე და შესაძლებელია მანგლისი, თრიალეთი და აბოციც.

დაწვრილებით აქვს განხილული გუგარქის შემადგენლობა პროფ. ს. კაკაბაძეს თავის გამოკვლევაში „ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები“. იბერიის სამეფოს ტერიტორიის გარკვევისას იგი იხილავს სტრაბონის ცნობებს იბერიის შესახებ და ასკვნის: სტრაბონის ხორძენე არის შემდეგდროინდელი სამცხე-არტაან-შავშეთი-მერხევ-ზემოკლარჯეთი; ხოლო გოგარენე ზემო ჯავახეთი, ტაშირი, მათი მიმდგამი ქვეყანა (მათ შორის თრელი) და ტაშირის აღმოსავლეთით მტკვრის მიმართულებით მდებარე ოლქები³². სტრაბონის ცნობით, ყველა ეს მხარე და მათთან ერთად პარიადრი დაუკარგავს იბერიას არტაქსიას გაძლიერების დროს, რამაც, ალბათ, გამოიწვია „მ. ქ.“ აზოს გადასახლება ჩრდილოეთით³³. შემდეგ სომხური ანონიმური გეოგრაფიის ცნობებზე დაყრდნობით ს. კაკაბაძე აზუსტებს გუგარქის საზღვრებს: აღმოსავლეთიდან იგი გადიოდა მტკვარზე (ძოროფორი, კოლბოფორი და წობოფორი მასში შედიოდა), შემდეგ უზვევდა ლელვანის ქედის მიმართულებით, რადგან ქვეშის, ბოლნისისა და მანგლისის ხეობები მასში არ შედიოდნენ. სამაგიეროდ მის შემადგენლობაში იყვნენ თრიალეთი, ტაშირი, ტაშირის აღმოსავლეთით კანგარი (მასში იყო ციხე გაგიო), ზემო ჯავახეთი, არტაანი და კლარჯეთი³⁴. ამასთან თრიალეთი უფრო ფართო იყო, ვიდრე ახლაც; ასევე ჯავახეთიც, რომელიც, როგორც ჩანს, პალაკაციოს ტბის სამხრეთითაც უწევდაო. სტრაბონის დროს იბერიის ფარგლებს გარეთ იყო მთელი ჯავახეთი და სამცხე. სტრაბონის შემდეგ ახლო ხანებში იბერია მნიშვნელოვნად გაიზარდა სამხრეთ-დასავლეთისკენ, რადგან პლინიუსით აბსარის (ჭოროხის) იქით იბერიაა. მაგრამ მისი შემადგენლობის გარეთაა ისევ Thasie (ტაშირი) და Thiare (თრიალეთი). მაშასადამე, გოგარენე ისევ იბერიის გარე-

32 ს. კაკაბაძე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხისათვის,

გვ. 20.

33 იქვე, გვ. 26—27.

34 იქვე, გვ. 31.

შეა. ე. ი. იბერიას დაუბრუნებია სამცხე, შავშეთი და აჭარის ნაწილი³⁵. გუგარქი იბერიამ დაიბრუნა 346—349 წლებში³⁶.

დაახლოებით ასეთივე აზრი აქვს გამოთქმული აკად. კ. კეკელიძეს თავის წერილში „ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიურ საკითხები“, სადაც იგი ამბობს, რომ მტკვრის სამხრეთით მდებარე ქვეყანა საკუთრივ ქართლია, რომელიც არის იგივე გოგარენე-გუგარქი. II ს. ძვ. წ. ეს ქვეყანა დაიპყრეს სომხებმა და იგი ქართლს დაუბრუნდა მხოლოდ 349 წლიდან³⁷.

მოკლედ აქვს მიმოხილული სომხური წყაროების ცნობები გუგარქის შესახებ პროფ. ილია აბულაძეს თავისი „შუშანიკის წამების“ გამოცემის წინასიტყვაობაში. იგი აღნიშნავს, რომ გუგარეთი ტერიტორიულად ყოველთვის ერთი და იგივე ოდენობა არ იყო. მაგ., სტრაბონის დროს კლარჯეთი მის გარეთ იყო, ხოლო VII ს. კი მასში შედიოდა ანონიმური გეოგრაფიის მიერ დასახელებულ სხვა ოლქებთან ერთად. V ს-ში, შუშანიკის წამების დროს, გუგარეთის სამხრეთი საზღვარი იყო კარგანი, რომელიც ჭავჭავთის, თრიალეთისა და ტაშირის სამხრეთით გადიოდა³⁸.

გუგარქის შემადგენლობას ანონიმური გეოგრაფიის მიხედვით გადმოგვცემს აკად. პ. მანანდიანიც თავისი „სომეხი ხალხის ისტორიის კრიტიკული მიმოხილვის“ II ტომში (გვ. 307). მას აქვს გამოთქმული ამასთან დაკავშირებით საკმაოდ საყურადღებო აზრებიც, რომელთაც დაწვრილებით თავ-თავის ადგილას შევსებებით.

გუგარენის ისტორიასა და გეოგრაფიის საკითხებს ძალიან ვრცლად და დაწვრილებით ეხება პ. ინგოროყვა თავის სქელტანიან წიგნში „გიორგი მერჩულე“. იგი აყენებს გოგარენეს სრულიად ახლებურ გაგებას. მისი დასკვნით გოგარენე არის „გარდაბანის მხარე, რომელიც მდებარეობდა საქართველოს განაპირაზე და მოიცავდა ყოფილი განჯის გუბერნიის ყაზახის მაზრის ტერიტორიას“³⁹, ძორისა და კოლბის უბნებს⁴⁰. მასში არ შედიოდა ქვემო ქართლის სხვა პროვინციები⁴¹. რაც შეეხება გოგარენეს ისტორიას, პ. ინგოროყვას შეხედულება ასეთია: გოგარენე სომხეთმა დაიპყრო არა II ს. დასაწყისში ძვ. წ., არა-

35 იქვე, გვ. 33—34.

36 იქვე, გვ. 49.

37 კ. კეკელიძე, ქართველთა მოქცევის..., მიმოხილველი, I, გვ.

38 ილ. აბულაძე, პარტილობა შუშანიკისი, გვ. 052—053.

39 პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 457.

40 იქვე, გვ. 462.

41 იქვე.

მედ ძვ. წ. 140 წ. შემდეგ⁴². იბერიამ იგი დაიბრუნა I ს-ში, იბერიის სამეფოს გაძლიერების დროს, და დაკარგა II ს. II ნახ-სა და III ს. მანძილზე. 349 წ. გოგარენე განუდგა სომხეთს და შეუერთდა იბერიას. 369—374 წწ. სომხეთმა ისევ დაიბრუნა გოგარენე, რომელიც საბოლოოდ შეუერთდა ქართლს 387 წ.⁴³

გოგარენეს შემადგენლობასა და ისტორიასთან დაკავშირებით პ. ინგოროყვას მრავალი აზრი აქვს გამოთქმული, რომელთაც ქვემოთ შევხვებით თავთავის ადგილას.

ორიოდე სიტყვა თვით ქვეყნის სახელწოდების „გოგარენე“, „გუგარქის“ ეტიმოლოგიის შესახებ. ნ. აღონცი ფიქრობდა, რომ შესაძლებელია იგი უდრის ასურულ Kakkari — ქვეყანას⁴⁴. აკად. ა. შანიძის აზრით, იგი ეთნიკურ-გეოგრაფიული ტერმინია და მასში ჰანურ-მეგრული წარმომავლობის სუფიქსი -არ- გამოიყოფა. ეს ტერმინი აღნიშნული მკვლევარის აზრით, აღნიშნავს გოგელებს, ან გუგელებს⁴⁵, პროფ. ს. კაკაბაძე გოგ/გუგ-ს სატომო სახელად მიიჩნევს და მასვე უკავშირებს ციხე გაგის სახელს⁴⁶.

პ. ინგოროყვას მიაჩნია, რომ ეს სახელწოდება წარმოშობილია ქალაქ გაგის სახელიდან. იგი იყო ამ მხარის ცენტრიო. გაგიდან ნაწარმოებია გაგარი, რაც ნიშნავს გაგელ-ს, ხოლო ამ უკანასკნელიდან მასზე მრავლობითი რიცხვის სუფიქსის -ენ-ი დართვით — გაგარენი. ამიტომ თავდაპირველია ფორმა გაგარენი, რაც დამოწმებულია სტრაბონის ზოგიერთ ხელნაწერში, ხოლო გოგარენ-ი მეორადია⁴⁷. გაგარენი ნიშნავს გაგელნი. ყოველივე ეს, პ. ინგოროყვას აზრით, კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ გოგარენე გარდაბანის მხარეა, რადგან, მისი სიტყვით, ქ. გაგი სწორედ აქ მდებარეობდა⁴⁸.

ამ მოსაზრების შესახებ უნდა ითქვას შემდეგი. პ. ინგოროყვას აზრით, გარდაბანის მხარე იწყებოდა მდ. ინჯადან (პ. ინგოროყვა მასთან აიგივებს ქურდვაჭრის ხევს), ხოლო ქ. გაგი კი მდებარეობდა მის დასავლეთით, ე. ი. გარდაბან-გოგარენეს გარეთ. ყოველ შემთხვევაში, ეს ასეა ივ. ჭავჭავაძის საისტორიო რუკაზე. პ. ინგოროყვა გაგს ათავსებს მდ. აღსეფსა და ძეგამს შორის, თუმცა კი არ მოჰყავს ამის

42 იქვე, გვ. 459.

43 იქვე, გვ. 461.

44 Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, გვ. 424.

45 А. Шанидзе, Два чано-мингрельских суффикса в грузинском и армянских языках, ЗВРАО, т. XXIII, 1916, გვ. 369.

46 ს. კაკაბაძე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, გვ. 20.

47 პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 149 და იქვე, შენ. 5.

48 იქვე, გვ. 469.

რაიმე დამამტკიცებელი საბუთი. აღსანიშნავია, რომ მის მიერ შედგენილ სამხრეთ ქართლის რუკაზე (გვ. 455) იგი არ აღნიშნავს გაგის მდებარეობას. ამასთან უნდა ითქვას, რომ ქ. გაგი არა ჩანს ძველ ქალაქად, იგი არ იხსენიება უძველესი ქალაქების რიცხვში. მისი პირველი მოხსენიება არის მხოლოდ XI საუკუნისათვის ბაგრატ IV ეპოქაში. ხოლო გოგარენე კი, როგორც ვიცით, დადასტურებულია უკვე I ს-დან.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე უფრო დამაჯერებლად გამოიყურება, გოგარენის ახსნა ეთნიკურ საფუძველზე. აკად. გ. მელიქიშვილის აზრით, აქ შეიძლება დავინახოთ სკვითების სახელწოდება „გოგ“. როგორც მეცნიერი მიუთითებს, VIII ს. მეორე ნახევარში სამხრეთ რუსეთის ველებიდან და ჩრდილო კავკასიიდან მოხდა სკვითებისა და კიმერიელების რამდენიმე შემოსევა სამხრეთში (ამიერკავკასიასა და მც. აზიაში). შემოსეული ტომები დასახლდნენ სხვა ქვეყნებთან ერთად, აგრეთვე, ამიერკავკასიაშიც, სადაც ზოგიერთ ოლქს შემორჩა მათი სახელი. მაგ., თრიალეთი უკავშირდება კიმერიელთა ტომის თრერიის სახელს, გოგარენე — გოგებისას, ხოლო მის მეზობლად მდებარე საკაშენე კი საკებისას, რაც აღნიშნული აქვს სტრაბონს⁴⁰.

სანამ განვიხილავდეთ იმ ცნობებს, რომლებიც არსებობს გოგარენე — გუგარქის შესახებ ძველ სომხურ მწერლობაში, ცოტა ხნით შევჩერდებით ანტიკური წყაროების ცნობებზე ამ საკითხზე.

ყველაზე ადრე გოგარენე მოიხსენიება სტრაბონთან. სტრაბონი აღნიშნავს, რომ გოგარენე არის სომხეთის ერთ-ერთი ყველაზე უფრო უხვი მხარე. ქვემოთ სტრაბონი გადმოგვცემს, თუ როდის შეიძინეს სომხებმა ეს ოლქი: „ამბობენ, რომ სომხეთი თავდაპირველად პატარა იყო. იგი ვაავრცელეს არტაქსიამ და ზარიადრემ, რომლებიც თავდაპირველად ანტიოქე დიდის სარდლები იყვნენ, ხოლო მისი დამარცხების შემდეგ შეფეხებად გახდნენ, პირველი სოფენაში, ავისენასა, ოდომანტიდასა და ზოგიერთ სხვა [ოლქში], ხოლო მეორე არტაქსატის სანახებში. მათ გააფართოვეს [არმენია], ჩამოაჭრეს რა მიწები მეზობელ ხალხებს, კერძოდ კი მიდიელებს — კასპიანა, ფავნიტიდა და ბასროპედა, იბერებს — პარიადრის კალთები, ხორზენა და ტოგარენა, რომელიც კირის იქით მდებარეობს, ხალიბებსა და მოსინიკებს კარენიტიდა და ქსერქსენა, რომლებიც, ემეზობლებიან მცირე არმენიას ან მის ნაწილებსაც კი შეადგენენ, კატაონებს — აკილისენა და ის ოლქები, რომლებიც ანტიტავრის გასწვრივ არიან, სირიელებს ტარონიტიდა, ისე რომ ყველა [ეს ხალხები ახლა] ერთ ენაზე ლაპარაკობენ“ [XI, II, 5].

⁴⁰ Г. Меликшвили, К истории древней Грузии, гв. 223—224.

სტრაბონის ეს ცნობა სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ არის გაანალიზებული, ამიტომ ჩვენ მის განხილვას არ დავიწყებთ. მოვიტანთ მხოლოდ იმ დასკვნებს, რომლებიც გაკეთებულია ამ ცნობის საფუძველზე ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ. მკვლევართა უმრავლესობა (დ. ბაქრაძე, ივ. ჯავახიშვილი, ს. კაკაბაძე, ს. ჯანაშია) მიიჩნევენ, რომ გოგარენე სომხეთმა დაიპყრო, სტრაბონის თანახმად, ე. ი. 189 წ. ძვ. წ. შემდეგ. თუმცა ერთ ადგილას ს. ჯანაშია იმასაც აღნიშნავს, რომ არაქსის ჩრდილოეთით მდებარე რაიონები იბერიამ დაკარგა ტიგრან II დროს (I ს. ძვ. წ.)⁵⁰.

3. ინგოროყვა უკვე გადაწყვეტიტ ამბობს, რომ გოგარენე სომხეთმა დაიპყრო არა არტაქსიას, არამედ ტიგრან II-ის დროს. ამ შემთხვევაში პ. ინგოროყვა ითვალისწინებს აპოლოდორის (II ს. ძვ. წ.) ცნობას, რომელიც დაცულია სტრაბონთან: იბერიას არმენიისაგან არაქსი ჰყოფსო, და თვით სტრაბონის სიტყვებს, რომ სინამდვილეში საზღვარი ამ ქვეყნებს შორის „უფრო კირი და მოსხური მთებია“ [1, 3, 21]. აკად. გ. მელიქიშვილი თავშეკავებით აღნიშნავს, რომ სომხების მიერ გოგარენის, ხორძენისა და პარიადრის მთიანი თემის დაპყრობა მოხდა „II ს. ძვ. წ. (შესაძლებელია, უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა — დაწყებული II ს. ძვ. წ-ო)“⁵¹. მართლაც, უთუოდ ანგარიშგასაწევია სტრაბონის ცნობა იმის შესახებ, რომ მის დროს სომხეთის მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე უკვე მხოლოდ ერთ ენაზე (ე. ი. სომხურზე) ლაპარაკობდნენ. მართალია, ეს ცნობა ჩვენ არ უნდა გავიგოთ სიტყვა-სიტყვით, მაგრამ იგი გვაფიქრებინებს, რომ ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისისთვის დაპყრობილი ტერიტორიები მნიშვნელოვნად იყვნენ არმენიზირებულნი. ეს კი თავის მხრივ გულმსახმობს იმას, რომ ისინი უკვე კარგა ხანს შედიოდნენ სომხეთის ფარგლებში.

ენახოთ ახლა, რა ტერიტორიას შეიცავდა გოგარენა სტრაბონის დროს. თვით სტრაბონის ცნობები ასეთია: მისი სიტყვით, გოგარენა მდებარეობდა მტკვრის ვადაღმა [XI, 14,5]. გამოთქმა „მტკვრის ვადაღმა“ თავისთავად ბევრის მთქმელია. სტრაბონს ეს შეიძლება ეხმარა იმ მიწაზე, რომელიც მდებარეობდა მტკვრის მარცხენა მხარეს. ამ შემთხვევაში, ალბათ, იგულისხმებოდა მტკვრის დინების იმ ადგილიდან, სადაც მტკვარი უხვევს სამხრეთისაკენ, ე. ი. ურბნისიდან. ან ამ გამოთქმას სტრაბონი იხმარდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე მხარისთვის იმავე ადგილამდე, სადაც მტკვარი სამხრეთისაკენ უხვევს.

50 ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 257.

51 Г. Меликишвили, დასახ. შრ., გვ. 1:37. აგრეთვე, გვ. 299—300.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ გუგარეთი მტკვრის მარცხენა მხარეს არ მდებარეობდა. მაშასადამე, იგი მტკვრის სამხრეთით უნდა ვიგულისხმოთ. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ გამოირიცხულად გვეჩვენება გოგარენეს მდებარეობის ინგოროყვასეული გაგება. მართლაც, თუ გოგარენე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, მდინარეების ინჯუსა და ძეგამს შორის მდებარეობდა, სტრაბონი მას მტკვრის გაღმა მდებარე მხარედ არ მოიხსენიებდა. სტრაბონის გამოთქმა გვეავლებს ვიფიქროთ, რომ, სტრაბონის აზრით, ეს ქვეყანა მდებარეობდა სადღაც იმ ქვეყანაში, რომელიც მოქცეულია ჩრდილოეთისა და სამხრეთისკენ მიმდინარე მტკვარს შორის, ე. ი. ქვემო ქართლში.

ყურადღებას იქცევს სტრაბონის ცნობები იბერია-სომხეთის საზღვრის შესახებ, რომლებიც დაწერილებით აქვს განხილული ს. ჯანაშიას. ამ უკანასკნელის დასკვნით, სასაზღვრო ხაზი სტრაბონის დროს გადიოდა მტკვრისა და არაქსის წყალგასაყარ მთებზე⁵². მაგრამ ამ შემთხვევაში გამოდის, რომ შემდეგდროინდელი ტაშირის დიდი ნაწილი, თუ მთლიანად არა, ქართლის სამეფოში რჩებოდა. მართლაც, სტრაბონის ცნობებიდან ირკვევა, რომ მტკვრის მთელი აუზი კამბისენემდე იბერიის საზღვრებშია; სტრაბონი ამბობს, რომ არაქსი დის სომხეთზე, ხოლო მტკვარი იბერიასა და ალბანეთზე [XI, 1, 5]; რომ იბერიის „შუაში არის დაბლობი, რომელსაც მდინარეები რწყავს და მათ შორის ყველაზე დიდი მტკვარია“ [XI, 3, 2]. საინტერესოა, სტრაბონის გამონათქვამი იმის შესახებ, რომ იბერია და ალბანია „სამხრეთიდან ისაზღვრებიან ზოლით მტკვრის შესართავიდან კოლხეთამდე, რომელსაც დაახლოებით სამი ათასი სტადიონის სიგრძე აქვს ზღვიდან ზღვამდე ალბანელებსა და იბერებზე გადავლით“ [XI, 1, 5]. თუ ჩვენ გავაველებთ ხაზს მტკვრის შესართავიდან არათუ შავი ზღვის ყველაზე სამხრეთ კუთხემდე, არამედ შუამდეც კი (ვთქვათ, ფოთთან), ვნახავთ, რომ იბერიის ფარგლებში სწორედ ზემომოხსენებული ტერიტორია დარჩება. მეორეგან სტრაბონი ამბობს, რომ „სწორედ ალბანელები და იბერები შეადგენენ ხსენებული (ე. ი. კავკასიის) ყელის მთავარ მოსახლეობას“ [XI, 2 19]. აქედანაც ჩანს, რომ იბერების ტერიტორია სამხრეთი რაიონების დაკარგვის შემდეგაც საკმაოდ შორს ვრცელდებოდა სამხრეთისაკენ.

ამას ადასტურებს სტრაბონის ის ცნობაც, რომ ხორძენა და კამბისენა სომხეთის ყველაზე ჩრდილოეთი და ყველაზე თოვლიანი ოლქებია [XI, 14,4]. კამბისენას ჩვეულებრივ ქართულ კამბეჩოვანთან აიგივებენ და იორის ქვემო დინების რაიონად მიიჩნევენ. ხოლო, რად-

52 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, II, გვ. 255.

განაც სომხეთის საზღვარი მტკვრის ჩრდილოეთით არასოდეს არ გადადიოდა, ს. ჯანაშიას მიაჩნდა, რომ „კამბისენეს სომხური ნაწილი იორ-ალაზნის შუაწყლის სამხრეთით მდებარე მაღალი ქედების ბამბაკის აღმოს. ნაწილისა და შაპ-დაღის მთიანეთში უნდა ვეძიოთ“⁵³. საფიქრებელია, რომ კამბისენეს სომხური ნაწილი უფრო ჩრდილოეთით ყოფილიყო, თუმცა იქ უკვე აღარ არის მაღალი მთები⁵⁴.

უფრო რთულია ხორძენეს საკითხი. მარკვარტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სტრაბონის ხორძენე არის დამახინჯებული ხოლარძენე და უდრის პტოლემეაიოსის კატარზენეს. ეს უკანასკნელი კი კიპერტის მიყოლებით მიაჩნიათ (ჰიუბშმანი, მარკვარტი, მარი...) კალარძენეს, ანუ კლარჯეთის დამახინჯებად. მაშასადამე, ამ მკვლევართა აზრით, ხორძენე იგივე კლარჯეთია. ს. კაკაბაძე კიდევ უფრო აფართოებს მის ტერიტორიას და ხორძენედ მიიჩნევს სამცხე-არტაან-შავშეთ-იმერხევს ზემო კლარჯეთითურთ⁵⁵. უკანასკნელად აკად. გ. მელიქიშვილი შესაძლებლად მიიჩნევს, რომ სტრაბონის ხორძენე იყოს პტოლემეაიოსის კატარზენე და მისი გამოძახილი იყოს ქართული კლარჯი⁵⁶. ხოლო თვით ხორძენეს ტერიტორია, მისი აზრით, არის გოგარენეს დასავლეთით მდებარე ისტორიული ზემო ქართლის (მესხეთის) მნიშვნელოვანი ნაწილი⁵⁷.

ს. ჯანაშია სტრაბონის ხორძენეს აიგივებდა აპიანეს ხოტენესთან (სხვათაშორის ეს გაიგივება მოცემული აქვს ჯერ კიდევ ს. რეინაკს) და მიაჩნდა, რომ იგი შეიცავდა გიუმუშხანეს თემის აღმოსავლეთ ნაწილს და ბაიბურდის თემს. იგივე ბერძნულ ხორძენედ მიაჩნდა მას ადრინდელი — ფეოდალური სომხეთის ერთი დასავლური თემი ხორძიანა ანუ ხორძიანენა. თავისი აზრის დასამტკიცებლად მას მოჰყავდა ადგილობრივი ტოპონიმების ზოგიერთი ფაქტი, მაგ., დაბა ხოტინოს, ხოტინოს-ქეფრუს, ოტენეულას, მდ. ოვენე-დერეზე ხორზიანის ველის (არტაანის სამხრეთით) და სხვა სახელები⁵⁸. ხორზიანის ველის სახელს ყურადღება მიაქცია აგრეთვე აკადემიკოსმა პ. მანანდიანმაც, რომელმაც აგრეთვე იგი მიიჩნია ძველ ხორძენედ⁵⁹.

თუ ჩვენ გავისხენებთ იმავე სტრაბონის ცნობას იმის შესახებ, რომ მტკვარს „სათავე აქვს არმენიაში, მაშინვე შედის დასახელებულ

⁵³ ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 257.

⁵⁴ შტრ. Г. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 123.

⁵⁵ ს. კაკაბაძე, ქართ. საზ. გენეზისის საკითხები, გვ. 20.

⁵⁶ Г. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 114.

⁵⁷ იქვე, გვ. 291.

⁵⁸ ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 92—94.

⁵⁹ Я. А. Манандян, Маршруты пограничного похода Помпея, 1940, 3—4, გვ. 9. ჩანს, ს. ერემანც ამ აზრისაა.

ბარში“ [XI, 3,2] (ეს ბარი კი მისი სიტყვით იბერიის შუაშია), მაშინ უნდა მივიღოთ, რომ ხორძენე არ უნდა იყოს არც სამცხე, არც შავშეთი, არც არტაანი და საეკვოდ მოგვეჩვენება მასთან კლარჯეთის გაიგივებაც.

როგორც არ უნდა გადაწყდეს ხორძენეს ლოკალიზაციის საკითხი, ვხედავთ, რომ თუ ხორძენე და კამბისენე სომხეთის ყველაზე უფრო ჩრდილოეთის ოლქები იყო, მაშინ გოგარენეც სხვა ოლქებთან ერთად მათზე უფრო სამხრეთით უნდა ყოფილიყო. ე. ი. სტრაბონის გოგარენე მერმინდელი ტაშირის სამხრეთ ნაწილად და მის სამხრეთით მდებარე ქვეყნად უნდა მივიღოთ. რომ მტკვრის სამხრეთით მდებარე ქართლის ტერიტორია, მართლაც დიდი იყო, ჩანს დიონ კასიუსის ცნობებიდანაც, როგორც შენიშნული აქვს ს. ჯანაშიას. დიონ კასიუსის სიტყვით, მას შემდეგ, რაც პომპეუსმა იბერიის მეფე არტოკო განდევნა მტკვრის მარცხენა მხარეს და ხელთ იგდო სამეფო რეზიდენცია, იგი „გაემართა და დაიპყრო მთელი (ქვეყანა) მტკვარს გამოღმა“ [XXXVII, 1—2]. ს. ჯანაშიას შენიშვნით, ამ „ცნობიდან აშკარაა: იბერიას ეკუთვნოდა მტკვრის ორივე ნაპირი და მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ქართლის მიწაწყალი იმდენად ვრცელი იყო, რომ, სამეფო რეზიდენციის დაცემის მიუხედავად, მის დაპყრობას მთელი ლაშქრობა სჭიროდა. ამითვე აიხსნება, რომ სამეფო საჯდომი მტკვრის მარჯვენა ნაპირას მდებარეობდა“⁶⁰.

აქვე მოვიტანთ პლინიუსის ცნობასაც, რომლის თანახმადაც თასის და თრიარის ოლქები იბერიის შემადგენლობაში არიან (regio Thasie et Thriare VI, § 29). ჩვეულებრივად თასი მიაჩნიათ ტაშირად, ხოლო თრიარი — თრიალეთად.

გოგარენე, ოღონდ ტოსარენეს ფორმით, მოხსენიებულია კლავდიუს პტოლემეაიოსთანაც სომხეთის შემადგენლობაში [V, 12, 9] და ობარენეს ფორმით — სტეფანე ბიზანტიელთან აგრეთვე სომხეთში. საყურადღებოა, რომ პტოლემეაიოსის სიტყვით, გოგარენა მდებარეობს მტკვრის გასწვრივ. გამოდის, რომ მან ჩრდილოეთისკენ გადაინაცვლავს შეიძლება აიხსნას ორი გარემოებით. ჩანს, სომხეთმა მოახერხა თავისი საზღვრების ჩრდილოეთისკენ გაფართოება. ამასთანავე საფიქრებელია, რომ ხდება თვით სახელწოდების რამდენადმე ჩრდილოეთისკენ გადაინაცვლებაც. საინტერესოა, რომ ასეთივე მოვლენას აქვს ადგილი, თუმცა კი უფრო აღრინდელ ეპოქაში, სხვა ქართული პროვინციების სახელების მიმართ, როგორც არის ზაბახა-ჯავახეთი, დიაუხიტაო, კატარზა-კლარჯეთი, ვიტერუხი-ბიზურა-ოდრაგე⁶¹.

60 ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 253—254.

61 Г. Меликишвили, К истории ..., გვ. 114.

ამრიგად, როგორც ანტიკური წყაროებიდან ირკვევა, სტრაბონისეული გოგარენე მოიცავდა ქვემო ქართლის უკიდურეს სამხრეთ ნაწილს და, საფიქრებელია, მის სამხრეთით მდებარე ქვეყანასაც. როგორც ჩანს, შემდგომ პერიოდში ხდება გოგარენეს სახელწოდების ნელი გადაადგილება უფრო ჩრდილოეთისკენ.

ფიქრობენ, რომ იბერიის გაძლიერებისას ახ. წ. I ს-ში, შესაძლებელია, მან მოახერხა დროებით დაებრუნებინა გოგარენე.

საკუთრივ სომხურ წყაროებში გოგარენე-გუგარქი პირველად მოხსენიებულია აგათანგელოსთან. აგათანგელოსის სიტყვით, ტრდატ მეფემ გრიგორ განმანათლებლის ჩამოსაყვანად კესარიიდან გაგზავნა „იშხანები, რჩეულნი, მხარეთამპყრობელნი, ქვეყანამპყრობელნი, ათასისთავნი, ათათასისთავნი“. ესენი იყვნენ „პირველი იშხანი ანგელტუნისა, მეორე იშხანი ალძნიქისა, რომელიც არის დიდი პიტიახში, მესამე, იშხანი მარდპეტობის სამთავროსი, მეოთხე, იშხანი გვირგვინის დამდგმელი ასპეტობის მთავრობისა, მეხუთე, იშხანი სპარაპეტობისა, სომეხთა ქვეყნის სარდალი, მეექვსე, იშხანი კორდუქის ქვეყნისა, მეშვიდე, იშხანი წოფელთა ქვეყნისა, მერვე, იშხანი გუგარელთა ქვეყნისა, რომელი მეორეც წოდებულია პიტიახშად“. შემდეგ დასახელებულია კიდევ შვიდი სხვა სომეხი დიდებული⁶².

ამ ცნობაში ყურადღებას იქცევს რამდენიმე მომენტი:

1. გუგარქის პიტიახში მოხსენიებულია მერვედ. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი თავისი მნიშვნელობითა და გავლენით პირველი რიგის დიდებული არ იყო. მის შემდეგ დასახელებულნი არიან ისეთი დიდი და ძლიერი მთავრები, როგორც იყვნენ რშტუნიები, მოკთამთავრები, სივნიეთის მთავრები, უტიქის მთავრები და სხვ. ამასთან საყურადღებოა, რომ გუგარქის მთავარზე ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ისიც პიტიახშია, მაშასადამე, მას განსაკუთრებული პოლიტიკური მდგომარეობა ექირა.

2. აგათანგელოსთან ჩამოთვლილი მთავრები სახელდებულნი არიან ან თავისი სამთავროს გეოგრაფიული სახელის მიხედვით (მაგ., იშხანი ანგელტუნისა, იშხანი ალძნიქისა, იშხანი ზარეგანდისა და პერის ოლქისა). ან იმ სახელს მიხედვით, რომელიც მათ ექირათ (მაგ., იშხანი მარდპეტობისა, იშხანი გვირგვინისდამდგმელი ასპეტობისა, იშხანი სპარაპეტობისა), ან იმ გვარის სახელის მიხედვით, რომელთა წარმომადგენელიც იყო ესა თუ ის მთავარი (მაგ., იშხანი რშტუნიქთა, იშხანი არწრუნთა) და ბოლოს იმ ეთნიკური კოლექტივის მიხედვით, რომელსაც მოცემული იშხანი მთავრობდა (მაგ., იშხანი წოფელთა ქვეყნისა, იშხანი მოკთა ქვეყნისა, იშხანი სივნიელთა ქვეყნი-

⁶² Ագաթանգեղոսյ Պատմութիւն Հայոց. Տիփլիս, 1909. გვ. 414.

სა, იზხანი უტიელთა ქვეყნისა). საინტერესოა, რომ გუგარქის მთავარიც სწორედ ამ უკანასკნელებთან ერთად არის მოხსენიებული, როგორც იზხანი გუგარელთა ქვეყნისა.

მეტად საყურადღებოა, აგრეთვე, აგათანგელოსის მიერ აშოცის ხსენებაც. აგათანგელოსით ტრდატმა გრიგორის ორი შვილის ჩამოყვანა დაავალა სამ დიდებულს. „პირველის სახელი არტავაზდი, რომელიც სპარაპეტი იყო მთელი დიდი სომხეთის ჯარსა, ხოლო მეორისა სახელია ტაქატი, მთავარი აშოცქის გავარისა, მესამეს სახელი დატი, მეფის კარაპეტი“⁶³. როგორც ვხედავთ, აგათანგელოსის წარმოდგენით, III ს. დასასრულს და IV ს. დასაწყისისთვის აშოცი გუგარქში არ შედის.

მეტად საყურადღებო ცნობები აქვს გუგარქის შესახებ ფავსტოს ბუზანდს. ფავსტოსის გადმოცემით, სპარსეთთან ოცდაათობმეტი წლის სისხლის მღვრელი ომებზე შემდეგ სომხებში დაიწყო არეულობა. მეფე არშაკს გადაუდგა მრავალი დიდებულნი, რომლებსაც არ უნდოდათ ომის გაგრძელება. ესენი იყვნენ ალძნიქისა და ნოშირაკიანის პიტიახშები, მაჰკერ-ტუნის, ნიხორაკიანისა და დასნის მფლობელები. „ამის შემდეგ გუგარქის პიტიახში და მის შემდეგ ძორის გავარის უფალი, და კოლბის გავარის უფალი, და მათთან გარდმანაძორის უფალი. და ისინი, ვინც მათ მხარეებში იყვნენ, ვინც მათს ირგვლივ იყვნენ, ერთიანად აუჯანყდნენ სომხეთის მეფეს არშაკს და აღიძრნენ, წავიდნენ, წარსდგნენ სპარსთა მეფის შაპუჰის წინაშე“⁶⁴. არშაკს გადაუდგნენ აგრეთვე არძახი, ტმორიქი, კორდიქი, არშაკის სამფლობელოები ატრაპატაკიანში, მართა ქვეყანა და სხვ.

ს. კაკაბაძე ამ ამბავს ათარიღებს IV ს. ორმოციანი წლებით და უმატებს: „ნამდვილად კი შესაძლებელია, რასაკვირველია რომ საპიტიახშოს ჩამოშორება უფრო ადრეც მომხდარიყო, მხოლოდ არშაკ მეფის დროს ამ მომხდარმა ჩამოშორებამ პოვა კიდევ ერთი გამოხატულება. ყოველს შემთხვევაში ცხადია, რომ მე-4 საუკ. პირველ ნახევრის დასასრულს გუგარქი უკვე საბოლოოდ ჩამოშორებული იყო სომხეთისაგან და მამასაღამე, დაკავშირებული ქართლთან“⁶⁵. პ. ინგოროყვას სიტყვით, „გოგარენის მხარეს მე-4 საუკუნის მანძილზე ორჯერ მოუხდენია აჯანყება სომხეთის წინააღმდეგ საქართველოსთან გაერთიანების მისაღწევად. პირველად გოგარენის მხარე გასდგომია სომხეთს და შეერთებია საქართველოს 349 წელს; მეორედ გოგარენის მხარე გასდგომია სომხეთს 387 წელს“⁶⁶.

⁶³ აგათანგელოსი, გვ. 451.

⁶⁴ Фавстосих Пхаваншуги, Уашириქსин ჯაიფ, ტიჭიქი 1912. გვ. 242.

⁶⁵ ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 49.

⁶⁶ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩული, გვ. 474.

უნდა აღინიშნოს, რომ არშაკ II-ის მეფობა მოდის 345—367 წლებზე. ფავსტოსის სიტყვით, როგორც ვნახეთ, გუგარქისა და სომხეთის სხვა პროვინციების აჯანყება მომხდარა სპარსეთთან 34-წლიანი ომის შემდეგ, არშაკის მეფობის უკანასკნელ წელსა, თუ უკანასკნელ წლებში. ე. ი. IV ს. 60-იანი წლების შუაში, ან მეორე ნახევარში.

არშაკის შემდეგ სომხეთის ტახტზე ავიდა მისი შვილი პაპი, რომელიც მეფობდა 369—374 წლებში. ფავსტოსის გადმოცემით პაპის მეფობაში. სომხეთის სარდალმა მუშელ მამიკონიანმა დალაშქრა არშაკის დროს სომხეთისაგან გამდგარი ოლქები და ისევ მიუერთა ისინი სომხეთს. ამ ოლქებს შორის მოხსენიებულია გუგარქიც. ფავსტოსი ამბობს: „ამის შემდეგ მუშელმა ილაშქრა ქართლის მეფეზე, ძალიან შეავიწროვა და გაანადგურა, დაიპყრო მთელი ქართლის ქვეყანა. მახვილს მისცა ყველა აზატები და ნახარათა გვარები, რომლებიც ჰპოვა. სპარაპეტმა მუშელმა ბრძანა, ჯვარს ეცვათ ქართლის ქვეყანაში ფარნავაზიანები, ხოლო გუგარქის პიტიახში, რომელიც წინათ სომხეთის მეფეს ემსახურებოდა და ბოლოს აუჯანყდა მას, დაიჭირა, თავი მოჰკვეთა და მოსპო მთელი მამრობითი შთამომავლობა მის გვარში, ხოლო ქალები და ქალიშვილები დაატყვევა. საერთოდ ამ ქვეყნის ყველა ნახარას, რომელიც აუჯანყდა სომხეთის მეფეს, თავი მოჰკვეთა, მთელი გვარი ხელახლა დაიპყრო და მძევლებიც აიყვანა, დანარჩენებს კი ხარკი დააკისრა. მან დაიპყრო მიწა ძველ საზღვრამდე სომხეთსა და ქართლს შორის, ე. ი. დიდს მდინარემდე, რომელსაც ჰქვია მტკვარი და უკან დაბრუნდა“⁶⁷.

ფავსტოსს ბუზანდის ცნობები მეტად საყურადღებო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. მაგალითად, წინააღმდეგ „ქართლის ცხოვრების“ მტკიცებისა — თითქოს ფარნავაზიანთა დინასტია შეწყვეტილიყოს ასფაგურ მეფესთან ერთად (III ს. დასასრული), ხოლო ამ ოჯახის უკანასკნელი წარმომადგენელი თითქოს მირიან მეფის ცოლი ყოფილა, რომელიც მირიანის ყმაწვილობაშივე გარდაცვლილა, ირკვევა, რომ ფარნავაზიანები ქართლში მეფობდნენ V ს-შიც. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა, საიდან იცოდა ფავსტოსმა მათი არსებობის შესახებ. ამჯერად ჩვენ ვერ გამოვეციდებით ყველა ამ ცნობის დაწერილებით განხილვას და დაკვამყოფილებით იმის აღნიშვნით, რომ ფავსტოსის ცნობების შინაარსი ასეთია: არშაკ II-ის მეფობის უკანასკნელ წლებში, ე. ი. IV ს. 60-იან წლების მეორე ნახევარში, გუგარქის პიტიახში აუჯანყდა სომხეთის მეფეს და მიუვიდა სპარსელთა შაჰს. როგორც ჩანს, გუგარქის პიტიახში საერთოდ დამო-

67 ფ ა ვ ს ტ ო ს ი, გვ. 315—316.

უკიდებლობა არა ჰსურვებია, რადგან მისი სამფლობელო ქართლს დაჰკავშირებია, რადგან, როგორც ვნახეთ, როდესაც რამდენიმე წლის შემდეგ მუშელ მამიკონიანმა ილაშქრა მის დასაბრუნებლად, გუგარქი ქართლში შედიოდა და მუშელს მთელი ქართლი დაუბრებია. აქედან გამომდინარეობს, რომ ამ დროს ქართლის სამეფო ტახტზე სპარსული ორიენტაციის პირი უნდა მჯდარიყო. მაგრამ ასეთ დასკვნას ეწინააღმდეგება ზოგიერთი ვარაუდი. მართლაც, ჩვენ გვაქვს პირველხარისხოვანი წყარო, რომელიც დაწვრილებით აგვიწერს ამ დროს სიტუაციას ამიერკავკასიაში. ეს არის ამიანუს მარცელინუსის „ისტორია“.

ამიანუს მარცელინუსის ცნობით, ჯერ კიდევ 361 წ. რომაელები ცდილობდნენ ძვირფასი საჩუქრებით მოეგოთ იბერიის მეფის მერიბანესის გული, რათა მას სპარსელთა მხარი არ დაეჭირა. უნდა ვიფიქროთ, რომ მათ ამ მიზანს მიაღწიეს, რადგან არაფერია ნათქვამი რომაელთა მიმართ მერიბანესის მტრული მოქმედების შესახებ [XXI, 6, 18]. შემდეგ მარცელინუსი გადმოგვცემს, რომ სპარსეთის შაჰმა შაპურმა ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ მოტყუებით ხელთ იგდო სომხეთის მეფე არშაკი 368 წ.—, ამის შემდეგ, რათა ვერაგობას არ გამოეტოვებინა არაფერი უბიწო, მან განდევნა რომაელებს მიერ იბერიის მმართველად დანიშნული სავრომაკე და დაავალა ვინმე ასპაკურს ამ ტომების მართვა. დაადგა რა მას გვირგვინი, რათა ეჩვენებინა, რომ ჩვენი მთავრობის გადაწყვეტილებას ყურადღებას არ აქცევდა“ [XXVII, 12,4].

როგორც ვხედავთ, არშაკის მეფობის დროს, ე. ი. მაშინ, როდესაც ფავსტოსის ცნობით სომხეთს გამოეყო გუგარქის საპიტიახშო, იბერიის ტახტზე იჯდა რომაელების მიერ დაყენებული და რომაული ორიენტაციის მქონე საურმაგი. მაგრამ ამ შემთხვევაში საეჭვოდ გამოიყურება ფავსტოსის ცნობა იმის შესახებ, რომ აჯანყებული გუგარქის პიტიახში მიუვიდა ირანის შაჰს. ცხადია, ირანის შაჰი არავეითარ შემთხვევაში არ მოინდომებდა მის ერთ მტერს (სომხებს) ჩამოშორებული გუგარქი დაკავშირებოდა მისი მეორე მტრის (რომაელების) ქვეშევრდომს (ქართლს). მაშასადამე, გუგარქის დაკავშირება ქართლთან არ არის ირანელთა პოლიტიკის შედეგი, არამედ თვით გუგარქის შინაგანი ძალების მოქმედების შედეგია. ჩანს, გუგარქის პიტიახშმა იხელთა დრო, როდესაც სომხეთი დასუსტებული იყო ხანგრძლივი ომებით და დაუბრუნდა თავის ძველ დედა-სამშობლოს.

შემდეგ მარცელინუსი აგვიწერს სპარსელების ბრძოლას სომხეთში. საყურადღებოა, რომ მარცელინუსის მოთხრობა ზოგადად და ბევრი დეტალითაც კი ემთხვევა ფავსტოს ბუზანდის აღწერას. მარცელინუსის გადმოცემით, სპარსელებმა დაიკავეს მთელი სომხეთი, მაგრამ

იმპერატორმა ვალენტმა დახმარება აღმოუჩინა არშაკ მეფის შვილს პარას (ცხადია, ეს იგივე ფავსტოსის პაპია), გააყოლა მას სარდალი ტერენციუსი და მამისეულ ტახტზე აიყვანა. მეტად მოხერხებული ინტრიგებით შაბურმა შესძლო თავის მხარეზე გადაებირებინა პაპი, მაგრამ ამ დროს სომხეთში ჩავიდა კომიტი არინთეოსი და სომხეთი ისევ რომაელთა გავლენის სფეროში დარჩა. შაბური იძულებული იყო, მოეშალა განზრახული ლაშქრობა სომხეთში და სთხოვა იმპერატორს, არ დაეცვა სომხები სპარსელებისაგან, როგორც ეს გადაწყვიტათ მასა და იოვიანეს. „ეს უარყოფილ იქნა, — გადმოგცემს მარცელინუსი, — და სავრომაკე, რომელიც, როგორც ზემოთ უკვე ნათქვამი გვაქვს, განდევნილი იყო იბერიის სამეფოდან, გაგზავნეს [იქ] თორმეტი ლეგიონითა და ტერენციუსით. როდესაც იგი მიუახლოვდა მდინარე მტკვარს, ასპაკურმა მიმართა თხოვნით, რომ მას გაეყო მასთან [ასპაკურთან] სამეფო ხელისუფლება, როგორც ნათესავეთან. მან განსაჯა, რომ ამგვარად იგი არც ძალაუფლებას დასთმობდა და რომაელთა მხარეზეც ასევეარად გადასვლას თავს მოარიდებდა, რადგან მისი შვილი ულტრაჟერ კიდევ სპარსელებთან იყო, როგორც მძევალი.

როდესაც იმპერატორმა გაიგო ეს, უნდოდა რა გონიერად და ფრთხილად შეერბილებინა ის არეულობანი, რომლებიც შეიძლებოდა წარმოშობილიყო, ამის გამო დათანხმდა იბერიის გაყოფას: მტკვარს უნდა გაეყო იგი შუაზე; საურმაგს რჩებოდა ის ნაწილი, რომელიც უფრო ახლოს იყო არმენიასთან და ლაზებთან, ხოლო ასპაკურს — ალბანეთისა და სპარსეთის მეზობლად მყოფი“ [XXVII, 12, 161].

ჩვენთვის დიდ მნიშვნელობას იღებს იმ საკითხის გარკვევა, თუ რომელი მხარე ერგო საურმაგს და რომელი ასპაკურს. უნდა ითქვას, რომ ამ საკითხის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. ლებოს „ბიზანტიის ისტორიაში“ პირდაპირ არის გამეორებული მარცელინუსის ცნობა იმის შესახებ, რომ საურმაგს ეჭირა სომხეთისა და ლაზების მიმდგომი მხარე, ასპაკურს კი ალბანეთისა და ლაზებისაო⁶⁸. ეს აზრი გაიმეორა ს. ბარათაშვილმაც თავის „История Грузии“-ში⁶⁹. მ. ბროსე საერთოდ ეჭვის თვალთ უყურებდა ამიანუს მარცელინუსის ამ ცნობას, თუმცა შემდგომში მან გამოთქვა აზრი, რომ აქ ლაპარაკი არ არის ქართლზე, იბერიაზე, რომ საურმაგს ერგო ლაზიკა და სომხეთის მიმდგომი მხარე, ხოლო ასპაკურს — ალბანეთი⁷⁰. ასეთივე აზრი აქვს გამოთქმული დ. ბაქრაძესაც⁷¹.

⁶⁸ Histoire du Bas-Empire, t. III.

⁶⁹ С. Баратов, История Грузии, т. II—III, 1871, გვ. 18—19.

⁷⁰ Histoire de la Géorgie, 1^{er} p. 1849, გვ. 134—135, შეფ. 3; I. H. de la G. Introduction..., 1858, გვ. XXXVIII—XXXIX.

⁷¹ დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, 1889, გვ. 150.

მდევო ვითარება არცერთი მხარისთვის არ იქნებოდა ხელსაყრელი. გამოვიდოდა, რომ ქვემო ქართლში მკდომი ასპაგური მოხვდებოდა სამი მხრივ: სომხეთის, ლაზიკისა და შიდა ქართლის მხრივ, რომაელთა ქვეშევრდომ სამფლობელოებს შორის, ხოლო რომაელთა მომხრე საურმაგი კი სპარსეთის ქვეშევრდომ ასპაგურსა და ალბანეთს შორის.

დავუბრუნდეთ ახლა ფავსტოს ბუზანდს. როგორც აღნიშნული გვაქვს, არშაკის მეფობის უკანასკნელ წლებში გუგარქი შეუერთდა ქართლს. ჩვენ ვნახეთ, რომ ამ დროს ქართლში რომაელთა ქვეშევრდომი საურმაგი ზის ტახტზე. შემდეგ საურმაგი მართავს მტკვრის სამხრეთით მდებარე ნაწილს, ე. ი. სწორედ იმ მხარეს, რომელშიც შედიოდა გუგარქი. ფავსტოსის ცნობით, პაპის მეფობაში სომხებმა დალაშქრეს გუგარქი და საერთოდ მთელი ქართლი და გუგარქი ისევ დაიბრუნეს. განვიხილოთ, თუ როდის შეიძლებოდა მომხდარიყო ეს ამბავი.

მარცელინუსის ცნობით, მას შემდეგ, რაც შაპურმა ხელთ იგდო სომხეთის მეფე არშაკი, მან შეძლო განედევნა ქართლიდან ქართლის მეფე საურმაგიც და მის მაგივრად დაენიშნა ასპაგური. ერთი წელიც არ გასულა, რომ რომაელებმა სომხეთის ტახტზე აიყვანეს პაპი. აქ ისმის კითხვა — გუგარქის სომხეთისგან ჩამოშორება და ქართლთან მიერთება ხომ არ მოხდა იმ ორ მომენტს შორის, როდესაც შაპურმა არშაკი დაიჭირა და ქართლში ასპაგური გაამეფა და სანამ პაპი სომხეთში მოიპოვებდა ძალაუფლებას? ასეთ გაგებას ეწინააღმდეგება თვით ფავსტოსის ცნობა, რომლის თანახმად გუგარქის გადგომა მოხდა ჯერ კიდევ არშაკის მეფობაში. ამავე დროს ამიანუს მარცელინუსიც არაფერს ამბობს ამ ამბავზე, თუმცა იგი დაწვრილებით გადმოგვცემს სწორედ ამ პერიოდის ვითარებას სომხეთსა და ქართლში.

ეს ლაშქრობა ვერ მოხდებოდა იმ დროსაც, როდესაც სომხეთში მეფობდა რომაელთა მომხრე პაპი, ხოლო ქართლში კი სპარსელთა მომხრე ასპაგური, რადგან პაპის გამეფებისთანავე ამ ამბით განრისხებული შაპური, მარცელინუსის გადმოცემით, შეესია სომხეთს და საშინლად ააოხრა იგი. შემდეგ კი შაპურმა მოახერხა თავის მხარეზე გადაებრებიან პაპი. ნაკლებად სავარაუდებელია, რომ ირანელთა მხარეზე გადასულ პაპს ელაშქრა ირანელთავე ქვეშევრდომ ასპაგურის სამფლობელოზე, ისიც სწორედ იმ დროს, როდესაც სომხეთი საშინლად იყო აოხრებული შაპურის შემოსევის შედეგად (მარცელინუსის გადმოცემით, შაპურს ხეხილიც კი გაუჩხვია). როგორც ვთქვით, რომაელებმა მაშინვე აღადგინეს თავიანთი პოზიციები სომხეთში, გაგზავნეს რა იქ კომიტი არინთეოსი და პაპიც ისევ რომაელთა მხარეზე გადავიდა. ამავე დროს სამხრეთ ქართლში გამეფდა რომაელთა მომხრე

საურმაგიც. არც ახლაა მოსალოდნელი პაპის ლაშქრობა ქართლში. ამასთან დაკავშირებით უნდა გავითვალისწინოთ, რომ რომაელთა პოზიცია ამგვარი ლაშქრობის მიმართ, უეჭველია, მეტად უარყოფითი იქნებოდა. მართლაც, ქვემო ქართლის დალაშქრისა და მისგან გუგარქის ჩამოცილების შემთხვევაში, ცხადია, დაირღვეოდა ის ძალთა წონასწორობა ქართლში, რომელიც შეიქმნა ქართლის გაყოფის შემდეგ საურმაგსა და ასპაკურს შორის. ამასთანავე ძალიან შეილახებოდა რომაელთა მომხრე საურმაგის პრესტიჟიც. თუ ახლა გავითვალისწინებთ იმასაც, რომ პაპის დროს სომხეთში მნიშვნელოვანი რომაული ძალები იყო, გასაგები გახდება, რომ რომაელთა სურვილის წინააღმდეგ ასეთი ლაშქრობის ჩატარება მეტად გაუჭირდებოდა.

მართალია, რომაელებმა საბოლოოდ მოაკვლევინეს პაპი, რაც ნიშნავს, რომ იგი, როგორც ჩანს, მთლად ერთგული არ იყო რომაული პოლიტიკისა, მაგრამ ეს ვერ გამოგვაცვლევინებს შეხედულებას. მარცელინუსი პაპის მკვლელობას უწოდებს „საზიზღარ ბოროტებას“, „სამარცხვინო ამბავს“ [XXX, 1, 1]. მარცელინუსის გადმოცემით, მთავარი დამნაშავე ამ საქმეში იყო ლუკა ტერენციუსი, რომელიც მუდამ ახსენებდა იმპერატორს პაპის მიერ კილაკისა და არტაბანის (ისინი იყვნენ სომხები, შაპურის სარდლები, რომლებმაც უღალატეს შაპურს და სომხების მხარეზე გადავიდნენ. როდესაც პაპი შაპურმა გადაიბირა, პაპმა ისინი მოაკვლევინა და მათი თავები გაუგზავნა შაპურს) მოკვლის შესახებ. ტერენციუსი ატყობინებდა იმპერატორს ამასთან ერთად, თითქოს პაპი ძალიან მკაცრად ექცეოდა თავის ქვეშევრდომებს [XXX, 1, 3]. ამის გამო პაპი გამოიძახეს იმპერატორთან, მაგრამ ტარსში იგი დააპატიმრეს. პაპმა მაინც მოახერხა გაქცეულიყო და დაბრუნებულიყო სომხეთში. მარცელინუსი ამბობს, რომ „იმისმა თანამემამულეებმა იგი დიდი სიხარულით მიიღეს, მან კი შეინარჩუნა რომის ურყევი მეგობრობა და არავის გაუმხილა ის წყენა, რომელიც გადაიტანა“ [XXX, 1, 15]. პაპის მტრები მაინც არ ცხრებოდნენ და თურმე ჯადოქრობასაც კი სწამებდნენ მას, საბოლოოდ მათ მიაღწიეს თავის მიზანს და იმპერატორმა გასცა ბრძანება მისი მოკვლის შესახებ.

როგორც ვხედავთ, მარცელინუსს კარგად სცოდნია პაპის მოკვლის გარემოება. ცხადია, პაპს რომ ქართლზე ელაშქრა, მის მტრებს უფრო რეალური ბრალდებები ექნებოდათ, ვიდრე ჯადოქრობის ბრალდება, და თვით მარცელინუსიც ასე არ შეათვასებდა მის მკვლელობას.

ამრიგად, ჩვენი აზრით, ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ ფავსტოს ბუზანდის ცნობა პაპის მეფობაში სომხეთის მიერ გუგარქის ცხევ დაპყრობის შესახებ, საეჭვოდ გამოიყურება. საერთოდ, ფავსტოსს, როგორც არაერთხელ არის სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნული, ბევრი რამ თავის წიგნში აღებული აქვს ხალხური ეპოსიდან.

შესაძლებელია ამ შემთხვევაშიც მუშელ მამიკონიანის ბრძოლა გუგარქის დასაბრუნებლად შეთხზულია, ან დამატებულია მის სხვა საგმრო საქმეების აღწერის ამბებზე, რათა კიდევ უფრო განდიდებულ იქნეს მამიკონიანთა გვარი. როგორც ცნობილია, ფავსტოსი მამიკონიანთა ერთგული პანეგირისტია. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ გუგარქის განდგომის ამბავიც არარეალურად ჩავთვალოთ. ასეთი დასკვნა სწორი არ იქნება, რადგან სხვა წყაროებიდან ჩვენ ვიცით, რომ V ს-ში გუგარქი აღარ შედის სომხეთში. საერთოდ, მიღებული იყო აზრი, რომ გუგარქი სომხეთს ჩამოცილდა 387 წ. შემდეგ. მართლაც, როგორც ცნობილია, ამ წელს მოხდა შეთანხმება ბიზანტიასა და ირანს შორის. შეთანხმების ძალით სომხეთის განაპირა ნაწილები დამოუკიდებლად გამოცხადდა, ხოლო დარჩენილი ცენტრალური ნაწილი, შუა ქვეყანა, ანუ სომხურად, მიჯნაშხარპი, კი განაწილებულ იქნა აღნიშნულ ორ სახელმწიფოს შორის. ფავსტოსის ზემოთ განხილულ ცნობაზე დაყრდნობით ფიქრობდნენ, რომ სომხეთმა პაპის დროს დროებით დაიბრუნა გუგარქი. როგორც ვნახეთ, ეს აზრი თუ მთლად უარსაყოფელი არ არის, ყოველ შემთხვევაში საფუძვლიან ეჭვებს იწვევს.

ფავსტოს ბუზანდის ცნობების განხილვისას უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ცნობებზე დაყრდნობით პ. ინგოროყვა ამტკიცებს: სომხეთში შემავალი გუგარქის საპიტიახშო შედგებოდა ძორისა და კოლბის ოლქებისაგან და ზუსტად გარდაბნის მხარეს წარმოადგენდა⁷⁸. თვით პ. ინგოროყვა რამდენჯერმე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ასეთი დასკვნისთვის უმთავრესი წყარო სწორედ ფავსტოს ბუზანდია⁷⁹. მაგრამ, ჩვენი აზრით, ფავსტოსის ცნობები ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას არ იძლევიან. ჩვენ უკვე მოვიტანეთ ზემოთ ფავსტოსის ცნობა სომხეთის მეფისაგან გამდგარი დიდებულების შესახებ. ზოგიერთი დიდებულის აჯანყების აღნიშვნის შემდეგ ფავსტოსი ამბობს, „ამის შემდეგ [აჯანყდა] გუგარქის ბდეშხი, ამის შემდეგ ძორის გავარის უფალი და კოლბის გავარის უფალი და მათთან ერთად გარდმანძორის უფალი და ყველა ისინი, ვინც ახლოს იყო მათთან იმ მხარეებში და მათს ირგვლივ, ერთად აუჯანყდნენ სომხეთის მეფე არშაკს“⁸⁰. ამ აღვლიდან ძნელია ისეთი დასკვნის გამოტანა, თითქოს კოლბი და ძორი გუგარქის ერთადერთი შემადგენელი ნაწილები ყოფილიყოს. უფრო ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ ისინი სულაც არ შედიოდნენ გუგარქში. მართლაც, უფრო ადრე ფავსტოსი გუგარქის პიტიახშისაგან დამო-

78 პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 420, 457—8, 462, 466, 476.

79 იქვე, გვ. 420, 462, 466.

80 ფავსტოს ბუზანდი, გვ. 242.

უკიდებლად ახსენებს „მანავაზს კოლბელთა მთავარს [იშხანს] და გორჯთს ძორჭის ქვეყნის მთავარს [იშხანს]“⁸¹.

V ს. სხვა ავტორებთან: ელიშესთან, ლაზარ ფარპეცისთან და კორიუნთან გუგარქი, როგორც ასეთი, მოხსენიებული არ არის.

გუგარქის პროვინციებიდან ელიშე ახსენებს მხოლოდ ტაშირს; იგი ჩამოთვლის სომეხ ნახარარებს, რომლებიც ერთგულნი იყვნენ 450—451 წლების სპარსეთის წინააღმდეგ აჯანყების მეთაურის ვარდან მამიკონიანისა და შეიკრიბნენ მასთან ავარაირის ბრძოლის წინ. მათ შორის ელიშე ახსენებს ვრენ ტაშირაცი (ტაშირელს)⁸². აჯანყების დამარცხების შემდეგ სპარსელებმა ხელთ იგდეს მისი მეთაურების ნაწილი და იეზდიგერდ II-ის ბრძანებით საპყრობილეში ჩასვეს. ამათ შორის ელიშე ისევ ახსენებს იმავე „ვრენს ტაშირელთა გვარიდან“⁸³.

იგივე ცნობები აქვს ვრენ ტაშირელზე ლაზარ ფარპეცისაც. ლაზარი ახსენებს მას იმ ნახარართა შორის, რომლებიც ხელთ იგდეს სპარსელებმა⁸⁴, შემდეგ კი ამბობს, რომ იგი ციხეში დაამწყვდიეს⁸⁵.

ამრიგად, ორი ისეთი პირველხარისხოვანი წყაროს თანახმად, როგორცაა ელიშე და ლაზარ ფარპეცი, V ს. შუა ხანებში ტაშირი სომხეთის შემადგენლობაშია.

სრულიად საწინააღმდეგო ცნობა აქვს კორიუნს, აგრეთვე V ს. ავტორს, რომლის წიგნიც მიღებული თვალსაზრისით დაწერილია 443—451 წლებს შორის. კორიუნის გადმოცემით, ალბანეთში სამისიონერო მოღვაწეობის შემდეგ მამტოცი სომხეთში გაბრუნებულა. გზად მას გამოუვლია ქართლზე. ეს იყო მამტოცის ქართლში მეორედ მოსვლა. კორიუნის გადმოცემით, ამ დროს ქართლში მეფობდა არჩილი, ხოლო სომხეთში არტაშესი. ამ უკანასკნელის მეფობის დრო კარგადაა ცნობილი: ესაა 422—428 წლები. მაშასადამე, მამტოცის ქართლში მოსვლაც V ს. 20-იანი წლებით განისაზღვრება. კორიუნი გადმოგვცემს, რომ ქართლში ყოფნის დროს მამტოცთან მივიდა „ტაშირელთა მთავარი [იშხანი], კაცი საპატივცემულო და ღმრთისმოყვარე, რომელსაც სახელად ეძახდნენ არშუმას, იგი მიენდო მას [მამტოცს] თვითონ და მთელი თავისი გავარით“. მამტოცმა მთელი თავისი მოძღვრება მას უქადაგა, ისე რომ არაფერი დააკლო. შემდეგ დაუნიშნა ტაშირელებს. ეპისკოპოსი, თითონ კი სომხეთში გამობრუნდა⁸⁶. როგორც ვხე-

⁸¹ იქვე, გვ. 46.

⁸² სიქიქ. გვ. 100.

⁸³ იქვე, გვ. 193.

⁸⁴ ლაყაჟი ფარაყხეჩი, Sჭყის, 1904, გვ. 75.

⁸⁵ იქვე, გვ. 86.

⁸⁶ ს ი რ ე ნ. კარე შაჟოიქი, სრხქანი, 1941, გვ. 72—74.

დავთ, კორიუნის ცნობით V ს. ოციან წლებში ტაშირი ქართლის შემადგენლობაშია.

როგორ უნდა შევათანხმოთ ეს ცნობა ზემომოყვანილ ელიშეს და ლაზარ ფარპეცის ცნობებთან? ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ტაშირი ოციან წლებში ქართლში შედიოდა, ხოლო შემდეგ სომხეთმა მოახერხა მისი დროებით უკან დაბრუნება? ასეთ ახსნას მხარს უჭერს ის გარემოება, რომ, როგორც ზევით უკვე გვქონდა ლაპარაკი, გუგარქი ქართლს შეუერთდა IV ს. 60-იან ან 80-იან წლებში, ხოლო ტაშირი ითვლება გუგარქის ერთ-ერთ უმთავრეს ოლქად. მაშასადამე, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ტაშირიც მთელს გუგარქთან ერთად შევიდა ქართლში, ხოლო შემდეგ ისევ დაუბრუნდა სომხეთს, თუ კი ელიშესა და ლაზარ ფარპეცის ცნობები სწორია.

უნდა ითქვას, რომ ელიშეცა და ლაზარეც მეტად სანდო წყაროს წარმოადგენენ, განსაკუთრებით ლაზარ ფარპეცი. ამასთან აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი ქართლის პიტიანშუმბის კარზე აღიზარდა, ე. ი. ქვემო ქართლში, და, ცხადია, კარგად იცნობდა ამ მხარეს.

ლაზარი ძალიან ობიექტური ისტორიკოსია. არავითარი მიკერძობება ქართლის საწინააღმდეგოდ მისგან მოსალოდნელი არ არის. იგივე უნდა ითქვას ელიშეზეც. ამასთანავე, როგორც დასტურდება მრავალ შემთხვევაში, მათი ცნობები სავსებით სანდონი არიან.

ყოველივე ამას ვერ ვიტყვით კორიუნის შესახებ. პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ კორიუნის თხზულებას არ მოუღწევია ჩვენამდე ბირვანდელი სახით, მან განიცადა მნიშვნელოვანი რედაქცია. სხვა არა იყოს რა, „მაშტოცის ცხოვრება“ ამჟამად ორ რედაქციითაა წარმოდგენილი. თვით სათაურიც კი ექვს იწვევს, რადგან სათაურში მაშტოცის მაგივრად მესროპი წერია, ხოლო ტექსტში მხოლოდ მაშტოცი. ისევე საფუძვლიან ექვს იწვევს ბევრი უმთავრესი მომენტიც კი ამ თხზულებისა. მაგალითად, როგორ მოხდა, რომ ერთმა ადამიანმმა სამი სხვადასხვა ანბანი მოუგონა სამ ერს, ამასთან ისე, რომ ორი ენა (ქართული და ალბანური) არც კი იცოდა? სპეციალისტები უთითებენ კიდევ არაერთ წინააღმდეგობასა და შეუსაბამობას დღესდღეობით არსებულ ტექსტში. ყოველივე ეს შედეგია იმ ტენდენციურობისა, რომელიც ამ თხზულებას ახასიათებს. ივ. ჯავახიშვილმა, რომელმაც მეტად საინტერესო და ღრმა გამოკვლევა უძღვნა კორიუნის თხზულებას, კარგად წარმოაჩინა ეს ტენდენცია და იგი გვიანდელი რედაქციისა, თუ რედაქციების ნაყოფად ჩათვალა. ამასთანავე იგი აკეთებს მეტად საყოფარადღებო დასკვნას: „კორუნის ცნობილს, ვრცელსა და მოკლე რედაქციებში არსებული ცნობები საქართველოში და ალბანეთში ანბანის

გამოგონებასა და საზოგადოდ მაშთოცის მოღვაწეობაზე მერმინდელი დანართი უნდა იყოს⁸⁷.

ასეთ ვითარებაში, ცხადია, უპირატესობა ელიშესა და ლაზარის ცნობებს უნდა მიენიჭოს. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ შემდეგიც. ელიშე თუმცა კი მხოლოდ 450—451 წლების აჯანყებას ეხება, მაგრამ მას მოკლედ გადმოცემული აქვს პოლიტიკური ვითარება სომხეთში V ს. 20-30-იან წლებში. ლაზარის წიგნი ხომ საკუთრივ სომხეთის ისტორიას მოგვითხრობს 387 წლიდან 485 წლამდე. მოვსეს ხორენაცის თავისი სომხეთის ისტორია მოყვანილი აქვს 440 წლამდე. საგულისხმოა, რომ არც ერთ მათგანს არაფერი აქვს ნათქვამი სომხეთის მიერ ტაშირის დაპყრობის შესახებ ოციანი წლების შემდეგ.

კიდევ ერთი გარემოება: კორიუნისგან ზემომოტანილ ციტატაში ტაშირის მთავრად მოხსენიებულია აშუშა. როგორც არაერთხელ არის გამოთქმული აზრი, ეს არის იგივე ქართლის პიტიახში არშუშა, რომელიც მოხსენიებულია 450—451 წლების აჯანყებასთან დაკავშირებით ლაზარ ფარპეცისთან, ვარსკენ პიტიახშის მამა. უნდა ითქვას, რომ ეს აზრი სავსებით დამაჯერებელია და მას არაფერი ელოდება წინ. როდესაც ვარსკენი წავიდა სპარსეთში (466 წ.) იგი უკვე პიტიახში იყო და სამი შვილის მამა. თუ იგი პიტიახში გახდა 50-იანი წლების ბოლოსა, თუ 60-იანი წლების დასაწყისში, შეგვიძლია მივიღოთ, რომ ამავე ხანებში გარდაიცვალა არშუშა, რომელიც შეიძლება ყოფილიყო 60 წლისა. არშუშა 20-იანი წლების შუაში 25—30 წლისა იქნებოდა.

თუ კორიუნთან მოხსენიებული ტაშირის მთავარი აშუშა ქართლის პიტიახში არშუშაა, ვლებულობთ შემდეგს: არშუშა პიტიახშის სამთავროში V ს. ოციან წლებში შედიოდა ტაშირი. ტაშირი თავისთავად დიდი ქვეყანაა და უნდა ვიფიქროთ, რომ არშუშას სამფლობელოებში იგი ერთ-ერთი მთავართაგანიც იქნებოდა, თვით კორიუნიც ხომ მას სწორედ ტაშირის მთავრად იხსენიებს. შემდეგ 30-იან თუ 40-იან წლებში არშუშას დაუკარგავს, უფრო სწორად, სომხებს მისთვის წაურთმევიათ, ეს თავისი ვრცელი სამფლობელო — ტაშირი. ბუნებრივია, რომ არშუშა მეტად განაწყენებული ყოფილიყო ამით და ცდილიყო დაებრუნებინა თავისი მიწაწყალი.

მაგრამ, როგორც ლაზარის თხზულებიდან ჩანს, არაფერი ამისდამავგარი არ მომხდარა. არშუშა საუკეთესო ურთიერთობაშია სომხებთან. ცოლად ჰყავს არწრუნთა ქალი და ამ გვარის გარდა მოყვრობა აქვს მამიკონიანთა გვართანაც. მას ეტყობა სხვა რამ კავშირებიც აქვს სომხურ უმაღლეს საზოგადოებასთან, რადგან, ლაზარის სიტყვით, იგი

87 ივ. ჯავახიშვილი, ძვ. სომხ. საისტ. მწერლობა, გვ. 160.

სომხებში მეტად პატივცემული და ჭკვიანი კაცის სახელით სარგებლობს, მას დიდი ავტორიტეტი აქვს და მის რჩევას დიდ ანგარიშს უწყევნენ. სომხეთის აჯანყების დროს იგი სპარსეთში იმყოფებოდა, შაჰმა მიძევლად დაიტოვა თავისთან და აჯანყებაში მას მონაწილეობა არ მიუღია. შაჰი მას დიდ პატივს სცემდა. ამის დასამტკიცებლად შეიძლება მოვიყვანოთ ასეთი ფაქტი: აჯანყების დამარცხების შემდეგ სპარსელებმა აჯანყების მოთავეები და მათი ოჯახები ჩაიგდეს ხელთ და სპარსეთში ჰყავდათ დაპატიმრებული. არშუშამ სთხოვა შაჰს, გაეთავისუფლებინა აჯანყების მეთაურის ვარდან მამიკონიანის უმცროსი ძმის, აგრეთვე ერთ-ერთი მოთავის, სპარსელებთან ომში დაღუპულ ჰმაიაკ მამიკონიანის სამი ვაჟი. შაჰმა აუსრულა არშუშას ეს თხოვნა. თვით ლაზარც აღნიშნავს, რომ ასეთი ყველასათვის დაუჭერებელი „დიდი თხოვნა შაჰმა აუსრულა არშუშას, როგორც თავისთვის განსაკუთრებით საყვარელსა და ღვაწლმოსილ კაცს“. სხვათაშორის, აღსანიშნავია, რომ მათ გარდა სხვა არავინ არ განათავისუფლებულა პატიმართაგან, სანამ იეზდიგერდ II ცოცხალი იყო. დაუჭერებელია, რომ არშუშას არ ესარგებლა ასეთი ხელსაყრელი სიტუაციით და არ ცდილიყო, დაებრუნებინა თავისი დაკარგული ტაშირი.

ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ კორიუნის ცნობა იმის შესახებ, რომ ტაშირი ქართლს ეკუთვნოდა, სწორი არ უნდა იყოს. მაგრამ, ცხადია, რომ თანამედროვე ასეთ შეგნებულსა თუ შეუგნებელ შეცდომას არ დაუშვებდა, ამიტომ ეს უთუოდ შემდეგდროინდელი ჩანართი უნდა იყოს. როგორც აღნიშნული გვაქვს, ივ. ჯავახიშვილი ქართლში მამტროცის მოღვაწეობის ამბებს გვიანდელ ინტერპოლაციად მიიჩნევდა.

უნდა ვიფიქროთ, რომ ტაშირი მთელი V ს. სიგრძეზე სომხეთის შემადგენლობაში რჩებოდა. ლაზარ ფარბეცი თავის „სომხეთის ისტორიას“ წერდა V ს. 90-იან წლებში. ტაშირს იგი ყოველგვარი კომენტარის გარეშე ახსენებს და არც აქვს რაიმე ნათქვამი ქართლის მიერ ტაშირის დაპყრობაზე, რაც ამიტომ V ს. შემდეგ უნდა მომხდარიყო. ჩანართი კორიუნის ტექსტში მხოლოდ იმის შემდეგ შეიძლება გაჩენილიყო, რაც ტაშირი ქართლს მიუერთდებოდა, ამასთან საკმაოდ უნდა გასულიყო ამ ფაქტიდან, რათა მკითხველს კარგად არ ჩსომებოდა, თუ როდის მოხდა ეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ჩანართი მკითხველში ეჭვს გამოიწვევდა. ჩანართის წარმოშობა ჩვენ შემდეგნაირად გვესახება: ჩანართის ავტორს ჰქონდა ცნობები V ს. ქართლის შინაგანი ვითარების შესახებ. მან იცოდა, თუ ვინ მეფობდა აქ V ს. ოციან წლებში, ვინ იყო ქართლის პიტიახში. ქართლის, ანუ ქვემო ქართლის, საპიტიახშოში ჩანართის ავტორის დროს ერთ-ერთი უმთავრესი პრო-

ვინცია იყო ტაშირი. შესაძლებელია, რომ ქვემო ქართლის საპიტიახ-
შო სომხეთში ცნობილი იყო ტაშირის სამთავროს სახელითაც. ტაში-
რი იყო ქართლის ყველაზე სამხრეთი თემი და ამავე დროს სომხების-
თვის ნაცნობი, როგორც სომხეთის შემადგენლობაში ხანგრძლივად მყო-
ფი. ამიტომაც უწოდა ჩანართის ავტორმა არაშუშას ტაშირის მთავარი.
თუ ეს დასკვნა სწორია, იგი თავის მხრივ იწვევს სხვა სინტერესო
დასკვნას: საქმე ისაა, რომ მოვსეს ხორენაცის თავის „სომხეთის ისტო-
რიაში“ გამოყენებული აქვს სწორედ რედაქტირებული ტექსტი კო-
რიუნისა (სხვათაშორის, როგორც ივ. ჯავახიშვილმა დაამტკიცა, V ს.
კორიუნის თხზულება ჯერ კიდევ პირვანდელი სახით არსებობდა, რად-
გან როგორც ლაზარის თხზულებიდან ირკვევა, ლაზარი სწორედ ასე-
თი ტექსტით სარგებლობდა. ლაზარს აღწერილი აქვს მაშტოცის მო-
ღვაწეობა, მაგრამ არაფერი აქვს ნათქვამი მის მოღვაწეობაზე ქართლ-
სა და ალბანეთში). ეს კი კიდევ ერთ ფაქტს ჰმატებს იმ მკვლევარების
არგუმენტაციას, რომელნიც ამტკიცებენ, რომ მოვსეს ხორენაცი არც
არა V ს. ისტორიკოსი, როგორადაც იგი აცხადებს თავის თავს, არა-
მედ უფრო გვიანდელი. ყოველ შემთხვევაში არა უადრესი VI ს. და-
სასრულისა, რადგან როგორც ქვემოთ ვნახავთ, VII ს. ტაშირი უკვე
ქართლში შედის.

ამრიგად, მას შემდეგ, რაც გუგარქი ჩამოსცილდა სომხეთს და
შეუერთდა ქართლს, მისი ერთი მთავარი პროვინცია — ტაშირი რამ-
დენიმე ხნის განმავლობაში სომხეთის შემადგენლობაში შედიოდა.

3. ინგოროყვა თავის წიგნში „გიორგი მერჩულე“ ამტკიცებს, რომ
ტაშირი არც ანტიკურ ხანაში და არც ადრეულ შუა საუკუნეებში სომ-
ხეთში არ შედიოდა. უნდა ითქვას, რომ თავისი დებულების დასამ-
ტკიცებლად ავტორს არ მოჰყავს არც ერთი ფაქტი. პ. ინგოროყვა ამ-
ტკიცებს, რომ ტაშირი გუგარქის ნაწილი არ ყოფილა და, როგორც
აღნიშნული გვაქვს, გუგარქს სულ სხვა ტერიტორიად მიიჩნევს. ეტ-
ყობა მას საკმარისად მიაჩნია ის, რომ ტაშირი გუგარქში არ შედიო-
და. მაგრამ ეს რომც ასე ყოფილიყო, ცხადია, სრულებითაც არ ნიშ-
ნავს იმას, რომ ტაშირი გუგარქის გარეშე შესაძლებელია ყოფილი-
ყო სომხეთის შემადგენლობაში.

ლაზარ ფარბეცისთან მოხსენიებულია აგრეთვე კანგარქის გავარი.
ლაზარი გადმოგვცემს, რომ აჯანყებულ ვახტანგ გორგასალს თავის მო-
კავშირე სომხებისთვის შეუთვლია, რომ მის წინააღმდეგ მოსულ სპარ-
სელთა ჯარს იგი გაეცალა და თავი შეაფარა „სომხეთის მთებს ქარ-
თლის საზღვრების ახლოს“ — აქ გელოდებით თქვენო. სომეხთა დამ-
ხმარე რაზმი სასწრაფოდ წავიდა ვახტანგის მისაშველებლად. მივიდა
მასთან და დაიბანაკა კანგარქის გავარში. ვახტანგი სთხოვდა სომეხებს,
გასულიყვნენ სპარსელებთან სამირად, მაგრამ „ზოგიერთებს სომეხ

იშხანთაგან არა კეთილად მიაჩნდათ სომეხთა ჯარის ჩასვლა ქართლში“. საბოლოოდ ვახტანგმა ისინი მაინც დაიყოლია და მოკავშირეები ჩავიდნენ ქართლში და დაიბანაკეს მტკვრის პირას⁸⁸.

ეს ცნობა განხილული აქვს ნ. ადონცს. მისი სიტყვით, კანგარქი წარმოადგენდა გუგარქის სამხრეთ კუთხეს, მაშასადამე, გოგარენე სომხეთის ფარგლებს გარეთ გადიოდა⁸⁹. როგორც ვხედავთ, აქედან არ ჩანს, სად მიაჩნდა ადონცს კანგარქი, სომხეთში თუ ქართლში. არ ვიცით აგრეთვე, რა საფუძველი აქვს მას, როდესაც აღნიშნავს, რომ კანგარქი გუგარქის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს. აღსანიშნავია, რომ პ. ინგოროყვა თავის რუკაზე კანგარქს აღნიშნავს, როგორც ტაშირის სამხრეთ ნაწილს. კანგარქი მას მიაჩნია ბამბაკის უბნად ყოფილი გუმბრის მაზრისა, მდინარე დებედას სათავეებში. უნდა ითქვას, რომ ინგოროყვას რუკაზე მონაზული კანგარქი სავსებით ემთხვევა ივ. ჯავახიშვილის საისტორიო რუკაზე აღნიშნულ რაიონს, რომელსაც ჯავახიშვილი უწოდებს ბამბაკს. უნდა ითქვას, რომ არც ინგოროყვას აქვს აღნიშნული, თუ რატომ მიაჩნია მას კანგარქი ტაშირის ნაწილად, ან რატომ ათავსებს იგი კანგარქს მის სამხრეთით (შესაძლებელია, იგი ამაში ადონცს ემყარება).

ზემომოტანილი ლაზარის ცნობები არ ამართლებენ არც ადონცი-სა და არც ინგოროყვას აზრს. როგორც ირკვევა, კანგარქი V ს. დასასრულს და, ცხადია, უფრო ადრეც, სომხეთის შემადგენლობაშია. ასე უნდა გავიგოთ ლაზარის მითითება იმაზე, რომ სომხეთის მთებში ქართლის საზღვრებთან დაბანაკებულ ვახტანგთან მივიდნენ სომხები კანგარქის გავარში. როგორც ჩანს, სომხეთის მთები სწორედ ამ გავარში ყოფილა. რომ კანგარქი ამ დროს სომხეთშია, ჩანს იქიდანაც, რომ ამ ადგილიდან მოკავშირეები, ლაზარის სიტყვით, ჩავიდნენ ქართლში. ამასთანავე კანგარქი ქართლის საზღვარზე მდებარე თემი იყო. მაგრამ ზემოთ ჩვენ ვნახეთ, რომ ტაშირი ამ დროს სომხეთის შემადგენლობაშია. მაშასადამე, კანგარქი ვერ იქნებოდა მის სამხრეთით. კანგარქი უნდა ყოფილიყო ტაშირის დასავლეთით ან აღმოსავლეთით; უნდა ვიფიქროთ, რომ აღმოსავლეთით, შესაძლებელია იმავე დებედას შუაწელზე, სწორედ იქ, სადაც მას ერთვის ტაშირის, ანუ ქურდვაჭრის წყალი. ამასთან იგი მტკვრის პირებთანაც ახლოს ყოფილა, როგორც ირკვევა მოყვანილი ტექსტიდან (რომ კანგარქი ტაშირის აღმოსავლეთით იყო და არა დასავლეთით, ეს იქიდან ჩანს, რომ ბრძოლები სპარსელებთან სწორედ ამ რაიონშია საგულისხმებელი და არა მტკვრის სათავეებში. ამაზე მიგვითითებს ვახტანგის სიტყვები).

⁸⁸ Ղ ա զ ա Ր Փ ա Ր ա Յ Ե ի, გვ. 122—133.

⁸⁹ Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, гв. 222.

ზემოთ ჩვენ აღნიშნული გვაქვს, რომ ავთანგელოსს სომხეთის მკუთის ქვეშევრდომად ჰყავს მოხსენიებული აშოცის მთავარი ტაჭატი. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს V ს-შიც, რაც საესებით ბუნებრივია, რადგან აშოცი, მართლაც ყველაზე უფრო სამხრეთით მდებარე თემი იყო. ლაზარის ცნობით, სხვა სომეხ ნახარებთან ერთად 450 წ. იეზ-დიგერდ II-ისთვის საპასუხო წერილის მიწერაში მონაწილეობა მიუღია აშოცის უფალ ჰრაპატსაც⁹⁰. შემდეგ ეს ჰრაპატი მოხსენიებულია დაპატიმრებულ სომეხ ნახარართა შორის⁹¹.

ცნობები გუგარქისა და მისი შემადგენელი ნაწილების შესახებ მოეპოვება მოვსეს ხორენაცისაც, მაგრამ მისი ცნობების ღირებულებას მეტად ამცირებს რამდენიმე გარემოება: ხორენაცის მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ქართლის პოლიტიკურ ისტორიაზე და ამიტომ მისი ცნობები ხშირად არასწორია და ერთმანეთის საწინააღმდეგო. ამასთანავე ხორენაცი ძალიან ტენდენციურია. ამ მხრივ საკმარისია ითქვას, რომ ხორენაცი ქართლს აცხადებს სომხეთის ერთ-ერთ მხარედ, ხოლო ქართლის მეფეებს კი სომხეთის მეფეების ქვეშევრდომებად.

ვალარშაკის საქმიანობის აღწერისას (ვალარშაკი ხორენაცის თანახმად პირველი არშაკიდი მეფეა: მისი ქრონოლოგიით ვალარშაკის მეფობა ძვ. წ. III—II საუკუნეების მიჯნაზე მოდის. სინამდვილეში, როგორც ცნობილია, პირველი არშაკიდი მეფე ტრდატი სომხეთში მეფობდა ახ. წ. მეორე ნახევარში. მიუხედავად ამისა, მაინც ფიქრობენ, რომ ხორენაცის ვალარშაკში განსახიერებულია სწორედ ეს ტრდატი), ხორენაცი გადმოგვცემს, რომ მეფემ დაურიგა სხვადასხვა პირებს სამფლობელოები, რომ გუშარმა შარას შთამომავალმა მემკვიდრეობად მიიღო „ბნელი მთა, ანუ კანგარქი, ჯავახეთის ნახევარი, კოლბი, წობი, ძორი ჰნარაკერტის ციხემდე, ხოლო აშოცის საუფლო და ტაშირის სასეპუჰო ვალარშაკმა უწყალობა გუშარ ჰაიკიდის შთამომავლებს“⁹².

სხვათაშორის შევნიშნავთ, რომ კანგარქის მეორე სახელწოდება „ბნელი მთა“ გვიჩვენებს, რომ ლაზარესთან მოხსენიებული სომხეთის მთების კანგარქში მოთავსება სწორი უნდა იყოს.

ახლა თუ დავეუკირდებით დარიგებულ სამფლობელოებს, შევნიშნავთ, რომ გუშარ-ჰაიკიდის სამფლობელო (ტაშირი და აშოცი) ორად ყოფენ გუშარ შარას შთამომავლის სამფლობელოს: ერთ მხარეს რჩება ჯავახეთის ნახევარი, ხოლო მეორეს კანგარქი, კოლბი, წობი და

⁹⁰ Ղ ա գ ա Ր Փ ա Ր Կ Ե Գ Ի. გვ. 45.

⁹¹ იქვე, გვ. 75.

⁹² Մ Ո Վ Ս Է Ն Խ Ո Ր Ի Ե Ն Ա Գ Ի. გვ. 113.

შორი. რატომ დაარიგა ასე არახელსაყრელად ვალარშაკმა ეს ქვეყნები, არა ჩანს.

ჯავახეთი, ტაშირი, აშოცი, კანგარქი, წობი, კოლბი და ძორი — ეს არის მთელი სამხრეთი ქართლი. ყურადღებას იქცევს ის, რომ ხორენაცის წარმოდგენით გუგარქი ამ მიწების გარეშე მდებარეობს: მომდევნო ფრაზაში ხორენაცი ამბობს: „ხოლო კავკასის მთის პირდაპირ მდებარე ჩრდილოეთის ქვეყნის მმართველად [ვალარშაკი] აწესებს დიდ, ძლიერ გვარს, ხოლო გვარის უფროსს აძლევს გუგარქის პიტიახშობას. ეს გვარი წარმოშობილია დარეჰის ნახარა მიჰრდატისაგან, რომელიც მოიყვანა ალექსანდრემ და დატოვა მთავრად ვერიელთა ტყვეებზე, რომლებიც მოიყვანა ნაბუქოდონოსორმა, როგორც მოგვიტხრობს აბიდენი: „ძლიერი ნაბუქოდონოსორი იყო ლიბიელ ჰერაკლეზე უფრო მძლავრი. მან შეაგროვა ჯარი, თავს დაესხა ვერიელთა ქვეყანას, ააოხრა, დაიპყრო და ნაწილი მათგან წაიყვანა და დაასახლა პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეზე და ვერია არის დასავლეთში ქვეყნის კიდეზე“⁹³.

მაშასადამე, დასავლეთში ქვეყნის კიდეზე არის ვერია. ნაბუქოდონოსორმა იგი დალაშქრა, ხალხის ნაწილი წამოიყვანა და დაასახლა პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეზე, კავკასის მთის პირდაპირ ჩრდილოეთის ქვეყანაში. ალექსანდრე მაკედონელმა მოიყვანა დარიოსის ნახარა მიჰრდატი და მისცა მას ამ გადმოსახლებულ ხალხზე მმართველობა. ამ დარეჰისაგან შთამომავალ გვარს ვალარშაკმა ჩააბარა ამ ქვეყნის მმართველობა, ხოლო გვარის მეთაურს მისცა გუგარქის პიტიახშობა. როგორც ვხედავთ, აქ ლაპარაკია იბერიაზე, რომლის მმართველიც, ხორენაცის სიტყვით, გუგარქის პიტიახშის ტიტულს ღებულობს სომხეთის მეფისაგან.

ვალარშაკის შვილიშვილი არტაშესი თავის ქალს მიათხოვებს ქართლის დიდ პიტიახშს მიჰრდატს, რომელიც იყო შთამომავალი დარეჰის ნახარა მიჰრდატისა, რომელიც ალექსანდრეს დაეყენებინა ტყვე ვერიელთა ქვეყანაზე. მას არტაშესი მიანდობს ჩრდილოეთის მთებისა და პონტოს ზღვის მართვას⁹⁴. როგორც ვხედავთ, აქაც პიტიახშის (ალბათ იგულისხმება გუგარქის) ტიტული აქვს ქართლის მმართველს.

რომ იბერიის მმართველი სომხეთის მეფის ქვეშევრდომია, ჩანს იქიდანაც, რომ არტაშესის შვილი ტიგრანი თავის დიშვილს, აგრეთვე მიჰრდატს, მამის სიკვდილის შემდეგ არავითარ სახელს არ მისცემს, „თვით მის ქვეყანას ქართლსაც“⁹⁵ კი. ეს იმიტომ, რომ ტიგრანი

93 იქვე, გვ. 114.

94 იქვე, გვ. 121.

95 იქვე, გვ. 132.

დაეკვდებოდა, ჩემი დიშვილი არ არისო. მიპრდატი იძულებული შეიქნება გადაიხვეწოს სამშობლოდან.

შემდგომშიც ქართლი, ჩანს, სომხეთის მორჩილებაშია. ქართლის ჯარები სომხეთის მეფის პირველივე ბრძანებაზე ცხადდებიან და იბრძვიან სომხეთის მტრების წინააღმდეგ. მართალია, ქართლის ორ მმართველს ხორენაცი მეფედ მოიხსენიებს, მაგრამ ეტყობა რომ მას ისინიც სომხეთის ქვეშევრდომებად მიაჩნია. ფარსმანი სომეხთა ჯართან ერთად იბრძვის. ქარძამზე კი ხორენაცი გადმოგვცემს: მან ისარგებლა იმითი, რომ სომხეთის ჩრდილოეთის მხარის სარდალი ზარეჰი ომში გაუბედავი იყო და ააჯანყა ქვეყანა. ზარეჰი დაიჭირა, მაგრამ სომხეთის აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხარეების სარდლებმა გაილაშქრეს ქარძამის წინააღმდეგ და ზარეჰი გაათავისუფლესო⁹⁶.

ისევ გუგარქის პიტიახშის ტიტულით იხსენიება მეფე მირიანი. საინტერესოა რომ ხორენაცი მირიანს მეფედ არ ახსენებს. მირიანს იგი უწოდებს ქართლის წინამძღოლს. მისი სიტყვით, სომხეთის მეფე ტრდატი თავის სარდლებიდან ამოარჩევს ოთხს, რომელთაც ჩააბარეს სომხეთის ოთხი ნაწილის ჯარების სარდლობას. მირიანი, ცხადია, ჩრდილო ნაწილის სარდალია. საბოლოოდ, ქართლის წინამძღოლი და გუგართა პიტიახში, სომხეთის ჩრდილო მხარის სარდალი⁹⁷ მირიანი დაიღუპება სომხეთზე შემოსეულ ჩრდილოელ ხალხებთან ბრძოლაში და მეფე ხოსროვი მის მაგივრად დანიშნავს გარჯუილ მალხაზს⁹⁸.

ამრიგად, ხორენაცის წარმოდგენით, ქართლის მეფე, თუ მმართველი, სომეხთა ქვეშევრდომია და გუგარქის პიტიახშის ტიტულს ატარებს. მოულოდნელად ჩვენ ვხვდებით საწინააღმდეგო ამბავს: კორიუნის თხზულების გავლენით ხორენაცი ჯერ ქართლის მეფე ბაკურს ახსენებს, შემდეგ კი იმეორებს რა ჩვენს მიერ ზემოგანხილულ კორიუნის ცნობას, ამბობს, რომ ალბანეთიდან სომხეთში მიმავალ მესროპს გარდმანში ყოფნის დროს მიუვიდა მიწვევა გუგარქის პიტიახშ აშუშასაგან, რათა იგი ჩასულიყო მის სამფლობელოში — ტაშირის გავარშიო. შემდეგ ხორენაცი უმატებს: ამ დროს ქართლში მეფობდა არჩილიო⁹⁹.

ხორენაცი ვერ ამჩნევს, რომ იგი წინააღმდეგობაში ვარდება თავის თავთან. ზემოთ ის ამბობდა, რომ გუგარქის პიტიახში ეს იგივე ქართლის წინამძღოლი, ან მმართველიაო, ხოლო ტაშირის პატრონს იგი პიტიახშად არ იცნობდა. ახლა გამოდის, რომ ქართლის მმართვე-

⁹⁶ Մ ո վ Վ Ն Ա խ ո թ Ի Ն ա ղ ի. გვ. 184.

⁹⁷ იქვე, გვ. 262.

⁹⁸ იქვე, გვ. 267.

⁹⁹ იქვე, გვ. 340—342.

ლი მეფეა, ხოლო ტაშირისა კი — პიტიახში. ცხადია არჩილის მეფედ მოხსენიება (ისევე როგორც ბაკურისა) კორიუნის გავლენითაა, მაგრამ საიდან აიღო ხორენაციმ ცნობა, რომ ტაშირის მთავარი აშუშა გუგარქის პიტიახშის ტიტულს ატარებდა, ეს არა ჩანს. მიუხედავად ამისა, თავისთავად ეს ცნობა ყურადღებას იმსახურებს.

აღსანიშნავია, რომ პ. ინგოროყვას გამოეპარა მხედველობიდან ის წინააღმდეგობა, რომელიც აქვს ხორენაციის გუგარქის საკითხში. პ. ინგოროყვა ამბობს, რომ ხორენაციის გუგარქის საპიტიახშო მიაჩნდა ქვემო ქართლის საპიტიახშოდ და მის მოცულობას ასე წარმოიდგენდაო: 1. გარდაბანის მხარე, (კოლბი და ძორი), 2. ტაშირი (წობითა და კანგარით), 3. აშოცი, 4. ზემო ჭავახეთი. როგორც ზემოთ ვნახეთ, ეს არ არის სწორი. ინგოროყვას აზრით, ხორენაციის დროს (ე. ი. VII ს.) არსებობდა პოლიტიკური ერთეული ქვემო ქართლი, რომელიც ამავე ოლქებს შეიცავდა, ხოლო ხორენაციმ თავისი დროის არსებული ვითარება უფრო ძველს ეპოქაში გადაიტანაო. მაგრამ არსაიდან არ ჩანს, რომ VII ს. ქართლი ასეთი უზარმაზარი პოლიტიკური ერთეული ყოფილიყო. მითუმეტეს, თვით ინგოროყვას სიტყვით, VII—VIII სს. იგი დაიყო რამდენიმე ერთეულად¹⁰⁰.

როგორც ვხედავთ, მოვსეს ხორენაციის ცნობები ბევრს არაფერს გვძენენ ახალს გუგარქის ისტორიისა ან ისტორიული გეოგრაფიისათვის (სხვათაშორის, ხორენაცი კიდევ ერთხელ ახსენებს აშოცს სომხეთის შემადგენლობაში ტრდატ მეფის დროს, ე. ი. IV ს. პირველ ნახევარში).

გუგარქი მოხსენიებულია VII ს. ანონიმურ სომხურ გეოგრაფიაში. იქ ნათქვამია: გუგარქი მდებარეობს უტის დასავლეთით და შედგება ცხრა გავარისაგან, რომელიც უჭირავთ ქართველებს: ძოროფორი, წობოფორი, კოლბოფორი, ტაშირი, თრიალეთი, კანგარქი, არტაპანი, ჭავახქი, კლარჯქი. როგორ უნდა ავხსნათ ეს?

პ. ინგოროყვა იხილავს ამ ცნობას და აღნიშნავს, რომ გეოგრაფია არის IX ს. თხზულება. IX ს. ქართლის სამამფალოში, რომელიც ეკუთვნოდა გუარამ მამფალს, შედიოდა ყველა ეს ოლქიო. გეოგრაფიის ავტორმა თავისი დროის ვითარება ეტყობა წარსულში გადაიტანაო¹⁰¹. მიღებული აზრით ეს გეოგრაფია VII ს. ეკუთვნის. ამასთან ინგოროყვას მიერ მითითებული ადგილიდან „მატიანე ქართლისაში“ არ ჩანს, რომ გუარამ მამფალს ყველა ეს მხარე სჭეროდეს. იქ ნათქვამია, რომ გუარამმა დაიპყრა ჭავახეთი, თრიალეთი, ტაშირი, აბოცი და არ-

100 პ. ინგოროყვა, გვ. 462—464.

101 იქვე, გვ. 465—466.

ტაანი; მაშასადამე, ცხრიდან ხუთი ოლქი მისი სამფლობელოს გარეშე რჩება.

უფრო ბუნებრივად გვეჩვენება შემდეგი ახსნა: გეოგრაფიის ავტორის დროს აღარ არსებობდა პირდაპირი ცნობები გუგარქის გეოგრაფიის შესახებ. იყო ცნობა, როგორც დაცულია, მაგალითად ფავსტოს ბუზანდთან, რომ გუგარქის საპიტიახშო სომხეთის შემადგენლობაში მის ჩრდილოეთის მხარეს წარმოადგენდა. ცნობილი იყო, რომ იგი შემდეგ შეუერთდა ქართლს. მაშასადამე, ქართლის სამხრეთი რაიონები ყოფილ გუგარქის ტერიტორიას მოიცავდნენ. რადგან ცნობილი იყო, რომ გუგარქის პიტიახში ძალიან ძლიერი მმართველი იყო და დიდ ტერიტორიას ფლობდა, გეოგრაფიის ავტორმა გუგარქის ტერიტორიად გამოაცხადა ქართლის მთელი სამხრეთი ნაწილი.

აღსანიშნავია, რომ „გეოგრაფიის“ თანახმად აშოცი სომხეთის ფარგლებშია და აირარატის გავარში შედის.

X ს. ავტორი უხტანესი ამბობს, რომ „ცურტავი სამკვიდრებელი იყო დიდისა პიტიახშისა გუგარელთაჲს, მკარეთ-მპყრობელისა ჩრდილოისასა, განწესებულისა ვალარშაკისაგან არშაკუნიანისა, ჩუენისა მეუფისა“¹⁰². ამ ცნობაში საყურადღებოა შემდეგი: როგორც ზევით ვნახეთ, სომხურ წყაროებში არსად მოიპოვება ცნობა იმის შესახებ, რომ ცურტავი სომხეთის გუგარქის პიტიახშის სამყოფელი ყოფილიყო. მხოლოდ ქართული წყაროები, კერძოდ კი „მუშანიკის წამება“ ასახელებს ცურტავს ქართლის (ქვემო ქართლის) პიტიახშის რეზიდენციად. უხტანესის ცნობის მიხედვით, მის დროს არსებობდა რაღაც ტრადიცია, რომ ძველი გუგარქის საპიტიახშო და შემდეგდროინდელი ქართლის საპიტიახშო რამდენადმე მემკვიდრეობით კავშირში არიან.

ხშირად იხსენიებიან გუგარქი და გუგარელები X ს. მეორე ავტორთან ჰოპანეს დრასხანაკერტელთან, რომლის მიხედვით, გუგარქი უტის მეზობლად, დასავლეთით მდებარე ქვეყანაა და მასში შედის ქალაქი სამშვილდეც. მდიდარი ცნობები აქვს დრასხანაკერტელს გუგარქის და მისი ნაწილების ისტორიისათვის. მისი გადმოცემით, გუგარქი დაუპყრია აშოტ I ბაგრატიუნის (859—885—89)¹⁰³. საინტერესოა, რომ, დრასხანაკერტელის ცნობით, გუგარქში შერეული მოსახლეობა ყოფილა. როგორც ჩანს, აშოცის მიერ გუგარქის დაპყრობა მტკიცე არ ყოფილა, რადგან აშოცის დასაფლავებას ვერ დასწრებია მისი შვილი სუმბატი, რომელიც მეფობდა 893—914 წლებში, რადგან იგი „გუგარქის მხარეში იყო წასული ამ ხალხის დასამორჩილებ-

102 უ ხ ტ ა ნ ე ს ი, 1871, გვ. 34.

103 დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი, გვ. 21.

ლად¹⁰⁴. შემდეგ მას აღწერილი აქვს ბრძოლა გუგარქისათვის სომხებსა და ქართველებს შორის. აღსანიშნავია, რომ ჰოპანეს დრასხანაკერტელი ახსენებს ტაშირსა და აშოცსაც, მაგრამ არ ჩანს, თუ რა კავშირში მიაჩნია ისინი გუგარქთან.

გუგარელები იხსენიებიან X—XI საუკუნეების სხვა ავტორთან ასოლიკთანაც, მაგრამ აქ ამას მხოლოდ ლიტერატურული წყარო აქვს. ერთგან ასოლიკი იმეორებს ხორენაცის, მეორეგან კი ჰოპანეს დრასხანაკერტელს. ასევე აშოცის ხსენებისას მას ციტატა მოჰყავს ხორენაცისაგან. სამაგიეროდ იგი არაერთხელ ახსენებს ტაშირს, როგორც ცოცხალ გეოგრაფიულ სახელწოდებას. თუ რამდენად დავიწყებულ იქნა გუგარქის ტერმინის ნამდვილი შინაარსი, ჩანს იქიდანაც, რომ XIII ს. ავტორის ვარდან დიდის „გეოგრაფიაში“ ნათქვამია, რომ გუგარქის გავარი შაქი არისო¹⁰⁵.

ზემომოტანილი მასალა, ჩვენი აზრით, საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

უძველეს პერიოდში ქართლისაგან სომხეთის მიერ მიტაცებული გოგარენე წარმოადგენდა ქართლის ყველაზე უფრო სამხრეთ თემს, რომელიც უფრო სამხრეთით მდებარეობდა, ვიდრე ეს ჩვეულებრივად მიაჩნიათ. შესაძლებელია, რომ გოგარენე თანამედროვე საქართველოს საზღვრებსაც კი არ სცილდებოდა. მეტიც შეიძლება ითქვას, თუ კი პლინიუსის თასი, მართლაც, ტაშირს აღნიშნავს, მაშინ მივიღებდით, რომ გოგარენე ტაშირის სამხრეთით მდებარე კუთხეა. როგორც ჩანს, მხოლოდ შემდგომში, ახ. წ. II—III საუკუნეებში, ახერხებს სომხეთი კიდევ უფრო ჩრდილოეთით წაწევას. ახლად მიერთებული მიწები, ბუნებრივია, გუგარქის საპიტიახშოში შედიოდნენ. IV ს. 60-იან წლებში გუგარქის პიტიახში ახერხებს თავი დააღწიოს სომხეთის სამეფოს და თავისი სამფლობელოთი ქართლში შედის. მაგრამ ნაწილი გუგარქის საპიტიახშოსი, კერძოდ კი ტაშირი და კანგარი, რჩება სომხეთის შემადგენლობაში. ისობა გუგარქის საპიტიახშო, მისი ნაწილი ცალკე სამთავროების სახით რჩება სომხეთში, ხოლო ჩრდილო ნაწილი კი ქვემო ქართლის ზოგიერთ თემთან ერთად ქმნის ახალ პოლიტიკურ ერთეულს — ქვემო ქართლის საპიტიახშოს. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ მოვლენასთან არის დაკავშირებული სახელწოდება გუგარქის გაქრობა, როგორც ცოცხალი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული, თუ გეოგრაფიული ტერმინისა. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა ის, რომ სომეხი ავტორები გუგარქს ხმარობენ წარსულში არსებული ერთეულის აღსანიშნავად (აგათანგელოსი, ფავსტოსი), ხოლო თავისი თანამედრო-

104 დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი, გვ. 22.

105 ს ე ნ - მ ა რ ტ ე ნ ი, II, გვ. 414.

ვე ცნების აღსანიშნავად მას აღარ იყენებენ (კორიუნი, ელიშე, ლაზარი). სახელწოდება გუგარქი რჩება როგორც ლიტერატურული, თუ ზეპირი ტრადიციით გადმოცემული სახელწოდება. ამაზე მიგვითითებს ამ ტერმინის ხმარება სრულიად არასწორი ან ახლებური აზრით მოვსეს ხორენაცის მიერ, რომელსაც გუგარქის პიტიახშად მიაჩნია ხან ქართლის მეფე და ხან ტაშირის მთავარი. სომეხთა წარმოდგენაში გუგარქი თანდათან მკვიდრდება როგორც ქვემო ქართლის ზოგადი სახელი. ამის ილუსტრაციას წარმოადგენს VII ს. ანონიმური გეოგრაფის, უხტანესისა და ჰოპანეს დრასხანაკერტელის ცნობები გუგარქზე. დაბოლოს, თანდათან ეს ტრადიციაც იკარგება და XIII ს-ის სპეციალურ გეოგრაფიულ თხზულებაშიც კი გუგარქი შაქად არის მიჩნეული.

ზემოთქმულის დამადასტურებელია ისიც, რომ გუგარქი სრულებით არ იხმარება ქართულ წერილობით ძეგლებში (სხვათაშორის, ეს უნდა მიგვითითებდეს იმაზეც, რომ სომხეთის მიერ წართმეული გუგარქი მაინცდამაინც ორგანულ კავშირში არ უნდა ყოფილიყო დანარჩენ ქართლთან).

ცალკე დგება აშოცის საკითხი. არც ერთ სომხურ წყაროში არ არის ნათქვამი, რომ იგი გუგარქში შედიოდა. მხოლოდ ხორენაცი ამბობს, რომ აშოცი და ტაშირი ერთ პირს ეკუთვნოდა. ლეონტი მროველის ცნობითაც, ფარნავაზმა სამშვილდის ერისთავს მისცა ტაშირი და აბოცი.

სწორი არ უნდა იყოს პ. ინგოროყვას ცდა გუგარქის ლოკალიზაციისა, რადგან ამის საფუძველს არ იძლევა ის წყარო (ფავესტოს ბუზანდი), რომელსაც ემყარება ავტორი და ამასთან ყოველი მონაცემი, რომელიც კი არსებობს, გვიჩვენებს, რომ გუგარქი ქვემო ქართლის პროვინციაა.

„ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს წყაროებისათვის*

ძველი ქართული საისტორიო მწერლობა ჯერ კიდევ არ არის თავისი მნიშვნელობის შესაფერად შესწავლილი. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს რიგი სპეციალური გამოკვლევებისა, მრავალი უმნიშვნელოვანესი საკითხი ჯერაც არაა გადაწყვეტილი. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ „ქართლის ცხოვრება“, ეს ერთ-ერთი უმთავრესი ლიტერატურული წყარო საქართველოს ისტორიისა. აზრთა სხვადასხვაობა არსებობს ისეთ ძირითად საკითხებზეც კი, როგორცაა ამ ძეგლის შედგენილობა, ცალკეულ ნაწილთა მოცულობა და ხასიათი, მათი დაწერის დრო, ავტორების ვინაობის, მოღვაწეობის ხანა და სხვ. ზემოთქმული საკვებით შეეხება „ქართლის ცხოვრების“ იმ ნაწილებსაც („ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“), რომლებიც ტრადიციულად ლეონტი მროველს მიეწერება. რასაკვირველია, ამ საკითხის გადაწყვეტას დასჭირდება სხვადასხვა დარგის სპეციალისტების ხანგრძლივი კვლევა-ძიება; წინამდებარე მცირე წერილის მიზანი კი მხოლოდ ისაა, რომ „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს ერთი ადგილის ანალიზის საფუძველზე საილუსტრაციო მასალა წარმოადგინოს მისი სტრუქტურისა და ავტორის (თუ ავტორების) შემოქმედებითი მეთოდის გასარკვევად. მხედველობაში გვაქვს ამ თხზულების მესამე თავში მოთხრობილი ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ლაშქრობის ამბავი.

„ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს ეს ადგილი მრავალმხრივ არის საინტერესო და მან კარგა ხანია მიიპყრო კიდევაც მკვლევართა ყურადღება. მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ალექსანდრეს ქართლში ლაშქრობის ამბავი მოთხრობილია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანეშიც. ამდენად დგება საკითხი, თუ რა ურთიერთობაა ამ თვალსაზრისით აღნიშნულ წყაროთა შორის.

სპეციალურ ლიტერატურაში არაერთხელ გამოთქმულა აზრი იმის შესახებ, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ლეონტი მროველის ერთ-ერთი

* გამოქვეყნდა წიგნში: „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები“, თბ., 1966 (მცირე შემოკლებით).

უმთავრესი წყაროა¹. აღნიშნულ იქნა ისიც, რომ ჩვენთვის საინტერესო ადგილი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ზე².

განსხვავებული შეხედულება ჰქონდა აკად. კ. კეკელიძეს. მას მიაჩნდა, რომ ლეონტი მროველმა გამოიყენა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მხოლოდ მეორე ნაწილი ე. წ. „ნინოს ცხოვრება“, ხოლო პირველი ნაწილით მას არ უსარგებლიაო. კ. კეკელიძის სიტყვით, ლეონტი მროველმა და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ავტორმა აღნიშნული ნაწილების დაწერისას ისარგებლეს ერთი და იმავე წყაროთი, რომელშიც შეიტანეს თავისებური ცვლილება. განსაკუთრებით საყურადღებოა კ. კეკელიძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ წარმართობის ხანის ისტორია ლეონტის თითქმის უცვლელად გადაუწერია VII—VIII სს. რომელიდაც ისტორიული თხზულებიდან³.

დაწერილებით განვიხილოთ „მეფეთა ცხოვრებაში“ გადმოცემული ალექსანდრეს ქართლში ლაშქრობის ამბავი და შევედაროთ იგი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს შესატყვის ადგილს.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“

პირველ ოდეს ალექსანდრე მეფემან ნათესავნი იგი ლოთის შვილთანი წარიტყინა და შეკადნა იგინი კედარსა მას ქუეყანასა, იხილნა ნათესავნი სასტიკნი ბუნთურქნი, — მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა მიხუევით, ოთხ ქალაქად და დაბნები მათი: სარკინე ქალაქი,

„ცხოვრება ქართველთა მეფეთა“

ესე ალექსანდრე გამოჩნდა ქუეყანასა საბერძნეთისასა, ქუეყანასა, რომელსა ჰქუნ მაკედონი, ძე ნიკტანებისი, მეგვპტელისა, ვითარცა წერილ არს ამბავი მისი წიგნსა ბერძენთასა.

ამან ალექსანდრე დაიპყრნა ყოველნი კიდენი ქუეყანისანი. ესე გამოვიდა დასავლით, და შევიდა სამცრით. შემოვიდა ჩრდილოთ,

1 ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ხრონიკა, ტფილისი, 1980; გვ. LXXX და შშ; ივ. ჭავჭავაძე, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 182—183; Меликишвили Г., К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, გვ. 32 და შშ.

2 ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ხრონიკა, გვ. 2, შუნ. 2; Такашвили Е. С. Источники грузинских летописей. Три хроники, СМОМПК, вып. XXVIII, 1900, გვ. 4, შუნ. Меликишвили, Г. К истории древней Грузии, Тбилиси, გვ. 38.

3 კ. კეკელიძე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, ტფილისის უნივერსიტეტის შობაზე, 1923, III, გვ. 52—55; მისივე, „ნინოს ცხოვრების“ მატთანისეული რედაქციის ავტორი, ეტბუღები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ., 1945, გვ. 274.

კასპი, ურბნისი და ოძრავე, და ციხენი მათნი: ციხე დიდი სარკინისაჲ, უფლისციხე კასპისა, ურბნისისა და ოძრავისაჲ.

დაუკვრდა ალექსანდრეს და ცნა, რამეთუ იებოსეულთა ნათესავნი იყვნეს, ყოველსა ვორციელსა ჳამდეს და სამარე მათი არა იყო, მკუდარსა შეშჳამდეს. და ვერ ეძლო ბრძოლაჲ მათი მეფესა, და წარვიდა.

მაშინ მოვიდეს ნათესავნი მბრძოლნი, ქალდეველთაგან გამოსხმულნი, ჰონნი და ითხოვეს ბუნთურქთა უფლისაგან ქუეყანაჲ ხარკითა. და დასხდეს ზანავს. და ეპყრა იგი, რომელ ხარკითა აქუნდა, ჰრქვან მას ხერკი⁴.

გარდამოვლნა კავკასი და მოვიდა ქართლად, და პოვნა ყოველნი ქართველნი უბოროტეს ყოველთა ნათესავთა სჯულითა რამეთუ ცოლ-ჰმრობისა და სიძვისათუს არა უჩნდა ნათესაობა, ყოველსა სულიერსა ჳამდეს, მკუდარსა შეშჳამდეს, ვითარცა მეცენი და პირუტყუნი, რომელთა ქცევისა წარმოთქმა უკმ არს. და იხილნა რა ესე ნათესავნი სასტიკნი წარმართნი, რომელთა-იგი ჩუენ ბუნთურქად და ყივჩაყად უწოდოთ, მსხდომარენი მდინარესა მას მტკურისა მიხვევით, და უკვრდა ესე ალექსანდრეს, რამეთუ არა რომელი ნათესავნი იქმოდეს მას. და ენება რათამცა აღმოფხვრნა იგინი ქალაქებისა მისგან, არამედ მას უამსა ვერ უძლო, რამეთუ პოვნა ციხენი მაგარნი და ქალაქნი ძლიერნი. კუალად გამოვიდეს სხუანი ნათესავნი ქალდეველნი, და დაეშენეს იგინიცა ქართლს⁵.

ხაზგასმული სიტყვების დამთხვევა იმდენად ნიშანდობლივია, რომ, ვფიქრობთ, საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, მართლაც, წარმოადგენდა წყაროს „ქართლის ცხოვრებიდან“ მოტანილი ადგილისათვის. ამასთან მოყვანილ ნაწყევტებს შორის, ერთი შეხედვით, მნიშვნელოვანი განსხვავებაცაა. „ქ. ც.“-ში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ ალექსანდრემ „ნათესავნი იგი ლოთის შვილთანი წარიქცინა და შეჯადნა იგინი კედარსა მას ქუეყა-

4 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V—X სს.), ილია აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით, თბ., 1964, გვ. 81.

5 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 17.

ნასა“. აღსანიშნავია შემდეგი: ეს გარემოება კ. კეკელიძეს მიაჩნდა იმის ერთ-ერთ საბუთად, რომ ლეონტი მროველს ამ ადგილას არ გამოუყენებია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“⁶, მაგრამ „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს ავტორს ხომ მიზნად არ ჰქონია მთლიანად უცვლელად გადაეწერა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“?! შესაძლებელია, არსებობდა კიდევ უფრო სერიოზული მიზეზი იმისა, რომ ეს ცნობა არ შევიდა „ქ. ც.“-ში. საქმე ის არის, რომ ლოთის შვილებად იწოდებიან მოაბელთა და ამონელთა ტომები, რომლებიც „დაბადების“ თანახმად ბიბლიური ლოთის შთამომავლები არიან. ხოლო არც „დაბადებულან“ და არც რომელიმე სხვა წყაროდან ცნობილი არაა, რომ ალექსანდრე მაკედონელს რაიმე ურთიერთობა ჰქონოდა ამ ტომებთან. ამიტომ „მ. ქ.“-ს ცნობას, ჩანს, ეჭვი გამოუწვევია „მეფეთა ცხოვრების“ ავტორში და მას უმჯობესად ჩაუთვლია, საერთოდ გამოეტოვებინა იგი. საინტერესოა, თუ საიდან მოხვდა იგი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში.

გამოტოვებული ადგილის მაგივრად „მეფეთა ცხოვრების“ ავტორს შეუტანია ცნობა ალექსანდრეს წარმომავლობის შესახებ. ამ ცნობის წყაროდ დასახელებულია „ბერძენთა წიგნი“. კ. კეკელიძის სიტყვით, ეს წიგნი ფსევდოკალისტენეს „ალექსანდრია“ უნდა იყოს, რადგან ნიკტანები ალექსანდრეს მამად მოხსენიებულია მხოლოდ მასში⁷. შემდეგ დამატებულია ალექსანდრეს მარშრუტი ქართლში მოსვლამდე. ეს მარშრუტი იმდენად ზოგადად არის მოცემული, რომ ძნელი გასარკვევია, ავტორს იგი რომელიმე წყაროდან აქვს აღებული, თუ თვითონ შეუთხზავს. უნდა ითქვას, რომ ეს ორივე დამატება სავსებით გამართლებულია შინაარსობლივი თვალსაზრისით.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მომდევნო ფრასა, როცორც ეს ნათლად ჩანს, თითქმის უცვლელადაა შესული „ქ. ც.“-ში, ოღონდ ფრასის შუაში „ბუნ-თურქი“ შეცვლილია „წარმართნი“ და ჩართულია ამ „წარმართის“ განსაზღვრება („რომელთა-იგი ჩუენ ბუნ-თურქად და ყივჩაყად უწოდთ“). განსაზღვრების მიზანი ცხადია: უფრო გასაგები გახადოს ტექსტი მკითხველისათვის. აღსანიშნავია, რომ იგი მოგვიანო ჩანართის შთაბეჭდილებას ახდენს. „ქართლის ცხოვრების“ ნაწილებში, რომლებიც ლეონტი მროველს მიეწერება, „ყივჩაყი“ ამის მეტად არ გვხვდება. ეს სახელი პირველად ჩნდება დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ კ. კეკელიძის შეხედულება, რომლის თანახმად ლეონტი მროველს ხელთ

⁶ კ. კეკელიძე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, გვ. 50.
⁷ იქვე, გვ. 48—49.

ჰქონდა VII—VIII სს. დაწერილი ისტორიული ნაშრომი, რომელიც შეიცავდა ქართველთა წარმართობის ხანის ისტორიას⁸. ეს ნაშრომი ლეონტის მთლიანად გადაუწერია (ისევე, როგორც შემდგომი ხანის სთვის გადაწერა „ნინოს ცხოვრება“), ოღონდ შიგ შექანიკურად ლეონტი მროველს რომ ზეპირთან ერთად გამოუყენებია რიგი ადგილობრივი წერილობითი წყაროებისა, ეჭვს გარეშეა. ამასთან საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურება დებულება „მეფეთა ცხოვრების“ პირვანდელი ტექსტის (თუ „მეფეთა ცხოვრების“ ძირითადი ლიტერატურული წყაროს) VII—VIII სს-ით დათარიღების შესახებ⁹. აქედან ჩანს, რომ პირვანდელ ტექსტში „ყივჩაყები“ მოხსენიებული არ იქნებოდნენ, რადგან XI ს-ზე ადრე მათი მოხსენიება მოსალოდნელი არაა. საფიქრებელია, რომ ჩანართი ეკუთვნის ლეონტი მროველს. როგორც ირკვევა, პირვანდელ ტექსტში ციტატა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-დან სრულად ყოფილა შესული (დასაბუთება იმისა, რომ ეს ციტატი უკვე პირვანდელ ტექსტში არსებობდა, იქნება ქვემოთ).

ყურადღებას იქცევს აგრეთვე სახელი „ბუნთურქი“, რომელზეც კ. კეკელიძე შენიშნავდა, შესაძლებელია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-დან ესესხოს ლეონტი მროველს¹⁰. ვფიქრობთ, ამ დებულების მტკიცება უფრო დაბეჯითებით შეიძლება, რადგან ეს სახელი „ქ. ც.“-ში სულ

⁸ კ. კეკელიძე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, გვ. 53—55. მისივე „ნინოს ცხოვრების“ მათიანისეული რედაქციის ავტორი, გვ. 274.

⁹ ამის შესახებ გარდა კ. კეკელიძის დასახელებული გამოკვლევებისა, იხ. აგრეთვე პ. ინგოროყვა, ლეონტი მროველი, ენიმის მოამბე, X, თბ., 1945.

¹⁰ კ. კეკელიძე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, გვ. 50. „ბუნთურქების“ ეტიმოლოგიაზე უნდა ითქვას შემდეგი: მ. ბროსეს ეს სახელი ესმოდა როგორც პირველადი, ძირითადი თურქები (Turks primitifs, Histoire de la Géorgie, I partie, 1849, გვ. 33). ე. თაყაიშვილის თანახმად, სომხური „ბუნ“ ქართულში აღნიშნავს შუბის ტარს და, შესაძლებელია, თვით შუბსაც, ამიტომ „ბუნთურქი“ უნდა ნიშნავდეს შუბოსან თურქსო (Источники грузинских летописей, გვ. 1—2), მაგრამ ასეთი წარმოება (შუბ-თურქი, ხმალ-ქართველი, ხანჯალ-სომეხი) ბუნებრივად არ გამოიყურება ქართულისათვის და ბროსესეული გაგება უფრო სწორი უნდა იყოს. ასევე გაგებული ეს სახელი გ. მელიქიშვილის შიგრაჲც (К истории древней Грузии, გვ. 125). ასეთ გაგებას მხარს უჭერს სომხური მონაცემებიც. სომხურში „ბუნ“ აღნიშნავს ხის ტანს, ძირს, ფესვს, ძირეულს, ნამდვილს. ამასთან გვხვდება ხოლმე ამ ძირით ნაწარმოები შესიტყვებები, მაგ., მოვსეს ხორენაცისთან „ბუნ ვოსტან“ (բւն ուստան, Մովսիսի խոյնհայուց Պատմութիւն Հայոց 1913, კვ. 111). საყურადღებოა, რომ ს. ჯანაშია საგანგებოდ იხილავდა ამ ადგულს ხორენაცის თხზულებაში და „ბუნ-ვოსტანს“ თარგმნიდა როგორც Природный, коренной остан-ის (მასალბა საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი VI, თბ., 1937, გვ. 76).

ორჯერ გვხვდება და ორივეჯერ ალექსანდრეს ლაშქრობის ამბავში, რომელიც, როგორც ვრწმუნდებით, დიდად არის დამოკიდებული „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ზე. ალექსანდრეს ლაშქრობამდე ათჯერ, ხოლო შემდეგ მრავალგზის „ქ.-ც.“-ში ლაპარაკია „თურქებზე“.

ყურადღებას იქცევს შემდეგიც: როგორც აღნიშნული გვაქვს, ალექსანდრეს შემოსვლამდე „ქ. ც.“-ში ლაპარაკია თურქებზე, მოთხრობილია სპარსელებთან მათი ბრძოლის ამბავი და მოყვანილია გადმოცემა სპარსელებისაგან გამოქცეულ თურქთა ოცდარვა სახლის ქართლში მოსვლასა და განსახლებაზე. ალექსანდრეს შემოსვლის ამბავში ეს თურქები ბუნთურქებად იხსენიებიან, შემდეგ კი ისევ თურქებად. ე. ი. ერთი ხალხი ორი სახელით იხსენიება. საეჭვოა, რომ ეს ერთ ავტორს გაეკეთებინოს. როგორც ჩანს, აქაც საქმე გვაქვს ორ ფენასთან. საფიქრებელია, რომ ძველ ფენაში ლაპარაკი იყო თურქებზე, ბუნთურქები კი გვიანდელი რედაქციაა. ეს ჩანს იქიდან, რომ ბუნთურქების მოხსენიება კერძო შემთხვევის შთაბეჭდილებას ახდენს და, როგორც ვნახეთ, ისინი XI ს-ის ჩანართში არიან შეტანილი.

როგორც ცნობილია, „ქ. ც.“-ში არაა „მ. ქ.“-ს ცნობა აზოს მიერ არიან-ქართლიდან მამამძუძეთა 18 სახლის მოყვანის შესახებ. აკად. გ. მელიქიშვილი აღნიშნავს, რომ ცნობა თურქთა 28 სახლის მოსვლაზე წარმოადგენს „მოქცევაჲ“-ს ცნობის ვარიაციას, „ქ. ც.“-ში მისი გამოტოვების ერთგვარ კომპენსაციას. გ. მელიქიშვილის სიტყვით, „მოქცევაჲ“-ს იმ ვარიანტში, რომლითაც სარგებლობდნენ „ქართლის ცხოვრების“ შემდგენელი, აზოსთან დაკავშირებით ალბათ 28 სახლი იხსენიებოდა¹¹. აქედან გამომდინარეობს, რომ „მეფეთა ცხოვრების“ პირვანდელ ტექსტს „მ. ქ.“-ს გავლენა განუცდია თურქებთან დაკავშირებითაც. ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მასში თურქები დახასიათებულნი იქნებოდნენ უწმინდურებად, ისე, როგორც დახასიათებულნი არიან „მ. ქ.“-ში ბუნთურქები.

შემდეგ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში ჩამოთვლილია ქალაქები და ციხეები, რომლებიც ბუნთურქებს ეჭირათ. ეს ჩამოთვლა არ არის „ქართლის ცხოვრებაში“, მაგრამ, როგორც შემდგომში დავრწმუნდებით, „მეფეთა ცხოვრების“ ავტორს იგი მაინც გამოუყენებია. გამოტოვებულია, აგრეთვე, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ცნობა, რომ ბუნთურქები „იებოსელთა ნათესავნი იყვნეს“. იებოსელი ერთ-ერთ ებრაულ ტომს წარმოადგენდნენ. ისინი ცხოვრობდნენ იერუსალიმში, სიონის მთაზე. ძვ. წ. X ს. დასაწყისში იერუსალიმი აიღო იუდეველთა მეფემ დავითმა — იზრაელისა და იუდეას გაერთიანებული სამეფოს

¹¹ Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, стр. 37.

შემქმნელმა. საკმაოდ მალე ამის შემდეგ იებოსელნი გაითქვიფნენ სხვა ებრაულ ტომებში. ამიტომ იებოსელებს არავითარი კავშირი არა ჰქონიათ ალექსანდრე მაკედონელთან და, მით უმეტეს ბუნთურქებთან. როგორც ჩანს, „მეფეთა ცხოვრების“ ავტორი ამ შემთხვევაშიაც შეგნებულად უქცევს გვერდს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს საეკვო ცნობას.

სამაგიეროდ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მომდევნო ფრაზა („ყოველსა ვორციელსა ჳამდეს და სამარე მათი არა იყო, მკუდარსა შეშჳამდეს“), „ქართლის ცხოვრებაში“ ორჯერ არის შეტანილი: ერთხელ, ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილ ნაწყვეტში, ოდონდ აქ გამოტოვებულია სიტყვები „სამარე მათი არა იყო“. მეორედ ეს ფრაზა შესულია ალექსანდრეს შემოსვლის წინა თავში. აქ იგი სრულადაა დაცული: „და იპყრეს სჯული უბოროტესი ყოველთა ნათესავთასა. რამეთუ ცოლქმრობისათჳს არა უჩნდა ნათესაობა, და ყოველსა სულიერსა ჳამდეს, საფლავი არა იყო, მკუდარსა შეშჳამდეს“. საყურადღებოა, რომ ორივეგან „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს „ვორციელსა“ შეცვლილია „სულიერსა“-თი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს ორივე ადგილი ერთ ავტორს ეკუთვნის.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის, რომ თუ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში ეს დახსიათება ბუნთურქებს განეკუთვნება, „ქართლის ცხოვრებაში“ იგი ქართველებს შეეხება. აღსანიშნავია, რომ კ. კეკელიძეს ეს განსხვავება ერთ-ერთ ძირითად საბუთად მოჰყავდა იმის დასამტკიცებლად, რომ ამ ადგილას ლეონტი მროველს „მოქცევაჲ“ არ გამოუყენებია¹². მაგრამ ტექსტის ანალიზი სულ სხვა სურათს წარმოგვიდგენს. მას შემდეგ, რაც ქართველები კაციჳამიებად და უწმინდურებად არიან დახსიათებულნი, ნათქვამია „და იხილნა რა ესე ნათესავნი სასტიკნი წარმართნი, რომელთა — იგი ჩუენ ბუნთურქად და ყვიჩაყად უწოდთ, ... დაუკრდა ესე ალექსანდრეს, რამეთუ არა რომელი ნათესავნი იჳმოდეს მას. და ენება რათამცა აღმოფხურნა იგინი ქალაქებისა მისგან“. ამ ნაწყვეტიდან ჩანს, რომ უწმინდურება მიეწერება წარმართებს, „რომელთა-იგი ჩუენ ბუნთურქად და ყვიჩაყად უწოდთ“. ამაზევე მიგვითითებს ისიც, რომ უწმინდურობის გამო ალექსანდრემ მოისურვა, ისინი „იმ ქალაქებიდან“ აღმოეფხვრა. რა ქალაქებია ეს? წინა თავში ნათქვამია, რომ ქართლში მოსული თურქები ქართველებმა „განიყვანეს ყოველთა ქალაქთა შინა“, უმეტესი მათგანი კი სარკინეში დასახლდაო. მაშასადამე, უწმინდურებად აქაც თურქები იგულისხმებიან. შემდეგ აღწერილია ალექსანდრეს ბრძოლა ქართლში. აღწერაში ცენტრალური ადგილი უჭირავს ბუნთურქთა მთავარი ცი-

12 კ. კეკელიძე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები გვ. 50.

ხესიმაგრის — სარკინის — ალყას, რაც სავსებით ბუნებრივია, რადგან, როგორც ვნახეთ, ბრძოლის მთავარი მიზანი უწმინდურ ხალხთა მოსპობა იყო. მართლაც, როდესაც ალექსანდრემ დაიპყრო მთელი ქართლი, „მოსრნა ყოველნი იგი ნათესავნი აღრეულნი ქართლს მყოფნი, და უცხონი იგი ნათესავნი მოსრნა და დაატყუენა... და დაუტევენა ქართლოსიანნი“. ასეთი სიმკაცრე უცხოელთა მიმართ და ლმობიერება ქართველთა მიმართ გასაგები იქნება მხოლოდ მაშინ, თუ გავითვალისწინებთ, რომ უწმინდურები არაქართველნი იყვნენ¹³.

ამრიგად, თუ თავდაპირველად უწმინდურებად ქართველები იყვნენ მიჩნეულნი, ბოლოს გამოირკვა, რომ ასეთები სხვანი ყოფილან. რითი აიხსნება ეს გარემოება? ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაშიც გვაქვს ორი ფენა. უძველესში, როგორც ჩანს, უწმინდურებად დასახელებულნი იყვნენ ბუნთურქები (უფრო ზუსტად — თურქები), შემდგომ კი ცდილან ეს ცნობა ქართველებზე გადაეტანათ, მაგრამ ძველი ვითარების კვალი მაინც დარჩენილა.

ამგვარად, როგორც ირკვევა, ის ადგილები, სადაც ლაპარაკია ქართველთა უწმინდურებაზე, პირვანდელ ტექსტში არ ყოფილა და ისინი გვიანდელ ჩანართებს წარმოადგენენ¹⁴.

შესადარებელ ტექსტებში ყურადღებას იქცევს ისიც, რომ „მ. ქ.“-ს ცნობა „და ვერ ეძლო ბრძოლაჲ მეფესა, და წარვიდა“ — გამეორებულია „ქ. ც.“-შიც, თუმცა რამდენადმე გავრცობით: „და ენება რათამცა აღმოფხურნა იგინი ქალაქებისა მისგან, არამედ მას ჟამსა ვერ უძლო, რამეთუ პოვნა ციხენი მაგარნი და ქალაქნი ძლიერნი“. აქედან ჩანს, რომ წინააღმდეგ კ. კეკელიძის მტკიცებისა¹⁵, „ქართლის ცხოვრებას“, ისევე, როგორც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ალექსანდრე ორჯერ მოჰყავს ქართლში¹⁶.

შემდეგ „მ. ქ.“ მოგვითხრობს ქალდეველთაგან „გამოსხმულ ჰონთა“, „ქ. ც.“ კი თვით ქალდეველთა ქართლში მოსვლის შესახებ. მიუ-

¹³ Г. А. Мелникишвили, К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, გვ. 280.

¹⁴ ამ ჩანართების გაცემების მიზანი ახსნილი აქვს ე. თაყაიშვილს. მისი სიტყვით, „ქართლის ცხოვრების“ შემდგენელმა უწმინდურება ქართველებს მიაწერა იმისთვის, რომ უფრო რელიეფურად ეჩვენებინა მათი ველურობა ქრისტიანობის მიღების წინ, დაემცრო წინაქრისტიანული კულტურა და განედიდებინა ალექსანდრე მაკედონელის განმანათლებელი მოღვაწეობა (Источники грузинских летописей, გვ. 4—5, შენ. 2).

აღსანიშნავია, რომ ამ ჩანართებმა წარმოშვა რიგი გაუგებრობათა, როგორცაა შეხედულება ქართველთა კანიბალიზმის შესახებ და სხვ.

¹⁵ კ. კეკელიძე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, გვ. 50.

¹⁶ ეს იგივეობა აღნიშნა ჯერ კიდევ ე. თაყაიშვილმა. იხ. მისი, Источники грузинских летописей, გვ. 6, შენ. 1.

ხედავად იმ მნიშვნელოვანი განსხვავებისა, რომელიც არის ამ ცნობათა შორის, საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაშიც „ქ. ც.“-ის წყაროს „მ. ქ.“ წარმოდგენს. ჯერ ერთი, როგორც ირკვევა, ალექსანდრეს ლაშქრობის ამბავი ორივე წყაროში კომპოზიციურად ერთნაირადაა დალაგებული. ამ ცნობებს კი შესატყვისი ადგილები უჭირავთ (ორივე წყაროში ისინი მოსდევენ ცნობას იმის შესახებ, რომ ალექსანდრემ „ვერ უძლო“ ბრძოლა და წინ უსწრებენ ალექსანდრეს მეორედ ლაშქრობის აღწერას). მეორე: ანგარიშგასაწვევია ისიც, რომ „ქალდეელები“ „ქ. ც.“-ში სულ სამჯერ იხსენიებიან, სამივეჯერ ლეონტი მროველისადმი მიკუთვნებულ თხზულებებში და, როგორც ჩანს, სამივე შემთხვევაში „მ. ქ.“-დან მომდინარეობენ. გარდა ზემოხსენებული ადგილისა, „ქალდეელები“ ორჯერ იხსენიებიან „ნინოს მიერ ქართლს მოქცევაში“, რომელიც, როგორც ცნობილია, თითქმის სიტყვასიტყვით არის გადაწერილი „მ. ქ.“-დან¹⁷.

შედარება გვიჩვენებს, რომ „მ. ქ.“-ს აღნიშნული ცნობა „ქ. ც.“-ში შემოკლებული და დამახინჯებული სახითაა წარმოდგენილი. სამაგიეროდ, იგივე ცნობას ვხვდებით მეორეგანაც „ქ. ც.“-ში, ალექსანდრეს შემოსვლის წინ: „და გამოგდეს ამას შინა ყამნი მრავალნი. მაშინ ნაბუჭოდონოსორ მეფემან წარმოსტყუენა იერუსალემი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს, და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლრისაგან ქუეყანა ხარკითა.—მისცა და დასხნა არაგუსა ზედა, წყაროსა, რომელსა ჰქვან ზანავი. და რომელი ქუეყანა აქუნდა მათ ხარკითა. აწ ჰქვან ხერკ ხარკისა მისთვის“¹⁸. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში „მ. ქ.“-ს ცნობამ სულ სხვა ხასიათის ცვლილებები განიცადა.

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ჰონების მაგივრად აქ იხსენიებიან ურიანი. ე. თაყაიშვილის ახსნით, „მ. ქ.“-ს დედანში იყო „ჰურიანი“, ოღონდ დაქარაგმებული როგორც „ჰონნი“, „ჰონნი“ მისი მცდარი წაკითხვაა¹⁹. მართლაც, ქალდეელებთან, ე. ი. ბაბილონელებთან, კავშირში სწორედ ებრაელები უნდა ყოფილიყვნენ მოხსენიე-

¹⁷ აქედან ერთ შემთხვევაში ქალდეელთა წარმომავლობა დგინდება ტექსტების უბრალო შედარებით („ქ. ც.“, გვ. 106; „მ. ქ.“, გვ. 132). მეორე შემთხვევაში მდგომარეობა რამდენადმე რთულდება, რადგან სწორედ ის ადგილი, სადაც უნდა მოხსენიებული ყოფილიყვნენ ქალდეელები, აქლია „მ. ქ.“-ს ორივე რედაქციას („ქ. ც.“, გვ. 91; „მ. ქ.“, გვ. 121), მაგრამ ლაქუნის წინა და მომდევნო ადგილები თითქმის სიტყვასიტყვითაა შესული „ქ. ც.“-ში და ჩვენ არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ. რომ მაინცდამაინც ჩვენთვის საყურადღებო ადგილი იმავე წყაროდან არაა აღებული.

¹⁸ ქართლის ცხოვრება, გვ. 15—16.

¹⁹ ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ხრონიკა, გვ. Cl; მისივე, Источники грузинских летописей, გვ. 5, შენ. 1.

ბულნი და არა ჰუნები, რომელთაც მათთან ისტორიულად არავითარი შეხვედრის მომენტი არ გააჩნდათ. არც ისაა გამორიცხული, რომ „მეფეთა ცხოვრების“ ავტორმა „ჰონები“ თვითონ გაასწორა „ურჩებად“ მათი ქალღვევლებთან ერთად მოხსენიების გამო. როგორც ცნობილია, ქალღვეური ბაბილონის მეფემ ნაბუქოდონოსორ II ორჯერ აიღო იერუსალიმი (597 და 586 წწ.) და უამრავი ებრაელი გადაასახლა ბაბილონში (ბაბილონის ტყვეობა). ეს ამბავი მოთხრობილია „დაბადებაში“ და, როგორც ჩანს, „მეფეთა ცხოვრების“ ავტორმა იცოდა იგი. მას შემდეგ, რაც „ჰონები“ „ურჩებად“ გასწორდნენ, „მეფეთა ცხოვრების“ ავტორმა „ქალღვევლთაგან გამოსხმულნი ჰურიანი“ საესვებით სამართლიანად დაუკავშირა ნაბუქოდონოსორის სახელს. ამასთან მან გაასწორა „მ. ქ.“-ში არსებული ანაქრონიზმი — „მ. ქ.“-ში „ჰონების“ (ე. ი. „ურჩათა“) ქალღვევლთაგან „გამოსხმა“ ალექსანდრე მაკედონელის დროს ხდება და ეს ამბავი წინა თავში, ე. ი. ალექსანდრეზე აღინდელ ეპოქაში გადაიტანა.

აღსანიშნავია ისიც, რომ თუ „მ. ქ.“-ში ჰონები ქვეყანას ბუნთურქთა უფლისაგან თხოულობენ, „ქ. ც.“-ში ურიანი მცხეთელთა მამასახლისს მიმართავენ. საქმე ისაა, რომ „მ. ქ.“-ს თანახმად ჰონების მოსვლის დროს ქართლში მხოლოდ ბუნთურქები ცხოვრობდნენ, „ქ. ც.“-ის მიხედვით კი უძველეს მოსახლეობას ქართველები წარმოადგენდნენ, ხოლო თურქები თვითონ იყვნენ მოსულნი. ამიტომ „მეფეთა ცხოვრების“ ავტორს კიდევ ერთი შესწორება შეუტანია „მ. ქ.“-ს ცნობაში და იგი კარგად შეუფარდება თავისი თხზულების ზოგადი ხაზისთვის.

ამრიგად, ჩვენ ვნახეთ, რომ „მ. ქ.“-ს ერთი ადგილი ორი რედაქციით, შესვებულ-შესწორებულთა და შემოკლებულ-დამახინჯებულთა, შესულა „ქ. ც.“-ში. ამ შემთხვევაშიაც ჩვენ ორი ავტორის ხელი გვეგულება. პირველი რედაქციის ავტორი, როგორც ირკვევა, არის დაკვირვებული, მკოდნე და განათლებული პირი, რომელიც თავისი წყაროს ცნობას ასწორებს, ამდიდრებს და ოსტატურად უკავშირებს თავის თხრობას. მეორე რედაქციის ავტორს კი თავისი წყარო დაუდევრად წაუკითხავს, კარგად ვერ გაუგია და ცნობა იქიდან დამახინჯებით და შემოკლებით გადმოუტანია. როგორც ჩანს, ქრონოლოგიურად უძველესია პირველი რედაქცია, რადგან მის დაკვირვებულ ავტორს რომ მეორე რედაქცია დახვედროდა ტექსტში, იგი მას ალბათ გაასწორებდა.

შემდგომში კავშირი „მ. ქ.“-სა და „ქ. ც.“-ს შორის ნაკლებად ცხადია, მაგრამ ტექსტების შედარება გვიჩვენებს, რომ „მეფეთა ცხოვრების“ ავტორს აქაც განუცდია „მ. ქ.“-ს გავლენა. ალექსანდრეს ქარ-

თლში მობრუნება და ბრძოლა „მ. ქ.“-ში გადმოცემულია შემდეგნაირად: „და შემდგომად რაოდენსამე ყამისა მოვიდა ალექსანდრე, მეფე ყოვლისა ქუეყანისაჲ, და დაღეწნა სამნი ესე ქალაქნი და ციხენი და ჰონთა დასცა მახლი. ხოლო სარკინესა ქალაქსა ებრძოლა ათერთმეტ თთუჲ და დადგა სარკინესა დასავლით კერძო და დასცა ვენაჯი და რუჲ გამოიღო ქსნით. და დასხნა კაცი მერუვენი დასტავითა რუჲსაჲთა; და ჰრქევან ადგილსა მას ნასტავისი. და მერმე გამოიღო სარკინე. თუთ დაყარეს და მეოტ იქმნნეს“.

„ქ. ც.“-ში ნათქვამია, რომ ქართლში მოსულმა ალექსანდრემ ნახა ძლიერი ციხექალაქები (ჩამოთვლილია თხუთმეტამდე ასეთი ციხექალაქი), რომელთაც ალყა შემოარტყა. მტკერის ციხესა და თუხარისს, როგორც მეტისმეტად ძლიერებს, ალექსანდრე არ შეზღვეოვებია. დანარჩენი ციხექალაქები კი ექვს თვეში აუღია. მხოლოდ სარკინის ალყა გაგრძელებულა თერთმეტ თვეს. სარკინელებს უგინებიათ მეფე, ამიტომ მას უარი უთქვამს მათთან დაზავებაზე. სარკინელები იძულებული გამხდარან კლდე გაეხვრიტათ და ისე გაპარულიყვნენ ციხიდან. ქართლის დაპყრობის შემდეგ ალექსანდრეს გაუჟღეცია აქ მყოფი უცხოელები და მხოლოდ ქართველები დაუტოვებია.

მიუხედავად დიდი გარეგნული განსხვავებისა, „ქ. ც.“ ფაქტიურად იმასვე გადმოგვცემს, რასაც „მ. ქ.“. ამის ნათელსაყოფად რამდენადმე უკან მივბრუნდეთ.

ზემოთ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ „მ. ქ.“-ს თანახმად ქართლს უძველეს მოსახლეობას წარმოადგენდნენ ბუნთურქები, შემდეგ აქ მოვიდნენ ჰონები, რომლებიც დასახლდნენ ზანაჲში. ქართველები კი ქართლში მოსულან მხოლოდ ალექსანდრე მაკედონელის შემდეგ. სრულიად განსხვავებული კონცეფცია აქვს „მეფეთა ცხოვრების“ ავტორს, რომლის მიხედვით ქართლი უძველესი დროიდან დასახლებული იყო ქართველებით. „მ. ქ.“-ს მიხედვით ალექსანდრე ქართლში ებრძოდა ბუნთურქებს. იმისათვის, რომ შეენარჩუნებინა „მ. ქ.“-ს ცნობები, „მეფეთა ცხოვრების“ ავტორს ეს ბუნთურქები უნდა დაეკავშირებინა ქართლთან. მან ეს გააკეთა კიდევაც. იგი გადმოგვცემს, რომ სპარსელებისაგან დამარცხებული თურქები მოვიდნენ მცხეთაში და მოლაპარაკება გამართეს მცხეთელ მამასახლისთან (აქ გავიხსენოთ, რომ „მ. ქ.“-ს გავლენით თურქების რაოდენობა „მეფეთა ცხოვრებაში“ განსაზღვრულია 28 სახლით). მცხეთელმა მამასახლისმა და „ყოველთა ქართველთა ინებეს დამეგობრება“ თურქებთან და მიუჩინეს მათ საცხოვრებელი ადგილი. „მ. ქ.“-ს მიხედვით, თურქებს ქართლში უცხოვრიათ „მდინარესა ზედა მტკუარსა, მიხუევით, ოთხ ქალაქად, და დაბნები მათი: სარკინე ქალაქი, კასპი, ურბნისი და ოძრაკე. და ციხენი მათნი: ციხე დიდი სარკინისაჲ, უფლისციხე, კასპისა,

ურბნისისა და ოძრავისაა“. რადგანაც ბუნთურქების გარდა ქართლში არავინ არ ცხოვრობდა, მკითხველს შეუძლია დაასკვნას, რომ ბუნთურქებს უცხოვრიათ არა მარტო მტკვრის გასწვრივ, არამედ საერთოდ მთელს ქართლში. ჩანს, ეს ასე გაუგია „მეფეთა ცხოვრების“ ავტორსაც. მაგრამ მისი ცნობებით თურქების მოსელის დროისათვის ქართლში უკვე მრავალი ქალაქი არსებობდა. ამიტომ იგი გადმოგვცემს, რომ ქართველებმა თურქები „განიყვანეს ყოველთა ქალაქთა შინა.

ხოლო უმრავლესი მათგანი მოვიდეს და პოვეს ადგილი ერთი მცხეთას. დასავალით კერძო კლდეთა შორის გამოკუეითლი, ღრმა, და მოითხოვეს ადგილი იგი მცხეთელთა მამასახლისისაგან. მისცა და აღაშენეს იგი, მოზღლედეს მტკიცედ და ეწოდა მას ადგილსა სარკინე“.

შესაძლებელია, „მ. ქ.“-ს გავლენის კვალი ეტყობოდეს იმ ცნობასაც, რომ თურქების უმრავლესობა სარკინეში გამაგრდა. საქმე ის არის, რომ „მ. ქ.“-ს მიხედვით ალექსანდრემ შედარებით ადვილად დაამარცხა ბუნთურქები და ჰონები; მხოლოდ სარკინელ ბუნთურქებს გაუწევიათ ხანგრძლივი წინააღმდეგობა. სარკინის ალყა თერთმეტ თვეს ვაგრძელებულა. აქედან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ სარკინე იყო ბუნთურქთა უმთავრესი სიმაგრე. აღსანიშნავია, ისიც, რომ გადმოცემა: თურქები „ეზრახნეს მამასახლისისა მცხეთისასა, აღუთქუეს შეწევნა სპარსთა ზედა. ხოლო მამასახლისმან მცხეთელმან აუწყა ყოველთა ქართველთა, ინებეს დამეგობრება მათ თურქთა... და განიყვანეს ყოველთა ქალაქთა შინა“, მიუხედავად არსებულ განსხვავებათა, გარკვეულ ასოციაციას იწვევს იმ გადმოცემასთან, რომ „ურიანი მოვიდეს ქართლს, და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკითა. მისცა და დასხნა...“ ეს უკანასკნელი კი, როგორც ვნახეთ, „მ. ქ.“-დანაა სიტყვა-სიტყვით ამოღებული.

შემდეგ, როდესაც ალექსანდრე მოდის ქართლში, „მეფეთა ცხოვრების“ ავტორი ჩამოთვლის ციხექალაქებს, რომელნიც მას აქ დაზვედრია. ამ ციხექალაქების განხილვა მეტად საინტერესო ფაქტს გვიჩვენებს. ირკვევა, რომ აქ დასახელებული თხუთმეტი²⁰ ციხექა-

20 სხვათაშორის, „ქ. ც.“-ის უკანასკნელ გამოცემაში ერთ-ერთი ამ ციხექალაქის, დედაციხის, სახელი გავებულია სამშვილდის „განსაზღვრებად, თუ სრულ სახელად: ალექსანდრემ ქართლში ნახაო „...ქალაქი დიდი მცხეთა და უბანი მისნი, სარკინე, ციხე დიდი და ზანაჲ, უბანი ურიათა და რუსთავი, და დედაციხე სამშვილდე, და მტკვრის ციხე...“ საკუთარ სახელთა საძიებელში დედაციხეს ახლავს განმარტება ფრჩხილებში „დედაციხე სამშვილდე“. დედაციხე სამშვილდის განსაზღვრებად გაუგია „ქ. ც.“-ის ძველ სომეხ მთარგმნელსაც, რომელსაც იგი სიტყვისიტყვით უთარგმნია მიირაბერდ-ად (ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, გამოსცა ილია აბულაძემ, 1953, გვ. 25). მაგრამ, აღსანიშნავია, რომ მ. ბ რ ს ე ს

ლაქიდან ცამეტი იხსენიება „მეფეთა ცხოვრების“ მეორე თავში და ერთიც, ციხე-დიდი, „მ. ქ.“-ში, ე. ი. „მეფეთა ცხოვრების“ ავტორი ამ შემთხვევაში შემოსაზღვრულია „მ. ქ.“-ს ცნობებითა და იმ ცნობებით, რომელიც თვით მას ჰქონია ქართლში უძველესი ქალაქების მშენებლობაზე. ერთადერთი ქალაქია ხერთვისი, რომელიც არც „მ. ქ.“-ში იხსენიება და არც „მეფეთა ცხოვრებაში“ ალექსანდრეს შემოსვლამდე. მაგრამ ეს საქმის ვითარებას არსებითად ვერ ცვლის. ამასთან აღსანიშნავია, რომ მთლად აშკარა არაა, ხერთვისი აქ გეოგრაფიულ პუნქტად იგულისხმება, თუ გეოგრაფიულ ტერმინად²¹. „მ.

(Histoire de la Géorgie. გვ. 33) და ე. თაყაიშვილის (Источники грузинских летописей. გვ. 3. შენ. 2) დედა-ციხე ცალკე ქალაქად მიაჩნდათ.

ქალაქების მშენებლობის აღწერისას „ქ. ც.“-ში ნათქვამია, რომ ქართლოსის სიკვდილის შემდეგ „ცოლმან მისმან აღაშენა დედა-ციხე და მანვე აღაშენა ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქვან რუსთავი“ (გვ. 8), როგორც ირკვევა დედა-ციხე კახეთში მდებარეობდა, რადგან როდესაც ქართლოსის ცოლმა ქართლი თავის შვილებს დუნაწილა, დედა-ციხე კახოსს რგებია (გვ. 9); დაბოლოს, საესებით აზუსტებს დედა-ციხის მდებარეობას ეახუშტი, რომლის სიტყვით, დედა-ციხე იგივე ბოქორმაა („ბოქორმა აღაშენა ცოლმან ქართლოსისამან და უწოდა დედა-ციხე“; აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 90).

ვახუშტის კიდევ ერთი დედა-ციხე აქვს მოხსენიებული, ოღონდ თემის ხეობაში და ამიტომ არც მას ჰქონდა რაიმე საერთო სამშვილდესთან.

21 ექვს ბადებს შემდეგი გარემოება: „მეფეთა ცხოვრების“ მეორე თავიდან მკითხველმა იცის, რომ ალექსანდრეს შემოსვლაში მოხსენიებულ თხუთმეტი ქალაქიდან თერთმეტი აშენებული იყო ქართლოსისა და მისი ნათესავების მიერ. სარკინე აუშენებიათ თურქებს, ხოლო ზანავი ნახსენებია ურიათა დასახლებასთან დაკავშირებთ. ციხე-დიდზე თვით ტექსტშია ნათქვამი, რომ ის იყო მცხეთის უბანი. ამრიგად, ყველა ამ პუნქტის ხსენება ლოგიკურად დასაბუთებულია და არავითარ წინაგებობას არ იწვევს მკითხველში. ერთადერთ გამონაკლისს ამ საერთო წესიდან წარმოადგენს ხერთვისი, რომელიც ჩნდება სრულიად მოულოდნელად, ისე რომ, მკითხველმა სრულიად არაფერი არ იცის მის შესახებ. ეს საფუძველს იძლევა დასკვას კითხვა, ხერთვისი ამ შემთხვევაში გეოგრაფიულ ტერმინად ხომ არ უნდა გაეგოთ? როგორც ცნობილია, ხერთვისი ნიშნავს ნახევარკუნძულს, კუნძულს, ვილაყს. ტექსტში ასეა: ალექსანდრემ „პოვნა ციხე-ქალაქნი ესე ძლიერნი შუა-ქართლ: წუნდა, ხერთვისი მტკურისა, ოძრკე მოკიდებული კლდისა დადოსსა, თუხარისი, მდინარესა ზედა სპერისასა, რომელსა ჰქვან კოროხი, ურბნისი, კასპი და უფლისციხე“... და სხვ. თუ ხერთვისი აქ გეოგრაფიულ ტერმინად უნდა გაეგოთ, მივღებთ, რომ „ხერთვისი მტკურისა“ ისეთივე განსაზღვრებაა წუნდისა, როგორც „მოკიდებული კლდესა დადოსსა“ — ოძრკისა და „მდინარესა ზედა სპერისასა, რომელსა ჰქვან კოროხი“ — თუხარისისა. ხერთვისი რომ აქ საკუთარსახელად იგულისხმებოდეს, მოსალოდნელია რომ იქნებოდა არა „ხერთვისი მტკურისა“, არამედ „ხერთვისი მტკურისა ზედა“, როგორც არის იქვე „თუხარისი, მდინარესა ზედა სპერისასა“ (და არა „თუხარისი მდინარისა სპერისასა“).

ქ.“-ში ნათქვამია, რომ როდესაც ალექსანდრე ებრძოდა სარკინეს, იგი „დადგა სარკინესა დასავალით კერძო. და დასცა ვენაჯი და რუჲ გამოიღო ქსნით, და დასხნა კაცნი მერუეენი დასტავითა რუჲსაათა; და ჰრქვან ადგილსა მას ნასტავისი“. აშკარად აქედან მომდინარეობს „მეფეთა ცხოვრების“ ცნობა იმის შესახებ, რომ როდესაც ალექსანდრემ ქართლის ქალაქებს „დაუდგინა ლაშქარნი იმიერ და ამიერ, ზემოთ და ქუემოთ“, „თუთ დადგა ქსანს ზედა, ადგილსა რომელსა ჰქვან ნასტავისი“. აღსანიშნავია, რომ ისევე, როგორც „მ. ქ.“-ში, „მეფეთა ცხოვრებაშიც“ ალექსანდრე თერთმეტ თვეს ებრძოდა სარკინეს.

დაბოლოს, კიდევ ერთი საერთო მომენტი: „მ. ქ.“ გვიამბობს, რომ ალექსანდრემ „დალუწნა“ ბუნთურქთა „ქალაქნი და ციხენი და ჰონთა დასცა მახული“. თერთმეტი თვის ბრძოლის შემდეგ ბუნთურქებმა თავისი უკანასკნელი ციხესიმაგრე სარკინეც „დაყარეს და მეოც იქმნეს“. კონტექსტი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ქართლში ყოველგვარი მოსახლეობა მოისპო (ბუნთურქებისა და ჰონების მეტი აქ ხომ არავინ ყოფილა) ისე, რომ, როდესაც ამის შემდეგ აზომ არიან-ქართლიდან ქართველები მოიყვანა, აქ წმინდა ქართული მოსახლეობა შექმნილა. „მეფეთა ცხოვრების“ თანახმად ალექსანდრეს მოსვლისთვის ქართლში მეტად ჭრელი მოსახლეობა ყოფილა: აქ იყვნენ ქართველები, ბერძნები, ებრაელები, ხაზარები, ასურელები, თურქები, სპარსელები, მაგრამ, როდესაც ალექსანდრემ ქართლი დაიპყრო, მან „მოსრნა ყოველნი იგი ნათესავნი აღრეულნი, ქართლს. მყოფნი, და უცხონი იგი ნათესავნი მოსრნა და დატყუენა... და დაუტევენა ნათესავნი ქართლო-

საერთოდ ხერთვისი, როგორც სკუთარი სახელი „ქ. ც.“-ში ჩნდება, ძალიან გვიან, ბერი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით შედგენილ ტექსტში, გიორგი სააკაძესთან დაკავშირებით. მანამდე ხერთვისი მხოლოდ გეოგრაფულ ტერმინად იხმარება. იგი ნახსენებია ორჯერ (ყუანშერთან): 1. „ხოლო მეფე ვახტანგ და ქართველნი განვიდეს ზედა და დადგეს და აღჭდა მეფე პილოსა ზედა თეთრსა, და ეწყვენეს იგინი ზღვს კიდესა, მას რომელ არს ქალაქი, რაჲე ხერთვისისა“ (გვ. 172—173). აქ რომ ხერთვისი საკუთარი სახელი არაა, ჩანს იქიდან, რომ მოქმედება წარმოებს „საბერძნეთში“ „პონტოს ქალაქთან“, სადაც გეოგრაფიული პუნქტის ქართული სახელწოდება მოსალოდნელი არაა. სპარსელებმა „მცბეთა ვერ დაიპყრეს, გარნა რომელი ზღუდეს გარეგნით იყო, მოაოქრეს, რომელი-იგი მუხნარით და არაგუსსა ხერთვისსა იყო“ (გვ. 202). აქ რომ ხერთვისი ქალაქის სახელად იგულისხმებოდეს, იქნებოდა „რომელი-იგი მუხნარით და არაგუსსა ხერთვისით იყო“. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სხვა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ქალაქი ხერთვისი, რომელიც შეიძლებოდა დაპირისპირებოდა „ხერთვისსა მტკურისას“, ცნობილი არაა. ვახუშტის საერთოდ არავითარი სხვა ხერთვისი მოხსენიებული არა აქვს.

მაინც ვფიქრობთ, რომ ზემოთქმული საკმარისია მხოლოდ საკითხის დასასმელად და არა გადასაწყვეტად.

სიანნი“, ე. ი. აქაც იგივე სურათი მივიღეთ: ალექსანდრეს ლაშქრობის შემდეგ ქართლში წმინდა ქართული მოსახლეობა დარჩა.

ყოველივე ზემოთქმული არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს „მეფეთა ცხოვრების“ ავტორმა ალექსანდრეს ქართლში ლაშქრობის აღწერისას გამოიყენა მხოლოდ „მ. ქ.“ მას აქვს ცნობები, რომლებიც არაა ამ წყაროში. მაგ., იგი ამბობს, რომ ალექსანდრე არ შებრძოლებია მტვერის ციხესა და თუხარისს, „რამეთუ ვერ შეუძლებდა დაპყრობა“, ხოლო დანარჩენი ციხექალაქნი კი ექვს თვეში დაიპყრო. ძალზე საყურადღებო დეტალები მოაქვს მას სარკინესთან ბრძოლის ეპიზოდში (ისეთი, როგორიცაა სარკინელ ბუნთურქთა მიერ კლდის გახვრეტის ამბავი²² და სხვ.).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება განსხვავებანი „მეფეთა ცხოვრებასა“ და „მ. ქ.“-ს შორის მას შემდეგ, რაც ასპარეზზე გამოდის აზო—აზონი. „მ. ქ.“-ს თანახმად, ალექსანდრეს თან ჰყოლია აზო, არიან-ქართლის მეფის ძე, რომელსაც მან უბოძა მცხეთა. აზო წასულა სამშობლოში და იქიდან მოუყვანია „რვა სახლი და ათნი სახლნი მამამძღებთანი“. აზო გამხდარა პირველი მეფე „მცხეთასა შინა“: სულ სხვა სურათს გვიხატავს „მეფეთა ცხოვრება“: აქ აზონი ქართველი არაა, იგი არის ალექსანდრეს ნათესავი „ქუეყანით მაკედონით“. არაფერი არაა ნათქვამი არიან-ქართლზე და იქიდან ქართველების გადმოსახლებაზე. ეს გასაგებიცაა: როგორც უკვე ითქვა, „მეფეთა ცხოვრების“ ავტორის კონცეფციით ქართველები ქართლში ცხოვრობდნენ უძველესი დროიდან, ამიტომ მისთვის მიუღებელი იყო აზრი ალექსანდრეს დროს მათი არიან-ქართლიდან გადმოსახლების შესახებ²³. მოხსენიებულია აზოს მამის სახელი — იარედოსი. ალექსანდრე აზოს ქართლში ტოვებს არა მეფედ, არამედ პატრიკად, ერისთავად და უტოვებს მას ას ათას კაცს. წასვლისას ალექსანდრე აბარებს მას მნათობთა თაყვანისცემას. შემდეგ აღწერილია აზონის საქმიანობა ქართლში. წინააღმდეგ „მ. ქ.“-სა „მეფეთა ცხოვრება“ აზონს გვიხატავს ბოროტ და მესისხლე კაცად, რომელიც სასტიკად ჩაგრაავდა ქართველებს. ქართლის პირველ მეფედ ხდება აზონის წინააღმდეგ აჯანყებული ქართველების მეთაური ფარნავაზი და სხვ.

როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში „მ. ქ.“-სა და „მეფეთა ცხოვრებაში“ ჩვენ გვაქვს სხვადასხვა რედაქციები იმ გადმოცემებისა, რომ-

22 კ. კეკელიძეს მიაჩნდა, რომ ბუნთურქთა მიერ კლდის გახვრეტის ამბავი ამოღებული უნდა ყოფილიყო ფსევდო-მეთოდი პატრიკის თხზულებიდან „თხრობა უცთომელი სუფევისათვის ნათესავთა და უკანასკნელთა ეამათვის“ („ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები“, გვ. 51).

23 Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, гв. 280.

მელნიც ალბათ არსებობდნენ ქართლში აზონსა, ფარნავაზზე და მეფობის გაჩენაზე²⁴.

ზევით, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობდით სხვადასხვა წყაროს შეკრებაზე, მათი ცნობების ურთიერთდაკავშირებასა და საერთო კონცეფციით გამართვაზე, ვგულისხმობდით, რომ ეს სამუშაო ჩატარებული აქვს „მეფეთა ცხოვრების“ პირვანდელი, VII—VIII საუკუნეების, ტექსტის ავტორს, ლეონტი მროველი კი საფიქრებელია უფრო ამ ტექსტის რედაქტორად უნდა ვიგუღვოთ.

ყოველივე ზემოთქმული, ვფიქრობთ, უფლებას გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

„ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს იმ ადგილას, სადაც აღწერილია ალექსანდრე მაკედონელის ქართლში შემოსვლა. შეინიშნება ორი ფენა. უძველესი, როგორც ჩანს, ეკუთვნის VII—VIII სს. ავტორს. ამ ავტორის ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენდა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რომლის სათანადო ადგილი თითქმის მთლიანად (ერთი მესამედი კი სიტყვა-სიტყვითაც) შესულა „მეფეთა ცხოვრებაში“. „მეფეთა ცხოვრების“ ავტორი თავის წყაროს შემოქმედებთად იყენებს; კრიტიკულად უდგება მის ცნობებს; ზოგს, როგორც საექვოს, განზე ტოვებს, ზოგს ასწორებს და ამდიდრებს სხვა წყაროთა მონაცემების საფუძველზე. თავისი წყაროების ცნობებს „მეფეთა ცხოვრების“ ავტორი კარგად უხამებს თავის მიზნებს და ლიტერატურულად კარგად უკავშირებს ერთმანეთს.

გვიანდელი ფენა წარმოშობილია „მეფეთა ცხოვრების“ რედაქტორების დროს. საფიქრებელია. რომ ეს რედაქცია ჩატარებულია XI ს-ში და მისი ავტორია ლეონტი მროველი. ამ დროს „მეფეთა ცხოვრების“ ტექსტში გაკეთებულია რიგი ჩანართებისა (ჩანართი „რომელთა-იგი ჩუენ ბუნ-თურქად და ყივჩაყად უწოდთ“; ალექსანდრეს შემოსვლის ამბავში „თურქები“ შეცვლილია „ბუნთურქებით“; კაციქაშიობა და უწმინდურება მიწერილია ქართველებისათვის; გაკეთებულია ჩანართი ქალდეველების ქართლში დასახლების შესახებ). აღსანიშნავია, რომ „მ. ქ.“ გამოუყენებია „მეფეთა ცხოვრების“ რედაქტორსაც. რედაქტორის ჩანართები გაკეთებულია დაუდევრად, მათი ავტორი არაა მაინც-დამაინც დაკვირვებული და დახელოვნებული მწერალი. ამ მხრივ უძველესი ტექსტის ავტორი აშკარად მალლა დგას მასზე.

ჩანართებთან დაკავშირებით გვინდა შევჩერდეთ. კიდევ ერთ საკითხზე.

„მეფეთა ცხოვრების“ მეორე თავში ალექსანდრეს შემოსვლის წინ

²⁴ Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, гл. 281—283.

არის ერთი ცნობა, რომელმაც კარგა ხანია მიიპყრო მკვლევართა ყურადღება და არაერთხელ იყო ციტირებულ-კომენტირებული: „და იყვნეს ქართლს ესრეთ აღრეულ ესე ყოველნი ნათესავნი, და იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული. ესე ენანი იცოდეს ყოველთა მეფეთა ქართლისათა, მამათა და დედათა“. რათა მკითხველისთვის გასაგები ყოფილიყო, თუ საიდან გაჩნდა ქართლში ყველა ეს ხალხი და ენები, ავტორს მათ შესახებ რაიმე ცნობები უნდა მოეცა წინამავალ ტექსტში, რაც მას გაუკეთებია კიდევაც. განვიხილოთ ეს ცნობები:

ზემოთ ჩვენ განხილული გვექონდა ცნობა ებრაელების ქართლში მოსვლის შესახებ. გასაგებია, რომ ებრაელებმა თავისთან ერთად თავისი ენაც მოიტანეს. ხაზარებზე ნათქვამია, რომ დარიალისა და დარუბანდის გზებით ისინი ხშირად შემოდრიოდნენ ამიერკავკასიის დასარბევად. თარგამოსიანები იძულებული გამხდარან, მათთვის დიდხანს ეხადათ ხარკი. მართალია, სპარსთა ერისთავს არდამს გაუჟღერია ქართლში მყოფი ხაზარები, მაგრამ ისინი აქ შემდგომშიც შემოდრიოდნენ: „მას ჟამსა შინა სადათაც ვინ მოვიდის ძურის-მოქმელთაგან საბერძნეთით, გინა ასურით ოტებულნი, გინა ხაზარეთით, ყოველივე დაიმეგობრიან ქართველთა შემწეობისათვის სპარსთა ზედა“. როგორც ვხედავთ, ამავე ნაწყვეტში არის ცნობა ქართლში ბერძნებისა და ასურელების გაჩენაზე. მართალია, მკითხველში ერთგვარი ეჭვი იბადება, ნუთუ ქართლს იმდენი ბოროტმოქმედი („ძურისმოქმედი“) აფარებდა თავს, რომ მათ ენას ასეთი ფართო გავრცელება მიეღო (ქართლის მეფეებსაც კი სცოდნიათ მათი ენები), მაგრამ ნუ გამოვეჭიდებით ამ შეუსაბამობას. რადგან აქ მაინც არის რაღაც ცნობა ქართლში ხაზარულის, ბერძნულისა და ასურულის გაჩენის შესახებ.

„მეფეთა ცხოვრების“ დასაწყისში ნათქვამია, რომ კავკასიელი ხალხები წარმოშობილი არიან თარგამოსისაგან, რომლის რვა შვილი ამ ხალხების მამამთავრები ყოფილან. თარგამოსის შვილებში უფროსი. „უმეტეს გმირი“, „განმგებელ და უფალ“ იყო ჰაოსი, სომეხთა მამამთავარი. აქ უკვე გადაკრულად არის ნათქვამი, რომ სომხურს, ჰაოსის, უფროსი ძმის, ენას ერთგვარი პრიორიტეტი უნდა სჭეროდა სხვა ძმების ენათა შორის (თუ კი ასეთები საერთოდ არსებობდნენ). მართლაც, შემდეგ ნათქვამია: სანამ ქართლში თავს მოიყრიდნენ ზემოდასახელებული ხალხები, „ქართლოსიანთა ენა სომხური იყო. რომელსა ზრახვიდეს. ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხუნი ნათესავნი ქართლსა შინა, მაშინ ქართველთაცა დაუტევეს ენა სომხური და ამით ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენა ქართული“. ამრიგად, ჩვენ გვაქვს ცნობები, თუ საიდან გაჩნდა ქართლში ზემოდასახელებული ექვსივე ენა. თითქოს ყველაფერი რიგზეა.

მაგრამ „მეფეთა ცხოვრების“ ტექსტის განხილვა გვაჩვენებს, რომ ენების ჩამოთვლაში გამოტოვებულია ორი ენა, სპარსული და თურქული, რომელიც თვით ტექსტის მიხედვით ბევრად უფრო გავრცელებული უნდა ყოფილიყო, ვიდრე ხაზარული, ებრაული, ასურული, ან ბერძნული. ვნახოთ, რა არის ნათქვამი „მეფეთა ცხოვრებაში“ სპარსელებსა და თურქებზე.

სპარსელმა გმირმა აფრიდონმა დაიპყრო მთელი სპარსეთი. მან ერთ-ერთი თავისი ერისთავი არდამი გამოგზავნა ქართლში. არდამმა „შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და ციხენი ქართლისანი“. მაგრამ ამასთან ერთად მას აქ დიდი მშენებლობაც ჩაუტარებია, ქვეთიკირის ზღუდე შემოუვლია მცხეთისთვის, არმაზის ციხისთვის და „წარმოზღუდა ცხრნი არმაზისი ვიდრე მტყურამდე“. მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ ქართველებს მისგან უსწავლიათ ქვეთიკირს გამოყენება, ამის შემდეგ ქართლი კარგა ხანს ყოფილა სპარსელთა მორჩილებაში. როდესაც სპარსეთში არეულობა მომხდარა, ქართველებს დრო უხელთიათ და თავისუფლება მოუპოვებიათ. ღიდი ხნის შემდეგ სპარსთა მეფემ ქეკაბოსმა ისევ დახარკა ქართველები. როდესაც ქეკაბოსი თურქებთან ომით დაკავებული აღმოჩნდა, მას გადაუდგინენ ქართველები და სომხები. ქეკაბოსმა გამოგზავნა თავისი შვილი ფარაბოროტი, მაგრამ თარგამოსიანებმა იგი დაამარცხეს. მაშინ ქეკაბოსმა გამოგზავნა თავისი შვილიშვილი ქაიხოსრო, რომელმაც დაიპყრო მთელი ქართლი და სომხეთი; შემდეგ ქართველები კვლავ გადაუდგინენ თურქებთან ბრძოლაში გართულ სპარსელებს. სომხებსა და ქართველებზე ილაშქრა სპარსელმა გოლიათმა სპანდიატმა, მაგრამ მათი დამორჩილება ვერ შესძლო, რადგან სპარსეთში გაბრუნება მოუხდა. სამაგიეროდ მისმა შვილმა ბარამმა დახარკა ქართველები. უშუალოდ ამ ამბავს მოსდევს ცნობა ენათა შესახებ.

როგორც ვხედავთ, სპარსელებზე შეუდარებლად მეტია ნათქვამი, ვიდრე ზემოხსენებულ სხვა ხალხებზე. ქართველებს ძალიან ხშირად უხდებოდათ მათთან შეხვედრა და ქართლიც ხშირად ყოფილა სპარსელთა მორჩილებაში. გარდა პოლიტიკურისა, სპარსელებს აქ, ჩანს, დიდი გავლენა ჰქონიათ კულტურის სფეროშიც. ბუნებრივი იყო, რომ ქართლის მეფეებს უცხო ენებიდან პირველ რიგში სცოდნოდათ სწორედ სპარსული, იმ სახელმწიფოს ენა, რომელსაც ქართლი პოლიტიკურად ექვემდებარებოდა. სპარსული ენის მოუხსენებლობა გაუმართლებელია არა მარტო ლოგიკური, არამედ ისტორიული თვალსაზრისითაც, რადგანაც, როგორც ცნობილია, სპარსული (ფალაური) ენის გავრცელება ძველ ქართლში ამყამად დოკუმენტურად არის დადასტურებული არქეოლოგიური მასალის საფუძველზე.

მეტად მნიშვნელოვანი ცნობებია თურქებზეც.

ჯერ გადმოცემულია თურქებისა და სპარსელების ბრძოლების ამბავი, შემდეგ ნათქვამია, რომ თურქების 28 სახლი (და არა ცალკეული ბოროტმოქმედნი!) მოსულა მცხეთაში. ქართველებმა ისინი „განიყვანეს ყოველთა ქალაქთა შინა“. როგორც ირკვევა, ყველაზე მრავალრიცხოვანი უცხოური მოსახლეობა ქართლში თურქული ყოფილა. ამასთან ერთად საყურადღებოა, რომ ქართველებსა და თურქებს შორის უმჭიდროესი თანამშრომლობა დამყარებულა: „და იყვნეს ესე თურქნი და ქართველნი ნებისყოფელ ერთმანერთისა, მოელოდეს მოსვლასა სპარსთასა, ამაგრებდეს ციხეთა და ქალაქთა“.

როგორც ვხედავთ, სრულიად გაუგებარია თურქული ენის მოუხსენებლობაც ქართლში გავრცელებულ ენათა შორის. არ იქნებოდა სწორი გვეფიქრა, რომ სპარსული და თურქული გამოტოვებულია გვიანდელ გადამწერთა მიერ, რადგან ცნობაში ხაზგასმითაა ნათქვამი: „იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა“-ო.

ცნობა ენათა შესახებ საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ მასში ნათქვამია, — ამ ენებზე ქართლის მეფეებიც ლაპარაკობდნენო. მაგრამ თვით „მეფეთა ცხოვრების“ თანახმად იმ დროს ქართლში მეფობა ჯერ კიდევ არ არსებობდა. მეფობა აქ დაწესდა ბევრად უფრო გვიან. ალექსანდრემ ქართლში ერისთავად დასტოვა აზონი. აზონს აუჯანყდნენ ქართველები, მათი მეთაური ფარნავაზი გახდა ქართლის პირველი მეფე აზონზე გამარჯვების შემდეგ. თუ ჩვენ უცხო ენების მცოდნე მეფეებში ვიგულისხმებთ ფარნავაზსა და მის შემკვიდრეებს, რაც თავისთავად მეტად ნაძალადევი იქნება, მაინც ახალი წინააღმდეგობის წინაშე აღმოჩნდებით, რადგან, როგორც ზემოთ უკვე ვნახეთ, „მეფეთა ცხოვრების“ თანახმად ალექსანდრემ ქართლში „მოსრნა ყოველნი იგი ნათესავნი აღრეული ქართლს მყოფნი... და დაუტევნა ნათესავნი ქართლოსიანნი“. ე. ი. ქართლში მოსპობილან უცხო ენებზე მოლაპარაკე ხალხები (თუ არ ჩავთვლით თვით ალექსანდრეს მიერ დატოვებულ ჰრომაელებს). ამასთან თვით „მეფეთა ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ ფარნავაზმა „განაერცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვნიერ ქართულისა“.

ჩვენს მიერ ზემოაღნიშნული შინაარსობრივი შეუსაბამობანი და წინააღმდეგობანი ენათა შესახებ არსებული ცნობისა „მეფეთა ცხოვრების“ დანარჩენ ტექსტთან, ვფიქრობთ, საფუძველს იძლევა დაისვას კითხვა, ეკუთვნის კი ეს ცნობა „მეფეთა ცხოვრების“ ავტორს? ძნელი წარმოსადგენია, რომ ასეთი ლაფსუსები დამართოდეს ტექსტის ავტორს, რომელსაც კარგად უნდა სცოდნოდა თავისივე ნაწერი. მით უმეტეს ისეთ დახელოვნებულ და დაკვირვებულ მწერალს, როგორც

იყო „მეფეთა ცხოვრების“ ავტორი. უფრო ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ცნობა ენათა შესახებ სხვის მიერ გაკეთებული ჩანართია. ზემოთ ჩვენ ვნახეთ, რომ არაერთი ასეთი ჩანართი გაუქმებია „მეფეთა ცხოვრების“ რედაქტორს, ლეონტი მროველს. შესაძლებელია ეს ჩანართიც მასვე ეკუთვნოდეს. რაც შეეხება ჩანართის წყაროს ვფიქრობთ, რომ ჩანართი გაკეთებულია თვით „მეფეთა ცხოვრების“ მონაცემების საფუძველზე, ტექსტის უყურადღებო და ზერელე წაკითხვის შედეგად. ჩანართის ავტორს რომ ჰქონოდა რაიმე რეალური ცნობა, საფიქრებელია, ქართლში გავრცელებულ ენათა შორის სპარსულსაც მოიხსენიებდა.

ენათა შესახებ ცნობასთან უთუოდ კავშირშია ჩვენს მიერ ზემომოყვანილი ცნობები ქართული ენის წარმოშობისა და ფარნავაზის დროს ქართლში სხვა ენების მოსპობის შესახებ. ამდენად საკითხი დგება მათი ავტორის შესახებაც.

უძველესი ცნობა ქართველთა მოქცევაზე*

უძველესი წყარო, რომელშიაც მოხსენიებული ყოფილა ქართველთა მოქცევის ამბავი, არის IV ს. ბერძენი ისტორიკოსის (გარდაიცვალა 395 წ.) გელასი კესარიელის „საეკლესიო ისტორია“; სამწუხაროდ, ეს თხზულება დღესდღეობით დაკარგულად ითვლება და ჩვენთვის ცნობილი არ არის. მაგრამ მერმინდელ ავტორებს შემოუნახავთ თავიანთ შრომებში მისი ცნობები. მათ შორის უძველესია რომაელი საეკლესიო ისტორიკოსი რუფინუსი. რუფინუსი გელასი კესარიელის უმცროსი თანამედროვე იყო (გარდაიცვალა 410 წ.), მას უთარგმნია და თავის თხზულებაში შეუტანია გელასი კესარიელის ცნობა ქართველთა მოქცევის შესახებ. იგი მდგომარეობს შემდეგში:

„ბერებთან მოხვდა ტყვე-ქალი (არაა ნახსენები მისი სახელი და ვისი ტყვე იყო იგი). მან მიიქცია ყურადღება თავისი სიწმინდით და დაუცხრომელი ლოცვით. ხალხის შეკითხვაზე, თუ რატომ იქცეოდა ასე, მან უპასუხა რომ ამრიგად იგი ეთაყვანება ღმერთს ქრისტეს. იმ ხალხში ყოფილა ჩვეულება, თუ ბავშვი ავად გახდებოდა, დედას დაჰყავდა იგი კარდაკარ, რომ ყველა დახმარებოდა ავადმყოფს: ასევე მიუყვანიათ ერთი ბავშვი, რომლის გადაარჩენის იმედი აღარავის ჰქონდა, ამ ტყვე-ქალთან, მას უთქვამს, რომ თვითონ მას არ შეეძლო ბავშვის განკურნება, მაგრამ მის ღმერთს — ქრისტეს — კი შეეძლო; ტყვე-ქალს დაუწვევია ბავშვი თავის ძაძაზე და შეჰვედრებია ღმერთს ბავშვის განკურნებას; მართლაც, ბავშვი გამოჯანმრთელებულა. ეს ამბავი ცნობილი გაჰხდარა და მას თვით დედოფლის ყურამდისაც კი მიუღწევია, რომელიც აგრეთვე მძიმე ავადმყოფი ყოფილა. დედოფალს უთხოვია, მიეყვანათ მასთან ეს ტყვე-ქალი, მაგრამ მან უარი განაცხადა. მაშინ თვითონ დედოფალი მიუყვანიათ მასთან. ტყვე-ქალმა ისიც დააწვინა ძაძაზე და ლოცვით განკურნა მაშინვე. შემდეგ მან ამცნო დედოფალს, რომ ეს ქრისტე ღმერთისგან იყო. დედოფალი დაბრუნდა სახლში და მეფეს უამბო ყოველივე; მეფეს უნდოდა ძვირ-

* ნაშრომი შესრულებულია ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძველი ისტორიის განყოფილებაში 1963 წ.

ფასად დაესაჩუქრებინა ტყვე-ქალი, მაგრამ დედოფალმა უთხრა, რომ ერთადერთი საჩუქარი, რომელსაც იგი მიიღებდა, ის იყო, თუ ისინი სცნობდნენ მის ღმერთს. მეფემ ყურადღება არ მიაქცია ამ ამბავს, თუმცა დედოფალი მას შემდეგშიც არაერთხელ ახსენებდა. ერთხელ, როდესაც მეფე დღისით ნადირობდა ტყეში, უცბად დაბნელდა ისე, რომ აღარ შეიძლებოდა გზის გაგნება. მეფეს მხლებლები შემოეთან-ტნენ და იგი მარტოდ დარჩა. გადარჩენის იმედგადაწყვეტილმა უცბად გაიფიქრა: თუ, მართლაც, იმ ტყვე-ქალის ქრისტე ღმერთია, აბა ახლა მიშველოს და ვირწმუნებო; მართლაც, იმავე წამს, როგორც კი მეფემ ეს გაიფიქრა, ისევე განათდა და მეფე უცნებლად დაბრუნდა სახლში. მან ყველაფერი უამბო დედოფალს, გამოუძახა თავისთან ტყვე-ქალს და განაცხადა, რომ აღარავის სცნობდა ამიერიდან ღმერთად, გარდა ქრისტესი.

ტყვე-ქალმა ასწავლა მეფეს ღვთისმსახურების წესი და ურჩია მას ეკლესიის აშენება. მეფემ შეკრიბა მთელი ხალხი და ყველაფერი უამბო მათ. ხალხმა აღიარა ახალი ღმერთი და დაიწყო ეკლესიის მშენებლობა; ამოიყვანეს კედლები, დააყენეს ორი სვეტი, მესამე კი ვერასვლით ვერ შედგეს თავის ხარისხზე. ღამემდე იწვალეს, მაგრამ ვერაფერი მოუხერხეს, ხოლო როდესაც დაღამდა და ყველა წავიდ-წამოვიდა, ტყვე-ქალი დარჩა და ილოცა მთელ ღამეს; დილით ნახეს, რომ სვეტი სწორად იდგა ჰაერში არა ხარისხზე დაყრდნობით, არამედ მასზე ერთი ფუტით მაღლა; შეკრებილმა ხალხმა ეს მიღებული სარწმუნოების ახალ დამადასტურებელ საბუთად ჩათვალა. უცებ გაოცებული ხალხის თვალწინ ყოველგვარა დახმარების გარეშე სვეტი ჩამოვიდა დაბლა და თავის ადგილას მტკიცედ დადგა. შემდეგ ეკლესია უკვე დაუბრკოლებლად აშენდა, რის კვალად იმპერატორ კონსტანტინესთან წავიდა ელჩობა თხოვნით — გამოეგზავნა ღვთისმსახურები. ყველაფერი ეს გვიამბო ამ ხალხის მეფემ ბაკურმა, სამეფო კარის გვარდიის უფროსმა, როდესაც იგი იყო იერუსალიმში პალესტინის საზღვრის უფროსად¹.

გერმანელმა მეცნიერმა ან. გლასმა დაამტკიცა, რომ ყველაფერი ეს, თვით მითითებაც იმაზე, რომ ამ ცნობის ავტორი ქართველთა მეფე ბაკურია, რუფინუსს აუღია გელასი კესარიელისაგან².

¹ В. В. Латышев, Известия древних писателей о Скифии и Кавказе, ВДИ, 1948, IV, с. 244—245.

² A. Glas, Die Kirchengeschichte des Gelasions von Kaisareia die Vorlage für die beiden letzten Bücher der Kirchengeschichte Rufius, Byzantinisches Archiv, Heft 6, Leipzig-Berlin, Teubner, 1914. ჩვენ ვსარგებლეთ ცნობებით ამ წიგნზე, რომელიც გამოქვეყნებული აქვს ს. ყუბჩიშვილის ჟურნალში „ჩვენი მეცნიერება“. 1923, № 6—7, გვ. 96—100; იხ. აგრეთვე ივ. ჭავჭავაძის შვილი, ქართული ერის ისტორია, I, 181.

რუფინუსზე დაყრდნობით მოთხრობილი აქვს იბერთა გაქრისტიანების ამბავი V ს. ბერძენ ისტორიკოსს სოკრატეს (დაბ. 380 წ.) თავის „საეკლესიო ისტორიაში“. სოკრატე ასახელებს კიდევაც თავის წყაროდ რუფინუსს. სოკრატეს მოთხრობა უმნიშვნელოდ განსხვავდება რუფინუსის მონაყოლისაგან³.

იბერთა გაქრისტიანების ამბავი აღმოცემული აქვს V ს. (დაბ. 390 წ.) მეორე ბერძენ ისტორიკოსს თეოდორიტე კვირელს „საეკლესიო ისტორიაში“, რომელიც მას დაუწერია დაახლოებით 449 წ. თეოდორიტეს მონაყოლი განსხვავდება სოკრატესაგან. მომენტებით იგი უფრო უახლოვდება რუფინუსს, მაგრამ მასთანაც აქვს საკმაოდ მნიშვნელოვანი განსხვავებანი. მაგ., თეოდორიტე არაფერს ამბობს ეკლესიის მშენებლობის დროს სვეტიცის სასწაულებრივ დადგინებაზე, არ არის მოხსენიებული. აგრეთვე ბაკურაც⁴. ეს განსხვავებანი, შესაძლებელია, ნაწილობრივ იმითაც აიხსნებოდეს, რომ, როგორც ფიქრობენ, თეოდორიტეს უშუალოდ გელასი კესარიელის წიგნითაც უსარგებლობია⁵.

ქართლის მოქცევის ამბავი ასევე აქვს აღმოცემული კიდევ ერთ ბერძენ საეკლესიო ისტორიკოსს, სოზომენს. სოზომენს თავისი წიგნი დაუწერია 444 წლის მახლობლად. სპეციალისტებში მიღებულია ის აზრი, რომ სოზომენი ძალიან ხშირად იწერდა სოკრატესაგან მთელს პასაჟებს, ოღონდ ხანდახან თვითონაც იყურებოდა იმ წყაროებში, რომლებითაც სარგებლობდა სოკრატე⁶. ამ შემთხვევაში კი შედარება უეჭველად არკვევს, რომ სოზომენს უშუალოდ რუფინუსით უსარგებლობია და არა სოკრატით⁷. ბაკურს არ ახსენებს არც სოზომენი.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას, ჩვეულებრივად, საკითხის მკვლევარები ანიჭებენ ხოლმე V ს. ბერძენ ისტორიკოსებში ყველაზე უფრო გვიანდელს, გელასი კვიზიკელს, რადგანაც ითვლება, რომ გელასი კვიზიკელი უშუალოდ სარგებლობდა გელასი კესარიელის წიგნით ისევე, როგორც რუფინუსი, მხოლოდ განსხვავებით მისგან კი არ თარგმნიდა სხვა ენაზე (ლათინურზე), არამედ ბერძნულადვე ტოვებდა, ამიტომ, შესაძლებელია, მას ზოგი რამ უფრო ზუსტად შემოენა-

3 В. В. Латышев, С, ВДИ, 1948, III, 286—288.

4 იქვე, გვ. 294—295.

5 ს. ყაუხჩიშვილი, გელასი კესარიელი ქართლის მოქცევის შესახებ, „მომხილველი“, I, 1926, გვ. 65.

6 ВДИ, 1948, III, გვ. 302.

7 იქვე, გვ. 303—305.

ხოს, ვიდრე რუფინუსს. მართლაც, გელასი კვიზიკელს მნიშვნელოვანი განსხვავებანი აქვს მის წინამორბედ სხვა ისტორიკოსთაგან⁸.

დაახლოებით ასევე გადმოგვცემს ქართლის მოქცევის ამბავს სახელგანთქმული სომეხი ისტორიკოსი მოსე ხორენელი⁹. მისი ცნობებითაც, ქართლს მოაქცევს ქალი, რომელიც დედოფალს განკურნავს. მეფეს ნადირობისას ბურუსში გზა დაეკარგება და მხოლოდ ღმრთის დახმარებით გამოიკვლევს გზას. ძალიან საინტერესოა ხორენელის მოთხრობაში ის, რომ აქ პირველად ვხვდებით მოქმედ პირთა სახელებს. ქალის სახელი არის ნუნე, ხოლო იბერიის მეფეს (ხორენელით მთავარს) კი მიჰრანი რქმევინ. არ ასახელებს მოსე მხოლოდ რომის თანამედროვე იმპერატორს, მაგრამ იგულისხმება, რომ იგი კონსტანტინე უნდა იყოს, რადგანაც მიჰრანი სომეხთა მეფის თრდატის თანამედროვე და ქვეშევრდომია, ხოლო თრდატი კი თავის მხრივ კონსტანტინეს თანამედროვეა, თვით ხორენელი თავის წყაროდ ასახელებს V ს. სომეხ ისტორიკოს აგათანგელოსს, რომელსაც დაწერილი აქვს სომეხთა მოქცევის წიგნი. მაგრამ აგათანგელოსის წიგნში (ყოველ შემთხვევაში, მის დღესდღეობით ცნობილ რედაქციებში) არაფერი ამისდაგვარი არ არის. ფრანგმა მეცნიერმა ა. კარიერმა, რომელმაც არაერთი შრომა უძღვნა მოსე ხორენელს, გამოთქვა აზრი, რომ ხორენელის წყარო იყო სოკრატეს „საეკლესიო ისტორიის“ სომხური თარგმანის ის რედაქცია, რომელსაც ეწოდება მცირე სოკრატე¹⁰. მოსე ხორენელის მოღვაწეობის ხანაზე, როგორც ცნობილია, მრავალი სხვადასხვა აზრია გამოთქმული. ამ ბოლო დროს სომეხი მეცნიერები უმთავრესად იმ აზრს ადვანან, რომ იგი V ს. ბოლოსა და VI ს. დასაწყისის მწერალი უნდა იყოს¹¹, როგორც არ უნდა გადაწყდეს, ხორენელის საკითხი. ცხადია, რომ მისი ისტორია პირველი უცხოური წყაროა და შესაძლებელია საერთოდაც პირველია, რომელშიც მოხსენიებულია მირიანისა და ნინოს სახელები.

უძველესი ქართული წყარო, რომელიც მოგვითხრობს ქართლის

⁸ ს. ყაუხჩიშვილი, გელასი კესარიელი ქართლის მოქცევის შესახებ, „მომხილველი“, I, 1926, გვ. 64—65.

⁹ Մովսէս Խորենացի, Պատմութիւն Հայոց II, გვ. 86.

¹⁰ Г. Халатянц, Армянский эпос в Истории Армении Монсея Хоренского, М., 1896, с. 30.

¹¹ Ն. Սո. Մովսաթյանց, Խորենացու առեղծվածի շուրջը, Երեւան. 1949. Л. Хачикян, 1967. —Очерки истории исторической науки в СССР, I, М., 1955, с. 29—31.

С. Еремян, 1967 —Очерки истории СССР, III—IX вв., М., с. 231—233.

მოქცევის შესახებ, არის „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. სპეციალისტებში არ არის ერთიანი აზრი ამ თხზულების შედგენილობისა და დაწერის თარიღზე, ჯერ კიდევ ე. თაყაიშვილს მიაჩნდა, რომ იგი ორი ნაწილისაგან შედგებოდა. პირველს იგი უწოდებდა „ქართლის მოქცევის ხრონიკას“ და თვლიდა, რომ „სახელი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ უფრო ამ ხრონიკას შეეფერება“-ო¹²; მეორე ნაწილს იგი „ნინოს ცხოვრებას“ ეძახდა; თხზულება, მისი აზრით, დაწერილი უნდა ყოფილიყო VII საუკუნეში¹³. მ. ჯანაშვილის აზრით, თხზულება „ერთ განუყოფელ მოთხრობას წარმოადგენს“¹⁴; თ. უორდანიამ პირველმა გამოთქვა აზრი, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ეს ორი შემადგენელი ნაწილი ორ სხვადასხვა თხზულებას წარმოადგენს, რომელთაგან პირველი უფრო ძველი უნდა იყოსო¹⁵; ივ. ჯავახიშვილის აზრითაც, იგი ორი ნაწილისაგან შედგებოდა, მხოლოდ, იგი მას ორ სხვადასხვა თხზულებად მიიჩნევდა. პირველს იგი უწოდებდა „მოქცევაჲ ქართლისაჲს მატიანეს“, ხოლო მეორეს „წმინდა ნინოს ცხოვრებას“, პირველი, მისი აზრით, შედგენილი უნდა ყოფილიყო IX საუკუნეში¹⁶; ასევე, მისი აზრით, „წა ნინოს ცა“ იმ სახით, როგორადაც იგი შატბერდისეულს ხელნაწერშია შენახული, უფრო IX საუკუნეში უნდა იყოს შედგენილი, ვიდრე X-ში“¹⁷.

აკად. კ. კეკელიძემ არ გაიზიარა ის აზრი, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ორ დამოუკიდებელ თხზულებას წარმოადგენს. მისი აზრით, ისინი წარმოადგენენ „ერთი მთლიანი თხზულების ნაწილებს, რომელიც ერთი და იმავე პირის მიერ ერთსა და იმავე დროს უნდა იყოს დაწერილი და რომელსაც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ეწოდებოდა“¹⁸; დაწერილია იგი მეცხრე საუკუნეში¹⁹. პ. ინგოროყვას აზრითაც, თხზუ-

12 ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ხრონიკა, ტფილისი, 1890, გვ. LXXIX—LXXX.

13 იქვე, გვ. XCV.

14 მ. ჯანაშვილი, აღვადგინე ანუ „სამი ისტორიული ხრონიკისა“ და „წმ. ნინოს ცხოვრების“ გასაგებ-შესასწორებელი სახელმძღვანელო, ტფილისი, 1891, გვ. 25.

15 თ. უორდანიამ, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, ტფილისი, 1892, XXVI—XXVII.

16 ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V—XVIII სს.). თბ., 1945, გვ. 105.

17 იქვე, გვ. 101; სხვათა შორის, ჩვენ აქ მივუთითებთ ივ. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის შრომების უკანასკნელ გამოცემებს და არა ყველას ქრონოლოგიურად, რადგან ამას ამჟამად ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს.

18 კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი პირველი, ძველი მწერლობა, თბ., 1960, გვ. 525.

19 იქვე, გვ. 523.

ლება ორი სხვადასხვა ნაწილისაგან შედგება. მან, როგორც ჩანს, გაიზიარა ე. თაყაიშვილის აზრი იმის შესახებ, რომ იგი დაწერილი უნდა იყოს VII ს-ში, მხოლოდ თუ ე. თაყაიშვილი თვლიდა, რომ ამ ხანის უნდა იყოს მთელი თხზულება, პ. ინგოროყვას მიაჩნდა, რომ VII საუკუნისაა მხოლოდ პირველი ნაწილი, მისი მეორე ნაწილი კი — „ნინოს ცხოვრება“ — „შედგენილი ყოფილა მე-8 საუკუნის შუა წლებში“²⁰.

აკად. გ. მელიქიშვილიც იმ აზრისაა, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ორი ნაწილისგან შედგება, რომელთა საბოლოო რედაქცია ჩატარებული უნდა იყოს IX ს-ში; აქედან პირველი ნაწილის თავდაპირველი რედაქცია, მისი აზრით, შესაძლებელია მართლაც XII ს. ეკუთვნოდეს. „ნინოს ცხოვრების“ შემადგენელი ნაწილებიც უფრო ძველი უნდა იყოს, ვიდრე მისი საბოლოო რედაქციაა²¹.

ქართლის მოქცევის ამბავი შემდგომში არა ერთ ქართულ თხზულებაში გვხვდება. მათი წყარო უმთავრესად ეს უძველესი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ არის. ასევე აქვს გადმოცემული ქართლის გაჭრის-ტიანების ამბავი ლეონტი მროველსაც. მას, როგორც არაერთხელ იყო უკვე აღნიშნული²², თითქმის სიტყვა-სიტყვითა აქვს გადაწერილი წმინდა ნინოს ცხოვრება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-დან²³. ასეთი ტრადიცია

²⁰ პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხ-ლეა, „მნათობი“, 1939 წ., № 4, გვ. 106, 135.

²¹ Г. Мелликишвили. К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, გვ. 23—28.

²² ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1945, გვ. 183; კ. კეკელიძე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, ტფლისის უნივერსიტეტის მოამბე, III, 1923, გვ. 52; მისივე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1960, გვ. 239—241.

²³ სხვათა შორის, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროების საკითხისათვის. წმინდა ნინოს მიერ ქართლის მოქცევის თხრობაში ლეონტი მროველს გამოყენებული უნდა ჰქონდეს ერთი წყარო, რომელიც, თუკი არ ვცდებით, ჯერ არ ყოფილა სპეციალისტების მიერ აღნიშნული; ეს არის გელასი კესარიელი, თუ მისი გადმოცემის მქონე რომელიმე სხვა ბერძენი ან რომელი მწერალი. მართალია, შატბერდისეული „ნინოს ცხოვრების“ ავტორი, როგორც ჩანს, იცნობდა, ამ თხზულებას, მაგრამ ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეტყობა ლეონტისაც გამოუყენებია ერთ-ერთი ამ ავტორთაგანი უშუალოდ, „ნინოს ცხოვრების“ გარეშე, ამაში გუარწმუნებს ლეონტი მროველის გადმოცემა ნინოს მიერ ავადმყოფი ბავშვისა და დედოფალ ნანას განკურნების შესახებ, რომელიც მნიშვნელოვნად განირჩევა ამავე ამბის შატბერდისეული აღწერისაგან. ამ უკანასკნელში ეს ამბავი გადმოცემულა ძალიან მოკლედ, რამდენიმე ფრაზით: „და ოდესმე შუდნი დედანი დაგუმოწაფნა: შჭულსა მისსა რ^ა ჰყოფდა ფარულად: კურნებათა მრავალთა: ე^ლნ ნებსით იწყო კურნებაჲ განგებთა ღ^მათა: დედოფლისა ნანას ზ^ა აჩუენა ზ^ა პირველად ძალი მისი მის მიერ: მაყულოვანსა მას შინა: განკურნა ლოცვითა მისითა: აენისა მისგან მძიმისა: რ^ალსა ჯელოვნებაჲმან კაცთამან ვერ შეუძლო განკურნებაჲ მისი მთავარი სპარ-

დამკვიდრდა საბოლოოდ ქართულ ეკლესიაში და ნინო აღიარებულ იქნა საქართველოს განმანათლებლად (ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში არ ვღებთ ანდრია მოციქულისა და სვიმონ კანანელი: მოღვაწეობას, რადგან, როგორც მიღებული იყო ეფგრემ მცირის განმარტებით, მათი ქადაგება დავიწყებულ იქნა და ისევე გაბატონდა წარმართობა, უკვე ამის შემდეგ და საბოლოოდ გააქრისტიანა ნინომ იბერია). მაგრამ თვით ნინოს მიერაც ქართველთა მოქცევის ამბავი ძალზე დახლართულია. საქმე იმაშია, რომ მისი სახელი ქართულ წყაროებში

სი ხუარსა სნულ იყო...“ (Т а к а њ ш в и л и Е. Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения», Тифлис, 1906—1912).

ჩვენ აქ მოვიყვანეთ ტექსტი შატბერდისეული რედაქციიდან. ჰელიშური იძლევა განსხვავებულ საითხავს, რომელსაც ამ შემთხვევისთვის მნიშვნელობა არა აქვს. შემდეგ აღწერილია ხუარას განუტრეხება და მერე კი ცნობილი ამბავი მირიან მეფის ნადრობრისას სასწაულებრივი მოქცევის შესახებ. ლეონტის ეს ამბავი უფრო ვრცელა და აქვს მოთხრობილი: „ხოლო წმიდა ნინო ილოცვიდა და უცხო მელად საყუდელსა მას თსსა მყოფელთა მათ ქუეშ. და დაკარგებულ იყვნეს წარმართნი იგი ლოცვასა მისსა და მღვდარებასა. და უცხო უჩნდა საქმე იგი: იწყეს გამოკითხვად მისა, ხოლო იგი აუწყებდა ძულთა და ახალთა წიგნთა, და განაბრძნობდა უგუნურთა და უგულსხმოთა მათ, და შთაუგდებდა გულსა მათსა სიყუარულსა ქრისტესსა.“

და იყო ესრეთ სამ წელ, ვინაცა განაცხადა ქადაგება ქრისტესი და დამოწაფნა მრავალნი. მაშინ იყო ვინმე ყრმა-წული, უფალი მძიმისა სენისა და მიმოაქუნდა დედასა მისსა კართი-კარად, რათამცა პოვა მეცნიერი ვინმე კურნებისა, და ჰყომცა სარგებელი მისი, და შეისწავეს იგი ყოველთა და არაოდეს პოვეს სარგებელი კურნებისა ყრმისა მისთვის, და მკურნალთა რქუნეს დედაცა მას, ვითარმელ: „არა სარგებელ ეყვის ყრმასა მას“, ხოლო დედაცა იგი იყო წარმართი, გულფიცხელი, და მარადის სძაგებნ სჯულსა ქრისტიანეთასა, და აყენებდის სხუათაჲცა მისლვად და კითხვად წმინდისა ნინოსა. ხოლო ვითარცა სასოწარკვეთილ იქმნა მკურნალთა მიერ, მოვიდა და დავარდა წინაშე წმინდისა ნინოსსა, და ევედრებოდა კურნებასა ყრმისასა. მაშინ რქუა წმინდამან ნინო: „კურნება, რომელი კაცთაგან არს, მე არა რა ვყო, ხოლო ღმერთმან ჩემმან ქრისტემან მოსცეს ყრმასა შაგას კურნება, რომელი ყოველთაგან განწირულ არს“, და რომელსა კილოცსა ზედა მარადის ილოცავნ წმიდა ნინო, მას ზედა დადებდა უბრძანა ყრმისა მის და იწყო ევედრებად ღმრთისა მიმართ, და მასვე უამსა განიკურნა ყრმა იგი და განცოცხლებული მისცა დედასა მისსა. ხოლო დედამან ყრმისამან აღიარა ქრისტე და თქუა: „არა არს სხუა ღმერთი თნეირ ქრისტესა, რომელსა ქადაგებდეს ნინო“, და დაემოწაფა წმინდასა ნინოს, და შეუდგა კუალსა მისსა, და აღიდებდა ღმერთსა.

„მაშინ დედოფალი ნანა შეეარდა სენსა დიდსა და ვწარესა, რომლისა კურნება ვერაჲინ შეუძლო. რამეთუ ყო-

საქმად გვიან, მხოლოდ IX საუკუნეში, ჩნდება. საქმეს კიდევ უფრო ართულებს ის გარემოება, რომ უფრო ადრინდელ წყაროებში ქართლის მომაქვეყნელად ნახსენებია გრიგოლ პართოლი, სომეხთა განმანათლებელი. როგორ შეიძლებოდა ამისი ასწნა? სხვადასხვა მკვლევარი ამ ამბავს სხვადასხვანაირად ხსნიდა. ნ. მარის აზრით, ნინომ და-

ველთა კელოვანთა მეურნლთა წარმოაცალიერნეს წამალნი მათნი და ვერ შეუძლეს კურნება მისი, უღონო იქმნეს და სასოწარკვეთელ, ხოლო აუწყეს ვითმე დედოფალსა, ვითარმედ: „დედაკაცისა მის ჰრომსა ტყუხა მიერ, რომელსა ჰქვან ნინო, ლოცვითა მისითა მრავალნი სნეულნი განიკურნებინა“. მაშინ უბრძანა მსახურთა თვისთა რათა მოიყვანონ ნინო.

„მოვიდეს მსახური დედოფლისანი, და პოეს წმიდა ნინო ჭოჩსა მას ქუეშე მყუღლისანი, ილოცვიდა ჟამსა მეექუსესა, და მიუთხრეს ბრძანება დედოფლისა. ხოლო წმიდამან ნინო რქუდა: „არა ბრძანებულ არს ჩემდა, რათა ჩვენი, სადა შუღლა ჩუენი არა არს, არამედ დედოფალი მოუღონ საყოფელსა ამას ჩემდა, და ქუეშმარტად განიკურნოს ძალთა ქრისტესითა“, ხოლო მსახურთა მათ მიუთხრეს დედოფალსა თქმული იგი ნინოსი. მაშინ დედოფალი გულსმოდგინედ ეტყოდა მათ: „შემიბზადეთ მე ცხედარი და მიმიყვანეთ მისსა“, მაშინ წარიყვანეს ცხედრითა მსახურთა მათ, და ძე მისი რეე, და სიმრავლე ერისა მის თანა...

„ვითარ მივიდეს საყოფელსა მას წმიდისა ნინოსსა, და დავიქვს დედოფალი კილიქსა მისსა ზედა, იწყო წმიდამან ნინო ლოცვად და ედრებად ღმრთისა მიმართ მყოვარჟამ. და მოილო ჭუარი იგი, რომელი აქუნდა, შეჰხო თავსა, ფერკთა და შვართა ჭუარის სახედ, და მეყსეულად განიკურნა, და აღდგა განცოცხლებული, და პრწმენა ქრისტე და თქუა: „არა არს სხუა ღმერთი, თვნიერ ქრისტესა რომელსა ქადაგებს ტყუე ესე დედაკაცი“, და მიერთვან შექმნა იგი მეგობრად თსად შინაურად, და შარადის კეთილხან და გამოიწულილავნ სჯულსა ქრისტესა, და ასწავებნ წმ-და ნინო და აბიითარ, ახალი პავლე, და ასული მისი სიდონია. და იქმნა დედოფალი მორწმუნე და იცნა ღმერთი ქუეშმარტი.“

„და კეთილხანა დედოფალსა მეფე, ვითარი იგი მეყსეულად განიკურნა და უთხრობდა დედოფალი ყოველსა მას, რომელი იქმნა მის ზედა, ვითარი იგი თვნიერ წამლისა, ლოცვითა და შეხებითა ჭუარისათა განიკურნა. და სიმრავლე იგი ერთა, რომელთა ეხილვა, დაამტკიცებდეს სიტყუასა მას დედოფლისასა.“

მაშინ მირიან მეფე განკვრდა და იწყო გამოძიებად სჯულსა ქრისტესსა, და მრავალგზის კეთილხანა ჭუარისათა მას აბიითარს ძუელთა და ახალთა წიგნთასა, და იგი აუწყებდა ყოველსა. და წიგნიცა რომელი ჰქონდა მირიან მეფესა ნებროთისი, და მასცა წიგნსა შინა პოვა წერილი ესრეთ: აღშენებასა მას გოდლისასა ჟამ იყო ზეცით ნებროთის მიმართ, რომელი ეტყოდა: „მე ვარ მიქაელ, რომელი დადგინებულ ვარ ღმრთისა მიერ შთაერობასა ზედა აღმოსავლისასა; განვედ ქალაქით მავით, რამეთუ ღმერთი ჰვარავს ქალაქსა მავას. ხოლო უკანსკნელთა ჟამთა შორის შეურაცხსა, შიმშან მისმან განაჰარენეს გემონი სოფლისანი;“

მეფერი დაუტეობდეს მეფობასა და ეძიებდენ სიგლახაქესა; მან გიხილოს ჰირსა შინა და გიქსნეს შენ“, მაშინ გულისხმა ყო მეფემან მირიან, რამეთუ ძუელნი წუგ-

სავლეთ საქართველო მოაქცია (მარს „იბერია“ დას. საქართველოს აღმნიშვნელ ტერმინად მიაჩნდა)²³. ს. კაკაბაძის აზრით, „იბერია“ იყო მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე მხარე და ნინო სწორედ ამ მხარის განმანათლებელი იყო. მტკვრის სამხრეთით მდებარე მხარე კი სომხეთში შედიოდა და მთელს სომხეთთან ერთად მოიქცა გრიგოლის მიერ, მხოლოდ IV ს. ბოლოსა თუ V ს. დასაწყისში მტკვრის სამხრეთით მცხოვრებმა „ქართველებმა“ განდევნეს „იბერები“ (ლეკების მონათესავე ტომი) თავის ქვეყნიდან და დაეპატრონენ მათს მიწაწყალს. ასე რომ, ქართველთა ნამდვილი განმანათლებელი გრიგოლი იყო. ნინოს კულტი კი საქართველოში მხოლოდ X ს.-დან გაჩნდა²⁴. შემდეგში ს. კაკაბაძემ უარყო თავისი აზრი იბერია-ჰერეთის იგივეობისა და ქართველთა გაქრისტიანების ორ წყაროდან მომდინარეობის შესახებ. მან გამოთქვა დებულება, რომ ქართლის ნამდვილი განმანათლებელი იყო ნინო. ხოლო გრიგოლი კი სამისიონერო სკოლის მეთაური, რომელსაც ეკუთვნოდა ნინო. ამიტომაც თვლიდნენ ქართველები გრიგოლს ქართლში ქრისტიანობის დამფუძნებლად, თუმცა იგი ფაქტიურად ნინოს მიერ იყო დამყარებული²⁵. აკად. კ. კეკელიძეც დაახლოებით ასეთს აზრს ადგას თავის შრომაში „ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები“. მისი აზრითაც, ნინო მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე მხარის „იბერიის“ განმანათლებელია, გრიგო-

ნი და ახალნი ეწამებოდეს და ნებროთის წიგნიცა დაამტკიცებდა, და შეექნა სურვილი ქრისტეს სჯულისა, და ბრძოდა მტერი იგი უჩინო, აყენებდა აღსარებად ქრისტესა, გულსა შთაუგდებდა სასოებასა კერბთასა და ცეცხლისასა. არამედ მარადის ევედრებინ დედოფალი აღსარებასა ქრისტესსა. და იყო მეფე დედოფლისა მოქცევითჲან წელიწადსა ერთსა ორ გულეზასა შინა“ („ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, თბილისი, 1955, გვ. 103—106). და შემდეგ მოგვის განკურნებისა და ნადირობის ამბავი. როგორც ვხედავთ, მროველისეულ რედაქციას უფრო მეტი აქვს საერთო ბერძნულ წყაროებში დატულ ტრადიციასთან, ვიდრე შატბერდისეულ ნინოს ცხოვრებასთან. კიდევ მეტიც, ჩვენს მიერ გახაზული ადგილები, შეიძლება ითქვას, სიტყვა-სიტყვით ემთხვევა გელასი კესარიელისა და რუფინუსის გადმოცემას. მაგრამ აქ ისედაც ძალზედ გავვიგრძელებდა სიტყვა-ამ საკითხზე უფრო დწერილობით სხვაგან გვექნება საუბარი.

²³ Н. Марр, Крещение армян, грузин, абхазов и аланов святым Григорием (арабская версия), ЗВОРАО, т. XVI, вып. II—III, с. 63—211.

²⁴ ს. კაკაბაძე, წმიდა ნინო და მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში, თბ., 1912. გვ. 5—6.

²⁵ ს. კაკაბაძე, ძიებანი ქართველთა IV—VII საუკუნის ისტორიის შესახებ, საისტორიო კრებული, II, თბ., 1928, გვ. 7.

იხ. მისივე რეცენზია „პროფ. კორნ. კეკელიძე, ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები“ („მომოხილველი“, I, 1926 წ. გვ. 1—53), საისტორიო კრებული, წიგნი I, ტფ., 1928, გვ. 130—131.

ლი კი, ან უფრო სწორად მის პიროვნებაში განსახიერებული მოღვაწეები, მტკვრის სამხრეთით „ქართლის“, „გუგარქისა“. ამ ორი ნაწილის გაერთიანების შემდეგ (349 წ.) აღმოსავლეთ საქართველოში ერთმანეთს შეხვდა ორივე განმანათლებლის კულტი. მაგრამ გვიან, როდესაც გამწვავდა ქართულ-სომხური საეკლესიო ურთიერობა, გრიგოლი, სომეხთა განმანათლებელი, სათაკილო აღმოჩნდა ქართულ საეკლესიო წრეებისათვის და დარჩა მხოლოდ ერთი განმანათლებელი — წმინდა ნინო²⁶. ეს თეორიები დაწვრილებით აქვს განხილული ივ. ჯავახიშვილს თავის „ქართველი ერის ისტორიაში“²⁷. ამიტომ მათზე არ შეეჩერდებით. რაც შეეხება თვით ივ. ჯავახიშვილის აზრს ამ საკითხზე, იგი ასეთია: უძველესი წყაროებით ქართლის განმანათლებელი ტყვექალი ნინოა. დაწყებული VI ს. შუა წლებიდან თავს იჩენს ტენდენცია — ქართლის განმანათლებლად გრიგოლი გამოცხადდეს. VII ს. დამდეგს ეს ტენდენცია იმარჯვებს, მაგრამ უკვე ერთი საუკუნის შემდეგ. VIII—IX საუკუნეებიდან დაწყებული, იგი თანდათან ქრება²⁸.

ქართლის გაქრისტიანებასთან დაკავშირებით იბადება ორი საკითხი: 1. როდის მოხდა იგი და 2. ვინ იყო ამ დროს ქართლის მეფე. ამ საკითხებზეც საკმაოდ დიდია აზრთა ჭხედასხვაობა; მაგ., ივ. ჯავახიშვილი იბერიის გაქრისტიანებას თარიღად დაახლოებით 337 წელსა დასდებდა²⁹. კორნ. კეკელიძის მიხედვით უფრო გვიან, კერძოდ 355—356 წწ³⁰, ს. კაკაბაძეს ერთ თავის შრომაში მოქცევის თარიღი ასე აქვს მოცემული: 306 წ. მოქცეულა მირიანი, 311 წ-მდე იგი ფარულად იყო ქრისტიანი, ამ წლიდან კი, ოფიციალურადაც ხდება ქრისტიანობის მიმდევარი. 330—333 წ. კი ქრისტიანობის ქართლში დაბოლოოდ განმტკიცების, ოფიციალურ სარწმუნოებად აღიარების წლებია³¹. შემდეგ მან

26 კ. კეკელიძე, ქართველთა მოქცევის..., იხ. „მიომხილველი“, ტფ., 1926, I; მისივე, კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში, ტფ. უნ-ტის „მოამბე“, 1930, X, გვ. 329—334.

27 ივ. ჯავახიშვილი, იქვე, ტ. I, თბ., 1951, გვ. 176—228.

28 ივ. ჯავახიშვილი, ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, წიგნი პირველი, ტფილისი, 1935, გვ. 112—116; მისივე, ქართველი ერის ისტორია, წ. I, გვ. 228—234.

29 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 234.

30 კ. კეკელიძე, ქართველთა მოქცევის მთავარი საკითხები, „მიომხილველი“ I, ტფ., 1926, გვ. 37 და შმდ. მისივე, კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში, ტფ. უნ-ტის მოამბე, X, 1930, გვ. 329; ქართულ ლიტერატურის ისტორია, ტ. პირველი, თბ., 1960, გვ. 481 (აქ თარიღი ოდნავ შეეცვლილა, დასახელებულია 350—356 წლები).

31 ს. კაკაბაძე, ძიებანი ქართველთა IV—VII საუკუნეების ისტორიის შესახებ, საისტორიო კრებული, წ. II, ტფ., 1928, გვ. 5—8, 18.

ეს თარიღი 336 წლით შეცვალა³². ს. ჯანაშია აღმ. საქართველოს გაქრისტიანების თარიღად 30-იან წლებში დაბეჭდილ შრომებში IV ს. ოცდაათიან-ორმოციან წლებს დებდა³³, მაგრამ საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოში მან მიიღო ივ. ჯავახიშვილის მიერ მოცემული თარიღი, 337 წ. მახლობელი დრო³⁴. ეს უქანასკნელი თარიღი განმტკიცებულად ითვლება თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში³⁵. მართლაც, უთუოდ ანგარიშგასაწევიცა და გადაწყვეტი გარემოებაც უნდა იყოს ის, რომ ყველა, უკლებლივ, წყარო, რომელიც კი მოგვითხრობს აღმ. საქართველოს გაქრისტიანებაზე, ამ ამბის თანამედროვე იმპერატორად ასახელებს კონსტანტინეს. როგორც ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა, კონსტანტინე დასახელებული ჰყავთ გელასი კვიზიკელს. თეოდორიტე კვირელს და რუფინუსს — სამს სხვადასხვა დროსა და ეროვნების ავტორს, რომელნიც ერთიმეორისგან დამოუკიდებლივ სარგებლობდნენ პირველწყაროთი, ე. ი. გელასი კესარიელით³⁶. ასევე კონსტანტინეს ასახელებენ ქართული წყაროებიც: „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „ქართლის ცხოვრება“. კონსტანტინეს თანამედროვე ამბად თელის ამას, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მოსე ხორენელიც.

ახლა დგება საკითხი: რა ერქვა, ან ვინ იყო ის ქართლის მეფე, რომლის დროსაც მოხდა აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობის

³² Какабадзе С. Н., Краткий обзор истории Грузии, Сухуми, 1941, 33. II.

³³ ს. ჯანაშია, ადრეული ფეოდალიზმი, შრომები, ტ. II, გვ. 215 (ეს შრომა პირველად დაიბეჭდა 1933 წ.); მისივე, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, ტ. I, გვ. 228 (პირველად დაიბეჭდა 1937 წ.).

³⁴ ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწილი I, უძველესი დროიდან XIX ს. დამდეგამდე, ს. ჯანაშიას რედაქციით. ამ წიგნის პირველ, 1943 წლის გამოცემაში ს. ჯანაშიას გაქრისტიანობის თარიღად მოცემული აქვს IV ს. მეორე მეოთხედი (გვ. 80), ხოლო უკვე 1946 წ. მეორე გამოცემაში 337 წლის მახლობელი დრო (გვ. 91).

³⁵ მაგალითად, ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, I, (უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასასრულამდე), დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 1958, გვ. 89; საქართველოს ისტორია, სახელმძღვანელო VIII—X კლასებისათვის, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით (მეორე შეესებულ-შესწორებული გამოცემა), თბ., 1960, ამ უქანასკნელში გაქრისტიანების თარიღი დასახელებული არ არის; მაგრამ ეს მოვლენა დაკავშირებულია იმპერატორ კონსტანტინესთან, რომელიც მეფობდა 337 წლამდე, მაშასადამე, გაქრისტიანებაც ამ თარიღის არაუგვიანეს მომხდარა, ავტორთა აზრით. აგრეთვე, გ. მელიქიშვილი, ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, ნაკვეთი I, 1958, გვ. 162—163 და სხვ.

³⁶ ივ. ჯავახიშვილი, ქეი, I, გვ. 228.

აფიციალურ რელიგიად გამოცხადება? ტრადიციულად მიღებულია, რომ პირველი ქართველი მეფე, რომელმაც მიიღო, ან უფრო ზუსტად — რომლის დროსაც ქრისტიანობა გამოცხადდა ქართლის სახელმწიფო რელიგიად, არის მირიანა. 1895 წ. რიხარდ რააბემ გამოაქვეყნა პეტრე იბერის ცხოვრების ასურული ტექსტი გერმანული თარგმანითურთ³⁷. ამ ცხოვრების ტექსტში ნათქვამია: „ღიღი ბაკური იბერიელ მეფეთაგან პირველი იყო ქრისტიანი“; ბაკური იყო, „რომელც ამ ქვეყნის მმართველთაგან პირველი ქრისტიანი მეფე იყო და მთელი ეს ერი ღვთისმომწივობამდი მოაქცია“³⁸. ამ ცნობაზე დააყრნობით პროფ. ვ. ბოლოტოვმა გამოთქვა მოსაზრება, რომ პირველი ქართველი ქრისტიანი მეფე ბაკური იყო, ხოლო მისი სახელი მირიანად შემდეგში ტენდენციურად უნდა იყოს შეცვლილი³⁹. ეს აზრი გაიზიარა ივ. ჯავახიშვილმაც⁴⁰, რომელსაც პეტრე ქართველის ცხოვრება (ასურული ტექსტი) ძალიან სანდო წყაროდ და თავისი ღირსებით „შუშანიკის წამებლ“ არანაკლები მნიშვნელობისად მიაჩნდა. ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს აზრი გაზიარებული არ არის. მხოლოდ ს. ჯანაშია ადრინდელ შრომებში ცდილობდა გაემართლებინა ეს პირობა იმით, რომ ამ ბაკურს იგი მირიანის მემკვიდრე ბაკურად მიიჩნედა და ასეცნიდა — შესაძლებელია ამ ბაკურს ეცხოვრა რომის იმპერატორის კარზე და იბერიის სამეფო ოჯახიდან მას პირველს მიეღო ქრისტიანობა, ხოლო მირიანმა — სახელმწიფოს მეთაურმა კი უფრო გვიან⁴¹. განსაზღვრული აზრით ორივეზე შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ეს არის პირველი ქრისტიანი მეფე.

³⁷ R. Raabe, Petrus der Iberer, Charakterbild zur kirchen und Sitten geschichte des fünften Jahrhunderts. Syrische Übersetzung einem um das Jahr 500 verfassten griechischen Biographie, Herausgegeben und übersetzt von Richard Raabe, Leipzig, 1895. გერმანული თარგმანის გვ. 15.

³⁸ ივ. ჯავახიშვილი, ქეი, I, გვ. 213.

³⁹ იქვე, გვ. 188.

⁴⁰ იქვე, გვ. 213 და შმდ.

⁴¹ ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, გვ. 215, შრომები, I, გვ. 228—229.

კორიუნის ერთი ცნობის ინტერპრეტაციისათვის*

კორიუნი ეკუთვნის V ს. ცნობილ სომეხ ისტორიკოსთა პლეადას. იგი ითვლება სომხურ ენაზე დაწერილი პირველი თხზულების ავტორად. მის წიგნს ჰქვია „*Պատմութիւն Վարուց სյմարիան առն երան-ხելոյ սրբոյ Մատուցի վարդապետի մերոյ թարգմանչի*“.

„ისტორია ცხოვრებისა (მოღვაწეობის) და სიკვდილის ნეტარი კაცის წმინდა მამულისა მასწავლებლისა, ჩვენი მთარგმნელისა“.

როგორც პირველმა ორიგინალურმა სომხურმა ნაწარმოებმა, კორიუნის თხზულებამ კარგა ხანია მიიპყრო მკვლევართა ყურადღება. XIX ს. გასულისა და XX ს. დასაწყისის სომეხი მეცნიერები კორიუნს ძალიან მაღალ შეფასებას აძლევდნენ და იგი მართო მამულის ცხოვრების ავტორად კი არა, არამედ კიდევ მთელი რიგი სხვა ნაწარმოებების ავტორადაც მიიჩნდათ. მაგ., გალუსტ ტერ-მკრტიანი თავის შრომაში, რომელიც მიძღვნილი იყო აგათანგელოსის წყაროების საკითხისადმი („*Ագաթանգեղոսի աղբյուրները*“ *Վարդապետ, 1896* თვლიდა რომ აგათანგელოსის თხზულებაც მისი დაწერილი იყო¹. ხოლო ცნობილი სომეხი ფილოლოგი ნორაირ ბიუზანდაცი თავისი წიგნში „*Կորիւն վարդապետ եւ նորին թարգմանութիւնք*“ (Տփլիս, 1900) ამტკიცებდა, რომ კორიუნმა ბერძნულიდან სომხურად თარგმნა აგათანგელოსის და ფავსტოს ბუზანდის „ისტორიები“ და სხვა ზოგიერთი ბერძნული თხზულება². მაგრამ, როგორც შემდგომში დამტკიცებული იქნა, აგათანგელოსისა და ფავსტოსის თხზულებანიც ორიგინალური სომხური ნაწარმოებებია და კორიუნთან არაერთი კავშირი არა აქვთ. ამგვარად, კორიუნს დარჩა მხოლოდ „მამულის ცხოვრების“ ავტორობა.

საყურადღებო გამოკვლევა უძღვნა კორიუნს აკად. ივ. ჯავახიშვილმა თავის „ძველი სომხური საისტორიო მწერლობის ისტორია-

* ნაშრომი შესრულებულია 1961. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძვ. ისტორიის განყ-ში.

1 ტერ მკრტიანი, Ագաթանգեղոսի աղբյուրները. Վարդապետ, 1896.

2 Նորայր Բլեզանցացի. Կորյուն վարդապետ եւ նորին թարգմանութիւնք. Տփլիս. 1900.

ში“ (თბილისი, 1935)³. სამწუხაროდ, ეს გამოკვლევა სათანადო სომხური სამეცნიერო წრეებისათვის, როგორც ჩანს, უცნობია. ივ. ჭავჭავაძის მიხედვით კორიუნის წიგნი მკაცრი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა. მისი აზრით, ეს არის სახელნატყუარი თხზულება, რომელსაც არაერთი რედაქცია აქვს გამოვლილი. ივ. ჭავჭავაძის ზოგიერთ სხვა აზრს კორიუნის შესახებ ჩვენ ქვემოთ გზადაგზა შევხებით და ამიტომ ამჟამად აქ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ამჟამად მიღებულია, რომ კორიუნი V ს. შუა ხანების მოღვაწეა. იგი იყო მამბრატის მოწაფე და თავისი მასწავლებლის ცხოვრების წიგნი დაწერა 443—451 წლებს შორის. მისი წიგნი ითვლება ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ V ს. პირველი ნახევრის სომხეთის ისტორიისათვის. თუმცა კი აღიარებულია, რომ ტექსტი, განსაკუთრებით მისი ბოლო ნაწილი, საკმაოდ დაზიანებულია⁴.

კორიუნს ქართლის შესახებ თავის თხზულებაში მოცემული აქვს შემდეგი: სომხური ასოების შექმნის შემდეგ მამბრაცი დაბრუნდა სომხეთში ვრამშაპუპის მეფობის მეექვსე წელს. სამშობლოში მამბრაცი ეწეოდა გაცხოველებულ მოღვაწეობას: წერდა, თარგმნიდა, ასწავლიდა. მან იქადაგა სომხეთის სხვადასხვა მხარეში. იყო გოლთანში, სივნიეთში. ხოლო

*„ჩარბსალ ქით ძამანაკი ჩხუ
 ღნუ მხღ ანგხილ` ზიფ ჩ მახ
 არკანტერ აჩრხჩხ ჩრჩითითი ლ
 ქამან რარერითსკანს კიოქმანს:
 ხლ აონიორ კარფსალ ხუანაფჩრს
 ქრავხრტენს ქღოქჩხ, ღათ ზნიორს-
 გხილენ. ზამა ჩ სხაონტ: ზრტ,ი.
 კარფტერ ლ ირჩხიფ ქარღაღტერ, ლ
 აონიორ ღნუ ჩრ ვიქმანს ლალ-
 ფიქსა ქაჯაკხროთაფ ჩრთიფ, ქ-
 როგხალ ფნაქრ ჩჯანხლ ჩ კიოქ-
 მანს ქრავ: ხლ ხრქხალ ქანტჩ-*

„შემდგომად რამოდენიმე ხნი-
 ისა ქრისტეს საყვარელმა კაცმა (ე.
 ი. მამბრატმა, ნ. ჭ.) იზრუნა აგრე-
 თვე ბარბაროსთა მხარის შესახებ.
 მან აიღო, დააღაგა ნიშნები ქარ-
 თული ენისა, როგორც მას მოენი-
 ქა უფლისაგან. მან დასწერა, დაა-
 ლაგა, და ფორმა მისცა. თავისთან
 ერთად წაიყვანა ზოგიერთი თავისი
 საუკეთესო მოწაფეთაგანი და წა-
 ვიდა ქართლის მხარეში. იგი მივი-
 და და წარუდგა მეფეს, რომელსა-
 ცა ერქვა ბაკური და იმ ქვეყნის

³ ივ. ჭავჭავაძის მიხედვით, ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, თბ., 1935.

⁴ М. Абегиан, История древнеармянской литературы, т. I, Ереван, 1948; Մ. Աբեղյան, წინასიტყვაობა კორიუნის გამოცემისადმი; Я. А. Манандян, Месроп-Маштоц и борьба Армянского народа за культурную самобытность, Ереван, 1941; Л. Хачикян, Очерки истории исторической науки в СССР, ст. 25—26.

მან ქიხტერ ქვადაორქინ, որომ
ანონს ჯო რასორ, ხ ხაქისლიაიოი
აჯლარჩინ⁴ შოქუტა: სე აოაას-
ლაფოქნ რნაყანქსალ ზამა ღოთ
ორქინაგნ ასათოთოქ⁴ ქვადაორქინ
ხ გორაგნ, რანღებრ ამხნაქნ
ფოლათოღნ: სე ზორა გიქო არო-
სათნ ათაჯი არქსალ ჯორაათქო
ქორქორქლოქ ჯორომ ხ კანბნ ათხ-
ალ ამხნსგონ გონღებქინ ჯათა-
რქი: სე ფთხალ გავქო მქ ქსარქ-
მან ქოყანგქნ ქხღოქინ, ყოო ა-
ნოანხსალ კოქქო ოღოჯო, აქო ოო-
ღქთ ხ ზქმართათოლათო. როამან
თაქო აქნოჩხოთ არქაქნ ქოყა-
ქი კოქმანგ კოქმანგ ხ ქ ჯოთ-
ნაღანბ გოლათოგ ქქსანოქქსან
ქლოქ ქოქოქქი მანქონა ხ თოქ
ქ ბქონ ქარქაყხაქინ... სე არქ
ღზოთ, ოო ქანჯაქი ქ მათნალოო
ხ ქ რაქანხალ ქხღოლანგ ქოქო-
ქსან, მქოქ ასოთოთბარქოო
ყათოგამოქნ მქ ოოქ ქაქსალ⁴
ქათოქანქქქ მქოქ ასათოთოქ ქო-
ქინქქო: შოოოგ ხ გოთან არქანქქ.
ხქსალ ქ კარქ ხაქისლიაიოიქსან
ქქნაქ, ოოოე ათაჯქინ შამოქქ
ანონ, აქო სოოოო ხ როქსაქა-
თონ, ხაქისლიაიოი ჯანსალ თანნ
არქონსაქსანქ⁴.

ეპისკოპოსს მოვსეს. და უმეტესად
დაემორჩილენ მას ღმრთის წე-
სისაებრ მეფე და მისი ჯარი ძთე-
ლი გავარებით.

და მან თავისი ხელოვნება წი-
ნაშე დაუდო, ჩააგონებდა და არ-
წმუნებდა მათ და მაშინ ყოველმა
იკისრა აესრულებინა, რასაც იგი
ითხოვდა. და პპოვეს კაცი ვინმე
ქართული ენის მთარგმნელი
(მცოდნე), რომელსაც ერქვა ჯა-
ლა, კაცი მწიგნობარი და ჰქმმა-
რიტი სარწმუნოებისა. შემდეგ
ქართლის მეფემ ბრძანა თავისი
სამფლობელოს სხვადასხვა მხრი-
დან და გავარებიდან შეეკრიბათ
ბავშვები და მიეცათ მასწავლებ-
ლისთვის (მაშტოცისთვის)...

და აწ ესენი, რომელნიც ესო-
დენ გამოყოფილ და განცალკევე-
ბულ ენებიდან იყვნენ შეკრებილ-
ნი, ერთი ღვთიური მცნებით ერთ
ხალხად აქცია, ერთი ღმერთის
მადიდებლად შექმნა. მათგან მო-
იქებნენ ღირსეულნი, რომელთაც
მიადწიეს ეპისკოპოსობის რიგის
საფეხურს, რომელთაგანაც უპირ-
ველესი, სახელად სამუელი, კაცი
წმინდა და კეთილმსახური, გახდა
სამეფო სახლის ეპისკოპოსი⁴.

ამ ნაწყვეტში ძალიან მნიშვნელოვანი საკითხებია მოცემული.
მათგან უმთავრესია ქართული ანბანის შექმნის საკითხი. მაგრამ იგი
დაწვრილებით აქვს განხილული აკად. ივ. ჯავახიშვილს თავის „ქარ-
თულ პალეოგრაფიასა“ და „ძველ სომხურ საისტორიო მწერლობა-

⁴ კორქინ, ჟათოქოქინ ქარაგ ხქ მანქოსანი აოქნ ხოქსხქოქი აოქოქ შაქოო-
ქქ ქარქაყხაქი მქოქოქ რარქამანქი. სქსქსი. 1941. გვ. 62—64.

ში⁵. ჯერ-ჯერობით ძნელია, რაიმე ითქვას ამ საკითხზე დამატებით. სპეციალისტების მხოლოდ ნაწილი მიიჩნევს კორიუნის ცნობებს სარწმუნოდ, მაგრამ თითქმის ყველა იზიარებს იმ აზრს, რომ კორიუნის თხზულებას ჩვენამდე თავისი პირვანდელი სახით არ მოუღწევია, რომ მან დიდი ცვლილებები განიცადა გადამწერლებსა და რედაქტორთა ხელში⁶. ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს ერთი შედარებით მცირე საკითხი. ვინ არის ნაწყვეტში მოხსენიებული ქართლის მეფე ბაკური?

ივ. ჯავახიშვილს ეს ცნობა ბაკურ მეფის შესახებ არასწორად მიჩნდა: „კორუნის სიტყვით, მესროპმა ქართული ანბანი ვითომც ბაკურ მეფის დროს შეადგინა (იხ. გვ. 22—23), მაგრამ შემდეგ, მესროპი რომ ალბანეთითგან უკან ბრუნდებოდა და სომხეთში მომავალმა საქართველოზე გამოიარა, ქართლში მაშინდელ მეფედ მას უკვე არჩილი (*Արժիլի*) ჰყავს მოხსენიებული (გვ. 29—30). ეს ცნობა მ. ხორენელსაც მოეპოვება და ერთ-ერთ ხელნაწერში მეფის სახელად სწორედ „არჩილი“ სწერია (*„Արժիլ“ Պատմ.,... 341*). არჩილის მეფობის ინდიკტიონები საკმაო სინამდვილით არის ცნობილი და დაახლოებით მას 429—437 წ. უნდა ემეფნა (ქლი ერის ისტორია I, 218). სომხური წყაროების მიხედვით, არჩილს წინამოსაყდრეთ უნდა ვითომც ბაკურ მეფე ყოფილიყო, მაგრამ სხვა წყაროებით ეს არ მტკიცდება და არჩილზე⁷ უწინარეს მეფედ ბუზმარი ყოფილა, რომელსაც დაახლოებით 413—416 წ. უნდა ემეფნა (იქვე, 217)⁸. შემდეგ გამოძინარე იქიდან, რომ სომხურ ანბანს 403—404 წ. შედგენილად გულისხმობს, ივ. ჯავახიშვილი ასკვნის: „მაშასადამე, მესროპის გამოგზავრება და მოღვაწეობა საქართველოსა და ალბანეთში ამის შემდგომ შეიძლება მხოლოდ მომხდარიყოს. არჩილ ქართლის მეფის ინდიკტიონები მესროპის მოღვაწეობის ხანას უდგება, ბაკურ მეფე კი ამ დროს არა ჩანს“⁹.

5 ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია. მეორე გამოცემა, თსუ გამომცემლობა, 1949, გვ. 194—203; მისივე ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, თსუ გამომცემლობა, 1935, გვ. 171—173.

6 მაგალთად ხ. Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, С-Петербург, 1908, ст. 341; М. Абегиан, История древнеармянской литературы, т. I, ст. 140; Я. А. Манандян, Месроп-Маштоц и борьба армянского народа за культурную самобытность Армян, Ереван, 1941, с. 4—10.

7 აქ ივ. ჯავახიშვილის ტექსტში „არჩილის“ მაგივრად „ბაკური“ წერია, რაც: აშკარად კალმის ცთომილებაა. ვბედავთ და ვასწორებთ „არჩილზე“.

8 იქვე, გვ. 172.

9 ივ. ჯავახიშვილი, ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, 1935, გვ. 172.

პეტრე იბერის ასურული ცხოვრების ცნობებზე დაყრდნობით ივ. ჯავახიშვილმა გამოითვალა IV ს. დასასრულისა და V ს. დასაწყისის ქართლის მეფეთა ზეობის წლები. ამ თხზულებაში ნათქვამია, რომ არკადიუს კეისრის (395—408) კარზე სპასალარად იყო ფარსმანი, პეტრე იბერის ბებუის ძმა. ფარსმანი ფავორიტი ყოფილა დედოფალი ევდოქსიასი. ეს ამბავი გამომჟღავნებულა და ფარსმანი გაქცეულა სამშობლოში, სადაც სამეფო ტახტი დაუკავებია. არკადიუსი გამეფდა 395 წ. და იმავე წელს შეირთო ევდოქსია, რომელიც გარდაიცვალა 404 წ. გამომდინარე აქედან, ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ ფარსმანის ქართლში მეფობის ხანა 395—404 წლებზე უნდა მოდიოდეს¹⁰. ფარსმანის შემდეგ, V ს. ათიან წლებში, მისი აზრით, უკვე ბუზშიძრი მეფობდა, ხოლო ოციან წლების ბოლოს არჩილი.

ზემოთ ჩვენ ვნახეთ, რომ კორიუნის ცნობით, ქართლში ბაკური სამეფო ტახტზე ზის IV ს. ოთხმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში. ეს კი არ ეწინააღმდეგება ივ. ჯავახიშვილის მიერ მოცემულ გამოთვლებს.

უპირველეს ყოვლისა მაშტოცის ქართლში მოსვლის თარიღის შესახებ. ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ ეს მოხდა 403—404 წლების შემდეგ, რადგანაც ამ წლებში უნდა შეექმნა მას სომხური ანბანი. აღსანიშნავია, რომ სომხური ანბანის შექმნის საკითხს სხვადასხვა მკვლევარი სხვადასხვანაირად წვეტდდა. ამისი მიზეზია ის, რომ თითონ კორიუნთან მოცემულია ანბანის შექმნის რამდენიმე, ერთმანეთის საწინააღმდეგო თარიღი. მეცნიერებაში კარგა ხანს იყო მიღებული ის აზრი, თითქოს მაშტოცის მიერ სომხური ანბანის შექმნა მოხდა 403—406 წწ¹¹. შემდეგ გ. ტერ-მერტიჩიანმა წამოაყენა მოსაზრება, რომ ეს უნდა მომხდარიყო 412 წელს. სხვათა შორის, 1500 წლისთავი ამ თარიღისა ილდესასწაულეს 1912 წელს¹². 1925 წ. ნ. აღონცმა გამოთქვა მოსაზრება, რომ მაშტოცის მიერ სომხური ანბანის გამოგონება უნდა მომხდარიყო 389—392 წლებს შორის¹³. აკად. ჰ. მანანდიანმა დააზუსტა ეს უკანასკნელი თარიღი და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სომხური ანბანის შექმნა უნდა მომხდარიყო 392—393 წწ¹⁴. კორიუნით¹⁵,

¹⁰ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, 1928, 179. ქეი, 237.

¹¹ Я. А. Манандян, Месроп-Маштоц... с. 20; М. А. Абебян, История древнеармянской литературы, с. 71.

¹² Я. А. Манандян, იქვე, გვ. 22—24.

¹³ იქვე, გვ. 25.

¹⁴ ლ. მთნანიკიანი, ՔՆՆԻՍԿԱՆ ՄԵՍՐՈՍԿՅԱՆ ԼՍՅ ժՊՈՂՈՂԻ ԱԿՏՈՒՆԵՐԿԱՆ. ԼՁՊՈՒՐ ԻԼ, ԻՐԵՎԱՆ 1957. გვ. 266.

¹⁵ სიერ კონ. გვ. 50.

მაშტოცი დაბრუნებულა სომხეთში ანბანის გამოგონების შემდეგ ვრამშაპუჰის (389—414) მეექვსე წელს, ე. ი. 394—395 წწ.¹⁶, ხოლო ქართლში იგი წასულა სომხეთში რამდენიმე ხნის მოღვაწეობის შემდეგ. კორიუნის, ან უფრო ზუსტად მისი რედაქტორის მიხედვით, ეს უნდა მომხდარიყო 394 წლის შემდეგ, შესაძლებელია 396, 397 ან რომელიმე მომდევნო წელს. ამ დროს კი ქართლში, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მართლაც, ბაკური მეფობდა რომელიც ტახტზე შეცვალა ფარსმანმა. ეს ფარსმანი, ივ. ჯავახიშვილის გამოთვლით, უნდა გამეფებულეყო 395—404 წლებს შორის. მაშასადამე, როგორც ვხედავთ, „მაშტოცის ცხოვრებაში“ არსებული ცნობა ბაკურ მეფეზე არ არის საფუძველს მოკლებული. ახლა რაც შეხება იმ საკითხს, დარღვეული აქვს, თუ არა კორიუნს მეფეთა ის თანამიმდევრობა, რომელიც ცნობილია ქართული წყაროებიდან, ან პეტრე იბერის ცხოვრებიდან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს თანამიმდევრობა დარღვეული არ არის. კორიუნთან არსად არ არის ნათქვამი იმის შესახებ, რომ არჩილი ქართლს საშეფო ტახტზე ბაკურის მემკვიდრე ყოფილიყოს; იქ ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რომ მაშტოცის ქართლში მეორედ მოსვლისას ქართლის მეფე იყო არჩილი, ხოლო მაშტოცის ეს მეორე მოგზაურობა პირველიდან კარგა ხნის შემდეგ უნდა მომხდარიყო. მართლაც, ქართლიდან დაბრუნების შემდეგ მაშტოცი აგრძელებს მოღვაწეობას სომხეთში. შემდეგ იგი გადასწყვეტს, თავისი ანბანი გაავრცელოს ბიზანტიის სომხეთში, ამიტომ იგი წავიდა კონსტანტინეპოლში და წარუდგა თეოდოსი II-ს (408—450). შემდეგ იგი მოღვაწეობს დასავლეთ (ე. ი. ბიზანტიის) სომხეთში. აქ იგი, როგორც ჩანს, დიდხანს რჩება, რადგანაც იგი არა მარტო ავრცელებს მწიგნობრობას, არამედ ებრძვის მწვალებლობასაც. აქ ყოფნისას იგი იგონებს ალბანურ დამწერლობასაც და უკვე შემდეგ ბრუნდება სომხეთში. ამ დროს სომხეთში მეფედ არტაშესი ყოფილა, რომელიც 422 წელს ავიდა ტახტზე. უკვე ამის შემდეგ მძღის მაშტოცი ალბანეთში და იქიდან გარდმანამძროის გავლით — ქართლში. როგორც ვხედავთ, ქართლში მაშტოცის პირველსა და მეორე მოსვლას შორის ოცზე მეტ წელს გაუვლია. ასე რომ, ცხადია, სავსებით შესაძლებელია, ამ პერიოდში ქართლის ტახტზე არათუ ერთი, რამდენიმე მეფეც კი გამოცვლილიყო.

კიდევ ერთი საკითხიც ამასთან დაკავშირებით. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ მაშტოცის თანამედროვედ კორიუნთან ქართული ეკლესიის თავად ეპისკოპოსი სამუელი არის დასახელებული, მაგრამ ეს

¹⁶ მაშტოცის სომხეთში დაბრუნების თარიღად 1956 წ. გამოცემული სომეხი ხალხის ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოში მოცემულია 396 წ. იხ.

ჯოჲ ძიოიძიჲჲი აყათმიოქიინ ათაჯჲინ მთა 1956 გვ. 150.

სამუელი მთავარეპისკოპოსად 466 წლის ახლო ხანებში უნდა აერჩიათო და ამიტომ „ცხადი ხდება, რომ მამტოცი 404—430 წლებში ქართლში მთავარეპისკოპოს სამუელს ვერ ნახავდა“-ო¹⁷. უნდა ითქვას, რომ „მამტოცის ცხოვრებაში“ ეს სამუელი მამტოცის თანამედროვე ქართლის ეპისკოპოსად არ არის მოხსენიებული. იქ ნათქვამია შემდეგი: მამტოცი თავისი მოწაფეებითურთ წავიდა ქართლში და „წარუდგა მეფეს, რომელსაც ერქვა ბაკური და იმ ქვეყნის ეპისკოპოს მოესესა“¹⁸, მაშასადამე, პირდაპირ არის ნათქვამი, რომ მამტოცის ქართლში პირველად მისვლისას აქ მთავარეპისკოპოსად ყოფილა ვინმე მოსე და არა სამუელი. შემდეგ ბაკურს უბრძანებია, თაღის სამფლობელოს სხვადასხვა კუთხიდან შეეკრიბათ ბავშვები და ჩაებარებინათ სასწავლებლად მამტოცისათვის. მასაც დიდი ღვაწლი დაუღვია მათზე: განუწმენდია ისინი ყოველგვარი ბიწიერებისა და ცრუმოწმუნობისაგან, შემდეგ კორიუნი აგრძელებს:

*„ნუ არქ დნიასა, ირ ქანჯაოხი ქი მანანაორ ს ქი რაძანხაო ქი-
გოაფნს ძიიიქისვანს, მიიქლ სასო-
ოლაძარარაო აყოფამაძნს მი-
აგფ კაყხალ` ქიოთარანხიჯჲ მი-
იქ სასოძიქ ქორჩნქრი შიოიგ ს
ფთან არძანხიჲ` ხისალ ქი კარფ
ხაქისკიყოთიქხანს ქიხნასი, იოიგ
აოაჯჩნს საამიქლ არიონ. თქრ
სოიქრ ს რარხაკაჯოინ, ხაქისკი-
ყო სავხსალ თანს არქონსაქა-
ნქი“¹⁹.*

„და აწ ესენი, რომელნიც ესოდენ გამოყოფილ და განცალკევებულ ენებიდან იყვნენ შეკრებილნი, ერთი ღვთიური მცნებით ერთხალხად აქცია, ერთი ღმერთის მადიდებლად შექმნა, მათგან მოიძებნენ ღირსეულნი, რომელთაც მიაღწიეს ეპისკოპოსობის რიგის საფეხურს, რომელთაგანც უპირველესი, სახელად სამუელი, კაცი წმინდა და კეთილმსახური, გახდა სამეფო სახლის ეპისკოპოსი“.

მაშასადამე, ამ ბავშვებიდან, რომელიც მეფის ბრძანებით სასწავლებლად წარუდგინეს მამტოცს, ზოგიერთებს მიუღწევიათ ეპისკოპოსობისათვის, ხოლო მათში საუკეთესო სამეფო სახლის ეპისკოპოსიც კი გამხდარა. ცხადია, ეს მოხდებოდა ბევრად უფრო გვიან. მამტოცის მოსვლისას ხომ ისინი ბავშვები უნდა ყოფილიყვნენ. ამასთან,

17 ივ. ჯავახიშვილი, ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, 1935, გვ. 173.

18 ასე იკითხება მ. აბელიანის შესწორების მიხედვით. დედანში არის „იოიგ ს ქი მანარძანქა...“ (ს. კორიონი..., გვ. 64 დაგვ. 115, შენ. 102. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის არა აქვს მნიშვნელობა ამ შესწორებას.

19 კორიონი. ქარც..., 1841, გვ. 64.

როგორც ამ წყაროში ნათქვამია „იმ ქვეყნის“ (ე. ი. ქართლის) ეპისკოპოსი ამ დროს ხომ მოსე ყოფილა. სამუელი ეპისკოპოსად მოხსენიებულია მაშტოცის ქართლში მეორედ მოსვლის დროს. „მაშტოცის ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ ალვანეთიდან მაშტოცი წავიდა ქართლში, მივიდა გარდმანის ხევში, იქიდან კი ტაშირში. ტაშირის მთავარი აშუშა მთელი თავისი საბრძანებლით მიენდო მას. მან გადასცა მათ თავისი მოძღვრება, შემდეგ კი „ჩააბარა ისინი წმინდა ეპისკოპოსს სამუელს, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, თითონ კი დაბრუნდა დიდი სომხეთის მხარეში“²⁰. მაშტოცის ქართლში პირველი და მეორე მოსვლის შემდეგ, როგორც ვნახეთ, კარგა ხანმა გაიარა ისე რომ, არაა შეუძლებელი სამეული ამ ხანში ეპისკოპოსად გამხდარიყო. როგორც აღნიშნავდა ჭავჭავიძე, სამოველ ეპისკოპოსი მოხსენიებული ჰყავთ იაკობ ხუცესსა და ჭუანჭავს²¹. საინტერესოა, რომ იაკობ ხუცესის ცნობებით, იგი დაკავშირებულია ქვემო ქართლის საპიტიახმოსთან, ე. ი. იმავე ტაშირთან; „შუშანიკის წამებაში“ ნათქვამია, რომ სამოველ ეპისკოპოსი იოვანესთან ერთად საქმელს უგზავნიდა შუშანიკს საპყრობილეში, „რამეთუ ფარულად იღუწიდეს და ნუგეშინის სცემდეს“²² მასო. იაკობის სიტყვები იმის შესახებ, რომ სამოველი ფარულად უწევდა თანაგრძნობას შუშანიკს, იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ იგი ვარსკენისგან რამდენადმე დამოკიდებული უნდა ყოფილიყო, და, ჩვენი აზრით, იგი საპიტიახმოს ტერიტორიაზე ეპისკოპოსობდა. საყურადღებოა ისიც, რომ იგი საქმელს უგზავნიდა შუშანიკს. ესეც უნდა მიგვითითებდეს იმაზე, რომ სამოველი სადღაც ახლო იმყოფებოდა პატიმრისაგან; როგორც ზემოთ ვნახეთ, კორიუნის სამოველიც ტაშირში მოღვაწეობს. მათ გაიგივებას თითქოს არაფერი უშლის ხელს.

მაგრამ სამუელის საკითხს აქვს კიდევ ერთი მხარე: როგორც დღეს მიღებულია მეცნიერებაში, კორიუნმა თავისი წიგნი დაწერა V ს. ორმოციან წლებში, უფრო ზუსტად 443—451 წლებს შორის²³. სამუელზე კორიუნი ლაპარაკობს, რომ იგი სამეფო სახლის ეპისკოპოსი იყო. თუ ეს სამუელი იაკობ ცურტაველის სამოველია, რასაც, როგორც ვნახეთ, არაფერი ეწინააღმდეგება, ხოლო ეს უკანასკნელი მთავარეპისკოპოსად გახდა, ივ. ჭავჭავიძის დამაჯერებელი გამოთვლით, მხოლოდ 466 წლის შემდგომ. ცხადია, რომ ის ადგილი, სადაც მოხსენიებულია ეს სამუელი, მერმინდელი ინტერპოლაცია უნდა იყოს, ხოლო რადგან

²⁰ იქვე, გვ. 74.

²¹ ივ. ჭავჭავიძე, ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, გვ. 173.

²² მარტვილობა შუშანიკისი, ილია აბულაძის გამოცემა. გვ. 22.

²³ М. Абегиан, История древнеармянской литературы, т. I, 1948.

ეს ადგილი მოგვეთხრობს ქართული ანბანის გამოგონებასა და ამ ანბანის გასავრცელებლად მაშტოცის ქართლში ჩამოსვლის შესახებ, ივანე ჯავახიშვილის მტკიცება ამ ცნობის გვიანდელი წარმოშობის შესახებ კიდევ ერთ დამატებით საბუთს იღებს. „მაშტოცის ცხოვრებაში“ მოხსენიებული არჩილი ქართლის მეფე არჩილი უნდა იყოს, რომელიც, ივ. ჯავახიშვილის აზრით, ქართლში 429—437 წწ. მეფობდა, ხოლო ტაშირელთა მთავარი აშუშა კი — ქართლის პიტიახში არშუშა, ვარსქენის მამა, V ს. მეორე მეოთხედის მოღვაწე²⁴. კორიუნთან ნახსენები ბაკურ მეფის თანამედროვე ეპისკოპოს მოვსესის შესახებ უნდა ითქვას, რომ სხვა წყაროებით იგი ცნობილი არ არის. არც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში და არც „ქართლის ცხოვრებაში“ არ არის ნათქვამი ვინ იყო ქართლის მთავარეპისკოპოსი ამ მეფის დროს. სხვათაშორის, აკად. პ. მანანდიანს კორიუნთან ნახსენები ბაკური მიაჩნდა პეტრე იბერის მამად, რომელსაც უნდა ემეფნა V საუკუნის დასაწყისში²⁵. უკვე ის გარემოება, რომ ბაკურს V ს-ში არ უმეფნია, უნდა მიგვიჩინებდეს იმაზე, რომ ეს მოსაზრება სწორი არ უნდა იყოს. მაგრამ ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით მსჯელობა გვექნება ქვემოთ, როდესაც განვიხილავთ პეტრე იბერის მამის მეფობის საკითხს.

„მაშტოცის ცხოვრებაში“ დაცული ცნობების მსგავსი რამ აქვს გადმოცემული მოსე ხორენელსაც, ოღონდ მცირეოდენი განსხვავებით. ხორენელს მიხედვით, მესროპის ქართლში წასვლა ხდება უფრო გვიან, ჩანს თეოდოსი II გამეფების შემდეგ (408 წ.). ქართლში მას დახვდებიან მეფე ბაკური და ეპისკოპოსი მოსე²⁶. მეორედ მესროპი ქართლში მოვა არტაშესის მეფობის დროს (422—428 წ.). აქ მოქმედი პირები არიან გუგარეთის პიტიახში არშუშა და ქართლის მეფე არჩილი²⁷. ხორენელი აქ, როგორც ჩანს, სარგებლობს კორიუნით. ბუნებრივად იბადება კითხვა: თუ ეს ასეა, და თუ მაშტოცის ქართლში მოსვლისა და ქართული ანბანის გამოგონების ამბავი კორიუნის თხზულებაში გვიან არის ჩართული, როდის ან როგორღა მოხვდა იგი ხორენელთან? ამაზე პასუხის გაცემა ჯერჯერობით ჭირს (საქმე ისაა, რომ ლ. ფარპეცი, რომელიც წერდა V ს. 80—90-იან წლებში, იცნობს კორიუნის იმ რედაქციას, სადაც ქართულ ანბანზე არაფერია ნათქვამი).

მართალია, როგორც აღვნიშნეთ, ხორენელით მესროპი ქართლში

24 ივ. ჯავახიშვილი, ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, გვ. 172—173.

25 Я. А. Манандян, Месроп-Маштоц..., 31; ლ. შანთაძე, მწიგნობრობის ისტორია, გვ. 271.

26 მოსე ხორენელი, III, 54.

27 იქვე, III, 60.

უფრო გვიან მოსულა, ვიდრე ეს მოხდა „მამტოცის ცხოვრების“ მიხედვით, მაგრამ ჩვენ უპირატესობას მაინც ამ უკანასკნელი წყაროს ცნობებს ვაძლევთ, რადგან მასში მოცემული მამტოცთან დაკავშირებული ქრონოლოგია სპეციალისტების მიხედვით უფრო სანდოდაა მიჩნეული.

მაშასადამე, „მამტოცის ცხოვრების“ ცნობების განხილვა ქართლის მეფე ბაკურზე და სამუელ მთავარეპისკოპოსზე გვარწმუნებს, რომ ისინი არ ეწინააღმდეგებიან სხვა წყაროების მონაცემებს. მაგრამ ეს ჯერ კიდევ ბევრს არ ნიშნავს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სხვა წყაროების ცნობების განხილვა საშუალებას მოგვცემს დავრწმუნდეთ იმაში, რომ IV ს. გასულს ქართლში, მართლაც, მეფობს ბაკური.

ბაკური მოხსენიებულია კიდევ ერთ წყაროში, რომელიც სპეციალისტების მიერ აღიარებულია როგორც ფრიად საყურადღებო. ეს არის პეტრე იბერის ასურული ცხოვრება. ბაკურზე იქ ნათქვამია შემდეგი: „მისი (ე. ი. პეტრე იბერის, ნ. ჯ.) პაპა დედის მხრივ იყო დიდი ბაკური, ღუხტიას მეუღლე, რომელიც ამ ქვეყნის (იგულისხმება იბერია, ნ. ჯ.) მმართველთაგან პირველი ქრისტიანი მეფე იყო და მთელი ეს ერი ღვთისმსახურებაში მიიყვანა“²⁸. იგივე ცნობას ავტორი იმეორებს ცოტა ქვევითაც: „დიდი ბაკური, რომელიც პირველი იყო ქრისტიანი იბერთა მეფეებში...“²⁹ შემდეგ აღწერილია ბაკურისა და მისი თანამეცხედრის, ღუხტიას წმინდა ცხოვრება და მოთხრობილია ერთი ამბავი, რომელიც შეემატა ბაკურს: „ერთხელ იგი სპარსთა მეფესთან ერთად საომრად იყო წასული, რადგანაც მასთან საზავო ხელშეკრულება ჰქონდა დადებული და ერთ-ერთი მისი სარდალთაგანი იყო“. მზის ამოსვლისას სპარსთა მეფე და ყველა მისი დიდებულები ცხენიდან ჩამოხტნენ და მას თავყანი სცეს. ბაკურმა კი ეს არ გააკეთა, ცხენიდანაც კი არ ჩამოსულა. მეფეს შეატყობინეს ეს ამბავი, მან დაუძახა თავისთან ბაკურს და ჰკითხა მას ამის შესახებ. მაშინ ბაკურმა უშიშრად უპასუხა; მე ქრისტიანი ვარ და ქეშმარიტ ღმერთს, ყოველის შემქმნელს, თავს ვერ დავანებებ და მის ქმნილებას თავყანს ვერ ვცემო. მეფეს გაჰკვირვებია და სწყენია კიდევაც მისი პასუხი, მაგრამ თავი-

²⁸ Petrus der Iberer, Ein Charakterbild zur Kirchen- und Sittengeschichte des fünften Jahrhunderts, Syrische Übersetzung einem um das Jahr 500 verfassten griechischen Biographie. Herausgegeben und übersetzt von Richard Raabe, Leipzig, 1895, გერმანული თარგმანის გვ. 15. იხ. აგრეთვე ივ. ჯავახიშვილი, ქეი, I, გვ. 213.

²⁹ იქვე, გვ. 15.

სიანებს მიუბრუნდა და საიდუმლოდ უთხრა: ეს ბაკურია და ჩვენ იგი გვკვირდება. რა შეგვიძლია მას ვუყოთო³⁰.

ვინ არის ეს ბაკური და რა კავშირი აქვს მას ჩვენს ბაკურ მეფესთან? ამ ცნობას პირველად ყურადღება მიაქცია რ. რააბემ, პეტრე იბერის ცხოვრების გამომცემელმა, ხოლო შემდეგ ზემომოყვანილ ცნობებზე დაყრდნობით პროფ. ვ. ბოლოტოვმა გამოთქვა მოსაზრება, რომ პირველი ქართველი ქრისტიანი მეფე იყო არა მირიანი, როგორც ტრადიციულად მიღებულია, არამედ ბაკური, რომლის სახელი შემდეგში ტენდენციურად უნდა იყოს შეცვლილი მირიანად³¹. ეს აზრი გაიზიარა და შემდგომ განავითარა აკად. ივ. ჭავჭავიძემ³². მოკლედ გადავაჯლოთ თვალი ქართლის გაქრისტიანების შესახებ არსებულ წყაროებსა და ლიტერატურას.

უძველესი წყარო, რომელშიაც მოხსენიებული ყოფილა ქართლის მოქცევის ამბავი, არის IV ს. ბერძენი ისტორიკოსის (გარდ. 395 წ.) გელასი კესარიელის „საეკლესიო ისტორია“. სამწუხაროდ, ეს თხზულება დღესდღეობით დაკარგულია და ჩვენთვის ცნობილი არაა. სამაგიეროდ მასში დაცული ცნობები შემონახულია მერმინდელ ავტორებთან. მათ შორის უძველესია რომაელი საეკლესიო ისტორიკოსი რუფინუსი, რომელიც გელასი კესარიელის უმცროსი თანამედროვე იყო (გარდ. 410 წ.). მას უთარგმნია და თავის თხზულებაში შეუტანია გელასი კესარიელის ცნობა ქართველთა მოქცევის შესახებ. ამ ცნობით, ქართლი მოუქცევია ვინმე ტყვე-ქალს. მას თავისი სიწმინდითა და ავადმყოფთა კურნებით სახელი გაუთქვამს იბერებში. განუჟურნავს მას იბერთა დედოფალიც, რომელსაც აგრეთვე ქრისტიანობაც უქადაგა. ეს ამბავი გაუგია მეფესაც. ერთხელ, ღღისით, როდესაც მეფე ნადირობდა ტყეში, დაბნელდა და მას გზა დაეკარგა. მეფე შეევედრა შეელას ტყვე-ქალის ღმერთს, ქრისტეს, და მიიღო კიდევაც ეს შევლა. მეფემ ირწმუნა ქრისტე და თავის ხალხსაც აღიარებინა იგი. შემდეგ ააშენეს ეკლესია. ეკლესიის შენების დროს ერთი სვეტი სასწაულებრივად დადგა თავის ხარისხზე ადამიანის დახმარების გარეშე. შემდეგ გაგზავნილ იქნა ელჩობა იმპერატორ კონსტანტინესთან თხოვნით — გამოეგზავნა ღვთისმსახურები. ამ ამბებს თან ერთვის ცნობა, „რომ ეს ასე მოხდა, ჩვენ ვადმოგვცა თავსებით სანდო კაცმა ბაკურიმ, ამ ხალხის (ტომის, ნ. ჯ.) მეფემ, ჩვენი კარის გვარდიის უფროსმა, ფრიად მზრუნველმა კეთილსინდისიერებასა და სიმართლეზე, როდესაც იგი ჩვენთან სრული ერთსულოვნებით ცხოვრობდა იერუსალიმ-

30 ივ. ჭავჭავიძე, ქეი, გვ. 17—18.

31 იქვე, გვ. 188.

32 იქვე, გვ. 213 და შმდ.

ში, იყო რა მაშინ პალესტინის საზღვრის უფროსი³³. როგორც დაამტკიცა გერმანელმა მეცნიერმა ან. გლასმა, ეს უკანასკნელი ცნობაც თვით გელასი კესარიელს ეკუთვნის³⁴.

გელასი კესარიელსა და რუფინუსზე დაყრდნობით ქართლის მოქცევის ამბავი გადმოცემული აქვთ აგრეთვე ბერძენ ისტორიკოსებს:

³³ В. В. Латышев, Известия древних писателей о Скифии и Кавказе, ВДИ, 1949, IV, гв. 244—245.

³⁴ А. Glas, Die Kirchengeschichte des Gelasios Son Kaisaricia die Vorlage für die beiden letzten Bücher der Kirchengeschichte Rufins. Byzantinischer Archiv, Heft 6. Leipzig — Berlin, Teubner 1914. ჩვენ ვსარგებლობთ ცნობებით ამ წიგნზე, რომლებიც გამოქვეყნებული აქვს პროფ. ს. ყ ა უ ხ ი შვი ც ლ ს უ რ ნ ა ლ შ ი „ჩვენი მეცნიერება“, 1923, № 6—7, გვ. 96—100; იხ. აგრეთვე, ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქ ე ი, I, 181. პროფ. გ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ს აზრით, ბაკური წყაროა არა გელასი კესარიელისა, არამედ თვით რუფინუსისა (იხ. მისი — არის თუ არა ბერძნულ-ლათინური წყაროების ბაკურ იბერიის მეფე?, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 1946, ნაკვ. I, თბ., 1947, გვ. 16—19). მაგრამ ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება შემდეგი გარემოება: ზემოთყვანილი ცნობის დაწერისას ბაკურზე, იგი, როგორც ჩანს, ცოცხალი იყო: მოყვანილია მისი ძველი თანამდებობა (პალესტინის საზღვრის უფროსობა) და ის (საშუალო კარის გვარდიის უფროსობა), რომელიც მას ეპირა ზემოთყვანილი ადგილის დაწერისას. მაგრამ, როგორც ფიქრობენ, ბაკური მოკლეა იქნა 394 წ. (ასევე ფიქრობს თვით პროფ. გ. გოზალიშვილი; იქვე, გვ. 3 და შენ. 6 იმავე გვერდზე). მაგრამ თავისი წიგნის წერა რუფინუსმა დაიწყო 402 წ. მამასადამე, ცნობა ბაკურის შესახებ ეკუთვნის გელასი კესარიელს, რომელიც გარდაიცვალა 495 წ. და რომლის მიერ თავისი წიგნის წერის დროს ბაკური, მართლაც, ცოცხალი იყო. პროფ. გ. გოზალიშვილი შენიშნავს, რომ „ეს ცნობა, მართლაც, თავისი კონტექსტით ახდენს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ თითქოს ბაკური მაშინ ესაუბრა რუფინუსს, როდესაც მისი ცხოვრების ჩვენთვის ცნობილი ამბები უკვე მომზდარია. მაგრამ მარტო ამისდა მიხედვით არ შეიძლება დავასკენათ, რომ არ არის შესაძლებელი ბაკურისა და რუფინუსის საუბრის თარიღი უფრო ადრე დადგოთ, პირიქით, სწორედ ეს საუბარი ადრეა სავარაუდებელი, მით უმეტეს, თუ ზოსიმეს ცნობას სერიოზულ ანგარიშს გაუწევით“ (იქვე, გვ. 8—9, შენ. 6). საუბარი რუფინუსსა და ბაკურის შორის, რა თქმა უნდა, შეიძლება 394 წ-მდეც მომზდარიყო, მაგრამ საქმე იმაშია, რომ, როგორც ვთქვით, ბაკური ცოცხალი უნდა იყოს თვით თხზულების წერის დროს. ვ. ლატუშის «Известия древних писателей о Скифии и Кавказе» «Вестник древней истории»-ში გამოცემულბს რუფინუსის ტექსტის ამ ადგილზე შენიშვნა აქვთ გაკეთებული: «Будучи в это время язычником, как о том сви-детельствует адресованное ему письмо Либания (Ерр., 980), он лишь позднее был обращен в христианство и в качестве дука Палестины встречался с Руфинном. Из этого явствует, что он не мог быть в действительности лицом, сообщившим Руфину изложенные им легенды о начале христианства в древней Ибернии» (ВДИ, 1949, 4, гв. 245 (1047), შენ. 1). რატომ? განა წარმართ ბაკურს არ შეიძლებოდა სცოდნოდა იბერიის გაქრისტიანების ამბავი?

სოკრატეს (დაბად. 380 წ.), თეოდორიტე კვირელს (დაბად. 390 წ.), სოზომენს (V ს.) და გელასი კვიზიკელს (V ს.). ესენი ზოგადად ისევე გადმოგვცემენ იბერთა გაქრისტიანების ამბავს, როგორც გელასი კესარიელი, ოლონდ მცირეოდენი განსხვავებანი აქვთ ერთმანეთთან.

დაახლოებით ასევე აქვს გადმოცემული ეს ამბავი მოსე ხორენელსაც³⁵. ხორენელის მოთხრობა განსაკუთრებით საინტერესოა იმიტომ რომ აქ პირველად ვხვდებით მოქმედ პირთა სახელებს: ტყვე-ქალის სახელი არის ნუნე, ხოლო იბერიის მეფისა (ხორენელით — მთავარის) კი მიპრანი. არ ასახელებს ხორენელი მხოლოდ ამ ამბის თანამედროვე რომის იმპერატორს, მაგრამ იკვევია, რომ ასეთად მას კონსტანტინე მიაჩნდა, რადგანაც მიპრანი სომეხთა მეფის ქვეშევრდომი იყო, მისი გადმოცემით, ხოლო თრდატი კი თავის მხრივ კონსტანტინეს თანამედროვე იყო.

უძველესი ქართული წყარო, რომელიც მოგვითხრობს ქართლის გაქრისტიანების შესახებ, არის „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. საყურადღებოა, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-შიც ქართლის გაქრისტიანების ამბავი ზოგადად ისევეა მოთხრობილი, როგორც ბერძნული ტრადიცია გადმოგვცემს. მოქმედი პირები აქ ნინო, მირიანი და კონსტანტინეა. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ზე დაყრდნობით ასევე აქვთ გადმოცემული ეს ამბავი მოგვიანო ქართველ ავტორებს და მათ შორის ლეონტი მროველსაც. მას, როგორც არაერთხელ იყო უკვე აღნიშნული³⁶, თითქმის სიტყვა-სიტყვითა აქვს გადაწერილი წმინდა ნინოს ცხოვრება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-დან. საყურადღებოა ისიც, რომ ის ტრადიცია, რომელიც დამკვიდრებულა ქართულ ეკლესიაში, ქართლის მოქცევის ამბავს ასევე გადმოგვცემს (ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში არ ვიღებთ ანდრია მოციქულისა და სვიმონ კანანელის მოღვაწეობას, რადგან, როგორც მიღებული იყო ეფრემ მცირის განმარტებით, მათი ქადაგება შემდგომში დავიწყებულ იქნა და ხელახლა გაბატონდა წარმართობა. უკვე ამის შემდეგ და საბოლოოდ, გააქრისტიანა ნინომ იბერია. ასევე არ ვეხებით ამჟამად საკითხს, თუ რა როლი მიუძღვის ამ საქმეში გრიგოლ განმანათლებელს. სხვადასხვა შეხედულებანი ამ საკითხზე დაწვრილებით აქვს გახილული ივ. ჭავჭავაძის³⁷. ჩვენთვის კი

³⁵ შ ი ძ ა ხ ა ხ ი რ ხ ს ი ა ე ტ ი ლ ი თ ი მ ი რ ი ტ ი ს ნ ა ს ი ე ე . II . გვ . 86 .

³⁶ ივ . ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი , ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1945, გვ. 183; კ . კ ე პ ე ლ ი ძ ე , ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, ტფ. უნ-ტის შოაშბე, III, 1923, გვ. 52; მისი ი ე ე , ქართული ლიტერატურის ისტორია, 1960, გვ. 239—241.

³⁷ ივ . ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი , ქ ე ი , ტ . I , გვ . 176—228 .

ახლა მას მხოლოდ მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს). ქართლის გაქრისტიანების თარიღად ქართულ ისტორიოგრაფიაში ამჟამად მიღებულია 337 წლის მახლობელი დრო. ასე თვლიდა ივ. ჭავჭავიძე-ლი³⁸. მისი აზრს იზიარებდა ს. ჭანაშიაძე³⁹. 336 წლით ათარიღებდა ამ მოვლენას პროფ. ს. კაკაბაძე თავის ერთ-ერთ შრომაში⁴⁰. ადრე მას სხვა თარიღები ჰქონდა დასახელებული⁴¹.

მხოლოდ აკად. კ. კეკელიძე მიაჩნია, რომ ეს მოხდა უფრო გვიან, კერძოდ კი, 350—356 წლებში⁴². 337 წ. მიღებულია ამ უკანასკნელ ხანებში გამოცემულ ისტორიულ შრომებშიც⁴³. მართლაც, გადაწყვეტი გარემოება უნდა იყოს ის, რომ ყველა უძველესი წყარო, რომელიც მოგვითხრობს ქართლის გაქრისტიანებაზე, ამ ამბის თანამედროვე რომის იმპერატორად სახელებს კონსტანტინეს. როგორც აღნიშნავდა ივ. ჭავჭავიძე, კონსტანტინე დასახელებული ჰყავთ გელასი კვიზიკელს, თეოდორიტე კვირიკელსა და რუფინუსს — სამს სხვადასხვა დროისა და ეროვნების ავტორს, რომელნიც დამოუკიდებელივ სარგებლობდნენ პირველწყაროთი, ე. ი. გელასი კესარიელთ⁴⁴. ასევე კონსტანტინეს სახელებენ ქართული წყაროებიც და მასვე თვლის ამ ამბის თანამედროვედ, როგორც უკვე იყო აღნიშნული, მოსე ხორენელიც. ამრიგად, თითქოს უეჭველი უნდა იყოს, რომ ქართლის გაქრის-

³⁸ იქვე, გვ. 234.

³⁹ იხ. ს. ჭანაშიას რედაქციით გამოსული სასკოლო სახელმძღვანელო „საქართველოს ისტორია“, ნაწილი I, უძველესი დროიდან XIX ს. დამდეგამდე, მეორე შესწორებულ-შეესებული გამოცემა, თბ., 1946, გვ. 91.

⁴⁰ С. Н. Какабадзе, Краткий обзор истории Грузии, Сухуми, 1941, ст. 11.

⁴¹ იხ. მაგ. მისი, ძიებანი ქართველთა IV—VII საუკუნეების ისტორიის შესახებ, საისტორიო კრებული, წ. II, 1928, გვ. 5—8, 18.

⁴² კ. კეკელიძე, ქართველთა მოქცევის მთავარი საკითხები, „მომოხილველი“, I, 1926, გვ. 37 და შმდ.: მისივე, კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში, ტფ. უნ-ტის მოამბე, X, 1930, გვ. 329; მისივე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 481.

⁴³ იხ. მაგ., 1958 წ. გამოცემული საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელო, გვ. 89 საქართველოს ისტორია, სახელმძღვანელო VIII—X კლასებისათვის, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით (მეორე შეესებულ-შესწორებული გამოცემა), თბ., 1960. ამ უკანასკნელში ქართლის გაქრისტიანების თარიღი დასახელებული არ არის, მაგრამ იგულისხმება, რომ ამ მოვლენას ადგილი ჰქონდა არ უგვიანეს 337 წლისა, რადგან იგი დაკავშირებულია იმპერატორ კონსტანტინესთან. აგრეთვე, გ. მელიქიშვილი, ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის, გვ. 162—163 და სხვ.; აქ აღიარას ვაშობთ ადრე გამოთქმულ მოსაზრებებზე, რომელთა მიხედვითაც ქართლის გაქრისტიანება უფრო ადრე მომხდარა.

⁴⁴ ივ. ჭავჭავიძე, ქეი, I, გვ. 228.

ტიანება უნდა მომხდარიყო კონსტანტინეს დროს, ე. ი. არაუგვიანეს 337 წლისა, როდესაც კონსტანტინე გარდაიცვალა.

ახლა იბადება საკითხი, ვის დროს მოხდა ქართლის გაქრისტიანება, ან უფრო ვიწროდ—შეიძლება თუ არა პეტრე იბერის ასურული ცხოვრების ბაკური ჩავთვალთ ქართლის მომაქცეველ მეფედ? როგორც უკვე ზემოთ იყო აღნიშნული, ასეთად ტრადიციის თანახმად მიღებული იყო მირიანი. მხოლოდ პროფ. ვ. ბოლოტოვმა და განსაკუთრებით კი აკად. ივ. ჯავახიშვილმა სარწმუნოდ მიიჩნიეს პეტრე იბერის ასურული ცხოვრების ცნობა იმის შესახებ, რომ პირველი ქრისტიანი მეფე იყო ბაკური. ამ დებულებას იმთავითვე გამოუჩინდნენ მოწინააღმდეგენი⁴⁵. მაგალითად, პროფ. გ. მელიქიშვილი ერთ-ერთ თავის უკანასკნელ შრომაში აღნიშნავს: „რა თქმა უნდა, „პეტრე იბერის ცხოვრების“ ზემოაღნიშნული ჩვენება ვერ გამოდგება გადამწყვეტ საბუთად, რომ უნდობლობა გამოვუცხადოთ ქართულ-სომხური წყაროების ცნობებს. ივ. ჯავახიშვილს კემარიტად მიაჩნია წყაროთა ჩვენება, რომ ქართლის გაქრისტიანება კონსტანტინე კეისრის (306—337) მეფობის დასასრულს უნდა მომხდარიყო. ვფიქრობთ რომ ჯერჯერობით წყაროთა მნიშვნელოვანი ნაკადის იმ პირდაპირი ჩვენების უარყოფისთვისაც არ არსებობს საბუთები, რომლის მიხედვითაც ამ დროს მეფედ ქართლში მირიანი იყო“⁴⁶.

რაც შეეხება თვით წყაროს, ორიოდე სიტყვით აღვნიშნავთ შემდეგს. „პეტრე იბერის ცხოვრება“ საკმაოდ მოზრდილი თხზულებაა. მისი ასურული ტექსტი და გერმანული თარგმანი გამოსცა 1895 წ. რიხარდ რააბემ. მისი აზრით, ასურული ტექსტი წარმოადგენს ზუსტ თარგმანს ბერძნულიდან⁴⁷, დაწერილი უნდა იყოს V ს. უკანასკნელ მეოთხედსა, ან VI ს. დასაწყისში⁴⁸. ინგლისელ მეცნიერ რაიტან (Wright) ერთად მიაჩნია, რომ იგი დაწერილი უნდა იყოს პეტრეს ერთ-ერთი მოწაფის მიერ, რომელიც მომსწრე იყო პეტრეს ცხოვრების უკანასკნელი ხანისა. ამასთანავე თხზულება დაიწერა პეტრეს მონასტერში მაიუმაშიო⁴⁹. შემდგომში ედ. შვარცმა დაამტკიცა, რომ თხზულების ავტორია იოანე რუფუსი, რომელიც ცხოვრობდა V—VI

45 იხ. ს. გორგაძე, საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი, „მოამბე“, 1905, III, გვ. 19—37; კ. კეკელიძე, ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები, „მომომხილველი“, თბ., 1926, გვ. 23—30.

46 გ. მელიქიშვილი, ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის, გვ. 162—163.

47 Petrus der Iberer..., გვ. V.

48 იქვე, გვ. 1, 10.

49 იქვე, გვ. 9.

საუკუნეებში⁵⁰. (თხზულება დაიწერა 518 წ. შემდეგ). ივ. ჭავჭავაძის მიერ ამ წყაროს ძალიან მაღალ შეფასებას აძლევდა: „საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ პეტრე ქართველის ცხოვრება, სასწაულომოქმედების შესახებ ცნობათა გარეშე, თავისი შინაარსიანიობითა და ღირსებით V საუკუნის ავე ქართველო პაგიოგრაფის იაკობ ხუცესის ნაწარმოებს არ ჩამოუვარდება, ხოლო, რადგან იქ თავში აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული და სარწმუნოებრივი სურათია გადაშლილი ასი წლის განმავლობაში, ამიტომ ამ ასურულად დაცული ძეგლის შინაარსს იაკობ ხუცესის ნაწარმოებზე თუ მეტი არა, ნაკლები მნიშვნელობა მაინც არა აქვს“⁵¹. მაგრამ მიუხედავად ასეთი შეფასებისა იგი აღნიშნავდა, რომ ასურულ ტექსტს „სამწუხაროდ, უკვე თავდაპირველი სახე შეცვლილი აქვს“⁵² და „გამოცემული ასურული ტექსტიც გადაკეთებულ-გადამუშავებული ჩანს“—⁵³. პეტრესი უარყოფითად ახასიათებს ამ წყაროს. შიგ მთელი წინაპრებია მოხსენებული და არასწორად (წაკითხული აქვს რუფინუსით). მაგრამ სწორედ ამ ცნობების განხილვა გვარწმუნებს იმაში. რომ ეს წყარო სწორია (ბავშვობის მოგონებები).

სხვათაშორის, არსებობს პეტრე იბერის კიდევ ერთი ცხოვრება. ეს არის ნ. მარის მიერ 1896 წ. გამოცემული „ცხოვრება“⁵⁴. მარის აზრით. იგი დაწერილი იყო ასურულად ზაქარიას მიერ, რომელიც იყო პეტრეს თანამედროვე, შექაძლებელია იგი ქართველი ყოფილიყო. „ცხოვრება“ ქართულად ითარგმნა XII—XIV სს. ვინმე მაკარი ხუცესის მიერ⁵⁵. არსებობს „ცხოვრების“ ორი რედაქცია: ვრცელი და მოკლე. ეს უკანასკნელი გაკეთებულია ვრცელისაგან, მაგრამ ვრცელიც არ წარმოადგენს ასურული დედნის სრულ სახეს. იგიც სრულს, ე. ი. ასურული დედნის შემოკლებდა⁵⁶. ნ. მარმა დაამტკიცა, რომ ასურული და ზაქარიას ქართული „ცხოვრებანი“ ერთმანეთისაგან სავსებით

⁵⁰ Ed. Schwarz. Johannes Rufus. ein mondisitischer Schriftsteller. SB der Heidelberger Akademie der Wissenschaften, phil.—hist. Kl, 1912, Abh. 16.

⁵¹ ივ. ჭავჭავაძის მიერ, ქეი, 220.

⁵² ივ. ჭავჭავაძის მიერ, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, 1928, გვ. 176.

⁵³ ივ. ჭავჭავაძის მიერ, ქეი, 217.

⁵⁴ ცხოვრება პეტრე იბერისა მოღვაწე მეფის-წულის და მიუხედავად ეპისკოპოსის მე-V საუკუნის, ქართული დედანი გამოსცა, რუსულად ითარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო ნიკო მარამან, Православный палестинский сборник, 47-ой выпуск, С-Петербург, 1896.

⁵⁵ იქვე, გვ. XXI.

⁵⁶ იქვე, გვ. XIV.

დამოუკიდებელი თხზულებებია, მიუხედავად იმისა, რომ მათ ბევრი რამა აქვთ საერთო.

დაეუბრუნდეთ ახლა იმ საკითხს, იყო თუ არა ასურული ცხოვრების დიდი ბაკური ქართლის მომაქცეველი მეფე? ასურულ ცხოვრებაში მოხსენიებულია ქართლის რამდენიმე მეფე: ბაკური, ფარსმანი, ბუზმიპრი და არჩილი. ყველა ისინი პეტრეს ნათესავეები ყოფილან „ცხოვრების“ მიხედვით. ბუზმიპრი იყო პეტრეს მამა, დიდი ბაკური — პეტრეს პაპა დედის მხრივ, არჩილი ბაკურის ძმა, ხოლო ფარსმანი იყო მისი ბების, მამის მხრიდან, ძმა. ივ. ჯავახიშვილმა აჰ ცნობებს ანალოზი გაუკეთა და დაადგინა ამ მეფეების თანამიმდევრობა. ყველაზე ადრე მათგან, ცხადია, ბაკური მეფობდა, რომელმაც 337 წ. მიიღო ქრისტიანობა. ფარსმანი გამეფებულა, ივ. ჯავახიშვილის აზრით, დაახლოებით 395—404 წლებს შუა. 413—416 წლიდან უკვე ბუზმიპრი მეფობდა ოციან წლებამდე, ხოლო დაახლოებით 429—437 წლებში კი არჩილი⁵⁷. დასაზუსტებელია ბაკურის მეფობის თარიღი. დაეუშვათ, რომ ბაკური, მართლაც, მეფობდა 337 წ. ამავე დროს ჩვენ ვიცით, რომ 361 წ. ქართლში მეფობდა მირიანნი⁵⁸. ე. ი. ამ წელს ბაკური, ალბათ, უკვე ცოცხალი აღარ იყო. მაგრამ ასურული ცხოვრების ცნობით არჩილი, რომელიც მეფობდა 429—437 წწ. იყო ბაკურის ძმა. გამოდის, რომ ამ ორი ძმის მეფობას შორის ერთი საუკუნეა. მართალია, „ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ არჩილი ღრმა მოხუცებულბაში გამეფებულა, მაგრამ საუკუნე მაინც ძალზედ დიდ დროდ გვეჩვენება⁵⁹. ასეთივე ხასიათისაა შემდეგი მოსაზრებაც: 337 წელს ბაკური ქართლში ქრისტიანობის შემომღები და გამავრცელებელი სულ მცირე ოცი წლისა უნდა ყოფილიყო, ხოლო, როგორც გამორკვეულია, პეტრე იბერი მისი შვილიშვილი, დაიბადა 409—412 წწ.⁶⁰. მაშასადამე, ამ დროს ბაკური 92—95 წლისა იქნებოდა, ცოცხალი რომ ყოფილიყო. მაშასადამე, პაპა შვილიშვილზე თითქმის ასი წლით უფროსი გამოდის. ესეც ცოტა არ იყოს, არაბუნებრივად გამოიყურება, მითუმეტეს, რომ ბაკური პეტრეს დედის მამა იყო. ამ ბაკურზე „ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ იგი ერთხელ „სპარსთა მეფესთან ერთად საომრად

57 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, 1, გვ. 177—180.

58 ივ. ჯავახიშვილი, ქეი, გვ. 235.

59 შეიძლება დაგვებადოს ეპი, იქნებ „ცხოვრების“ ის ცნობა არ არის სწორი, რომლის მიხედვითაც ბაკური და არჩილი ძმები იყვნენ; როგორც ქვემოთ ვნახავთ, „ცხოვრების“ ეს ცნობა არ არის საფუძველს მოკლებული და ჩვენ შეგვიძლია იგი სარწმუნოდ მივიჩნიოთ.

60 Petrus der Iberer..., გვ. 10, ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, 1, 180 და სხვ.

იყო წასული, რადგანაც მასთან საზავი ხელშეკრულება ჰქონდა და-
დებული და ერთ-ერთი მისი სარდალთაგანი იყო. „მაგრამ, როგორც
ჩანს, ამ დროს იგი მხოლოდ მოკავშირე კი არ იყო შაჰისა, არამედ
მასზე რამდენადმე დაქვემდებარებული პირიც. როდესაც გამოძევად-
და, რომ ბაკური ქრისტიანი იყო, მაშინვე შეატყობინეს ირანის მეფეს,
მანაც გამოიძახა იგი თავისთან და, როდესაც ბაკურმა ისევ აღიარა
თავისი ქრისტიანობა, მხოლოდ იმიტომ არ დასაჯა იგი, რომ ირანე-
ლებს იგი სპირდებოდათ. „ცხოვრების“ ავტორს ბაკურს განმადიდ-
ებელ ამბად მიაჩნია ის, რომ ირანის მეფეს წინაშე მან არ დამალა თა-
ვისი ქრისტიანობა. ცხადია, ბაკური ირანელთა ქვეშევრდომი უნდა
ყოფილიყო. მაგრამ ასეთი რამ მოსალოდნელია მხოლოდ 369 წ. შემ-
დეგ, როდესაც ირანელებმა ქართლში ფეხი მოიკიდეს. მანამდე კი,
ყოველ შემთხვევაში რამდენადაც დღესდღეობით არის ცნობილი, ასე-
თი რამ მოსალოდნელი არ არის. 298 წ. ნიზიბისის ზავის მიხედვით
ქართლი ნომინალურად მაინც რომის ვასალად ითვლებოდა. შემდგომ
პერიოდშიც ქართლი კეთილგანწყობილებამაა რომთან. ასეთი განწყო-
ბილების ერთ-ერთი გამოხატულებაა თვით ქართლის გაქრისტიანებაც
(როგორღა მოხვდა ამ განწყობილებას მთავარი გამტარებელი, ე. ი.
ქართლის მომაქცეველი მეფე, ირანელთა მოკავშირედ და ქვეშევრდო-
მად?). ჯერ კიდევ 361 წ. რომაელები საჩუქრებს უგზავნიდნენ ქარ-
თლსა და სომხეთის მეფეებს იმისთვის, რომ ისინი ირანელთა მხარე-
ზე არ გადასულიყვნენ. საეულისხმოა შემდეგი გარემოებაც. „ცხოვრე-
ბის“ ავტორს დიდი ბაკურის საქებრად მოჰყავს შედარებით მეორე-
ხარისხოვანი ამბავი. როგორც „ცხოვრებიდან“ ჩანს, თავისი პირდაპირ-
რობისათვის ბაკური არ დასჯილა, (იქნებ იცოდა კიდევაც, რომ მას
დიდი საფრთხე არ მოელოდა!). რა თქმა უნდა, უფრო საინტერესო
იქნებოდა ავტორს ეამბნა თვით გაქრისტიანების ამბავი, როგორ მოხ-
და იგი, და არ დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ
ბაკური იყო პირველი ქრისტიანი მეფე. ეს ხომ უფრო მნიშვნელოვანი
ამბავი იყო, აქედან უფრო გამოჩნდება მისი სიყვარული ქრისტიანი
რომაელების მიმართ. ავტორს უთუოდ უნდა სცოდნოდა ამ საქმის გა-
რემოება. მაგრამ ყველა ზემოთქმული გვაეჭვებს იმაში, რომ მან ნამ-
დვილად იცოდა ის, რომ პეტრეს პაპა ბაკური იყო ქართლის მომაქცე-
ველი. ეკამათებოდა რა პროფ. კ. კეკელიძეს, რომელიც არ იზიარებდა
იმ აზრს, რომ პეტრე იბერის პაპა ბაკური იყო პირველი ქრისტიანი
მეფე, ივ. ჭავჭავაძის წერდა: „ეხლა თუ იმ გარემოებასაც გავითვა-
ლისწინებთ, რომ პეტრე ქართველის ცხოვრების აღმწერელს მიზნად
ქართლის გაქრისტიანების ამბავის მოთხრობა არ ჰქონია და მის თხზუ-
ლებაში ეს ცნობა მხოლოდ იმ შემთხვევითი გარემოების გამოა შე-
ტანილი, რომ ეს პირველი ქრისტიანი მეფე პეტრე ქართველის ერთი

წინაპართაგანი იყო, მაშინ ცხადი გახდება, რომ ამ შემთხვევაში არავითარი განზრახვა არ უნდა ჰქონოდა აქ რაიმე ტენდენციური ცნობა შეეტანა. ვითარცა ქათველთა მოქცევისაგან მხოლოდ ერთი საუკუნით დაშორებულ პირს, სფიქრებელია, პირველი ქრისტიანი ქართველი მეფის სახელი უნდა კარგად სცოდნოდა. ხოლო რადგან ის ამასთანავე ქართველი იყო ქართლის სამეფო სახლობისა და ისეთი გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწის, როგორც პეტრე ქართველო იყო, დაახლოებული პირი იყო, მას თავისი სამშობლოს ქრისტიანობის შესახებ უფრო ხანდო ცნობები უნდა ჰქონოდა, ვიდრე ასეთ მერმინდელ ტენდენციურსა და ფსევდოეპიგრაფიულ წყაროებს, როგორც VIII—IX ს. ზემოაღნიშნული სომხურ-ქართული ძეგლებია“ (ივ. ჯავახიშვილი აქ გულისხმობს იმ სომხურ-ქართულ წყაროებს, სადაც პირველ ქრისტიან მეფედ მირიანია მოხსენიებული. — ნ. ჯ.)⁶¹. ზემომოყვანილის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: მართალია, პეტრეს ასურული ცხოვრების ავტორის მიზანი არ იყო ქართლის გაქრისტიანების ამბავი გადმოეცა, მაგრამ, ცხადია, რომ ამას იგი ახსენებს იმდენად, რამდენადაც მას ამითი სურს პეტრეს პაპის განდიდება. ე. ი. ავტორი არ შეიძლება აქ არ იყო ს ტენდენციური, მართლაც, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, „ცხოვრებაში“ პეტრეს ნათესავების სააუგო. ამბებიც არის მოთხრობილი, მაგრამ ჯერ ერთი, ხანდახან ეს მხოლოდ იმისთვისაა გაკეთებული, რომ უფრო მეტად გაესვას ხაზი მათს შემდგომ გამოსწორებასა და სიწმინდეს. და მეორეც ისაა, რომ სამაგიეროდ ავტორი დანაზრჩენების სიწმინდეს აშკარად აზვიადებს. ასე, რომ კ. კეკელიძე მართალი იყო, როდესაც ფიქრობდა, რომ „ცხოვრების“ ავტორი ტენდენციურად აზვიადებდა პეტრეს ნათესავების ღვაწლს⁶². ამ შემთხვევაშიც ასეთ ვითარებასთან უნდა გვექონდეს საქმე.

რაც შეეხება იმას, რომ პეტრე იბერის ცხოვრების ავტორი მხოლოდ ერთი საუკუნით უფრო დაშორებული პირი იყო ქართლის გაქრისტიანებისგან და მისი წიგნიც ბევრად უფრო ადრინდელი წყაროა, ვიდრე სომხურ-ქართული, უნდა ითქვას, რომ ჩვენ კიდევ უფრო ადრინდელი წყაროებიცა გვაქვს ამ საკითხზე. როგორც იყო ზემოთ უკვე აღნიშნული, მათგან უძველესია გელასი კესარიელის „საეკლესიო ისტორია“, რომელიც დაიწერა IV ს. ბოლოს. ჩვენ უკვე გვექონდა ლა-

⁶¹ ივ. ჯავახიშვილი, ქეი, I, გვ. 221—222.

⁶² კ. კეკელიძე, ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები, „მომომხილველი“, I, გვ. 26.

პარაკი იმაზე, რომ გელასი კესარიელის (ან უკიდურეს შემთხვევაში რუფინუსის) ინფორმატორი იბერიის გაქრისტიანების შესახებ იყო ბაკური, იბერიის სამეფო სახლის წარმომადგენელი⁶³. მაშასადამე, იბე-

63 ამ ბაკურის ვინაობის შესახებ მეცნიერებაში აზრთა სხვადასხვაობაა, Seock-ი მოკლედ ვადმოგვცემს წყაროების მონაცემებს მის შესახებ, მაგრამ ეპიკოპოსი შეაქვს ზოსიმეს ცნობაში იმის შესახებ, რომ ბაკური მოკლულ იქნა 394 წ., რადგანაც იგი ამის შემდეგ ეხსუბრა რუფინუსს (იხ. Paulu-Wissowa, Real-Encyclopädie der classischen altertumswissenschaft II, გვ. 2724—2725), მაგრამ სიციის ეპიკოპოსი უსაფუძვლო ვადმოდგება, თუ ვაგინხსენებთ, რომ როგორც დაამტკიცა ა. ვალსმა, ბაკური ელაპარაკება არა რუფინუსს, არამედ გელასი კესარიელს. ს. გორგაძეს (იხ. მისი საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი, „მომამე“, 1905, III, 36) და კ. კეკელიძეს ბაკური მიაჩნდათ მირიან მეფის შემეკიდრე ბაკურად, „რომელიც, მატანის თქმით, ჭრ კიდევ ვამეფებამდე იზრდებოდა ბიზანტიაში, როგორც მძევალი; ხან-მოკლე მეფობის შემდგომ, — არაუადრეს 362 და არაუგვიანეს 368 წლისა, ის, ჩანს, ისევ ნაცნობ ბიზანტიას შეფარებია“; იგი „არ იყო „დიდი ბაკურ მეფე“, „პეტრე ქაძმელის პაპა“ (კ. კეკელიძე, ქართველთა მოქცევის..., გვ. 27—28); ივ. ჭავჭავაძის თვლიდა, რომ მასალების სიმციროს გამო საბოლოო პასუხის გაცემა ამ ბაკურის ვინაობის საკითხზე შეუძლებელი იყო, ოღონდ მას მიაჩნდა, რომ იგი არ იყო პეტრე იბერის პაპა (ქეი, 222—224). პროფ. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, ბაკური მეფე არ ყოფილა, იგი იყო წარჩინებული (ალბათ სამეფო) გვარის წარმომადგენელი (გელასი კესარიელი ქართლის მოქცევის შესახებ, „მომომხილველი“, I, 1926 წ. გვ. 65—68; ლიბანიოსი და ბაკური, ქუთაისის ა. წულუკიძის სახ. სახელმწიფო პედაგოგიკის შრომები, I, ქუთაისი, 1940, გვ. 13—20). პროფ. შ. გოზალიშვილმა სპეციალური გამოკვლევა უძღვნა ბაკურს („არის თუ არა ბერძნულ-ლათინური წყაროების ბაკური იბერიის მეფე“. „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 1946, ნაკვეთი I, თბ., 1947), რომელშიც იგი ამტკიცებს, რომ ქართლის მოქცევის მომთხრობი ბაკური ნამდვილად იყო იბერიის მეფე. ჰონიგმანით, ბაკური იყო პეტრე იბერის პაპა და ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე. თიტოქს მან რუფინუსს დაუმალა, რომ თვითონ იყო.

წყაროების ცნობები ბაკურის შესახებ შემდეგია: 378 წ. ადრიანოპოლთან ბრძოლაში იგი მეთაურობდა ბიზანტიელთა ჯარის ერთ ნაწილს (ამიანუს მარცელინუსი). 394 წ. იგი მონაწილეობს ფრიგიდუსის ბრძოლაში, ისევე როგორც ბიზანტიელი სარდალი (რუფინუსი, გიორგი ამარტოლი). არსებობს ცნობა, რომ ბაკური მოკლულ იქნა ამ ბრძოლაში (ზოსიმე, გიორგი ამარტოლი). IV ს. გამოჩენილი რიტორის ლიბანიოსის მიერ 392 წ. ბაკურისადმი მიწერილი წერილიდან ირკვევა, რომ ბაკური ამ დროს არ იყო ქრისტიანი, იყო პოლითეისტი (იხ. ს. ყაუხჩიშვილი, ლიბანიოსი და ბაკური). ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება ვაეფთხოს შემდეგი დასკვნები: 394 წ. ბაკური არ უნდა ყოფილიყო 50 წლისაზე უფროსი, რადგან ამ ბრძოლაში მის მონაწილეობაზე გიორგი ამარტოლს ნათქვამი აქვს: „ვიცე კი მის ახლოს მოხედებოდა, ზოგს შუბით დაანარცხებდა, ზოგს ისრებით, ზოგს კიდევ მახვილითაც“ და სხვ. (იგივე ცნობა აქვს რუფინუსსაც); მაშასადამე იგი დაბადებულა არაუადრეს 344 წ. ეს ბაკური არ უნდა იყოს მირიანის შვილი, რადგან ძნელი დასაჯერებელია, რომ ქართლის მომაქცეველი მეფის შვილი ქრისტიანი არ ყოფილიყო. ისიც ის, რომელიც ქართლის მოქცევაში, ე. ი. 337 წ.-ში, მძევლად

რის სამეფო წრეებში IV ს-ის შუასა და მეორე ნახევარში ქართლის გაქრისტიანების შესახებ გავრცელებული იყო ის ლეგენდა, რომელიც შემოგვინახა ჩვენ ბერძნულ-ლათინურმა მწერლობამ და რომელიც შემდეგ გამეორებული აქვს სომხურ-ქართულ მწერლობასაც. შეუძლე-

იყო წაყვანილი კონსტანტინეპოლში. ჩვენ კი, როგორც ვნახეთ, ბაქური უნდა დაბადებულიყო არა უადრეს 344 წლისა (აღარას ვამბობთ იმაზე, რომ ქართული წყაროების მირიანის მეგვიდრე ბაქური, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-თ მირიანის შვილი-შვილი, ხოლო ლეონტი მროველით მირიანის შვილი ქრისტინი და ქრისტიანობის თავდადებული მოღვაწე იყო). შეუძლებელია ისიც, რომ ეს ბაქური ყოფილიყო პეტრე იბერის პაპა, „ლიდი ბაქური“, რადგან ეს უქანასკნელი იყო ქრისტიანი, მეფობდა თავის ქვეყანაში და იყო არა ბიზანტიელთა სამსახურში, არამედ, როგორც ვნახეთ, პირიქით, ირანის მეფესთან ერთად იყო წასული საომრად. ახლა დგება საკითხი, იყო თუ არა ბიზანტიელი სარდალი ბაქური როდისმე იბერიის მოქ., და თუ იყო, როდის? მარცელინუსის ცნობით, 361 წ. იბერიაში მეფობდა მერიბანი, ქართული წყაროების მირიანი, რომელიც 337 წლიდან მიინც ჯკვე ქართლის ტახტზეა. 369 წ. ტახტზე ზის რომაელთა მიერ დანიშნული საურმაგი, რომელიც შემდეგ იძულებულია თავისი სამეფოს მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე ნაწილ დაუთმოს ირანელთა მომხრე ასპაჟურს (ამ. მარცელინუსი). ბაქური რომაელთა მომხრე იყო, სარდალად იყო კიდევაც მათს ჯარში. ის რომ იბერიის ტახტზე მჯდარიყო 361—369 წლებს შორის, როდესაც ქართლს რომაელთა ორიენტაცია ეკირა, გაუგებარია, რატომ უნდა მიენებებინა თავი სამეფო ტახტისთვის და შესულიყო რომაელთა სამსახურში. ასპაჟურს ამ. მარცელინუსი ასხენებს 374 წლისთვის. როდემდის მეფობდა საურმაგი, ცნობილი არაა. აი, სწორედ აქ, მტკვრის ჩრდილოეთით. და ამ დროს, ე. ი. საურმაგის შემდეგ და 378 წლამდე, როდესაც ბაქური უკვე ბიზანტიაშია, შეედლო მას ემეფნა, მაგრამ ესეც საეჭვოა. მართლაც, მარცელინუსი დაწვრილებით გვიამბობს საურმაგისა და ასპაჟურის ამბებს. ბაქური რომ საურმაგის მეგვიდრე ყოფილიყო, სადიქრებელია, მარცელინუსი აღნიშნავდა ამას და იტყვოდა. თუ რატომ მოუხდა მას სამშობლოდან გადახვეწა, და მხოლოდ „ბაქურ იბერიელად“ არ მოიხსენებდა მას. ჩვენ მოსაზრებებს მხარს უჭერს ქართული წყაროების მონაცემებიც. თუ მათაც გავითვალისწინებთ, ვნახავთ, რომ ამ ბაქურს ადგილი აღარ რჩება იბერიის მეფეთა სიაში (შდრ. გ. მელიქიშვილი, ქართლის (იბერიის) სამეფოს..., გვ. 162—170). ამრიგად, ჩვენ საყვებით მხარს ვუჭერთ, პროფ. ს. ყაუხჩიშვილის მოსაზრებას, რომელიც მან წამოაყენა წყაროების ფილოლოგიური ანალიზის შედეგად. რომ ბაქური იყო სამეფო წარმოშობისა და არა მიფე, ოღონდ მას მიაჩნია, რომ არაქრისტიან ბაქურს „უთანახმოება ჰქონდა გაბატონებული იდეოლოგიის (ე. ი. ქრისტიანობის. ნ. ჟ.) წარმომადგენლებთან; მისი პოზიცია, ერთგვარა სამეფო გიარის წარმომადგენლისა, დაგმობილ იქნა, და ის იძულებული იყო დაეტოვებინა სამშობლო“ (იხ. მისი, ლიბანიოსი და ბაქური, გვ. 19). ჩვენ უფრო ბუნებრივად მიგვაჩნია, ბაქურის შესვლა ბიზანტიელთა სამსახურში პოლიტიკური მიზეზებით ავხსნათ: ბიზანტიური ორიენტაციის ბაქურს გაუჭირდებოდა დარჩენილიყო ქარლ-რომელიც 369 წლიდან ნაწილობრივ, ხოლო მალე კი მთლიანად ირანელთა გავლენის სფეროში მოექცა. ამასთან, რა საფუძველი გვაქვს ვფიქროთ, რომ 369 წლამდე ბიზანტიის, ხოლო შემდეგ კი ირანის გავლენის სფეროში მყოფ იბერიაში მერტ შეუწყნარებლობას იჩენდნენ არაქრისტიანთა მიმართ, ვიდრე თვით აღმოსავლეთ რომაის იმპერიაში? არ არის გამორიცხული ისიც, რომ შესაძლებელია, ბაქური ბავშვობიდანვე იზრდებოდა სამშობლოს გარეთ.

ბელია, ეს ლეგენდა არ სცოდნოდა პეტრე იბერსაც. ხოლო რადგან ამ უკანასკნელის ცხოვრების აღმწერი არ გადმოგვეცემს არაფერს ამის-
დამაგვარს „პირველ ქრისტიან მეფე“ ბაკურზე და მის ნაცვლად გვიამ-
ბობს იმას, რომ ბაკური და მისი ცოლი ღუხტია ასკეტურ ცხოვრებას
ეწეოდნენ და ერთმანეთთან ხორციელი ურთიერთობისაგან თავს იკა-
ვებდნენ; რომ ბაკური კვირაში სამჯერ თავისი ხელით ჰკვიდა ეკლეს-
იას; რომ მისი ბრძანებით სასახლეში გლახაკთათვის იხარშებოდა სა-
ქმელი, რომელიც მეფეს თითონ მიჰქონდა გლახაკთა სახლში და იქ თა-
ვისი ხელით აქმევდა დაერდომილებს; რომ ღუხტია სამეფო ტანსაცმე-
ლის ქვეშ ძაძვს იცვამდა; რომ მან თავისი ჯალამბერი და ძვირფასეუ-
ლობა გაყიდა და უქონელთ დაუბრუნა; რომ ღუხტიას თავისი სიწმინ-
დისათვის ღმრთისაგან მიეცა უნარი ავადმყოფთა კურნებისა; დაბო-
ლოს, გვიამბობს ზემომოყვანილ გადმოცემას ბაკურის მიერ ირანელთა
ბანაკში ქრისტიანობის ერთგულების დამტკიცებისა, — ყველაფერი ეს
გვიჩვენებს, რომ „ცხოვრების“ ავტორმა არ იცის ქართლის მოქცევის
ის ლეგენდა, რომელიც გავრცელებული ყოფილა ქართლის სამეფო
წრეებში და მასზე ერთი საუკუნით ადრე ჩაწერილიც კი იყო. ცხა-
დაა, პეტრე იბერს რომ ეამბნა მისთვის თავისი პაპის მიერ ქრისტიან-
ობის პირველად მიღების შესახებ, ამ ლეგენდასაც გადმოგვეცემდა.
მაშასადამე, პეტრე იბერის ასურული ცხოვრების ცნობა იმის შესა-
ხებ, რომ პეტრეს პაპა, დიდი ბაკური, იყო ქართლის მომაქცეველი და
პირველი ქრისტიანი მეფე, ამ თხზულებს ავტორის, ან მის მერმინ-
დელ მთარგმნელ-გადამწერთა მიერ პეტრეს წინაპრების განსადიდებ-
ლად მოგონილი ცნობა უნდა იყოს.

სხვათა შორის, პეტრე იბერის ქართულ ცხოვრებაში ბაკური ნახ-
სენებიც კი არ არის და არაფერია ნათქვამი პეტრეს პაპის ღვაწლზე.
მართალია, შესაძლებელია იქ მოხსენიებული მირიანისა და წმ. ნი-
ნოს⁶⁴ სახელები ქართულ მთარგმანში მისი მთარგმნელის მიერ იყოს
შეტანილი⁶⁵, მაგრამ დედანში რომ ისეთივე ცნობები ყოფილიყო ბა-
კურზე, როგორც არის ასურულ ცხოვრებაში, ვფიქრობთ, რაიმე
კვალი ამისი მაინც დარჩებოდა.

ახლა, თუ გავითვალისწინებთ იმ აზრს, რომ პეტრე იბერის ასუ-
რული ცხოვრების დიდი ბაკური არ იყო ქართლის გამაქრისტიანებე-
ლი მეფე და არ მეფობდა IV ს. 30-იან წლებში, დგება საკითხი, თუ
ვინ იყო იგი და რა ხანაზე უნდა მოდიოდეს მისი ზეობის წლები. მივ-
მართოთ ქართულ წყაროებს, სადაც რამდენიმე მეფეა ამ სახელით მო-
ხსენიებული. უპირველეს ყოვლისა ეს არის მირიანის შემკვიდრე ბა-

64 ცხოვრება პეტრე ივერისა, გვ. 3, 61.

65 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, I, გვ. 176.

კური („მოქცევაჲ ქართლისაჲ“-თ მირიანის შვილიშვილი, ხოლო „ქართლის ცხოვრებ“-ით მისი ძე). მაგრამ მისი მეფობა 368 წელზე აქეთ ვერ გადმოვა, რადგან ამ წლიდან მოყოლებული ქართლში საურ-მაგი და ასპაგური მეფობენ⁶⁶. პეტრეს პაპა ბაკური კი, როგორც უკვე ზემოთ გვქონდა აღნიშნული, მეფობდა სწორედ ამ წლის შემდეგ, ე. ი. მაშინ, როდესაც სპარსელებმა ფეხი მოიკიდეს ქართლში. გვჩნება ორი მეფე: ვარაზ-ბაკური და ბაკური. ამ უკანასკნელზე უნდა ითქვას, რომ იგი მოხსენიებულია მხოლოდ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში, ხოლო „ქართლის ცხოვრებაში“ მის მაგივრად თრდატია. ქართლის მეფეთა თანამიმდევრობა ამ ორი ძეგლის მიხედვით ასეთია:

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“

„ქართლის ცხოვრება“

მირიან	მირიან
ბაკურ	ბაქარ
თრდატ	მირდატ
ვარაზ-ბაკურ	ვარაზ-ბაქარ
ბაკურ	თრდატ
ფარსმან	ფარსმან
მირდატ	მირდატ
არჩილ	არჩილ

როგორც ვხედავთ, მეფეთა თანამიმდევრობა ორივე ძეგლში ერთნაირი არ არის. „მ. ქ.“-ის მესამე მეფეს თრდატს „ქ. ც.“-ის მიხედვით შეეფარდება მირდატი, ხოლო „მ. ქ.“-ის ბაკურს — „ქ. ც.“-ის თრდატი. უნდა ითქვას, რომ ორივე ძეგლის ეს თრდატი არც ერთი და იგივე პირი — თრდატ რევის ძე. მის მოღვაწეობასაც ორივე ძეგლი ერთნაირად გვიხსნიათებს (ცხადია, „ქ. ც“-ს ეს დახასიათება „მ. ქ.“-საგან აქვს აღებული);

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“:

„და მეფემან რუჲსთვისა რუჲ გამოიღო: და ეკლესიისა საფუძველი დადვა: და მის ზევე: ნეკრესს კახეთისასა: ეკლესიაჲ აღიმენა: განსრულებით“⁶⁷:

„ქართლის ცხოვრება“:

66 იხ. ს. გორგაძე, საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი, „მომბე“, 1905, III. გვ. 36; შდრ. გ. მელიქიშვილი, ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის..., გვ. 170.

67 Описание... გვ. 720.

„ხოლო მან გამოიღო რუსთავი და აღაშენა ეკლესია; და მანვე აღაშენა ეკლესია ნეკრესისა“⁶⁸.

განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ „მ. ქ.“-ის მიხედვით ეს თრდატი მეფობს ვარაზ-ბაკურის წინ, ხოლო „ქ. ც.“-ის მიხედვით მის შემდეგ. ამ ძეგლით თრდატი იყო ვარაზ-ბაქარის სიმამრი. რადგანაც ვარაზ-ბაქარის სიკვდილისას მისი შვილები მცირეწლოვანი ყოფილან, „წარჩინებულთა ქართლისათა ზრახვა ყვეს და დასუეს მეფედ სიმამრი ვარაზ-ბაქარისი, ძე რევისი, ძისწული მირიანისა, კაცი მოხუცებული, სახელით თრდატი, და მისცნეს შვილნი ვარაზ-ბაქარისნი საზრდოდ, ასულის წულნი მ-სნი“⁶⁹. ის-მის საკითხი, სად უნდა მოთავსდეს თრდატი? მიუხედავად „ქ. ც.“-ის ანგარიშგასაწევი ცნობისა თრდატის მიერ თავისი შვილიშვილების გაზრდის შესახებ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ „მ. ქ.“-ის მიერ დაცული მეფეთა თანამიმდევრობა უფრო სწორი უნდა იყოს. აღსანიშნავია, რომ თვით „ქ. ც.“-ის ცნობების ანალიზიც პბადებს ეჭვს, რომ „ქ. ც.“-ის სათანადო ადგილს ატოროს ჰქონდა წყარო, რომელშიც მეფეთა ისეთივე თანამიმდევრობა იყო, როგორც „მ. ქ.“-შია. ვგულისხმობთ შემდეგს: „მ. ქ.“-ის მიხედვით ქართლის მთავარებესკოპოსებად იყვნენ იოვანე, იაკობ, იობ. „ნერსე სომეხთა კათალიკოსისა დიაკონი“, ელია, სუმეონ და ა. შ. იოვანე იყო მეფე მირიანის დროს, მომკვდარა იგი მირიანის მემკვიდრე ბაკურის დროს, ბაკურის დროსვე მის მაგივრად დამკდარა იაკობ. იობ მთავარებესკოპოსობდა თრდატისა და ვარაზ-ბაკურის დროს, ელია — ბაკურის, ხოლო სუმეონ კი ფარსმანისა და მირდატის დროს⁷⁰. „ქ. ც.“-ით ქართლის მთავარებესკოპოსთა რიგი ასეთია: იოვანე მთავარებესკოპოსობდა მირიანის დროს. წმ. ნინომ სიკვდილის წინ „შევედრა მეფესა იაკობ მღვდელი, რათა შემდგომად იოვანესსა იგი იყოს ეპისკოპოს“⁷¹. როდის გახდა ეს იაკობი ეპისკოპოსად არა ჩანს, მაგრამ უეჭველია, იგი იგულისხმება მასში, რომელზედაც ნათქვამია, რომ ბაქარის მემკვიდრე მირდატის დროს „მოკუდა იაკობ ეპისკოპოსი. და დაჯდა იობ სომეხი, ნერსე კათალიკოსისა დიაკონი“⁷². არ არის ნათქვამი, ვინ ეპისკოპოსობდა მომდევნო მეფის, ვარაზ-ბაქარის, დროს, ჩანს, იგულისხმება იგივე იობ (ასევეა „მ. ქ.“-ის მიხედვითაც). თრდატი მეფის დროს კი ჩნდება ისევ იაკობ: „და ამის-ზე მოკუდა ეპისკოპოსი იაკობ, და დასუა მის წილ ელია“⁷³. შემდეგი მეფის ფარსმა-

68 ქართლის ცხოვრება, გვ. 137.

69 იქვე.

70 Описание... გვ. 719—921.

71 ქართლის ცხოვრება, გვ. 127.

72 იქვე, გვ. 132.

73 იქვე, გვ. 137.

ნის დროს „მოკულდა ელია ეპისკოპოსი, და დასუეს სუმონ“⁷⁴. ვინ არის ის ეპისკოპოსი იაკობ, რომელიც მოკვდა თრდატის ზეობაში? „ქ. ც“—ს გამომცემელი პროფ. ს. ყაუხჩიშვილი ფიქრობს, და სავსებით სამართლიანადაც, რომ ეს ის იაკობია, რომელიც მთავარეპისკოპოსად გახდა იოვანეს შემდეგ⁷⁵. მაგრამ, როგორც ვნახეთ, იოვანეს მემკვიდრე იაკობი გარდაიცვალა მირდატის დროს და მის მაგივრად იობი დამკვდარა. ახლა ხელახლა ჩნდება იგივე იაკობი. ხომ არ არის აქ შეცდომა, იქნებ უნდა იყოს ასე: თრდატის ზეობაში „მოკულდა იობ ეპისკოპოსი, და დასუეს სუმონ“. სახელების მსგავსება იაკობ-იობ შეიძლება და მიგვეჩინა ასეთი შეცდომის წყაროდ. ამას თითქოს მხარს უჭერს ის გარემოებაც; რომ თრდატის დროს იაკობი მოხსენიებულია მხოლოდ ერთადერთ, ანასეულ, ხელნაწერში, დანარჩენებში კი იგი ან არ არის მოხსენიებული („მოკულდა ეპისკოპოსი, და დასუა მის წილ ელია“), ან მის მაგივრად წერია „იობ“. ამის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: „იაკობ“ წერია უძველესს, ანასეულ, ნუსხაში; არ არის მოხსენიებული იგი მხოლოდ სამს, ვახტანგის წინარე ხანის ხელნაწერებში; ჭალაშვილისეულსა, მარიამისეულსა და მაჩაბლისეულისაში⁷⁶. „იაკობის“ მაგივრად „იობ“ ზის ყველა დანარჩენ ხელნაწერში, რომელთაც განუცდიათ ვახტანგის სწავლულ კაცთა კომისიის რედაქცია. რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ უძველეს ხელნაწერებში ყოფილა „იაკობ“, შემდეგ შეუნიშნავთ ეს შეუსაბამობა და შეცდომის თავიდან აცილების მიზნით საერთოდ აღარ მოუხსენიებიათ მთავარეპისკოპოსის სახელი. ვახტანგის კომისიას კი „იაკობის“ მაგივრად დაუწერია „იობ“, რაც ტექსტის მიხედვით ლოგიკურია, მაგრამ რომ უძველეს რედაქციებში სწორედ „იაკობ“ უნდა ყოფილიყო და არა „იობ“, გვიჩვენებს „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანიც, რომელიც, როგორც დაამტკიცა პროფ. ილია აბულაძემ, შესრულებული უნდა იყოს XII ს. მეორე ნახევარში⁷⁷. აქ ჩვენთვის საინტერესო ადგილები იკითხება შემდეგნაირად:

74 იქვე.

75 იხ. მის მიერ გამოცემული „ქართლის ცხოვრებისადმი“ (თბილისი, 1955) დართული სახელთა საძიებელი, სიტყვა „იაკობ“, გვ. 405.

76 იქვე, გვ. 137.

77 ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ. თსუ გამომცემლობა, თბ., 1953, გვ. 020.

„*ნუ ქანბან აიხსნა ძხვ ვმსლირ
ფრანსაჲს, ირ ეღწი მთქანს[ს]-
ჩასი ქნსციე ღ საქისიყოთა* ჰ
ლიტმანს ღოღლიენ“⁷⁸.

„*ნუ ეღწი მთქანსჩასი საქის-
ლიყოთს სღს საქისლიყოთ მსლირ
ღ ქხო ზორა ზხრას ღ საქისლიყო-
თს ღსციე ღსინაღრსაგ ვსარსი-
ლაღს ღსრ ვმსლირ საქისლიყოთ
ქრას ღ ათაღსაგ*“⁷⁹.

ქართლის მეფე თრდატმა „*ნუ
ეღწი ზნჯმანს საქისლიყოთს, მს-
ლირსაჲს კაგიცე ჰ თხელი ზორა
ღსღისა*“⁸⁰.

ამრიგად, როგორც ჩანს, იაკობ მთავარეპისკოპოსი თრდატის თა-
ნამედროვედ (მის დროს გარდაცვლილად) მოხსენიებული ყოფილა
„ქ. ც.“-ის უძველეს ხელნაწერებში. მაშასადამე, მისი თრდატთან მო-
ხსენიება არ შეიძლება აიხსნას როგორც შეცდომა, და სავსებით სწო-
რად მოქცეულა პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, როდესაც „ქ. ც.“-ის გამოცე-
მაში შეუტანია „ქ. ც.“-ის ერთადერთი ხელნაწერის, ანასეულის, წა-
ნაკითხი — „იაკობ“.

საყურადღებოა ერთი გარემოება, ყველა მთავარეპისკოპოსის
მიერ თავისი ტახტის დაკავების შესახებ ლეონტი მროველი გვაძლევს
რაიმე ცნობას. პირველ მთავარეპისკოპოს იოვანეზე ხომ დაწვრილებით
არის მოთხრობილი, ვის მიერ იქნა გამოგზავნილი ქართლს, როდის და
როგორ; მომდევნო ეპისკოპოსი იაკობის დანიშვნის შესახებ თვით წმ.
ნინოს უანდერძებია; იობ სომეხთა კათალიკოსის დიაკვანი იაკობის
სიკვდილის შემდეგ დაჯდაო, ნათქვამია „ქ. ც.“-ში. თრდატ მეფემ
ეპისკოპოსად ელია დასვა იაკობის სიკვდილის შემდეგო, ხოლო ელიას
სიკვდილის შემდეგ სუმონი დასვესო. მხოლოდ მეორე იაკობზე არა-
ფერია ნათქვამი, ვის შემდეგ, ან რომელი მეფის ზეობაში ავიდა იგი
მთავარეპისკოპოსის ტახტზე. „მ. ქ.“-დან ვიცით, რომ იაკობი იობმა

78 იქვე, გვ. 128.

79 იქვე, გვ. 132.

80 იქვე, გვ. 135.

შეცვალა თრდატის ზეობაში („და დაჯდა მეფედ ძმამ მისი თრდატ“ და მთავარ „ებისკოპოსი იყო წერსჃ: სომეხთა კათალიკოზისა დიაკონი იობ:“). საფიქრებელია, რომ იაკობი სწორედ თრდატის მეფობაში გარდაიცვალა. ახლა იბადება ეპკვი, თრდატი „ქ. ც.“-ში თვით ლეონტიმ ხომ არ ჩაიტანა ქვემოთ, ვარაზ-ბაქარის შემდეგ. შეცდომა იყო ეს ლეონტისა, თუ რაიმე შეგნებული მოქმედება, არ ვიცით. ყოველ შემთხვევაში, ახლა გასაგები ხდება, რატომ არის იაკობის სიკვდილი ორჯერ აღნიშნული, მირდატისა და თრდატის დროს: მირდატი თვით ლეონტის მიერ არის ჩამატებული იმ ადგილას, სადაც „მ. ქ.“-ს მიხედვით თრდატია და როდესაც იმავე წყაროს მიხედვით მთავარეპისკოპოსობს იობი, ხოლო რადგან ლეონტიმ ქვემოთ ჩაიტანა თრდატი, ამ უკანასკნელს ჩაჰყვა იაკობიც⁸¹.

რადგან „ქ. ც.“-ს მეფეთა სიაში თრდატი აღის ზემოთ, როგორც ჩვენ მიგვაჩნია, თავის პირვანდელსა და ნამდვილ ადგილზე, ადგილი ვარაზ-ბაქარის შემდეგ თავისუფლდება. ცხადია, ამ ადგილს დაიჭერს „მ. ქ.“-ს ბაკური. საინტერესოა, რომ ამ ბაკურის დროს „მ. ქ.“-ს მიხედვით მთავარეპისკოპოსი იყო ელია. მაშასადამე „მ. ქ.“-სა და „ქ. ც.“-ს მეფე-მთავარეპისკოპოსთა სია მიიღებს შემდეგ სახეს:

მირიან	იოვანე
ბაკური	იაკობ
თრდატ	იობ
ვარაზ-ბაკურ	
ბაკურ	ელია
ფარსმან	სუმეონ ⁸² და ა. შ.

⁸¹ ცალკე საკითხია, რატომ შეიტანა ლეონტიმ დამატებით მირდატი. შესაძლებელია, ეს მის მიერ მთლად უსაფუძვლოდ არ იყო გაკეთებული. „მ. ქ.“-ში ვახტანგ გორგასალის მიერ კათალიკოსობის დაწესების შესახებ მოთხრობისას ნათქვამია: „ესე იყო ქართლის მოქცევითგან რაო წელსა: მეფენი გარდაცვალებულ იყვნეს: ათნი და მთავარი ებისკოპოსნი ათცამეტნი“ (Описание... გვ. 722). მაგრამ თვით „მ. ქ.“-ში მოხსენიებულია მხოლოდ ცხრა მეფე: მირიან, ბაკურ, თრდატ, ვარაზ-ბაკურ, ფარსმან, მირდატ, არჩილ, მირდატ (ცხადია, თვით ვახტანგ გორგასალი არ უნდა იგულისხმებოდეს გარდაცვალებულ მეფეებში). ხომ არ აკლია ამ სიას ერთი სახელი და ხომ არ არის ეს „ქ. ც.“-ს მირდატი? მართალია, მთავარეპისკოპოსების რიცხვიც ერთი ნაკლები გამოდის, მაგრამ ამაზე ვერაფერს ვიტყვით, რადგან მთავარეპისკოპოსი შეიძლება აკლდეს არჩილს ან თვით ვახტანგის მეფობის დროს.

⁸² არ არის გამორიცხული, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ის გარემოება, რომ ამ სიაში შესაყვანია აგრეთვე „ქ. ც.“-ის მირდატიც. გასარკვევია, აგრეთვე, რა ადგილი უნდა ექიროს ამ სიაში ამიანუს მარცელინუსის საურმაგს. ხომ არ იყო

რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილი მეფეთა თანამედევრობა სწორი უნდა იყოს, ამაში გვარწმუნებს, როგორც ვნახეთ, უპირველეს ყოვლისა თვით „ქ. ც.“-ს ტექსტის ანალიზი. ამაზე მიგვითითებს „მ. ქ.“-ს ცნობები, რომლებიც პირდაპირ გვაძლევენ ამ რიგს. ამაზევე გვეუბნება ჩვენ მიერ ზემოთ განხილული კორიუნის ცნობები, რომლებისგანაც ირკვევა, რომ IV ს. ბოლოს ქართლში მეფობდა ბაკური. დაბოლოს, ამას მხარს უნდა უჭერდეს აგრეთვე პეტრე იბერის ასურული ცხოვრების ცნობებიც, რომელთა განხილვაზე ჩვენ ზემოთ შევჩერდით.

პეტრე იბერის ასურული ცხოვრების ცნობათა განხილვისას ჩვენ შეიჩერდით მაშინ, როდესაც ეარკვევდით, თუ ვის უნდა გულისხმობდეს ამ თხზულებაში ნახსენები დიდი ბაკური, პეტრე იბერის პაპა — ვარაზ-ბაკურსა, თუ ბაკურს. ვარაზ-ბაქარი „ქ. ც.“-ში დახასიათებულია, როგორც „კაცი ურწმუნო და მოძულე სჯულისა“, რომელიც აზნაურებისა და ხალხის შიშით „ვერ განაცხადებდა დატიკებასა სჯულისასა“. იგი არ აშენებდა ეკლესიებს, იყო „ჩუქენი და მოშიში“⁸³. არაფერი დადებითი არ არის ნათქვამი მის მოღვაწეობაზე „მ. ქ.“-შიც, სადაც ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რომ მის ზეობაში მოვიდა სპარსთა მეფის პიტიანში და ქართლი დახარკა, ხოლო „ალაშენეს აზნაურთა წა- იგი ეკლესიაჲ მცხეთას“⁸⁴ (იმიტომ ხომ არ აშენებენ აზნაურები ეკლესიას, რომ თვით მეფე არ იჩენდა ინიციატივას ამ საქმიანობაში?). როგორც ვხედავთ, ვარაზ-ბაკურის დახასიათება არ შეესატყვისება იმას, რომელიც მოცემულია პეტრე იბერის ცხოვრებაში დიდი ბაკურის მიმართ, რომელიც იქ გამოყვანილია ქრისტიანობისათვის თავდადებულ და უშიშარ მებრძოლად (პირველ ქრისტიან მეფედაც კი არის აღიარებული), ჰეგლმოქმედად, ჰკვიან და გულად მემორად. გვრჩება ვიდიქროთ, რომ პეტრე იბერის ცხოვრების დიდი ბაკური არის ბაკური მეფე. რომელიც მეფობდა ვარაზ-ბაკურის შემდეგ. მართალია, „ქ. ც.“-ში ვასაგები მიზეზის გამო მასზე არაფერია ნათქვამი, ხოლო „მ. ქ.“-ში კი საკმაოდ ცოტა: „და მისა შემდგომად მეფობდა: ბაკურ ძმ თრდატისი: და მთავარებისკოპოსი იყო ელია: და მან აღაშენა ეკლესიაჲ ბოლნის და იმიერ განვიდა და განაახლნა არმაზნი სპარ-

იგი ქართლის მხოლოდ ნაწილის მმართველი, ხომ არ შეესატყვისება იგი ქართული წყაროების თრდატს (იხ. გ. მელიქიშვილი, ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის, გვ. 166—167), ან სავართლ ხომ არ არის იგი გამორჩენილი ქართულ წყაროებში.

⁸³ ქართლის ცხოვრება, გვ. 135—136.

⁸⁴ მოქცევა ქართლისა, გვ. 720.

სთა შიშისათვის⁸⁵: მაგრამ ეკლესიის მაშენებელი და სპარსელთა წინააღმდეგ არმაზის განმაახლებელი ბაკური მაინც უფრო ჰგავს პეტრე იბერის პაპს, ვიდრე „ჩუკენი და მოშიში“ ვარაზ-ბაკური. ამას ემატება, რაღა თქმა უნდა, თვით სახელის სიახლოვეც. მნიშვნელობას არაა მოკლებული შემდეგი გარემოებაც. პეტრე იბერის ასურულ ცხოვრებაში დასახლებულია ქართლის შემდეგი მეფეები: ბაკური, ფარსმანი, ბუზმიპრი და არჩილი. როგორც ზემოთ აღნიშნული გვქონდა, მეფეთა ეს თანამიმდევრობა დაადგინა ივ. ჯავახიშვილმა. ოღონდ სახელოვანი მეცნიერი ფიქრობდა, რომ შესაძლებელია ამ თხზულების „აგტორი ცნობებს ყველა მეფეებზე კი არ მოგვითხრობს, არამედ მარტო პეტრე უფლისწულს პირდაპირ ნათესავობაზე“⁸⁶-ო. ამას ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა იმიტომ, რომ ბაკური, მისი აზრით, მეფობდა IV ს. ოცდაათიან წლებში, ხოლო მასა და ფარსმანს შორის სხვა წყაროებში სხვა მეფეები არიან მოხსენიებულნი; ფარსმანიდან დაწყებული კი პეტრე იბერის ცხოვრება, მისი აზრით, მეფეების ნამდვილ რიგს გადმოგვემს. მაგრამ როდესაც ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ბაკურის მეფობა ბევრად უფრო გვიანდელ პერიოდზე უნდა დაედოთ და სწორედ ფარსმან მეფის მახლობელ დროზე, ჩვენ არავითარი საფუძველი არ გვრჩება, ვიფიქროთ, რომ პეტრე იბერის ცხოვრებაში მოხსენიებული პეტრეს ნათესავეები სწორედ იმ თანამიმდევრობით არ მეფობდნენ, როგორც მოცემულია ამ თხზულებაში. მაგრამ ეს თანამიმდევრობა იმეორებს იმ რიგს, რომელიც მოცემულია ქართულ წყაროებში: ბაკური, ფარსმანი, მირდატი, არჩილი, გამონაკლისს აქ მხოლოდ ბუზმიპრ-მირდატის წყვილი შეადგენს, რომელზედაც ჩვენ ცალკე გვექნება საუბარი.

ყველაფერი ზემოთქმული, ჩვენი აზრით, უფლებას გვაძლევს დავსკვნათ, რომ პეტრე იბერის პაპა დიდი ბაკური და „მ. ქ.“-ში მოხსენიებული ბაკურ თრდატის ძე ერთი და იგივე პირია. ასეთივე აზრისაა პროფ. გ. მელიქიშვილი, რომელიც ბაკურის მეფობას ათარილებს IV ს. 80—90-იანი წლებით⁸⁷, რასაც სავსებით ეთანხმება ჩვენი ზემომოყვანილი მსჯელობა.

სხვათაშორის ერთი საინტერესო დეტალი: პეტრე იბერის ასურული ცხოვრების მიხედვით დიდ ბაკურს ჰყავდა ძმა, არჩილი, რომელიც ქართლის სამეფო ტახტზე ავიდა პეტრე იბერის მამის შემდეგ ღრმა

85 იქვე, გვ. 721; უეპველია, „ამან“ გულისხმობს მეფეს და არა მთავარეპისკოპოსს.

86 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, გვ. 178.

87 იხ. მისი „ქართლის (იბერიის) სამეფოს...“, გვ. 170. მეფეთა ცხრილი და შენიშვნა 5.

მოხუცებულობაში⁸⁸. როგორც ივ. ჯავახიშვილმა გამოარკვია, არჩილი მეფობდა დაახლოებით 429—437 წლებში⁸⁹. ყურადღებას იპყრობს შემდეგი გარემოება — „მ. ქ.“-ში მოხსენიებული ბაკურის მამას ჰქვია თრდატი. ვისი შვილია არჩილი, ამ თხზულებაში ნათქვამი არ არის. მეორე მხრივ, „ქ. ც.“-ში, როგორც ვნახეთ, ბაკური ნახსენები არ არის, სამაგიეროდ არჩილის შესახებ ნათქვამია, რომ იგიც თრდატის ძე იყო, ოღონდ არა იმ თრდატისა, რომლის შვილია „მ. ქ.“-ს ბაკური, არამედ მისი შვილიშვილისა. „მ. ქ.“-ით თრდატის ასული იყო თანამეცხედრე მეფე ვარაზ-ბაქარისა. მათ ჰყავდათ შვილი თრდატი, რომლის შვილიც იყო არჩილი. მაშასადამე „მ. ქ.“-ს მიხედვით ბაკურის წარმომავლობა ასეთია: მირიან — რევ — თრდატ — ბაკური. ხოლო „ქ. ც.“-ით კი არჩილის წარმომავლობა წარმოგვიდგება შემდეგნაირად: მირიან — რევ — თრდატ — თრდატის ასული, ვარაზ-ბაქარის მეუღლე თრდატ — არჩილ. თუ ჩვენ მირიან მეფეს დაბადებრს თარიღად 290—300 წწ. მახლობელ დროს დაედებთ (მირიანი გარდაიცვალა 361 წ. შემდეგ, მის მომდევნო წლებში) და თითოეულ თაობას ოც-ოც წელს მიეცემთ, ამ შემთხვევაშიც კი გამოვა, რომ „ქ. ც.“-ის მიხედვით, არჩილი გაჟეფებულა არაუმეტე⁹⁰ ოცდაათი წლისა, რაც არ შეეფერება იმ ცნობას, რომ იგი ღრმამოხუცებულობაში ავიდა ტახტზე. მაგრამ ეს, ცხადია, ძალიან ნაძალდევი გამოთვლაა. სინამდვილეში ექვსი თაობა ასოცდაათ წელში ვერ ჩაეტევა. ამიტომ, ვფიქრობთ შესაძლებელია ექვი შევიტანოთ „ქ. ც.“-ის ცნობაში არჩილის წარმომავლობის შესახებ. ძალაუნებურად იბადება კითხვა — არჩილი სინამდვილეში პირველი თრდატის (რევის ძის) შვილი ხომ არ იყო? „ქ. ც.“-ის მეფეთა თანამიმდევრობის მიხედვით თრდატსა და არჩილს შორის ორი კაცი მეფობდა: ფარსმანი და მირდატი. ასე რომ, ლეონტის, ბუნებრივია, შეეძლო ეფიქრა, რომ არჩილი იყო არა თრდატის შვილი, არამედ მისი შვილიშვილის, აგრეთვე თრდატის, შვილი. ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, იოანე რუფუსის ცნობა იმის შესახებ, რომ ბაკური და არჩილი ძმები იყვნენ, რეალურ ვითარებას ასახავს.

⁸⁸ Petrus der Iberer. გვ. 15—16.

⁸⁹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, გვ. 179—180.

არსენი საფარელის „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“-ს მართი აღზიდის გაგებისათვის*

არსენი საფარელის თხზულებაში „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“¹ ერთი ბუნდოვანი ადგილია, რომელმაც კარგა ხანია მიიპყრო მკვლევართა ყურადღება: „და განდევნა კერიონ ქართლისა კათალიკოზმან მოსე ეპისკოპოსი ცურტავისა საყდრისაგან თუსისა, რომელი დაედგინა წმიდასა შუშანიკს ნაწილსა თანა სომხითისასა“². მკითხველისათვის ალბათ გასაგებია, რომ აქ ლაპარაკია VII ს. დასაწყისის ამბებზე, კერძოდ, ცურტავის ეპისკოპოს მოსეს გაქცევაზე სომხეთში,

* გამოქვეყნდა წიგნში: „ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, თბ., 1976, გვ. 125—131 (მცირე შემოკლებით).

1 ამ თხზულების დაწერის დროსა და ავტორზე განსხვავებული შეხედულებებია გამოთქმული. თ. ჟორდანიას თხზულების ავტორად მიაჩნდა X ს. მეორე ნახევრის მოღვაწე კათალიკოსი არსენი (ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, ტფ., 1892, გვ. 320). მ. თამარაშვილის თანახმად, არსენი კათალიკოსობდა 946—976 წლებში (L'Eglise Géorgienne, Rome, 1910, გვ. 241). ს. კაკაბაძეს მისი კათალიკოსობა VII ს. დასასრულში გადაჰქონდა (საისტორიო ძიებანი, თბ., 1924, გვ. 55). ხოლო პ. ინგოროყვა არსენის კათალიკოსობასა და დასახელებული თხზულების დაწერას 726—736 წლებზე დებდა (ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, „მნათობი“, 1939, № 10, გვ. 222, 263—268).

ივ. ჯავახიშვილი თხზულების ავტორად მიიჩნევდა ქართლის კათალიკოს არსენის, რომელიც მოღვაწეობდა IX ს-ში (ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, მეორე-მესამე შეესებული გამოცემა. თბ., 1945, გვ. 86). კ. კეკელიძე თხზულების დაწერას 862 წ. ახლო დროით ათარიღებდა (ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 140). ჯავახიშვილ-კეკელიძის შეხედულება ძირითადად გაზიარებულია ჩვენს სპეციალურ ლიტერატურაში.

უკანასკნელ ხანებში გამოთქმულია დებულება, რომ „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“ არ უნდა იყოს დაწერილი XI ს-ზე ადრე (ზ. ალექსიძე, არსენი საფარელის ტრაქტატის — „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“ — დათარღებისათვის, კ. კეკელიძის სახ. ზელნაწერთა ინსტიტუტის VIII სამეცნიერო სესიის თეზისები, თბ., 1966, გვ. 10; მისივე, „ნაწილი სომხითისა“ არსენი საფარელის ტრაქტატში — „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“, „მაცნე“, № 2, 1972; მისივე, არსენი საფარელის ტრაქტატის — „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“ — კრიტიკისათვის, „მაცნე“, № 4, 1972).

2 ზ. ალექსიძე, არსენი საფარელის „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, IV, თბ., 1973, გვ. 136.

რასაც მოჰყვა სომეხი და ქართველი მღვდელმთავრების მიმოწერა და რითაც ფორმალურად დაიწყო სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილება.

ვნახოთ, როგორ არის ეს ადგილი გაგებულნი სამეცნიერო ლიტერატურაში. ვახუშტი ბატონიშვილის სახელგანთქმული წიგნის — „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ — ავტოგრაფიული ნუსხის ერთი გვერდის აშიაზე, იქ, სადაც ლაპარაკია VI ს. უკანასკნელი მეოთხედის ამბებზე, ავტორის ხელით გაკეთებულია მინაწერი: „ამ უამებთა ცილება იქმნა ქართველთა და სომეხთა შორის სარწმუნოებისათვის; ხოლო კვირიონ ანუ სვიმეონ კათალიკოსმან ქართლსამან განდევნა ცურტავის ეპისკოპოსი შუშანიკის საფლავისაგან მწვალებლობისათვის სომხეთისა და იქმნა უმეტესი განყრილება“³. მინაწერის კავშირი არსენის ტექსტთან უეჭველია. ამასთან, როგორც ჩანს, ვახუშტის ისე ესმის არსენის ცნობა, რომ მოსეს საეპისკოპოსო კათედრა დაკავშირებული ყოფილა შუშანიკის საფლავთან.

არსენის ფრაზა თავის დროზე რუსულად უთარგმნია შ. საბინინს:

«Католикос Грузинский Кирион (Симеон) выгнал из Цуртавской церкви, что в пределах Армении, армянского епископа Монсея, на том основании, что церковь эта была сооружена над мощами св. мученицы Шушанки царем грузинским и, с самого основания, находилась в зависимости от католикосов Церкви Грузинской»⁴.

როგორც სამართლიანად შენიშნავს ზ. ალექსიძე, საბინინის თარგმანში ბევრი შეცდომა და საკუთარი დანამატია⁵, მაგრამ იგი ჩვენთვის მაინც საინტერესოა. საბინინის გაგებით, არსენისთან ნათქვამია, რომ მოსეს საყდარი არსებობდა შუშანიკის ნაწილებთან სომხეთში.

არსენი საფარელის თხზულების პირველ გამომცემელს თ. ყორდანიას განსახილველი ადგილი ესმოდა ისე, რომ მოსე შუშანიკის დადგენილი ყოფილა. ასეთი გაგების საფუძველზე თ. ყორდანიას შუშანიკი VI ს. მოღვაწედ მიაჩნდა: „რადგან მოსე დაუდგენია ეპისკოპოსად თვთ წა შუშანიკს, სჩანს შუშანიკის წამებაც VI საუკ. მომხდარა და არა V-ში, წინააღმდეგ სომეხთა მესიტორიეთა და თვთ ბროსეს აზრისა“⁶.

³ ქართლის ცხოვრება, ტომი IV; ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 120, შენ. 2.

⁴ ზ. ალექსიძე, „ნაწილი სომხეთისაჲ“ არსენი საფარელის ტრაქტატში..., გვ. 75.

⁵ იქვე, გვ. 76.

⁶ თ. ყორდანიას, დასახ. ნაშრ., გვ. 320, შენ. 42.

ჩანს, თ. უორდანიას გავლენით ასევე გაიგო ეს ადგილი მ. თამარაშვილმაც⁷.

ჩვენთვის საინტერესო ადგილის სომხური თარგმანი მოიპოვება ნ. აკინიანის წიგნში „კირიონ ქართლის კათალიკოსი“: „და განდევნა კირიონ ქართლის კათალიკოსმა ცურტავის ეპისკოპოსი მოსე საყდრისაგან, რომელიც დამტკიცებული იყო სომხეთში წმ. შუშანიკის ნაწილებთან“⁸. ამ გაგების თანახმად მოსეს, ე. ი. ცურტავის, საეპისკოპოსო კათედრა შუშანიკის ნაწილებთან დაწესებულად გამოდის სომხეთში, თუმცა არ ჩანს, ვის მიერაა ეს გაკეთებული. არ ჩანს, აგრეთვე, ვისი დადგენილი იყო თვით მოსე.

ასევე გაიგო ეს ადგილი ლ. მელიქსეთ-ბეგმა, რომლის წიგნში „ქართული წყაროები სომხეთისა და სომხების შესახებ“ არსენის განსახილველი ფრაზა შემდეგნაირად არის თარგმნილი სომხურად: „და განდევნა კირიონ ქართლის კათალიკოსმა მოსე ცურტაველი მისი საყდრისაგან, რომელიც დამტკიცებული იყო წმინდა შუშანიკის ნაწილებთან — სომხითში“⁹.

ასეთი გაგება გაიზიარა ი. აბულაძემაც, მაგრამ ამავე დროს ამ გაგებაში მან არსებითი განსხვავება შეიტანა. მისი სიტყვით, „ეს ადგილი დედანში ალბათ ასე იკითხებოდა: „და განდევნა კირიონ ქართლისა კათალიკოსმან მოსე ცურტაველი საყდრისაგან თჳსისა, რომელი დაედგინა წმიდისა შუშანიკის ნაწილთა თანა სომხითს“¹⁰. შემდეგ მოდის ი. აბულაძის კომენტარი: „აქ კი მოსე შუშანიკის ნაწილთა საყდრის ეპისკოპოსად ჩანს დადგენილი კირიონის მიერ, რაც ისტორიულ სინამდვილეს სომხურ ცნობებთანაც შეთანხმებით (ქრძ [ქრძი]) არ დალატობს“¹¹. როგორც ვხედავთ, ი. აბულაძემ მოსე კი-

7 მ. თამარაშვილს ეს ადგილი ასე აქვს თარგმნილი: „Kvirion, Cathalikos de Géorgie chassa, á cause de cette scission, Moise, év'l'au de Tsourtavi que Sainte Chouchanic avait établi dans cette partie de l'Arménie“. დასახ. ნაშრ., გვ. 241.

⁸ „ნ. კაპოიქიონს ოკოივ ყიქიჩინ მქობვე მიკროთსაჲ შიქსუ ხაქსიკიუიერ თიოილნი ირ ჯაიოვ II. ეილჳანსიქი ნეჩისარინხრუ კიქ ჩასოთოთლახ ღერ“. (ნ. ასიხნხან. ყიქიჩინ კაპოიქიონს ოკოივ. ოქსენა. 1910, გვ. 291.

⁹ „ნ. ძუხვე ყიქიჩინ“ ოკოივ (ყაიქიქი) კაპოიქიონს შიქსუ მიკროთაქაგინ ღერ თიოიქი. ქირ ჩასოთოთლახ ღერ თიოიქი ნილჳანსიქი მათინქენხიქინ ღერ ჯაიქიქი (შიქსიქიქი)“. (ლ. მხიქუხუ-ქხი. ოკოივ თიქიქიქიქი ჯაიქიქიქი და ჩაიქიქი მათინ. გვ. 37.

¹⁰ იაკობ ცურტაველი, „მარტულობა შუშანიკისი“, ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ილია აბულაძემ, ტფ., 1938, გვ. 012.

¹¹ იქვე.

კრიონის მიერ დადგენილად მიიჩნია. მაშასადამე, ამ გაგების თანახმად განსახილველ ფრაზაში ლაპარაკია მოსეს ეპისკოპოსად დადგინებაზე. მელიქსეთ-ბეგთან (და აკინიანთან) ასეთი რამ ნათქვამი არაა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენთვის მთლად ცხადი არაა, როგორ ესმით არსენის ფრაზა ლ. მელიქსეთ-ბეგსა და ი. აბულაძეს: კირიონმა განდევნა მოსე სომხეთში, თუ მოსე დადგენილი იყო შუშანიკის ნაწილებთან სომხეთში¹², მაგრამ ამჟამად ამ საკითხს ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

განსახილველ ფრაზას სპეციალური წერილი უძღვნა ზ. ალექსიძემ. იგი არკვევს ფრაზის ბოლო სიტყვების — „ნაწილთა თანა სომხითისასა“ — მნიშვნელობას და ასკვნის, რომ „ნაწილი“ უნდა ნიშნავდეს სამწყსოს, ხოლო „სომხითი“ კვემო ქართლის პროვინცია¹³.

შევაჯამოთ ზემოთქმული: 1. თ. ჟორდანიასა და მ. თამარაშვილის მიხედვით არსენისთან ნათქვამია, რომ მოსე დაუდგენია შუშანიკს. 2. მკვლევართა უდიდეს ნაწილს მიაჩნია, რომ არსენის თანახმად მოსეს საეპისკოპოსო საყდარი არსებობდა შუშანიკის საფლავთან (ვახუშტი, მ. საბინინი, ნ. აკინიანი, ლ. მელიქსეთ-ბეგი, ი. აბულაძე, აქვე დავუმატებთ, რომ ი. აბულაძის გაგებით არსენისთან ნათქვამია — მოსე დაუდგენია კირიონს. ასეთი გაგება გულისხმობს ტექსტის მნიშვნელოვან დაზიანებას და მოითხოვს მის გასწორებას, რაც გაკეთებულია კიდევაც ი. აბულაძის მიერ: „და განდევნა კვირთა ქართლისა კათალიკოსმან მოსე ცურტაველი საყდრისაგან თვისისა, რომელი დაედგინა წმიდისა შუშანიკის ნაწილთა თანა სომხითსა“¹⁴.

განვიხილოთ არსენის ტექსტის ზემომოტანილი გაგებანი.

1. თ. ჟორდანიასა და მ. თამარაშვილის გაგების თანახმად, მოსე შუშანიკის დადგენილია. ტექსტის ასეთი გაგება უარყო ი. აბულაძემ — „ისტორიულ სინამდვილეს არ უდგებო“, ეინაიდან „შუშანიკს მოსეს დადგენა არ შეეძლო, რადგანაც შუშანიკი 474 წლის ახლო დროს აღესრულა, ხოლო მოსე ცურტაველი VII ს. დამდეგს განიცდიდა დევნას. მათ შორის საუკუნეზე მეტი მანძილია, მაგრამ ეს შეუსაბამობა არსენის (ავტორის) ბრალი როდია, არამედ მისი შრომის გადამწერლებისა“¹⁵. ე. ი. ი. აბულაძის აზრით, რადგან შუშანიკსა და მოსეს შორის საუკუნეზე მეტი მანძილია, არსენი ვერ იტყოდა, რომ მოსე შუშანიკის დადგენილიაო.

¹² შდრ. ზ. ალექსიძე, „ნაწილი სომხითისა“ არსენი საფარელის ტრაქტატში... გვ. 77.

¹³ იქვე, გვ. 76—77.

¹⁴ ი. აბულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 12.

¹⁵ იქვე.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას შემდეგი: შუშანიკის წამების ამბავი მოკლედ გადმოცემულია „მოქცევა ქართლისაჲ“-ში, სადაც ნათქვამია: „და მისა შემდგომად მეფობდა ბაკური და კათალიკოზი იყო მაკარი და მისა ზევე ვარსქენ პიტიანში იყო და შუშანიკ იწამა ცურტავს. და მისა შემდგომად კათალიკოზი იყო სამოველ და მერმე სიმონ პეტრე“¹⁶ (მოტანილი ციტატი შატბერდული ნუსხიდანაა, კელიშური მხოლოდ უფრო მოკლეა და ჩვენთვის არაერთარ არსებით განსხვავებას არ იძლევა). ბაკური „მოქცევა ქართლისაჲს“ თანახმად მეფეთე მეფეა ვახტანგ გორგასალის შემდეგ (ვახტანგ გორგასალი, დაჩი უჯარმელი, ბაკურ დაჩის ძე, ფარსმან „სხუაჲ“ და ბაკური). ამჟამად ვახტანგ გორგასალის მეფობა ჩვეულებრივ V ს. მეორე ნახევრით განისაზღვრება¹⁷. ამდენად ბაკურის მეფობა და, მაშასადამე, შუშანიკის მოღვაწეობაც „მოქცევა ქართლისაჲს“ მიხედვით VI ს. შუასა და მეორე ნახევარზე უნდა მოდიოდეს. აქვე გვეხსენოთ, რომ „მოქცევა ქართლისაჲს“ საბოლოო რედაქციას IX საუკუნით, ხოლო მის პირველ ნაწილს (სადაც შუშანიკის წამების ამბავია მოთხრობილი) უფრო ადრინდელი ხანითაც ათარიღებენ¹⁸.

„მოქცევა ქართლისაჲს“ მსგავსი ქრონოლოგია დატულია ჯუანშერთანაც (VI ს.)¹⁹. შუშანიკის წამების ამბავი ბაკურის მეფობაში მომზადრად მოაჩნდა ეპიშტისაც, რომელიც ბაკურის ზეობას 557—570 წლებით ათარიღებდა²⁰. ჯუანშერის კვალად შუშანიკის წამება ბაკურის მეფობაში გადაჭონდა ანტონ კათალიკოსსაც²¹.

როგორც ვხედავთ, შუშანიკი VI ს. მეორე ნახევრის მოღვაწედ მიჩნეული იყო თითქმის მთელი შუა საუკუნეების მანძილზე. ამდენად, არაფერი იქნებოდა მოულოდნელი იმაში, რომ ასევე ეფიქრა არსენი საფარელსაც. ამასთან მხედველობაში უნდა გვქონდეს ისიც, რომ არსენი საფარელს საერთოდ აქვს ტენდენცია, მოვლენები შეამკიდროს დროში, დაუახლოოს ერთმანეთს სხვადასხვა დროის ამბები²². მაგრამ ი. აბულაძის მსგავსად ჩვენც მიგვაჩნია, რომ არსენი საფარე-

16 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1963, გვ. 94.

17 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 106.

18 იქვე, გვ. 47.

19 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 216—217.

20 ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 118.

21 ანტონ კათალიკოსი, მარტირია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, S ფონდის № 1772, გვ. 176.

22 შდრ. ზ. ალექსიძე, არსენი საფარელის ტრაქტატის — „განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა“ — კრიტიკისათვის, გვ. 117.

ლის თხზულების განსახილველ ადგილას ლაპარაკი არაა მოსეს დადგინებაზე შუშანიკის მიერ, ოღონდ ჩვენ სხვა მოსაზრებით ვხელმძღვანელობთ: უეჭველია, რომ სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების ისტორიის აღმწერელი არსენი კარგად იცნობდა ამ პერიოდისა და ამ საკითხზე სომეხი და ქართველი მღვდელმთავრების მიმოწერას. „ეპისტოლეთა წიგნში“ შემონახულ აბრაამ სომეხთა კათალიკოსისადმი მიმართულ კირიონ ქართლის კათალიკოსის მეორე წერილში ნათქვამია: „მაგაზე (იგულისხმება გაქცეული მოსე ცურტაველი, ნ. ჯ.) აღრე ეპისკოპოსები, რომლებიც ცურტავს იყვნენ წმინდა შუშანიკიდან მოყოლებული: აფოცი, გარნიკ, სპაკ, ელიშა, იაკობ, იოანე, სტეფანოს, ესაი, სამუელ, სტეფანოს, იოანე და სხვა ეპისკოპოსები, სომეხთაგან და ზოგანი ქართველთაგან, სომხეთში განსწავლული მეცნიერნი და მოძღვარნი იყვნენ“²³. როგორც მოტანილი ადგილიდან ვხედავთ, შუშანიკიდან მოსემდე კირიონს თერთმეტზე მეტი (კირიონი თერთმეტს ჩამოთვლის სახელობით, შემდეგ კი უმატებს „და სხვა ეპისკოპოსებია“) ეპისკოპოსი მიაჩნდა. კირიონის სიტყვებიდან ჩანს, რომ შუშანიკი ვერაფრით ვერ იქნებოდა მოსეს ეპისკოპოსად დამდგენელი. მაშასადამე, VII ს. დასაწყისში, როდესაც დაიწერა ზემოთ ციტირებული წერილი, ქართლის კათალიკოსმა კირიონმა საკმაო სიზუსტით იცოდა შუშანიკის ცხოვრების დრო. კირიონის წერილს უთუთოდ იცნობდა არსენი საფარელიც, ამიტომ იგი მოსეს ვერ ჩათვლიდა შუშანიკის დამდგენლად.

მოსეს დამდგენად შუშანიკს არსენი ვერ ჩათვლიდა იმიტომაც, რომ შუშანიკს, არა ჰქონდა ეპისკოპოსის ხელთღაცხმის უფლება, რაც ჩვენზე უკეთ იცოდა არსენიმ.

2. როგორც ითქვა, მკვლევართა უდიდეს ნაწილს არსენის ტექსტი ესმის ისე, თითქოს მოსეს საეპისკოპოსო საყდარი იყო „შუშანიკის ნაწილთა თანა“ ანუ შუშანიკის საფლავზე. ასეთ გაგებას რამდენიმე გარემოება ეწინააღმდეგება:

ა) ასეთი გაგება მოითხოვს ტექსტის მნიშვნელოვან ჩასწორებას: „...რომელი დაედგინა წმიდისა შუშანიკის ნაწილთა თანა სომხითს“. არსენი საფარელის თხზულების ოთხივე ხელნაწერ ნუსხაში კი გარკვევით იკითხება: „... რომელი დაედგინა წმიდასა შუშანიკს ნაწილსა თანა სომხითისასა“²⁴.

ბ) ზემოთ ითქვა, რომ ზ. ალექსიძის თანახმად განსახილველ ფრა-

²³ ეპისტოლეთა წიგნი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკლევითა და კომენტარებით გამოსცა ზაზა ალექსიძემ. თბ., 1968, გვ. 89.

²⁴ იხ. ზ. ალექსიძის პუბლიკაცია (არსენი საფარელის „განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა“, გვ. 136. სქოლიო, რომელშიც წარმოდგენილია ორი ძი-

ზაში „ნაწილი“ ნიშნავს სამწყსოს და არა წმინდანის ნაწილებს. „ნაწილის“ ასეთი ახსნა ჩვენ დამაჯერებლად მიგვაჩნია, მაგრამ ასეთი ახსნა მოითხოვს ტექსტის წაკითხვას ყოველგვარი შესწორების გარეშე: „და განდევნა კვირონ ქართლისა კათალიკოზმან მოსე ეპისკოპოსი ცურტავისაჲ საყდრისაგან თვისისა, რომელი დაედგინა წმიდსაჲ შუშანიკს ჰამწყსოსა თანა სომხითისასა“. ზემოგანხილული შესწორების შემთხვევაში ფრაზა ასე წაკითხებოდა: „და განდევნა კვირონ ქართლისა კათალიკოზმან მოსე ეპისკოპოსი ცურტავისაჲ საყდრისაგან თვისისა, რომელი დაედგინა წმიდისა შუშანიკის ჰამწყსოსა თანა სომხითს“. ე. ი. გამოვიდოდა, რომ ცურტავის საეპისკოპოსოს არსენი შუშანიკის სამწყსოს უწოდებს, რაც ნაკლებად სავარაუდოა; ამასთან, თუ ტექსტს წავიკითხავთ შესწორებათა გარეშე, თავისთავად იხსნება მისი ისეთი გაგება (ი. აბულაძე), თითქოს მოსე კვირონის დადგენილი იყო და მით უმეტეს, ისეთი გაგება თითქოს კვირონის დადგენილი იყო საეპისკოპოსო საყდარი შუშანიკის საფლავზე. უკანასკნელ გაგებას წინ უდგება დამატებითი სიძნელეები (მაგალითად, ისტორიული თვალსაზრისით სრულიად მიუღებელი იქნებოდა აზრი იმის შესახებ, რომ კვირონმა შუშანიკის საფლავზე საეპისკოპოსო საყდარი შექმნა).

გ) კარგად არის ცნობილი, რომ საეპისკოპოსო კათედრა ცურტავში არსებობდა შუშანიკის სიცოცხლეშიც. შეიძლება თითქმის სრულიად უეჭველად მივიღოთ, რომ ეპისკოპოსი ცურტავში იჯდებოდა შუშანიკზე ადრეც. მართლაც, ძნელი წარმოსადგენია, რომ ისეთი დიდი პოლიტიკური ერთეულს ცენტრში, როგორც იყო ქართლის საპატრიარქო, საეპისკოპოსო კათედრა არ არსებებოდა. თუ დავუშვებთ საეპისკოპოსო კათედრის არსებობას შუშანიკის საფლავზე, გამოვა, რომ ცურტავში ორი ეპისკოპოსი მჯდარა, ან უნდა მივიღოთ, რომ ცურტავის საეპისკოპოსო კათედრა შუშანიკის სიკვდილის შემდეგ მის საფლავზე აგებულ ეკლესიაში გადაუტანიათ. ორივე დაცვნა მცდარია. ქართლის ძველი ცენტრებიდან ერთადერთი იყო მცხეთა, სადაც ერთდროულად ორი ეპისკოპოსი მჯდარა, ისიც იმიტომ, რომ ერთი მათგანი ქართლის კათალიკოსი იყო. ჯუანშერი გადმოგვცემს, რომ ქართული ეკლესიის რეორგანიზაციისას ვახტანგ გორგასალის დროს მცხეთაში „დასუეს პეტრე კათალიკოსად და სამუელ ეპისკოპოსად მცხეთასავე საეპისკოპოსოსა“²⁵. მეორე მხრივ, არც ისაა საფიქრებელი,

რითადი ნუსხის ც. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერები A—691, და A—735) წაკითხვა და ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერები S — 3270 და H — 24.

²⁵ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 198.

რომ ცურტავის საეპისკოპოსო მოგვიანებით შუშანიკის სამარტივლე-
ში გადაეტანათ. მოსე ცურტაველი ყოველთვის ცურტავის ეპისკოპო-
სად იხსენიება. არც არსენი საფარელთან, არც „ეპისტოლეთა წიგნში“
და არც ზადმე სხვაგან არც ერთხელ არაფრით არაა მინიშნებული,
რომ მოსეს საეპისკოპოსო კათედრა დაკავშირებული იყო შუშანიკის
სამარტივლესთან

ამგვარად, გვრჩება ერთადერთი შესაძლებლობა განსახილველი
ტექსტის გაგებისა: „და განდევნა კურონ ქართლისა კათალიკოზმან
მოსე ეპისკოპოსი ცურტავისაჲ საყდრისაგან თვისსა, რომელი (ე. ი.
საყდარი, ნ. ჯ.) დაედგინა წმიდასა შუშანიკს ნაწილსა (ე. ი. სამწყსო-
სა, ნ. ჯ.) თანა სომხითისასა“. მაგრამ ამ შემთხვევაში გამოდის, რომ
არსენი საფარელს ცურტავის საეპისკოპოსო შუშანიკის დაარსებულად
მიაჩნდა, ჩვენ კი ვთქვით, რომ იგი შუშანიკზე უფრო ადრეც უნდა
ყოფილიყო. შეიძლებოდა თუ არა, არსენის ასეთი შეცდომა მოსვლო-
და?

„ეპისტოლეთა წიგნში“ შემონახულ სომეხ და ქართველ მოღვა-
წეთა წერილებში არაერთხელაა ლაპარაკი იმაზე, რომ ცურტავში სომ-
ხური მღვდელმსახურება შუშანიკს შემოუღია. ამასთან კირიონის
წერილიდან ზემოთ მოტანილ ციტატში ცურტავის ეპისკოპოსები და-
სახელებული იყვნენ შუშანიკის დროიდან, ამიტომ „ეპისტოლეთა წიგ-
ნის“ მკითხველს რჩება შთაბეჭდილება, რომ ცურტავის საეპისკოპოსო
შუშანიკის დაარსებულია მის მიერ სომხური მღვდელმსახურების შე-
მოღებასთან ერთად, ჩანს, ასე გაუგია არსენი საფარელსაც. ცურტა-
ვის საეპისკოპოსოს დაარსების თარიღზე არავითარი ცნობა არ შე-
მონახულა და, ალბათ, ჩვენც ასევე გავიგებდით „ეპისტოლეთა წიგ-
ნის“ ცნობებს, თუ არ ის ზოგადი მოსაზრება, რომ, როგორც უკვე
ითქვა, ქართლის საპატრიარქოში საეპისკოპოსო კათედრა V ს. მეორე
ნახევარზე ადრეც იქნებოდა.

ზევით ითქვა, რომ შუშანიკს უფლება არა ჰქონდა ეპისკოპოსის
ხელთდასხმისა. ჰქონდა კი მას უფლება საეპისკოპოსო ცენტრის და-
წესებისა? საერო ხელისუფალნი თუმცა ხელთდასხმას არ ასრულებ-
დნენ, მაგრამ ეკლესიის საორგანიზაციო საქმეებში ერეოდნენ. საკმა-
რისია დავასახელოთ ვახტანგ გორგასალი, რომელმაც ჩატარა ქართლის
ეკლესიის რეორგანიზაცია, რომლის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი
სწორედ ახალი საეპისკოპოსო ცენტრების შექმნაც იყო²⁶. როგორც
ჩანს, არსენ საფარელს შესაძლებლად მიაჩნდა შუშანიკის, როგორც
ქვემო ქართლის მმართველის მეუღლის, დედოფლის, მონაწილეობა

²⁶ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 98.

საეპისკოპოსო საყდრის დაწესებაში. შუშანიკი ხომ ითვლებოდა სომ-
ხური მღვდელმსახურების შემომღებად ცურტავის საეპისკოპოსოში.

ამგვარად, ყოველივე ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს დავა-
სკენათ, რომ არსენი საფარელს, და, მაშასადამე, ქართული ეკლესიის
გარკვეულ წრეებს, მიაჩნდა, რომ ცურტავის საეპისკოპოსო დაარსე-
ბული იყო შუშანიკის მიერ, ალბათ, სომხურ ენაზე მღვდელმსახურე-
ბის შემოღებასთან ერთად.

შენიშვნები „ეპისტოლეთა წიგნზე“*

ძველ სომხურ საისტორიო წყაროებში მნიშვნელოვანი ადგილს უკავია ე. წ. „ეპისტოლეთა წიგნი“, რომელშიც თავმოყრილია სომეხი მღვდელმთავრებისა და სახელმწიფო მოღვაწეების მიმოწერა სარწმუნოებრივ საკითხებზე სხვა ქვეყნების მესვეურებთან V—XIII საუკუნეებში. როგორც ფიქრობენ, კრებული დგებოდა თანდათან, დროთა განმავლობაში მას ემატებოდა ახალი მასალა. კრებულში თავმოყრილი წერილებიდან ოცდაათამდე შეეხება საქართველოს, კერძოდ, სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილებას ისტორიას. ხსენებული წერილების დიდი წყარომცოდნეობითი მნიშვნელობა განპირობებულია ორი გარემოებით: პირველყოვლსა იმით, რომ ისინი შეეხებიან მოვლენას (ქართულ-სომხურ ეკლესიათა განხეთქილებას). რომელსაც ძალზე დიდი პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა ქართლისათვის, და მეორეც იმით, რომ ისინი ცნობებს გვაწვდიან საქართველოს ისტორიის იმ პერიოდზე (VII ს. დასაწყისი), რომელზედაც ძალიან ცოტაა სხვა, მათ შორის ქართულიც, წერილობითი წყაროები.

ბუნებრივია, რომ ქართული ისტორიოგრაფია ცხოველ ინტერესს იჩენდა ამ წყაროს მიმართ. მაგრამ შემდგომში, ამ საუკუნის 30—60-იან წლებში, ეს ინტერესი რამდენადმე შენელდა. 1968 წ. ზ. ალექსიძემ გამოცდა ის წერილები, რომლებიც შეეხებიან საქართველოს¹, ხოლო 1975 წ. — X ს. სომეხი ისტორიკოსის უხტანესის წიგნი „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“². უხტანესის წიგნი წარმოადგენს სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების ისტორიის გამოკვლევას, დამყარებულს ძირითადად „ეპისტოლეთა წიგნზე“. უხტანესს მეტ-ნაკლები სიზუსტით მოაქვს იგივე წერილები და საკუ-

* ნაშრომი შესრულებულია 1981 წ.

1 ეპისტოლეთა წიგნი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ზაზა ალექსიძემ, გაბეჭდილობა „მეცნიერება“, თბ., 1968.

2 უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზაზა ალექსიძემ, გაბეჭდილობა „მეცნიერება“, თბ., 1975.

თარ კომენტარს უკეთებს მათ. ამდენად მისი წიგნი უშუალო კავშირშია „ეპისტოლეთა წიგნთან“. ზ. ალექსიძის ორივე გამოცემა წარმოადგენს ტექსტების კრიტიკულ პუბლიკაციას, თარგმანით, კომენტარებითა და გამოკვლევებით. ამ უკანასკნელებში არაერთი მნიშვნელოვანი საკითხია დასმული და გამოკვლეული. ამასთან, ხსენებულმა გამოცემებმა ისევ გააცოცხლა ინტერესი ამ წყაროებისადმი და უექველია, ისინი კიდევ მიიპყრობენ მკვლევართა ყურადღებას სხვადასხვა თვალსაზრისით.

წინამდებარე ნაშრომში გვინდა წარმოვადგინოთ რამდენიმე დავიკვება „ეპისტოლეთა წიგნის“ ტექსტზე. აქვე აღვნიშნავთ, რომ აქაც და შემდგომშიც, ვგულისხმობთ „ეპისტოლეთა წიგნის“ იმ ნაწილს, რომელიც წარმოდგენილია ზ. ალექსიძის გამოცემაში და რომელიც, როგორც ითქვა, საქართველოს შეეხება.

მაგრამ ჯერ ორიოდ სიტყვით „ეპისტოლეთა წიგნის“ შემდგენელზე, შედგენის დროსა და შედგენილობაზე.

„ეპისტოლეთა წიგნის“ ჩვენამდე მოღწეული უძველესი ხელნაწერი, ე. წ. ანტონიანთა ძმობის ნუსხა, თარიღდება 1298 წ. სომხეთის კათალიკოს აბრაამისა და ქართლის კათალიკოს კირიონის მიმოწერა შენახულია კიდევ ერთ ვენურ ხელნაწერსა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ერთ ხელნაწერში, ხოლო კირიონისადმი აბრაამის მესამე ეპისტოლეს დიდი ნაწილი შესულია კრებულში, რომელსაც „სარწმუნოების ბეჭედი ეწოდება“³. ზ. ალექსიძის სიტყვით, „არც ერთი სამი უკანასკნელი ხელნაწერიდან „ეპისტოლეთა წიგნის“ ტექსტის დასადგენად ღირებული არ არის“, რადგან ისინი პირდაპირ თუ არაპირდაპირ ანტონიანთა ძმობის ნუსხიდან მომდინარეობენ⁴. მაგრამ თავისთავად ცხადია, რომ თავის დროზე არაერთი ხელნაწერი იქნებოდა. საფიქრებელია, ყოფილიყო სხვა რედაქციაც, თუ რედაქციებიც. მართლაც, კრებულის ხასიათი, ის, რომ იგი შედგენილია სხვადასხვა საკითხებზე დაწერილი წერილებისაგან, საშუალებას აძლევდა დაინტერესებულ პირს თავისი სურვილისა თუ მიზნების თანახმად ამოეღო ან დაემატებინა თავისთვის უსარგებლო ან საჭირო მასალა.

„ეპისტოლეთა წიგნის“ შემდგენლების შესახებ სხვადასხვა აზრია: ქართველებთან მიმოწერის შემცველი უძველესი ნაწილის შემდგენლად მიიჩნევენ მოსე ცურტაველს, კათალიკოს კომიტასს (615—628), ან ჰოპანეს იმასტასერს (717—728)⁵. ვფიქრობთ, რომ ქარ-

3 ეპისტოლეთა წიგნი, 09—011.

4 იქვე, 011.

5 იქვე, 010—011.

თველებთან მიმოწერა შეკრებილი არ უნდა იყოს თანამედროვის მიერ. წერილების ამ ჯგუფს აკლია ისეთები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნებოდა როგორც მოსე ცურტაველისთვის, ისევე კომიტასისთვის და ისინი მათ არ გამოტოვებდნენ. ასეთებია, მაგალითად მოვსეს ელივარდელის წერილი კირიონს და ამ უკანასკნელის პასუხი⁶, ქართლის აზნაურების პასუხი ვრთანეს ქერდოლს⁷, ვაჰრაშისა და მოსე ცურტაველის წერილები ერთმანეთთან⁸. შეუძლებელია, რომ მოსე ცურტაველს, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში სომხეთში ცდას არ აკლებდა, თავისი საყდარი დაებრუნებინა, არც ერთი წერილი არ გაეგზავნა თავისი მრევლისათვის იმ პირველის შემდეგ, ქართლიდან გამოქცევისთანავე რომ მისწერა. საფიქრებელია, იქნებოდა სხვა წერილებიც.

ზემოთ ჩამოთვლილი წერილების ნაწილის ავტორი და მიმღები მოსე ცურტაველი იყო. მეორე ნაწილის არსებობა, როგორც ეს უეკველად ჩანს „ეპისტოლეთა წიგნიდან“, მან იცოდა; ამასთან, როგორც ითქვა, მათზე ხელიც მოუწვდებოდა. მაშ რატომ არ შეიტანდა იგი მათ კრებულში, რომელსაც თვითონ ადგენდა? იქნებ მოსე ცურტაველმა შეიტანა ისინი, გვიანდელმა რედაქტორმა კი ამოიღო? არა გვეგონია, რადგან მოვსეს ელივარდელის წერილის არსებობა „ეპისტოლეთა წიგნი“ მეტად ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო როგორც თვით მოსე ცურტაველისათვის, ისე, საერთოდ, სომხური ეკლესიისათვის, რადგან იგი უჩვენებდა, რომ კირიონის ცთომილება ადრე დაწყებულია, რაც მაშინვე შეუნიშნავს მოვსეს ელივარდელს და რაზედაც დროულად გაუფრთხილებია კიდევაც კირიონი. ამგვარად, ამ წერილის არარსებობა „ეპისტოლეთა წიგნი“ უნდა აიხსნას იმით, რომ „ეპისტოლეთა წიგნი“ ეს ნაწილი მაშინ შედგა, როდესაც მოვსესის წერილი და მასთან ერთად კირიონის პასუხიც უკვე დაქარგული იყო. ნაკლებად სავარაუდოა ის, რომ ხსენებული წერილები კრებულიდან შემთხვევით ამოვარდნილიყო. აღსანიშნავია, რომ უხტანესის ისინი მის ხელთ არსებულ „ეპისტოლეთა წიგნს“ ვერც ერთ ნუსხაში ვერ უნა-

6 მოსეს წერილი იხსენიება ვრთანესის ეპისტოლეებში პეტრესადმი (ეპ. წ., გვ. 38) და კირიონისადმი (გვ. 40); აბრაამის პირველ (გვ. 66) და მესამე (გვ. 100) წერილებში კირიონისადმი და ამ უკანასკნელის პირველსა (გვ. 69) და მესამე (გვ. 101) წერილებში აბრაამისადმი.

7 ე პ ი ს ტ ო ლ ე თ ა წ ი გ ნ ი, 45. ჩანს, ამავე წერილს გულისხმობს მოსე ცურტაველი, როდესაც სწერს ვრთანესს: „ზოგიერთმა ვინმემ გვიპასუხა და გამოვატანე უფალთან“ (ე. ი. შენთანო), ეპ. წ., 44.

8 იხსენიებიან კირიონის წერილში სმბატ შარაზპანისადმი (ეპ. წ., გვ. 76) და თვით მოსე ცურტაველის წერილში იმავე სმბატისადმი (იქვე, გვ. 81).

ზავს. ჩანს, წერილები საერთოდ არ იყო სომხეთში, უხტანესს მათთვის ნხოლოდ თბილისში მიუყვლევი ბევრი ცდის შემდეგ⁹.

უხტანესის მიერ თბილისში მიკვლეულ მოვსეს ელივარდელის წერილისა და მასზე კირიონის პასუხის ავთენტურობაში ექვი შეიტანა ივანე ჯავახიშვილმა. მისი აზრით, უხტანესის მიერ მოტანილი წერილების შინაარსი არ ემთხვევა იმ ცნობებს, რომლებიც შემონახულია ამ წერილების შინაარსზე „ეპისტოლეთა წიგნში“: „ეპისტოლეთა წიგნის“ თანახმად მოსე კირიონს ბრალს სდებდა მხოლოდ ხუციკ ნესტორიან ეპისკოპოსის შეწყალებაზე (ქალკედონიანობაზე მსჯელობა კი ვრთანეს ქერდოლის დამატებულია მის წერილებში პეტრე ეპისკოპოსისა და კირიონისადმი). ივ. ჯავახიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ვრთანესის სიტყვებს: „ახლა შევიტყუეთ, რომ თქვენ ქალკედონის უსჯულო კრებასა და ლეონის ტომარს მართლმადიდებლურად და განდიდების ღირსად თვლით“. ივ. ჯავახიშვილის აზრით კირიონისაგან ქალკედონიანობის აღიარება ვრთანესს „ახლა“ შეუტყვია. თუმცა მას ეს უნდა აღრეც სცოდნოდა, მოვსეს ელივარდელის წერილში რომ ამაზე უკვე ყოფილიყო ლაპარაკი. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, კირიონიც თავის საპასუხო წერილში უარყოფს მხოლოდ ნესტორიანთან კავშირს და არა საერთოდ ქალკედონიანობას, რაც, აგრეთვე, იმაზე მიუთითებს, რომ მოვსეს ელივარდელის წერილში ლაპარაკი იყო მხოლოდ ნესტორიანთან კავშირზე და არა საერთოდ ქალკედონიანობის აღიარებაზე.

ივ. ჯავახიშვილი აყენებდა მეორე მოსაზრებასაც: მას საექვოდ მიაჩნდა ის, რომ ხსენებული წერილები აღმოჩნდა სომეხ მღვდელ კირაკოზთან თბილისში¹⁰.

ივ. ჯავახიშვილის ექვები გაუზიარებია მ. თარხნიშვილსაც¹¹.

ზ. ალექსიძემ დაწვრილებით განიხილა ეს საკითხი და ჯავახიშვილის საწინააღმდეგო არგუმენტები წამოაყენა.

ივ. ჯავახიშვილის მეორე არგუმენტზე ზ. ალექსიძე უპასუხებს: „ეს უკანასკნელი მოტივი ექვის აღსაძვრელად შეიძლება ვამოდგეს, მაგრამ, როგორც თვითონ ივ. ჯავახიშვილიც ხედავს, წერილებს სრულიად უარსაყოფად დანბარებას ვერ გავვიწვევს. მთელი ოთხი საუკუ-

⁹ უ ხ ტ ა ნ ე ს ი, 37.

¹⁰ И. Джавахов. История церковного разрыва между Грузией и Арменией в начале VII века. «Известия Императорской Академии наук», VI, № 5, 1908, с. 440—444.

¹¹ M Tarchnitsvili, Histoire ancienne de l'église de Géorgie, Le Muséon, 1947, LX, 1—2, გვ. 43 (მეთუთ:თებთ „ეპისტოლეთა წიგნის“ მიხედვით, გვ. 017, შენ. 2C).

ნის მანძილზე, ვინ იცის, ამ კორესპონდენციებმა რა თავგადასავალი გაიარეს და ვის ხელში არ მოხვდნენ. არაბობის პერიოდში, ვინ იცის, რა დაემართა საკათალიკოსო სამდივნოს. ისე რომ, აქ არავითარმა მოულოდნელობამ არ უნდა გაგვაკვირვოს. პირიქით, უხტანესის მიერ აღწერილი მდგომარეობა მეტად რეალურ ელფერს ატარებს. ხომ ამჟამად, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲმ“, „ქართლის ცხოვრებამ“, არსენი საფარელმა და მით უფრო სხვა ქართულმა წყაროებმა აღარაფერი იციან ნათლად არც კირონისა და არც მისი სომხებთან მიმოწერის შესახებ. ცხადია, „ეპისტოლეთა წიგნის“ ქართული ვარიანტი ადრევე დაკარგულა ან შეგნებულად მოუსპიათ ქართული ეკლესიის მესვეურებს“¹².

წარმოვიდგინოთ რეალური ვითარება.

„ეპისტოლეთა წიგნიდან“ უხტანესმა გაიგო მოვსეს ელივარდელისა და კირიონის მიწერ-მოწერის შესახებ. უხტანესმა ვერ იპოვა ისინი „ეპისტოლეთა წიგნში“. რადგან უხტანესს ამ წიგნის არაერთი ნუსხა ჰქონდა, ჩანს, წერილები არც ერთ მათგანში არ ყოფილა. ზ. ალექსიძის ვარაუდით, „ამ წერილების სომხური ვარიანტები ადრევე იყო დაკარგული და უძველეს რედაქციაში („ეპისტოლეთა წიგნის“ — ნ. ჯ.) არ შედიოდა“¹³. ამასთან ზ. ალექსიძის სიტყვით, უხტანესის „ხელთ იქნებოდა საპატრიარქო ბიბლიოთეკა, ხოლო „ეპისტოლეთა წიგნის“ ნუსხები მაშინ მეტი იყო, ვიდრე დღესა გვაქვს“¹⁴. მაშასადამე, ხსენებული წერილები არ ყოფილა არც სომხეთის საპატრიარქო ბიბლიოთეკაშიც, თუმცა კი მოსალოდნელი იყო, რომ ისინი სომხურ ეკლესიას საგულდაგულოდ შეენახა. ეს წერილები ხომ კარგად ადასტურებდნენ კირიონის ადრიდანვე ლალატსა და თვალთმაქცობას, ხოლო მოვსეს ელივარდელის მიერ მის დროულად გაფრთხილებას. ამასთან ისინი ადასტურებდნენ, რომ კირიონის განდგომა სწორედ მოვსესის დროს დაიწყო, რაზედაც პირდაპირ მიუთითებს თვით უხტანესიც¹⁵.

უიკველია, მოვსეს ელივარდელი კირიონს სომხურად მისწერდა. კირიონი ხომ სომხურს ბავშვობიდანვე ფლობდა, შემდეგ სომხეთის ბიზანტიურ ნაწილში დაახლოებით თხუთმეტ წელს ცხოვრობდა, ხოლო კათალიკოსად გახდომის წინ, სულ მცირე, ხუთი წელი დაჰყო

¹² ეპისტოლეთა წიგნი, 018.

¹³ იქვე, 025.

¹⁴ იქვე, 013.

¹⁵ „ამრიგად, ქართველთა გამოყოფის დასაბამი მოსეს დროს იყო, როგორც გასწავლიან შენ კირონისადმი პირველად მოწერილ ეპისტოლეთა ნაწერანი“ (უხტანესი, 163).

სომხეთის სპარსულ ნაწილში, სადაც მოვსეს ელივარდელმა იგი „დააყენა... წმინდა კათოლიკე მონასტრის უხუცესად და აგრეთვე ქორეპისკოპოსად, მისცა რა სამწყსოდ აირარატის გავარი“¹⁶, ე. ი. სომხეთის ცენტრალური ნაწილი. ცხადია, თავისზე უმცროს, თავის მიერ ქართლის კათალიკოსად ხელდასხმულ კირიონს, რომელმაც სომხური მშვენივრად იცოდა და რომელსაც წლების განმავლობაში სომხურად ელაპარაკებოდა, მოვსესი წერილსაც სომხურად მისწერდა.

უნდა ვიფიქროთ, რომ წერილი ორ ცალად იქნებოდა დაწერილი. ერთი გაეგზავნებოდა კირიონს, ხოლო მეორე სომხეთის კათალიკოსის არქივში დარჩებოდა. როგორც ვნახეთ, უხტანესის დროს ეს ცალი აღარ არსებულა. „ეპისტოლეთა წიგნის“ სრული სახით ქართული ვარიანტის არსებობა საერთოდ საეჭვოდ მიგვაჩნია. უფრო მოსალოდნელია, რომ თარგმნილი ყოფილიყო მისი მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ ქართლს შეეხებოდა. მოვსესის წერილი და კირიონის პასუხი, როგორც ითქვა, სომხურ „ეპისტოლეთა წიგნში“ იმთავითვე არ ყოფილა. შესაბამისად არ იქნებოდნენ ისინი „ეპისტოლეთა წიგნის“ სათანადო ნაწილის ქართულ თარგმანშიც, თუ კი ასეთი საერთოდ არსებობდა. არსებობდა თუ არა ამ ორი წერილის ცალკე ქართული თარგმანი, ძნელი სათქმელია. თვით კირიონს მოვსესის წერილის თარგმანი არა სჭირდებოდა. ქართული ეკლესიისთვის მაინცდამაინც სასიამოვნო ეს წერილი არ იქნებოდა და ამიტომ ქართულად შეიძლება არც ეთარგმნათ. მით უმეტეს, რომ, როგორც ითქვა, ზ. ალექსიძის აზრით, „ეპისტოლეთა წიგნის“ ქართული თარგმანი, შესაძლებელია, შეგნებულადაც კი იყო მოსპობილი (აღბათ, სწორედ იმიტომ, რომ იგი არ აძლევდა ხელს ქართულ ეკლესიას). ყოველ შემთხვევაში, იგი ადრევე დაკარგულა, რადგან არც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, არც „ქართლის ცხოვრება“ და არც არსენი საფარელი, სხვა ძველ ქართულ წყაროებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, კარგად არ იცნობენ კირიონის მიმოწერას სომხებთან. თუ გავითვალისწინებთ ყოველივე ზემოთქმულს, ანუ იმას, რომ ეს წერილები არ შენახულან სომხეთის საპატრიარქო ბიბლიოთეკაში, რომ ისინი ადრევე დაკარგულან, ან შეგნებულადაც კი ყოფილან მოსპობილი ქართლში, ისე რომ უცნობი დარჩენილან მთელი ძველი ქართული ისტორიოგრაფიისათვის მისი საუკეთესო წარმომადგენლების („მოქცევაჲ ქართლისაჲსა“ და „ქართლის ცხოვრების“ ავტორების) სახით, თვით არსენი საფარელისათვისაც კი, რომელმაც სპეციალური ტრაქტატი დაწერა სომხ-ქართველთა განხეთქილებაზე, უეჭველია, უცნაურად მოგვეჩვენება,

16 ეპისტოლეთა წიგნი, 209—213.

რომ ისინი აღმოჩნდნენ ვიღაც უცნობ თბილისელ მღვდელთან კირაკოზთან, და ისიც ქართულად.

ამით ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, რომ თითქოს უხტანესის ვერსია აუცილებლად მთლიანად გამოგონილი უნდა იყოს მის მიერ. ჩვენ მხოლოდ მიგვაჩნია, რომ ივ. ჯავახიშვილის ექვი, ჩანს, უფრო საფუძვლიანია, ვიდრე ეს შეიძლება მოგვეჩვენოს.

ახლა, რაც შეეხება თვით წერილების შინაარსს.

ზ. ალექსიძის სიტყვით, სომეხი მონოფიზიტები ქალკედონიანებასა და ნესტორიანებას „შორის განსხვავებას არ ხედავენ და ქალკედონის კრების მიმდევრებასაც ნესტორიანებად თვლიან“¹⁷. „ისინი მათ, ჩვეულებრივ, ერთმანეთისგან არ განასხვავებენ და ნესტორიანებთან ერთად ქალკედონიანებასაც წყევლიან ხოლმე. ვფიქრობთ, უხტანესს მოსე კათალიკოსის წერილი რომ არც შემოენახა, მაინც უნდა გვევარაუდა, რომ ხუეიკ ეპისკოპოსთან მეგობრობის დაწუნებასთან ერთად კირონს სომხური ეკლესიის მეთაური ქალკედონის კრების აღიარებისგანაც გააფრთხილებდა“¹⁸. რაც შეეხება ივ. ჯავახიშვილის შენიშვნას იმაზე, რომ, როდესაც ვრთანეს ქერდოლი კირონს ქალკედონური მრწამსის აღიარებაზე მიუთითებს, არ ახსენებს მოვსეს ელივარდელის წერილს, ზ. ალექსიძე ამგვარად ხსნის ამას: „ნიშნავს ეს გარემოება, რომ მოსეს წერილში ქალკედონის კრების შესახებ ლაპარაკი სრულიად არ იყო? ჩვენ ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ შეუძლებელია მონოფიზიტი ისე ლაპარაკობდეს ნესტორიანობის შესახებ, რომ იქვე ქალკედონის კრებასაც არ აგინებდეს. მაგრამ საქმე კიდევ შემდეგშია: მოსე სომეხთა კათალიკოსი კირონს უჩივის, რატომ ეზიარე ხუეიკ-ნესტორიან ეპისკოპოსსო და იქვე აფრთხილებს, რომ ნესტორიანთან ამ თანამშრომლობამ ქალკედონის კრების აღიარებამდე არ მიიყვანოს. მოსე არ ფიქრობს, რომ კირონი თვითონაც უკვე ქალკედონიტია. სხვა ვითარებაა ვრთანესის წერილში. იგი აღნიშნავს, რომ თუ კირონი ნესტორიან ეპისკოპოსთან წინათ მხოლოდ თანამშრომლობდა, ახლა იგი თვითონაც აღიარებს ქალკედონის კრებას და ლეონის ტომარს. ამიტომ უსვამს იგი ხაზს: „ეხლა შევიტყვით, რომ თქვენ ქალკედონის უსჯულო კრებასა და ლეონის ტომარს მართლმადიდებლურად და განდიდების ღირსად თვლით“¹⁹. შემდეგ ზ. ალექსიძე ასკვნის: „უხტანესის მიერ თავის „ისტორიაში“ შეტანილ მოსე კათალიკოსის წერილის შინაარსსა და იმას შორის, რაც ამ წერილის შესახებ ვიცით სომხეთის

17 ეპისტოლეთა წიგნი, 018.

18 იქვე, 021.

19 იქვე.

ეკლესიის მესვეურთა და კირონს შორის მიმოწეოიდას, არ არის წინააღმდეგობა. პირიქით, ყველაფერი ისეა აღნიშნულ წერილში, როგორც მოსალოდნელი იყო²⁰. ამ აზრის დასადასტურებლად ზ. ალექსიძე უდარებს უხტანესის მიერ აღმოჩენილ მოვსეს ელივარდელისადმი კირონის მიერ მიწერილ წერილს „ეპისტოლეთა წიგნში“ დაცულ კირონის სხვა წერილებს და ასკვნის, რომ ისინი ერთი და იმავე პირის დაწერილია²¹. დაბოლოს, ზ. ალექსიძე აღნიშნავს: „მართალია, უხტანესი აშკარად ტენდენციური ისტორიკოსია, მაგრამ წყაროების ასე სერიოზულად გაყალბებას მაინც ვერ დავწამებთ. იგი ყველგან კეთილისინდისიერად აღნიშნავს, თუ რა წყაროთი და როგორ სარგებლობს... ჩვენს მოტყუებას და ყალბი წყაროების შემოტანას იგი არ ცდილობს. ჩვენ არ გვექვება, რომ უხტანესმა შემოგვინახა ნამდვილად მოსე კათალიკოსისა და კირონის მიმოწერის ძვირფასი ნიმუშები“²².

ვეფქრობთ, ივ. ჯავახიშვილის საწინააღმდეგოდ ზემომოტანილი არგუმენტაცია დაზუსტებას მოითხოვს.

1. ნესტორიანები დიოფიზიტების ერთ-ერთ ფრთას წარმოადგენდნენ. დიოფიზიტების მსგავსად ისინიც ქრისტეში ორ ბუნებას ცნობდნენ, მაგრამ მათგან განსხვავებით მიაჩნდათ, რომ ქრისტე ჩვეულებრივი ადამიანი იყო, რომელშიც ჩასახლდა ღმერთი. ამიტომ ნესტორიანებს მარიამი ღმრთისმშობლად კი არ მიაჩნდათ, არამედ ადამიანის მშობლად, ან ქრისტეს მშობლად. ამის გამო ნესტორიანობა 431 წ. დაგმო ეფესოს III კრებამ, რომელსაც ცნობდნენ როგორც მონოფიზიტები, ისე დიოფიზიტები. სხვათაშორის, ასეთი ერესები ვააჩნდათ მონოფიზიტებსაც (მაგ., ევტიქიანელობა, სევერიანელობა).

საერთოდ მონოფიზიტებისათვის ნესტორიანობა უფრო შორეული მიმდინარეობა უნდა ყოფილიყო, რადგან მათ შორის განსხვავება მეტი იყო, ვიდრე მონოფიზიტებსა და ქალკედონიანებს შორის. მართლაც, თუ ქალკედონიტი დიოფიზიტები მონოფიზიტებისაგან განსხვავებით ქრისტეში ორბუნებიანობას სცნობდნენ, ნესტორიანები გარდა ამისა, როგორც ითქვა, თვით ქრისტეს უბრალო ადამიანად მიიჩნევდნენ. ამგვარად, ქალკედონიტები მონოფიზიტებსა და ნესტორიანებს შორის იდგნენ. მაგრამ მიუხედავად ამისა, მონოფიზიტები ქალკედონიტებს მეტად ებრძოდნენ. ეს აიხსნება იმით, რომ ნესტორიანობა, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, კრულ იყო III ეფესოს კრებით 431 წ., ე. ი. დაგმობილი იყო თვით ორთოდოქსალური დიოფიზიტე-

²⁰ ეპისტოლეთა წიგნი, 021.

²¹ იქვე, 021—024.

²² იქვე, 025.

ბის მიერაც. ამის გამო ნესტორიანობა ნაკლებად იყო გავრცელებული. ამის საწინააღმდეგოდ ორთოდოქსალური დიოფიზიტობა მიღებული იყო ქალკედონის IV კრებაზე, კრებაზე, რომელსაც სცნობდა ქრისტიანული სამყაროს უდიდესი ნაწილი. ამასთან, სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების პერიოდისთვის ქალკედონიტობა უკვე კარგა ხნის განმავლობაში ბიზანტიის სახელმწიფოს მფარველობით სარგებლობდა და მას იმპერიაში გაბატონებული მდგომარეობა ეჭირა. ამიტომ იგი მონოფიზიტებს თავის უმთავრეს, და სავსებით სამართლიანად, მოწინააღმდეგედ უნდა მიეჩნიათ.

უეპველია, მონოფიზიტებმა ყველაფერი ეს კარგად იცოდნენ და კარგადაც არჩევდნენ ნესტორიანებს ორთოდოქსალური დიოფიზიტებისა ანუ ქალკედონიტებისაგან. თვით ზ. ალექსიძის მიერ მოტანილ ციტატებიდანაც ცხადად ჩანს, რომ მონოფიზიტები არჩევდნენ არა მარტო გარეგნულ, არამედ არსებით სხვაობასაც ნესტორიანლებსა და ქალკედონიტებს შორის: მოსე ცურტაველი სწერს თავის მრევლს, ქალკედონის კრების წინამძღვრებმა „სხვა განსაზღვრება დაამტკიცეს — ს ხ ვ ა ს ა ხ ი ს ა, ვ ი დ რ ე ნ ე ს ტ ო რ ი ს ა, და ი მ ა ვ ე ა ზ რ ი ს ა, როგორც მისი, რათა ადვილად შეძლონ დაღუპვა გულმართალთა“—ო²³. ამ სიტყვებთან დაკავშირებით ზ. ალექსიძე შენიშნავს: „მოსე ხედავს, რომ ქალკედონიანებსა და ნესტორიანებს შორის არის განსხვავება, მაგრამ მას ფორმალურ გასხვავებად აცხადებს“²⁴. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ წინამავალ სიტყვებში მოვსესი იძულებულია მიუთითოს თავის მრევლს ამ მსგავსებაზე. ჩანს, ეს მსგავსება არც ისე ცნობილი იყო ყველა მონოფიზიტისათვის (მოვსესის მრევლი ხომ მონოფიზიტებისაგან შედგებოდა). მოტანილ ციტატაზე ცოტა წინ მოვსესი ასე მიმართავს თავის მრევლს: „ხოლო ეხლა მათთან ერთად ჩვენც რომ არ ვისმინოთ საშინელი ქადილი ღმრთისა და არ ვიტვირთოთ ის უწყალო სასჯელი, საჭიროდ ვცან, ამ გაჰაფრთხილებელი წერილით ყურში მეთქვა მაგ თქვენი ღმრთისმოყვარეობისათვის, რომ იყოთ ფრთხილად და ფხიზლად უფლის უარყოფელთა და უფლის მკვლელთა განმადიდებელთა ქალკედონის კრებასთან კავშირისაგან, რადგან იმ კრების წინამძღვარნი ნესტორის წვალების მოზიარენი იყვნენ“²⁵. როგორც ვხედავთ, მოვსესი სპეციალურად აფრთხილებს თავის მრევლს — ქალკედონიტებს ნუ აპყვებით, რადგან ამ კრების მეთაურნი ნესტორის წვალების მოზიარენი იყვნენო.

მაგრამ მოვსესმა კარგად იცის ის არსებითი განსხვავებაც, რო-

23 ეპისტოლეთა წიგნი, 10.

24 იქვე, 019—020.

25 იქვე, 9—10.

მელიც არის ქალკედონიტებსა და ნესტორიანებს შორის. თუ ზოგადად მსჯელობისას იგი ლაპარაკობს განსხვავების მხოლოდ ფორმალურ მხარეზე, თავის სპეციალურ თხზულებაში, რომელშიც დაწვრილებითაა ლაპარაკი დოგმატიკის საკითხებზე, იგი აღნიშნავს განსხვავების არსებით მხარესაც: „ქალკედონს შეკრებილებმა მიიღეს ფარულ-ქურდულად და შეძრომით ნესტორისა და მრავალ სხვათა წვალება და ამით აცთუნეს გულუბრყვილონი. რადგან უღმრთო ნესტორმა გამოთქმა ღმრთის მშობელი საქალწულის მიმართ უარყო, ხოლო მათ აღიარეს და ამით შეაცდინეს მრავალნი, რომელთაც არ შეეძლოთ სკოდნოდათ წმინდა წერილთა აზრი, ვინაიდან თუმცადა სიტყვები სხვა არის, აზრი იგივე მოაქვს ნესტორისათვის, რადგან უღმრთო ნესტორმა ქრისტეთქვა ლიტონ კაცად, რომ მადლით ღირსეული ღმრთის სიტყვის ტაძარი ყოფილიყო“. როგორც ვხედავთ, თუმცა მოვსესი აქაც აღნიშნავს, ნესტორისა და ქალკედონიტების მოძღვრების აზრი ერთია, მაგრამ, ამავე დროს აღნიშნავს არსებით განსხვავებასაც მათ შორის.

ის, რომ მონოფიზიტები ნესტორიანებზე ლაპარაკისას ქალკედონიანებსაც ახსენებენ, აიხსნება არა მარტო იმით, რომ მონოფიზიტების თვალსაზრისით მათ შორის დიდი მსგავსებაა. ასეთი პოზიცია მონოფიზიტებისათვის მეტად ხელსაყრელიცაა. როგორც აღინიშნა, ნესტორიანობა დაგმობილ იქნა ეფესოს კრებაზე და დაგმობილ იქნა თვით დიოფიზიტების მიერაც. ნესტორიანებისა და დიოფიზიტების გვერდით მოხსენიებით მონოფიზიტები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ დიოფიზიტებს საერთო აქვთ მათ მიერვე დაგმობილ რწმენასთან.

ერთანესი სწერს კირიონს: „წინათ თქვენს პატიოსნებას მოსწერა ჩვენმა ნეტარმა მამამთავარმა მოსემ ეპისკოპოსად სახელდებული ხუჩიკის სიცრუის შესახებ, რომ არ იყოს ჩვენს ორ ქვეყანას შორის ახალსახიობა სარწმუნოებისა, რომელიც საკვირველი ფუძემდებლობით დაენერგა უშიშარი და მხნე მოღვაწის უფალ გრიგოლისგან. მცნება გვაქვს მამათა და ჩვენ მართლმადიდებელ მოძღვართაგან, არა თუ მხოლოდ ნესტორის ტომისაგან განვეშორით და დავწყევლოთ, არამედ ევტიქე, ევნომოსი, სევეროსი, მარკიონი, საბელიოსი და სხვა მათი მსგავსნიც, უმეტესად კი ქვეყნის დამამხობელი და უხსენებელი ქალკედონის კრება... ეხლა შევიტყუეთ, რომ თქვენ ქალკედონის უსჯულო კრებასა და ლეონის ტომარს მართლმადიდებლურად და დიდე-

ბის ღირსად თვლით, რადგან არა გაქვთ განსწავლა, რომ გამოიძიოთ წვალებათა ბოროტება...“²⁶.

ამრიგად, ვრთანესი ამბობს: 1. მოვსეს ელივარდელმა კირიონს მისწერა ხუეიკ (ნესტორიან) ეპისკოპოსზე; 2. რათა ქართლსა და სომხეთს შორის არ გაჩენილიყო სარწმუნოების ახალსახიობა (უკანასკნელში, უეპველია, იგულისხმება ნესტორიანობა და არა ქალკედონიანობა, როგორც ეს კარგად ჩანს ქვემოთ); 3. სხვა მამათა და მართლმადიდებელ მოძღვართაგან მცნება ყოფილა, განშორებოდნენ არა მართო ნესტორის წვალებას, არამედ სხვა ერეტიკოსებისაც (ეგვიქეს, ეენომოსს, სევეროსს, მარკიონს, საბელიოსს და სხვებს), ყველაზე მეტად კი ქალკედონის კრებას; 4. მოვსესს „ეხლა“ შეუტყვია, რომ კირიონი განადიდებდა ქალკედონის კრებასა და ლეონის ტომარს; 5. ვრთანესის სიტყვით, კირიონს ეს უკოდინარობით მოსვლია. სხვათა შორის, ეს ადგილი ვრთანესის წერილიდან ზუსტად ასევე აქვს უხტანესსაც²⁷.

როგორც ვხედავთ, ამ წერილიდან არა ჩანს, რომ ვრთანესი ქალკედონის კრების ხსენებას მოვსესს ელივარდელს მიაწერდეს.

ახლა ვნახოთ სათანადო ადგილი ვრთანესის წერილში პეტრესადმი: „როგორც წინათ ჩვენმა მამამთავარმა მოსემ მისწერა მაგ ქვეყანას, რომ განეშორეთ ხუეიკ არაეპისკოპოსის სიცრუესო, უფრო მეტად გემართებს უსჯულო ქალკედონის კრების გინებათაგან გაქცევა, რადგან ურიობის თანასწორია“²⁸. აქ მოვსესის სიტყვებია: „განეშორეთ ხუეიკ ეპისკოპოსის სიცრუესო“, დანარჩენი კი თვითონ ვრთანესისა უნდა იყოს. ეს უკეთ ჩანს უხტანესის ტექსტის სათანადო ადგილიდან: „როგორც უწინ მოსწერა ჩვენმა მამამთავარმა მოსემ მაგ ქვეყანას, განეშორეთ მაგ ხუეიკი ეპისკოპოსის სიცრუესო, ეხლა მეტად გემართებს ლტოლვა უსჯულო ქალკედონის კრების გმობისაგან, რადგან ურიობის თანასწორია“²⁹.

როგორც ვხედავთ, აქაც ისევე, როგორც წინა შემთხვევაში, სიტყვები ქალკედონის კრებაზე ეკუთვნის ვრთანესს და არა მოვსესს ელივარდელს. მაგრამ, ზ. ალექსიძისა არ იყოს, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მოვსესს ელივარდელის წერილში სრულიად არაფერი იყო ნათქვამი ქალკედონიანობაზე.

26 ეპისტოლეთა წიგნი, 40—41.

27 უხტანესი, 79.

28 ეპისტოლეთა წიგნი, 38—39.

29 უხტანესი, 81.

ახლა რაც შეეხება ქართველი აზნაურების პასუხს. მას ვრთაწესი ასე ახასიათებს: „...ისეთია როგორც რაღაც სწეულებაში ბოდვით ჩავარდნილებისა, რომელთაც არ იციან, რას ლაპარაკობენ... მაგრამ ჩვენი ქვეყნის დაწყველისა და გინების გამო, როგორც სხვა [ასეთის გამო], დაღუპვისა და ღმრთისმოვლენილი რისხვის მასპინძელი გახდნენ; თუმცაღა ეგ თავხედობა ჩაიდინეს და თავის თავს განუკურნებელი წყლული განუმზადეს, თვითონ დაკოდეს თავისი თავი და ჩვენ შორსა ვართ იმ წყველისაგან“³⁰. ამიტომაა, რომ ვრთაწესისადმი ქართლის აზნაურების პასუხის არარსებობას „ეპისტოლეთა წიგნში“ უხტანესი ასე სწინს: „მე მგონია, რომ უღირსად და შეუფერებლად მიიჩნიეს მათი უღირსი და შეუწყნარებელი პასუხის დაწერა „ეპისტოლეთა წიგნში“, ამიტომაც ვერ ვიპოვეთ და ვერ დავწერეთ ჩვენც, ჩვენგანაც, აგრეთვე, მოუხსენებელი და არმოსახსენებელი“³¹. „...მაგრამ ვგონებ სრულიად არ აღმოჩნდა ჩვენთვის სასარგებლო დაწერილი, რადგან უშლიდნენ მათი ურცხვობისა და განდგომის შესახებ მოწერას, თუ არა უხამსი და უგუნური პასუხის [გაცემას]...“³². უხტანესი-ღუ-ლი ახსნა, ცხადია, არაა დამაჭრებელი. რაც უფრო უხამსი და უგუნური იქნებოდა ქართლის აზნაურების პასუხი, მით უფრო ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო იგი „ეპისტოლეთა წიგნის“ შემდგენელისათვის. ხოლო, თუ მივიჩნევთ, რომ ეს წერილები არ შეიტანეს იმიტომ, რომ ისინი „სასარგებლოდ დაწერილი“ არ აღმოჩნდნენ სომხური მხარისათვის, მაშინ გაუგებარია, რაღაღ შექმონდათ კრებულში კირიონის გამართული და გონივრული პასუხები, რომლებიც, ალბათ, შეუღარებლად უფრო ნაკლებად „სასარგებლონი“ იქნებოდნენ³³.

„ეპისტოლეთა წიგნში“ არაა, აგრეთვე, ვაპრამის წერილი მოსე ცურტაველს და ამ უკანასკნელის პასუხი. ვაპრამი მ. ბროსეს, ნ. აკინიანსა და პრ. აპარიანს მიაჩნდათ ბიზანტიური სომხეთის მთავრად, რომელიც სათავეში ჩაუდგა ანტიირანულ ბრძოლას ხოსრო II გამარჯვებათა შემდეგ³⁴. ზ. ალექსიძის აზრით, ვაპრამზე გარკვევით რაიმეს თქმა შეუძლებელია: „ჩვენი აზრით, მხოლოდ „ეპისტოლეთა წიგნის“ მიხედვით გადაჭრით არაფრის თქმა არ შეიძლება. თუ ვაპრამი ბიზანტიური ორიენტაციისა და ქალკედონიტობის მომხრეა, რატომ უნებობს თავისთან მოსე ეპისკოპოსს, ან რატომ მიაყენა ზიანი ქართლს, ან

30 ეპისტოლეთა წიგნი, 45.

31 უ ხ ტ ა ნ ე ს ი, 83.

32 უ ხ ტ ა ნ ე ს ი, 85.

33 შდრ. ესპიტოლეთა წიგნი, გვ. 015.

34 ეპისტოლეთა წიგნი, 155, შენ. 6.

რატომ უჩივის კირონი ქალკედონიტ მოღვაწეს მონოფიზიტს წინაშე. ერთი სიტყვით, „ეპისტოლეთა წიგნის“ მიხედვით არ არის ნათელი არც ვაპრამის მრწამსი, არც მისი პოლიტიკური ინტერესები და არც წარმოშობა“³⁵.

ვფიქრობთ, „ეპისტოლეთა წიგნი“ იძლევა საშუალებას უფრო გარკვეული აზრი შევიქმნათ ვაპრამზე და მხარი დავუჭიროთ მ. ბროსეს, ნ. აკინიანისა და პრ. აჰარიანის შეხედულებას.

1. ვაპრამი აშკარად ოდიოზური პიროვნებაა სმბატ მარზპანისთვის. თავის საპასუხო წერილში სმბატს კირონი სწერს მოსე ცურტაველზე, შეიძლება ითქვას, ასმენს მას სმბატთან: „...თავის ბოროტ საქმეთათვის ფარულად ღამე რომ გაიქცა და წავიდა, გაემართა განდგომილებაში“³⁶ ვაპრამთან და ისე ბოროტად აცნობა, რომ ცოტადა აკლდა, კინაღამ ეს ქალაქი³⁷ ააღებინა და არიელთა ქვეყანას დიდი ზიანი მიაყენა“.

ჩანს, მოსეს ეს ბრალდება მეტად მძიმედ მიაჩნია. კირონის ბრალდებათაგან თავის გასამართლებლად იგი სპეციალურ წერილს სწერს სმბატს. ამ წერილში იგი ცალკე ეხება ვაპრამის საკითხს: „...წმინდა იოანეს მონასტერში მივედი, ვაპრამთან არ წავსულვარ. ამითაც გარწმუნებ, უფალო რომ ვაპრამმა მომწერა, რომ გულს დედად გვაკლია თქვენი წმინდა ეკლესიისგან განშორებითო, მაგრამ სანამ წახვიდოდეთ, გზა ჩვენსკენ უნდა გქონდეთ, რადგან ეკლესიის დედი ნაწილი აქ არის, რომელიც უნდა თავის თავზე აგელოთო. ეს წერილი უფალი კათალიკოსისათვის მიჩვენებაა და შენც, უფალო, გაჩვენებ. მე იქვე პასუხი გავეც და ეხლაც ვამბობ: მაშ იქიდან რად წამოვედი, თუ თქვენთან მოვიდოდი, რადგან თქვენი და მათი სარწმუნოება ერთია“—ო³⁸.

როგორც ვხედავთ, მოსე არწმუნებს სმბატს, რომ იგი ვაპრამთან არ წასულა, თუმცა მისგან მიპატიჟებაც მიუღია, რომელზედაც უარიც

³⁵ იქვე.

³⁶ „განდგომილებაში“ უნდა იგულისხმებოდეს მოსე და არა ვაპრამი, ე. ი. განდგომილი მოსე მოვიდა ვაპრამთანო. მართლაც, ვაპრამი რომ განდგომილი ყოფილიყო, საიდან ექნებოდა საშუალება არიელთა ქვეყნის აოხრებისა და მცორეც, განდგომილი, გამღვარი, გაქცეული ხომ სწორედ მოსე იყო.

³⁷ ზ. ალექსიძის სიტყვით, რადგან კირონის „რეზიდენცია თბილისშია, შესაძლოა, იგი იგულისხმებოდეს“ (ეპ. წიგნი, 155, შენ: 7), რაც სავსებით მისაღებია. ყოველ შემთხვევაში, თბილისი თუ არა, „ეს ქალაქი“ შეიძლება მხოლოდ მცხეთა იყოს.

³⁸ ეპისტოლეთა წიგნი, 81.

კი შეუთვლია. თავისი უდანაშაულობის დასამტკიცებლად ვაპრამის წერილი მოსეს კათალიკოსისთვის უჩვენებია და მზადაა აჩვენოს იგი სმბატსაც.

რა უნდა აპირისპირებდეს ერთმანეთთან ვაპრამსა და სმბატს? ან სხვადასხვა პოლიტიკურ ბანაკში ყოფნა, ან სხვადასხვა სარწმუნოებრივ მრწამსზე დგომა, ან პირადი მტრობა. უკანასკნელი გამორიცხული არაა, მაგრამ, ცხადია, იგი ვერ ახსნის ვაპრამის შესაძლებელ მოქმედებას (იმას, რომ მან კინალამ ააოხრა ქართლი — „არიელთა ქვეყანა“). რაც შეეხება მის სარწმუნოებრივ მრწამსს, იგი აშკარად ქალკედონიტია. აკი მოსე სწერს სმბატს: ვაპრამს უუპასუხე, იქიდან წამოსული თქვენთან რატომ მოვიდოდი, თქვენი და მათი სარწმუნოება ხომ ერთიაო. რაც შეეხება ვაპრამის პოლიტიკურ მდგომარეობას, ამაზე მიგვანიშნებს კირიონის სიტყვები: „ცოტალა აკლდა, კინალამ ეს ქალაქი ააღებინა და არიელთა ქვეყანას დიდი ზიანი მიაყენა“-ო. ვფიქრობთ, ცხადი უნდა იყოს, რომ კირიონი ირანელ მოხელეს არ გულისხმობს. შეიძლებოდა დაგვეშვა ასეთი შესაძლებლობა: მოსემ იჩივლა ირანელ მოხელე ვაპრამთან კირიონის მონოფიზიტობის გამო და კინალამ ააოხრებინა ქართლი. მაგრამ, თუ ვაპრამი ირანელი მოხელე იყო, რატომ უარყოფდა ასე თავგამოდებით მასთან კავშირს მოსე? მით უმეტეს, რომ, როგორც ვნახეთ, იგი ქალკედონიტია. დაუშვათ, რომ ვაპრამი თუმცა ქალკედონიტია, მაგრამ მაინც ირანელთა ქვეშევრდომია (არც ასეთი შესაძლებლობაა სავსებით გამოსარიცხი). ამ შემთხვევაში მოსეს კირიონი მასთან უნდა დაესმინა როგორც პოლიტიკურად და არა სარწმუნოებრივად არასაიმედო პირი — ბიზანტიელთა მხარეზე აპირებს გადასვლასო. ამ შემთხვევაში მოსეს ვაპრამთან პოლიტიკური ერთიანობა ექნებოდა და იგი არ მისწერდა მას, თქვენთან რა მინდაო („იქიდან რად წამოვედი, თუ თქვენთან მოვიდოდი“-ო).

ამგვარად, ვაპრამი უნდა იყოს ქალკედონიტი ბიზანტიელი მოხელე, შესაძლებელია, მართლაც, ბიზანტიის სომხეთის მმართველი. მაგრამ, თუ ეს ასეა, ზ. ალექსიძის სიტყვები რომ გავიმეოროთ, „რატომ უხმობს თავისთან მოსე ეპისკოპოსს, ან რატომ მიაყენა ზიანი ქართლს, ან რატომ უჩივის კირიონი ქალკედონიტ მოღვაწეს მონოფიზიტის წინაშე“?

კირიონი თავის წერილს სმბატს სწერს 608 წ. გაზაფხულზე. ამ დროს ქართლი უკვე ისევ ირანელების ხელშია. ამგვარად, კირიონი სმბატს უჩივის ვაპრამზე არა როგორც ქალკედონიტზე, არამედ როგორც ბიზანტიელ მოხელეზე. სწორედ ასეთს შეეძლო დასხმოდა თავს ირანის გამგებლობაში მყოფ ქვეყანას (თუმცა, როგორც კირიონის

სიტყვებიდან ჩანს, მას ეს არ გაუეჭებია). ამასთან ეს სრულდება არ ნიშნავს, თითქოს კირიონი არათანმიმდევრული ყოფილიყო სარწმუნოებრივი თვალსაზრისით. როდესაც აბრამმა ბრალი დასდო კირიონს, როგორ შეიძლება, რომ თქვენ იმ მრწამსს ადგებით, რომელიც უცხო სამეფოშია ე. ი. (ბიზანტიაში) და შორდებით მათ, ვინც ირანელთა ხელქვეითნი არიან³⁹, ე. ი. სომხებს, ან რომ გამოეთქვათ ის, რაც ამ სიტყვებში იგულისხმებოდა — როგორ ამბობთ უარს იმ მრწამსზე, რომელსაც ირანელები მფარველობენო, — კირიონმა დიპლომატიურად უპასუხა: არაა სწორი, თითქოს ჩვენ უცხო ქვეყნის მრწამსზე გადავიდეთ, რადგან რომაელებიც (ე. ი. ბიზანტიელები) ისეთივე მონები არიან შაჰისა, როგორც თვით არიელები და სამეფოებაც სხვადასხვა არ არიანო. რაც შეეხება განსხვავებას მრწამსში, თუმცა ჩვენ შაჰის მონები ვიყავით და ვართ, მაგრამ სარწმუნოება იერუსალიმისა გვქონდა და გვაქვსო და შემდეგ პათეტიკურად უმატებდა: რაოდენ ბედნიერები ვართ, რომ შაჰის სამსახურში ვართ, „რადგან, რაც ცა და დედამიწა არსებობს, არ ყოფილა არც ერთი უფალი, რომელსაც ყოველი ტომისათვის თავისი კანონები მიენდოს, როგორც ამ უფალმა მიანდო, მეტადრე ჩვენი, ქრისტიანეთა სარწმუნოება; ხოლო ჩვენ თავისუფალ ქვეყანას უფრო მეტად [მიანდო], ვიდრე ყველა [სხვა] ქვეყანას და ჩემ კეთილ თავს უმეტესად, ვიდრე ყველა ჩემ მოყვასთ“⁴⁰. როგორი ბედნიერებაა, რომ ვემსახურებით შაჰს, რომელმაც უფლება მისცა ყველა ხალხს, და ყველაზე მეტად კი ჩვენ, იცხოვროს თავისი საკუთარი კანონებითა და სარწმუნოებითო.

როგორც ითქვა, ეს პასუხი დიპლომატიური იყო. თორემ, მიუხედავად იმისა, რომ ირანელებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს ბიზანტიელებთან ომში, ცხადია, ბიზანტიელები ირანელთა მონები არ გამხდარან და არც შაჰებს უნდოდათ, რომ ყველა მათ ქვეშევრდომ ხალხს თავისი კანონებითა და სარწმუნოებით ეცხოვრა.

მართალია, კირიონის პოლიტიკური სიმპათიები, ალბათ, ბიზანტიელების მხარეზე იყო, მაგრამ შექმნილ სიტუაციაში, როგორც ვხედავთ, თავის გასამართლებლად ის არ ერიდებოდა ერთგვარ დემაგოგიასაც. ვაჰრამის ზემომოტანილ კონტექსტში მოხსენიებაც მხოლოდ მის პოლიტიკურ მოქნილობაზე ლაპარაკობს. მის სიტყვებს ხომ ვაჰრამისთვის რეალური ზიანის მიყენება არ შეეძლოთ.

39 ეპისტოლეთა წიგნი, 68.

40 იქვე, 71.

რატომ უნდა მიეწვია ქალკედონიტ ბიზანტიელ მოხელე ვაპრამს ქალკედონიტი კირიონის წინააღმდეგ ამხედრებული მოსე?

ზევით ითქვა, რომ, როდესაც კირიონი პასუხს სწერდა სმბატს, ქართლი უკვე მთლიანად ირანელთა ხელთ უნდა ყოფილიყო. მაგრამ მოსე ქართლიდან გაიქცა 605—606 წლების ზამთარში, როდესაც ქართლი, შესაძლებელია, ჯერ კიდევ გაყოფილი იყო ბიზანტიელებსა და ირანელებს შორის. ჩვენ არ ვიცით, ზუსტად როდის ჩაიგდეს ხელში ირანელებმა ქართლის ბიზანტიური ნაწილი. არც ის ვიცით, ზუსტად როდის მიმდინარეობდა მიწერა-მოწერა ვაპრამსა და მოსეს შორის.

დავუშვათ, რომ ვაპრამის მიერ მოსესთან წერილის გაგზავნისას ირანელებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დაბრუნებული 591 წ. ბიზანტიელებისთვის გადაცემული მიწები ამიერკავკასიაში. ამ შემთხვევაში ასეთი ვითარება იხატება: მიმდინარეობს ომი ბიზანტიასა და ირანს შორის. ირანელები შეტევაზე არიან გადასულები და უკვე გარკვეული უპირატესობა აქვთ მოპოვებული მცირე აზიაში. დღეს თუ ხვალ მათი ძლევამოსილი გამოჩენა მოსალოდნელია ამიერკავკასიაშიც. ამ დროს ქართლის კათალიკოსს აუმხედრდება მისი ერთ-ერთი ეპისკოპოსი, რომელიც ქართლიდან გამოიქცევა კიდევაც. კონფლიქტის მიზეზი თითქოს ისაა, რომ კათალიკოსი ქალკედონიტია, ეპისკოპოსი კი მონოფიზიტი. მაგრამ გაუგებარი მიზეზით მონოფიზიტი ეპისკოპოსი მიდის არა ირანის სომხეთში, სადაც ეკლესიაში ბატონობენ მონოფიზიტები, არამედ ჩერდება ჰოვანავანქში, რომელიც ჯერ კიდევ ბიზანტიელთა ხელშია, მონასტერში, რომლის წინამძღვარი ქალკედონიტი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, მათთან რაღაც სიახლოვეშია. ზევით ჩვენ ვნახეთ, რომ ჰოვანავანქის იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარი ბაბულასი იხსენიება მათ შორის, ვისაც სპეციალურად მოსთხოვეს ფიცი მონოფიზიტობაზე და ვინც ამის შემდეგ ქალკედონიტობიდან მონოფიზიტობაზე მოქცეულად ითვლებოდა. გავიხსენოთ ისიც, რომ ჰოვანავანქი სულ რამდენიმე კილომეტრით იყო დაშორებული ირანის სომხეთს.

ცხადია, ვაპრამს შეეძლო ეფიქრა, რომ მოსეს კირიონთან კონფლიქტის მთავარი მიზეზი საჩუმუნოების საკითხი არ უნდა ყოფილიყო. ცხადია, ასეთ დროს, როდესაც ამიერკავკასიაში არამყარი ვითარება იყო შექმნილი და ცნობილი არ იყო, რა პოზიციას დაიჭერდა მომავალში ქართლის კათალიკოსი, ბიზანტიელებისთვის ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო, მისი ოპოზიციონერი ეპისკოპოსი თავისთან ჰყოლოდათ. ჯერ ერთი, როგორც ითქვა, მთლად ცხადი არ უნდა ყოფილიყო მისი საჩუმუნოებრივი მრწამსი და მეორეც, თუნდაც ცნობილი ყოფილიყო მისი მონოფიზიტობა, ვინ იცის, როგორ შეიძლებოდა გამოსდგომოდათ ბიზანტიელებს მონოფიზიტი ეპისკოპოსი ქართლიდან,

რომელსაც დიდი კავშირები ჰქონდა როგორც ქართველ, ისე სომეხ საეკლესიო მოღვაწეებთან.

თუ ვაპრამის წერილის დაწერისას ქართლი უკვე ირანელების გამგებლობაშია, მოსე მაინც საინტერესო იქნებოდა ბიზანტიელებისათვის იმავე მიზეზების გამო: ქალკედონიტი კათალიკოსისაგან განმდგარი, იგი პირველ ხანებში მაინც ბიზანტიურ ნაწილში დადგა. ამასთან იგი ებრძოდა ირანის ხელქვეითი ქართლის მღვდელმთავარს და ამდენად შეიძლებოდა როდისმე გამოსდგომოდა ბიზანტიელებს. მართალია, თავისი ქალკედონიტობით კირონი თითქოს ბიზანტიელების მომხრედ გამოიყურებოდა, მაგრამ ეს პოზიცია შეიძლებოდა არამყარად აღმოჩენილიყო: თუ კი ირანის ქვეშევრდომს შეიძლებოდა ბიზანტიური მრწამსი მიეღო, რატომ არ შეიძლებოდა ბიზანტიურ მრწამსზე დამდგარს ირანის პოლიტიკური მხარე დაეჭირა? ერთი სიტყვით, ქართლის კათალიკოსის გავლენიანი მოწინააღმდეგის, თუნდაც მონოფიზიტის თავისთან ყოლა ბიზანტიელებისათვის ყოველმხრივ სასარგებლო უნდა ყოფილიყო.

როგორც დავინახეთ, „ეპისტოლეთა წიგნში“ არაა შეტანილი ვაპრამის წერილი მოსე ცურტაველისადმი და ამ უკანასკნელის პასუხი. როგორც აღნიშნული იყო, ვაპრამთან ურთიერთობაზე სმბატ მარზბანს შეატყობინა კირონმა, რომელიც მოსეს ამას დიდ დანაშაულად უთვლიდა. თავის გამართლების მიზნით მოსეს ვაპრამის წერილი სომხეთის კათალიკოსისთვის უჩვენებია და იგივეს აპირებდა სმბატთან. მოახერხა თუ არა მან, ეჩვენებინა სმბატისთვის ვაპრამის წერილი, არ ვიცით, ერთი კი ცხადია, რომ მას ჰქონია საკმაო საფუძველი თავის გამართლებისთვის. სმბატსა და აბრაამზე უფრო მკაცრი მსაჯული მოსესთვის ვინდა იქნებოდა? ამიტომ ვფიქრობთ, რომ საკუთარი რეაბილიტაციისთვის („ეპისტოლეთა წიგნში“ ხომ. რჩებოდა კირონის წერილი მოსეს ბრალდებით) მისთვის ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო ვაპრამის წერილისა და საკუთარი პასუხის შეტანა კრებულში. მით უმეტეს, რომ მას შეეძლო მათთვის თავისთვის სასურველი რედაქცია გაეკეთებინა და იქვე თავისი პასუხიც მოეტანა.

მოსე რომ „ეპისტოლეთა წიგნის“ შემდგენელი ყოფილიყო, იგი, ალბათ, შეიტანდა თავის სხვა წერილებსაც, რომლებიც, როგორც ითქვა, მას მიწერილი ექნებოდა თავისი მრევლისათვის. დაბოლოს, კიდევ ერთი: „ეპისტოლეთა წიგნში“ მოთავსებულია მოსეს დაწერილი „მიზეზი ორბუნიანთა მეოთხე კრებისა, მოსე ქართველთა მართლმადიდებელი ეპისკოპოსისა“. მოსე აპირებდა დაეწერა ქალკედონიანობის ისტორია, რომელიც მან მოიყვანა ზენონისა და ანასტასის მეფობამდე, შემდგომი პერიოდი კი, წყაროების უქონლობის გამო, მან ველარ დაწერა და თხოვნით მიმართა ვრთანესს, დაეწერა

მოსთვის გაგრძელება⁴¹. ვრთანესმა მოსეს თხოვნა შეასრულა⁴² (ამაზე დაწერილებით მსჯელობა იქნება ქვემოთ). მოსეს თხოვნა და ვრთანესს მიერ დაწერილი მისი გაგრძელება ამჟამად „ეპისტოლეთა წიგნში“ ცალ-ცალკეა წარმოდგენილი. მოსე რომ „ეპისტოლეთა წიგნის“ შემდგენელი ყოფილიყო, საფიქრებელია, გააერთიანებდა ამ ორ თხზულებას.

ამგვარად, ჩვენი აზრით, მოსე ცურტაველი არ უნდა იყოს „ეპისტოლეთა წიგნის“ იმ ნაწილის შემდგენელი, რომელიც მოიცავს მიწერ-მოწერას ქართულ-სომხური ეკლესიების განხეთქილების საკითხზე.

როგორც ითქვა, „ეპისტოლეთა წიგნის“ ამ ნაწილის შემდგენელი არ უნდა იყოს სხვა თანამედროვეც სომეხ-ქართველთა ეკლესიების განყოფისა, ე. ი. კათალიკოსი კომიტასიცი. „ეპისტოლეთა წიგნი“ შედგენილი უნდა იყოს კარგა ხნის შემდეგ, როდესაც ზოგიერთი წერილი, მათ შორის უმნიშვნელოვანესიც კი, მაგალითად მოვსეს ელივარდელისა. ალბათ, უკვე დაკარგული იყო, ზოგიერთი კი, მაგალითად, მოსე ცურტაველის წერილები თავისი სამწყსოსადმი, შესაძლებელია, საინტერესოდ აღარ იყო მიჩნეული და ამიტომაც არ შეიტანეს კრებულში. X ს. მეორე ნახევარში, როდესაც უხტანესი წერდა თავის ისტორიას, „ეპისტოლეთა წიგნის“ ჩვენთვის საინტერესო ნაწილი, ეტყობა, ძირითადად იმავე შედგენილობისა იყო, როგორც არის ჩვენთვის ცნობილი ნუსხა, რადგან უხტანესს მოტანილი აქვს თითქმის მთელი მასალა, მცირე გამონაკლისის გარდა.

საერთოდ, „ეპისტოლეთა წიგნი“ ტენდენციურად შედგენილი კრებულია. სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ცხადია, კრებულის სომეხ შემდგენლებს მიზნად ექნებოდათ დასახული, დაემტკიცებინათ საეკლესიო განხეთქილებაში სომხური მხარის სიმართლე და ქართულს მცდარობა. თავის დროზე ეს გარემოება აღნიშნა ივ. ჯავახიშვილმა და მიუთითა იმაზე, რომ კრებულის შემდგენლები მასში არ შეიტანდნენ ყველა იმ მასალას, რომელიც ხელსაყრელი არ იქნებოდა სომხური ეკლესიისათვის. მაგალითად, ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, კრებულში არ შეუტანიათ კირიონისა და ქართველი დიდებულებს პასუხი ვრთანესს, აგრეთვე ქართველი სამღვდელოების პასუხი აბრაამის საყოველთაო ეპისტოლეზე⁴³.

41 ეპისტოლეთა წიგნი, 44.

42 იქვე, 45—52.

43 И. Джавахов, История церковного разрыва между Грузией и Арменией в начале VII века, Известия Императорской Академии Наук, VI, № 5, 1908, 440—441. სიზუსტისათვის აღვნიშნავთ, რომ როგორც თვით

მაგრამ „ეპისტოლეთა წიგნში“ შესული წერილების ტექსტებისა და თვით მთელი კრებულის რედაქტირება მხოლოდ მისი შედგენის დროით არ შემოიფარგლებოდა. უეჭველია, კრებულს თავის ხელს დაამჩნევდნენ მოგვიანო რედაქტორებიც. ცნობილი სომეხი ისტორიკოსი ნ. აღონცი წერს: «Настроения и тенденции последующих веков часто отражались на положении вещей давно минувших времен, и иной ревнитель родного благочестия умышленно или бессознательно вносил коррективы в старину по новому понимая и соответственно искажая старое. «Книга посланий» не избегла этой участи. не только она разрослась по объему, но и отдельные статьи ее не миновали вмешательства посторонних рук»⁴⁴.

ცვლილებები, რომლებიც განიცადა „ეპისტოლეთა წიგნმა“ სხვადასხვა ხასიათისა იყო და ისინი კრებულის სხვადასხვა, მეტნაკლებად განსხვავებულ, რედაქციებს შექმნიდნენ. ზოგიერთ შემთხვევაში, როგორც ეს კარგად აჩვენა ზ. ალექსიძემ, ტექსტში ჩამატებებია გაკეთებული⁴⁵. მსიგე აზრით, შესაძლებელია, კრებულში მოგვიანებით შეტანილი იყო მთელი თავებიც კი⁴⁶, ან წერილების სხვა დაყოფა იყო⁴⁷, ხოლო ცალკეული წერილის დასათაურება საერთოდ გვიანდელია⁴⁸. როგორც ჩანს, ერთგვარი არ იყო წერილების თანამიმდევრობაც, ზოგიერთ ნუსხაში კი აკლდა ესა თუ ის წერილი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა უხტანესის სიტყვები: „სმბატ ერკანის მარზპანის ეპისტოლე თავის ადგილზე დაწერილი ვერ ვიპოვე „ეპისტოლეთა წიგნში“, რომელიც [ხელთ] შემხვდა. ამიტომ აქაც კი გადავცდით და გამოგვრჩა. რადგან საქმის ვითარება გვაფიქრებინებდა, რომ აბრაამის მიერ კირონისადმი [მიწერილი] პირველი ეპისტოლეს შემდეგ უნდა ყოფილიყო, მოქმდებნეთ სხვა ცალში [და] ვიპოვეთ ისე, როგორც ვფიქრობდით“⁴⁹. როგორც ვხედავთ, უხტანესის ხელთ არსებულ ნუსხაში სმბატის წერილი საერთოდ არ ყოფილა და უხტანესის-მისთვის სხვა ნუსხაში მიუკვლევი.

„ეპისტოლეთა წიგნიდან“ ჩანს, კირონს ვრთანესისთვის საერთოდ არ მოუწერია (ეპ. წ., 43, 45). რაც შეეხება დიდებულების პასუხს, მათი კრებულში არ შეტანის მიზეზზე ქვემოთ გვექნება დაწერილებით ლაპარაკი.

⁴⁴ Н. Адонц, Амплий епископ Херсонский (К критике армянской Книги посланий), Христианский Восток, II, 1913, 175—176. ეს ადგილი მოტანილია „ეპისტოლეთა წიგნში“ (046).

⁴⁵ ეპისტოლეთა წიგნი, 040—041, 049—050.

⁴⁶ იქვე, 138, შენ. 1.

⁴⁷ იქვე, 145, შენ. 1.

⁴⁸ იქვე, 143—144.

⁴⁹ უხტანესი, 147.

მაგრამ ზემოთქმულმა, ცხადია, არ უნდა გვაფიქრებინოს, რომ „ეპისტოლეთა წიგნის“ ყოველი ნუსხა ცალკე რედაქციას წარმოადგენდა. როგორც ითქვა, უხტანესის მიერ „ეპისტოლეთა წიგნიდან“ მოტანილი მასალა გვიჩვენებს, რომ X ს. მეორე ნახევრისათვის, როდესაც წერდა უხტანესი, და, ალბათ, უფრო ადრეც „ეპისტოლეთა წიგნი“ ძირითადად ის სახე ჰქონდა, რომლითაც მან მოაღწია ჩვენამდე. არც ისე უნდა გავიგოთ, თითქოს „ეპისტოლეთა წიგნი“ იმდენად ტენდენციურად იყოს შედგენილი, რომ მას მნიშვნელოვანი საისტორიო წყაროს ფასი არა ჰქონდეს. „ეპისტოლეთა წიგნი“ დაცულია ისეთი მასალები, რომლებიც ყოველთვის როდი არიან სომხური ეკლესიისთვის ხელსაყრელი (მაგალითად, კათალიკოს კირიონის წერილები). თანაც ეს მასალები დაცული არიან საკმაოდ კარგად. ყოველ შემთხვევაში, იმის დასადგენად, რომ ეს მასალები ტენდენციურად არიან რედაქტირებული, სპეციალური კვლევის ჩატარებაა საჭირო. ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში „ეპისტოლეთა წიგნი“ არ არის ისეთი მასალა, რომელიც, უეჭველად, ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო სომხური ეკლესიისათვის (მაგალითად, მოვსეს ელივარდელის წერილი კირიონს).

ამგვარად, „ეპისტოლეთა წიგნი“ და მასთან უხტანესის „ისტორია“ კიდევ ხანგრძლივი კვლევის საგანი იქნება სხვადასხვა სპეციალისტისთვის. ჩვენ კი აქ რამდენიმე მცირე წინასწარული დაკვირვება გვინდა წარმოვადგინოთ:

1. ჩვენი დაკვირვებები პირველ რიგში შეეხება წერილების ქრონოლოგიას. ცხადია, წერილების ზუსტი ქრონოლოგიის დადგენა დაზუსტებს მოვლენათა მიმდინარეობას. ამასთან, წერილების თანამიმდევრობასა და ქრონოლოგიას, შესაძლებელია, გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდეს საერთოდ „ეპისტოლეთა წიგნის“, როგორც მთელი კრებულის, ისტორიისთვისაც.

საინტერესოა, რომ წერილების ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დადგენით დაინტერესებული ყოფილა ჯერ კიდევ უხტანესი, რომელსაც ამ საკითხზე გამოთქმული აქვს რიგი სწორი დაკვირვებებიც. მათ ქვემოთ, თავ-თავის ადგილას, შევხებით.

ზ. ალექსიძე შენიშნავს: „კრებულში წერილებს რიგი ქრონოლოგიურ პრინციპს ემორჩილება. როგორც ჩანს, ასეთი რიგი დაცული იყო ყველა რედაქციაში და სავალდებულოდ ითვლებოდა“⁵⁰ და შემდეგ: „ეპისტოლეთები კრებულში თავისი მნიშვნელობის მიხედვითაც არის დალაგებული“-ო⁵¹. ეს დებულებები ზოგადად სწორია, მაგრამ,

50 ეპისტოლეთა წიგნი, 028.

51 იქვე, 030.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, არის მთელი რიგი გადახვევებისა ამ პრინციპებიდან. მაგალითად, ზოგიერთ შემთხვევაში წერილები დალაგებულია შინაარსის მიხედვითაც (წერილი — მისი პასუხი). არის სხვა გადახვევებიც.

ქართულ გამოცემაში წერილები დალაგებულია იმავე თანამიმდევრობით, როგორც სომხურში. ქვემოთ ტექსტზე ლაპარაკისას ყოველთვის მხედველობაში გვექნება ქართული გამოცემა. ამავე წერილების ნუშერაციას მოვიტანთ ქართული გამოცემის თანახმად (რომაული ციფრებით).

მაგრამ ჯერ ორიოდ სიტყვით იმ ამბებზე, რომლებიც წინ უსწრებდნენ სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების დასაწყისს.

591 წ. ბიზანტიის იმპერატორი მავრიკე დაეხმარა ირანელ უფლისწულს ხოსროს, დაემარცხებინა აჯანყებული ბაჰრამ ჩუბინი და დაებრუნებინა მამისეული ტახტი. ამ დახმარების სანაცვლოდ ხოსრომ შავრიკეს მისცა ქართლის დასავლეთი ნაწილი თბილისამდე და სომხეთის დიდი ნაწილი. ბიზანტიელებმა სომხეთის თავის ნაწილში დიოფიზიტი კათალიკოსი ჰოპანესი დასვეს. ირანულ ნაწილში კი კათალიკოსად დარჩა მოვსეს ელივარდელი. ქართლში, როგორც ჩანს, კვლავ ერთი საკათალიკოსო საყდარი იყო. VI ს. ბოლოს, უხტანესის თანახმად, 599/600 წ. სომხეთის მონოფიზიტმა კათალიკოსმა მოვსეს ელივარდელმა ქართლის კათალიკოსად აკურთხა კირიონი, რომელიც მანამდე სომხეთში იყო, იქ იგი მოვსეს ელივარდელს დანიშნული ჰყავდა „წმიდა კათოლიკე მონასტრის უხუცესად, აგრეთვე ქორეპოსკოპოსად“ და მას ჩაბარებული ჰქონდა „აირარატის გავარი სამწყსოდ“⁵². ამ თანამდებობაზე კირიონი ხუთ წელიწადს ყოფილა.

თავისი კათალიკოსობის პირველსავე წელს კირიონს ცურტავის ეპისკოპოსად დაუნიშნავს ვინმე მოსე. უხტანესის ცნობით, კირიონი პირველი ოთხი წელი „ემორჩილებოდა ჰემმარიტებს“⁵³, შემდეგ კი მას შეუწყალებია ნესტორიანი ეპისკოპოსი. ამის გამო მოვსეს ელივარდელს წერილი მიუწერია კირიონისთვის მისი მოქმედების გამოთით, რაზედაც მიუღია კირიონის პასუხი თავისი შეცდომის აღიარებით.

604 წ. გარდაიცვალა მოვსეს ელივარდელი. მომდევნო წელს მოხდა კონფლიქტი კირიონსა და მის მიერ ხელდასმულ მოსე ცურტაველს შორის. ეს უკანასკნელი გაიქცა ქართლიდან სომხეთში და გაჩერდა ჰოვანავანქში (არაგაწოტნის ოლქი), იოანე ნათლისმცემლის მონასტერში. აქედან მოსემ დაიწყო წერილების წერა სხვადასხვა მი-

⁵² უხტანესი, 21.

⁵³ იქვე, 25.

მართულებით. ამ წერილების ნაწილი შემონახულია „ეპისტოლეთა წიგნში“.

„ეპისტოლეთა წიგნში“ მოტანილი მოსეს პირველი წერილის სათაურია: „ეს პირველი ეპისტოლე მისწერა მოსე ეპისკოპოსმა წმიდა გრიგოლის ადგილის მცველს⁵⁴ ვრთანეს ქერდოლს“⁵⁵.

მოსე მოკლედ უამბობს ვრთანესთავის სასულიერო კარიერაზე, რომ მან განათლება ცურტავის საეპისკოპოსოს სკოლაში მიიღო და ცურტავივე გახდა პიტიახშის კარის ეპისკოპოსი. შემდეგ იგი ლაპარაკობს იმაზე, თუ რამ აიძულა იგი, მიეტოვებინა თავისი მრევლი და სომხეთში გაქცეულიყო. „როდესაც გავიგე, რომ ქართველებმა მიიღეს ქალკედონის კრების განსაზღვრება, მტერი გავუხდი მათს კათალიკოსს, ყველა მთავარს და იმ ქვეყანასო. ამის გამო გამდევნეს და თქვენთან წამოვედი, მაგრამ დიდმა თოვლმა არაგაწის ძირას, იოანე ნათლისმცემლის მონასტერში (პოვანავანქში), შემაჩერაო. რაც გადამხდა, ყველაფერს შეიტყობთ მაგ ყრმისაგან“—ო (წერილის მიმტანისაგან, ნ. ჯ.) და, რაც ჩვენთვის აქამდე ყველაზე საყურადღებოა, უმატებს: „მაგრამ ჯერ-ხნობით მე მივეწერე ცურტავის ექლესიის სომხურენოვან სამწყსოს. თქვენც ბრძანეთ და მისწერეთ, რადგანაც თავგამოდებული არიან მართლმადიდებლური სარწმუნოებისათვის. დაე, იმ წვლებას უფრო მოერიდნენ. მეც წერილით რჩევა-დარიგება გამომიგზავნეთ და თქვენი სიწმინდის სიმრთელე მაცნობეთ“—ო⁵⁶.

როგორც ვხედავთ, სანამ ვრთანეს: მისწერდა, მოსეს ცურტავის სომხურენოვანი თემისათვის გაუგზავნია წერილი. უეჭველია, რომ ცურტავის თემისადმი გაგზავნილი წერილი უნდა იყოს ის, რომელიც მესამე ნომრითაა დაბეჭდილი და სათაურად აქვს „მოსე ეპისკოპოსის საყოველთაო ეპისტოლე“⁵⁷. სათაურს რომ თავი დაეკანებოთ, თვით წერილის ტექსტშიცაა ნათქვამი, რომ იგი დაწერილია მოსეს მიერ, რომელიც მიმართავს „სომხურენოვან თემს, მაგ. ცურტავის ეკლესიისას“⁵⁸. ამასვე გვიჩვენებს წერილის მთელი შინაარსიც. მოსე სწერს

54 ასე თარგმნის, ვფიქრობთ, საესეებით დასაბუთებულად ზ. ალექსიძე იმ თანამდებობას, რომელიც დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ნიშნავს სომხეთის კათალიკოსის მოვალეობის შემსრულებელს. ამ თანამდებობას ვრთანეს ქერდოლი ასრულებდა 604 წლიდან, როდესაც გარდაიცვალა მოსეს ელივარდელი, 607 წლამდე, როდესაც მის მაგივრად ახალ კათალიკოსად არჩეულ იქნა აბრაამ ალბათანელი.

55 ეპისტოლეთა წიგნი, 1—3.
56 ეპისტოლეთა წიგნი, 3. აქ და შემდგომში ხაზგასმა მუდამ ჩვენია.
57 იქვე, 4—14.
58 იქვე, 5.

მთელ თავის სამწყსოს, უფრო ზუსტად, მის სომხურენოვან ნაწილს. „გულმოდგინედ მსმენელთათვის და საზოგადოდ წმიდა ეკლესიის ყველა მსახურთათვის ერთობლივი კრებულთათვის“⁵⁹. მოსე ხაზგასმით მიუთითებს, რომ მორწმუნეთა ხელმძღვანელებად, წინამძღვრებად ღმერთი ნიშნავს მათ შორის საუკეთესოებს. მაგრამ ვინც ეურჩება მის ნებას — ისჯებაო. მეც მომიწია ეპისკოპოსობამ და თუმცა „ჩვენს უძლურ ბუნებას აღემატებოდა შუამავლად ყოფნა ღმერთსა და კაცს შორის“, მაგრამ წესი მორჩილებას მოითხოვდა და მეც „გულმოდგინედ ვისმინე მოწოდება“-ო⁶⁰. როდესაც „მადლწარწყმედილებმა“ ღმრთის გმობა დაიწყეს, — ცხადია, მოსეს უნდა შეესრულებინა თავისი ვალი — ვერ გაეჩუმდი, წინააღმდეგ აღვიძარი და ვამხილე ისინი, რის გამოც მღვდელმთავრებმა და მთავრებმა გამაძევესო. რათა მკრთველმა არ გაამტყუნოს მოსე თავისზე უფროსების წინააღმდეგ გამოსვლისათვის, იგი ასაბუთებს თავის მოქმედებას: „ასე მგონია, რომ მაგალითად, სამსჯავროში ჩასაგდები ვიქნებოდი, თუ სენი მეცოდინებოდა და დავფარავდი“⁶¹. ამ სიტყვებს მოსდევს საკმაოდ ვრცელი მსჯელობა ამავე საკითხზე. შემდეგ მოსე ლაპარაკობს თავისი წერილის მიზანზე: „საჭიროდ ვცან ამ გამაფრთხილებელი წერილით ყურში მეთქვა მაგ თქვენი ღმრთისმოყვარებისათვის, რომ იყოთ ფრთხილად და ფხიზლად უფლის უარმყოფელთა და უფლის მკვლელთა განმადიდებელთა ქალკედონის კრებასთან კავშირისაგან“⁶². ამის შემდეგ მოსე ხსნის ორბუნებიანობის არსს და მოუწოდებს თავის მკითხველებს, ილოცონ შემცდართათვის, რათა ისინი დაუბრუნდნენ ჰემმარიტ სარწმუნოებას.

ამრიგად, მესამე წერილს სათაურადაც და შინაარსიც სავესებით აღსატურებენ აზრს, რომ იგი სწორედ ის წერილია, რომელიც მოხსენებულია ვრთანესისადმი გაგზავნილ პირველ ეპისტოლეში. პირველი წერილის განხილვისას ჩვენ ვნახეთ, რომ მესამე წერილი მასზე ადრე დაიწერა, მაშასადამე, პირველ (ქრონოლოგიურად) ადგილზე უნდა გადავიდეს მესამე წერილი, ხოლო მეორეზე — პირველი.

თავის წერილს ცურტავის სომხურენოვანი თემისადმი მოსე დაწერდა, ალბათ, პოვანავანქში ჩასვლისთანავე, ან ძალაღან ძალე ამის შემდეგ, ე. ი. 605/606 წლების ზამთარში, როდესაც იგი გაიქცა ქართლიდან სომხეთში.

59 იქვე.

60 იქვე, 7.

61 იქვე, 8.

62 იქვე, 9.

თავის პირველ წერილში ვრთანესს მოსე სწერს, რომ ჰოვანავან-
ქის მონასტერში იგი შეაფერხა ზამთრის სიფიცხემ და ზვაებმა. მაგ-
რამ დვინი, სადაც იმყოფებოდა ვრთანესი, სულ ახლოს იყო, შეიძლე-
ბა ითქვას, რამდენიმე კილომეტრით იყო დაცილებული, ჰოვანა-
ვანქს. ამიტომაც, რომ მოსე თითქოს ბოდიშობს დაგვიანებას. ეს გვა-
ფიქრებინებს, რომ მოსემ თავისი წერილი ვრთანესს ცოტა მოგვიან-
ებით, თუმცა კი, ცხადია, იმავე 605/606 წლების ზამთარში, მ-სწერა.
ზომ რაღაც დროს უნდა გაეგლო, რომ მოსეს საფუძველი ჰქონოდა
ეთქვა, დავყოვნდით. ეს გვაფიქრებინებს, რომ ცურტავში უფრო
ადრე მიიღებდნენ მოსეს წერილს, ვიდრე დვინში და, შესაძლებელია,
პასუხსაც („V. მოსე ეპისკოპოსსა ეპისტოლეს პასუხი“)63 უფრო ადრე
მისწერდნენ მას, ვიდრე ვრთანესი. მოსეს და ვრთანესის წერილებში
იხსენიება მოსეს „ყრმა“, რომელსაც მიმოაქვს წერილები. როგორც
ვრთანესისადმი მიწერილ მოსეს პირველი წერილიდან ჩანს, სწორედ
ამ „ყრმას“ წაუღია ეს წერილი ვრთანესთან64. საფიქრებელია, რომ
მანვე წაიღო უფრო ადრე მოსეს წერილი ცურტავშიც. გამორიცხული
არაა, რომ ცურტაველებმა თავისი პასუხი მასვე გაატანეს მოსეს-
თან (თუმცა მოსეს წერილიდან ვრთანესს არა ჩანს, რომ მას ეს წერი-
ლი უკვე მიღებული ჰქონდეს).

„ეპისტოლეთა წიგნი“ მეორე ნომრად მოთავსებულია ვრთანე-
სის პასუხი მოსეს („II. ვრთანესის პასუხი მოსეს ეპისტოლეზე“)65.
ვრთანესი ატყობინებს მას, რომ შეასრულა მისი თხოვნა და წერილი
გაუგზავნა ცურტავის სომხურენოვან თემს66. ცხადია, რომ ვრთანესის
პასუხი მოსეს უფრო გვიანდელია, ვიდრე მისი წერილი ცურტაველებს.
ეს უკანასკნელი კი, უეჭველია, არის მეექვსე წერილი — „VI. უფალ
ვრთანეს ქერდოლის საყოველთაო ეპისტოლე“67, რომლითაც იგი ატ-

63 ეპისტოლეთა წიგნი, 29—31.

64 მოსე სწერს ვრთანესს: „თუ როგორ შემაფერხა ზამთრის სიფიცხემ და ზვა-
ებმა წმინდა იოანე ნათლისმცემლის მონასტერში, ... მაგას შეიტყობთ მაგ ყრმი-
საგან“-ო (ეპ. წიგნი, 2—3).

65 ეპისტოლეთა წიგნი, 3—4.

66 უხტანესთან ეს ადგილი რამდენადმე სხვაგვარადაა. თუ „ეპისტოლეთა წიგ-
ნის“ მიხედვით ვრთანესმა უკვე გაუგზავნა წერილი ცურტაველებს („წერილი რომ
მხოვე სომხურენოვანთთვის, შევასრულე“, „ეპ. წიგნი“, 4), უხტანესთან წერილი
ჯერ კიდევ გაგზავნილი არაა, ვრთანესი მხოლოდ ჰპირდება მოსეს ამის გაკეთებას:
„წერილი რომ მხოვე სომხურენოვანთთვის, ღმრთის მადლით ვასრულებთ. ვუგ-
ზავნით, აგრეთვე, კირონსა და იმ ქვეყნის მთავრებს ღმრთის წინამძღვრობით“ (უხ-
ტანესი, 55). ზ. ალექსიძემ საეციალურად გაარჩია ეს ადგილი უხტანესთან და საე-
ციალურად სამართლიანად დაასკვნა, რომ ცვლილება ეკუთვნის უხტანესს (უხტანესი,
251—253).

67 ეპისტოლეთა წიგნი, 31—33.

ყობინებს ცურტავის სომხურენოვან თემს, რომ მან გაიგო ქართლის ეკლესიისა და მთავრების მიერ ქალკედონური მრწამსის მიღება და ამხნევებს ჰემარიტი სარწმუნოების დამცველთ.

ზემოთ ითქვა, რომ, როგორც ჩანს, მოსემ თავისი პირველი წერილი ერთანეს ქერდოლს ჰოვანავანქში ჩასვლიდან რამდენადმე დაყოვნებით მიწერა. უნდა ვიფიქროთ, რომ არც ერთანესი მისწერდა ცურტაველებს მოსეს წერილს მიღებისთანავე. ასეთ საპასუხისმგებლო წერილს ერთანესი ისე არ გაგზავნიდა, რომ ამბავი არ გაეკითხა, ზოგი რამ შეემოწმებინა და ზოგი საქირო ცნობა შეეჯროვებინა. მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ თუმცა მოსე ქართლიდან გამოიქცა, მაგრამ მაინც ჰოვანავანქში შეჩერდა, რომელიც ჯერ კიდევ, ალბათ, ბიზანტიელებს ეკავათ. მართალია, ჰოვანავანქში გაჩერების მიზეზად მოსე ზამთრის სიფიცხეს ასახელებდა. მაგრამ რამდენ ხანს იქნებოდა გზამოწყვეტილი დაბლობზე მდებარე ჰოვანავანქი? ყოველ შემთხვევაში საფიქრებელია, რომ ამ გარემოებას ერთანესის მეტი სიფრთხილე გამოეწვია.

საფიქრებელია, თავის საპასუხო წერილს მოსესადმი („II. ერთანესის პასუხი მოსეს ეპისტოლეზე“) ⁶⁸ ერთანესი ცურტაველებთან წერილს გაგზავნისთანავე დაწერდა.

„ეპისტოლეთა წიგნი“ მეშვიდე ნომრით წარმოდგენილია ცურტაველების პასუხი ერთანესს („VII. უფალ ერთანესის ეპისტოლის პასუხი“) ⁶⁹. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს წერილი უფრო გვიან დაიწერებოდა, ვიდრე ცურტაველების პასუხი მოსეს. როგორც ვნახეთ, წერილების თანამიმდევრობა ასეთი იყო: 1. მოსე ცურტაველებს, 2. მოსე ერთანესს (მოგვიანებით), 3. ერთანესი ცურტაველებს (ისევ დაგვიანებით). თანაც, ჩანს, ერთანესის წერილები ქართლში და მისი პასუხები მოსეს ხელში გადის. ცხადია, ცურტაველები მოსეს წერილს მნიშვნელოვნად უფრო ადრე მიიღებდნენ, ვიდრე ერთანესისას და შესაბამისადაც პასუხს უფრო ადრე მოსეს გაუგზავნიდნენ.

აქ მთავრდება მიწერ-მოწერის პირველი, თუ შეიძლება ასე ითქვას, საშინაო ეტაპი, როდესაც წერილებს ერთმანეთს სწერენ მხოლოდ სომეხი მღვდელმსახურები და სომხური მრევლი. ეს ეტაპი ქრონოლოგიურად, როგორც ჩანს, მოიცავს 605—606 წლების ზამთარს და გაზაფხულის ნაწილს.

მეორე ეტაპზე წერილები ეგზავნებათ უკვე ქართლის მესვეურებსაც.

⁶⁸ ეპისტოლეთა წიგნი, 3—4.

⁶⁹ იქვე, 33—35.

მოსე სწერს ვრთანეს ქერდოლს („VIII. მოსე ეპისკოპოსის მეორე ეპისტოლე ვრთანეს ქერდოლს“)70 და სთხოვს მას, მისწეროს ერთი წერილი ქართლის კათალიკოს კირიონსა და ქართველ დიდებულებს: ატრნერსეს, ვაპანსა და ბრზმიპრს და მეორეც ვინმე პეტრეს, რომელიც უხტანესის თანახმად ქართლელი ეპისკოპოსი იყო71. სომხური ტრადიციის თანახმად, პეტრე, თითქოს, მონოფიზიტი უნდა ყოფილიყო72.

მართლაც, „ეპისტოლეთა წიგნში“ ორი წერილია: „X. უფალ პეტრეს ვრთანესისაგან“73 და „XI. უფალ კირონს ვრთანესისაგან“74. როგორც ირკვევა, მათი თანამიმდევრობა სწორი არაა. მეათე წერილში („უფალ პეტრეს ვრთანესისაგან“) ვრთანესი სწერს პეტრეს: „მიეწერეთ მაგ საქმეების გამო მაგ კათალიკოსსა და სხვა მთავრებს“-ო75.

მამასადამე, მეთერთმეტე წერილი მეათეზე ადრეა დაწერილი. საინტერესოა, რომ უხტანესთან წერილების თანამიმდევრობა სწორადაა წარმოდგენილი: ჯერ ვრთანესის წერილია კირიონისა და მთავრებისადმი, ხოლო შემდეგ კი ვრთანესის წერილი პეტრეს76. თავის დროზე ეს შენიშნა ზ. ალექსიძემაც: „ეპისტოლეთა წიგნში“ ვრთანესის წერილი პეტრე ეპისკოპოსის მიმართ წინ უსწრებს ვრთანესისავე ეპისტოლეს კირონ ქართლის კათალიკოსისადმი იმ დროს. როცა უხტანესთან პირიქით არის წარმოდგენილი. ვფიქრობთ, უხტანესს ვარიანტი უფრო სწორი უნდა იყოს. ეპისტოლეები კრებულში თავისი მნიშვნელობის მიხედვითაც არის დალაგებული და, ცხადია, კირონ კათალიკოსთან გაგზავნილ წერილს ამ მხრივ უპირატესობა უნდა მიეცეს“77.

როგორც ზევით ვნახეთ, მეათე წერილში პირდაპირი მითითებაა იმაზე, რომ მეთერთმეტე წერილი უფრო ადრე დაიწერა.

ძნელი სათქმელია, წერილების სწორი თანამიმდევრობა დაცული იყო „ეპისტოლეთა წიგნის“ იმ ნუსხაში, რომლითაც ისარგებლა უხტანესმა, თუ ისინი თვით მან გადაადგილა მათი მნიშვნელობის მიხედვით, ან იმატომ, რომ მანაც შენიშნა ის ტექსტობრივი მონაცემი, რომელზედაც ზევით ვილაპარაკეთ.

როგორც უკვე ითქვა, ეს წერილები მოსე ცურტაველის თხოვ-

70 ეპისტოლეთა წიგნი, 35—36.

71 უხტანესი, 23.

72 ეპისტოლეთა წიგნი, 38; უხტანესი, 53.

73 უხტანესი, 38—40.

74 იქვე, 40—43.

75 იქვე, 39.

76 იქვე, 77—81 და 81—83.

77 ეპისტოლეთა წიგნი, 030.

ნით დაწერა ვრთანესმა და ორივე წერილი დაახლოებით ანალოგიური შინაარსისაა. ამიტომ ისინი დაახლოებით ერთ დროს უნდა იყვნენ დაწერილები. თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ მათ დაწერას შორის რაღაცა დრომ გაიარა. ზემოხსენებულ ორ წერილს წინ უძღვის ვრთანესის პასუხი მოსეს („IX. მოსეს ეპისტოლეს პასუხი“)⁷⁸, რომელშიც ნათქვამია: „წერილი, რომელიც გვთხოვეთ კათალიკოსად წოდებულისა და იმ ქვეყნის სხვა მთავართა მიმართ, დავწერეთ, როგორც ღირსი იყო. მაგრამ, რომელიც ყრმისათვის [გასატანებლად] იყო დაწერილი, ჯერ ერთი გულნაკლულობისა და, მეორეც, დროის სიძნელის გამო შესაძლებლობა არ მოგვეცა, რომ გამოგვეგზავნა. უფალო, ბრალს ნუ მღებ. დაე შენმა ყრმამ მოიტანოს პასუხი, რათა ჩვენ იმის მიხედვით შევიტყოთ, რომ თუ მოჰმადლა ყოვლადწმიდა საპების მოწყალებამ და მაგ წერილთაგან მშვიდობა იქმნა, როგორც გვაქვს კიდევაც იმედი, კარგი იქნება, თუ თქვენ თქვენს წმიდა ეკლესიას მიიღწევთ ბრწინვალე სახელით...“⁷⁹.

მოტანილი სიტყვები ჩვენთვის მთლად გასაგები არაა. მოსე ცურტაველი ასე სწერდა ვრთანესს თავის თხოვნას ქართლში წერილების გაგზავნაზე: „ამჟერად ბრძანეთ და მისწერეთ ერთი წიგნი კათალიკოსად წოდებულს, ატრნერსეს, ვაჰანს და ბრზმიჰრს ქალდეკონის კრების მხილებით და ერთი დავალების წიგნი — პეტრეს. თვითეული მათგანი თქვენი მოწაფის ხელით გამოგზავნეთ, რომ ჩემმა ყრმამ წაიღოს და მიიტანოს მშვიდობით ქრისტე ღმერთის მადლით“⁸⁰. ვრთანესის პასუხში რამდენიმე საკითხია გაუგებარი: 1. ვრთანესი ამბობს, რომ მან დაწერა წერილი „კათალიკოსად წოდებულისა და იმ ქვეყნის სხვა მთავართა მიმართ“. პეტრეს წერილი აქ არ იხსენიება. გამოდის, რომ ეს უკანასკნელი მას ჯერ არ დაუწერია (ისიც რომ დაწერილი იყო, ეს ხომ უკვე ვნახეთ). თუ კი ვრთანესს შემთხვევით არ გამოჩნა მისი მოხსენიება, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ორი წერილის დაწერას შორის რაღაც, ალბათ მცირე, დროს გაუვლია. 2. მოსე სთხოვდა ვრთანესს, წერილები თავისი მოწაფის ხელით გაეგზავნა მასთან, მე კი ჩემი ყრმის ხელით გავაგზავნი ქართლშიო. ვრთანესის პასუხი გაუგებარია: „...რომელიც ყრმისათვის [გასატანებლად] იყო დაწერილი, ჯერ ერთი, გულნაკლულობისა და, მეორეც, დროის სიძნელის გამო შესაძლებლობა არ მოგვეცა, რომ გამოგვეგზავნა. უფალო,

⁷⁸ ეპისტოლეთა წიგნი, 37—38.

⁷⁹ იქვე, 37.

⁸⁰ ქართულ თარგმანშია „მისწერეთ“. უფრო ზუსტია „მისწერეთ“. ასეა თარგმნილი უბტანესის შესაბამისი ადგილი (უ ბ ტ ა ნ ე ს ი, 75).

ბრალს ნუ მდებ. დაე შენმა ყრმამ მოიტანოს პასუხი“... რაზე იხდის ბოდიშს ვრთანესი?

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ, როგორც ჩანს, ვრთანესს დააგვიანდა წერილის გაგზავნა.

შემდეგ, როგორც ვნახეთ, მოსეს თანახმად, ვრთანესის წერილები მის მოწაფეს უნდა მიეტანა მოსესთან, რომელიც თავის ყრმას გაატანდა მათ ქართლში. ვრთანესის პასუხიდან ჩანს, რომ იგი რალაცამ დააბრკოლა. ან მან თავისი მოწაფე ვერ გაუგზავნა მოსეს და წერილი დაგვიანებით გაუგზავნა ვინმე გზად მიმავალი პირის ხელით, ან მოთმინებადაკარგული მოსე ველარ დაელოდა ვრთანესის მოწაფეს და იძულებული გახდა თავისი ყრმა მასთან გაეგზავნა წერილის წამოსაღებად.

იქნებ, ვრთანესი იმაზეც იხდის ბოდიშს, რომ ჯერ მხოლოდ ერთი წერილი გაგზავნა?

რას გულისხმობს ვრთანესი, როდესაც წერს, რომ წერილს მისი „გულნაკლულობის“ გამო დააგვიანდა? უფრო გასაგებია ეს ადგილი უხტანესთან: „ამ ბიჭის შესახებ რომ მოგიწერია, ღროის სიძნელის გამო ვერ შევძელით გამოგვეგზავნა; უფალო, ბრალს ნუ დამდებ. დაე შენმა ბიჭმა წაიღოს და პასუხი მოიტანოს“⁸¹. რატომ წერს ვრთანესი: „დაე შენმა ბიჭმა წაიღოს და მოიტანოს“-ო? ამას ხომ თვით მოსე პირდებოდა, ოღონდ თქვენმა მოწაფემ ჩემთან მოიტანოს წერილი, მერე კი ჩემი ყრმა წაიღებსო. ვფიქრობთ, უხტანესის სიტყვები მხარს უჭერს იმ ვარაუდს, რომ ვრთანესის დაგვიანების გამო მოსე იძულებული გახდა თავისი ყრმა გაეგზავნა მასთან, როგორც ეს უკვე ითქვა. ამას ადასტურებს ისიც, რომ მოსე თავის მესამე ეპისტოლეში ვრთანესს სწერს: „წერილი, რომელიც მისწერე კათალიკოსად წოდებულს და იმ ქვეყნის სხვა მთავრებს, გავატანე ჩემ ყრმას და ეხლა მოვიდა“-ო⁸².

აქ ჩვენს ყურადღებას იქცევს ისიც, რომ ისევე, როგორც ვრთანესი, მოსეც მხოლოდ კირიონისა და მთავრებისადმი მიწერილ წერილზე ლაპარაკობს და არ ახსენებს პეტრეს. აღსანიშნავია, რომ ამ ადგილას უხტანესთან პეტრეც იხსენიება: „წერილი რომ მოსწერე კათალიკოსად წოდებულს, იმ ქვეყნის სხვა მთავრებსა [და პეტრეს, რომელიც ვითხოვე თქვენი სიწმიდისაგან], გავატანე ჩემს ბიჭს და ეხლა მოვიდა“⁸³. როგორც ზევით ვნახეთ, პეტრე არ იხსენიება „ეპისტოლეთა წიგნში“ დაცულ ვრთანესისა და მოსეს წერილებში და

81 უ ხ ტ ა ნ ე ს ი, 77.

82 ეპისტოლეთა წიგნი, 43.

83 უ ხ ტ ა ნ ე ს ი, 87.

თვით უხტანესთან დაცულ ვრთანესის წერილში. ეს გვაფიქრებინებს, რომ მოსეს წერილში პეტრე თვით უხტანესის ჩამატებულია. მან ხომ იცოდა, რომ საბოლოო ანგარიშში წერილი გაეგზავნა პეტრესაც.

ასე თუ ისე, როგორც ჩანს, ვრთანესმა კირიონსა და სხვა დიდებულებს წერილი საკმაო დაგვიანებით გაუგზავნა. შესაძლებელია, კიდევ უფრო დააგვიანა პეტრეს წერილმა. ამიტომ დამაჯერებლად გვეჩვენება ის აზრი, რომ მისი წერილი პეტრესადმი, რომელიც იმავე ხანებში ან ცოტა უფრო გვიან დაიწერა როგორც კირიონისადმი მიწერილი, დაახლოებით 606 წ. ზაფხულით უნდა დათარიღდეს⁸⁴.

რაც შეეხება ვრთანესის პასუხს მოსე ცურტაველისადმი, როგორც ვნახეთ, იგი ან მეთერთმეტე („XI უფალ კირიონს ვრთანესისაგან“) და მეათე („X უფალ პეტრეს ვრთანესისაგან“) წერილებს შორის დაიწერა ან მათ შემდეგ.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ვრთანესისაგან ქართლში გასაგზავნი წერილების დაგვიანება შემთხვევითი არ უნდა იყოს. იგი, თითქოს, ფეხს ითრევს და არ უნდა ამ წერილების გაგზავნა ქართლში. ამას გვაფიქრებინებს მისი სიტყვები: „ჯერ ერთი გულნაკლულობისა და, მეორეც, დროის სიძნელის გამო შესაძლებლობა არ მოგვეცა“ მათი გაგზავნისათვის. ადვილი წარმოსადგენია, რამდენად საჩქარო უნდა ყოფილიყო ამ წერილების გაგზავნა მოსესთვის, რომელსაც თავისი საყდარი და სამწყსო მიეტოვებინა და თავის ადგილზე სხვა ეპისკოპოსის დასმის საშიშროება ელოდა.

ვრთანესის ზემოხსენებულ ეპისტოლეებს მოსდევს მეთორმეტე — „XII. მოსე ეპისკოპოსის მესამე ეპისტოლე ვრთანეს ქერდოლს“⁸⁵. ამჟამად ეს ეპისტოლე ჩვენ ორი საკითხის გამო გვინტერესებს.

მოსე უამბობს ვრთანესს, როგორ გადასცეს ამ უკანასკნელის წერილი კირიონს, „როგორ ჯერ ვერვინ შეძლო მიეტანა წერილი კათალიკოსად წოდებულის წინაშე, შემდეგ თუმცა ბოლოს მიუტანეს, წიგნის კითხვისას აღიძრაო სასტიკი რისხვით გამძვინვარებული გულით, ფერშეშლილი სნეულივით წყევლიდა, აგინებდა და ათრევდა სომხეთს და წერილის პასუხი არც თვით დაწერა, არც სხვებს დააწერინაო. ამას იერუსალემს ქალაქის მამამთავართან წავადებინებ, რომ პასუხი გასცესო. მაგრამ ზოგიერთმა ვინმემ გვიპასუხა და გამოვატანე უფალთან. ბრძანეთ [და] წაიკითხეთ. ჩვენც გვაცნობეთ, რა წერია“⁸⁶. ასევეა ეს ადგილი უხტანესთან.

კირიონის გამძვინვარების ამბავი ვრთანესის წერილის გამო, უე-

84 ეპისტოლეთა წიგნი, 143—144, შენ. 2.

85 იქვე, 43—44.

86 იქვე.

ქველია, გაზვიადებულია და ძალიანაც გაზვიადებული. კირიონის ასეთ გამძვინვარებას ზ. ალექსიძე ხსნის იმით, რომ ვრთანესის როგორც იერარქიულად უფრო დაბლა მდგომის „დაწერილი მამხილებელი ეპისტოლე არ შეიძლება ქართლის კათალიკოსმა შეურაცხყოფად არ მიიჩნიოს. ასეც მონდა“⁸⁷. მართალია, ვრთანესი იერარქიულად უფრო დაბლა იდგა კირიონზე, მაგრამ არა გვეგონია, რომ ქართლის კათალიკოსსა და სომხეთის კათალიკოსის მოვალეობის შემსრულებელს შორის ისეთი დიდი განსხვავება ყოფილიყო, რომ მხოლოდ ამის გამო მეორის მამხილებელი წერილი პირველს შეურაცხყოფად მიედო. როგორც თვით ზ. ალექსიძე აღნიშნავს, სომხეთის კათალიკოსების ასევე, თუ უფრო მეტად, მამხილებელ წერილებზე „კირიონი სამაგალითო თავშეკავებით პასუხობს და თავისი პოზიციების დაცვას მშვიდობიანად ცდილობს“⁸⁸. ბოლოს და ბოლოს ვრთანესს არც არაფერი მიუწერია საკუთრივ სარწმუნოებრივ საკითხებზე, რასაც კირიონის ასეთი, შეიძლება ითქვას, ისტერიული რეაქცია უნდა გამოეწვია. მართალია, კირიონს შეიძლება და სწყენოდა ვრთანესის სიტყვები, ქალკედონის კრებასა და ლეონის ტომარს იმიტომ აღიარებთ, რომ „არა გაქვთ განსწავლა, რომ გამოიძიოთ წვალებათა ბოროტება“⁸⁹ (ე. ი. ფაქტობრივ უტოდინარობით), მაგრამ, მეორე მხრივ, მთელი წერილის ტონი თავშეკავებულია, ბოლოში კი ვრთანესი მზადყოფნასაც გამოთქვამს, თუ კირიონი მოისურვებს, თვითონ ჩავიდეს მასთან სასაუბროდ ქართლში.

ასეა თუ ისე, კირიონს ვრთანესის წერილი არ მოსწონებია, თუმცა, ვიმეორებთ, მისი რეაქციის აღწერა ძალზე გაზვიადებულად გვეჩვენება.

მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არაა არსებითი. ამ ეპიზოდის აღწერაში ჩვენთვის ამყამად მთავარია ის, რომ ვილაცეებს მაინც მიუწერიათ საპასუხო წერილი ვრთანესისთვის. ამ წერილის მიღებას ადასტურებს ვრთანესიც თავის პასუხში მოსე ცურტაველს. „XIII. ვრთანესის პასუხი მოსე ეპისკოპოსის ეპისტოლეზე“⁹⁰. ეს არის ვრთანესის მესამე წერილი მოსე ცურტაველისადმი. ვრთანესის სიტყვებიდან ჩანს, რომ ქართლიდან მიღებული წერილის ავტორები ვილაც აზნაურები (*აզნაურთაჲ იმანთ*) არიან: „ხოლო აზნაურთაგან ზოგიერთებმა რომ მომწერეს...“⁹¹ და სხვ. უხტანესთანაც ასეა — „აზნაურ-

87 ეპისტოლეთა წიგნი, 058.

88 იქვე.

89 იქვე, 41.

90 იქვე, 44—52.

91 იქვე, 45.

ბი“ (*კაჟაჲ იმანჲ არანჲ*) ზევით ჩვენ ვნახეთ, რომ მოსე ცურტავე-
ლი სთხოვდა ვრთანესს, კირიონთან ერთად წერილი მიეწერა ატრნერ-
სეს, ვაჰანსა და ბზმიპრისადმი. მართლაც, ვრთანესის შესაბამისი წე-
რილის აღრესატები კირიონთან ერთად არიან მთავრები, იშხანები
(*ჩქჷსანოჲ*) ატრნერსე, ვაჰანი და ბზმიპრი⁹². ასევეა უხტანესთანაც⁹³.

ის, რომ თავისი წერილის პასუხის ავტორებად ვრთანესი ასახე-
ლებს ვილაც აზნაურებს და სახელდებით არ ახსენებს ატრნერსეს,
ვაჰანსა და ბზმიპრს, ცხადია, ნიშნავს იმას, რომ ეს უკანასკნელი არ
არიან წერილის ავტორებს შორის. ამიტომ სავსებით სამართლიანად
მიგვაჩნია ზ. ალექსიძის შენიშვნა: „ეჭვი არაა, რომ მათ შორის (ავ-
ტორებს შორის, — ნ. ჯ.) არ არიან მთავრები: აღარანსე, ვაჰანი და
ბზუმიპრი“⁹⁴. ჩანს, ვრთანესს უფრო დაბალი რანგის დიდებულებმა
უპასუხეს, ვიდრე ზემოდასახელებული სამი პირი იყო.

უნდა ითქვას, რომ ეს პასუხი წმინდა სარწმუნოებრივი თვალსაზ-
რისით მეტად საინტერესო იყო, რადგან ვრთანესისთვის სრულიად
მოულოდნელ პასუხს შეიცავდა: „აზნაურთაგან ზოგიერთებმა რომ
მომწერეს, ისეთია როგორც რაღაც სნეულებაში ბოღვით ჩავარდნი-
ლებისა, რომელთაც არ იციან, რას ლაპარაკობენ. ამბობენ: ჩვენ ეს
სარწმუნოებაცა გვაქვს და ეგეცო; სჯულს აქაც ვეზიარებით და მან-
დაცო“⁹⁵. პასუხი საინტერესო იყო მოსესთვისაც, რადგან პირადად მა-
საც შეეხებოდა: „მოსეს, თუ სურს, მოვიდეს, ჩვენს კათალიკოსს და-
ემორჩილოს, რადგან ჩვენ ასე მოგვწონს. და თავისი ადგილი დაიკავო-
სო“⁹⁶. ასევეა ეს ადგილი უხტანესთან, ოღონდ მას აკლია ფრაზა მო-
სეზე⁹⁷. სამწუხაროდ, ეს წერილი არ შემოუნახია „ეპისტოლეთა
წიგნს“. ვერ ნახა იგი და ამიტომ თავის ისტორიაში არ შეუტანია უხ-
ტანესსაც, რომელიც ასე ხსნის ამას: „მე მგონია, რომ უღირსად და
შეუფერებლად მიიჩნიეს მათი უღირსი (ვრთანესი ამბობს, რომ წე-
რილში სომხეთის წყევლა და გინება იყო. — ნ. ჯ.) და შეუწყნარებე-
ლი პასუხის დაწერა „ეპისტოლეთა წიგნში“. ამიტომაც ვერ ვპოვეთ
და ვერ დავწერეთ ჩვენც, ჩვენგანაც, აგრეთვე, მოუხსენებელი და არ-
მოსახსენებელი“⁹⁸. „...მაგრამ ვგონებ სრულიად არ აღმოჩნდა ჩვენ-
თვის სასარგებლო დაწერილი, რადგან უშლიდნენ მათი ურცხვობისა

92 ეპისტოლეთა წიგნი, 40.

93 უ ხ ტ ა ნ ე ს ი, 76, 77.

94 ეპისტოლეთა წიგნი, 058.

95 იქვე, 45.

96 იქვე.

97 უ ხ ტ ა ნ ე ს ი, 87.

98 იქვე, 83.

და განდგომის შესახებ მოწერას, თუ არა უხამსი და უგუნური პასუხის [გაცემას]...“⁹⁹. უხტანესიეული ახსნა დამაჯერებელი არაა. რაც უფრო უხამსი და უგუნური იქნებოდა ქართლის აზნაურების პასუხი, მით უფრო ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო იგი „ეპისტოლეთა წიგნის“ შემდგენელთათვის. მათი მიზანი ხომ სწორედ სომხური რწმენისა და ეკლესიის უპირატესობის და ქართული ეკლესიის მცდარობის დამტკიცება იყო. ხოლო თუ მივიჩნევთ, რომ ეს წერილები არ შეიტანეს კრებულში იმიტომ, რომ ისინი „სასარგებლოდ დაწერილი“ არ აღმოჩნდნენ სომხური მხარისათვის, მაშინ გაუგებარია, რაღად შეჰქონდათ კირიონის გონივრული, ლოგიკურად საეხებით გამართული პასუხები. განა ისინი შეუდარებლად უფრო ნაკლებად „სასარგებლონი“ არ უნდა ყოფილიყვნენ?¹⁰⁰

ვფიქრობთ, რომ აზნაურთა პასუხი იმიტომ არ მოხვდა „ეპისტოლეთა წიგნში“ (თუ იგი შემდეგ არ დაიკარგა), რომ მის შემდგენელს იგი ხელთ არ ჰქონდა. როგორც ქვემოთ დავინახავთ, მას არ ჰქონია უფრო მნიშვნელოვანი დოკუმენტებიც კი (მაგალითად, მოვსეს ელივარდელის წერილი კირიონს და მისი პასუხი).

მეორე საკითხი, რომელიც ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს, მოსე ცურტაველის მესამე ეპისტოლეში ვრთანესის მიმართ არის ის თხოვნა, რომლითაც მოსე მიმართავს თავის ადრესატს. წერილის ბოლოში მოსე წერს: „ამასაც გთხოვთ, უფალო: ნეტარი ტომოთეს წიგნი სრულად შევიძინე და გადავწერე ყველა წერილი, რომლებიც მაგ წმინდა ეკლესიაში და თქვენთან იპოება. მოაღწიეს ჩემთან სხვა წერილებმა სრულიად სხვადასხვა ადგილიდან, რომელნიც ამხილებენ და წყევლიან ორბუნიბოვანთა კრებას. ხოლო კეთილმსახურ მეფეთა ნეტარი ზენონისა და ანასტასის მიერ იმ ურიული კრების განსაზღვრების აღფხვრის შემდეგ, ვერსად ვიპოვე, თუ კვლავ

⁹⁹ უ ხ ტ ა ნ ე ს ი, 85.

¹⁰⁰ ამიტომ ვერ დავეთანხმებით ზ. ალექსიძეს: უხტანესმა ზოგიერთი წერილის „კრებულში მოუხვედრელობის ახსნა მოახერხა. მისი აზრით, პეტრე ეპისკოპოსისა და ქართველი აზნაურების პასუხები ვრთანეს ქერდოლის ეპისტოლეზე კრებულის შემდგენლების ტენდენციურ მიზნებს სამასახურს ვერ გაუწევდა და ამიტომ არ შეუტანიათ“ (ეპ. წიგნი, 015) და შემდეგ: „ცხადია, ასეთი წერილი „ეპისტოლეთა წიგნში“ ადგის ვერ იპოვიდა; მით უფრო, თუ მისი პირველი რედაქტორი და შემდგენელი, მართლაც, მოსე ცურტაველი იყო“ (იქვე, 028). ვინც არ უნდა ყოფილიყო „ეპისტოლეთა წიგნის“ შემდგენელი, მისთვის, როგორც ითქვა, მით უფრო ხელსაყრელი იქნებოდა აზნაურების პასუხი, რაც უფრო უხამსი და უგუნური იქნებოდა იგი. ამასთან, ქვემოთ ვეცდებით დავამტკიცოთ, რომ „ეპისტოლეთა წიგნის“ პირველი რედაქტორი და შემდგენელი მოსე ცურტაველი არ უნდა ყოფილიყო.

როგორ ან ვისგან აღიძრა ახალსახიობა და დაამხო მრავალი ეკლესია. რანაირადაც იცის თქვენმა სიწმინდემ, ბრძანეთ და მოგვეჩუროთ ჩვენს სიმდაბლეს“¹⁰¹.

ამრიგად, მოსე სწერს ვრთანესს, რომ მან შეიძინა ტიმოთეს წიგნი¹⁰² სრულიად, გადაიწერა ყველა წერილი, რომელიც არის „მაგ წმინდა ეკლესიაში“ (ალბათ, იგულისხმება პოვნავანქის იოანე ნათლისმცემლის მონასტერი, რომელშიც ამ დროს იმყოფება მოსე) და „თქვენთან“ (ალბათ, იგულისხმება ის თხზულებები, რომლებიც არის დეინში და რომლებზეც ხელი მიუწევდა მოსეს) და, აგრეთვე, სხვა წერილები სრულიად სხვადასხვა ადგილებიდან (ალბათ, იგულისხმება სომხეთის სხვადასხვა რელიგიური ცენტრი), მიმართულნი ქალკედონის კრების წინააღმდეგ. მაგრამ მოსეს ვერ უშოვია თხზულებები, რომლებიდანაც გაიგებდა, როგორ აღდგა ზენონისა და ანასტასის მიერ დამზობილი ქალკედონიტობა. მაშასადამე, მოსეს ჰქონია მასალა ქალკედონის კრებიდან იმპერატორების ზენონისა (474—491) და ანასტასის (491—518) დროის ჩათვლით. იგი სთხოვს ვრთანესს, შეატყობინოს მას, რა მოხდა ამის შემდეგ.

ვრთანესმა შეასრულა მოსეს თხოვნა. მოსესადმი მისი მესამე წერილის მეორე ნაწილი სწორედ ამ თხოვნის პასუხს წარმოადგენს: „მაგრამ [ეხლა] თქვენი კითხვისმოყვარისა და მართლმადიდებელი პატიოსნების თხოვნის გამო იმ მიზეზების შესახებ, რის გამოც ხელახლა დაამტკიცეს განმავლობებელი და წარმწყმედი უსჯულო ქალკედონის კრება, რომელიც აღფხვრა კეთილმსახურმა ზენონმა შემაერთებელი წერილით და ამის შემდეგ იმ განსაზღვრებისათვის თავი გამოიღო ანგელოზთა და კაცთა საწადელმა ანასტასიმ. ასეთია ამ ისტორიის მიზეზნი.

უბიწო და ღმრთის სათნო მწირობის ცხოვრებიდან ნეტარისა და ფრიად განთქმული ანასტასის მიცვალების შემდეგ ხელმწიფობა დაიშკვიდრა საქაგელმა და უსჯულო კაცმა, იუსტინედ წოდებულმა“¹⁰³ და ა. შ. როგორც ვხედავთ, ვრთანესმა სწორად გაიგო მოსეს შეკითხვა და ყველა ამბავს იმპერატორ ანასტასის მომდევნო პერიოდიდან. ვრთანესი ყვება, რომ იმპერატორმა იუსტინემ (518—527) მწვალებლებად გამოაცხადა ზენონი და ანასტასი და ბრძანა, აღედგინათ ქალკედონის კრება და ლეონის ტომარი. თავისი ბრძანება მან მახვილით გაატარა

101 ეპისტოლეთა წიგნი, 44.

102 ზ. ალექსიძის შენიშვნით, „მოსე ეპისკოპოსი გულისხმობს ტიმოთე ელურის ტრაქტატს „ქალკედონის კრების განსაზღვრების წინააღმდეგ“ (ეპ. წიგნი, 144, შენ. 1).

103 ეპისტოლეთა წიგნი, 45—46.

და მრავალი მოწინააღმდეგე ტანჯვით ამოწყვიტა. შემდეგ ვრთანესი ყველა მომღვენო იმპერატორის — იუსტინიანეს (527—565) მეფობის პერიოდის ამბებს. ვრთანესის სიტყვით, იუსტინიანემ გადაწყვიტა მართლმადიდებელ, ე. ი. მონოფიზიტ, ეპისკოპოსთა მოკვლა და დევნა. ამასთან იგი დაურწმუნებიათ, რომ სვიმეონ მესვეტემ ხელი მოაწერა ქალკედონის კრების დადენილებას და ეს მის მიერ ხელმოწერილი ქაღალდი მის საძვალეში ინახებოდა. იუსტინიანეს შეუმოწმებია სვიმეონის საძვალე, მაგრამ ქაღალდი შიგ არ აღმოჩენილა. მეფე დარწმუნებულა, რომ იგი შეაცდინეს, შეინანა თავისი მოქმედება და გადაწყვიტა, ისევ აღმოეთხვრა ქალკედონის კრების დადგენილება. მაგრამ „მაშინვე ეწია მზაკვრობით სიკვდილი“ (მოკლეს?) და ყველაფერი უცვლელად დარჩენილა. ამის გამო შემცირებულა ქვეყნად მართლმადიდებლობა (ე. ი. მონოფიზიტობა) და გავრცელებულა ქალკედონიტობა. ამის შემდეგ მოდის ზოგადი მსჯელობა ქეშმარიტი (ე. ი. მონოფიზიტური) მრწამსის დაცვაზე.

საყურადღებო ვითარებაა უხტანესთან, რომელთანაც ვრთანესის მესამე პასუხი ორდაა გაყოფილი, ორ წერილადაა წარმოდგენილი. უხტანესის წიგნის 26-ე თავში („ვრთანეს ქერდოლის პასუხი მოსე ეპისკოპოსის მესამე ეპისტოლეზე“¹⁰⁴) აღწერილია ქართლის აზნაურებისგან წერილის მიღების ამბავი, ხოლო პასუხი მოსეს თხოვნაზე წარმოდგენს 28-ე თავს — „ვრთანეს ქერდოლის ეპისტოლე სარწმუნოებისა და კვლავ განმტკიცების შესახებ მოსე ცურტავის (რომელიც ახლა გაჩიანია) ეპისკოპოსისადმი“¹⁰⁵.

რომელი ვარიანტია უფრო სწორი? „ეპისტოლეთა წიგნისა“, სადაც ვრთანესის პასუხები ერთ წერილადაა წარმოდგენილი, თუ უხტანესისა, სადაც ისინი ორ წერილად არიან გაყოფილი? ივ. ჯავახიშვილი უპირატესობას „ეპისტოლეთა წიგნს“ ანიჭებს¹⁰⁶. ზ. ალექსიძის შეხედულებით. წერილი უხტანესის დაყოფილი არ უნდა იყოს. სათანადო მსჯელობის შემდეგ იგი ასკვნის: „ამრიგად, ამ შემთხვევაში ჩვენ უპირატესობას უყოყმანოდ უხტანესის რედაქციას ვანიჭებთ და ახალ გამოცემაში ტექსტს ხელუხლებლად ვტოვებთ“¹⁰⁷. სავსებით სწორად მიგვაჩნია უხტანესის ტექსტის ხელუხლებლად დატოვება. ვფიქრობთ, ეს იმ შემთხვევაშიც უნდა გაკეთებულიყო, თუ გამოცემული დარწმუნდებოდა, რომ ტექსტი უხტანესის მიერაა შეცვლილი თუ

104 უ ხ ტ ა ნ ე ს ი, 87, 89.

105 იქვე, 89, 91, 93.

106 ეპისტოლეთა წიგნი, 145, შენ. 1.

107 უ ხ ტ ა ნ ე ს ი, 14—15.

რედაქტირებული (რაც გატარებულია კიდევაც უხტანესის „ისტორიის“ ქართულ გამოცემაში). რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, უხტანესისეულია წერილის ორად გაყოფა (ან, რაც ჩვენ უფრო გვინტერესებს, პირვანდელია თუ არა იგი), ამ საკითხზე, ვფიქრობთ, ივ. ჭავჭავაძის შეხედულება უფრო სწორი უნდა იყოს.

განვიხილოთ ზ. ალექსიძის არგუმენტები:

„1. ხელნაწერები სოლიდარული არიან გამოცემასთან“¹⁰⁸. ჯერ ერთი, თვით ზ. ალექსიძის სიტყვით, უხტანესის თხზულებამ „ჩვენამდე, ფაქტურად, ერთი ნუსხით მოაღწია: ყველა ხელნაწერი, რომელთა არსებობაც ვიცით, გვიანია და ერთ პირს წარმოადგენს“¹⁰⁹. მაგრამ უხტანესის თხზულებას რომ ჩვენამდე თუნდაც მრავალი ნუსხით მოეღწია და ყველგან ერთნაირი ვითარება ყოფილიყო, ეს ზომ ვერ დაამტკიცებდა იმას, რომ წერილი უხტანესის გაყოფილი არაა. უხტანესის მიერ გაყოფილი წერილი უხტანესის თხზულების ყველა ნუსხაში გაყოფილად იქნებოდა წარმოდგენილი.

„2. უხტანესს, როგორც რედაქტორს, საფუძველი არა ჰქონდა (სუბიექტური ან ობიექტური), ორად გაეყო ვრთანესის ეპისტოლე. თუ ამას გააკეთებდა, კომენტარებში სადმე აღნიშნავდა“¹¹⁰. ჩვენთვის ახლა ძნელია ვიცოდეთ ყველა სუბიექტური თუ ობიექტური საფუძველი, რომელიც შეიძლებოდა ჰქონოდა უხტანესს. ქვემოთ ვცდებით ვაჩვენოთ, რომ რაღაც სუბიექტური ფაქტორი მას მაინც უნდა ჰქონოდა. რაც შეეხება იმას, აუცილებლად აღნიშნავდა თუ არა იგი ამ ცვლილებას, აქაც გადაჭრით თქმა ძნელია. ქვემოთ ვნახავთ იმასაც, რომ უხტანესი ყოველთვის არ აღნიშნავდა იმ მანიპულაციებს, რომლებსაც ატარებდა ტექსტზე. ამასთან, შესაძლებელია ამ არგუმენტის შებრუნებაც: „ეპისტოლეთა წიგნის“ შემდგენლებს კი ჰქონდათ სუბიექტური ან ობიექტური საფუძველი გაეერთიანებინათ ორი წერილი?

აქ ერთ სუბიექტურ ფაქტორზე მაინც მივუთითებთ. წერილში თავისი „ისტორიის“ შემკვეთელს ანანია შირაკელისადმი უხტანესი წერს: „ხოლო რადგან გვესმა შენი ისტორიის შესახებ, რომ უნდა მცირე ნაკვეთებად გავაკეთო სომეხთა მეფეთა დასაბამიდან ჩვენ დროამდე... სასიხარულო საქმე სომეხთა ისტორიისა მცირე ნაკვეთებად, როგორც ზემოთ ვთქვით“¹¹¹. რომ ეკვი არ დარჩეს, რა ისტორიაზეა ლაპარაკი, მოვიტანოთ უხტანესის სიტყვები,

108 უხტანესი, 14.

109 იქვე, 9.

110 იქვე, 14.

111 იქვე, 220.

სადაც ის ლაპარაკობს თავისი ისტორიის შინაარსზე: „ჩერ ჩვენ მეფეთა და მამამთავართა რიცხვი და ქართველთა გამოყოფათა სომხებთან ერთობისაგან, შემდეგ ნათლისღება ტომისა, რომელსაც წადი ეწოდება“¹¹². როგორც ვხედავთ, უხტანესს შეიძლება ზოგჯერ სუბიექტური საფუძველი ჰქონოდა ორად გაეყო ერთანების შედარებით ვრცელი პასუხი.

„3. უხტანესს ხელთ ჰქონდა „ეპისტოლეთა წიგნის“ რამდენიმე ნუსხა. ჩანს, ერთანების პასუხი ყველგან ასეთი რედაქციით იყო გადაწერილი. სხვა შემთხვევაში უხტანესი აღუნიშვნელს არც ამას დასტოვებდა“¹¹³. ჩერ-ერთი, არაა სავალდებულო ყველა ნუსხაში ერთნაირი მდგომარეობა ყოფილიყო. ხომ შეიძლება წერილი ზოგში ერთნაირად ყოფილიყო წარმოდგენილი და ზოგში გაყოფილი, უხტანესს კი ერთ-ერთი აერჩია? მეორეც, რატომ არ შეიძლება დავუშვათ, რომ „ეპისტოლეთა წიგნის“ ყველა ნუსხაში წერილი ერთნაირად ყოფილიყო წარმოდგენილი, უხტანესს კი იგი მაინც გაეყო? განა უხტანესი უცვლელად იწერდა „ეპისტოლეთა წიგნს“? ის ხომ ფაქტიურად გამოკვლევას წერდა „ეპისტოლეთა წიგნის“ საფუძველზე და მრავალი ცვლილებაც შეჰქონდა თავისი წყაროს ტექსტში. ამას ის თვითონაც აღნიშნავს.

„4. წერილის პირველი ნაწილი უხტანესთან დასრულებული სახით არის მოცემული და გამოსათხოვარი ფორმულით მთავრდება. სათაურად მას აქვს „პასუხი ერთანეს ქერდოლისა მოსე ეპისკოპოსის მესამე ეპისტოლეზე“. სრული აგებულებიდან ამ წერილის მეორე ნაწილიც, ოღონდ მას სათაურად უკვე აქვს არა „პასუხი“, არამედ „ერთანეს ქერდოლის. ეპისტოლე სარწმუნოებისა და კვლავ განმტკიცების შესახებ მოსე ცურტავის (რომელიც ახლა გაჩიანია) ეპისკოპოსისადმი“. ეს იმას ნიშნავს, რომ მას უხტანესი თვლიდა არა პასუხად, არამედ მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრების შესახებ დაწერილ განმარტებით ბარათად, რომელიც ერთანესმა მოსეს გაუგზავნა პასუხთან ერთად, ან იქნებ ცოტა მოგვიანებით“¹¹⁴.

წერილის პირველი ნაწილი უხტანესთან დასრულებულია ზუსტად ისე, როგორც „ეპისტოლეთა წიგნშია“. დამატებულია მხოლოდ გამოსათხოვარი ფორმულა. მაგრამ ეს ხომ ბუნებრივია. თუ უხტანესი გადაწყვეტდა, ერთი წერილი ორად გაეყო, ის, ალბათ, გამოსათხოვარ ფორმულასაც დაუმატებდა. თუ გამოსათხოვარი ფორმულის არსებობა ამ ადგილას იმის ნიშანია, რომ წერილი აქ უნდა მთავრდებოდეს,

112 უხტანესი, 222.

113 იქვე, 14.

114 იქვე.

რატომ არ უნდა მივიჩნიოთ ამ ფორმულის არარსებობა „ეპისტოლე-თა წიგნის“ სათანადო ადგილას იმის ნიშნად, რომ იქ არ უნდა მთავრდებოდეს ვრთანესის წერილი?

რაც შეეხება მეორე წერილის სრულ აგებულებას (აქ, ალბათ იგულისხმება წერილის არქიტექტონიკა, თორემ წერილი რომ სრულად არაა წარმოდგენილი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ამას აღნიშნავს ზ. ალექსიძეც, აქაც იგივე ითქმის. თუ უხტანესი გადაწყვეტდა წერილის ორად გაყოფას, ცხადია, სრულ აგებულებას მისცემდა ორივე წერილს.

მაგრამ აქ უნდა გავიმეოროთ ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება. ვრთანესმა მიიღო მოსე კურტაველის მესამე ეპისტოლე, რომელიც შედგებოდა ორი ნაწილისაგან (სხვათაშორის, როგორც ქვემოთ ვნახავთ, უხტანესი სრულად იცნობდა მესამე ეპისტოლეს). დავუშვათ, რომ მან გადაწყვიტა ცალ-ცალკე გაეცა პასუხი ამ ნაწილებზე. რაში დასჭირდა მას ორივე წერილში იმისი აღნიშვნა, რომ მან მოსეს ეპისტოლე მიიღო, მიუხედავად იმისა, ერთად გაგზავნა თავისი წერილები თუ სხვადასხვა დროს? ვრთანესის პირველი წერილი იწყება ასე: „თქვენი სიწმინდის სიმართლე შევიტყვეთ და გავიბარეთ“¹¹⁵. მეორე წერილი: „შენი კითხვისმოყვარე და მართლმადიდებელი პატიოსნების წერილი და თხოვნა მივიღე, უფალო ჩემო...“¹¹⁶.

შეიძლებოდა უხტანესს მეორე წერილი ჩაეთვალა არა პასუხად, არამედ მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრების შესახებ განმარტებით ბარათად? ვფიქრობთ, არა, ყოველ შემთხვევაში, არ უნდა ჩაეთვალა. თვით უხტანესისეული მეორე წერილი ხომ ასე იწყება: „შენი კითხვისმოყვარე და მართლმადიდებელი პატიოსნების წერილი და თხოვნა მივიღე, უფალო ჩემო, [გაუწყით იმის] შესახებ, ხელახლა [როგორ] დაემტკიცა მწვალებელი და წარმწყმედი უსჯულო ქალკედონის კრება, რომელიც აღმოფხვრა კეთილმსახურმა ზენონმა შემაერთებელი წერილით და ამის შემდეგ იმ განსაზღვრების ქომაგმა ანგელოზთა და კაცთა საწადელმა ანასტასიო“¹¹⁷. ჯერ-ერთი, თვით ტექსტიდან ამკარაა, რომ ვრთანესი პასუხს სცემს მოსეს კითხვაზე და მეორეც, ეს პასუხი არის არა ქალკედონის კრების შესახებ განმარტებითი ბარათი, არამედ აღწერა იმისა, თუ რა მოხდა ამ კრებიდან საუკუნენახევრის შემდეგ, როგორ „დაემტკიცა ხელახლა“ ქალკედონის კრება. სწორედ ამას კითხულობდა მოსე და ამაზე უპასუხა ვრთანესმაც.

115 უხტანესი, 87.

116 იქვე, 89.

117 იქვე.

„5. ვრთანესის ამ ორ ეპისტოლეს შორის უხტანეს ჩასმული აქვს მცირე კომენტარი (თავი 27), რომლის საშუალებითაც ყველაფერი ცხადი ხდება: „პასუხის შემდეგ [ვრთანესი] წერს [მოსეს] სხვა ეპისტოლეს მართლმადიდებელ მეფეთა ზენონის და ანასტასის დროს სარწმუნოების დამტკიცების შესახებ“. აშკარაა, უხტანესს იმის თქმა უნდა, რომ ვრთანესმა მოსეს ორი წერილი გაუგზავნა: ერთი მიმდინარე ამბების შესახებ და მეორე, დამატებითი, მსოფლიო საეკლესიო ისტორიის გარკვეული პერიოდის შესახებ“¹¹⁸.

ამ თავზე შეიძლება ორიოდ სიტყვა ცალკე ითქვას. და რადგან თავი ძალიან მოკლეა, მოვიტანთ მას მთლიანად თავის სათაურთანად. სათაური: „რაც მოხდა მოსეს მესამე წერილის შემდეგ: უფალი აბრაამის შესახებ, რომელიც გამზადებული იყო მამამთავრობის საყდრის დასაკავებლად: ვედრება მოსესი ვრთანესისაგან, რომ უფრო განმტკიცდეს სარწმუნოებაში და სხვა.“ ტექსტი: „ეს ასე რომ გავაწყვე და დავალაგე, დავასრულე ძლიერ მოკლედ [ის], რაც ვრთანესს [მიეწერა] მოსესადმი. წერს მას პასუხს მესამე ეპისტოლეზე აზნაურთა შეუწყნარებელი წერილის შესახებ და რომ მახლობელ დღეებში კათალიკოსი დაჯდებოა. პასუხის შემდეგ წერს სხვა ეპისტოლესაც მართლმადიდებელ მეფეთა ზენონისა და ანასტასის დროს სარწმუნოების დამტკიცების შესახებ“¹¹⁹.

გავარჩიოთ ეს თავი. სათაურის პირველი ფრაზაა: „რაც [მოხდა] მოსეს მესამე წერილის შემდეგ“. თვით თავის ექვსსტრიქონიანი ტექსტის პირველი ოთხი სტრიქონი ლაპარაკობს იმაზე, რომ ვრთანესმა უპასუხა მოსეს აზნაურების წერილზე (თვით პასუხი უკვე მოტანილია წინა თავში). დანარჩენ ორ სტრიქონში ნათქვამია, რომ ვრთანესმა დაწერა ეპისტოლე სარწმუნოებაზე (შესაბამისი ტექსტი მოტანილია შემდეგ თავში).

ამრიგად, ამ თავში ფაქტიურად არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ რა მოხდა მოსეს მესამე წერილის შემდეგ. მეორე ფრაზაა: „უფალი აბრაამის შესახებ, რომელიც გამზადებული იყო მამამთავრობის საყდრის დასაკავებლად“. წინა თავში აბრაამი დასახელებული არაა, ვრთანესი მხოლოდ აღნიშნავს, რომ სომხეთში „ისწრაფვიან წინამძღვრის განწესებას“¹²⁰. თვით ოცდამეშვიდე თავშიც აბრაამი მოხსენიებული არაა და უხტანესი იმეორებს თავის ცნობას — „მახლობელ დღეებში კათალიკოსი დაჯდებოა“. ამრიგად, აბრაამზე თვით 27-ე თავში არავითარი

118 უ ხ ტ ა ნ ე ს ი, 14.

119 იქვე, 89.

120 იქვე, 87.

ცნობა არაა (თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ტექსტში მხოლოდ გამოვრებულია ვრთანესისავე ცნობა იმაზე, რომ ახლო მომავალში სომხეთში კათალიკოსი უნდა აერჩიათ).

სათაურის მესამე ფრაზა: „ვედრება მოსესი ვრთანესისაგან, რომ უფრო განმტკიცდეს სარწმუნოებაში და სხვა“. 27-ე თავის ტექსტში არც ერთი სიტყვა არაა ვრთანესის ვედრებაზე.

რაც შეეხება „და სხვა“-ს, ტექსტში ნათქვამია მხოლოდ შემდეგი: „პასუხის შემდეგ წერს სხვა ეპისტოლესაც მართლმადიდებელ ზენონისა და ანასტასის დროს სარწმუნოების დამტკიცების შესახებ“. ესაა ყველაფერი, რაც შეიძლება „და სხვა“-ს რუბრიკაში მოექცეს, თანაც აქაც დაშვებულია უზუსტობა. როგორც უკვე ითქვა, ვრთანესი სწერს მოსესს არა ზენონისა და ანასტასის დროინდელ ამბებზე, არამედ იმაზე, რაც ამ ამბებს მოჰყვა.

ახლა თვით ტექსტზე. პირველი ფრაზა: „ეს ასე რომ გავაწყვე და დავალაგე, დავასრულე ძლიერ მოკლედ [ის], რაც ვრთანესს [მიეწერა] მოსესსადმი. წერს მას პასუხს მესამე ეპისტოლეზე აზნაურთა შეუწყნარებელი წერილის შესახებ და რომ მახლობელ დღეებში კათალიკოსი დაჯდებაო“. უხტანესის სიტყვები „ეს ასე რომ გავაწყვე და დავალაგე“, უეჭველია, შეეხება ვრთანესის წერილის პირველ ნაწილს, რომელიც წარმოდგენილია 26-ე თავად. მომდევნო სიტყვები „დავასრულე ძლიერ მოკლედ [ის], რაც ვრთანესს [მიეწერა] მოსესსადმი“ ასევე, უეჭველად, შეეხება ვრთანესის წერილის მეორე ნაწილს, რომელიც წარმოდგენილია მომდევნო, 28-ე თავში. სწორედ ეს ნაწილი აქვს შემოკლებული უხტანესს. პირველი ნაწილი მას თითქმის სიტყვასიტყვით აქვს მოტანილი „ეპისტოლეთა წიგნიდან“. უხტანესის მომდევნო სიტყვები — „წერს მას პასუხს მესამე ეპისტოლეზე აზნაურთა შეუწყნარებელი წერილის შესახებ და რომ მახლობელ დღეებში კათალიკოსი დაჯდებაო“ — ისევ ვრთანესის წერილის პირველ ნაწილს შეეხება, რადგან სწორედ ამ ნაწილშია ამ საკითხებზე ლაპარაკი. შემდეგ უხტანესი აგრძელებს: „პასუხის შემდეგ (ე. ი. პირველი ნაწილის შემდეგ, ნ. ჯ.) წერს სხვა ეპისტოლესაც მართლმადიდებელ მეფეთა ზენონისა და ანასტასის დროს სარწმუნოების დამტკიცების შესახებ“. ახლა უხტანესი ისევ უბრუნდება ვრთანესის წერილის მეორე ნაწილს. ამ ფრაზის უზუსტობა ზემოთ უკვე აღვნიშნეთ. მაგრამ ეს არეულობა ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს უხტანესი რაღაც ერთიან თხზულებაზე წერდეს.

უზუსტობაა უხტანესის სიტყვებით: „პასუხის შემდეგ წერს სხვა ეპისტოლესაც...“ ისე გამოდის, თითქოს 28-ე თავად წარმოდგენილი წერილი პასუხი არ იყოს მოსესს შეკითხვაზე, რაც, როგორც უკვე ითქვა, სწორი არაა.

ამრიგად, 27-ე თავის სათაურიცა და, თითქმის იმავე ზომის ტექსტიც არაერთ უზუსტობას შეიცავს, ამასთან ტექსტი არეულია და ფაქტიურად სათაურის გამეორებას წარმოადგენს. ისე ჩანს, თითქოს, ეს თავი ძალზე ნაჩქარევად და უყურადღებოდ არის დაწერილი.

მაინც ამ თავში არის ორი ცნობა: ის, რომ უხტანესს „ძლიერ მოკლედ“ დაუსრულებია ვრთანესის წერილი მოსესადმი და მეორეც ის, რომ ვრთანესს მეორე წერილი (სარწმუნოებაზე პასუხით) მიუწერია მოსესთვის. პირველი ცნობიდან ირკვევა, რომ უხტანესს ძალიან შეუმოკლებია ვრთანესის წერილის მეორე ნახევარი (პირველი ნახევარი, როგორც ვთქვით, მან უცვლელად გაიმეორა). ქვემოთ ჩვენ, მართლაც, დავრწმუნდებით, რომ ეს ნაწილი უხტანესს ძალზე შეუმოკლებია და სწორედ ის ნაწილი, რომელიც უხტანესს განსაკუთრებულად შეუცვლია, წარმოდგენილია ვრთანესის მეორე წერილად.

ვფიქრობთ, ყოველივე ზემოთქმული საფუძველს იძლევა დავეჭვდეთ, რამდენად ზუსტია უხტანესი, როდესაც ამბობს, რომ ვრთანესმა ცალკე წერილი გაგზავნა.

„6. ზუსტად ასეთივე ვითარება გვაქვს „ეპისტოლეთა წიგნში“ სხვა შემთხვევაში: მოსე ცურტაველის საყოველთაო ეპისტოლე ცურტავის სომხურენოვანი მრევლისადმი და მისი დამატებითი ბარათი IV მსოფლიო კრების შესახებ ცალ-ცალკეა წარმოდგენილი“¹²¹. ვფიქრობთ, რომ აქ ანალოგიური ვითარება არ არის:

ა) „მიზეზი ორბუნიანი მეთხე კრებისა“ არ არის მოსე ცურტაველის საყოველთაო ეპისტოლეს დამატებითი ბარათი.

საყოველთაო ეპისტოლეში მოსე ჯერ მოიკითხავს თავის მრევლს, შემდეგ ვრცლად მსჯელობს იმ მოკალოებებზე, რომლებიც ეკისრებათ მორწმუნეთა მეთაურებად დადგენილებს. ამის შემდეგ მოსე ხსნის, თუ რატომ დათანხმდა ეპისკოპოსად დანიშვნას. ამას მოსდევს ახსნა იმისა, თუ რატომ აღუდგა იგი წინ ქართლის მღვდელმთავრებსა და მთავრებს და დასაბუთება მოსეს ქცევის სისწორისა, აგრეთვე, გაფრთხილება იმაზე, რომ ყველა წესის დამრღვევი აუცილებლად დაისჯება. მოსე აფრთხილებს თავის მრევლს, განსაკუთრებით მოერიდონ ქალკედონიტებთან კავშირს. შემდეგ მოკლედ გადმოსცემს ქალკედონის კრების ისტორიას და ამ კრებაზე მიღებულ მრწამსს, იძლევა რა ამ მრწამსის კრიტიკას. ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ეს მრწამსი არის სინამდვილეში სახეცვლილი ნესტორიანობა. იძლევა ნესტორიანობის კრიტიკასაც. შემდეგ მოსე ისევ აფრთხილებს თავის მრევლს, არსაით გადაუხვიონ სწორი გზიდან და ატყობინებს მას, რომ ყოველი-

121. უ ხ ტ ა ნ ე ს ი, 14.

ვე, რაც მისწერა თავისიანებს, შეიტყო წიგნებიდან, რომლებიც სპეციალურად შეისწავლა. წერილი მთავრდება გამოსათხოვარი ფორმულით.

„მიზეზნი ორბუნებიანთა მეოთხე კრებისა“, როგორც სათაურიდანაც ჩანს, გადმოსცემს ქალკედონის კრების ისტორიას, ოღონდ ბევრად უფრო დაწვრილებით, ვიდრე ეს გაკეთებული იყო მოსეს საყოველთაო ეპისტოლეში. აქაც მოცემულია ნესტორიანობისა და ქალკედონიანობის კრიტიკა, ოღონდ ისევ უფრო გაშლილად. აქაც ისევე, როგორც მოსეს წერილში, მოცემულია გაფრთხილება ქალკედონიტებთან კავშირზე, მაგრამ ისევ უფრო გაშლილად. შემდეგ მოკლედაა ნათქვამი, თუ სადაა, რომელ თხზულებაშია მხილებული ქალკედონის კრება. ამგვარად, ფაქტიურად „მიზეზნი“ იგივე შინაარსისაა, რაც მოსეს წერილი, ოღონდ უფრო თეორიული ხასიათისა (აქ არაა ხსენებული მოსეს პირად საქმეებისა) და ბევრად უფრო გაშლილი.

რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ჰოვანავანქში ჩასვლისას მოსემ თავის მრევლს მისწერა წერილი, რომელშიც აუხსნა თავისი მოქმედების მიზეზები, შემდეგ გადასცა ქალკედონის კრების ისტორია ძირითად ხაზებში და ასევე ზოგადად გააკრიტიკა ნესტორიანობა და ქალკედონიტობა და მოუთხრო მონოფიზიტური მრწამსი. „მიზეზნი“ კი უკვე იმავე საკითხებზე სპეციალურად დაწერილი ტრაქტატია, სადაც ეს საკითხები უფრო დაწვრილებით, ვრცლად და ღრმადაა განხილული.

არსაიდან არ ჩანს, რომ ეს ტრაქტატი მოსემ გაუგზავნა თავის მრევლს თავის საყოველთაო ეპისტოლესთან ერთად. პირიქით, როგორც ქვემოთ ვეცდებით დავასაბუთოთ, უფრო იმასა ჰგავს, რომ ტრაქტატი მოსეს არ გაუგზავნია.

განსხვავება ამ ტრაქტატსა და ვრთანესის მეორე ეპისტოლეს შორის ისიცაა, რომ ტრაქტატს, როგორც მოსალოდნელი იყო, თავსა და ბოლოში მოკითხვისა და გამოსათხოვარი ფორმულები არა აქვს.

ამგვარად, ჩვენ უფიქრობთ, რომ უხტანესის რედაქციისთვის უპირატესობის უყოყმანოდ მინიჭებინათვის საკმარისი საბუთები არაა.

ამასთან დაკავშირებით ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგ გარემოებას: ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ „ეპისტოლეთა წიგნი“ შემონახული მოსეს მესამე ეპისტოლე ვრთანესისადმი ორი ნაწილისაგან შედგება: პირველ ნაწილში ლაპარაკია ვრთანესის წერილზე, რომელიც მიუტანეს კირიონს, კირიონის რეაქციაზე და იმ პასუხზე, რომელიც ვილაცეებს გაუგზავნიათ ვრთანესისთვის. წერილის მეორე ნაწილში მოსე სთხოვს ვრთანესს, შეატყობინოს, რა მოხდა ზენონისა და ანასტასის შემდეგ. შესაბამისად ვრთანესის საპასუხო წერილიც ორი ნაწილისაგან შედგება: პირველში ლაპარაკია ქართლის აზნაურე-

ბის პასუხზე, მეორე კი თვითონ წარმოადგენს პასუხს მოსეს თხოვნაზე. უხტანესთან განსხვავებული ვითარებაა: 25-ე თავი წარმოადგენს მოსეს მესამე ეპისტოლეს პირველ ნაწილს, რომელიც თითქმის სიტყვა-სიტყვითაა მოტანილი „ეპისტოლეთა წიგნიდან“. რაც შეეხება წერილის მეორე ნაწილს, იგი უხტანესს არა აქვს მოტანილი. რატომ? იქნებ უხტანესის ხელთ არსებულ „ეპისტოლეთა წიგნის“ ნუსხაში მოსეს წერილს ეს მეორე ნაწილი აკლდა? არა. უხტანესი მოსეს წერილს იცნობდა სრულად. ეს ცხადად ჩანს უხტანესის „ისტორიის“ 29-ე თავიდან, სადაც უხტანესი წერს 28-ე თავად წარმოდგენილ ვრთანესის წერილზე: „ხოლო ეს აუწყა მას ვრთანესმა იმ თხოვნის გამო, რომელიც მის მესამე წერილშია: ქალკედონის უსჯულო კრებისგან შერყეული სარწმუნოების კვლავ განმტკიცების შესახებ, რომელიც კეთილმსახურ მეფეთაგან, ზენონისა და ანასტასისგან, ისევე განმტკიცდა“¹²². როგორც ვხედავთ, უხტანესმა გამოტოვა მოსეს წერილის ის ნაწილი (თითქმის ნახევარი) და ორი სიტყვით ახსენა იგი მხოლოდ მაშინ, როდესაც საკუთარ კომენტარებში ლაპარაკობდა იმაზე, თუ რატომ მისწერა ვრთანესმა მოსეს.

ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ უხტანესს არსად არ აღუნიშნავს მოსეს წერილის ნაწილის გამოტოვება და არც მიზეზი მოუტანია ამ გამოტოვებისა.

ახლა ვნახოთ, როგორაა წარმოდგენილი ვრთანესის პასუხი მოსეს. როგორც აღინიშნა, პასუხის პირველი ნაწილი უხტანესმა სიტყვა-სიტყვით მოიტანა „ეპისტოლეთა წიგნიდან“. მეორე ნაწილზე თვით უხტანესი ამბობს, „დავასრულე ძლიერ მოკლედ“-ო. ზ. ალექსიძე შენიშნავს, „უხტანესთან გამოტოვებულია მოზრდილი აბზაცი თეოდორიტე კვირელის სიმეონ მესვეტესთან კონფლიქტის შესახებ“¹²³. „უხტანესთან გამოტოვებულია ვრთანესის ვრცელი დარიგებანი ბიბლიური ციტატებისა და სამი მსოფლიო კრების მონაწილე მამების ავტორიტეტის მოშველიებით. მაგრამ ამავე ეპისტოლესთვის დართულ კომენტარში ისტორიკოსი არ იფიქრებს ამ გარემოებას და გამოტოვებულ ტექსტს მოკლედ, იმავე ბიბლიური ციტატების მოშველიებით, აცნობს მკითხველს.

ამრიგად, ის ტექსტიც კი სომხეთის ეკლესიის მეთაურთა მიმოწერიდან, რომლის შესახებაც უხტანესმა საგანგებოდ გახაზა — ძლიერ შევამო-

122 უხტანესი, 258.

123 იქვე.

ქლო, ფაქტიურად სულ ოდნავ არის შემცირებული“¹²⁴.

ზ. ალექსიძეს სწორადა აქვს შენიშნული უხტანესის მიერ გამოტოვებული ადგილები, მაგრამ ჩვენ ვერ დავეთანხმებით მის დასკვნას. ჯერ-ერთი, უხტანესმა არსად არ აღნიშნა, რომ მან გამოტოვა „მოზრდილი აბზაცი თეოდორიტე კვირელის სიმეონ მესვეტესთან კონფლიქტის შესახებ“. ამ აბზაცში კი მონოფიზიტებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი ამბავია გადმოცემული. აქ იუსტინიანეს უამბობენ, რომ ქალკედონის კრების შემდეგ თეოდორიტე კვირელმა სვიმეონ მესვეტეს მიუტანა ხელის მოსაწერად ქალკედონის კრების დადგენილებანი, მან კი, მიუხედავად თეოდორიტეს მრავალი ხვეწნა-მუდარისა, არათუ ხელი არ მოაწერა, არამედ ცეცხლში დაწვა ისინი და თანაც დაწყევლა იმპერატორი მარკიანე, ქალკედონის კრება და ყველა, ვინც დაემორჩილა მასო. გაუგებარია, რატომ გააკეთა ეს უხტანესმა.

ამ ამბავს ზ. ალექსიძე ხსნის შემდეგნაირად. „ეპისტოლეთა წიგნის“ თანახმად ვილაც ქალკედონიტმა დიდებულებმა უთხრეს იუსტინიანეს—ვერავინ იტყვის, თითქოს სიმეონმა ქალკედონის გადაწყვეტილებები მოშალა, რადგან ისინი ახლაც „ქალკედონში წმირდა ეფემიას სამარტვილეში ინახებო. სხვები, პირიქით, არწმუნებდნენ, სიმეონმა ქალკედონის კრების განსაზღვრებებს ხელი მოაწერა და მისი ხელრთვაც ახლაც იმავე სამარტვილეში ინახებო“¹²⁵. შემდეგ ამისი მთქმელი იფიცებს, ჭეშმარიტებას მოგიყვებით და უამბობს მეფეს, როგორ დაწვა სიმეონმა ქალკედონის კრების გადაწყვეტილებები. „ვფიქრობთ, ეს წინააღმდეგობა შეამჩნია უხტანესმა და, რადგან ტექსტის შემოკლებას მაინც აპირებდა, შეამოკლა მისი გათვალისწინებით“¹²⁶.

ზ. ალექსიძე ასწორებს ტექსტს. მისი დასკვნით, ქალკედონიტი დიდებულების აზრი ასეთია: ვერავინ ვერ იტყვის, რომ „სიმეონმა ხელ-ჰყო და მოსპო ქალკედონის განსაზღვრება“, რადგან ეს განსაზღვრება ახლაც ქალკედონში ინახებო¹²⁷.

ზ. ალექსიძის კონიექტურა სწორად მიგვაჩნია.

რაც შეეხება მეორე მრჩეველს, რომელიც თავისი მოთხოვნილი წინააღმდეგობაში ვარდებოდა, მასზე უნდა ითქვას შემდეგი: ეს პირი, უეჭველად, მონოფიზიტია. „ეპისტოლეთა წიგნში“ იგი მოხსენიებულია

¹²⁴ იქვე, 260—261. ხაზგასმა ავტორისაა.

¹²⁵ უხტანესი, 258. რატომ „პირიქით“? ორივე ეს აზრი ხომ ფაქტიურად ერთსა და იგივეს ნიშნავს.

¹²⁶ იქვე, 259.

¹²⁷ იქვე.

როგორც „მართლმადიდებელი სარწმუნოების ქომაგი“¹²⁸. (ცხადია, მართლმადიდებლობა აქ მონოფიზიტობას გულისხმობს). შეუძლებელია, რომ მონოფიზიტს ეთქვა, სიმეონმა ხელი მოაწერა ქალკედონის კრების დადგენილებასო. ეს ჩანს იქიდანაც, რომ ცოტა ქვემოთ ეს პირი უამბობს იუსტინიანეს, როგორ უარყო და დაწვა სიმეონმა კრების დადგენილებანი. ამიტომ საესებით სწორია ზ. ალექსიძე, როდესაც ამ ადგილს ასე ასწორებს: „ერთი ვინმე მახლობელთაგან ქომაგი გახდა მართლმადიდებელ სარწმუნოებისა და უთხრა მეფეს, რომ სიმეონმა ხელსუყო და მოსპო ქალკედონის კრების განსაზღვრება“¹²⁹ და შემდეგ უმატებს: „ყველაფერი, რაც ასე გამართულ ტექსტს შემდეგ მოსდევს, სრულ ლოგიკურ კავშირშია წინამავალთან“¹³⁰. მაგრამ უხტანესს ტექსტი ასე არ გაუსწორებია და დატოვა ისე, როგორც „ეპისტოლეთა წიგნშია“. ამიტომ ჩვენ ვერ დავეთანხმებით ზ. ალექსიძეს უხტანესის მოქმედების ახსნაში: „უხტანესმა მომდევნო ტექსტი იმის მიხედვით გაიზარა, რაც ნახა „ეპისტოლეთა წიგნში“ და რედაქციაც შესაბამისი გაუკეთა. ამდენად, მისი შეცდომა გააზრებული შეცდომაა და უცვლელად უნდა დარჩეს“¹³¹.

რომ უხტანესის ტექსტი არ უნდა შეიცვალოს, ამაზე დავეთანხმებით ზ. ალექსიძეს, მაგრამ ვფიქრობთ, უხტანესმა ვერ შეამჩნია ზ. ალექსიძის მიერ აღნიშნული წინააღმდეგობა. საკმე შემდეგშია: უხტანესის, ისევე, როგორც „ეპისტოლეთა წიგნის“ თანახმად მონოფიზიტმა უთხრა იუსტინიანეს, რომ სიმეონმა ხელი მოაწერა კრების დადგენილებას, რომელიც ქალკედონში ინახებო, შემდეგ კი დაიფიცა, რომ ეს დადგენილება დაწვაო. დავუშვათ, რომ უხტანესი მიხვდა ამ წინააღმდეგობას და ამიტომ ამოიღო მოთხრობა დადგენილების დაწვაზე. მაგრამ ამის შემდეგ უხტანესი ყვება, რომ იუსტინიანე მივიდა ქალკედონში და დარწმუნდა, რომ არავითარი დადგენილება წმინდანის საძვალეში არ აღმოჩნდა. ამან აიძულა მეფე მიმხვდარიყო და მოენანიებინა თავისი შეცდომა. როგორც ვხედავთ, მონოფიზიტი დიდებულის მოთხრობა მიანიც არ გამართლებულა. უხტანესი რომ მიმხვდარიყო ზემოხსენებულ წინააღმდეგობას, იგი ასეთ უხერხულ მდგომარეობაში არ დატოვებდა მეფის მონოფიზიტ მრჩეველს. ან ესე გაასწორებდა ტექსტს, როგორც ეს გასწორებულია ზ. ალექსიძესთან¹³²,

128 ეპისტოლეთა წიგნი, 48.

129 უ ხ ტ ა ნ ე ს ი, 260. ხაზგასმა ავტორისაა.

130 იქვე.

131 იქვე.

132 სხვათაშორის, როდესაც ზ. ალექსიძის გასწორებულ ტექსტზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს ის ტექსტი, რომელიც წარმოდგენილია წიგნის მეორე ნაწილში (გვ. 258): „ერთი ვინმე მახლობელთაგანი ქომაგი გახდა მართლმადიდებე-

ან საერთოდ ამოიღებდა ამ დიდებულის რჩევას. განა მისთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანი არ იყო მოთხრო, როგორ მოექცა სახელგანთქმული სიმეონ მესვეტე ქალკედონის კრების დადგენილებას, ვიდრე გადმოეცა ვილაც უცნობი მონოფიზიტი დიდებულის რჩევა და ისიც მცდარი? რატომ გასწირავდა სიმეონის მიერ ქალკედონის კრების დადგენილების უარყოფის უმნიშვნელოვანეს ამბავს ვილაცა უცნობი მონოფიზიტი დიდებულის ლოგიკური შეცდომის გასწორებას?

ზემოთქმულს უნდა დაემატოს ისიც, რომ მოთხრობა თეოდორიტესა და სიმეონ მესვეტეზე საერთოდ მექანიკურად ამოგლეჯილსა ჰგავს. „ეპისტოლეთა წიგნში“ მონოფიზიტი მრჩეველის ცნობას — სიმეონი დაემორჩილა ქალკედონის კრებასო, მოსდევს სიტყვები: „მე მწარე ტანჯვით შევიწყნარო აღსასრული ჩემი ცხოვრებისა, რადგან ასეთია უტყუარი ისტორია ჩვენ მოსახსენებელთა“¹³³. შემდეგ მოდის მოთხრობა თეოდორიტესა და სიმეონზე. ამგვარად, მრჩეველი ფიცულობს, რომ მისი მოთხრობა უტყუარი იქნება და ყველა თეოდორიტესა და სიმეონის ამბავს¹³⁴. მრჩეველის ფიცი მოტანილი აქვს უხტანესსაც, მაგრამ ამ ფიცს აღარ მოსდევს მისი მოთხრობა სიმეონზე. მას მოჰყვება იუსტინიანეს მიერ სიმეონისგან ხელმოწერილი საბუთის ძიების ამბავი, რაც იუსტინიანეს მრჩეველის მონათხრობი არაა და ამიტომ იგი გერც დაიფიცებდა ამ ამბის სიმართლეზე. ამრიგად, იუსტინიანეს მრჩეველის ფიცი უხტანესთან ჰაერში გამოკიდებული რჩება.

ახლა უხტანესის მიერ ვრთანესის წერილის ბოლო ნაწილის შემოკლებაზე. უხტანესის მიერ გამოტოვებული ნაწილი ცოტათი მეტია „ეპისტოლეთა წიგნის“ გამოცემის ერთ გვერდზე. ამ ნაწილში ვრთანესი ჭერ უხსნის მოსეს: მართლმადიდებლობის (ე. ი. მონოფიზიტობის) შემცირება გამოწვეულია იმით, რომ „ყამის აღსასრული“ დგებაო. შემდეგ მოდის ზოგადი მსჯელობა ამ საკითხზე შემაჯარებული სამი ციტატით ბიბლიიდან. ვრთანესი უხსნის მოსეს, რომ ნამდვი-

ლი სარწმუნოებისა და უთხრა მეფეს, რომ ნეტარმა სიმეონმა ხელი მოაწერა და დაეთანხმა ქალკედონის კრების განსაზღვრებას“. თვით ტექსტში თარგმანი მცირედად განსხვავებულია და, ვფიქრობთ, ნაკლებად ზუსტია: „...მახლობელთაგანი ვითომ ქომავი გახდა მართლმადიდებელი სარწმუნოებისა [და] უთხრა მეფეს, რომ ნეტარ სიმეონს ხელი დაუერთავს და დაემორჩილება ქალკედონის კრების განსაზღვრებას“ (91). სიტყვა „ვითომ“, რომელიც არაა სომხურ დედანში, სხვა ელფერს ანიჭებს ვრთანესის სიტყვებს.

133 ეპისტოლეთა წიგნი, 48.

134 უეკველია, ფიცი შეეხება არა მის წინამავალ ტექსტს (სადაც მოტანილია არასწორი ცნობა სიმეონის მიერ ქალკედონის კრების დამტკიცებაზე), არამედ მომდევნო მოთხრობას თეოდორიტესა და სიმეონზე. ასე ფიქრობს ზ. ალექსიძე, რომელიც ფიცის შემდეგ ორწერტილსა სვამს (ეპ. წიგნი, 48).

ლი მორწმუნენი უმცირესნი არიან, რადგან მათ სწორ გზას აცდენს ანტიქრისტე. ამიტომაც საჭირო, მტკიცედ ვიდგეთ სარწმუნოებაზე, რომელიც დაგვიტოვებს წმინდა მამებმა, პირველ სამ კრებაზე რომ შეიკრიბნენო (ჩამოთვლილია ეს კრებები და დასახელებულია ყოველ მათგანზე დამსწრე ეპისკოპოსთა რიცხვი). ამის შემდეგ კვლავ მოდის მოწოდება ანტიქალკედონიანობაზე მტკიცედ დგომისა და ბოლოს ნათქვამია, რომ ქალკედონიტობის საფუძველია მოგვი და მისანი სიმონი.

ამის სანაცვლოდ უხტანესთან სულ რამდენიმე ფრაზაა; მათგან ორი წარმოადგენს „ეპისტოლეთა წიგნში“ ბიბლიიდან მოტანილი ციტატების განმეორებას. ერთი ციტატა უხტანესმა გამოტოვა, სამაგიეროდ თავის მხრივ დაუმატა ორი.

ზემოთქმულის გამო ვერ გავიზიარებთ ზ. ალექსიძის დასკვნას: „ამრიგად, ის ტექსტიც კი რომხეთის ეკლესიის მეთაურთა მიმოწერიდან, რომლის შესახებაც უხტანესმა საგანგებოდ გახაზა — ძლიერ შევამოკლებო, ფაქტიურად სულ ოდნავ არის შემცირებულ“¹³⁵.

როგორც ვნახეთ, მოცულობითაც და შინაარსითაც ეს ადგილი მნიშვნელოვნად არის შემცირებული და უხტანესის სიტყვები „ძლიერ მოკლედ“ გადმოვეციო, რეალურ ვითარებას შეესატყვისება.

ამას დაუფუძოთ ისიც, რომ უხტანესმა შიგადაშიგ ჩაუმატა ცალკეული სიტყვები და გამოთქმებიც, თვით ციტატებშიც კი (და ციტატებიც).

ყოველივე ზემოთქმულმა გვიჩვენა შემდეგი: უხტანესმა მოსეს მესამე ეპისტოლეიდან ვრთანესისადმი გამოტოვა. მეორე ნაწილი, სადაც მოსე ეკითხება ვრთანესს (თუმცა ამ შეკითხვის პასუხი მასთან მოიპოვება). უხტანესს ეს აღნიშნული არა აქვს; უხტანესის 27-ე თავის სათაური და ტექსტი შეიცავს არაერთ უზუსტობას და არეულია; უხტანესმა შეგნებულად გამოტოვა მოთხრობა თეოდორიტე კვირელსა და სიმეონ მესვეტეზე ისე, რომ არც ეს აღუნიშნავს; ამ დროს უხტანესს დარჩა მეფის მრჩეველის ფიცი, რომელიც უაზრობად იქცევა გამოტოვებული ადგილის ამოღების გამო; უხტანესმა მნიშვნელოვნად შეამოკლა ვრთანესის წერილი; ზოგი რამ ჩაუმატა შიგ.

ვფიქრობთ, ზემოაღნიშნული საფუძველს იძლევა, ივ. ჯავახიშვილის კვალად მივიჩნიოთ, რომ ვრთანესის მესამე ეპისტოლეს პირვანდელი სახე წარმოდგენილია „ეპისტოლეთა წიგნში“ და არა უხტანესთან. რაც შეეხება იმას, თუ ვინ გაყო ეს წერილი, ყველაზე უფრო ბუ-

135 უ ხ ტ ა ნ ე ს ი, 261. ხაზგასმა ავტორისაა.

ამდენად, ვფიქრობთ, საეჭვოა ამ თავის „ეპისტოლეთა წიგნის“ აღრიხედელ რედაქციაში არსებობა¹⁴⁰. შემდეგ ზ. ალექსიძე დაწვრილებით იხილავს ამ თავის სათაურს და ასკვნის: „ყველა ეს მომენტი ზემოთქმულთან ერთად (შენ. IV. 1) გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს გვიანდელ დანამატთან და იგი მცდარად მიეწერება მოსე ცურტავის ეპისკოპოსს“¹⁴¹.

თავის მომდევნო წიგნში „უხტანესი. ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“ ზ. ალექსიძე უბრუნდება ამ საკითხს. იგი წერს: „მოსე ეპისკოპოსი წერს თავის სომხურენოვან სამწყსოს:

„გამოვატანე მახეზნი კრებისა და მსგავსი წერილნი ნეტარ მოძღვართა სარწმუნოებისა და მოწინააღმდეგე მწვალებელთა, უმეტესი აქედან „ნეტყვეთ“. უხტანესისეულ რედაქციას მოტანილი წინადადება აკლია. საქმე ეს არის, რომ „ეპისტოლეთა წიგნში“ მოსეს ენციკლიკის უშუალოდ მოსდევს ტრაქტატი IV (ქალკედონის) კრების მიზეზების შესახებ. ცხადია, მოსეს სიტყვებშიც სწორედ ეს ტრაქტატი იგულისხმება. უხტანესის „ისტორიას“ იგი მთლიანად აკლია. რამაც საფუძველი მოგვცა გვევარაუდა, რომ „ეპისტოლეთა წიგნის“ პირველ რედაქციაში ეს ტრაქტატი არ შედიოდა. ვჭვი გამოვთქვით, აგრეთვე, რომ „IV კრების მიზეზები“ მოსე ცურტაველს მცდარად მიეწერება. ამ საკითხს სხვაგან უფრო ვრცლად შევხვებით. აქ კი აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ უხტანესის მიერ შესწავლილ „ეპისტოლეთა წიგნის“ ნუსხებში, ჩანს, არ იყო „IV კრების მიზეზები“. ამიტომ ისტორიკოსს არ მოუხსენებია სადმე, თუმცა მოსეს ენციკლიკის ზემომოტანილი ტექსტიდან მას მგავსი ტრაქტატის არსებობა უნდა სცოდნოდა. ვფიქრობთ, ამიტომ ამოავდო უხტანესმა მასზე მითითება ენციკლიკის შემოკლებისას, რომ სათანადო ტექსტს ვერ შეგვდა მისთვის ნაცხობ ნუსხებში“¹⁴².

ვეცდებით, განვიხილოთ ზ. ალექსიძის დებულებები (ნ. აკინიანის აზრს არ ვეხებით, რადგან ვფიქრობთ, რომ მისი მცდარობა ისედაც გამოჩნდება). შევაჯამოთ ზ. ალექსიძის შეხედულებები:

1. IV კრების მიზეზები თავისი შინაარსითა და მიზანდასახულობით არ უნდა შესულიყო „ეპისტოლეთა წიგნის“ პირვანდელ რედაქციაში.

2. ამიტომ არ შეიტანა უხტანესმა იგი თავის „ისტორიაში“.

3. ეს თავი საერთოდ გვიანდელია, რაზედაც ლაპარაკობს მისი სათაურიც.

4. იგი არ შეიძლება ეკუთვნოდეს მოსეს, რადგან ა) მოსე ბუნდოვ-

140 ეპისტოლეთა წიგნი, 138, შენ. 1.

141 იქვე, 138—139, შენ. 2.

142 უ ხ ტ ა ნ ე ს ი, 254.

ნად იცნობდა IV კრების ისტორიას და თვით დოგმატიკას, ბ) ხოლო ვრთანესს ისეთი არაფერი მიუწერია მოსესთვის, რომ მას წესდებოდა ამ ტრაქტატის დაწერა. „

5. თუ ეს ტრაქტატი სომხურ-ქართული ეკლესიების განხეთქილების დროსაა დაწერილი, იგი მაინც მოსეს არ უნდა ეკუთვნოდეს.

6. მაგრამ, თუ ეს მაინც მოსესია, იგი ვრთანესის წერაღის შემდეგ უნდა დაეწერა, ამის შემდეგ კი მას ქართლში წერილი არ გაუგზავნია.

7. ექვს იწვევს ამ თავის სათაურიც.

მეორე წიგნში ზ. ალექსიძე რამდენადმე განსხვავებულ შეხედულებას აცთობს:

8. მოსეს სიტყვებში, რომ მან გაუგზავნა ცურტაეის სომხურენოვან თემს სხვადასხვა თხზულებები, იჯულისებება „IV კრების მიზეზები“ (მაშასადამე, გამოდის, რომ ეს თავი გვიანდელი არაა).

9. უხტანესმა იმიტომ ამოაგლო მოსეს ცნობა, რომ სიბრძნეო ტექსტი „მიზეზებისა“ „ეპისტოლეთა წიგნის“ თავის ნუსხაში ვერ ნახა. დავიწყოთ ბრლოდან.

1. რაღომ ამოიღო უხტანესმა მოსეს ცნობა მის მიერ გავსავნილ თხზულებებზე? იმიტომ რომ „IV კრების მიზეზები“ უხტანესმა ვერ ნახა „ეპისტოლეთა წიგნის“ თავის ნუსხაში? მაგრამ სხვა შემთხვევაში უხტანესს ასე არ მოაქვია: ჩვენ ვნახეთ, რომ მოსეს შესაძებ ეპისტოლეში ვრთანესს და ვრთანესის პასუხში ლაპარაკია ქართლს აზნაურების წერილზე, რომელიც უხტანესმა ვერ ნახა „ეპისტოლეთა წიგნში“. მაგრამ უხტანესმა არათუ არ ამოაგლო ამ წერილის ხსენება მოსესა და ვრთანესის წერილებიდან, არამედ შეეცადა გაერკვია, რატომ არ მოხვდა აზნაურების პასუხი „ეპისტოლეთა წიგნში“.

2. ახლა თვით მოსეს ცნობაზე. ზემოთ ჩვენ მოვტანეთ ამ ცნობის თარგმანი, რომელიც არის ზ. ალექსიძის ნაშრომში უხტანესის შესახებ. ეს ადგილი სხვაგვარადაა თარგმნილი „ეპისტოლეთა წიგნში“. შევადაროთ ეს ადგილები:

„ეპისტოლეთა წიგნი“

„და მოვატანიე მიზეზნი კრებათა და მსგავსი [წერილნი] ნეტარ მოძღვართა სარწმუნოებისა და მოწინააღმდეგე მწვალებელთა, უმეტესი აქედან შევიტყვეთ“¹⁴³.

უხტანესი, „ისტორია“

„გამოვატანიე მიზეზნი კრებისა და მსგავსი წერილნი ნეტარ მოძღვართა სარწმუნოებისა და მოწინააღმდეგე მწვალებელთა, უმეტესი აქედან შევიტყვეთ“¹⁴⁴.

¹⁴³ ეპისტოლეთა წიგნი, 14.

¹⁴⁴ უხტანესი, 254.

როგორც ვხედავთ, ცვლილებები არსებითია, მაგრამ რამ გამოიწვია ეს ცვლილება, აღნიშნული არაა. ვფიქრობთ, პირველი თარგმანი უფრო ზუსტია. სომხური ტექსტის „*Կառու բնիկ*“ ზუსტად აღნიშნავს „მოვატანინე“-ს (კაუზატივია). თუ მას ვთარგმნიდით „გატანებით“, უნდა ყოფილიყო „გამოვატანებინე“. პირველი მნიშვნელობა ბუნებრივია კონტექსტით: ზევით უკვე იყო მოტანილი მოსეს სიტყვები ვრთანესისადმი მესამე ეპისტოლედან, საიდანაც ჩანდა, რომ მოსემ სათანადო ლიტერატურა სხვადასხვა ადგილიდან. მიიღო, ე. ი., მართლაც, „მოატანინა“. მართალია, ეს წერილი ბევრად უფრო გვიანდელია მოსეს საყოველთაო ეპისტოლეზე, მაგრამ, ჩანს, წყაროების შეგროვებას იგი აღრევე შესდგომია. ეს სამართლიანია იმ შემთხვევისთვისაც, თუ „*Կառու բնիկ*“-ს „გატანებით“ ვთარგმნით. მაგრამ ამ შემთხვევაში თარგმანი კარგად არ ჩაჯდება კონტექსტში: მივიღებთ „გამოვატანებინე“. წერილი მოსეს თვითონ უნდა გაეგზავნა და არა სხვისთვის დაევალებინა მისი გატანება. თუ ტექსტს ისე გავიგებთ, როგორც ზ. ალექსიძე, ალბათ, აჯობებდა „წამოვალებინე“ და არა „გამოვატანებინე“ ან „გამოვაგზავნინე“.

ზევით უკვე აღვნიშნეთ, რომ თავის საყოველთაო ეპისტოლეში მოსემ ზოგადად გადმოსცა ქალკედონის კრების ისტორია და გააკრიტიკა კრებაზე მიღებული მრწამსი, აგრეთვე ნესტორიანობაც. შემდეგ მოსე წერს: „ასე, ესოდენ მცირე მრავალთაგან თავს ვიდევ მომეწერა თქვენთვის და ცოდვანი თავიდან განმეთხია ღმრთისა და კაცთა წინაშე. და მოვატანინე მიზეზნი კრებათა და მსგავსი [წერილნი] ნეტარ მოძღვართა სარწმუნოებისა და მოწინააღმდეგე მწვალებელთა, უმეტესი აქედან შევიტყვეთ“. ე. ი. მას შემდეგ, რაც მოსემ გააგებინა თავის მრევლს ქალკედონის კრება და მისი და ნესტორიანობის კრიტიკა, იგი ატყობინებს, რომ მან ეს ყველაფერი თავისით კი არ გამოიგონა, არამედ შეისწავლა წიგნებიდან, რომლებშიც იყო როგორც მონოფიზიტების, ისე ერეტიკოსების ნაწერებიც.

ახალი თარგმანის მიხედვით სხვა სურათს მივიღებთ: „და გამოვატანე მიზეზნი კრებისა და მსგავსი წერილნი ნეტარ მოძღვართა სარწმუნოებისა და მოწინააღმდეგე მწვალებელთა, უმეტესი აქედან შევიტყვეთ“. გამოდის, რომ მოსეს თავისი მრევლისთვის მონოფიზიტურთან ერთად მწვალებელთა (ე. ი. ქალკედონიტებისა და ნესტორიანების) ნაწერებიც გაუგზავნია, რათა მრევლს უმეტესი მათგანი შეეტყო! ძნელი წარმოსადგენია, რომ მოსეს მონოფიზიტურ და ანტიმონოფიზიტურ ლიტერატურაში გარკვევის ურთულესი საქმე თავისი მრევლისთვის მიენდო. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ

სწორია ამ ადგილის ის თარგმანი, რომელიც წარმოდგენილია „ეპისტოლეთა წიგნში“.

3. თუ ზემოთქმული სწორია, ჩვენ აღარ გვრჩება პირდაპირი ცნობა მოსესი იმაზე, რომ IV კრების მიზეზები მან გაგზავნა ცურტავში თავის პირველ წერილთან ერთად. რა თქმა უნდა, სხვა საკითხია, იყო თუ არა ეს თავი გაგზავნილი საერთოდ.

4. ახლა წერილის სათაურზე. ზ. ალექსიძე წერს: „მეტად საყუარადღებოა ის გარემოება, რომ მოსეს „მართლმადიდებელი და ქართველთა ეპისკოპოსი“ ეწოდება. ორი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს: 1. კრებულის რედაქტორი თვლის, რომ ცურტავის საეპისკოპოსო თავისი ეთნიკური შედგენილობით მთლიანად ქართულია, 2. ქართლი აქ იხმარება რელიგიური შინაარსით. ორივე შემთხვევაში, ვფიქრობთ, გვიანდელ რედაქციასთან გვექნება საქმე. VII საუკუნის დამდეგს აქ სომხურენოვანი თემი ჯერ კიდევ ძლიერია და სომხეთის ეკლესიის მესვეურნი სწორედ მისთვის ოფიციალურ საეკლესიო ენად სომხურის შენარჩუნებას ცდილობენ. ცხადია, ამ აზრით მოსეს ისინი „ქართველთას“ არ უწოდებდნენ. უფრო გვიან კი, როცა კირონ ქართლის კათალიკოსის მიერ დაწყებული საქმე წარმატებით დაგვირგვინდა და როცა „ქართლად ფრიადი ქუეყანა“ აღირიცხებოდა, აადაცუჲში ქართულად იწირებოდა, ცხადია, ცურტავის ეპისკოპოსს თამამად უწოდებდნენ ქართველთა ეპისკოპოსს. რელიგიური თვალსაზრისითაც გამოირიცხებულია, რომ მოსესთვის ქართველთა ეპისკოპოსი ეწოდებინათ VII საუკუნის დამდეგს. მაშინ ჯერ არ ფარავდა ქართველობა და ქალკედონიანობა ერთმანეთს, ხოლო გვიან, როცა უკვე ფარავდა, გამოთქმა „ქართველთა მართლმადიდებელი ეპისკოპოსი“ მეტად უხერხული იქნებოდა მონოფიზიტისათვის. შეიძლებოდა ისიც გვეფიქრა, რომ *Ἐκ τῆς ἑκκλησίας* ქართლის ეპისკოპოსს ნიშნავს, მაგრამ მაშინაც უფრო გვიანდელ რედაქციასთან გვექნებოდა საქმე, ვიდრე VII საუკუნის დამდეგია. იმ ხანებში გამოთქმას „ქართლის ეპისკოპოსი“ უეჭველად „ქართლის კათალიკოსთან“ გააიგივებდნენ. ყველა ეს მომენტი ზემოთ თქმულთან ერთად (შენ. IV. I) გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს გვიანდელ დანამატთან და იგი მცდარად მიეწერება მოსე ცურტავის ეპისკოპოსს“¹⁴⁵.

ვფიქრობთ, რომ მოსეს ქართველთა ეპისკოპოსად ეთნიკური აზრით, ე. ი. იმ აზრით, რომ მისი საეპისკოპოსო შედგენილობით მთლიანად ქართულია, „ეპისტოლეთა წიგნის“ ვერც ერთი რედაქტორი ვერ მოიხსენიებდა, რა დროშიც არ უნდა ემოღვაწა მას, მაშინაც კი, როდესაც ცურტავი მთლად გაქართველებული იქნებოდა, თუ კი ასე-

¹⁴⁵ ეპისტოლეთა წიგნი, 138—139. შენ. 2.

თი მომენტი როდისმე დადგა. „ეპისტოლეთა წიგნიდან“ სავსებით ცხადად და უეჭველად ჩანს, რომ მოსეს მრევლის დიდი (თუ არა უმთავრესი) ნაწილი სომხურენოვანია. ყოველ შემთხვევაში მოსეცა და ვრთანელიც წერილებს სწერენ „ცურტავის ეკლესიის სომხურენოვან სამწყსოს“¹⁴⁶ და მისგანვე ლებულობენ პასუხს. ვფიქრობთ, ეპკვი არ უნდა რჩებოდეს იმაშიც, რომ თვით მოსეც სომეხია.

ვფიქრობთ, „ქართველთა“ ნახმარი არაა არც რელიგიური შინაარსით. მართლაც, მას შემდეგ, რაც ქართველობა და ქალკედონიანობა ერთმანეთს ფარავდა, ამ აზრით მოსეს ვერაფრით ვერ უწოდებდნენ „ქართველთა მართლმადიდებელ ეპისკოპოსს“, რადგან გამოვიდოდა, რომ მოსეცა და მისი სამწყსოს სომხურენოვან ნაწილიც ქალკედონიანები ყოფილან, რასაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ იფიქრებდა „ეპისტოლეთა წიგნის“ რედაქტორი.

რაც შეეხება „მართლმადიდებელს“, უეჭველია, აქ იგი იხმარება მონოფიზიტის მნიშვნელობით. „მართლმადიდებლებად“ ანუ კეშმარიტი, სწორი სარწმუნოების მიმდევრებად მიიჩნევდნენ თავს როგორც დიოფიზიტები, ისე მონოფიზიტები. „მართლმადიდებელი“ მონოფიზიტის აზრით მრავალგზის იხმარება „ეპისტოლეთა წიგნში“. მაგალითად, ცურტავის სომხურენოვანი სამწყსო თავის წერილში მოსესადმი თავის თავს და საერთოდ სომეხებს მართლმადიდებლებად იხსენიებს, თუმცა კი მონოფიზიტები არიან. „ყოველმა მართლმადიდებელმა მიიღო და განმტკიცდა წმინდა გრიგოლისგან ჩვენ სომხეთში სარწმუნოება, სასოება და სიყვარული, რომელიც საღმრთო პავლემა გარდამოსცა ეკლესიას“¹⁴⁷. ხოლო ვრთანესი სწერს კათალიკოს კირიონს: „ეხლა შევიტყუეთ, რომ თქვენ ქალკედონის უსჯულო კრებასა და ლეონის ტომარს მართლმადიდებელურად და დიდების ღირსად თვლით“¹⁴⁸. სხვა მაგალითებს აღარ მოვიტანთ¹⁴⁹.

„ქართველთა“, ან „ქართლის“ ნახმარი უნდა იყოს პოლიტიკური აზრით და უნდა ნიშნავდეს „ქართველებს ქვეყანას“, „ქართლს“. მაშასადამე, „ქართველთა (ან ქართლის) მართლმადიდებელი ეპისკოპოსი“ უნდა ნიშნავდეს „ქართლის მონოფიზიტ ეპისკოპოსს“. მონოფიზიტი მკითხველი ხვდება, რომ თუმცა ქართლი საერთოდ დიოფიზიტურია, აქ ლაპარაკია მის ერთ-ერთ ეპისკოპოსზე, რომელიც მონო-

146 რომლებშიც, სხვათაშორის, იხსენიებიან „საენებების ხუცესები, სოფლის მღვდლები, აზნაურები და გლეხები, მოხუცები და ყრმები, ყველა და ყოველი ერისკაცი მაგ სომხურენოვან ქვეყანათა...“ (ეპ. წიგნი, 31—32).

147 ეპისტოლეთა წიგნი, 30—31.

148 იქვე, 41.

149 იქვე, 3, 16, 17, 24, 28, 32, 42, 47, 50, 73, 79, 90, 99, 108.

ფიზიტია. უნდა ითქვას ისიც, რომ *„კრავ მიღაჟაან ნაჟისიყიის რო-*
გორც არ უნდა ვთარგმნოთ — „ქართველთა, თუ ქართლის მართლ-
მადიდებელ ეპისკოპოსად“ და რა პერიოდისადაც არ უნდა ჩავთვა-
ლოთ იგი — არაზუსტი გამოთქმაა. ორივე შემთხვევაში მკითხველმა
შეიძლება გაიგოს იგი ქართლის კათალიკოსად. უეჭველია, წერილის
სათაური არ უნდა ეკუთვნოდეს მოსე ცურტაველს. მაგრამ არც სხვა
წერილთა სათაურებია წერილთა ავტორებისა. მაგალითად, სხვა წე-
რილებს ასეთი სათაურები აქვთ: „I. ეს პირველი ეპისტოლე მესწე-
რა მოსე ეპისკოპოსმა წმინდა გრიგოლის ადგილის მცველს ვრთანესს
ქერდოლს“, „II. ვრთანესის პასუხი მოსეს ეპისტოლეზე“; „III. მოსე
ეპისკოპოსის საყოველთაო ეპისტოლე“; „IV. მოსე ეპისკოპოსის ეპის-
ტოლეს პასუხი“; და სხვ. აშკარაა, რომ ეს სათაურებიც კრებულს
რედაქტორსა, თუ რედაქტორებს ეკუთვნის, მაგრამ ამის გამო თვით
წერილთა ავტორობის საკითხი ექვს არ იწვევს.

ამრიგად, ზემოთქმული უფლებას გვაძლევს დავასკვნათ: თუმცა
IV წერილის სათაური არ ეკუთვნის წერილის ავტორად დასახელებულ
მოსე ცურტაველს, მაგრამ ეს არ იძლევა საკმარის საფუძველს იმის-
თვის, რომ თვით წერილი სახელნატყუარად და გვიანდელად ჩავ-
თვალოთ

5. ახლა, შეიძლება თუ არა, რომ IV თავი ეკუთვნოდეს მოსე
ცურტაველს? როგორც ითქვა, ზ. ალექსიძის აზრით, „თვითონ მო-
სესთვის ქალკედონის კრების ჩატარების ვითარება და, შესაძლოა,
თვით დოგმატიკაც საკმაოდ ბუნდოვანი იყო“.

აპრიორულად შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ეპისკოპოსი, რომე-
ლიც წინ აღუდგა ეკლესიის მეთაურს (და საერთოდ ქვეყნის მეთაუ-
რებს) დოგმატიკურ საკითხებში შეუთანხმებლობის მომიზეზებით, ამ
დოგმატიკურ საკითხებში მთლად ჩაუხედავი არ უნდა ყოფილიყო. მა-
გრამ ამაზე ჩვენ გვაქვს უფრო პირდაპირი ცნობებიც.

უკვე ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ქართლიდან გამოქცეულმა მო-
სემ ჰოვანავანქიდან გაუგზავნა წერილი თავის მრევლს. ამ წერილის
ავთენტურობა ექვს არ იწვევს. წერილი საკმაოდ დიდია — წიგნის
ხუთი გვერდია. ლიტერატურული და ლოგიკური თვალსაზრისით სავ-
სებით გამართულია. ჩანს, რომ მის ავტორს კალამი პირველად არ
აუღია ხელში. წერილში არის ზოგადეთიკური ხასიათის მსჯელობანიცა
და კონკრეტული ხასიათის ცნობებიც. თავდაპირველად ავტორი მსჯე-
ლობს იმ მოვალეობებზე, რომლებიც ეკისრებათ ღმრთისაგან აღა-
მიანთა წინამძღვრებად არჩეულებს. შემდეგ ავტორი ლაპარაკობს,
თვითონ რატომ დათანხმდა ასეთ არჩეულთა ხარისხზე ასვლას. ამის
შემდეგ ნათქვამია ის, რომ მის მიერ შენიშნულია, რომ მღვდელმთავ-

რები და მთავრები არ მისდევდნენ სწორ სარწმუნოებრივ გზას, რამე იგი ვალდებული იყო, დაეცვა ქეშმარიტი სარწმუნოება და წინ აღუჭრა კიდევაც გზასაცდენილებს, რის გამოც იღევნა და გაძევებულ იქნა. მოსე აფრთხილებს თავის მრევლს — ფრთხილად და ფხიზლად იყოს და არ აპყვეს ქალკედონიანებთან კავშირს, რადგან ქალკედონიტობა იგივე სახეცვლილი ნესტორიანობაა. მოსე მოკლედ აღწერს ქალკედონის კრებას, საკმაოდ დაწერილებით აკრიტიკებს მის მიერ მიღებულ მრწამსს, აკრიტიკებს აგრეთვე ნესტორიანობას. იგი ქალკედონის კრების ჩატარების ვითარებისა და ღოგმატიკის კარგ ცოდნას ამჟღავნებს. მისი სიტყვით, ქალკედონის „კრების წინამძღვარნი ნესტორის წვალების მოზიარენი იყვნენ, დევნილნი ეკლესიიდან, რომელთაც შემწედ აღმოუჩნდათ მეფე მარკიანე და მისი ცოლი პოლქერიანე“¹⁵⁰. ქალკედონის კრება, მართლაც, მარკიანესა და პოლქერიანეს ინიციატივით ჩატარდა. მასზე რეაბილიტაცია მიიღეს და ეპისკოპოსობა დაიბრუნეს წინა კრებაზე (ე. წ. „ყაჩაღური კრება“ ეფესოში, 449 წ.) გადაყენებულმა და განკიცხულმა ევსევო დორილეელმა, თეოდორტე კვირელმა, იბა ედესელმა. ევსევო დორილეელი და თეოდორტე კვირელი ბრალმდებლებადაც კი გამოვიდნენ წინა კრების თავმჯდომარისა და ორგანიზატორის დიოსკორე აღექსანდრიელისა. სიმართლეს არ ღალატობს მოსე, როდესაც ქალკედონის მეთაურებს ნესტორიანელებად ასახელებს, იმდენად, რამდენადაც ასე იყო მიღებული მონოფიზიტურ წრეებში. შემდეგ მოსე ისევ მოუწოდებს თავის მრევლს სიმტიციეზე. ჩვენს ყურადღებას იქცევს ის, რომ, როგორც ტექსტიდან ჩანს, მოსე საკმაოდ ნაკითხია. ის დეტალებით ახსენებს ვესპასიანეს მეფობაში იერუსალიმის აღებასა და დანგრევას. ქალკედონიტებზე ლაპარაკისას აღნიშნავს: „მათ სიყალბეს მათივე ნაწერნი ცხადს ხდიან“—ო¹⁵¹, ხოლო ნესტორიანებზე ამბობს: „დაადვინეს გმობა პირველ მამათა“ და შემდეგ: „ეზლა უფრო ცხადად ნაწერს ვხედავთ ნესტორის მოძღვრებას, კიდევ უფრო მეტად ახალი სახით ნაწერს, რაც მე ვნახე და წავიკითხე მათივე წიგნით, რომელიც ითარგმნება ჩვენ ენაზე“¹⁵². ნესტორიანობის კრიტიკას ასე ასკვნის: „რაც ერთხელ ნეტარ მოძღვართა წერილები ვნახე და წავიკითხე, საკვირველი შერევისა და გამოუთქმელი შეერთების გამო რომ იყო თქმული, ყოველივე ის ასეთი გმობით შეცვლილი ვიხილე“¹⁵³. მასსადაამე, მოსეს წაუკითხავს ქრისტოლოგიურ საკითხებზე (ე. ი. სწორედ იმ საკითხებზე, რომლებიც გადა-

150 ეპისტოლეთა წიგნი, 9—10.

151 იქვე, 10.

152 იქვე, 11.

153 იქვე, 12.

წსკიტა ქალკედონის კრებამ) როგორც ნეტარ მოძღვართა, ცხადია, ი, კლისხმება მონოფიზიტი მოძღვრები, წერილები, ისევე მათ მოწინააღმდეგეთა ანუ დიოფიზიტთა თუ ნესტორიანთა გმობით შეცვლილნი. ბოლოს მოსე თითქოს აჯამებს, თუ ერთად წარმოუდგენს მკითხველს, რა წაიკითხა მან თავისი წერილის დასაწერად, აღნიშნავს რა, რომ მხოლოდ მცირე შემოკლებით მისწერა თავის მრევლს: „ასე, ესოდენ მცირე მრავალთაგან თავს ვიდევ მომეწერა თქვენთვის და ცოდვანი თავიდან განმეხზია ღმრთისა და კაცთა წინაშე, და მოვატანიე მიზეზნი კრებათა¹⁵⁴ და მსგავსი [წერილნი] ნეტარ მოძღვართა სარწმუნოებისა და მოწინააღმდეგე მწვალებელთა, უმეტესი აქედან შევიტყვეთ“. თუ ამას დაუშმატებთ იმასაც, რომ წერილში საჭიროებისამებრ და ზომიერად არის მოტანილი ციტატები ბიბლიიდან, დავრწმუნდებით, რომ ავტორი არაა უვიცი, იგი მწერლობაში კარგად გაწაფული პირია და, როგორც ვხედავთ, არც ქალკედონის კრების ისტორია და არც დოგმატიკის საკითხები მისთვის უცხო არაა.

ახლა „IV კრების მიზეზებზე“. ზევით ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ფაქტობრივ იგი იმავე შინაარსისაა, რაც მოსეს საყოველთაო ეპისტოლე, ოღონდ მასში არაა ცნობები პირად ამბებზე, არსებითი ნაწილი კი ბევრად უფრო დაწვრილებითა და ვრცლადაა წარმოდგენილი, ამასთან ქრონოლოგიურადაც უფრო გვიანდელი ეპოქით, იმპერატორ ანასტასის მეფობით მთავრდება. ტრაქტატის ბოლოს ჩამოთვლილია, თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, გამოყენებული ლიტერატურა: „ზენონ მართლმადიდებელი მეფის წერილი, რომელიც ჰენოტიკონად იწოდება, ნეტარი ანასტასის მეფის წერილი, წიგნი ტიმოთე ალექსანდრიელისა, წერილი იოანე მთავარეპისკოპოსისა, წერილი პეტრე ანტიოქელისა და მიზეზიც და სხვა მრავალი წერილი მართლმადიდებელთა“¹⁵⁵. შემდეგ მოდის ფრაზა: „ნუ გიკვირს, საყვარელო, თუ როგორ გავრცელდა სიცრუე და შესუსტდა სარწმუნოება“¹⁵⁶.

ამრიგად, როგორც ითქვა, ქრონოლოგიურად ტრაქტატი წყდება იქ, სადაც ზენონისა და ანასტასის შემდეგ „გავრცელდა სიცრუე და შესუსტდა სარწმუნოება“. ახლა გავიხსენოთ, რას სწერს მოსე თავის მესამე წერილში ვრთანესს: „ამასაც გთხოვთ, უფალო: ნეტარი ტიმოთეს წიგნი სრულად შევიძინე და გადავწერე ყველა წერილი, რომლებიც მაგ წმინდა ეკლესიაში და თქვენთან იპოვება. მოაღწიეს ჩემთან სხვა წერილებმა ნეტარ მოძღვართა სრულიად სხვადასხვა ადგი-

154 იქვე, 14. თუნდაც რომ დავეშვათ, მოსემ ეს წიგნები თავის მრევლს გაუგზავნა, ხომ მაინც საფიქრებელია, რომ ის მათ იცნობდა.

155 ეპისტოლეა წიგნი, 28.

156 იქვე, 28—29.

ლიდან, რომლებიც ამხილებენ და წყევლიან ორბუხნებოვანთა კრებას. ხოლო კეთილმსახურ მეფეთა ნეტარი ზენონისა და ანასტასის მიერ იმ ურიული კრების განსაზღვრების აღფხვრის შემდეგ, ვერსად ვიპოვე; თუ კვლავ როგორ ან ვისგან აღიძრა ახალსახიობა და დაამხო მრავალი ეკლესია. რანაირადაც იცის თქვენმა სიწმინდემ, ბრძანეთ და მოგწერეთ ჩვენს სიმდაბლეს“¹⁵⁷.

როგორც ზ. ალექსიძე აღნიშნავს, „ნეტარ“ ტიმოთეს წიგნში მოსე გულისხმობს ალექსანდრიის ეპისკოპოს ტიმოთე ელურის ტრაქტატს „ქალკედონის კრების განსაზღვრების წინააღმდეგ“¹⁵⁸. მაშასადამე, მოსეს უკვე ამ წყაროდანაც ეცოდინებოდა ქალკედონის კრების დოგმატიკა და მისი მონოფიზიტური კრიტიკა. მოსეს ხელთ ჰქონია სხვა წყაროებიც. „ნეტარი ტიმოთეს წიგნი სრულად შევიძინე და გადავწერე ყველა წერილი, რომლებიც მაგ წმინდა ეკლესიაში და თქვენთან იპოებ“. თუნდაც რომ ეს „ყველა წერილი“ იმავე ტიმოთეს წიგნს გულისხმობდეს, მომდევნო ფრაზა სავსებით ცხადია: „მოაღწიეს ჩემთან სხვა წერილებმა სრულიად სხვადასხვა ადგილიდან, რომელნიც ამხილებენ და წყევლიან ორბუხნებოვანთა კრებას“. როგორც ვხედავთ, ტიმოთეს წიგნის გარდა მოსეს სხვა წყაროებიც ჰქონია, რომლებიც სხვადასხვა ადგილებიდან მიუღია. მოსეს სიტყვებიდან ჩანს, რომ ყველა ისინი სწორედ ქალკედონის კრების დადგენილებათა კრიტიკას შეიცავდნენ.

ამრიგად, როგორც ითქვა, მოსე თხოულობს არა ქალკედონის კრების ისტორიისა და დოგმატიკის გადმოცემას, არამედ იმას, თუ რა მოჰყვა ზენონისა და ანასტასის შემდგომ პერიოდს, „რადგან ვერსად ვიპოვე, თუ კვლავ როგორ ან ვისგან აღიძრა ახალსახიობა და დაამხო მრავალი ეკლესია“-ო¹⁵⁹. ვრთანესიც თავის პასუხს სწორედ ამ პერიოდით იწყებს: „მაგრამ [ეხლა] თქვენი კითხვისმოყვარისა და მართლმადიდებელი პატიოსნების თხოვნის გამო იმ მიზეზების შესახებ, რის გამოც ხელახლა დაამტკიცეს განმავრთებელი და წარმწყმედი უსჯულო ქალკედონის კრება, რომელიც აღმოფხვრა კეთილმსახურმა ზენონმა შემაერთებელი წერილით და ამის შემდეგ იმ განსაზღვრებისათვის თავი გამოიღვა ანგელოზთა და კაცთა საწადელმა ანასტასიმ“¹⁶⁰. მოსე გულისხმობდა შემდეგს: ქალკედონის კრებამ დაამტკიცა დიოფიზი-

157 ეპისტოლეთა წიგნი, 44.

158 იქვე, 144.

159 იქვე, 44.

160 იქვე. 45—46.

ტური მრწამსი და მონოფიზიტობა აკრძალა. მართალია, მონოფიზიტობა ამითი არ მოისპო, მაგრამ გაბატონებული პოზიცია, ცხადია, დიოფიზიტობას ეკავა. 482 წ. იმპერატორმა ზენონმა (474—491) გამოსცა ერთიანობის აქტი „ჰენოტიკონი“, რომლის მიზანი იყო, შეერიგებინა დიო- და მონოფიზიტები. მართალია, მასში ქალკედონის კრება პირდაპირ დაგმობილი არ იყო, მაგრამ სარწმუნოების სიმბოლოს გამომხატველად დასახელებული იყო მხოლოდ ნიკეის, კონსტანტინოპოლისა და ეფესოს (ე. ი. პირველი სამი) მსოფლიო კრებები. „ჰენოტიკონში“ ნახმარი ზოგიერთი გამოთქმაც აფიჭრებინებდა მკითხველს, რომ მისი ავტორები შეფარვით უარყოფდნენ ქალკედონის კრებას. ამიტომ მონოფიზიტებმა „ჰენოტიკონი“ მიიღეს როგორც ქალკედონის კრების უარყოფა, მით უმეტეს, რომ ზენონის დროს დიოფიზიტებს დევნაც (გარკვეული ზომით) კი იყო. ასეთივე მდგომარეობა იყო ზენონის მომდევნო იმპერატორის ანასტასის (491—518) დროსაც.

ქალკედონის კრების ავტორიტეტი აღადგინა იმპერატორმა იუსტინემ (518—527). 519 წ. კონსტანტინოპოლში ჩასულმა რომის პაპის ლეგატებმა აღადგინეს რომსა და კონსტანტინოპოლს შორის „ჰენოტიკონის“ გამოსვლის შედეგად გაწყვეტილი ურთიერთობა. კონსტანტინოპოლის პატრიარქი იოანე იძულებული იყო დათანხმებოდა პაპის დამამცირებელ მოთხოვნებს. ლეგატებმა საზეიმოდ ამოშალეს „ჰენოტიკონის“ ნამდვილი ავტორის, თუ ზენონის თანაავტორის, კონსტანტინოპოლის პატრიარქის აკაკის სახელი დიპტიხებიდან. იგი ნესტორიანელებსა და მონოფიზიტებთან ერთად ანათემას მიეცა. ოფიციალურად გაკიცხულ იქნენ თვით იმპერატორებიც, ზენონიცა და ანასტასიც.

როგორც ვხედავთ, ერთანესის მესამე პასუხი გაგრძელებაა „IV კრების მიზეზთა“. ჩანს, მასაც ჩვენსავეთ გაუგია მოსეს შეკითხვა.

ახლა საკითხი დგება იმაზე, თუ ვისი დაწერილია „IV კრების მიზეზები“. ჩვენ ვნახეთ, რომ მოსე ცურტაველს შესწევს ძალა მის დასაწერად; ვნახეთ ისიც, რომ ერთანესის წერილი ამ ტრაქტატის გაგრძელებას წარმოადგენს. მაგრამ ეს ჭერ კიდევ არაა საკმარისი იმის დასამტკიცებლად, რომ „მიზეზნი“ მაინცდამაინც მოსეს დაწერილი იყო. ხომ შეიძლებოდა, მოსეს უკვე არსებული ტრაქტატის გაგრძელება ეთხოვნა ერთანესისთვის. ამასთან დაკავშირებით ჩვენს ყურადღებას იქცევს მოსეს სიტყვები მისი საყოველთაო ეპისტოლეს ბოლოდან: „და მოვატანინე მიზეზნი კრებათა და მსგავსი [წერილნი] ნეტარ მოძღვართა სარწმუნოებისა“ და სხვ. ხომ არ იგულისხმება ამ „კრებათა მიზეზებში“. „IV კრების მიზეზნი“? — გამორიცხული არაა. მაგრამ რომელიღაც „მიზეზი“ დასახელებულია თვით „IV კრე-

ბის მიზეზთა“ ბოლოს ლიტერატურის სიაში. ამიტომ „IV კრების მიზეზთა“ ავტორად მინც უფრო მოსე მიგვაჩნია: 1. „IV კრების მიზეზნი“ სომეხის დაწერილია. მასში არის ფრაზა: „სჯულნი სიონიდან და უფლის სიტყვა იერუსალიმიდან გამოვლენ. მართლის მთხრობელმა წმინდა გრიგოლმა მათგან გავსწავლა ჩვენ და არა თავისდათავად რამე“¹⁶¹. წმინდა გრიგოლი, ცხადია, სომეხეთის მომაქცეველია. 2. ტრაქტატის ავტორად თვით „ეპისტოლეთა წიგნი“ დასახელებულია მოსე. 3. მოსეს შესწევდა ძალა ამგვარი ტრაქტატის დასაწერად. 4. ტრაქტატის შინაარსი ძირითადად იმეორებს მოსე ცურტაველის საყოველთაო ეპისტოლეს ესტორიული ნაწილის შინაარსს. 5. ტრაქტატის ბოლოში დასახელებული ლიტერატურა ძირითადად ემთხვევა მოსეს საყოველთაო ეპისტოლესა და ვრთანესისადმი მესამე ეპისტოლეში დასახელებულ ლიტერატურას. „IV კრების მიზეზთა“ ბოლოში დასახელებული არიან: „ზენონ მართლმადიდებელი მეფის წერილი, რომელიც „პენოტიკონად“ იწოდება, ნეტარი ანასტასი მეფის წერილი, წიგნი ტიმოთე ალექსანდრიელისა, წერილი იოანე მთავარეპისკოპოსისა, წერილი პეტრე ანტიოქელისა და მიზეზნიც და სხვა მრავალი წერილი მართლმადიდებელთა“. ზენონისა და ანასტასის წერილები და ტიმოთეს წიგნი იხსენიებიან მოსეს მესამე ეპისტოლეში ვრთანესისადმი. „მიზეზი“, როგორც ითქვა, იხსენიება საყოველთაო ეპისტოლეში. ამათ გარდა „IV კრების მიზეზებში“ იხსენიებიან იოანე მთავარეპისკოპოსის, პეტრე ანტიოქელისა და „სხვა მრავალი წერილი მართლმადიდებელთა“ ხოლო „საყოველთაო ეპისტოლეში“ — ნეტარ მოძღვართა წერილები, ასევე XII წერილში „ყველა წერილი“ და „სხვა წერილები ნეტარ მოძღვართა“. ეკვი არაა, „IV კრების მიზეზთა“ ლიტერატურის დიდი ნაწილი სწორედ ამ წერილებში უნდა შედიოდეს. მაგრამ ამათ გარდა საყოველთაო ეპისტოლეში მოსე ასახელებს მოწინააღმდეგეთა თხზულებებს.: ქალკედონიანების, ნესტორიანების, მოწინააღმდეგე მწვალებელთა თხზულებებსაც. ამგვარად, მოსეს საკმარისი ლიტერატურა ჰქონდა, რათა დაეწერა „IV კრების მიზეზები“.

161 ეპისტოლეთა წიგნი, 22.

*ღირთვ ცხივბალორცხინ, ნი-
ვჩნ ჩას ცრხაღუნ ქაქთ აონხნ...
ხა ანყრტნ ჟარბხალ ასხნ, ხ
ქრცილვ გნოცხანუნ ანქათხი
ხ, ხ ირვ ქათხხალ ზამარქნ¹⁶²
ასხნ ცხრილას გნოცხინას
ჭრქათოიქ აქაქნუნ გამარქილ:
ქჩინ ქლ რქქანჯაკ, ღნჯ ქლომ
ასოლობოქხანუნ, გნოიას ზგიქ-
ხამა ასინ...¹⁶².*

*...ღირთვ ცხივბალორცხინ, ნი-
ვჩნ ჩას ცრხაღუნ ქაქთ აონხნ...
ხ ანჯრტნ ჟარბხალ ასხნ ქრცილვ
გნოცხანუნ ანქათხი, ხ ირ
ქათხხალ ზამარქნ ასხნ ცხრ-
ცილას გნოცხინას ჭრქათოიქ.
გამარქილქჩან ქლ რქქანჯაკ
ღნჯ ქლომ ასოლობოქხანუნ,
გნოიას ზგიქხამა ასინ¹⁶³.*

მათ სიყალბეს მათივე ნაწერ-
ნი ცხადს ხდიან... და იქვე იმე-
ორებენ: ორივე ბუნებისაგან შე-
ურყვენელიაო, რომელთაც მია-
ჩნიათ, რომ შერეულია (ამბობენ
ქრისტეს ორ ბუნებას, ესე იგი
მის სრულ კაცობას მისსავე
ღმრთეებასთან ერთად), მათ
ვწყევლითო¹⁶⁴.

მათ სიყალბეს მათივე ნაწერნი
ცხადს ხდიან... და იქვე იმეორე-
ბენ: ორივე ბუნებისაგან შეურ-
ყვენელიაო, რომელიც მიაჩნიათ,
რომ შერეულია, ამბობენ ქრის-
ტეს ორ ბუნებას, ესე იგი მის
სრულ კაცობას ღმრთეებასთან
ერთად, მათ ვწყევლითო¹⁶⁵.

ეს დამთხვევა შეიძლებოდა აგვეხსნა შემთხვევითობით, ან იმით,
რომ მოსემ ისარგებლა „IV კრების მიზეზებით“. უკანასკნელ ვარაუდს
გამოვრიცხავთ, რადგან, როგორც ვნახავთ, „მიზეზები“ საყოველთაო
ეპისტოლეზე ბევრად უფრო გვიან უნდა იყოს დაწერილი.

ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს მივიჩნიოთ, რომ „IV კრების
მიზეზები“ მოსე ცურტაველის დაწერილია.

162 ეპისტოლეა წიგნი, 10.

163 ი ქ ე ე, 19—20.

164 ეპისტოლეა წიგნი, 10.

165 იქვე, 19—20. უნდა ითქვას, რომ აქ ჩვენ ცოტაოდენ შეეცვალეთ თარგმანს. საქმე ისაა, რომ სომხური ტექსტი თითქმის სიტყვა-სიტყვით მეორდება, ქართული თარგმანი კი რამდენადმე განსხვავდება. იმისთვის, რომ სომხურის უცოდინარ მკითხველისთვის უფრო აშკარა გამხდარიყო ტექსტობრივი დამთხვევა, „IV კრების მიზეზების“ სათანადო ადგილი გავაკეთეთ ისე, როგორც არის საყოველთაო ეპისტოლეში. ცხადია, ასეთივე წარმატებით შეიძლებოდა პირიქითაც გაკეთებულიყო.

თუ ეს ასეა, როდის უნდა დაეწერა იგი მოსეს?

ზევით უკვე ითქვა, რომ თავისი საყოველთაო წერილი ცურტავში მოსეს უნდა დაეწერა ჰოვანავანქში ჩასვლისთანავე, ან შეიძლება რამდენადმე გვიანაც. საქმე ისაა, რომ, როგორც არაერთხელ ითქვა, ამ წერილის ბოლოს მოსე წერს: „მოვატანიე მიზეზნი და მსგავსი [წერილნი] ნეტარ მოძღვართა სარწმუნოებისა და მოწინააღმდეგე მწვალებელთა. უმეტესი აქედან შევიტყუეთ“. ცხადია, ამ წიგნების მოტანას, გაცნობას და მათ საფუძველზე წერილის დაწერას გარკვეული დრო დასჭირდებოდა. თუმცა, ქვემოთ ჩვენ მოგვიხდება ლაპარაკი იმაზე, რომ მოსეს, შესაძლებელია, სხვა რამეც აყოვნებდა.

საქმის ვითარება ასე წარმოგვიდგენია: მოსეს კონფლიქტი მოუვიდა კათალიკოს კირიონთან, ქართლის სხვა მღვდელმთავრებთან და მთავრებთან. ამ კონფლიქტის მიზეზი, ყოველ შემთხვევაში გარეგნული მაინც, სარწმუნოებრივი მრწამსის საკითხი იყო. ცხადია, ეპისკოპოსი მოსე ამ საკითხებს აღრეც იცნობდა (სხვა არა იყოს რა, მისივე სიტყვების თანახმად, მას ხომ ცურტავის საეკლესიო სკოლა ჰქონდა დამთავრებული¹⁶⁶, სადაც, უეჭველია, ასეთ საკითხებსაც სწავლობდნენ). მოსე პოლიტიკურ საკითხებშიც გარკვეული უნდა ყოფილიყო, რადგან იგი პიტაბაშ-ის კარის ეპისკოპოსი იყო¹⁶⁷. მისი გათვითცნობიერება პოლიტიკაში შემდეგშიც არაერთხელ გამოჩნდა. ბუნებრივია, კონფლიქტის დაწყების შემდეგ მოსე კიდევ უფრო ღრმად გაეცნობოდა საეკლესიო ისტორიასა და დოგმატიკას. ჰოვანავანქში ჩასვლის შემდეგ მან, ჩანს, მოაგროვა ძირითადი ლიტერატურა და მის საფუძველზე გაუგზავნა წერილი თავის მრევლს იმავე, 605/606 წლების ზამთარში. მაგრამ თავის უშუალო საქმეს ჩამოცილებული მოსე აგრძელებს მუშაობას. იგი დამატებით იყრებს ლიტერატურას და წერს ვრცელსა და ღრმა ტრაქტატს ქალკედონის კრებაზე. ამასთან, მოსეს, ჩანს, უნდოდა ეჩვენებინა შემდგომი ისტორიაც. მაგრამ მას შემოაკლდა მასალა VI ს. დასაწყისის (ანასტასის მეფობის) დროიდან და დახმარებისთვის თხოვნით მიმართა ვრთანესს თავის მესამე წერილში. ეს წერილი, როგორც ითქვა, დაწერილი უნდა იყოს 606 წლის ზაფხულში, მის ბოლოს ან შემოდგომის დასაწყისში. ზემოთ უკვე ითქვა, რომ ვრთანესმა თავისი წერილი პეტრეს გაუგზავნა 506 წ. ზაფხულში. შემდეგ მიიღო პასუხი ქართლელი აზნაურებისა. ამის შემდეგ მიიღო მან მოსეს მესამე წერილი, სადაც მოსე სთხოვდა მას ცნობებს საეკლესიო ისტორიაზე. უნდა ვიფიქროთ, რომ მოსემ „IV კრების მიზე-

166 ეპისტოლეთა წიგნი, 1.

167 იქვე.

ზებზე“ მუშაობა შეწყვიტა სწორედ ამ დროს. თავისი სამუშაო მას რომ უფრო ადრე დაემთავრებინა, ალბათ, თავის წინა წერილებში სთხოვდა დახმარებას ვრთანესს. ამრიგად, „IV კრების მიზეზები“ იწყებოდა საკმაოდ დიდხანს, როგორც ეტყობა, 606 წლის მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში.

ახლა საკითხი დგება იმაზე, იყო თუ არა „IV კრების მიზეზები“ „ეპისტოლეთა წიგნის“ პირვანდელ ტექსტში? გადაჭრით ამაზე პასუხის გაცემა ძნელია. ყოველ შემთხვევაში მხოლოდ ის აზრი, რომ „ეს თავი, თავისი შინაარსითა და მიზანდასახულობით არ უნდა შედიოდეს ისეთ კრებულში, როგორც „ეპისტოლეთა წიგნი“¹⁶⁸, საჭიარისი არ გვეჩვენება იმის დასამტკიცებლად, რომ იგი არ შედიოდა კრებულში. ასეთივე შინაარსი და მიზანდასახულობა აქვს ვრთანესის მესამე ეპისტოლეს იმ ნაწილს, რომელიც მოსეს შეკითხვის პასუხს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ეს თავი, ჩანს, მთლიანად შედიოდა „ეპისტოლეთა წიგნში“. გარდა ამისა „ეპისტოლეთა წიგნში“ სხვაე არის ისეთი მასალა, რომელიც თავისი შინაარსით „ეპისტოლეთა წიგნს“ არ უნდა უდგებოდეს (მაგ. თავი XIV. დვინის კანონები: ან თავი XV, ხელწერილი, რომელიც სმბატ მარზპანს მისცეს დვინში შეატყობინა ეპისკოპოსებმა: თავი XVI. ხელწერილი, რომელიც მისცეს სომეხთა კათალიკოს აბრაამს). მართალია, როგორც აღნიშნავს ზ. ალექსიძე, ეს თავი არ შეიტანა თავის წიგნში უხტანესმა¹⁶⁹, მაგრამ, როგორც ვნახეთ, ის საკმაოდ მნიშვნელოვან რედაქციას უკეთებდა „ეპისტოლეთა წიგნს“. შეიძლება, მან ეს თავი არ შეიტანა იმიტომ, რომ მას არა აქვს უშუალო კავშირი ქართულ-სომხური ეკლესიების განხეთქილებასთან, არც საკუთრივ ქართლთან და არც საკუთრივ სომხეთთან. ასე შემოკლა მან სხვა წერილების ის ადგილები, რომლებშიც ზოგადი ლაპარაკი იყო¹⁷⁰. თანაც, თუ მოსემ „IV კრების მიზეზნი“ თავის ენციკლიკასთან ერთად გაგზავნა ქართლში¹⁷¹, იგი შეიძლება ჩადგეს სხვა ეპისტოლეთა რეგში და მისი არსებობა კრებულში მოულოდნელი აღარ უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, ერთი ცხადია, „ეპისტოლეთა წიგნის“ დღესდღეობით არსებულ ნუსხაში (XIII ს. ბოლო) ეს წერილი

168 ეპისტოლეთა წიგნი, 138. შენ. 1.

169 იქვე.

170 მართალია, უხტანესის მიერ დატოვებულ ყველა მასალასაც არა აქვს პირდაპირი კავშირი ქართლთან, იგივე ზემოხსენებულ კანონებსა და ხელწერილებს, მაგრამ ისინი მოცულობით პატარანი არიან, ყველა ერთად ორჯერ უფრო მცირეა „IV კრების მიზეზებზე“. თანაც ისინი სომხეთის ისტორიის მნიშვნელოვან ფურცლებს შეიცავენ.

171 უხტანესი, 254.

შეტანილია. და მაინც, როგორც ვთქვით, არა გვაქვს საფუძველი, რაიმე გადაჭრით ითქვას ამ საკითხზე.

დაბოლოს, „IV კრების მიზეზების“ კიდევ ერთი საკითხი. გაგზავნა თუ არა იგი მოსემ ცურტავში. ვფიქრობთ, აქაც ძნელია გადაჭრით პასუხის გაცემა. როგორც თვით ტრაქტატიდან ჩანს, მოსე აპირებდა დაეწერა სერიოზული, გაშლილი ისტორია ქალკედონიანობისა და მისი ბრძოლისა მონოფიზიტობასთან. გარკვეულ პერიოდამდე მან ეს გააკეთა, შემდგომი ამბების მოთხრობა სთხოვა ვრთანესს. ამ უკანასკნელმა აშკარად ვერ გაამართლა მისი სურვილი და იმედები. ვრთანესის პასუხი ძალზე ზოგადია. მასში თითქმის ერთადერთი კონკრეტული ამბავია მოთხრობილი თეოდორიტესა და სიმეონ მესვეტეზე და ისიც აქვს მოსეს (ვრთანესმა, ცხადია, ეს არ იცოდა, რადგან არ იცნობდა „IV კრების მიზეზებს“). თვით ვრთანესიც გრძნობს, რომ მისი პასუხი მეტად მოკლეა: „იყო აქ მოსახსენებელი რამ ღირსი, მაგრამ სხვა დროისათვის იქნეს შენახული...“¹⁷². წერილის ბოლოსაც იგი იმეორებს: „ამ მცირეს ბევრიდან ვაცნობებ შენ სიწმინდეს“¹⁷³. თავის შეკითხვის ბოლოს მოსე უსახელებდა ვრთანესს იმ ლიტერატურას, რომელიც გამოიყენა, თითქოს სთხოვდა ეცნობებინა მისთვის, რისი დამატება იყო საჭირო. მაგრამ ვრთანესმა ეს არ გააკეთა. მას არც ერთი ლიტერატურული წყარო არა აქვს დამოწმებული. ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ თავის პასუხს იგი ზეპირად, ხელის ერთი მოსმით წერდეს. ასეთი პასუხი მოსეს ვერ დააკმაყოფილებდა. ვფიქრობთ, რომ იგი არ დაუმატებდა ვრთანესის პასუხს თავის ტრაქტატს.

ეს ამავე დროს გვიჩვენებს, რომ ვრთანესმა მაინცდამაინც არ დაუგვიანა პასუხი მოსეს. გაგზავნა თუ არა მან თავისი ტრაქტატი ცურტავში? ვფიქრობთ, არა. ყოველ შემთხვევაში არ გაუგზავნია თავის ენციკლიკურ წერილთან ერთად. ცურტაველთა პასუხში მოსეს მიმართ არა ჩანს, რომ ისინი ამ ტრაქტატს იცნობენ. თავის ენციკლიკურ წერილში მოსე სწერდა მათ: „...საჭიროდ ვცან ამ გამაფრთხილებელი [გჟოლჯაგოყჩქ] წერილით ყურში მეთქვა მაგ თქვენი ღმრთისმოყვარებისათვის, რომ იყოთ ფრთხილად და ფხიზლად...“¹⁷⁴ ცურტაველები პასუხობენ: „შენი სიწმინდის მოკითხვის წიგნი, დამარიგებელი და გამაფრთხილებელი [გჟოლჯაგოყჩქ] მივიღეთ მთელმა ძმობამ“¹⁷⁵. აშკარაა, რომ აქ მოსეს ენციკლიკური წერილი იგულისხმება.

172 ეპისტოლეთა წიგნი, 47.

173 იქვე, 52.

174 იქვე, 9.

175 იქვე, 29.

ვფიქრობთ, მოსემ არც შეავსო თავისი ტრაქტატი ვრთანესის პასუხით, რადგან იგი (პასუხი) ამის მასალას არ იძლეოდა. ალბათ, ამიტომაც არის ტრაქტატი დაუმთავრებელი სახით წარმოდგენილი.

რაც შეეხება იმას, რომ ვრთანესის მესამე პასუხის შემდეგ მოსეს წერილი არ გაუგზავნია ცურტავში¹⁷⁶, ვფიქრობთ, ეს აზრი მეტად სათუაო. ნუთუ თავისი პირველი წერილის შემდეგ 605/606 წლების ზამთარში მოსეს რამდენიმე წლის განმავლობაში წერილი არ გაუგზავნია ცურტავში? მართალია, ასეთი წერილი „ეპისტოლეთა წიგნში“ შემონახული არაა, მაგრამ განა ყველა წერილია მასში შემონახული?

შემდეგ „ეპისტოლეთა წიგნში“ წარმოდგენილია სამი თავი (XIV, XV და XVI), რომლებიც ქრონოლოგიურად ასახავენ საქმის ვითარებას. მათში პირველი (როგორც ქრონოლოგიურად, ისე ადგილით „ეპისტოლეთა წიგნში“) არის XIV თავი: „კანონები, რომლებიც დაიდო დვინს, როცა განზრახვა იყო ეპისკოპოსთა შეკრებისა, რომ სომეხთა კათალიკოსი განეწესებინათ მოსე კათალიკოსის სიკვდილის შემდეგ და იმჭერად დაბრკოლდა“¹⁷⁷. კანონების შინაარსი ასეთია: წინათ წმინდა მამებმა უარყვეს და განაგდეს საშინელი წყევლით ყველა მწვალებელი (სახელით მოიხსენიება თოთხმეტი, იგულისხმებიან სხვანოც). „ეხლა ჩვენი ქვეყნიდან ქალკედონის კრებისა და ლეონის ტომარის მალღარებელთან და შიმწყნარებელთან ერთად მრავალნი ეზიარნენ. ზოგნი ნებაყოფლობით ამო დიდებისმოყვარულობის და მლიქვნელობის გამო, ზოგნი უნებურად იძულებულნი მათგან, და სხვანი — უმეცრებისა და უპოვარების გამო. ამიტომ შევიკრიბეთ ით ჩვენ, ეპისკოპოსნი, დედაქალაქ დვინის ეკლესიაში: თეოდორე სამარბეტოს ეპისკოპოსი, იოვანე არწრუნთა ეპისკოპოსი, ქრისტოფორ სიენიელთა ეპისკოპოსი, მანასე ბასეანის ეპისკოპოსი, აბრაამ რშტუნთა ეპისკოპოსი, იოვანე ამატუნთა ეპისკოპოსი, გრიგოლ ანძეველთა ეპისკოპოსი, სიონ გოლთნის ეპისკოპოსი, აარონ მეჰნუნთა ეპისკოპოსი, ნერსეს ბზუნთა ეპისკოპოსი, იოანიკ ელის ეპისკოპოსი, თადეოს არნას ეპისკოპოსი — 50 ეპისკოპოსი, 390 მღვდელი და მამანებით და სხვა [მიზეზით] კანონიერ განსაზღვრებათა და სამტკიცებლად მათთვის, რომ ელნიც მოვლენ აღსარებაზე მონანიებით ვნებათა და ცოდვათა, რომელიც ქმნეს ნებით და უნებლიედ, რათა იცოდნენ მომზადებით, როგორ მოიპოვონ ხსნა უფლისაგან“¹⁷⁸.

176 ეპისტოლეთა წიგნი, 138, შენ. 1.

177 იქვე, 53—56.

178 ეპისტოლეთა წიგნი, 53—54. ზ. ალექსიძემ სამართლიანად შენიშნა, რომ 50 ეპისკოპოსი შეცდომით უნდა იყოს დასახელებული. მაგრამ ვერ გაეზიარებთ

ამრიგად, ეს კანონები დაიღო იმისთვის, რომ გარკვეულიყო პოზიცია იმათ მიმართ, ვინც ნებსით თუ უნებლიედ მიიღეს ქალკედონიტობა და მოინდომეს მონოფიზიტობას დაბრუნებოდნენ. სავსებით ბუნებრივი მდგომარეობაა. როგორც ითქვა, 491 წ., როდესაც ხოსრო II ფარვიზმა ბიზანტიას გადასცა ქართლისა და სომხეთის დიდი ნაწილი, ბიზანტიურ სომხეთში შეიქმნა ქალკედონიტური საკათალიკოსო. 405 წ. ირანელები იერიშზე გადავიდნენ მავრიკეს მკვლელ ფოკას წინააღმდეგ და გაიშარჯვეს კიდეც მცირე აზიაში. ამიერკავკასიაში მათი წინსვლა ცოტა მოგვიანებით მოხდა. კერძოდ, ჩანს, აქ მათ გარკვეული უპირატესობა მოიპოვეს. 606 წ. სომხეთში სარწმუნოებრივი და, ალბათ, სხვა რიგის არეულობის მოსაგვარებლად სპეციალური მისიით გამოგზავნილ იქნა სმბატ ბაგრატიუნი, რომლის მეცადინეობითაც „მოხერხდა“ „სომხეთის ქალკედონური საეპისკოპოსოების მონოფიზიტობაზე დაბრუნება, რასაც შედეგად ორად გაყოფილი საკათალიკოსო ტახტის გაერთიანება და მასზე აბრაამ ალბათანელის ასვლა მოჰყვა“¹⁷⁹. ამრიგად, ირანელებს უბრუნდებოდათ ბიზანტიის ხელში მყოფი მიწები. უნდა გაიკრკვეს, როგორ უნდა შეხვდნენ ახალშემოერთებულ (თუ ძველ) მიწებზე მყოფ ქალკედონიტებს, თუ ისინი მონანიებით მოვლენ. აქ არ შეიძლება არ გავვახსინდეს ქართლის კათალიკოს კირიონის ამბავი. ექვსი-შვიდი წლის წინ მის წინაშეც დადგა ასეთივე საკითხი — მიეღო თუ არა მონანიებულნი ნესტორიანები? თავისი გადაწყვეტილებებისათვის. მიეღო ისინი, იგი სომხეთის კათალიკოს მოვსეს ელივარდელისაგან დაეცა. ახლა თვით სომხები არჩევენ საკითხს, მიიღონ თუ არა მონანიებულნი ქალკედონიტები და კირიონის მსგავსად დადებითად წყვეტენ მას. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს საკითხი ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხი იქნებოდა კრებაზე; შეიძლება, ისევე მნიშვნელოვანი, როგორც თვით კათალიკოსის არჩევა (ჩანს, ეს საკითხიც იდგა). მაგრამ კათალიკოსის არჩევა არ მოხდა. შეიძლება შეკრებილ ეპისკოპოსთა რიცხვი საკმარისი არ იყო, კრებას სულ თორმეტი ეპისკოპოსი ესწრებოდა, ან მათ ერთსულოვნება აკლდათ.

კანონებს თარიღი არ უზის. მაგრამ ზ. ალექსიძის აზრით, კრება, რომელზედაც იგი მიიღეს, შედგა 606 წ.¹⁸⁰.

აზრს, რომ აქ სინამდვილეში 10 ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო. ორი დანარჩენიც ხომ სახელებითა და საყდრებით არიან დასახელებულნი. ხოლო რატომ ახსენებს ამ ოდგილას უბტანესი მართლაც 10 ეპისკოპოსს, ამაზე ლაპარაკი გვექნება ქვემოთ.

¹⁷⁹ უ ხ ტ ა ნ ე ს ი, 274, 352.

¹⁸⁰ ეპისტოლეთა წიგნი, 164, შენ. 1. მ. ორმინის შეხედულებით, იგი ყოფილა 607 წ. კრების პირველი სხდომა (იქვე).

XV თავად „ეპისტოლეთა წიგნში“ მოდის „ხელწერილი, რომელიც სთხოვა სმბატ ვრკანის მარზპანმა იმ ეპისკოპოსებს, რომლებიც კვლავ შეიკრიბნენ მისი ბრძანებით დვინს, რათა განეწესებინათ სომეხთა კათალიკოსი მოსეს სიკედლის შემდეგ და ეს ხელწერილი მისცა მათ“¹⁸¹. ხელწერილში ნათქვამია, რომ დვინის ეკლესიაში შეკრებილთაგან (დასახელებულია ათი ეპისკოპოსი) სმბატ ბაგრატუნომ ითხოვა ხელწერილი „წმინდა და მართლმადიდებელი სარწმუნოებისათვის“, რომელიც ჰქონდათ სომხეთის მამამთავრებს და მათ მსგავსად ეს ეპისკოპოსებიც წყევლიან ყოველგვარ მწველებლობას და მათ შორის ქალკედონიტობასა და ლეონის ტომარს. თავის მხრივ, სმბატი თავისი ძმებითურთ ფიცს დებს იმავეზე. ხელწერილს ხელი მოაწერეს და დაბეჭდეს ეპისკოპოსების სახელით მანასე ბასიანის ეპისკოპოსმა, ხოლო მეორე მხრივ სმბატ ბაგრატუნიმ.

ხელწერილი დათარიღებულია „პარვეზ-ხოსრო მეფეთა-მეფის მეჩვიდმეტე წელს, მარიალის თვეს“. ზ. ალექსიძე აღნიშნავს, რომ „ხოსროს მეფობის მეჩვიდმეტე წელს (607) მარიალის თვე 25 მარტს იწყებოდა“¹⁸². ამრიგად, ეს ხელწერილი 607 წლის მარტ-აპრილით თარიღდება.

აქ საინტერესო ამბავთან გვაქვს საქმე. როგორც დვინის კანონების განხილვის დროს ვნახეთ, ამ კანონებით გაირკვა, როგორ უნდა მოქცეოდნენ მონოფიზიტობაზე მობრუნებულებს. ე. ი. ყველა 12 ეპისკოპოსი, რომელიც ამ კანონებს ხელს აწერდა, მონოფიზიტი იყო. ეს მოხდა 606 წელს, მის შემოდგომას, ან ბოლოს. გადის რამდენიმე თვე და სმბატ მარზპანი ხელახლა კრებს დვინში ეპისკოპოსებს და ისევ ადებინებს ფიცს მონოფიზიტობის ერთგულებაზე იმავე ეპისკოპოსებს. ეს ათივე ეპისკოპოსი ხომ ხელს აწერდა დვინის კანონებსაც. საყურადღებოა ისიც, რომ თავის მხრივ სმბატიც საერო პირებთან ერთად იძლევა ასეთივე ფიცს, ე. ი. აძლევს სამღვდელოებას გარანტიას. რას ნიშნავს ყოველივე ეს? ხომ არ მოხდა რაიმე ისეთი იმ რამდენიმე თვეში, რომელმაც გაიარა დვინის კანონების მიღებიდან ხელწერილის მიცემამდე, რამაც აიძულა სმბატი, ასეთი ხელწერილი ჩამოერთმია სამღვდელოებისათვის. ხომ არ ჰქონდა ადგილი რაიმე მერყეობას, პოზიციების ცვლას სომხურ საეკლესიო და, შესაძლებელია, პოლიტიკურ წრეებშიც?

ამასთან დაკავშირებით უურადლებას იქცევს შემდეგი გარემოება. დვინის კანონებს პირველი ხელს აწერდა თეოდორე სამარაბეტოს

181 ეპისტოლეთა წიგნი, 57—59.

182 იქვე, 150, შგნ. 7.

ეპისკოპოსი, მეორე იოვანე არწრუნთა ეპისკოპოსი, მესამე ქრისტოფორ სივნიელთა ეპისკოპოსი, მეოთხე მანასე ბასეანის ეპისკოპოსი, მეხუთე აბრაამ რშტუნთა ეპისკოპოსი და ა. შ. ხელწერილს ხელს აღარ აწერენ პირველი ორნი — არც თეოდორე და არც იოვანე, ხოლო მანასეს და ქრისტოფორეს ადგილები შეუცვლიათ: პირველ ადგილზე გადადის მანასე, მეორეზე ქრისტოფორე, მესამეზე აბრაამი. დანარჩენები ზუსტად იმავე რიგს იცავენ, როგორც „კანონებშია“ (უნდა ითქვას, რომ ასეთივე რიგი დარჩება მესამე დოკუმენტშიც, რომელზედაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი). ამასთან მანასე გამოდის საერთოდ ეპისკოპოსთა სახელით.

ამგვარად, „ხელწერილის“ არსებობის საპირობება ჯერ-ჯერობით გაუგებარია.

XVI თავია „ხელწერილი, რომელიც მისცეს აბრაამ სომეხთა კათალიკოსს სომეხთა ქვეყნის კრებაზე მათ, რომლებიც იყვნენ რომაელთა ხელისუფლების ქვეშ მავრიკეს კეისრობის დროს“¹⁸³. უნდა ითქვას, რომ ეს ხელწერილიც საკმაოდ საინტერესოა ჩვენთვის. იგიც დათარიღებულია ხოსრო II პარვიზის მეჩვიდმეტე წლით. ამ დროს კათალიკოსად უკვე არჩეულია აბრაამ რშტუნელი, რომელიც, როგორც ვნახეთ, „ღვინის კანონებში“ მეხუთე ადგილზე იყო, ხოლო სმბატისთვის მიცემულ ხელწერილში — მესამეზე. ამ ხელწერილში ეპისკოპოსებს სხელით მანასე გამოდიოდა: ეტყობა, არჩევნებში აბრაამმა აჯობა მანასეს. აბრაამის თანამოსაყდრე ეპისკოპოსები, როგორც ითქვა, იმავე თანამიმდევრობით არიან დასახელებულნი, როგორც სმბატისთვის მიცემულ ხელწერილში. ეპისკოპოსების შემდეგ დასახელებული არიან საერო გამგებლები სომხეთისა — სმბატ ბაგრატიუნი და სხვები. აი, ამათ, ე. ი. აბრაამს თავის ეპისკოპოსებითურთ და სომხეთის საერო გამგებლებს, სთხოვენ შეწყალებას ისინი, ვინც ბიზანტიის სომხეთის მიწაზე ისხდნენ. მათგან პირველად დასახელებულია ზუთი ეპისკოპოსი, შემდეგ კი დიდი მონასტრების წინამძღვრები. ისინი წყევლიან ყველა მწვალებელს, ქალკედონის კრებასა და ლეონის ტომარს. აბრაამი, მისი თანამოსაყდრე ეპისკოპოსები და ქვეყნის გამგებლები აღნიშნავენ: „ვედრებით მოგვმართეს, რომ შევუერთოთ ისინიც ქრისტეს ქვეშ მართობით, რომ უცვლელად დავიცავთ ღმრთისა და ჩვენ სულიერ მამათა წინაშე აღსარებას, რომელიც ჩვენმა მამებმა დაამტკიცესო. შენანე-

183 ეპისტოლეთა წიგნი, 59—61.

ბას, რომელსაც გვაძლევთ, გულმოდგინედ ვიღებთ, ნებსით აღვასრულებთ და წყეულებთან ზიარებისაგან სრულიად განვეშორებითო... შევიწყნარეთ ისინი სიხარულით და ტვირთი რაიმე ჩვენ აღვიკიდეთ მათთვის მსგავსად წერილისა“¹⁸⁴.

ამგვარად, გამოდის, რომ ბიზანტიის სომხეთის სამღვდლოების ნაწილი მოვიდა მონანიებით — გვაპატიეთ შეცდომები და ისევ მიგვიღეთ თქვენთანო. ვამბობთ ნაწილს, იმიტომ რომ ნაწილი შემდგომშიც დარჩა ქალკედონიტი. თუმცა ჩვენ აქ იმისი თქმა არ გვინდა, რომ, ვინც ქედმოხრილი მოვიდა, ყველა ქალკედონიტი იყო ბიზანტიელთა ხელში. მაგრამ ჩანს, რაღაც დანაშაულს მაინც გრძნობდნენ. ჩვენთვის აქ საინტერესო ისაა, რომ მოსულებს შორის მოხსენიებულია „ბაბულას წმინდა იოვანეს მონასტრის წინამძღვარი“, ის, ვისთანაც გაჩერდა ქართლიდან გამოქცეული მოსე ცურტაველი. ვფიქრობთ, ეს შემთხვევითი ამბავი არაა და ამაზე ჩვენ კიდევ გვექნება ლაპარაკი.

ამრიგად, მოვლენათა განვითარება „ეპისტოლეთა წიგნის“ თანახმად ასეთია: 606 წ. მეორე ნახევარში ირანელთა ემისარის სმბატ ბაგრატიუნი კრებს დვინში 12 სომეხ ეპისკოპოსს, რომლებმაც უნდა აირჩიონ სომხეთის მონოფიზიტი ეპისკოპოსი. იმჯერად ეს არ ხერხდება. ერთადერთი, რასაც აღწევს სმბატი, არის ის, რომ შეკრებილები მიიღებენ კანონს, რომელიც უფლებას მისცემს მონოფიზიტობას დაუბრუნდნენ ისინი, ვინც სხვადასხვა მიზეზით მას გადაუდგნენ. ჩანს, სომხეთის საეკლესიო და, შესაძლებელია, არამართო საეკლესიო წრეებში, მიმდინარეობს გარკვეული ბრძოლა. რამდენიმე თვის შემდეგ, უკვე 607 წ. მარტსა თუ აპრილში, სმბატ მარზპანი ისევ კრებს სომეხ ეპისკოპოსებს, რომლებიც ისევ იძლევიან მონოფიზიტობის ერთგულების ფიცს. თავის მხრივ ასეთსავე ფიცს აძლევს მათ სმბატიც. ამ ეპისკოპოსებს აკლია ორი ეპისკოპოსი, რომელიც ხელს აწერდა დვინის კანონებს და, რომლებიც მაშინ პირველნი იყვნენ სიაში. რამდენაღმე შეცვლილია დარჩენილ ეპისკოპოსთა თანამიძღვერობაც. იმავე წელს, ალბათ; მალე მეორე ხელწერილის დაწერიდან, სომხეთის მონოფიზიტ კათალიკოსად ირჩევენ აბრაამ რშტუნელს¹⁸⁵. ამჯერად ის მღვდელმთავრები და მაღალი სასულიერო პირები, რომლებიც მანამდე სომხეთის ბიზანტიურ ნაწილში იყვნენ, ზთხოვენ აბრაამს, დაუ-

184 ეპისტოლეთა წიგნი, 61.

185 ზ. ალექსიძის სიტყვით, აბრაამი კათალიკოსად აირჩიეს 607 წლის აპრილის პირველ ნახევარში (ეპ. წიგნი, 151, XVIII, შენ. 1).

ბრუნოს ისინი მონოფიზიტურ ეკლესიას, რასაც აბრაამი მოწყალედ თანხმდება.

ახლა ვნახთ, რა ვითარებაა უხტანესთან.

უხტანესთან „ეპისტოლეთა წიგნის“ XV თავი, ანუ „ღვინის კრების კანონები“ საერთოდ არაა წარმოდგენილი. თუმცა ზ. ალექსიძის აზრით, „უხტანესის კომენტარებიდან ჩანს, რომ იგი იცნობდა „ღვინის კრების კანონებს“. 30-ე თავში ისტორიკოსი წერს, რომ 10 ეპისკოპოსი, მღვდლები და უხუცესები შეიკრიბნენ ღვინში აბრაამ რშტუნელის ხელდასახმელად. გარკვეული დაბრკოლებების შემდეგ „ყველამ ერთად მოიაზრა, „რატომ არ გავაკეთეთ ახლა ის, რისთვისაც შევიკრიბეთ და გადაწყვიტეს თავისთვის კანონები დაედგინათ, რომლებიც დაადგინეს კიდევ და დაამტკიცეს თავისი ერთობის აღთქმა, სწავლასა, აღსარებასა, სულის ხსნასა და სარგებელში“.

35-ე თავში უხტანესი კვლავ ახსენებს ღვინის კრების კანონებს: „საერთო თანხმობით შვიდი განსაზღვრული თავითა და მშვენიერი წესით კანონთა დადგენის შემდეგ, რომელიც სული წმინდის მადლით დაამტკიცეს, კვლავ შეიკრიბნენ ერთად...“ „ეპისტოლეთა წიგნის“ გამოცემებში „ღვინის კრების კანონები“ თავებად არ არის დაყოფილი, მაგრამ აბზაცები, რომლებიც შინაარსის მიხედვით არის გაკეთებული, სწორედ შვილია. ცხადია, უხტანესი იცნობს „ღვინის კრების კანონებს“, მაგრამ საკითხავია, რომელი რედაქციით — „ეპისტოლეთა წიგნიდან“ თუ სხვა რომელიმე კრებულიდან?

ამ საკითხზე გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია. ის კია, რომ „ეპისტოლეთა წიგნი“ და უხტანესთან დასახელებული კრების მონაწილე ეპისკოპოსების საერთო რიცხვიც სხვადასხვაა და მათი ჩამოთვლის რიგიც“¹⁸⁶.

ღვინის კრების კანონებზე უხტანესთან წარმოდგენილი ცნობების საკითხი უფრო რთულად გვესახება. აქ უნდა მცირე შენიშვნა გავაკეთოთ. იმის თქმა, რომ ღვინის კანონები „ეპისტოლეთა წიგნის“ გამოცემაში შვიდ აბზაცად დაყოფის გამო უნდა შეესატყვისებოდეს, უხტანესის თქმით, „საერთო თანხმობით შვიდი განსაზღვრული თავითა და მშვენიერი წესით“¹⁸⁷ დადგენილ კანონებს, ცოტა ძნელია.

ჯერ ერთი, უფრო სწორი იქნებოდა, აგველო ხელნაწირის ჩვენება და არა გამოცემისა. მეორეც, ძნელი სათქმელია, რომ გამოცემის ვიდი აბზაცი მაინცდამაინც მშვენიერი წესით შედგენილ შვიდ თავს

186 ზ. ალექსიძე, უხტანესი, 261—262.

187 იქვე, 261. ხაზგასმა ავტორისაა.

შეესატყვისებოდეს. მაგალითად, პირველი აბზაცი სხვა არა არის, თუ არ ჩამოთვლა ადრე დაგმობილ მწვალებელთა და დვინში შეკრებილ ეპისკოპოსთა. უკანასკნელი აბზაცი კი წარმოადგენს დალოცვას მათი, ვინც შეასრულებს დადგენილებას და წყევლას, ვინც მას დაარღვევს.

ამრიგად, როგორც ითქვა, XIV თავის („დვინის კანონების“) მიზანი იყო გარკვეულიყო, როგორ შეხვედროდნენ ქალკედონიტებს, რომლებიც მოინდომებდნენ მონოთეზიტობაში გადასვლასა თუ დაბრუნებას.

რა ვითარებაა უხტანესთან? ჩვენ ვნახეთ, რომ პირველი დოკუმენტი, „დვინის კრების კანონები“, მიღებული იყო 606 წ. მეორე ნახევარში. უხტანესთან ასე არაა. უხტანესის თანახმად, სმბატის ბრძანებით დვინში შეიკრიბნენ ეპისკოპოსები ახალი კათალიკოსის ასარჩევად. „ხოლო როცა ეპისკოპოსები შეიკრიბნენ, მაშინ ითხოვა მათგან ხელწერილი სმბატმა, რათა არ გადაუხვიონ წრფელი და ჭეშმარიტი სარწმუნოებისა და წმიდათა მამათა აღსარებისაგან. რომელიც ჩვენ დაგვიმტყიცეს. თავისი ხელწერილიც მისცა მათ, ასევე წრფელი და ჭეშმარიტი აღსარებითა და დიდი სიფრთხილით დაბეჭდილი და დაცული უფლის სახლში. ეს მოხდა ბერძნებზე მავრიკეს მეფობისას და აპრევზ-ხოსრო სპარსელთა მეფეთა-მეფის მეჩვიდმეტე წელს, მარიალის თვეს“¹⁸⁸. აშკარაა, რომ უხტანესი გულსხმობს „ეპისტოლეთა წიგნის“ XV თავს, რომელიც წარმოადგენს ეპისკოპოსების ხელწერილს სმბატისადმი და ამ უკანასკნელის ხელწერილს ეპისკოპოსებისადმი.

აქ ყურადღებას იპყრობს შემდეგი გარემოებანი:

1. „ეპისტოლეთა წიგნში“ XV თავის შედგენის თარიღად დასახელებულია მხოლოდ „აპრევზ-ხოსრო მეფეთა-მეფის მეჩვიდმეტე წელი, მარიალის თვე“. უხტანესს მიმატებული აქვს „ბერძნებზე მავრიკეს მეფობისას“, რაც ცხადი ანაქრონიზმია, რადგან მავრიკე ამ დროისთვის უკვე რამდენიმე წლის მკვდარია.

2. „ეპისტოლეთა წიგნში“ ხელწერილს აწერს ათი ეპისკოპოსი. უხტანესთანაც ათი ეპისკოპოსია, ოღონდ პირველი ოთხი მისდევს „ეპისტოლეთა წიგნის“ რიგს, დანარჩენები კი არეულია. რაც მთავარია, უხტანესთან ამოგდებულია იოანიკ ელის ეპისკოპოსი, ხოლო შერვე ადგილზე ჩამატებულია თეოდოს სამარდბეტოს ეპისკოპოსი. ვფიქრობთ, ორივე შემთხვევაში „ეპისტოლეთა წიგნი“ უფრო სწორია. იოანიკ ელის ეპისკოპოსი „ეპისტოლეთა წიგნში“ იხსენიება სამივე — XIV, XV, XVI — თავში, ე. ი. უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებში (XIV — დვინის კრების კანონები, XV — ხელწერილი სმბატს,

XVI — ხელწერილი აბრაამს). მისი ამოგდება ძნელია. რაც შეეხება თეოდორე სამარდპეტოს ეპისკოპოსს (ასე იხსენიება უხტანესის თეოდოსი), რომელზედაც ჩვენ სპეციალურად ვილაპარაკეთ, პირველ დოკუმენტში იგი პირველ ადგილზე დგას, მომდევნო ორში კი საერთოდ არაა. მისი ჩამატება და ისიც მერვე ადგილზე გადატანით, აგრეთვე, უხტანესის არასწორი მუშაობის შედეგი უნდა იყოს.

3. შემდეგ უხტანესი აგრძელებს: „...ეს ათი ეპისკოპოსი და სხვაც ამდენი მამა, მღვდელი და მონასტერთა ხუცესი, რომელნიც სმბატის ბრძანებითა და სხვა ნახარათა თანადგომით ქალაქ დვინს შეიკრიბნენ კათალიკოსად ხელდასახმელად აბრაამ რმტუნელისა, რომელიც თავის რიგში მოვიხსენიეთ, და იმჯერად დაბრკოლდა“¹⁸⁹. უხტანესს აშკარად ეშლება, როდესაც ლაპარაკობს „მამებსა, მღვდლებსა და მონასტერთა ხუცესებზე“. XV თავში ასეთები საერთოდ არ იხსენიებიან. უხტანესმა აქ ისინი XVI თავიდან მოიტანა („ხელწერილი აბრაამს“), თანაც ამ უკანასკნელში მოხსენიებულია არა „სხვაც ამდენი“, ე. ი. ათი, არამედ ოცი პირი. ამათ გარდა უხტანესს გამოჩნა კიდევ ხუთი ეპისკოპოსი, რომელიც ამათთან ერთად ხელწერილს აძლევს აბრაამს.

4. შემდეგ უხტანესი აგრძელებს: „მაგრამ თითქოსდა ღმრთის განგებისგან მოხდა, რომ მათგან ზოგი თუმცა თავისი ნებით დაიხარკა და მიდრკა სარწმუნოებისაგან, სხვანი კი ბერძნებმა ძალით თავისკენ გადახარეს. მაშინ ჯერაც არ იყვნენ მთლიანად მტკიცე სარწმუნოებაში, თუმცალა გვაფიქრებინებდნენ, რომ გამტკიცებულნი არიან. მერე, როცა განმტკიცდნენ ისევ წერილითა და აღსარებით, რომელიც მიიღო და გასცა კეთილმსახურმა და ყოვლადქებულმა სმბატ მარზპანმა... ხოლო როცა ის ეპისკოპოსები წავიდნენ, მაშინ ყველამ ერთად მოიხარა: რატომ არ გავაკეთეთ ახლა ის, რისთვისაც შევიკრიბეთო და გადაწყვიტეს თავისთვის კანონები დაედგინათ, რომლებიც დაადგინეს კიდევ და დაამტკიცეს თავისი ერთობის აღთქმა სწავლასა, აღსარებასა, სულის ხსნასა და სარგებელში. მერე დაუბრუნდა მშვიდობით თვითელი [თავის] საყდარს“¹⁹⁰.

უხტანესი ადასტურებს ჩვენს მიერ გამოთქმულ ვარაუდს, რომ დვინის კანონების მიღების შემდეგ 606 წ. ჯერ კიდევ არ იყო სრული ერთსულოვნება სომხურ ეკლესიაში („ზოგი თუმცა თავისი ნებით დაიხარკა და მიდრკა სარწმუნოებისაგან, სხვანი კი ბერძნებმა ძალით

189 უ ხ ტ ა ნ ე ს ი, 95.

190 იქვე, 95—97.

თავისკენ გადახარეს...“¹⁹¹. უხტანესის თანახმად ეს ხდება მას შემდეგ, რაც ეპისკოპოსებმა სიმართლის ფიცი მისცეს სმბატს. ყოველ შემთხვევაში ტექსტის მიხედვით ასე გამოდის. მაგრამ „მერე, როცა განმტკიცდნენ ისევ წერილითა და აღსარებით, რომელიც მისცა და გასცა“ სმბატმა, ის ეპისკოპოსები წავიდნენ. მაშასადამე, გამოდის, რომ ხელწერილი სმბატისთვის და სმბატისგან ორჯერ ყოფილა გაცემული. არეულობა ამაზე არ მთავრდება, მას შემდეგ, რაც „ეპისკოპოსები წავიდნენ, მაშინ ყველაქ ერთად მოიაზრა: რატომ არ გავაკეთეთ ახლა ის, რისთვისაც შევიკრიბეთ და გადაწყვიტეს თავისთვის კანონები დაედგინათ, რომლებიც დაადგინეს კიდეც...“ გაუგებარია, ვიღამ დაადგინა კანონები, თუ „ის ეპისკოპოსები“ უკვე წავიდნენ. არაა ზუსტი უხტანესი მაშინაც, როდესაც ამბობს, რომ კანონები „თავისთვის“ დაადგინეს. კანონები დაადგინეს არა თავისთვის, არამედ მათთვის, ვინც მოინდომებდა მონოფიზიტობა მიეღო, ან დაბრუნებოდა მას.

5. შემდეგ, უხტანესი არაა ზუსტი, როდესაც ლაპარაკობს, რომ კანონები დაამტკიცეს „თავისი ერთობის აღთქმა სწავლასა, აღსარებასა, სულის ხსნასა და სარგებელში“. არც სწავლასა და არც სარგებელზე დვინის კანონებში არაფერია ნათქვამი. სულის ხსნაზე ლაპარაკიც ძალიან ზოგადად უნდა გავიგოთ. დვინის კრების კანონებს, როგორც ითქვა, კონკრეტული ხასიათი ჰქონდათ.

6. დაბოლოს, უხტანესის თანახმად ჯერ სმბატისთვის მიუციათ ხელწერილი და სმბატისგან აუღიათ სამაგიერო (შესაძლებელია, ორჯერაც კი) და მერე დაუდგენიათ კანონები. ვფიქრობთ, უეჭველია, რომ „ეპისტოლეთა წიგნში“ ასახული ვითარება პირვანდელიცაა და სწორიც.

ამრიგად, როგორც ზ. ალექსიძე შენიშნავდა, უხტანესი იცნობს „დვინის კრების კანონებს“, მაგრამ მისი შინაარსის გადმოცემისას აშკარა შეცდომებს უშვებს. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ უხტანესი „დვინის კრების კანონებს“ იცნობს სხვა კრებულიდან და არა „ეპისტოლეთა წიგნიდან“? ვფიქრობთ, არა. ჩვენი აზრით, ეს არეულობა გამოწვეულია უხტანესის უყურადღებობით. მან არ ჩათვალა საჭიროდ მოეტანა „დვინის კრების კანონები“ და ამიტომ არც სიტყვა-სიტყვით

¹⁹¹ სხვათა შორის, ამაზე უხტანესი ლაპარაკობს მომდევნო თავშიც: სმბატმა „სომხეთში უხელმწიფოებისას, შეავსო მეფისა და პატრიარქის უყოლობა, რადგან თავისი ბრძენი და შოაზროვნე გონებით მოიფიქრა [და] შემდგარ ეპისკოპოსთა ლალატის განზრახვა შეაფერხა, განამტკიცა მათი სუსტი გონება და კვლავ წამოაყენა დაცემისაგან ხელწერილით, რომელიც მიიღო მათგან და მისცა მათ; მოაქცია ისინი სამეუფო გზის მარცხენა მხრიდან მარჯვენა. ხოლო ეხლა მოქცეულ ეპისკოპოსთაგან ხელწერილის აღების შემდეგ [სმბატმა] მეორედ მოიწვია კრება იმავე მიზნით — კათალიკოსის დასასმელად“.

ჯადაწერა იგი. ზეპირად გადმოცემულში კი შეცდომები გაეპარა. თუ ჩვენ მივიჩნევთ, რომ უხტანესის შეცდომები გამოწვეულია იმით, რომ იგი „ღვინის კრების კანონების“ სხვა რედაქციას იცნობდა. დგება ასეთი საკითხები: 1. არეულად ხომ არ იყო გადაწერილი „კანონები“ სხვა რედაქციაში. თუ იყო, რატომ? 2. უხტანესმა ხომ არც ამ რედაქციიდან მოიტანა სიტყვა-სიტყვით „კანონების“ ტექსტი. მაშასადამე, ჩვენ ისევ იმავე კითხვებს წინაშე ვრჩებით: ამ სხვა რედაქციაში იყო ტექსტი არეული და ამიტომ შეეშალა უხტანესს, თუ ამ რედაქციაშიც ტექსტი სწორი იყო, მაგრამ შეცდომები უხტანესს ეკუთვნის? ვფიქრობთ, ჩვენი დასკვნა, რომ შეცდომების წყარო თვით უხტანესია, უფრო ბუნებრივია. მით უმეტეს, რომ, უეჭველია, უხტანესი იცნობდა „ეპისტოლეთა წიგნს“, მასში კი „ღვინის კანონები“ წარმოდგენილია და თანაც ზის სავსებით ლოგიკურად.

ახლა, როგორაა წარმოდგენილი უხტანესთან „ეპისტოლეთა წიგნის“ საკუთრივ XV თავი — „ხელწერილი, რომელიც სთხოვა სმბატ ვრკანის მარზპანმა იმ ეპისკოპოსებს, რომლებიც კვლავ შეიკრიბნენ შისი ბრძანებით ღვინს, რათა განეწესებინათ სომეხთა კათალიკოსი მოსეს სიკვდილის შემდეგ და ეს ხელწერილი მისცა მათ“¹⁹².

ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ ამ თავის შინაარსი უხტანესს მოტანილი აქვს თავისი წიგნის 30-ე თავში. აღნიშნული იყო ის შეცდომებიც, რომლებიც უხტანესს გაუყეებია ამ შინაარსის გადმოცემისას წინა, XIV, და მომდევნო, XVI, თავების გავლენით. წინა თავის გავლენით მას ჩამატებული აქვს მერვე ადგილას თეოდოსა სამარდპეტოს ეპისკოპოსი (XIV თავის მხედვეთ თეოდორე სამარდპეტოს ეპისკოპოსი). რომელიც XV თავში საერთოდ არ იხსენიება. XVI თავიდან უხტანესმა დაუმატა „მამები, მღვდლები და მონასტერთა ხუცეები“.

ხელწერილი უხტანესთან წარმოდგენილია ორ ნაწილად: 32-ე და 33-ე თავებად. მაგრამ ამაზე ქვემოთ.

32-ე თავს უხტანესთან ჰქვია: „ხელწერილი, რომელიც ითხოვა სმბატ ვრკანის მარზპანმა და მისი ბრძანებით ღვინში მოსეს გარდაცვალების შემდეგ განწესებულმა სომეხთა კათალიკოსმა იმ ეპისკოპოსთაგან; რომელნიც მოიქცნენ და თავისი ხელწერილი მისცა მათ“¹⁹³. უზუსტობებს ვხვდებით უკვე სათაურში. 1. ხელწერილი ითხოვა მხოლოდ სმბატმა. ამბრაამი არაფერ შუაშია. იგი ჯერ არც კი იყო კათალიკოსად არჩეული. იგი სხვა ეპისკოპოსებთან ერთად მოხსენიებულ-

¹⁹² ეპისტოლეთა წიგნი, 57.

¹⁹³ უ ხ ტ ა ნ ე ს ი, 99.

ლია თვით უხტანესის მიერ მოტანილ ხელწერილის ტექსტში: „...მანა-სე ბასიანის ეპისკოპოსისაგან, ქრისტოფორე სიენიეთის ეპისკოპოსი-საგან, აბრაამ რშტუნთა ეპისკოპოსისაგან“ და სხვ.

2. მოქცეულმა (მონოფიზიტობაზე) ეპისკოპოსებმა (და სხვა სამ-ღვდლო პირებმა) მისცეს არა ეს ხელწერილი. არამედ მომდევნო, ის, რომელიც „ეპისტოლეთა წიგნში“ XVI თავადაა შესული¹⁹⁴.

ახლარაც შეეხება ტექსტს. 32-ე თავში მოტანილია სიტყვა-სიტყვით ხელწერილის პირველი ნაწილი, ის ნაწილი. სადაც ეპისკოპოსები პირობას იძლევიან, სწორად დაიცვან მამაპაპათა სარწმუნოება და წყევლიან ქალკედონიტობას. საინტერესოა, რომ განსხვავებით 30-ე თავისაგან, სადაც ეპისკოპოსთა რიგი არეული იყო, ამჯერად იგი ზუსტად ემთხვევა „ეპისტოლეთა წიგნის“ XV თავში დასახელებულ ეპისკოპოსებს, თანაც თავის ადგილზე დასახელებულია იოანიკ ელის ეპისკოპოსიც, რომელიც 30-ე თავში ამოგდებული იყო. ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ სიაში, ისევე როგორც 30-ე თავში, წაპატებულია მეთერთმეტედ თეოდოს სამარღბეტოს ეპისკოპოსიც.

ვფიქრობთ, ეპისკოპოსთა რიგის დამთხვევაც იმის ნიშანია, რომ, ზოდესაც უხტანესი იწერს „ეპისტოლეთა წიგნის“ ტექსტს, იგი მას ზუსტად იმეორებს, ხოლო, ზოდესაც თავისი სიტყვებით, ზეპირად ყვება, მაშინ ურევს (თუმცა, როგორც ვნახეთ, ამ შემთხვევაშიც მან ჩაუმატა თეოდოს სამარღბეტოს ეპისკოპოსი). დამახასიათებელია ისიც, რომ მიმატებული თეოდოსი აქ სულ უკანასკნელ ადგილზეა.

უხტანესის წიგნის 33-ე თავი წარმოადგენს „ეპისტოლეთა წიგნის“ XV თავის მეორე ნაწილს, უკვე სმბატის მიერ ეპისკოპოსებისათვის მიცემულ ფიცს. უხტანესთან ამ თავს ჰქვია: „სმბატს ხელწერილი, რომელიც მისცა ვრთანესსა და სხვა ძმობასთან ერთად იმ ეპისკოპოსებს, რომელთა სახელებიც ზემოთ წერია“¹⁹⁵.

სათაურში აქ ისევ შეცდომაა. ხელწერილს, რომელიც მიიღო სმბატმა ეპისკოპოსებისაგან, ვრთანესი ხელს არ აწერს. ასე რომ სათაურში ვრთანესის ხსენება სრულიად უადგილოა. რაც შეეხება ტექსტს, იგი „ეპისტოლეთა წიგნის“ ტექსტის გამეორებაა.

როგორც ითქვა, ეს ხელწერილი „ეპისტოლეთა წიგნში“ წარმოდგენილია ერთ თავად, უხტანესს კი გაყოფილი აქვს ორად. რომელია

194 „ეპისტოლეთა წიგნში“ ზ. ალექსიძე ამ ადგილს სხვაგვარად თარგმნიდა: „უნდა ვივარაუდოთ, რომ უხტანესის სიტყვებში ოსაქბსოი ღქი „მობრუნდნენ“ იგულისხმება და არა „მოიქცნენ“ (სარწმუნოების თვალსაზრისით)“. გვ. 148. ვფიქრობთ, რომ ეს ახალი თარგმანი — „მოიქცნენ“ და არა „მობრუნდნენ“, უფრო სწორია.

195 უ ხ ტ ა ნ ე ს ი, 101.

სწორი? ზ. ალექსიძის აზრით, „უხტანესის ვარიანტი არ უნდა იყოს პირვანდელი. ამას მოწმობს ორივე მხარისაგან საერთო დამტკიცება, რომელიც სმბატისა და მის თანამზრახველთა პირობას მოსდევს უშუალოდ“¹⁹⁶. ზ. ალექსიძის აზრი საესებით მისაღებად მიგვაჩნია.

შემდეგ „ეპისტოლეთა წიგნი“ მოდის XVI თავი „ხელწერილი, რომელიც მისცეს აბრაამ სომეხთა კათალიკოსს სომეხთა ქვეყნის კრებაზე მათ, რომლებიც იყვნენ რომაელთა ხელისუფლების ქვეშ მავრიკეს კეისრობის დროს“¹⁹⁷. ამ ხელწერილზე ზემოთ არაერთხელ გვქონდა ლაპარაკი და ბევრი დასამატებელი არა გვაქვს. აღვნიშნავთ მხოლოდ რამდენიმე მომენტს.

1. ცხადია, ხელწერილი უკვე დადებულია მას შემდეგ, რაც კათალიკოსად არჩეულ იქნა აბრაამ რშტუნელი. როგორც ზ. ალექსიძე აღვნიშნავს, „აბრაამი კათალიკოსად აურჩევიათ 607 წლის პირველ ნახევარში“¹⁹⁸. ხელწერილიც უშუალოდ ამ დროით უნდა იყოს დათარიღებული.

2. სათაურში ნათქვამია, რომ ხელწერილს იძლევიან ისინი, ვინც „იყვნენ რომაელთა ხელისუფლების ქვეშ მავრიკეს კეისრობის დროს“. როგორც ჩანს, აქ იგულისხმებიან ისინი, ვინც წინათ, სანამ მავრიკე ცოცხალი იყო, მისი ქვეშევრდომები იყვნენ. მაგრამ მკითხველს შეიძლება გაუჩნდეს მცდარი წარმოდგენა, თითქოს მავრიკე ჯერაც ცოცხალია. ვფიქრობთ, აქედან წარმოდგება უხტანესის არაერთხელ გამეორებული ანაქრონიზმი, თითქოს ის ამბები, რომლებიც ასახულია XV და XVI თავებში, მავრიკეს მეფობის დროს მოხდა.

3. ხელწერილი შედგება რამდენიმე ნაწილისაგან. პირველ ნაწილში ჩამოთვლილნი არიან კათალიკოსი აბრაამი და მისი თანამოსაყდრე ეპისკოპოსები, აგრეთვე სომხეთის საერო გამგებლები, რომლებიც, ჩანს, ორთოდოქსალურ მონოფიზიტებად არიან მიჩნეულნი. მეორე ნაწილში ჩამოთვლილნი არიან ის ეპისკოპოსები და სხვა სამღვდელო პირები, რომლებიც, ეტყობა, თავის დროზე ბიზანტიურ ნაწილში იყვნენ მოქცეულნი, ან, შესაძლებელია, თავისი ორთოდოქსალური მონოფიზიტობა რაღაცით ეპკვის ქვეშ დააყენეს. მესამე ნაწილში ეს უკანასკნელნი ოფიციალურად გმობენ ყოველგვარ წვალებას და განსაკუთრებით ქალკედონიტობას. მეოთხე ნაწილში ორთოდოქსალური მონოფიზიტები ღებულობენ ამ შენანებას.

პირველ ნაწილში დასახელებული ეპისკოპოსების რიგი ზუსტად ემთხვევა წინა ხელწერილში არსებულ რიგს, ოღონდ იმ განსხვავებით,

196 იქვე, 16. შტრ. „ეპისტოლეთა წიგნი“, 147, შენ. 1.

197 ეპისტოლეთა წიგნი, 59—61.

198 იქვე, 151, XVIII, შენ. 1.

ცხადია, რომ აბრაამ რშტუნელი როგორც კათალიკოსი გადასულია პირველ ადგილზე. ეს რიგი ემთხვევა, აგრეთვე, უხტანესის წიგნის 32-ე თავის რიგს; მხოლოდ, როგორც აღინიშნა, უკანასკნელში დამატებულია თეოდოს სამარტეტოს ეპისკოპოსი.

ზუსტად ემთხვევა ბოლო შვიდი ეპისკოპოსის თანამიმდევრობა „ეპისტოლეთა წიგნის“ XIV თავში არსებულისას; წინა ეპისკოპოსებზე უკვე გვქონდა ლაპარაკი და აქ აღარ გავიმეორებთ.

ზოგ სხვა მომენტზე, რომელიც დაკავშირებულია ამ ხელწერილთან, ქვემოთ მოგვიხდება კიდევ მსჯელობა.

ეს ხელწერილი მოაქვს უხტანესსა¹⁹⁹ და უნდა ითქვას საკმაოდ ზუსტად. როგორც აღნიშნული აქვს ზ. ალექსიძეს, მას მხოლოდ თარიღი აქვს დასაწყისში გამოტოვებული²⁰⁰. ორივე მხარის ეპისკოპოსების რიგითა და შემადგენლობაც იგივეა, ოღონდ განსხვავებაა მონასტრების წინამძღვართა ზოგიერთი სახელის დაწერილობაში²⁰¹. საინტერესოა, რომ ამ თავისთვის უხტანესს წამძღვარებული აქვს აბრაამის არჩევის ისტორია. იგი ამბობს, რომ კანონთა დადგენის შემდეგ ისევ შეიკრიბნენ სმბატის ბრძანებით კათალიკოსის ასარჩევად. რომ ამჟებრად შეიკრიბნენ „ის ეპისკოპოსებიც, რომლებიც ადრეც იყვნენ და ხელწერილი დადეს, და ისინიც, რომლებიც [ადრე] არ მოსულან და არ დაუღიათ. ისინი ორივე მხრიდან იყვნენ [ისეთნი], რომლებიც სარწმუნოებისაგან განდრეკილიყვნენ, ეხლა მოვიდნენ და მისცა რა ხელწერილი აღთქმითა და წერილობით, განმტკიცდნენ აბრაამისაგან“²⁰². შემდეგ აღწერილია აბრაამის არჩევა და ნათქვამია, „შემდეგ ეს დასხმული კანონები კვლავ ხელახლა დაამტკიცეს მართლმადიდებელი აღსარებით ღმრთის სადიდებლად“-ო...²⁰³.

საინტერესოა, როგორ ხსნის უხტანესი აბრაამისთვის მიცემული ხელწერილის საჭიროებას. ბერძენთა ნაწილში ბერძნების მიერ დასმული იოანე-ორბუნებიანი „აბრაამის ხელდასხმის შემდეგაც მოწინააღ-

199 უ ხ ტ ა ნ ე ს ი, 107, 109.

200 იქვე, 263.

201 ზ. ალექსიძე შენიშნავს, რომ უხტანესს „ეპისტოლეთა წიგნის“ რედაქციასთან შედარებით, მხოლოდ მანასე ბასეანის ეპისკოპოსსა და ქრისტაფორ სიცილიელის ეპისკოპოსს აქვთ შეცვლილი ადგილი. ხუცესების სიაში კი უხტანესს (თუ მის გამწვანება?) გამოარჩენია იუანეს (იუსანეს) ავანის და ისრაელ პტლავანთა (პტლუნთა) ხუცესები, რომელთა სახელებიც შემდეგ სიის ბოლოს დაუმატებია“ (იქვე, 263). შენიშვნა ხუცესებზე სწორია. რაც შეეხება მანასესა და ქრისტაფორეს, მათი ადგილები შეცვლილი არაა (მდრ. მითითებული გვერდები: „ეპისტოლეთა წიგნი“, 59 და უხტანესი, 107).

202 უ ხ ტ ა ნ ე ს ი, 103.

203 იქვე, 105, 107.

მდეგე დარჩა. ის ეპისკოპოსები, რომელთა შესახებაც წინა წერილში ვთქვით, რომ ბერძენთა მხრიდან იყვნენ შეფერილნი, მის გამო მაინც ერთ ექვეში იყვნენ: „ვაი, თუ კირონის ბოროტი და მოუხსენებელი სახელი და ხსოვნა დაიმკვიდრონ, გადაწყვიტეს, რომ მისცენ ხელწერილი აბრაამ სომეხთა კათალიკოსს და იყოს იგი ერთობით სომეხთაგან...“²⁰⁴ როგორც ეტყობა, კირონის გავლენა ქალკედონიტ სომეხებზე ძალიან დიდი ყოფილა, თუმცა მათ თავისი კათალიკოსიცა ჰყავდათ.

შემდეგი წერილი „ეპისტოლეთა წიგნში“ არის მოსე ცურტაველის წერილი კათალიკოს აბრაამს (თავი XVII)²⁰⁵. მოსე ულოცავს აბრაამს კათალიკოსად არჩევას და სთხოვს დახმარებას თავის საქმეში. თან უმატებს: „თუ ჩვენი უღირსობის შესახებ იკითხავთ, ვრთანეს ქერდოლისაგან შეიტყობთ“-ო²⁰⁶. უხტანესს ეს წერილი ასევე მოაქვს, „თავი 41. მოსე ცურტავის ეპისკოპოსის ეპისტოლე აბრაამ სომეხთა კათალიკოსს“²⁰⁷, მაგრამ ჩვენთვის ძალზედ საინტერესო კომენტარს უკეთებს. პატარა თავში, რომელიც წინ უძღვის 41-ე თავს, უხტანესი წერს: „ის მოსე გაჩენელი ეპისკოპოსი არ იხსენიება „ეპისტოლეთა წიგნში“ მოსულთა შორის კრებაზე, რომელიც აბრაამის ხელდასახმელად შედგა. თუმცადა [თავის] ადგილას მრავალჯერ გაცნობეთ, რომ სწეულება შეპყროდა მას, როგორც ამბობენ, მაგრამ მერე მისწერა აბრაამს და აცნობა თავისი შევიწროების გასაჭირი და დევნა კირონისგან“ და სხვ.²⁰⁸ ჩანს, უხტანესს აფიქრებდა ის გარემოება, რომ მოსე არ დაესწრო აბრაამის არჩევას და ამის ახსნას ცდილობდა კიდევაც. ამიტომ არის, რომ იგი შეცდომით სწერს თავის ადრესატს: „თუმცადა [თავის] ადგილას მრავალჯერ გაცნობეთ“-ო. აქამდე მას არაფერი არ უთქვამს მოსეს ავადმყოფობასა და ამის გამო აბრაამის არჩევაზე არ დასწრების შესახებ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ შემდეგ უხტანესი ისევ უბრუნდება ამ საკითხს და სპეციალურ თავსაც კი უძღვნის იმას, თუ რატომ არ მივიდა მოსე აბრაამის არჩევნებზე: „თავი 43. თუ რატომ [ვერ] მოვიდა მოსე ცურტავის ეპისკოპოსი აბრაამის ხელდასახმელად [მოწყობილ] ეპისკოპოსთა კრებაზე“²⁰⁹. აქ უხტანესი აზუსტებს: „ეს პირველი წერილი²¹⁰, რომელიც მისწერა მოსე ცურტავის ეპისკო-

204 უ ხ ტ ა ნ ე ს ა, 107.

205 ეპისტოლეთა წიგნი, 61—64.

206 იქვე, 64.

207 უ ხ ტ ა ნ ე ს ი, 115, 117.

208 იქვე, 115.

209 იქვე, 119—121.

210 თარგმანში კორექტურული შეცდომაა: „წერილის“ ნაცვლად წერია „ნა-

პოსმა აბრაამ სომეხთა კათალიკოსს, რვა თვის გასვლის შემდეგ დაიწერა, რადგან სნება შეეყარა მას და ამბობენ სიკვდილის პირამდე [მიიყვანაო]. ამიტომ ვერ შეძლო კრებაზე მისვლა, ვერც მოახერხა, რომ წერილით ეცნობებინა თავისი სატიკვარი და კირონ-სვან დევნა. ამასთან თავიდანვე ვრთანესისგან გამხმევეებისა და შეწყვეტის იმედი ჰქონდა, თავისი პასუხით რომ დააიმედა მან: უახლოეს დღეებში კათალიკოსის დასმას აპირებენ, ის იკისრებს შენზე ზრუნვას და ჩვენც შევეწევით საქმის მოთავებაშიო“²¹¹.

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ თვით მოსე თავის წერილში არაფერს ამბობს თავის ავადმყოფობაზე. თავისი წერილის დაგვიანებისთვის მოსეს რომ რაიმე სერიოზული გასამართლებელი საბუთი ჰქონოდა, უეჭველია, ამას დაწერდა. სხვათაშორის, არაფერია ნათქვამი არც უხტანესისეულ ვარიანტში. ამიტომ უხტანესის ახსნა მოსეს მიერ წერილის რვა თვით დაგვიანებისა აშკარად გვიან შეთხზულ გასამართლებელი საბუთია. ტყუილად როდი წერს უხტანესი ორივეჯერ „ამბობენ“-ო.

უხტანესის თანახმად, მოსეს აბრაამთან წერილი უკანასკნელის არჩევიდან რვა თვის შემდეგ, ე. ი. დაახლოებით 607 წლის დეკემბერში, მიუწერია²¹². რომ წერილი, მართლაც, წლის ბოლოს, ან, შესაძლებელია, მომდევნო წლის დასაწყისშიც კია დაწერილი, ჩანს აბრაამის პასუხიდანაც („XVIII პასუხი“)²¹³. აბრაამი ეპატიყება თავისთან მოსეს: „ნუ დააყოვნებ მოსვლას ამ წმინდა ზატყკს, რადგან მრავალთათვის ეს შევება და სულიერი საქმენი წინ გვიდევს. სანამ უფალი სმბატ აქაა, ვისწრაფით, რომ რაიმე სახით ჯერ ეგ მოვათავოთ“²¹⁴. როგორც ვხედავთ, აბრაამს მოსეს საქმე საჩქაროდ მიაჩნია და უნდა, რომ მოსე ჩქარა ჩავიდეს მასთან. რადგან 608 წ. ზატყკი 22 აპრილს მოდიოდა, სავსებით სამართლიანად ფიქრობენ, რომ წერილი ამ წლის თებერვალ-მარტში უნდა იყოს დაწერილი²¹⁵. ცხადია, აბრაამი თავის პასუხს არ დააყოვნებდა და მოსეს წერილიც დიდი ხნის გაგზავნილი არ უნდა იყოს.

მაშასადამე, მოსე ცურტაველის წერილი აბრაამისადმი დაწერილია 607 წლის ბოლოს, თუ 608 წლის დასაწყისში, ხოლო აბრაამის პასუხი — 608 წლის თებერვალ-მარტში.

211 უ ხ ტ ა ნ ე ს ი, 119.

212 ეპისტოლეთა წიგნი, 151, XVII, შენ. 1.

213 იქვე, 64—66.

214 იქვე, 65—66.

215 იქვე, 152.

უბტანესის გადმოცემით, როდესაც აბრაამმა მიიღო მოსეს წერილი, მან ყველაფერი გამოიკითხა ვრთანესისაგან (მოსე ხომ სწერდა მას, ჩემზე თუ ისურვებთ, ვრთანესისგან შეიტყობთ). ჩანს, აბრაამის მიპატიუების თანახმად მოსეც ჩავიდა ღვინში და პირადად მოელაპარაკა მას. ამას შედეგად მოჰყვა ქართლში გაგზავნილი ორი წყვილი წერილები: „XIX. სომეხთა კათალიკოსის უფალ აბრაამის პირველი ეპისტოლე კირონ ქართლის კათალიკოსს“²¹⁶ და „XXI. ვრკანის მარზბანის უფალ სმბატის ეპისტოლე კირონ ქართლის კათალიკოსს“²¹⁷. როგორც ირკვევა, ერთდროულად დაიწერა XIX და XXI წერილები (აბრაამისა და სმბატის წერილები კირონს), და შემდეგ კი კირონის პასუხები ორივე მათგანს. ვითარება, ჩანს, ასეთი იყო: თავის საპასუხო წერილით მოსე ცურტაველს აბრაამმა იგი მიიპატიუა თავისთან, ხაზი გაუსვა რა იმას, რომ იმ დროს სომხეთის გამგებელი სმბატ მარზბანიც იქ იყო: „მნებავს კურთხევა თქვენი სიწმინდისაგან. ნუ დააყოვნებ მოსვლას ამ წმინდა ზატიკს, რადგან მრავალათავის ეს შვებაა და სულიერი საქმენი წინ გვიდევს. სანამ უფალი სმბატ აქაა, ვისწრაფით, რომ რაიმე სახით ჯერ ეგ მოვათავოთ ჩვენი ქრისტე ღმრთის შეწვევით“²¹⁸. როგორც ეტყობა, მოსე ჩავიდა ღვინს, ინახულა აბრაამ კათალიკოსიცა და სმბატ მარზბანიც. მათი საუბრის შედეგია აბრაამისა და სმბატის წერილები კირონს. სმბატი პირდაპირ სწერს ამას კირონს: „ნამდვილი კი გავიგე ცურტავის ეპისკოპოსისაგან, რომელიც აქ არის“-ო²¹⁹. აბრაამისა და სმბატის წერილების შინაარსის ახლო დამთხვევა ცხადად ლაპარაკობს, რომ ორივე ერთდროულად დაიწერა საერთო შეთანხმებისა და მოლაპარაკების შედეგად. ამ წერილების შინაარსსა და მათში დასმულ საკითხებზე ჩვენ სხვაგან გვაქვს ვრცელი მსჯელობა, რასაც აქ აღარ გავიმეორებთ²²⁰. ასევე ძალიან ახლოა ერთმანეთთან კირონის პასუხები აბრაამსა და სმბატს. ეს ბუნებრივია, რადგან მსგავსი შინაარსის წერილებზე მსგავსი პასუხები უნდა გაცემულიყო. ჩანს, რომ კირონის ორივე პასუხიც ერთ დროსაა დაწერილი. ამრიგად, წერილების თანამიმდევრობა ასეთი იქნება: XIX, XXI, XX, XXII. ამასთან აღსანიშნავია, რომ რადგან კირონის პასუხი სმბატს (XXII წერილი) დაწერილია 608 წ. გაზაფხულზე²²¹, XX წე-

216 ეპისტოლეთა წიგნი, 66—68.

217 იქვე, 72—76.

218 იქვე, 65—66.

219 იქვე, 75.

220 „ეპისტოლეთა წიგნის“ ცნობები შუშანიკზე, „მრავალთავი“, თბ., 1978, გვ. 166—189.

221 იქვე, 154.

მომდევნო წერილების (XXIII—XXIX) ქრონოლოგია სწორადაა დატული. ვფიქრობთ, ყოველივე ზემოთქმული შემდეგი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა:

1. IV წერილი, „მიზეზი ორბუნებიათა მეოთხე კრებისა, მოსე ქართველთა მართლმადიდებელი ეპისკოპოსისა“ უნდა ეკუთვნოდეს მოსე ცურტაველს, როგორც ეს ნათქვამია მის სათაურში.

II. „ეპისტოლეთა წიგნის“ განხილული წერილების შრონოლოგიური თანამიმდევრობა ასეთია (რომაული ციფრებით აღნიშნულია ნუმერაცია ქართული გამოცემით, ფრჩხილებში ჩასმული არაბულით—სომხური გამოცემით):

1. III (27) მოსე ეპისკოპოსის საყოველთაო ეპისტოლე.

2. I (25) ეს პირველი ეპისტოლე მისწერა მოსე ეპისკოპოსმა წმინდა გრიგოლის ადგილის მცველს ვრთანეს ქერდოლს.

3. V (29) მოსე ეპისკოპოსის ეპისტოლეს პასუხი.

4. VI (30) უფალ ვრთანეს ქერდოლის საყოველთაო ეპისტოლე.

5. II (26) ვრთანესის პასუხი მოსეს ეპისტოლეზე.

6. VII (31) უფალ ვრთანესის ეპისტოლეს პასუხი.

7. VIII (32) მოსე ეპისკოპოსის მეორე ეპისტოლე ვრთანეს ქერდოლს.

8. XI (35) უფალ კირიონს ვრთანესისგან.

9. X (34) უფალ პეტრეს ვრთანესისგან.

10. IX (33) მოსეს ეპისტოლეს პასუხი.

11. IV (28) მიზეზი ორბუნებიათა მეოთხე კრებისა მოსე ქართველთა მართლმადიდებელი ეპისკოპოსისა.

12. XII (36) მოსე ეპისკოპოსის მესამე ეპისტოლე ვრთანეს ქერდოლს.

13. XIII (37) ვრთანესის პასუხი მოსე ეპისკოპოსის მესამე ეპისტოლეზე.

14. XIV (38) კანონები, რომლებიც დაიდო დვინს,...

15. XV (39) ხელწერილი, რომელიც სთხოვა სმბატ ვრკანის მარზპანმა...

16. XVI (40) ხელწერილი, რომელიც მისცეს აბრაამ სომეხთა კათალიკოსს...

17. XVII (42) სწმინდისმოყვარე უფალ აბრაამს მოსესგან.

18. XVIII (43) პასუხი.

19. XIX (44) სომეხთა კათალიკოსის უფალ აბრაამის პირველი ეპისტოლე კირიონ ქართლის კათალიკოსს.

20. XXI (46) ვრკანის მარზპანის უფალ სმბატის ეპისტოლე კირიონ ქართლის კათალიკოსს.

21. XX (45) პასუხი.
22. XXII (47) პასუხი.
23. XXIII (48) უფალ სმბატს მოსესგან.
24. XXIV (49) პასუხი.
25. XXV (50) სომეხთა კათალიკოსის უფალ აბრაამის მეორე ეპისტოლე კირიონ ქართლის კათალიკოსს.
26. XXVI (51) პასუხი.
- 27, XXVII (52) უფალ აბრაამ სომეხთა კათალიკოსის მესამე ეპისტოლე კირიონ ქართლის კათალიკოსს.
28. XXVIII (53) პასუხი.
29. XXIX (54) უფალ აბრაამ სომეხთა კათალიკოსის ეპისტოლე-

სომხური ანონიმური გეოგრაფია*

1963 წელს სომხეთის მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ს. ტ. ერემიანის წიგნი «Армения по «Ашхарацуиц»-у (Армянской географии VII века) (Опыт реконструкции армянской карты VII века на современной картографической основе).

ს. ტ. ერემიანის სახელი კარგადაა ცნობილი სამეცნიერო წრეებისათვის. იგი, ერთ-ერთი ყველაზე უფრო ავტორიტეტული მკვლევარი ძველი სომხეთის ისტორიისა, ცნობილია აგრეთვე როგორც სომხეთისა და საერთოდ ამიერკავკასიის ისტორიული გეოგრაფიის საუკეთესო მცოდნე. ამიტომ ბუნებრივია ის ინტერესი, რომელსაც იწვევს მისი ზემოდასახლებული შრომა, მიძღვნილი ძველი სომხური გეოგრაფიული ლიტერატურის ისეთი ცნობილი ძეგლისადმი, როგორცაა „აშხარაცუიცი“.

არსებობს „გეოგრაფიის“ რამდენიმე ათეული ხელნაწერი. სამწუხაროდ, დღესდღეობით აღწერილია მხოლოდ ის 36 ხელნაწერი, რომელიც ინახება ერევანში, მატენადარანში. სხვა ხელნაწერები, რომლებიც დაცულია უცხოეთის სხვადასხვა წიგნთსაცავებში, ჯერ კიდევ აღწერილი არაა. უძველესი ხელნაწერი წარმოადგენს ნაწყვეტს „გეოგრაფიის“ შესავლიდან. იგი XII საუკუნისაა. ქრონოლოგიურად მომდევნო ხელნაწერი (XIII საუკუნისა) უკვე საკმაოდ სრულია. მატენადარანის ხელნაწერებში საუკეთესოა XIV ს. ხელნაწერი, გადაწერილი ვინმე დავით ვარდანის ძის მიერ. აღსანიშნავია, რომ, როგორც ირკვევა, ეს ტექსტი გადაწერილი უნდა იყოს მეტად ძველი ხელნაწერიდან. საუკეთესო ხელნაწერებს მიეკუთვნება აგრეთვე 1639 წ. კარაპეტის მიერ გადაწერილი ხელნაწერი. ხელნაწერები საგულდაგულოდ შეისწავლა აშ. აბრაამიანმა¹. მისი სიტყვით, ეს ხელნაწერები რედაქციული თვალსაზრისით ხუთ ჯგუფად იყოფა, თუმცა კი ზოგადად ისინი ერთ

* ნაშრომი შესრულებულია ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძველი ისტორიის განყოფილებაში 1964—1965 წწ.

¹ Աղ. Աբրահամյան. Խորհրդային վերագրվող «Աշխարհագրություն»-ի հիշխման հարցի շուրջը. Երևան. 1940.

საერთო რედაქციას წარმოადგენენ (ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი). განსხვავებულ რედაქციას წარმოადგენს 1881 წ. ვენეციელი მხითარისტის ა. სუქრიანის მიერ გამოცემული „გეოგრაფიის“ ტექსტი.

„აშხარაცუიცი“ პირველად დაიბეჭდა 1668 წ. ამსტერდამში კრებულში „ქვეყანათა და არაკთა წიგნი, რომელიც არის მელის წიგნი“ (*წიგნი აქუარაჲს ს თიასაჲსკარანოცხასაჲ, ირ ზ სიუტსაჲქრე*), მეორედ 1683 წ. მარსელში და მესამედ 1698 წ. ლივორნოში, ისევ „მელის წიგნში“. 1736 წ. ლონდონში „აშხარაცუიცი“ დაბეჭდეს ძველი სომხური ლიტერატურის ცნობილმა მკვლევრებმა, ძმებმა ვილიამ და ჯორჯ ვისტონებმა, ძველ სომხურ ტექსტთან ერთად. ვისტონებმა დაბეჭდეს მისი ლათინური თარგმანიც. ამასთან, ვისტონებმა ტექსტს დაურთეს შენიშვნები, ზოგიერთი ბუნდოვანი ადგილის გასარკვევად ძველი ბერძენი გეოგრაფოსების ცნობათა საფუძველზე. ეს გამოცემა უცვლელად იმეორებს მარსელის გამოცემის ტექსტს. საყურადღებოა, რომ ვისტონების გამოცემაში „აშხარაცუიცი“ მოცემულია ხორენაცის „სომხეთის ისტორიასთან“ ერთად. მეხუთე გამოცემაშიც (ვენეცია, 1752 წ.) „აშხარაცუიცი“ ხორენაცის ისტორიასთან ერთადაა დაბეჭდილი. ტექსტი იმეორებს ამსტერდამის გამოცემას. მეექვსედ „აშხარაცუიცი“ გამოსცა სახელგანთქმულმა ფრანგმა მეცნიერმა სენ-მარტენმა პარიზში 1819 წ. ტექსტი ეყრდნობოდა მარსელისა და ლონდონის გამოცემებს.

ამრიგად, „აშხარაცუიცი“ კარგა ხანია, რაც მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება. თაღდაპირველად მიღებული იყო აზრი, რომ იგი დაწერილია V ს-ში და ეკუთვნის სახელგანთქმულ სომეხ ისტორიკოს მოვსეს ხორენაცის კალამს. საფუძველს ასეთი შეხედულებისათვის იძლეოდა ის გარემოება, რომ ხელნაწერებში, რომლებშიც შემონახულია „აშხარაცუიცი“, ავტორი ან სულ არ იხსენიება, ან ასეთად დასახელებულია მოვსეს ხორენაცი. მაგრამ უკვე ძალიან ადრე სპეციალისტთა შორის დაიბადა ეჭვი „აშხარაცუიცი“ დაწერის თარიღის შესახებ. მოვსეს ხორენაცის ავტორობაც ეჭვის ქვეშ დადგა. შემდგომში გავრცელდა აზრი, რომ „აშხარაცუიცი“ VII ს. თხზულებაა და მისი ავტორია ანანია შირაკაცი. ეს აზრი გატარებულია მრავალრიცხოვან გამოკვლევებში, რომლებიც მიძღვნილია ანანია შირაკაცისადმი, სხვადასხვა სახელმძღვანელოსა თუ სამეცნიერო-საცნობარო გამოცემებში.

მოვსეს ხორენაცის ავტორობის ეჭვი პირველად გამოთქვა ფრანგმა მეცნიერმა სენტ-კრუამ. 1789 წ. მან დაბეჭდა პატარა გამოკვლე-

ვა². ამ გამოკვლევაში იგი აღნიშნავდა შემდეგს: „გეოგრაფიაში“ მოხსენიებულია ქალაქი ბასრა, ვაჭრებით მრავალრიცხოვანი ქალაქი, სადაც მოდიან ნავეებით ინდოეთიდან და აღმოსავლეთის ყველა ქვეყნიდან. მაგრამ ბასრა, შენიშნავდა სენტ-კრუა, დაარსებული იყო ხალიფა ომარის ბრძანებით ჰაჯრის XIV წელს, ე. ი. 635 წ. მაშასადამე, „გეოგრაფია“ დაწერილი უნდა ყოფილიყო არაუადრეს VII ს-ისა, როდესაც ბასრა აყვავებული იყო. ამის გამო, „გეოგრაფიის“ ავტორი არაერთარ შემთხვევაში არ შეიძლება ყოფილიყო მოვსეს ხორენაცი, რომელიც ცხოვრობდა V ს-ში.

ამავე საკითხს, ოღონდ უფრო დაწერილებით, შეეხო ე. სენ-მარტენი. სენ-მარტენმა გამოსცა „გეოგრაფიის“ ძველი სომხური ტექსტი და მისი ფრანგული თარგმანი, რასაც წარუძღვარა საკმაოდ ვრცელი წინასიტყვაობა³. მისი აზრით, „გეოგრაფია“ წარმოადგენს შემოკლებულ თარგმანს პაპოს ალექსანდრიელის წიგნის *Γεογραφία Ἰσχυμειου* რომელიც თავის მხრივ კლავდიუს პტოლემეაიოსის გეოგრაფიის შემოკლებას წარმოადგენდა. სომეხმა ავტორმა პაპოსის წიგნიდან აიღო ძირითადი ცნობები და გამოტოვა დეტალები, ისიც სომეხეთისგან დაშორებულ ქვეყნებზე, ხოლო თვით სომეხთა და მის მეზობელ იბერიასა და აღბანეთზე ცნობები „გეოგრაფიის“ ავტორს აღებული აქვს სხვა, კერძოდ, სომხური წყაროებიდან თავისი საკუთარი ცოდნის დამატებით.

სენ-მარტენი იზიარებდა მოვსეს ხორენაცის მოღვაწეობის ხანის ტრადიციულ დათარიღებას (V ს.). ამავე დროს „გეოგრაფიაში“ მან აღმოაჩინა რამდენიმე ანაქრონიზმი, რამდენიმე ადგილი, რომელიც არ შეიძლებოდა ჰქუთუნებოდა V ს. ავტორს. მაგ., მან აღნიშნა, რომ „გეოგრაფიაში“ ფრანკები მოხსენიებულნი არიან გალიის მცხოვრებლებად და ამასთან ძლიერ ტომად. ღუნაიზე ნათქვამია, რომ რუსები ეძახიან მას იოზუს; ნახსენები არის „ხრიმ“, ანუ „ყირიმი“, ამასთან როგორც ქრისტიანების ხელში მყოფი (ქერსონი ქრისტიანებსა აქე-

² Sainte-Croix. Sur la Géographie de Moÿse de Chorène, Journal des Savants, avril, Paris, 1789, გვ. 217.

სენტ-კრუას წერილი დამოწმებული გვაქვს სხვადასხვა გამოკვლევების თანხმად (თბილისში იგი არ არის), განსაკუთრებით კი ქ. პატკანოვის ერთი წერილის მიხედვით, სადაც სათანადო ადგილი ციტირებულია ორიგინალში К. Патканов, Из нового списка географин, приписываемой Моисею Хоренскому, ЖМИПР, 1887, გვ. 21—22.

³ J. Saint-Martin, Mémoire sur l'époque de la composition de la Géographie, attribuée à Moÿse de Khoren, წიგნში Mémoires historiques et géographiques sur l'Arménie, t. II, 1819, 301—317.

თო); ნახსენებია „შირვანი“; იბერიისა და ალბანეთის შემადგენლობაში მოხსენიებულია ჩრდილო სომხეთის ოლქები, რომლებიც ამ ქვეყნებს შეუერთდნენ V ს-ის შემდეგ; ნახსენებია ბასრა, რომელიც აშენებული იყო მხოლოდ 635 წ., ასევე ნახსენებია ქალაქები: კუფა, რომელიც აშენდა 638 წ., კინესრინი, მოსული. მოხსენიებულნი არიან თურქები და სხვ. ამ ანაქრონიზმების განხილვის საფუძველზე სენ-მარტენი ასკვნის, რომ „გეოგრაფია“ არ შეიძლებოდა ყოფილიყო მოვსეს ხორენაცის ნაწარმოები, რომ მისი დაწერის თარიღი უნდა ყოფილიყო IX ს. ბოლო ან უფრო მეტად მომდევნო საუკუნე, 950 წლის მახლობელი დრო.

სენ-მარტენის შეხედულება არ გაიზიარეს ვენეციელმა მხითარისტებმა. ლუკას ინჟიკიანმა თავის „არქეოლოგიაში“ სცადა განებთილებინა სენ-მარტენის საბუთები. ინჟიკიანის სიტყვით, სენ-მარტენის მიერ მითითებული ადგილები გვიანდელი ჩანარებია, რიგი კი სენ-მარტენს სწორად არ გაუგია⁴. იმისთვის, რათა დაემტკიცებინათ, რომ სენ-მარტენის ხელნაწერი გვიანდელ ჩანარებს შეეცავდა, ვენეციელმა მხითარისტებმა ხელახლა გამოსცეს „აშხარაცუიცი“. გამოცემა ეყრდნობოდა სხვა ხელნაწერებს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სენ-მარტენის მიერ მითითებული ზოგი ადგილი ამ ხელნაწერებშიც ყოფილა.

მიუხედავად სენტ-კრუასა და სენ-მარტენის შეხედულებებისა, ევროპულ მეცნიერებაში ჯერ კიდევ მტკიცედ იყო მოკიდებული აზრი, რომ „გეოგრაფია“ მეხუთე საუკუნეშია დაწერილი და რომ იგი მოვსეს ხორენაცის ეკუთვნის. მაგ., ასეთი აზრისა იყვნენ მეცნიერები: გუტშმიტ⁵ და კიპერტი⁶. ამ უკანასკნელის აზრით, „გეოგრაფია“ ხორენაცის უნდა ეკუთვნოდეს, ოღონდ მასში არის გაკეთებული გვიანდელი ჩანარები.

აღსანიშნავია, რომ შემდეგში გუტშმიტმა ნაწილობრივ გამოიცვალა თავისი აზრი და მიიჩნია, რომ თუმცა „გეოგრაფია“ ხორენაცის ეკუთვნის, მაგრამ VII ს. შუა პერიოდის ნაწარმოებად ჩათვალა⁷.

1877 წ. ქ. პატკანოვმა გამოსცა „გეოგრაფიის“ სომხური ტექსტი

⁴ ლ. ბ ნ ი ხ ე ა ნ. Հասարակական III, Վեհերիկ. 1836 թ. 304—316.

⁵ Gutschmidt, Kleine Schriften, III, გვ. 278.

⁶ Kiepert, Ueber die Zeit der Abfassung des dem Moses von Chorni zugeschrieben geographischen Compendiums, Monatsberichte der königlichen Preussische Akademie der Wissenschaften zu Berlin, 1873, გვ. 593 და შემდ.

⁷ Kleine Schriften, III, გვ. 332—338.

რუსული თარგმანითურთ⁸. წინასიტყვაობაში ავტორი ჩერდება „გეოგრაფიის“ ავტორისა და დაწერის დროის საკითხებზე, დაწვრილებით განიხილავს იგი სენ-მარტენის დებულებებს ამ საკითხზე. პატკანოვმა გაიზიარა აზრი იმის შესახებ, რომ „გეოგრაფია“ მოვსეს ხორენაცის ნაწარმოები არ უნდა იყოს, მაგრამ არ მიიღო მისი („გეოგრაფიის“) სენ-მარტენისეული დათარიღება (X ს.).

ქ. პატკანოვმა გაიზიარა აგრეთვე სენ-მარტენის აზრი, რომ „გეოგრაფიის“ ავტორმა ისარგებლა პლოტემაიოსით პაპოს ალექსანდრიელის მეშვეობით. შემდეგ პატკანოვმა დაწვრილებით განიხილა სენ-მარტენის საბუთები, რომლებზე დაყრდნობითაც ეს უკანასკნელი „გეოგრაფიას“ X ს. თხზულებად თვლიდა. პატკანოვმა აღნიშნა, რომ რიგი იმ სახელწოდებებისა (იოზუ, ყირიმი, შატახი), რომლებიც ყველაზე გვიანდელი იყვნენ „გეოგრაფიაში“, მერმინდელი ჩანართებია. „გეოგრაფიაში“ მოხსენიებული ქალაქები: ბასრა, კუფა, მოსული, კინესრინი, რომლებიც არაბი მწერლების ცნობებით არაბთა მიერ იქნენ დაარსებულნი, ან არაბობის პერიოდში აყვავდნენ, შეიძლება არსებულ იყვნენ არაბობის წინანდელ პერიოდშიც. პატკანოვის სიტყვით, „გეოგრაფიაში“ არ იგრძნობა ის ცვლილებები მცირე აზიაში, რომლებიც მოჰყვა არაბების დროს. არაბეთი დაყოფილია სამად და იქ იხსენიება არაბული მოსახლეობა. არაბთა დაპყრობების შემდეგ მცხოვრებნი ავტორი კი ასე არ იზამდაო. ირანის 60 რაიონის დასახელებისას არ იგრძნობა არაბული გავლენა. მათ შორის არაა მოხსენიებული არაბული სახელებიც, რომლებიც ასე გახშირდა არაბთა დაპყრობათა შემდგომ. სხვა საბუთები სენ-მარტენისა თუმცა, მართლაც, ანაქრონისტულნი არიან V ს-ის მწერლის თხზულებაში, ასეთად არ ჩაითვლებიან VII ს. ნაწარმოებისათვის.

დათარიღა რა „გეოგრაფიის“ დაწერის დრო VII ს-ის შუა ხანით, ქ. პატკანოვმა გამოთქვა მოსაზრება, რომ მისი ავტორი უნდა ყოფილიყო ამ ეპოქის ცნობილი სომეხი მათემატიკოსი ანანია შირაკაცი. პატკანოვის სიტყვით, „გეოგრაფიის“ დაწერისათვის საკმარისი არ იყო მხოლოდ ბერძნული ენის ცოდნა, საჭირო იყო აგრეთვე გარკვეული მეცნიერული განათლება, კერძოდ კი მათემატიკის ცოდნა. ვარდა ანანია შირაკაცისა, IX ს-მდე სომეხებს შორის სხვა ასეთი მოღვაწე კი არ ყოფილაო, აღნიშნავდა ქ. პატკანოვი.

სხვათაშორის, ქ. პატკანოვმა გააკეთა მეტად საინტერესო დაკვირვება. მან შენიშნა, რომ „გეოგრაფიის“ ავტორის კოსმოლოგიური შეხედულებანი ემთხვევა VI ს-ის ცნობილი ქრისტიანული გეოგრა-

⁸ Патканов К. П., Армянская география VII века по р. Х., Санкт-Петербург, 1877.

ფიული სისტემის შემქმნელ კოსმა ინდიკოპლევსტის შეხედულებებს, რომლებიც გადმოცემულია მის წიგნში „ქრისტიანული ტოპოგრაფია“. მაგრამ კოსმა ინდიკოპლევსტი, როგორც ფიქრობენ, არ არის ნამდვილი სახელი ამ ავტორისა. ინდიკოპლევსტი მან ზედმეტ სახელად მიიღო, როგორც ინდოეთში ნამყოფმა, ხოლო სახელი კოსმა უნდა მიეღო მსოფლიოს ტოპოგრაფიის დაწერისათვის. „გეოგრაფიის“ ავტორი როდესაც ლაპარაკობს დედამიწის აგებულებზე შესახებ, იმეორებს ვინმე კონსტანტინე ანტიოქიელის „ქრისტიანულ ტოპოგრაფიას“. ქ. პატკანოვმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს წიგნი არის იგივე კოსმა ინდიკოპლევსტის „ქრისტიანული ტოპოგრაფია“, ხოლო კონსტანტინე ანტიოქიელი — მისი ავტორის ნამდვილი სახელი.

უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც ქ. პატკანოვი იხილავდა საკითხს იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა, რომ „გეოგრაფია“ ხორენაცის ნაწარმოები იყოს, იგი აღნიშნავდა იმასაც, რომ არც ენით, არც სტილითა და არც ბერძნული ენის ცოდნის დონით „გეოგრაფიის“ ავტორი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ყოფილიყო ხორენაცი, რომელზედაც ბევრად დაბლა იდგა ამ მხრივ.

პატკანოვმა შენიშნა, რომ ხორენაცისა და „გეოგრაფიას“ ერთნაირად შეპყავთ პირველ სომხეთში კაპადოკია (გეოგრაფია: არგეოსის მთა, ხორენაცი: კესარია), რომელიც რომაელ და ბერძენ ავტორებს არასოდეს არ მიაჩნდათ სომხეთის ნაწილად⁹.

1881 წ. მხითარისტმა არსენ სუქრიანმა გამოსცა „გეოგრაფიის“ სომხური ტექსტის მანამდე უცნობი, რამდენადმე ვრცელი ვარიანტი ფრანგული თარგმანითურთ¹⁰. წინასიტყვაობაში სუქრიანი იცავდა ტრადიციულ შეხედულებას „გეოგრაფიის“ ავტორის შესახებ (მიიჩნევდა ასეთად მოვსეს ხორენაცის). ამ დებულებას იგი ასაბუთებდა იმით, რომ, მისი აზრით, ენა და სტილი მოვსეს ხორენაცისა და „გეოგრაფიის“ ავტორისა ერთნაირია. ამასთანავე სუქრიანი პოულობდა მსგავსებას „გეოგრაფიაში“ არსებულ ზოგიერთ ისტორიულ ცნობასა და მოვსეს ხორენაცის ცნობებს შორის. მოვსეს ხორენაცის მოღვაწეობის ეპოქა კი სუქრიანის თვალში არავითარ ეჭვს არ იწვევდა, ამიტომ „გეოგრაფიაც“ მას V ს-ის ნაწარმოებად მიაჩნდა. ამასთან სუქრიანი არ უარყოფდა იმას, რომ „გეოგრაფიაში“ მრავალი გვიანდელი ჩანართია. ამ ჩანართებს სუქრიანი 600—700 წწ. ათარიღებდა. იგი იხილავდა „გეოგრაფიის“ წყაროებს და აღნიშნავდა, რომ ჰიპარქე და მარინ

⁹ Патканов, К. П., *დასახ. ნაშრ.*, გვ. 35. შენ.

¹⁰ Géographie de Moïse de Corène d'après Ptolémée, Texte arménien, traduit en français par le Arsène Soukry mékhitariste. Venise, 1881.

ტირელი ავტორს პტოლემეაიოსის თხზულებიდან აქვს მოყვანილი. მან გაიზიარა აზრი იმის შესახებ, რომ კონსტანტინე ანტიოქიელი კოზმა ინდოკოპლევსტია. პაპოს ალექსანდრიელის შესახებ სუქრიანა ამბობს, რომ საფიქრებელია „გეოგრაფია“ მისი თხზულების მიხედვით იყოს გამართული, მაგრამ რადგან პაპოსის ნაშრომი ჩვენთვის უცნობია, ისევე პტოლემეაიოსს უდარებს და აღნიშნავს, რომ სომხური „გეოგრაფია“ ფესდაფეს მისდევს პტოლემეაიოსისას. სუქრიანმა ნაშრომს ასეთი სათაური მისცა: „მოსე ხორენელის გეოგრაფია პტოლემეაიოსისა“. „გეოგრაფიაში“ მოხსენიებულ აპოლონს სუქრიანი აპოლოდორად მიიჩნევს, ხოლო დიონისეს — დიონისე მილეთელად, ან დიონისე პერიეგეტად¹¹.

„გეოგრაფიის“ ავტორის საკითხს ეხება პ. ტაშიანიც თავის ნაშრომში „გამოკვლევა ფსევდო-კალისტენეს ალექსანდრეს ცხოვრებაზე“. იგი ამტკიცებს, რომ „გეოგრაფიის“ ავტორია მოვსეს ხორენაცი, V ს. ავტორი. ამავე დროს, პ. ტაშიანს სიტყვით, მასვე ეკუთვნის „ალექსანდრეს ცხოვრებას“ სომხური თარგმანიც. მისი თქმით, ეს მტკიცდება იმით, რომ „გეოგრაფიის“ ზოგერთი ადგილი უნდა მომდინარეობდეს „ალექსანდრეს ცხოვრებიდან“.

„აშხარაცუიცს“ შეეხო აგრეთვე გამოჩენილი არმენისტი გრ. ხალათიანცი, რომელიც მოვსეს ხორენაცის წყაროებს იკვლევდა. თავდაპირველად გრ. ხალათიანცი იზიარებდა ხორენაცის ტრადიციული დათარიღებას V ს-ით. შემდეგ მან მიიღო ევროპულ მეცნიერებაში XIX ს. ბოლოს გავრცელებული აზრი ხორენაცის უფრო გვიანდელ ავტორად მიჩნევის შესახებ. ხორენაცის „სომხეთის ისტორიისა“ და „აშხარაცუიცის“ ტექსტების შედარებამ ხალათიანცი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ხორენაცი იცნობდა „აშხარაცუიცს“ და თავის წყაროდ იყენებდა მას (გრ. ხალათიანცმა გაიზიარა ევროპულ არმენისტოკაში XIX ს. ბოლოს გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ მოვსეს ხორენაცი არის VIII—IX სს. მოღვაწე)¹².

ცნობილი არმენისტი მარკვარტი თავდაპირველად იმ აზრისა იყო, რომ ხორენაცი იყო „აშხარაცუიცის“ ავტორი, ოღონდ არა V. არამედ VII—VIII სს., უფრო კი VIII ს. მეორე ნახევრისა, პირველი აბასიდების დროის. მარკვარტმა მიაქცია ყურადღება შემდეგ ორ გარემოებას: 1. ვრცელ რედაქციაში ნახსენებია ბულგარელთა გადასვლა დუნაიზე 679 წ. ასპარუხის მეთაურობით. 2. ამავე რედაქციაში ნახსენები ხო-

¹¹ Géographie de Moïse de Corèpe...

¹² Гр. Халатьянц, Армянские Аршакиды в «Истории Армении», Мойсея Хоренского, მისივე, Армянский эпос в «Истории Армении» Мойсея Хоренского.

რასანის რაიონები — გუჯ და ასან — დიდ როლს თამაშობდნენ არაბებისა და დასავლეთ თურქების ბრძოლაში 737 წ., მანამდე კი ისინი ცნობილი არ იყვნენ. შემდეგ მარკვარტმა გაიზიარა ქ. პატკანოვის შეხედულება იმის შესახებ, რომ „გეოგრაფიის“ ავტორი ანანია შირაკაცი უნდა იყოს. მასაც მიაჩნდა, რომ ხორენაცის გამოყენებული ჰქონდა „აშხარაკუცი“¹³. უნდა ითქვას, რომ ხალათიანციცა და მარკვარტიც თავისი დებულების დასამტკიცებლად მიუთითებენ ამ თხზულებაში ისეთ ადგილებს, რომლებიც მსგავსებას ამჟღავნებენ ერთმანეთთან. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ მითითებული ადგილები არ გამოდგება უეჭველ საბუთად იმისთვის, რომ ითქვას — ხორენაცის გამოუყენებია „გეოგრაფია“, ან მის ავტორს ხორენაცის „სომხეთის ისტორია“ (იმაზე რომ აღარ ვილაპარაკოთ, რომ მათი ავტორი ერთი და იგივე პირი იყო). ცხადია, რომ „სომხეთის ისტორიასა“ და „გეოგრაფიას“ უნდა ჰქონდეს კიდევაც რაიმე საერთო. რატომ არ უნდა ჰქონოდათ მათ ავტორებს მსგავსი გეოგრაფიული, ისტორიული თუ სხვა წარმოდგენები ზოგიერთ საკითხზე? შეიძლება დასახელებულ იქნას არაერთი თხზულება, რომლებიც მნიშვნელოვან მსგავსებას ამჟღავნებენ ერთმანეთთან და რომელთა ავტორები, ჩვენ ეს კარგად ვიცით, სხვადასხვა პირი არიან — სხვადასხვა ეპოქაში მცხოვრები. თუ ერთ-ერთი ავტორი უფრო ადრე ცხოვრობდა, ბუნებრივია, მეორეს სცოდნოდა მისი ნაშრომი ან სულაც საერთო წყაროები ჰქონოდათ.

მარკვარტმა შეუღარა ვრცელი (სუქრიანის) და მოკლე რედაქციების ცნობები აღმოსავლეთის შესახებ და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ვრცელი რედაქცია არის ავტორისეული ტექსტი, მოკლე კი მისი უხეირო შემოკლება¹⁴. შემდგომ მარკვარტი იმ აზრს დაადგა, რომ ორივე რედაქცია სრული დედნის შემოკლებულ კომპილაციას წარმოადგენს¹⁵.

„გეოგრაფიას“ შეეხო აგრეთვე ცნობილი გერმანელი არმენისტი ჰიუბშმანი. თავის ცნობილ გამოკვლევაში „ძველი სომხეთის ტოპონიმია“ ჰიუბშმანი ატარებდა აზრს, რომ ეს ნაწარმოებები სხვადასხვა ავტორის კალამს ეკუთვნის. გეოგრაფიული მონაცემებით, ჰიუბშმანის აზრით, ხორენაცის „სომხეთის ისტორია“ ფავსტოს ბუზანდ-

¹³ G. Marquart, Eranschahr nach der Geographie des Ps. Moses Xorenaci, Berlin, 1901, გვ. 5—6. მისივე, Südarmenien und die Tigrisquellen, Wien, 1930; მისივე, Osteuropäische und ostasiatische Streifzüge, Leipzig, 1903; მისივე, Genealogie der Bagratiden, Caucasia, 1930, fasc. 6. 2. Teil.

¹⁴ G. Markwart, Eranschahr..., გვ. 4.

¹⁵ G. Markwart, Изв. Русск. арх. инст. в Константинополе, XV (1911), გვ. 15, შენ. 2.

თან უფრო ახლოს დგას, ვიდრე „გეოგრაფიასთან“. ჰიუბშმანი აღნიშნავდა შემდეგ განსხვავებებს ამ ორ თხზულებას შორის:

1. ხორენაცისთან მალალი სომხეთი, ტურუბერანი, კორჭაიქი, პარსკაპაიქი, ფაიტაკარანი, უტი და აირარატი ნაპანგებად არ იხსენიებიან.

2. შეიმჩნევა რიგ გეოგრაფიულ სახელთა განსხვავებული დაწერა-ჩილობა.

3. დეგიქისა და გორექის გავარების სახელებს იცნობს „გეოგრაფია“ და არ იცნობენ ხორენაცი და ბუზანდო.

4. პირიქით, ანგელ ტუნი იციან ფავსტოსმა და ხორენაციმ და არ იცის „გეოგრაფიამ“.

5. „გეოგრაფიით“ აშოცი აირარატშია, ხორენაცით — გუგარქში.

6. არტაშატის მღებარეობა სხვადასხვანაირადაა განსაზღვრული.

7. ხორენაცი იცნობს წოფქს, რომელიც 591 წ. შეუერთდა აღმნიქს და დაერქვა ნფრკერტი. ეს იცის „გეოგრაფიამ“ და არ იცის ხორენაციმ და სხვ. ჰიუბშმანით „გეოგრაფიის“ terminus post quem non არის 902 წ. ამ წელს ნახიჯევანი ჩამოსცილდა ვასპურაკანს და შეუერთდა სიუნიქს, „გეოგრაფიაში“ კი ნახიჯევანი ვასპურაკანშია.

1934 წ. აკად. პ. მანანდიანმა გამოაქვეყნა ვრცელი მონოგრაფია¹⁶, შიძღვნილი მოვსეს ხორენაცის მოღვაწეობის თარიღის დადგენისადმი. ამ მონოგრაფიაში ნახევარზე მეტი ადგილი ეთმობა „გეოგრაფიას“ და მასთან დაკავშირებულ საკითხებს. პ. მანანდიანმა გაიზიარა სენ-მარტენისა და პატკანოვის შეხედულება „გეოგრაფიის“ ავტორის მიერ პაპოს ალექსანდრიელის წიგნის გამოყენების შესახებ. თავის მხრივ მან აღნიშნა სხვა წყაროებიც „გეოგრაფიისა“: აბითენის მოწამეობა, ევსევი კესარიელის თხზულება¹⁷ (სომხური თარგმანიდან), ფსევდო-კალისტენეს ალექსანდრე მაკედონელის ისტორია, იოანე მალალას ქრონოგრაფია, kornamak-ი და, როგორც ჩანს, ნონოსის მითოლოგიური კომენტარები. ზოგიერთი მკვლევრის (მარკვარტი, ხალათიანცი) მიერ შენიშნულ სიახლოვეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიასა“ და „გეოგრაფიას“ შორის მანანდიანი იმის ერთ-ერთ საბუთად მიიჩნევდა, რომ ორივე თხზულება ხორენაცის კალამს ეკუთვნის. ავტორი დაწვრილებით იხილავდა ჰიუბშმანის მიერ აღნიშნულ განსხვავებებს ხორენაცის „სომხეთის ისტორიასა“ და „გეოგრაფიას“ შორის. ამ გან-

¹⁶ პ. მანანდიანი, სიუნიკური ისტორიის კვლევა. მხრები, 1934.

¹⁷ სხვათაშორის, ევსევი კესარიელის თხზულება რომ „გეოგრაფიაშია“ გამოყენებული, შენიშნული ჰქონდა უკვე სუქრიანს, იხ. დასახ. თხზ., ფრანგ. თარგმ., გვ. 51, შენ. 1.

სხვაეგებებს მანანდიანი არამნიშენლოვნად და არასაკმარისად მიიჩნევა და იმისთვის, რომ მათგან გამოტანილიყო დასკვნა, თითქოს ამ ორ თხზულებას სხვადასხვა ავტორი ჰყავს.

დაწერილებით განიხილავს ავტორი ქ. პატკანოვის აზრს, რომ „გეოგრაფიის“ ავტორად ანანია შირაკაცი უნდა იყოს მიჩნეული. 3. მანანდიანი გადაჭრით უარყოფს ასეთ შესაძლებლობას. მისი საბუთები შემდეგია: 1. შირაკაცი და „გეოგრაფიის“ ავტორი სხვადასხვა გეოგრაფიულ ტერმინებს ხმარობენ. მაგ., „გეოგრაფია“ *მჩიოქსა-კან ფჩი* - ს უძახის არამარტო მერიდიანს, არამედ ეკვატორსაც. შირაკაცი კი იცნობს *ნაააროქსაბ*-ის და *ნაააროქსაბიოქსაქ*-საც.

2. ანანია შირაკაცი ერთმანეთისაგან ასხვავებს *ბიქ* და *ბიქსი*-ს (ასფალდეს და ბზუნთა წოვაკ-ებით), ხოლო „გეოგრაფიაში“ კი ყველა ესენი განურჩევლად წოვ-ად იხსენიებიან. ანანია სპეციალურად აღნიშნავს, რომ შეცდომაა ასფალდესისა და ბზუნქისათვის *ბიქ*-ის წოდებაო. „გეოგრაფიაში“ კი ისინი სწორედ ასე იხსენიებიან.

3. ანანია შირაკაცი შეცდომით ასხვავებს ერთმანეთისაგან ჰირკანიისა და კასპიის (ტექსტში ასპის) ზღვებს; „გეოგრაფიამ“ კი იცის, რომ ისინი ერთიდაიგივეა. საყურადღებოა ისიც, რომ „გეოგრაფიაში“ იგი „ვრკანად“ იხსენიება.

4. „გეოგრაფიის“ ავტორი დედამიწას მიიჩნევს მრგვალად. შირაკაცი ოთხკუთხედ სიბრტყედ. ამასთან, შირაკაცი უარყოფს ანტიპოდების არსებობასაც. დედამიწის სიმრგვალე და ანტიპოდები საღმრთო წერილს ეწინააღმდეგებიანო. „გეოგრაფია“ კი ანტიპოდების არსებობას სცნობს.

5. შირაკაცით მზე მეტია დედამიწაზე, „გეოგრაფიით“ კი ნაკლები.

შემდეგ მანანდიანი იხსენებს მისი წინამორბედი მკვლევარების მიერ მოყვანილ ფაქტებს, რომლებიც ლაპარაკობენ „გეოგრაფიის“ მსგავსებაზე ხორენაცს „სომხეთის ისტორიასთან“ და თავის მხრივაც უმატებს ზოგიერთს. ეს ფაქტები ძირითადად ლაპარაკობენ იმაზე, რომ ხორენაცისა და „გეოგრაფიის“ ავტორს ერთნაირი გეოგრაფიული წარმოდგენები აქვთ ზოგიერთ გეოგრაფიულ ერთეულზე. ქ. პატკანოვის წინააღმდეგ და მხითარისტების კვალად ავტორს: მიაჩნია, რომ ხორენაცისა და „გეოგრაფიის“ ავტორს ერთნაირი ლექსიკური და სტილიტიკური თავისებურებანი აქვს. 3. მანანდიანი აღნიშნავს, რომ ორივე თხზულება დაყოფილია თავებად. თავებს იშვიათი სახელი აქვთ „*ნაათაბ*“ (მაგრამ ესეც დასამტკიცებელია). „გეოგრაფიის“ დაწერის დროდ 3. მანანდიანი IX ს. მიიჩნევს.

სპეციალურად იხილავს ჰ. მანანდიანი „გეოგრაფიის“ და ფსევდო-კალისტენეს „ალექსანდრეს ცხოვრების“ ურთიერთდამოკიდებულების საკითხს. ავტორის აზრით, „გეოგრაფიის“ ავტორსავე, ე. ი. მოვსეს ხორენაცის, უნდა ეკუთვნოდეს ფსევდო-კალისტენეს სომხური თარგმანი. მაგრამ სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ფსევდო-კალისტენეს თარგმანს იცნობდა უკვე ლაზარ ფარპეცი, V ს. ავტორი. ჰ. მანანდიანი ფარპეცის სათანადო ტექსტის ანალიზის შემდეგ ასკვნის, რომ ფარპეცის ხელთ უნდა ჰქონოდა ან ბერძნული დედანი, ან სხვა სომხური თარგმანი. ამასთან, ფარპეცი იცნობდა სხვა რედაქციას.

მანანდიანმა შეადარა მოკლე და ვრცელი რედაქციები, ოღონდ არა მარტო ის ნაწილი, რომელიც შეეხებოდა აღმოსავლეთს, არამედ სხვაც და მიიღო, რომ მცირე რედაქციაში იყო ადგილები, რომლებიც აკლდა ვრცელს. ეს ადგილები, მისი აზრით, დედნიდან მომდინარეობდნენ და არა მოგვიანებით იყვნენ ჩამატებულნი. მანანდიანის სიტყვით, ვრცელ რედაქციაში აზიის აღწერაში აკლია მთელი თავები: მაგ., ონორია, პამფილია, კაპადოკია მეორე, პირველი სომხეთი, მეორე სომხეთი, კაპადოკიის პონტო, ფაიტაკარანი და უტი, უდაბნო არაბეთი, არუასტანი. საბოლოოდ მანანდიანი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თავდაპირველი რედაქცია უფრო ვრცელი იყო, ვიდრე ჩვენს ხელთ არსებული ორივე რედაქცია. ორივე ეს რედაქცია ერთმანეთისგან დამოუკიდებელ დედნის შემოკლებას წარმოადგენს.

მანანდიანი აღნიშნავს მსგავსებას ხორენაცისა და „გეოგრაფიის“ შორის. 1. ერთნაირად აქვთ წარმოდგენილი პირველ სომხეთში კაპადოკია. 2. ორივეს აქვს ნათქვამი, პტოლემეაიოსმა მიწა გააზომინაო. 3. ორივე მითრიდატეს ლაშქრობას მიაწერს არტაშესს.

მანანდიანის აზრით, მსგავსებანი მიგვიითებებს კავშირზე ხორენაცისა და „გეოგრაფიის“ შორის:

1. ხორენაცი და „გეოგრაფია“ ერთნაირად ხორასანს არიქს უწოდებენ (გვ. 1ა).

2. ხორენაცისა და „გეოგრაფიის“ ერთნაირად არიქ-ში ჰამადანი შეაქვთ (მაგრამ ეს საეჭვოა) (გვ. 63, 4).

3. ხორენაცი და „გეოგრაფია“ ერთნაირად უწოდებენ სომხეთის სამხრეთ-დასავლეთიდან მოსაზღვრე ქვეყანას (ურჰა და მწბინი) მიჯაგეტქს, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთს არუასტან-ასორესტანს. აგათანგელოსი, ფავსტოსი და სებეოსი კი არუასტანს უწოდებენ მწბინის სანახებს (მაგრამ საპირისპიროდ გამოდის, რომ ამ ავტორების თხზულებები ერთ ავტორს ეკუთვნის).

4. ხორენაცი და „გეოგრაფია“ მცირე აზიას უწოდებენ *Միչեր-կրաქ*.

5. რიგი ქვეყნების ერთნაირი დაწერილობა (თვითონ მანანდიანი უარყოფს განსხვავებულ დაწერილობათა მნიშვნელობას).

6. ხორენაციისთან და „გეოგრაფიაში“ ერთნაირი გამოთქმებია: „ეცი“, „ვფიქრობ“, „მე მგონია“ და სხვ. (გვ. 68).

7. ერთნაირად მიაჩნიათ ლეგენდები იგავებად.

მანანდიანი ეკამათება „გეოგრაფიის“ პატკანოვისეულ დათარიღებას.

1. სწორი არაა, თითქოს მცირე აზიაში არ იხსენიება არაბული სახელები (მაგ., ბასრა, კუფა, აკოლა, მუწლ და სხვ.).

2. არაბეთი სამად იყო დაყოფილი არაბთა დაპყრობების შემდეგაც.

3. ირანის აღწერისას მან ისარგებლა უმთავრესად ნესტორიანელთა საეკლესიო წყაროებიდან, მაგრამ აქაც კი იხსენიება არაბული სახელები (მაგ. არუესტან — ასორესტანის არაბული სახელი, მუწლ ანუ მოსული, ხუყასტანი, ბწრა (ბასრა)).

„გეოგრაფიაში“ ნათქვამია, რომ მდინარე ქალირთს ახლა ჰქვია შითითმა ანუ სისხლისმსმელი (ამას ნიშნავს არაბულად). მაშასადამე ეს არაბობის ხანისაა, IX ს-ის. მანანდიანს მოჰყავს ნელსაცხებლების ოთხი არაბული სახელი, რომელიც მოხსენიებულია „გეოგრაფიაში“. მისი სიტყვით, აქ ძლიერ ხალხად მოხსენიებული არიან ფრანკები, რაც შესაძლებელი იყო მხოლოდ კარლოს დიდის ესპანეთში ომების შემდეგ. ყოველივე ეს, მანანდიანის აზრით, იმას გვიჩვენებს, რომ „გეოგრაფია“ IX ს. ნაწარმოებია.

IX ს-ში, პ. მანანდიანის სიტყვით, სომხეთი განიცდის მნიშვნელოვან ეკონომიურ და პოლიტიკურ აღმავლობას. სწორედ ამ აღმავლობასთან, მისი აზრით, როდესაც ისევ აღორძინდა საერთაშორისო ვაჭრობა და მიმოსვლა, დაკავშირებული უნდა იყოს „გეოგრაფიის“ შედგენა. ამაზევე მიგვითითებს, პ. მანანდიანის თანახმად, ისიც, რომ ამ თხზულებაში პირველად მოიხსენიებიან ვაჭრები და სავაჭრო ადგილები.

მანანდიანის აზრით, „მლონაჩაფქ“-იც ხორენაციის დაწერილი უნდა იყოს „გეოგრაფიასთან“ ერთად, ან მის შემდეგ.

მანანდიანი იზიარებს პ. ტაშიანის აზრს, რომ „გეოგრაფიის“ ავტორისვე უნდა იყოს „ალექსანდრეს ცხოვრების“ თარგმანიც. თავის მხრივაც მოჰყავს ამისი დამადასტურებელი ფაქტები. ამასთან მანანდიანი ამტკიცებს, რომ „ალექსანდრეს ცხოვრება“ თარგმნილი უნდა იყოს არა V ს-ში, არამედ უფრო გვიან. ამის დასადასტურებლად იხი-

ლავს ამ თარგმანში ხმარებულ სიტყვებს: თაფუტ, მთხალ, მსრაკან და მათ არაბულ სიტყვებად მიიჩნევს. აქედან გამომდინარე ამბობს, რომ „ალექსანდრეს ცხოვრება“ არაბული ეპოქის თარგმანი უნდა იყოს.

„გეოგრაფიის“ დაწერის დროსა და ავტორის საკითხს პ. მანანდიანი დაუბრუნდა 1943 წ. წერილში, «Когда и кем была составлена «Армянская География», приписываемая Моисею Хоренскому».¹⁸ იგი იმეორებს თავის დებულებებს „გეოგრაფიის“ დაწერის თარიღისა და ავტორის შესახებ. უნდა ითქვას, რომ მისი პირველი ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ გამოვიდა რამდენიმე შრომა, განსაკუთრებით ეს ითქმის აშ. აბრაამიანის შრომებზე, რომლებშიც გაკრიტიკებულია პ. მანანდიანის დებულებები. სამწუხაროდ, მანანდიანი არაფერს ამბობს ამ შრომებზე, ისე რომ, მკითხველი ვერ არკვევს, არ იცნობს იგი ამ შრომებს, თუ მათ ღირსადაც არ თვლის საკამათოდ.

„აშხარაცუიცი“ შესწავლისათვის განსაკუთრებით ბევრი გააკეთა აშ. აბრაამიანმა. მან ჩაატარა ისეთი სამუშაო, რომელიც მანამდე არავის გაეკეთებინა: საგულდაგულოდ შეისწავლა სომხეთის მატენადარანში არსებული 36 ხელნაწერი.

„აშხარაცუიცი“ ტექსტებს შორის საკმაოდ მნიშვნელოვანი განსხვავებებია, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განსხვავებანი, ერთი მხრივ, სუქრიანის გამოცემულ ტექსტსა და, მეორე მხრივ, დანარჩენ ხელნაწერებს შორის. აქ განსხვავება უკვე რედაქციული ხასიათისაა, ამიტომ პირველს — ვრცელს, ხოლო მეორეს — მოკლეს უწოდებენ ხოლმე. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მარკვარტის აზრით, სუქრიანის რედაქცია დედანია, ხოლო მოკლე რედაქცია კი მისი უხეირო შემოკლება. მანანდიანის აზრით კი, ორივე რედაქცია თავდაპირველის შემოკლებას წარმოადგენს. ვრცელი და მოკლე რედაქციების შედარებამ აბრაამიანი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ვრცელი რედაქცია „არათუ იდეალური ტექსტი არაა და ვენეციურ „აშხარაცუიცი“-ში არამარტო არის რიგი ადგილებისა, რომლებიც მოდიან დედნიდან და შემოკლებული არიან სუქრიანის „აშხარაცუიცი“-ში, როგორც ეს სწორად შენიშნა აკად. პ. მანანდიანმა, არამედ სუქრიანის „აშხარაცუიცი“-მა გვიან ეპოქაში განიცადა დიდი რედაქცია. მასში დიდი ცვლილებები მოხდა“ (გვ. 22).

აშ. აბრაამიანს მოჰყავს ფაქტები: 1. სუქრიანის რედაქციაში ზოგი გავარი ორ ადგილას არის მოხსენიებული. მისი აზრით, ეს იმითაა გამოწვეული, რომ ერთი ცნობა დედნიდანაა, მეორე კი რედაქტორის

¹⁸ Византийский Временник, 1 (XXVI), 1947.

მეორაა შეტანილი (მაგ. არე, გილან, დღმუნქ ქუსტი კაპკოპის აღწე-
რაში; რე, გილმუნქ მართა ქვეყანაში; ხუქასტანი ქუსტი ნმროკში და
ხუქასტანი ელიმელთა ქვეყანაში; კოშმ, ვარჯან, აპრშაპხ, მრვ, მროტ,
პრა, კატაშან, გოზჯან ქუსტი ხორასანში და კოშმა, ვრაჯან, აპრშაპ, ამრ,
მროტ, პრევე, გადშან, გოზჯან არიელთა ქვეყანაში). ეს გამეორებანი
არაა მოკლე რედაქციაში. სუქრიანის ტექსტში ირანის აღწერაში მოხ-
სენიებული არმნ, ვარჯან და რანი-ც გვიანდელი ჩანართია, რადგან
ისინი აღრეც იყვნენ დაწვრილებით აღწერილნი. სუქრიანის ტექსტი
უფრო გვიანდელი რედაქციისაა. მას ეტყობა არაბული გავლენა. ამ
რედაქციამ იცის, რომ ვოლგის ნაპირებზე ხაზართა მაგერად უკვე
თურქები არიან.

ამასთან ჩანს, რომ სუქრიანის ტექსტი მიღებულია მცდარი წაკი-
თხვებით სავსე მოკლე რედაქციის რომელიღაც ხელნაწერიდან (გვ.
24).

მეტად მნიშვნელოვანია აშ. აბრაამიანის დაკვირვება იმის შესახებ,
რომ XVI საუკუნემდე არც ერთ ხელნაწერში „აშხარაკუციც“ ხორე-
ნაციის სახელი არ აწერია. სულ არაის 7 ხელნაწერი XIII—XVI საუ-
კუნეებისა, რომელთაც აქვთ სათაური და რომელთა სათაურში ხორე-
ნაცი არ იხსენიება (უძველეს, XII ს-ის ხელნაწერს სათაური არა
აქვს). მართალია, XIV ს. ერთ ხელნაწერს აწერია მოვსეს ხორენაცი-
სააო. მაგრამ საესებით აშკარად ეტყობა, რომ ხორენაციის სახელი
შემდგომშია მიწერილი, როგორც აკინიანი ფიქრობს — XVIII—XIX
სს. ისე რომ, ფაქტიურად ეს ხელნაწერებიც იმათ რიცხვს მიეკუთვნე-
ბა, რომელთაც ეს წარწერა არა აქვთ. პირველად ხორენაციის სახელი
ჩნდება 1600 წელს გადაწერილ ხელნაწერში. საყურადღებოა, რომ ამის
შემდეგ ხორენაციის სახელი მაინც ყველა ხელნაწერს არა აქვს. აბრა-
ამიანის აზრით, XVI—XVII სს., როდესაც გამოცოცხლდა ვაქრობა,
საეპრო კაპიტალი, მეტი ყურადღება დაეთმო მეცნიერებას, განსა-
კუთრებით კი გეოგრაფიულს, მაშინ მოინდომეს ვინმესთვის მიეწერათ
„გეოგრაფია“. ასეთი ავტორიტეტიანი კაცი იყო ხორენაცი (გვ. 30).

აშ. აბრაამიანს მიაჩნია, რომ „გეოგრაფიის“ ავტორს თავისი
თხზულების სათაური პაპოს ალექსანდრიელისგან აქვს აღებული. პა-
პოსის წიგნს ერქვა „*ἡγεωγραφία οὐρανοῦ καὶ γῆς*“, „გეოგრაფიის“ თავდა-
პირველი სახელი კი უნდა ყოფილიყო „*ἡ κληρονομία*“ (გვ. 33). „მლონა-
ჩაფქი“ „გეოგრაფიის“ დამატებაა, რათა ავტორმა მკითხველს გააგე-
ბინოს მანძილები ქალაქებს შორის. როგორც „მლონაჩაფქი“ დამატე-
ბაა, ისე „ერკრაჩაფუთიუნ“ წინ უძღვის „გეოგრაფიას“, რათა მკი-
თხველმა გაიგოს, თუ როგორაა მიწა გაზომილი. ამიტომ ეს სათაური
წიგნის პირველი თავის სათაურია. საერთოდ ანანია შირაკაცისთვი-

საა დამახასიათებელი, რომ მისი თხზულების პირველი თავის სათაურ-
რი ჰქვია ხოლმე მთელს თხზულებას (გვ. 34). ამრიგად, პირველ თავს
ერქვა „*სიკიჲაჲჲჲ*“, მეორეს „*სკჲსარაჲჲჲ*“.

„გეოგრაფიაში“ სამგვარი ცვლილებაა: დამატება, შემოკლება,
ტერმინებისა და წინადადებათა ცვლა. ავტორი აღარებს სხვადასხვა
ხელნაწერს, აგრეთვე ერთი რედაქციის, ერთი ჯგუფის ხელნაწერებს
და აჩვენებს, რომ მათ შორის მეტად დიდი განსხვავებაა. ზოგში მთელი
თავეებიც კია ჩამატებული (გვ. 39). ავტორს მოჰყავს მაგალითები შე-
მოკლებებისა. ერთ-ერთი მთვანი განსაკუთრებით საინტერესოა, რად-
გან ქართლის აღწერას შეიცავს. ცვლილებათა მაგალითში მოქცეულია
ეგრისიც (გვ. 45).

აშ. აბრაამიანი აღნიშნავს, რომ სენ-მარტენის მიერ აღნიშნული
ანაქრონიზმები (იოზუ, ხრიმი, შადახი) მატენადარანის ხელნაწერებში
მხოლოდ XVI ს-დან ჩნდება. სწორი არაა აგრეთვე მარკვარტის გა-
წორება გუკასტანისა, ასევე ფრანკები არაა მოხსენიებული ძლიერ
ტომად, როგორც ეს მიაჩნდა ჰ. მანანდიანს. ასევე ბასრა მოხსენიებუ-
ლია არა როგორც ვაჭრობით მდიდარი, არამედ ნაყოფით. გვიანდელი
ჩამატებული უნდა იყოს მოსულიც (გვ. 55). მანანდიანის მიერ დასა-
ხვლებული არაბული სიტყვები აბრაამიანს არ მიაჩნია არაბულად. ბას-
რა და აკოლა ქალაქებიც ჩამატებული უნდა იყოს, რადგან უძველეს
„მლონაჩაფქის“ ერთ ხელნაწერში ოსინი მოხსენიებული არ არიან
(გვ. 57).

V ს-ის ნაწარმოებად „გეოგრაფია“ მაინც ვერ ჩაითვლება. რად-
გან აქ ნახსენებია კონსტანტინე ანტიოქელი (=კოსმა ინდიკოპლეს-
ტი, VI ს.). დასავლეთი სომხეთი ოთხადაა ნახსენები, ამასთან წინა აზია
აღწერილია არაბთა შემოსევების წინაღობის მდგომარეობით.

„გეოგრაფიით“ უსარგებლია ლევონდსო. ამის დასამტკიცებლად
უღარებს ერთმანეთს სათანადო ადგილებს, მაგრამ „გეოგრაფიაში“ გე-
ოგრაფიულ ადგილთა სახელები ისეა გადაადგილებული, როგორც
ლევონდსა აქვს. მართალია, თვითონ ამბობს—უმნიშვნელო ცვლილება
შევიტანეო (გვ. 59), მაგრამ ცვლილებები საკმაოდ დიდია. ეს ღებუ-
ლება არაა საკმარისად დასაბუთებული. ეს იმდენად ცხადია, რომ
სხვა ადგილების მოყვანა ზედმეტად მიმაჩნიაო.

აბრაამიანი ეკამათება მანანდიანს და ამტკიცებს, რომ მანანდი-
ანის მიერ მითითებული გამოთქმები, რომლებიც თითქოს მხოლოდ
ხორენაცისთვისაა დამახასიათებელი, ახასიათებენ შირაკაცისაც.

აბრაამიანი აბათილებს მანანდიანის მოსაზრებას მერიდიანისა და
ეკვატორის შესახებ (გვ. 69—70). ამტკიცებს, რომ შირაკაცისაც ღე-
დამიწა მრგვალად მიაჩნდა. როდესაც შირაკაცი ღედამიწის ოთხეუ-
თხედობაზე ლაპარაკობს, სხვის აზრი მოჰყავსო (გვ. 70). მზის სიდი-

დის საკითხშიც „გეოგრაფიასა“ და შირაკაის შორის განსხვავება არ არის, რადგან „გეოგრაფიის“ ავტორს სხვისი აზრების ჩამოთვლა აქვსო.

მანანდიანის მიხედვით შირაკაი ასხვავებს ჰირკანიისა და ასპის ზღვებს, „გეოგრაფიის“ ავტორი კი არაო. აბრაამიანით — ეს განსხვავება ჩანამატია, მანანდიანით — შირაკაი ასხვავებს *ტიქ*-სა და *ტიქსიქს*-ს (გვ. 71).

ამრიგად, აშ. აბრაამიანი ასკვნის, რომ შირაკაისა და „გეოგრაფიის“ ავტორს შორის არავითარი განსხვავება გეოგრაფიულ სახელებსა და ცნებებს შორის არ არის.

არსებობს ერთი უსახელო ქრონოგრაფია, რომელიც, სპეციალისტების აზრით, შირაკაის უნდა ეკუთვნოდეს. აბრაამიანიც იზიარებს ამ აზრს და ათარიღებს მას 685 წლით. ხელნაწერი 971 წლისაა. ისარგებლა ხორენაცით და დაასახელა დასაწყისში (77). ამრიგად, ხორენაცი არ შეიძლება იყოს VII ს. II ნახევრის მწერალიც კი.

შირაკაი თავის ერთ-ერთ ნაშრომში „*სიყაყაჲ ჰიქსქ*“ ასხვავებს ჰაიკის გადმოცემას (გვ. 81). ამტკიცებს, რომ „გეოგრაფიას“ უსარგებლოა ხორენაციისგან. აბრაამიანი განიხილავს მანანდიანის მოსაზრებას ხორენაციისა და ზაქარია კათალიკოსის თანამედროვეობაზე. იგი ამბობს, რომ ზაქარიას და მოვსეს ერთად კი არ დაუწერიათ ხსენებული თხზულება, არამედ მესამე პირს ამოუღია ნაწყვეტები მათი თხზულებიდან და შეუერთებია. მაშასადამე, არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ისინი მაინცდამაინც თანამედროვენი იყვნენ (გვ. 85).

„მლონაჩაფქი“ „გეოგრაფიის“ გაგრძელებაა: იგი ხშირად არის მასთან, ან მისი ბოლოსიტყვაობა ახლავს. ამას თვით შირაკაციც აღნიშნავს. „გეოგრაფიის“ საუკეთესო ხელნაწერებში კი არაა ის გეოგრაფიული სახელება, რომელთა საფუძველზე მანანდიანი ასკვნიდა, რომ იგი IX ს-ისაა და არა VII ს-ისა.

„გეოგრაფიას“ და „მლონაჩაფქს“ მოსდევდა ასტრონომიული ხასიათის თხზულება, ფიქრობს აბრაამიანი.

ოთხი წლის შემდეგ აშ. აბრაამიანმა გამოსცა ახალი გამოკვლევა ანანია შირაკაციზე¹⁹. იგი იძლევა შირაკაის ყველა ნაშრომის მიმოხილვას, ძირითადად იხილავს მათ, იძლევა ბიბლიოგრაფიას, აღნიშნავს ხელნაწერების ღირსებას, გამოცემებს და საერთოდ ეხება მრავალ საკითხს. ავტორს კრიტიკულად აქვს შესწავლილი ეს ხელნაწერები, რის შედეგადაც გვაძლევს მათ კრიტიკულ ტექსტებს. გარდა ამისა, აბ-

¹⁹ ღიიჭ-ღი. ა. ჴ. ა. ჴ რ ა ნ ა მ ქ ა ნ, *სნანსიუ სქრასყვილ მათხნაღილ-პილინ, ჯსუმი-მათხნაღიარანსი რეათოარაქვილიქინ, ხრსილინ 1944.*

3. მალხასიანცის თქმით, ჯიორ „გეოგრაფიაში“ იხმარება „დიდი, ვრცელი“-ს მნიშვნელობით. ამიტომ ჯიორ საყ უნდა ნიშნავდეს დიდ, მრავალრიცხოვან ხალხს. ფრანკები ამ ეპითეტით არიან მოხსენიებულნი, რაც იმას ნიშნავს, რომ ასე ისინი შეიძლება მოხსენიებული ყოფილიყვნენ VI ს-შიც, რადგან ამ დროსაც მრავალრიცხოვანი იყვნენო. ამასთან ძლიერ ხალხად ისინი შეიძლება ხსენებული ყოფილიყვნენ არა მარტო კარლოს დიდის დროსო, როგორც ეს მიაჩნია მანანდიანს, არამედ უფრო ადრეც, მაგ. კარლოს მარტელის (689—741) დროსაც, რომელმაც 732 წ. პუატიესთან დაამარცხა მავრები, ან მისი შვილის პიპინ მოკლეს (741—768) დროსაც²⁴.

საბოლოოდ, სტ. მალხასიანცი ასკვნის, რომ ჯერჯერობით არ არსებობს საფუძველი, რომელიც საშუალებას მოგვცემდა გადაჭრით დაგვეთარიღებინა იგი²⁵.

ანანია შირაკაის შეეხო აგრეთვე გამოჩენილი სომეხი ფილოლოგი მანუკ აბელიანი თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში „ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია“ (ერევანი, 1944). მ. აბელიანი უმთავრესად ლიტერატურულ ანალიზს უკეთებს შირაკაის შრომებს; რაც შეეხება დათარიღებას, აბელიანი იზიარებს იმ შეხედულებას, რომ ანანია VII ს. მოღვაწეა.

ანანია შირაკაის ბევრი შრომა აქვს დაწერილი მეცნიერების სხვადასხვა დარგში. ამიტომ მის მემკვიდრეობას ასევე სხვადასხვა დარგის არაერთი სპეციალისტი სწავლობს. აქ ზედმეტი იქნებოდა ჩამოთვლა ყველა ამ შრომისა, რადგანაც ისინი უშუალოდ არ შეეხებოდა ჩვენთვის საინტერესო საკითხებს. დავასახელებთ მხოლოდ ვ. კ. ჩალოიანის წერილს «Естественнаучные воззрения Анании Ширакаци», სადაც გადმოცემულია ანანიას შეხედულებანი დედამიწის აგებულების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ჩალოიანი სავსებით გადაწყვეტილად მიიჩნევს კამათს „გეოგრაფიის“ ავტორის შესახებ ანანია შირაკაის სასარგებლოდ.

1958 წ. გამოვიდა წიგნი „ანანია შირაკაცი“ ავტორთა კოლექტივისა²⁶. ეს არის სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის გამოცემა. მიუხედავად იმისა, რომ ამ წიგნს დართული არა აქვს სამეცნიერო აპარა-

²⁴ იქვე, გვ. 30.

²⁵ იქვე, გვ. 31.

²⁶ ი. ა. Աբրահამյան, Բ. Ե. Թումանյան, Թ. Խ. Հակոբյան, Ս. Տ. Մելիք-Բախչյան. Անանիա Շիրակացի, Հայպետհրատ, Երեվան, 1958.

ტი, მაინც იგი ფაქტიურად მონოგრაფიას წარმოადგენს, რომელშიც საკმაო სისრულითაა გადმოცემული შირაკაცის მოღვაწეობის თითქმის ყველა მხარე; მართალია, ამ წიგნში არაა ბევრი ახალი დებულება, მაგრამ მასში შეჯამებულია თითქმის ყველაფერი, რაც მანამდე ცნობილი იყო შირაკაცის შესახებ.

შირაკაცის ბიოგრაფია შედარებით კარგადაა ცნობილი, რადგან განსხვავებით სხვა ავტორებისგან მას დაწერილი აქვს თავისი ავტობიოგრაფია, რომელსაც ეწოდება „მისი ცხოვრების რაგვარობის შესახებ“. აღსანიშნავია, რომ არსებობს ამ ავტობიოგრაფიის ორი რედაქცია: ვრცელი და მოკლე. ვრცელი რედაქცია მიჩნეულია უფრო ძველად²⁷. ძველს რედაქციაში ნათქვამია: „მე, ანანია შირაკაცი, სოფელ ანანიადანი“. მოკლე რედაქციაში კი ანანია შირაკაცის დაბადების ადგილად დასახელებულია „შირაკვანცი“, რაც თავისთავად ცხადია, რომ დამახინჯებას წარმოადგენს, რადგანაც „შირაკვანცი“ არ შეიძლება იყოს გეოგრაფიული პუნქტის სახელწოდება: იგი ნიშნავს შირაკვანელს. სხვათაშორის, პროფ. ს. ჰაირაპეტიანს გამოთქმული აქვს აზრი, რომ შირაკაცის დაბადების ადგილი უნდა იყოს ანი და არა ანანია. მაგრამ ხელნაწერთა მონაცემებით ეს არ დასტურდება. უფრო ბუნებრივია, მივიღოთ, რომ ანანია შირაკაცი დაბადებულია შირაკის ოლქში სოფელ ანანიაში. რიგი მკვლევრებისა მისი დაბადების ადგილად მიიჩნევენ შირაკავანს. მაგრამ ამ შემთხვევაში იგი უნდა ყოფილიყო შირაკავანცი და არა შირაკაცი. მართალია, პირველი ფორმა გვხვდება ხელნაწერებში, მაგრამ უფრო ადრინდელი და უკეთესი ხელნაწერები შირაკაცის ფორმას ადასტურებენ, შირაკავანცი კი ეტყობა მოგვიანო უნდა იყოს.

აშ. აბრაამიანის აზრით, შირაკაცი აზნაურთა წრიდან იყო გამოსული და შირაკის მფლობელ შირაკუნების გვარიდან უნდა ყოფილიყო. ამდენად, აბრაამიანს უფრო სწორად მიაჩნდა ხმარებულყოფილი ანანია შირაკუნი და არა შირაკაცი²⁸. მაგრამ აბრაამიანის აზრის მიღება ძნელია. არ არსებობს არავითარი მონაცემი იმისთვის, რომ მივიღოთ, თითქოს ანანია ასეთი დიდი ფეოდალური საგვარეულოდან ყოფილიყო; პირიქით, ყველაფერი ლაპარაკობს იმაზე, რომ იგი უბრალო შიაკანის შვილი უნდა ყოფილიყო. მამამისს ჰოპანესი ჰრქმევია.

შირაკაცის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ხანის შესახებ, როგორც ვნახეთ, სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. პატკანოვის აზრით, შირაკ-

²⁷ ს. ს. რ. ა. ნ. ა. ს. გვ. 32—38.

²⁸ იქვე, გვ. 36.

კაცი VII ს. დასაწყისის მოღვაწეა²⁹. ალიშანი³⁰, ნ. მარი³¹, ი. ორბელი³² მას VII ს-ის მეორე ნახევრის მოღვაწედ მიიჩნევენ. პ. აქარიანი თავის სომხურ საკუთარ სახელთა ლექსიკონში გამოთქვამს აზრს, რომ იგი VII ს. 10-იან წლებში დაბადებულა³³. აბელიანს მისი დაბადება ერთი ათეული წლით უფრო გვიან მიაჩნდა³⁴. კონიბერი შირაკის ცხოვრებას 600—650 წწ. ათარიღებდა³⁵. მხოლოდ ერთ მკვლევარს — ს. ჰაირაპეტიანს გადმოჰქონდა შირაკის მოღვაწეობის ხანა VIII ს. პირველ მეოთხედში.

შირაკის მოღვაწეობის ხანის გასარკვევად არაპირდაპირ ცნობებს გვაწვდის მისი ავტობიოგრაფია. შირაკაცი მოგვითხრობს მისი მასწავლებლის ტიუქიკოსის შესახებ. ტიუქიკოსზე ნათქვამია, რომ იგი სიჭაბუკეში მეომრად იყო ტიბერიოს კეისრის სარდალ იოანესთან. ტიბერიოსი მეფობდა 578—582 წწ. მაშასადამე, ამ დროს უნდა ვიფიქროთ, რომ ტიუქიკოსი ყოფილა არანაკლებ ოცი წლის ჭაბუკი. შემდეგ მას თავი დაუწებებია სამხედრო სამსახურისთვის და მეცნიერებას შესდგომია. ტიუქიკოსთან სასწავლებლად მისულა ჭაბუკი შირაკაცი. თუ დავუშვებთ, რომ ამ დროს შირაკაცი ოციოდე წლისა იქნებოდა, ხოლო მისი მასწავლებელი ტიუქიკოსი კი 50—60 წლისა, გამოდის, რომ ანანია შირაკაცი დაბადებულა VI ს. ბოლოს ან VII ს. დასაწყისში.

არსებობს აგრეთვე სტეფანოს ასოლიკის ცნობა იმის შესახებ, რომ კათალიკოსმა ანასტასმა დაიბარა თავისთან შირაკაცი და დაავალა მას, უძრავი კალენდარი შეედგინა. როგორც ცნობილია, სომხური კალენდარი მოძრავი იყო, რაც დიდ უხერხულობას იწვევდა, რადგან დროდადრო საეკლესიო დღესასწაულები სომხურ კალენდარში არ ემთხვეოდნენ რომაულსა და სხვ. ანასტასის კათალიკოსობის თარიღია 661—667 წწ. ეს კარგად უდგება ზემოგამოთქმულ მოსაზრებას შირაკის დაბადების თარიღის შესახებ. მართლაც, იმისთვის, რომ კათალიკოსს იგი თავისთან დაებარებინა და ასეთი საქმე დასავსებელი და საპასუხისმგებლო საქმე დაევალებინა, შირაკაცის უკვე უნდა ჰქონოდა მოზოვებული დიდი სახელი და პატივისცემა.

²⁹ ფ. შ. ივანოვიჩი, *ქართული საბჭოთაო ენციკლოპედია*, ტ. 1.

³⁰ დ. Ա ի շ ա ն, *Տիրակ, Վեհափիլ*, 1881, გვ. 37, 96.

³¹ Н. Я. М а р р, *Ани, Л.-М.*, 1934, გვ. 20.

³² И. А. Орбелли, *вопросы и решения*, Петроград, 1918, გვ. 9.

³³ Ն. Ա ն ա ղ յ ա ն, *Անանիանեսի բարձրան.*

³⁴ М. А б е г я н, *История др. арм. литературы*, гв. 315.

³⁵ F. C. Conybeare, *Ananins of Shirak, Byz. Zeitschrift*, 1897, гв. 572.

შირაკაცის ცხოვრების დათარღობისათვის მოჰყავთ აგრეთვე ის ფაქტი, რომ „ქრონოგრაფია“, რომელიც შირაკაცის მიეწერება (ეს აზრი პირველად გამოთქვა ბ. სარგისიანმა³⁶, შემდეგ კი გაზიარებულ იქნა რიგი მკვლევრების მიერ), მოყვანილია 685 წლამდე. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ „ქრონოგრაფიის“ ავტორობის საკითხი მთლად გაღწეულია არ გვეჩვენება³⁷. ამდენად, ამ საბუთის გამოყენება, ვფიქრობთ, გარკვეულ სიფრთხილეს მოითხოვს.

ასეა თუ ისე, სარწმუნოდ გამოიყურება მოსაზრება, რომ ანანია შირაკაცი VII ს. მოღვაწეა.

თავდაპირველი განათლება შირაკაცის შირაკშივე მიუღია, სკოლაში, რომელიც შირაკში, სიუნიქსა და ერასხაძორში განთქმული ყოფილა. აქ მას ძირითადად შეუსწავლია საღმრთო წიგნი. შემდეგ მას სწავლის გაგრძელება მოუწოდებია. განსაკუთრებით გატაცებული ყოფილა იგი მათემატიკით. „დიდად შევიყვარე რიცხვთა ხელოვნების სწავლა, მივიჩინე, რომ რიცხვის გარეშე არაფერი არ შეიძლება არსებობდეს და იგი ყოველივე მეცნიერების დედად ჩავთვალე“³⁸ — წერს ანანია თავის ავტობიოგრაფიაში. რადგანაც მის მშობლიურ კუთხეში, მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, „არ იპოვებოდა სომეხთა ქვეყანაში კაცი ვინმე, რომელმაც იცოდა ეს მეცნიერება, და არც წიგნი იპოვებოდა ამ ხელოვნებისა, ამიტომ ბერძენთა ქვეყანას მივმართე“³⁹. შირაკაცი გაემართა დასავლეთ სომხეთში, თეოდოსიოპოლში. იქ მას შეხვედრია მისი ნაცნობი, რომელსაც ურჩევია მისთვის მისულიყო მეოთხე სომხეთში განთქმული მასწავლებლის ქრისტოსატურის სკოლაში.

³⁶ ბ. სარგისიანი. „შირაკის სიუნიქის აქსიომატიკის რედაქცია და ანოტირაცია“ თბილისი, 1933, 509—517, 541—547.

³⁷ სხვათაშორის, საკითხს ართულებს ორი გარემოება: „ქრონოგრაფიის“ უძველესი ტექსტი არის 971 წელს ქალაქზე გადაწერილი (პირველი სომხური ხელნაწერი ქალაქზე). „ქრონოგრაფიის“ წინ უძველესი სიტყვები „მოხსენს ხორენაცისა და ანდრეასის“, რამაც აფიქრებინა მკვლევრებს, რომ ეს თხზულება ეუთუნის მოხსენს ხორენაცის, მაგრამ ახლა, ჩვეულებრივ, ამას ხსნიან იმით, რომ „ქრონოგრაფიის“ ავტორი მიუთითებს თავის წყაროს, ხორენაცისო. მართლაც, დასაწყისში „ქრონოგრაფია“ თითქმის სიტყვასიტყვით ემთხვევა ხორენაცის „სომხეთის ისტორიას“. მაგრამ ეს დამთხვევა, ცხადია, ბოლომდე ვერ გაჰყვებოდა „ქრონოგრაფიას“, უპიკელოა, მისმა ავტორმა ისარგებლა სხვა წყაროებითაც. მაშ რატომ არ დასახელა სხვა წყაროები? ან ვინდა ეს ანდრეასი? შირაკაცის ავტორობის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის, რომ ამ ხელნაწერში „ქრონოგრაფია“ მოსდევს შირაკაცის სხვა თხზულებებს. ამასთან ერთ გვიანდელ ხელნაწერში (XVIII ს.) შირაკაცი პირდაპირ დასახელებულია „ქრონოგრაფიის“ ავტორად.

³⁸ შ. სარგისიანი, „ანანია შირაკაციის ავტობიოგრაფია...“ გვ. 206.

³⁹ იქვე, გვ. 206—207.

ანანია ასეც მოქცეულა, მისულა ქრისტოსატურთან და დაუწყია მასთან მეცადინეობა, მაგრამ ექვსი თვის შემდეგ თავი დაუხეობებია, რადგან უკმაყოფილო ყოფილა მისით. შირაკაცის სიტყვით, ქრისტოსატურს „არ ჰქონდა სისრულე იმ ხელოვნებისა“. ამჯერად ანანია გაემართა კონსტანტინოპოლს. სანამ კონსტანტინოპოლს მიაღწევდა, გზაში იგი შეხვედრია თავის ნაცნობებს, რომელთაც უთქვამთ მისთვის, რომ ტრაპიზონში ცხოვრობდა ცნობილი მეცნიერი ბერძენი ტიუქიკოსი, რომელსაც ამასთანავე სომხური ენა და მწიგნობრობა სცოდნია.

ანანიას უკითხავს მათთვის, თუ საიდან იცოდნენ ტიუქიკოსის ამბავი. მათ უთქვამთ, რომ მრავალი ვნახეთ ამ გზით მისკენ მიმავალი. ჩვენთან ერთად ნავით მოდიოდა აგრეთვე კონსტანტინოპოლის პატრიარქის დიაკვანი ფიგაქსი, რომელსაც მრავალი ყმაწვილი მიჰყავდა მასთან სასწავლებლად. ანანია შუა გზიდან გაბრუნებულა ტრაპიზონში. ტიუქიკოსს იგი კარგად მიუღია („დიდად მიხარია, რომ ჩემგან გესწავლება ეს ქვეყანა. ახალგაზრდობაში იქ დიდხანს მიცხოვრია და ვიცი, რომ მასში უცოდინარობააო“, — უთქვამს ტიუქიკოსს ანანიასთვის) და როდესაც შეუმჩნევია მისი მონდომება, დიდი ყურადღებაც მიუქცევია მისთვის. „ამან შემიყვარა როგორც შვილი და მანდობდა თავის ყველა აზრს, ისე რომ შეშურდა ყველას, ვინც ჩემთან ერთად სწავლობდა და სამეფო კარიდან იყო. და ვიყავი მასთან რვა წელს და სრულად ვისწავლე რიცხვთა ხელოვნება, აგრეთვე გადმოცემა სხვათა მეცნიერებათა. გავიგე და გავეცანი მრავალთა წიგნთა, რომელნიც არ არიან ჩვენს ენაზე თარგმნილნი, რამეთუ მასთან იყო ყოველი ცნობილიცა და უცნობიც, გარეშენი, ხელოვნებათა და ისტორიული, სამკურნალო, ჟამთააღმწერლობითი, რისთვისაა საჭირო მათი სათითაოდ ჩამოთვლა, რადგანაც არ იყო რაიმე წიგნი, რომელიც მასთან არ იყო“⁴⁰.

ტიუქიკოსი, ჩანს, მართლაც მეტად განათლებული კაცი ყოფილა. ანანია გადმოგვცემს: როდესაც იგი ბერძნულ წიგნს სომხურად ზებირად თარგმნიდა, სხვასავით კი არ ყოვნდებოდა, არამედ პირდაპირ კითხულობდა, თითქოს სომხურად ყოფილიყოს დაწერილი. ანანიას საჭიროდ მიაჩნია, სპეციალურად შეჩერდეს თავისი მასწავლებლის ბიოგრაფიაზე. ტიუქიკოსი ყოფილა ტრაპიზონიდან, ჭაბუკობაში ტიბერიოს კეისარის სარდალ იოვანეს მეომარი და უმსახურია სომხეთში, სადაც უსწავლია სომხური. როდესაც ქალაქ ანტიოქიასთან სპარსელთა ჯარი თავს დაესხა ბიზანტიელებს, ტიუქიკოსი ბრძო-

ლაშიდაკრილა და ანტიოქიისთვის შეუფარებია თავი. სხვათაშორის, ამ დროს მისი ყოველივე მონაგები მტერს ჩავარდნია ხელთ. იგი დიდხანს ყოფილა ლოგინად ჩავარდნილი. ამ დროს მას აღთქმა დაუდვია: თუ გადარჩებოდა, ეზრუნა არა ამქვეყნიურ, არამედ მეცნიერების განძზე. განკურნების შემდეგ იგი წასულა იერუსალიმში, შემდეგ რომში და ბოლოს კონსტანტინოპოლში. აქ მას უსწავლია რომელიღაც სახელგანთქმულ მეცნიერთან. სწავლის დასრულებას შემდეგ დაბრუნებულა ტრაპიზონში, თუმცა მისთვის ბევრი უთხოვიათ, თვით იმპერატორსაც კი, გადასულიყო კონსტანტინოპოლში, მაგრამ იგი ტრაპიზონში დაჩენილა. მაშინ მოწაფეებს დაუწყიათ მასთან დენა.

ტიუჩიკოსთან შირაკაის უსწავლია მათემატიკა, კოსმოგრაფია, ისტორია, გეოგრაფია, ფილოსოფია, კალენდარი და სხვა მეცნიერებანი. 8 წლის მეცადინეობის შემდეგ იგი სამშობლოში დაბრუნებულა. აქ მას თავისი სკოლა გაუხსნია და დაუწყია სომხეთის სხვადასხვა კუთხიდან მოსულ ახალგაზრდათა სწავლება. მალე მას გაუთქვამს სახელი, როგორც ღრმა ცოდნის მასწავლებელს. ამასთან ერთად ანანია ეწეოდა კვლევითს მუშაობას მათემატიკის, ასტრონომიის, მეტეოროლოგიის, გეოგრაფიის, ისტორიისა და სხვ. მეცნიერებათა დარგში. სებეოსი, ასოლოგი, პოვპანეს იმასტასერი, სამველ ანეცი, კირაკოს განძაკეცი და სხვები გადმოგვცემენ, რომ კათალიკოს ანასტას მისთვის დაუვალებია უძრავი კალენდრის შედგენა. მართლაც, ანანიას ეს დავალება სწრაფად შეუსრულებია, მაგრამ მოულოდნელად ანასტასი გარდაცვლილა და კალენდარი არ მიუღიათ. რადგან ანასტასი 671 წ. გარდაიცვალა, ცხადია, რომ ამ დროს ანანია ცოცხალი ყოფილა. თუ სწორია, რომ „ქრონოგრაფია“ ანანიას ეკუთვნის, გამოდის, რომ ის ცოცხალი ყოფილა 685 წელსაც.

გვიანდელ ავტორებთან შენახულია ყრუ ცნობები იმის შესახებ, რომ ანანია რაღაც დევნას განიცდიდა. თვით ანანია თავის ავტობიოგრაფიაში ამბობს: „არაფინ იყო მადლობელი ჩემი და არაფინ დაათასა ჩემი ღვაწლი... არამედ მამცირებდნენ და შეურაცხყოფას მაყენებდნენ“. საფიქრებელია, რომ ეს დევნა გამოწვეული ყოფილიყო ანანიას აზრებით, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში ეწინააღმდეგებოდნენ ეკლესიის გაბატონებულ დოგმებს. არსებობს აგრეთვე ლეგენდა იმის შესახებ, თითქოს დევნილი ანანია გაქცეულა სომხეთიდან და თავი შეუფარებია ვენეციისთვის. იქ მას მეფისათვის უსწავლებია რკინისაგან ოქროს მიღება. მეფეს გადაუწყვეტია მისი მოკვლა, რათა ანანიას სხვისთვისაც არ ეთქვა ეს საიდუმლოება. ანანიას გაუგია მეფის განზრახვა და შეჰვედრებია მეფეს, არ მოეკლა, თან

დაპირებია საილუმოს შენახვას. მეფეს შეუწყნარებია მისი თხოვნა და მადლობის ნიშნად ანანიას სახე გამოუსახავს ოქროს ფულზე. სხვა რაიმე ცნობა შირაკაცის შესახებ არ გვაქვს.

ანანია შირაკაცის საკმაოდ მდიდარი მემკვიდრეობა ღარჩა. თავისი შრომები მას დაწერილი აქვს მეცნიერების სხვადასხვა დისციპლინაში და, შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერს, რასაც კი მისი კალამი შეეხო, მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია. მისი მნიშვნელობა არ იფარგლება სომხეთით, იგი კენზმარიტად მსოფლიო კულტურის მასშტაბის მოღვაწეა. იმისთვის, რომ უფრო კარგად წარმოვიდგინოთ მისი „გეოგრაფიის“ მნიშვნელობა და ფასი, ზედმეტი არ იქნება განვიხილოთ, ცხადია, მეტად ზოგადად, მისი შემოქმედება მეცნიერების სხვა დარგებში.

როგორც ზევით უკვე იყო აღნიშნული, აღრინდელი ფეოდალიზმის ხანაში სომხეთში იყო დიდი კულტურული აღმავლობა. იგი, ერთი მხრივ, გამოწვეული იყო ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებით, ხოლო, მეორე მხრივ, იმით, რომ აქ, სომხეთში, უკეთ ვიდრე ბიზანტიაში შემოინახა წინაქრისტიანული ელინური კულტურული ტრადიციები. V—VII საუკუნეებში, როდესაც ბიზანტიაში ანტიკური პერიოდის ფილოსოფოსების შრომები სავსებით აკრძალა ქრისტიანულმა ეკლესიამ, სომხეთში გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობდა ამ ფილოსოფოსების სათარგმნელად. სწორედ ამ ხანებში ითარგმნა არისტოტელეს თითქმის ყველა შრომა, პლატონური და ნეოპლატონური, თუ სხვა ფილოსოფოსების ნაშრომები.

ბუნებრივია, რომ თუმცა ანანია შირაკაცი ქრისტიანი იყო და ქრისტიანული იდეოლოგიის მატარებელი, მაგრამ ამავე დროს იგი დიდ გავლენას განიცდიდა ანტიკური ფილოსოფიისა. ამან განაპირობა ის წინააღმდეგობანი, რომლებიც არსებობს შირაკაცის მსოფლგაგებაში: რიგ შემთხვევაში იგი იდეალისტია, მაგრამ ხანდახან წმინდა მატერიალისტურ პოზიციებზე დგას.

ფილოსოფიის ძირითად საკითხს იდეისა და მატერიის პირველადობის შესახებ შირაკაცი წყვეტს იდეალისტურად: პირველადი არის ღმერთი. მან შექმნა ყოველივე არსებული და იგი განაგებს სამყაროს. შირაკაცი ეკამათება კიდევაც ანტიკური ხანის იმ მატერიალისტ ფილოსოფოსებს, რომლებიც პირველადად მატერიას მიიჩნევდნენ. ამ შეხედულებას შირაკაცი წარმართულად, უღმრთო სიგიჟედ და ბოდვად მიიჩნევდა. სამაგიეროდ, ბუნება შირაკაცის მიხედვით სავსებით მატერიალისტურია და ამასთან შეცნობადი.

შირაკაცი დგას იმ თვალსაზრისზე, რომ ყოველივე არსებული შედგება ოთხი ელემენტისაგან: ცეცხლი, ჰაერი, წყალი და მიწა. როგორც ცნობილია, ამ თეორიის ავტორია ემპედოკლე. სხვათაშორის,

შირაკაცის უწინარესად ჰყავდა ამ თეორიის მიმდევრები სომხეთში: ეზნიკ კოლბაცი და ელიშე. მაგრამ გარდა ამ ოთხი ელემენტისა, შირაკაცი ცნობს მესუთესაც, რომელიც ცაშია — ეთერს. აქ იგი არისტოტელეს მიჰყვება. ოთხი ელემენტის თეორია ამბობდა, რომ ყოველივე არსებული იქმნება ამ ელემენტების ერთმანეთთან შეერთებით სხვადასხვა პროპორციით. აქედან გამომდინარე ამ თეორიის მიმდევრები ცნობდნენ ბუნებაში ურთიერთკავშირებს. ასევე შირაკაციც განსაზღვრული ზომით ბუნების დიალექტიკურ გაგებამდე იყო მისული. მისი აზრით, მსოფლიოში ყოველივე მოძრაობს, იცვლება, ბუნებაში არაფერი არ იკარგება, მხოლოდ ახალ სახეს იღებს. უცვლელი, უმოძრაო არაფერი არაა. შირაკაციმ მიიღო წინააღმდეგობათა ერთიანობა და უარყოფის უარყოფა. იგი წერს: „წარმოშობა არის მოსპობის დასაწყისი, ხოლო მოსპობა კი წარმოშობის დასაწყისი. ამ დაუსრულებელი წინააღმდეგობიდან ლებულობს სამყარო თავისი არსებობის მუდმივობას“.

სამყაროს შემეცნება, შირაკაცის თანახმად, ხდება ჩვენი გრძნობებისა და გონების მეშვეობით. ამასთან იგი არჩევს იმას, რომ ჩვენი გრძნობები ერთგვაროვან ცნობებს არ გვაწვდიან. გარეშე სამყაროზე, რაც, მისი აზრით, დამოკიდებულია თვით ობიექტზე. მაგ., იგი ამბობს რომ როდესაც ელავს, ჩვენ ჯერ ვხედავთ ელვას, ცოტა მოგვიანებით კი გვესმის ქუხილი. ეს იმიტია გამოწვეული, რომ თვალი უფრო სწრაფად ხედავს, ვიდრე ყურს ესმისო.

მაინც ძირითადი შირაკაცის ფილოსოფიაში არის მისი მიდგომა შოკლენებისადმი. ეს არის მიდგომა თავისუფლად მოაზროვნე ადამიანისა. მართალია, იგი მორწმუნეა და სწამს საღმრთო წიგნისა, მაგრამ, როგორც არადოგმატიკურად მოაზროვნე, იგი ცდილობს, რაციონალურად ახსნას თავისი რწმენის პრინციპები. არის შემთხვევები, როდესაც იგი არ იზიარებს ეკლესიაში გაბატონებულ დოგმას, თუ კი იგი მას არადამაჯერებლად მიაჩნია. განსაკუთრებით კარგად ჩანს ეს მისი კოსმოლოგიური შეხედულებების განხილვისას.

როგორც ცნობილია, ეკლესიამ უარყო ანტიკური ავტორების მიერ (არისტოტელე, პიპარქე, პტოლემეაოსი) შექმნილი სამყაროს თეორია და შექმნა თავისი, რომელიც შეეფერებოდა საღმრთო წიგნის დებულებებს. ეს თეორია გადმოცემული იყო VI ს. ავტორის კოსმა ინდიკოპლევსტის „ქრისტიანულ ტოპოგრაფიაში“. ამ თეორიის თანახმად დედამიწა იყო სწორკუთხედი. დასახლებულ მიწას ყოველმხრივ ერტყა წყალი, მის იქით კი ისევ მიწა იყო, ოღონდ დაუსახლებელი. დედამიწაზე სვეტებით იყო დაყრდნობილი ცა. ცის მნათობები დედამიწის გარშემო მოძრაობდნენ. დედამიწა ბრტყელი იყო, ეყრდნობოდა სვეტებს და მოთავსებული იყო მსოფლიო ოკეა-

ნეზე. ანანია შირაკაციმ არ გაიზიარა სამყაროს აგებულების ეს თეორია. წინააღმდეგ ქრისტიანული ეკლესიის დოგმებისა, მან მიიღო სამყაროს პტოლემეოსისებური გაგება. იგი უარყოფდა იმას, რომ დედამიწა ყოველმხრივ წყლით იყო შემოზღუდული. მისი სიტყვით, დედამიწა მრგვალია და ჰყილია სივრცეში. ძლიერი ქარები იჭრებიან რა დედამიწის შიგნით, ზემოთ სწევენ მას, თვით მიწა კი ქვემოთ ეცემა. ეს ორი ძალა ერთმანეთს აწონასწორებს. თვით მიწის აღნაგობას იგი ასე ხატავს: „კვერცხის შუაში ბურთივითაა კვერცხის გული, მის გარშემოა ცილა. დაბოლოს ნაჭუჭი ყოველმხრივ არტყია მას. ზუსტად ასევე მიწა შუაშია, მიწის ირგვლივ ჰაერია და ბოლოს ცა ყველაფერს გარს ერტყმის“. მართალია, ანანია ერთადერთი არ იყო თავის ეპოქაში, რომელიც ასეთ აზრებს ავითარებდა, დასავლეთშიც იყვნენ ასევე პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები, მაგრამ მაინც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ იგი ამდენად ამაღლდა საეკლესიო იდეოლოგიაზე.

რაც შეეხება ცალკეულ მეცნიერებებს, ანანია შირაკაცი პირველ რიგში ცნობილია როგორც მათემატიკოსი. ძველ სომხურ მწერლობაში ის „ჰამაროდის“ სახელითაა ცნობილი, რაც სწორედ მათემატიკოსს აღნიშნავს. შემორჩენილია მისი რამდენიმე ნაშრომი მეცნიერების ამ დარგში. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია არითმეტიკის სახელმძღვანელო, არითმეტიკული ამოცანების კრებული. სპეციალისტების განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს აგრეთვე მის მიერ შედგენილი მიმატების, გამოკლებისა და გამრავლების ტაბულები, რომლებიც უძველესია შუა საუკუნეების ტაბულებში და ამასთან ყველაზე უფრო სრული.

მეტად საყურადღებოა შირაკაცის კოსმოლოგიური თხზულებები, რომელთა შორის უმთავრესია „კოსმოგრაფია და კალენდარი“. აქ უნდა სპეციალურად აღნიშნულ იქნას, რომ მის მიერ გამოთქმული შეხედულებანი ხშირად მეტად ეწინააღმდეგებოდნენ საეკლესიო დოგმებს. ამიტომ ზოგი რამ მას შენიღბულად აქვს ნათქვამი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ხშირად მისი ნაშრომები შეკვეცილია, რედაქტირებულია. ეტყობა გვიანდელ ცენზურას ისინი ხელუხლებლად არ დაუტოვებია.

ზევით ჩვენ უკვე მოგვიხდა ლაპარაკი შირაკაცის ზოგიერთ კოსმოლოგიურ შეხედულებაზე. შირაკაცის თანახმად, სამყაროს ჰქონდა გეოცენტრული სისტემა, დედამიწა მრგვალი იყო, ადამიანებით დასახლებული — როგორც ვაშლი ბუხებით. ეს უკანასკნელი მისი გამოთქმა მეტად საყურადღებოა, რადგან გვიჩვენებს, რომ იგი დაღე-

ბითად წყვეტდა ანტიპოდების არსებობის საკითხს⁴¹. თუმცა კი არსებობს საწინააღმდეგო აზრიც, კერძოდ ვ. ჩალოიანს მიაჩნია, რომ ანანია შირაკაცი ანტიპოდების არსებობას უარყოფდა⁴².

ძალიან საინტერესოა, რომ შირაკაცი სწორად, ან ყოველ შემთხვევაში თავისი ეპოქისათვის მეტად პროგრესულად ხსნიდა მრავალ მოვლენას. მაგალითად, მისი სიტყვით, დაღამების მიზეზი ისაა, რომ დედამიწის ჩრდილი ეცემა იმ მხარეს, სადაც ღამეა. ირმის ნახტომს იგი ხსნიდა როგორც მეტად შორეული ვარსკვლავების გროვას. სწორად ხსნიდა იგი აგრეთვე მზის დაბნელებას, როგორც მთვარის ჩადგომას მზესა და დედამიწას შორის. მან აგრეთვე იცოდა, რომ მთვარე არა საკუთარი სინათლით ანათებდა, არამედ მხოლოდ ანარეკლით. შირაკაცი აღნიშნავდა, რომ ადამიანის თვალი უფრო სწრაფია, ვიდრე ყურიო, ე. ი. იცოდა, რომ სინათლეს მეტი სიჩქარე აქვს, ვიდრე ხმას. საყურადღებოა, რომ შირაკაცი წელიწადის დროთა არსებობას უკავშირებდა მზის მოძრაობას. იგი ხაზს უსვამდა მზის ძალიან დიდ სიდიდეს. სწორად განსაზღვრა (შეცდომა წელიწადში მხოლოდ 4 საათს უდრის) წელიწადის სიგრძე 365 დღელაძითა და 5 საათით. ძალიან დიდია შირაკაცის დამსახურება სომხური კალენდრის განვითარების ისტორიაში. მან შეადგინა 532 წლიანი ციკლის საძიებელი ტაბულა, რომელშიც მოცემულია სომხური მოძრაობა და რომაული უძრავი კალენდარის შეფარდებითი ტაბულა. ამ ტაბულის დახმარებით შეიძლება გაირკვეს, როგორ შეეფარდება ამ ორი კალენდრის თარიღები ერთმანეთს. საყურადღებოა, რომ ამ ტაბულის პირველი თარიღი — 532 წელი — შემდგომში გახდა ამოსავალი წელი სომხური წელთაღრიცხვისა (VIII ს-დან). მან მიიღო სახელი „თორგომის წელთაღრიცხვა“, „ასქანაზის წელთაღრიცხვა“, „სომხური დიდი წელთაღრიცხვა“ და სხვ. შირაკაცის სახელით ცნობილია აგრეთვე წელთაღრიცხვა, რომელიც ქვეყნის დასაბამს 5281 წ. დებს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

კალენდრის მომწესრიგებლობასთან რამდენადმე დაკავშირებულია აგრეთვე შირაკაცის საქმიანობა როგორც ისტორიკოსის. საქმე იმაშია, რომ ისევე როგორც მოესეს ხორენაცის, შირაკაცისაც მიაჩნდა, რომ ქრონოლოგია ისტორიის ჩონჩხია. ამიტომ მან სპეციალურად შეისწავლა სხვადასხვა ხალხების საკალენდრო სისტემები. გარდა ამისა, მან დაწერა ისტორიული ხასიათის შრომა „ქრონოგრაფია“. აქ იგი იძლევა ებრაელ, სპარსელ მეფეთა ქრონოლოგიას. იძ-

⁴¹ Անանիա Շիրակացի... 1958. გვ. 59.

⁴² Чалоян В. К., Естественнонаучные возр., 167—168.

ლევა ცნობებს არამართო ისტორიულ მოვლენებზე, არამედ დიდ მდინარეებზე, მთებზე, ისტორიულ პიროვნებებზე და სხვ. იძლევა ცნობებს, ცხადია, სომხეთის ისტორიიდანაც. ამთავრებს „ქრონოგრაფიას“ არაბთა წინააღმდეგ სომხების, ქართველებისა და ალბანელთა ერთობლივი აჯანყების აღწერით. შირაკაცი ასახელებს ზოგიერთ თავის წყაროს. რიგ შემთხვევებში კი მისი ცნობები ორიგინალურია და სხვა წყაროებიდან არაა ცნობილი.

ვფიქრობთ, ზემოდასახელებული საკითხების ჩამოთვლაც საკმარისი იყო, რათა დავრწმუნებულიყავით, რომ ანანია შირაკაცის სახით ჩვენ საქმე გვაქვს თავისი დროის ერთ-ერთ დიდ მეცნიერთან.

„ქრონოგრაფია“ არის ერთადერთი თხზულება, რომელიც შირაკაცს მეწერება და ისტორიული ხასიათისაა. მაგრამ ამასთან ერთად შირაკაცს სხვა თხზულებებშიც ხშირად არის მოხსენიებული ისტორიული ამბები. ამასთან შირაკაცი ხშირად იძლევა თავის დამოკიდებულებას ისტორიული მოვლენებისადმი. როგორც ითქვა, შირაკაცი სპეციალურად იყო დაინტერესებული ქრონოლოგიის საკითხებით. მან არა მარტო დაადგინა უძრავი კალენდარი, არამედ თავის თხზულებაში „კალენდრის ასსნა“ დაწვრილებით შეუდარა ერთმანეთს სხვადასხვა ხალხების ქრონოლოგიური სისტემები. ამავე შრომაში იგი ცდილობს, დაადგინოს სომხეთის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენების ქრონოლოგია.

„ქრონოლოგია“ იწყება ადამიდან და მოდის VII ს-ის 80-იან წლებამდის. შირაკაცი ჩერდება სომხეთში ქრისტიანობის გავრცელებაზე, სომხური ანბანის გამოგონებაზე და სხვა. შირაკაციმ გამოიყენა რიგი წყაროებისა, რომელთა შორისაც მიიჩნევენ მოვსეს ბორენაცისაც.

ამ თხზულებას მნიშვნელობა აქვს ისტორიული გეოგრაფიისთვისაც, რადგან მასში შირაკაცი იძლევა ხალხების უძველესი განსახლების სურათს.

ეს ვრცელი მსჯელობა შირაკაცის შესახებ დაგვქირდა იმიტომ, რომ მკვლევართა დიდი ნაწილი სწორედ მას მიიჩნევს „აშხარაცუიკის“ ავტორად.

„აშხარაცუიკთან“ დაკავშირებით ისმის რამდენიმე პრობლემა: 1. როდისაა იგი დაწერილი? 2. ვინაა მისი ავტორი? 3. რა წყაროებზეა დაფუძნებული ეს თხზულება? 4. რა ურთიერთობაა ვრცელსა და მოკლე რედაქციებს შორის? 5. რა ცნობებს შეიცავს „აშხარაცუიკი“?

როგორც ვხედავთ, აკად. ს. ერემიანის წიგნი შეეხება ფრიად რთულ, საინტერესო და აქტუალურ საკითხებს.

წიგნის ანოტაციაში ვკითხულობთ: „ეს შრომა მიძღვნილია სომ-

ხური გეოგრაფიული და კარტოგრაფიული აზრის უბველესი ძეგლის „აშხარაცუიციისადმი“. შრომაში გამოკვეთულია „აშხარაცუიციის“ უნიკალური მნიშვნელობა მსოფლიო კარტოგრაფიული ისტორიისათვის და მოცემულია VI—VII სს. სომხეთის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა, რომლითაც განპირობებული იყო სომხური გეოგრაფიული აზრის გაღვიძება. წიგნთან ერთად გამოცემული დიდი სომხეთის რუკა მთლიანად შედგენილია „აშხარაცუიციის“ მონაცემების საფუძველზე. წიგნში მოცემულია რუკის ყველა გეოგრაფიული ტერმინის ახსნა და მოტანილია „აშხარაცუიციის“ შესატყვისი ადგილების დედნები შესაბამისი თარგმანით ახალ სომხურზე.

წიგნი გამიზნულია ისტორიკოსების, გეოგრაფიისა და კარტოგრაფიის ისტორიის სპეციალისტებისათვის.

თვით ავტორი თავისი გამოკვლევის შესახებ ამბობს: „ეს შრომა წარმოადგენს გზამკვლევს იმავე სახელწოდების რუკისა, რომელიც შევადგინეთ „აშხარაცუიცი“-ის მონაცემებით და ახლა ვაქვეყნებთ 1:1.250000 მასშტაბით. მსგავსი რუკა გზამკვლევის გარეშე უფასურდება და ხელმოუწვდომელი ხდება ფართო საზოგადოებისათვის. ამის გამო ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ რუკისთვის დაგვერთო ეს გზამკვლევით განმარტება, სადაც ანბანურად მოტანილია რუკაზე აღნიშნული ყველა სახელი. გზამკვლევებში ყოველ ტოპონიმს აქვს დაწვრილებითი ახსნა-სტატია, რომელიც რუკას ყველასთვის მისაწვდომად ხდის. ამავე დროს ჩვენ მოკლედ ვიძლევიტ იმ დასკვნებს, რომელიც მივიღეთ „აშხარაცუიცი“-ის მრავალწლიანი შესწავლის განმავლობაში. ეს დასკვნები ჩვენ გაშლილად გვაქვს გადმოცემული მონოგრაფიაში „სომხეთი და კავკასია VII ს. „აშხარაცუიცი“-ის მიხედვით“. რომელიც დასაბუღად მზადდება. აქ კი მოცემულია მხოლოდ საკითხის მოკლე მიმოხილვა და ტოპონიმების ახსნა“ (გვ. 7).

მაშასადამე, ვაპირებ, რომ ამ გამოცემაში მთავარია რუკა, რომლის გზამკვლევს წარმოადგენს გამოკვლევა, რომელშიც წარმოდგენილია ავტორის მრავალწლიანი ნუშაობის შედეგები, გაშლილი სახით ისინი გადმოცემული იქნება მომავალში. გზამკვლევი და საერთოდ მთელი წიგნი, ჩანს, გამიზნულია ფართო საზოგადოებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორი ასე ახასიათებს თავის ნაშრომს, ვფიქრობთ, რომ უფლება გვაქვს იგი განვიხილოთ როგორც ჩვეულებრივი მეცნიერული გამოკვლევა, მით უმეტეს, რომ შემდეგ ავტორი აგრძელებს: „კვლევის პროცესში ჩვენ მივიღეთ სრულიად ახალ დასკვნებამდე ჩვენამდის მოღწეული VII ს. დასაწყისის „აშხარაცუიციის“ ხასიათის შესახებ. ქვემოთ მოგვუქვს ჩვენი ძირითადი დებულებები ამ საკითხის ირგვლივ, რის შემდეგაც ხელახლა ვანკერ-

ძობით საკითხს და ყურადღებას ვამახვილებთ სომხეთისა და მისი მეზობელი ამიერკავკასიის ქვეყნების ტერიტორიაზე“ (გვ. 7).

მაშასადამე, ავტორს სრულიად ახალი დებულებები აქვს „აშხარაცუიცი“ ხასიათზე, მაგრამ ეს დებულებები მას განსახილველ წიგნში მხოლოდ მოყვანილი აქვს („საკითხის მოკლე მიმოხილვის“ სახით), გაშლილად ისინი გადმოცემულ იქნებიან მომავალ მონოგრაფიაში.

ავტორის ახალი დასკვნები „აშხარაცუიცი“ შესახებ ასეთია: „აშხარაცუიცი“ თავდაპირველად წარმოადგენდა დაახლოებით 15 რუკის კრებულს, ატლასს, რომელშიც ძირითადი იყო ჩვენს მიერ აღდგენილი დიდი სომხეთის, კოლხეთის, ქართლისა და ალბანეთის რუკა. ამ თვალსაზრისით საკითხის შესწავლამ გვიჩვენა, რომ „აშხარაცუიცი“ ავტორი სომხეთსა და ამიერკავკასიას აღწერს ორ ეპოქაში: პირველი (387 წლამდის) ის ეპოქაა, როდესაც სომხეთი დიდი ცენტრალიზებული სახელმწიფო იყო „დიდი სომხეთის“ სახელით, რომელსაც ამ გამოცემაში ვიძლევიტ მეზობელ ამიერკავკასიის ქვეყნებთან ერთად ცალკე რუკის სახით, როგორც რეკონსტრუქციის ცდას თანამედროვე კარტოგრაფიულ საფუძველზე. მეორე, ავტორის ცხოვრების ეპოქაა და გამოხატავს სომხეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფას 591—610 წლებს შორის. სომხეთის ამ ეპოქის პოლიტიკური საზღვრები სრულებით სხვაა და ისინი მასალას წარმოადგენენ მომავალში სხვა რუკისათვის“ (გვ. 7).

როგორც ვხედავთ, ავტორის ძირითადი დასკვნები, მართლაც, სრულიად ახალია და საფუძვლიანად განსხვავდება აქამდე არსებული შეხედულებებისაგან „აშხარაცუიცი“ შესახებ. მართლაც, ჯერ არავის გამოუთქვამს მოსაზრება, რომ „აშხარაცუიცი“ ატლასს წარმოადგენდა; არავის უთქვამს, რომ ამ რუკაზე ამიერკავკასია ორ ეპოქაშია აღწერილი; არავის უთქვამს, რომ ავტორის ცხოვრების ხანაა 591—610 წლების შორისი დრო. მაგრამ საქმე ისაა, რომ ავტორის მიერ რუკის აღდგენა კანონზომიერი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „აშხარაცუიცი“, მართლაც, ატლასს, ან ყოველ შემთხვევაში, რუკას მინც წარმოადგენდა.

ვენახოთ, როგორ არის გადაწყვეტილი ეს საკითხები აკად. ს. ერემიანის მიერ. იგი აღნიშნავს: „აშხარაცუიცი“-ზე ჩვენი ახალი შეხედულებების დასაბუთებისათვის იძულებული ვართ დიდი ექსკურსი გავაკეთოთ კარტოგრაფიის ისტორიაში. ეს რეტროსპექტიული შეხედულება კარტოგრაფიის დარგში დამაჯერებელს გახდის ჩვენს ქვემოთ მოტანილ შეხედულებებს „აშხარაცუიცი“-ის შესახებ“ (გვ. 7).

შემდეგ ავტორი ანტიკური კარტოგრაფიის, მართლაც, საკმაოდ ვრცელ მიმოხილვას იძლევა. ამ მიმოხილვაში ავტორი რამდენჯერმე

იმოწმებს ჯ. ტომსონის წიგნს „ძველი გეოგრაფიის ისტორია“. არსებითად ეს მიმოხილვა ძირითადად ამ წიგნის მიხედვითაა დაწერილი, თუმცა მიმოხილვის პირველი ნაწილი, მერვე გვერდის პირველი და მეორე სვეტი, მეცხრე გვერდის პირველი სვეტის ნაწილი (ს. ერემიანის წიგნი დიდი ფორმატისაა და ორ სვეტადაა დაბეჭდილი) დაწერილია ჯ. ტომსონის წიგნისათვის წამსვლარებული ა. ბ. დიტმარის შესავალი წერილის მიხედვით, რომელზედაც ს. ერემიანი ორჯერ მიუთითებს კიდევაც. მოტანილ ადგილებში ავტორს ხანდახან შეაქვს უმნიშვნელო დამატებანი, მაგ., იგი ზოგჯერ ცხოვრების თარიღებს უმატებს იმ პირებს, რომლებიც მოხსენიებულია დიტმართან, ან ბერძნულ ტერმინებს ფრჩხილებში უმატებს ბერძნულ ტრანსკრიფციას. პირველ აბზაცში ჩანს, რომ აქ ძირითადი მსჯელობა აღებულია დიტმარიდან, გამოკლებულია მხოლოდ შრომათა დასახელება, ჩამატებულია ბერძნულად *Χαίριπτα:α*, არიანეს ცხოვრების წლები, ამოღებულია პომპონიუს მელა, მეორეხარისხოვან პირებად მოხსენიებული არიან ფსევდო-არიანე, დიონისე პერიეგეტი, პავსანაუსი, სოლინი და ავიენ რუფუს ფესტი. ასევე ახლოსაა დიტმარის ტექსტთან მეორე და მესამე აბზაცები. დიტმარისგან განსხვავებით მესამე აბზაცში მოხსენიებული არიან სომხები, როგორც ალექსანდრიელი მეცნიერების შრომების გამავრცელებლები დასავლეთ ევროპაში. ტექსტის მომდევნო ადგილები (გვ. 9, 10, და მე-11 გვერდის პირველი სვეტი) ასევე ძირითადად დაწერილია უკვე თვით ჯ. ტომსონის მიხედვით (გვ. 327—8. 459—61, 465—6, 472—3, 476—7).

ს. ერემიანს მცირეოდენი ცვლილება შეუტანია ტექსტში. ტომსონს ნათქვამი აქვს, რომ პტოლემეაიოსმა არასწორი ციფრი მიიღო დედამიწის წრეხაზის სიგრძისა როდოსის პარალელზე: ტომსონს მოტანილი არა აქვს წრეხაზის სიგრძე. იგი ასახელებს ამ ციფრის საფუძველზე მიღებულ გრადუსის სიგრძეს, 400 სტადიონს. რომელიც თითქოს მიიღო პტოლემეაიოსმა. მაგრამ ეს სწორი არაა: როდოსის პარალელზე პტოლემეაიოსის თანახმად დედამიწის წრეხაზის სიგრძე უდრის 144 000 სტადიონს. ეს გარკვევითაა ნათქვამი ტომსონის წიგნის მომდევნო გვერდზეც, სადაც ავტორი დაწერილებით იხილავს პტოლემეაიოსის მიერ დასახელებულ მანძილებსა და გრადუსებს და ასკვნის, რომ პტოლემეაიოსის თანახმად ცნობილი მიწა როდოსის პარალელის გასწვრივ უდრიდა დედამიწის ნახევარს, 180°, 72 000 სტადიონს. 40 000 სტადიონი ერემიანმა, როგორც ჩანს, თვითონ გამოითვალა. როგორც ვთქვით, ტომსონი ამბობს, რომ პტოლემეაიოსით როდოსის პარალელზე 1 გრადუსი უდრის 400 სტადიონს. ჩანს, ს. ერე-

მიანმა ეს რიცხვი გაამრავლა ასზე და მიიღო 40 000, მაგრამ წრეში არის 360° და არა ასი.

ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ აქ lapsus calam-ია.

ანტიკური გეოგრაფიისა და კარტოგრაფიის მიმოხილვისას ს. ერემიანი, ბუნებრივია, უფრო დაწვრილებით ჩერდება კლავდიოს პტოლემაიოსზე. ორიოდ სიტყვით ეხება ავტორი პაპოს ალექსანდრიელს. იგი აღნიშნავს, რომ „პაპოს ალექსანდრიელის „ქვეყნის აღწერა“ (სვიდას თანახმად, მას ეწოდებოდა *Χαρτογραφία οὐρανοῦ καὶ γῆς*) იხსენიება მხოლოდ „აშხარაცუიცი“ და მისი საშუალებითაა, რომ წარმოდგენა გვექმნება ამ გეოგრაფოსისა და მისი შრომის შესახებ“ (გვ. 11): მაგრამ თუ პაპოსის „ქვეყნის აღწერაზე“ ლაპარაკია სვიდასთან, რატომ უნდა ჩაითვალოს „აშხარაცუიცი“ ერთადერთ თხზულებად, სადაც იგი იხსენიება?

ავტორი წერს: „დასავლეთ ევროპამ პტოლემაიოსი გაიხსენა მხოლოდ რენესანსის დროს, ე. ი. XV ს., ხოლო სომხეთში „აშხარაცუიცი“ და მისი გამგრძელებლის ანანია შირაკაცის შრომების წყალობით პტოლემაიოსის სისტემა და მისი კოსმოლოგიური შეხედულებები ბატონობდნენ მთელი შუა საუკუნეების სიგრძეზე“ (გვ. 12).

ავტორის სიტყვით, სომხეთში, ფეოდალიზმის განვითარება „ბაზაროსების“ შემოსევების შედეგი კი არ იყო, როგორც ეს მოხდა დასავლეთში, არამედ შინაგანი განვითარების შედეგს წარმოადგენდა. ამიტომ სომხეთის ადრეფეოდალიზმის კულტურასა და ანტიკურ კულტურებს შორის არ იყო წყვეტილი, ან რეგრესი. პირიქით, ამ დროს ხდება წინაფეოდალური, გვიანელინისტური სომხური კულტურის კიდევ უფრო განვითარება. ამ პერიოდში ცნობილი იონური სკოლის წარმომადგენლები დიდ ყურადღებას აქცევდნენ ანტიკურ ბერძნულ მეცნიერებასა და ლიტერატურას. ისინი თარგმნიდნენ ბერძნულიდან არამარტო ქრისტიანულ ღვთისმეტყველურ ლიტერატურას, არამედ ანტიკური პერიოდის მეცნიერთა შრომებსაც. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, ამდროინდელ სომხეთში პტოლემაიოსით დაინტერესებაც. მაგრამ მკვლევრები უკიდურესობაში ვარდებიან, როდესაც ყურადღებას აქცევენ მხოლოდ მსგავსებას „აშხარაცუიცი“ და პტოლემაიოსის, ან მასზე დაყრდნობილ პაპოსის შრომებს შორის და ამის საფუძველზე აცხადებენ, თითქოს „აშხარაცუიცი“ პტოლემაიოსის შრომის ასლიაო. ამასთან დაკავშირებით ავტორს სურს მკვლევართა ყურადღება მიაქციოს იმ გარემოებას, რომ „ამ საკითხის შემსწავლელნი უყურადღებოდ სტოვებენ იმ გარემოებას, რომ „აშხარაცუიცი“ ძირითად ნაწილს შეადგენს სომხეთის, კავკასიისა და ირანის გეოგრაფიული აღწერა, რომელიც სავსებით დამოუკიდებელი და ორიგინალ-

ლური ნაშრომია და საეხებით ახალი სიტყვაა მსოფლიო გეოგრაფი-
სა და კარტოგრაფიის ისტორიაში“ (გვ. 13 კ.).

ამ ექსკურსის შემდეგ ს. ერემიანი უბრუნდება იმ ძირითად სა-
კითხებს, რომლებიც დასმულია მის გამოკვლევაში. ავტორი სვამს კი-
თხვას, რას წარმოადგენდა „აშხარაცუიცი“? რა მიზანი ჰქონდა მის
ავტორს? ს. ერემიანი აღნიშნავს, რომ „მეცნიერებაში ფესვი აქვს
გადგმული იმ აზრს, თითქოს „აშხარაცუიცი“ შუასაუკუნეების სომ-
ხეთში გეოგრაფიის სახელმძღვანელო იყო. ეს სწორი უნდა იყოს
განვითარებული შუასაუკუნეებისათვის, ხოლო ნუთუ ასევე იყო და-
საწყის ეპოქაში, VII ს. დასაწყისში?“ (გვ. 13).

ავტორი ამბობს, რომ ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად „უპირ-
ველეს ყოვლისა საპირთა „აშხარაცუიცი“-ის დედნის შედარება თავი-
სი აგებულების თვალსაზრისით პტოლემეიოსის ნაშრომსა და რუ-
კებთან და აგათოდემონის მსოფლიო რუკასთან“ (გვ. 13). ამის შემ-
დეგ ავტორი ახდენს ამ შედარებას, მაგრამ უნდა ითქვას, რომ შედა-
რებას აკეთებს, მხოლოდ პტოლემეიოსთან, აგათოდემონთან კი არა.
თუმცა ამ უკანასკნელს ის ორჯერ იხსენიებს კიდევ.

ამ შედარების მიზანია დაამტკიცოს, რომ „აშხარაცუიცი“ ავ-
ტორი იმავე მიზნებს ისახავდა, რასაც კლავდიუს პტოლემეიოსი. აქე-
დან გამომდინარე „აშხარაცუიცი“ ისეთივე ხასიათის თხზულება
უნდა ყოფილიყო, რაც პტოლემეიოსის „გეოგრაფია“.

რას წარმოადგენდა პტოლემეიოსის „გეოგრაფია“?

ს. ერემიანი აღნიშნავს: „ანტიკურმა კარტოგრაფიამ თავის მწვერ-
ვალს მიაღწია მსოფლიოში სახელგანთქმული ალექსანდრიელი მეც-
ნიერის კლავდიოს პტოლემეიოსის (90—168) შრომებში“ [9II]. პტო-
ლემეიოსი გეოგრაფიას უდგებოდა ასტრონომიული თვალსაზრისით
და მისი კარტოგრაფიული ნაშრომები სამყაროზე მისი შეხედულე-
ბების გამოხატულებას წარმოადგენენ. 127—141 წწ. შორის ჩატა-
რებული ასტრონომიული კვლევის საფუძველზე მან დაწერა „ასტრო-
ნომიის სისტემა“, რომელშიც განაზოგადა ანტიკური მეცნიერების
მიღწევები სამყაროს აგებულების შესახებ, დაუმატა რა მას თავისი
საკუთარი შეხედულებები და გამოთვლები, აგრეთვე თავისი შეხე-
დულება დედამიწის სფეროსმაგვარი ფორმის შესახებ. 150 წ.
პტოლემეიოსმა დაწერა 8 წიგნად „გეოგრაფიის სახელმძღვა-
ნელო“, ან უფრო ზუსტად „რუკების შედგენის სახელმძღვანელო“,
სადაც, როგორც თვითონ ამბობს, ძირითად მიზნად ისახავდა მოეცა
მეცნიერული კარტოგრაფიის საფუძვლები“ [10II]. ამ ნაშრომში

პტოლემეაიოსი ლაპარაკობს იმაზე, რომ კარტოგრაფია უნდა ემყარებოდეს გეოგრაფიული პუნქტების ადგილის ასტრონომიულ განსაზღვრას; შემდეგ ხსნის, თუ როგორ უნდა გაკეთდეს გლობუსი შესაბამისი პარალელებისა და მერიდიანების ბადით, როგორ დაიხატოს დედამიწა გლობუსზე და როგორ დაიხაზოს რუკა ბრტყელ სიბრტყეზე სხვადასხვა პროექციებით [10_{II}]. (ტომსონის წიგნიდან. გვ. 465). პტოლემეაიოსს მთელი მისთვის ცნობილი მიწა დაყოფილი აქვს ცალკე ქვეყნებად. ყოველ მათგანს იგი ცალ-ცალკე აღწერს, აღნიშნავს მათს საზღვრებს, მასში მცხოვრებ ხალხებს, მთებს, მდინარეებს, ქალაქებს, კუნძულებს და სხვ. ყოველი ქვეყნის აღწერა წარმოადგენს საკუთარ სახელთა გრძელსიას, რომელთა უდიდეს ნაწილს (≈ 8.000 სახელს) მიწერილი აქვს თავისი გრძელისა და განედის რიცხვები. ამგვარად, იგი თანამედვერობით აღწერს ევროპას, აფრიკასა და აზიას საერთოდ, შემდეგ კი ცალ-ცალკე მათ შემადგენელ ქვეყნებს. პტოლემეაიოსის მონაცემების საფუძველზე მკითხველს თვითონ შეუძლია შეადგინოს ცალ-ცალკე ქვეყნებისა და მსოფლიოს საერთო რუკა, თუმცა თვით პტოლემეაიოსი არსად არ ამბობს, რომ თვითონ აპირებდა ამის გაკეთებას [10_{II}, ტომსონი, 466]. პტოლემეაიოსის მიერ მოტანილი სიები თავის მნიშვნელობას იძენენ მაშინ, როდესაც ისინი გადაგვაქვს რუკაზე, ხოლო ცალკე აღებული ისინი არაფერს არ ლაპარაკობენ“ [11, ტომსონი, 476].

ამ მეთოდით მისი მონაცემების საფუძველზე შეიძლება შედგეს ევროპის 10, აფრიკის 4, აზიის 12 რუკა; გარდა ამისა, ერთი საერთო, მსოფლიო რუკა. მაგრამ შესაძლებელია უფრო დაწვრილებითი რუკების შედგენაც, მაშინ შედგება 63 რუკა.

იმის გამო, რომ პტოლემეაიოსი არსად არ ამბობს, რომ თვითონ მან შეადგინა ეს რუკები, არსებობს აზრი, რომ მის სახელმძღვანელოს იგი იმთავითვე არ ახლდა. მართალია, „გეოგრაფიის“ სახელმძღვანელოს ზოგიერთ ხელნაწერს დართული აქვს ასეთი რუკები, მაგრამ არსებობს შეხედულება, რომ იგი თვით პტოლემეაიოსს კი არ ეკუთვნის, არამედ მისი მონაცემებითაა შედგენილი სხვის მიერ მოგვიანოდროს [10 II]. პტოლემეაიოსის ყოველ რუკას ცალკე მასშტაბი აქვს, ისე რომ, მათი ერთად წარმოდგენა შეუძლებელია.

რატომ გადმოსცა პტოლემეაიოსმა თავისი მასალა წიგნის სახით და პირდაპირ რუკა არ შეადგინა (თუ კი მას რუკა არ შეუდგენია საერთოდ), ან რატომ მხოლოდ რუკა არ შეადგინა? ჩვეულებრივ ამას ხსნიან იმით, რომ ზშირი გადახატვისას რუკებზე წარწერები თანდა-

თან წაირყენებოდა, ხოლო აღწერითი ფორმა ტექსტისა კი დაიცავდა მათ დამახინჯებებისაგან [11_I, ტომსონი, 476].

ფიქრობენ, რომ პტოლემეაიოსმა შეადგინა რუკების კრებული, ატლასი. მაგრამ ძნელია იმის თქმა, ჩვენამდე მოღწეული რუკები თვით პტოლემეაიოსის მიერაა შედგენილი, თუ მისი მონაცემების საფუძველზე გაკეთებული [11_I, ტომსონი, 476—477]. აქ თითქოს ერთგვარი წინააღმდეგობაა ზემოთ მოტანილ ადგილთან, მაგრამ, მიუხედავად იმისა, საკუთრივ პტოლემეაიოსისაა ეს რუკები თუ არა, მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის მეტად დიდია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ რუკებში წარმოდგენილია სხვადასხვა ეპოქის მასალა:

პტოლემეაიოსის „გეოგრაფიის“ დახასიათების შემდეგ ს. ერემიანი შენიშნავს: „პტოლემეაიოსის კარტოგრაფიული მემკვიდრეობის შესწავლა გვიჩვენებს იმასაც, თუ რას წარმოადგენდა ჩვენამდე მოღწეული „აშხარაცუიცი“ [11_{II}].

ამის შემდეგ ს. ერემიანი ცდილობს, წარმოადგინოს მსგავსება, რომელიც არსებობს „აშხარაცუიცსა“ და „გეოგრაფიას“ შორის. ეს მსგავსება შემთხვევითი არ იყო. პტოლემეაიოსის შრომა ანტიკური მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ქმნილებაა. „აქედან გასაგებია, რომ „აშხარაცუიცისთვის“ მისი რუკები და გეოგრაფიული აღწერები, პირველ რიგში კი პტოლემეაიოსისა, იმ დროისთვის ყველაზე მოწინავე შეხედულებები სამყაროს აგებულებაზე მაგალითს წარმოადგენდნენ“ [9_{II}]. ამასთან დაკავშირებით, პირველყოვლისა, აღსანიშნავია, რომ „აშხარაცუიცის“ რამდენიმე ადგილი სიტყვისიტყვით ემთხვევა პტოლემეაიოსის თხზულებას. ამის საფუძველზე ჯერ კიდევ ა. სუქრიანმა გამოთქვა აზრი, რომ პტოლემეაიოსს „აშხარაცუიცის“ ავტორი იცნობდა არა მარტო პაპოს ალექსანდრიელის საშუალებით, არამედ უშუალოდაც. ფიშერი კი ფიქრობს, რომ „აშხარაცუიცის“ ავტორი იცნობდა არამარტო პტოლემეაიოსის „გეოგრაფიას“, არამედ მის რუკებსაც [11_{II}]. შემდეგ, მსგავსება პტოლემეაიოსის „გეოგრაფიასა“ და „აშხარაცუიცს“ შორის მქდავნიდება იმითაც, რომ მეორე ზოგადად მისდევს პირველს. ჯერ „აშხარაცუიცის“ ავტორი, ისევე როგორც პტოლემეაიოსი, მოკლედ იძლევა თავის შეხედულებებს მსოფლიოს აგებულებაზე, შემდეგ კი პტოლემეაიოსის რუკების საფუძველზე ადგენს რამდენიმე რუკას და იმავე დროს წიგნად წერს ამ რუკების შინაარსს, ყოფს რა მათ ცალკე თავებად იმ თანამიმდევრობის მიხედვით, რომელიც აქვს პტოლემეაიოსს [18_I]. „ზოგადად აღებული, „აშხარაცუიცის“ ავტორი მიჰყვება პტოლემეაიოსის ნაშრომის შინაარსს თანამიმდევრო-

ბას“, აღნიშნავს ს. ერემიანი, „ოღონდ სომეხი კარტოგრაფი-გეოგრაფი უპირველეს ყოვლისა თავისი ეპოქის შვილი იყო და პტოლემეაიოსიდან თავის ნაშრომში ტოვებდა მხოლოდ იმ მონაცემებს. რომლებიც შეესატყვისებოდნენ მისი ცხოვრების ეპოქასაც, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ცდილობდა ახალი მასალით შესატყვისებოდა თავის დროს. დასავლეთ ევროპა და აფრიკა-ლიბია, უფრო ზუსტად, დასავლეთ რომის იმპერიის ტერიტორიები, „აშხარაცუცი“-ის ავტორის ინტერესების ფარგლებს გარეთ იყო. აქ ძლიერი იყო ანტიკური ლიტერატურის ტრადიციები და ამიტომაც ამ ნაწილში იგი საკმაოდ ემთხვევა პტოლემეაიოსსა და მასზე დაფუძნებულ პაპოს ალექსანდრიელის აღწერილობებს“ [13 II]. შემდგომში, რაც უფრო ვუახლოვდებით სომხეთს, „აშხარაცუცი“-ს ცნობები სულ უფრო და უფრო მდიდარი და ორიგინალური ხდება, ხოლო პტოლემეაიოსის ცნობებიდან კი სულ უფრო ნაკლები რჩება. მცირე აზიის აღწერისას „აშხარაცუცი“-ს ავტორი იძლევა ამ ქვეყნის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ დაყოფას, რომელიც არსებობდა VI—VII საუკუნეებში. სარმატიისა და კოლხეთის აღწერაში ძალიან ცოტა რამ არის პტოლემეაიოსისაგან, ხოლო დიდი სომხეთი, ქართლი და ალბანეთი კი საესებით ახალი მასალის საფუძველზეა დაწერილი [13 II], თუმცა, ამ ქვეყნების აღწერაშიც კი დატოვებულია პტოლემეაიოსის თანამიმდევრობა [15 II]. სამაგეროდ, მომდევნო სირია ისევეა აღწერილი, როგორც პტოლემეაიოსთან, რაც, ავტორის აზრით, აიხსნება იმით, რომ „არაბთა წინა ხანის ელენიზირებული სირია ეგვიპტესთან ერთად რჩებოდა როგორც ანტიკური საზოგადოებრივი წყობისა და კულტურის ტრადიციების უმთავრესი დამცველი“ (გვ. 13—14) და ა. შ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე ს. ერემიანი ასკვნის; „ზემოთ ჩვენ შევჩერდით პტოლემეაიოსის „გეოგრაფიის“ სახელმძღვანელოს ხასიათზე, რათა გაგვერკვია „აშხარაცუცი“-ს ხასიათი, მისი გამოქვეყნების დროს. „აშხარაცუცი“-ს დედნის დაწვრილებითი შესწავლა გვიჩვენებს, რომ ამ უკანასკნელის ავტორი იმავე მიზნებს ისახავდა, რასაც პტოლემეაიოსი, ესე იგი, მოეცა კარტოგრაფიული ხასიათის ნაშრომი. როგორც პტოლემეაიოსის „გეოგრაფიის სახელმძღვანელოს“ ჩვეულებრივად უძახიან „რუკების მომზადების სახელმძღვანელოს“, ასევე „აშხარაცუცი“ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ერთი ჯგუფი რუკების აღმწერი სახელმძღვანელო“ [16 I]. მართალია, „აშხარაცუცი“-ში არსად არაა ნათქვამი, რომ მას უნდა ახლდეს რუკებიც, მაგრამ „ზევით ჩვენ ვნახეთ, რომ პტოლემეაიოსი არსად არ ამბობს, რომ განზრახული აქვს რუკების შედგენა, მიუხედავად ამისა, მკვლევრები ერთხმად აღგანან იმ შეხედულებას, რომ მან შეადგინა

რუკების მთელი კრებული — ატლასი. მაგრამ რუკებზე არსებული მასალა მან აღწერა ცალკეც და ამით იმავე დროს მოგვცა გეოგრაფიის სახელმძღვანელოც. „აშხარაცუიცი“-ის დაწვრილებით შესწავლას ამავე დასკვნამდე მივყევართ, რომ მისი ავტორი ზუსტად იმავე მიზანს ისახავდა, რასაც პტოლემეაიოსი — მოეცა რუკების კრებული — ატლასი და იმავე დროს ამ რუკის მონაცემები ცალკე აეწერა და მოეცა გეოგრაფიის სახელმძღვანელო, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, ხოლო რუკებმა გაიზიარეს პტოლემეაიოსის რუკების ბედი — ისინი დაიკარგნენ“ [171].

მაგრამ „აშხარაცუიცი“-ს ავტორს კიდევ ერთი მიზანი ჰქონდა, გაესწორებინა პტოლემეაიოსის მიერ მოცემული გეოგრაფიულ ადგილთა განსაზღვრებები. ს. ერემიანის სიტყვით, „აშხარაცუიცი“-ს ეპოქაში უკვე ცხადი იყო, რომ პტოლემეაიოსის მიერ საცხოვრებელი ადგილების განსაზღვრის ძირითადი ხერხი, დამყარებული ასტრონომიულ გამოთვლებზე, მოკლებული იყო რეალურ მონაცემებს და ცხადი იყო, რომ მის მიერ მოცემულ საცხოვრებელ ადგილთა განსაზღვრა განედისა და გრძედის მონაცემებით მეტწილად მოგონილი იყო, რომ ამ ადგილების განსაზღვრისას პტოლემეაიოსი სინამდვილეში მძიმართავდა იტინგარასიების მონაცემებს. და, მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ იქ, სადაც „აშხარაცუიცი“-ს ავტორი პტოლემეაიოსის „გეოგრაფიის“ სახელმძღვანელოს მოკლე შინაარსს იძლევა, მონაცემები მოაქვს მისი კარტოგრაფიული გამოთვლებით, ხოლო იმ ნაწილში, სადაც იგი დამოუკიდებელია, განსაკუთრებით დიდი სომხეთის, ქართლის, ალბანეთისა და სასანური ირანის აღმწერ თავებში, იგი საკვებით უგულვებელპყოფს პტოლემეაიოსის გრადუსულ ბადეს, ან ხელმძღვანელობს თავის მხრივ მოგროვილი ნამდვილი ფაქტებით და ბრწყინვალე შედეგებს აღწევს [16 II].

ს. ერემიანს გარკვეული აქვს აგრეთვე რუკების რიცხვი და შემადგენლობაც. მისი სიტყვით, რადგან „აშხარაცუიცი“-ს ავტორი ამოკლებს პტოლემეაიოსის ტექსტს, იგი აზოგადებს მის რუკებსაც. ამიტომ მას ნაკლები რუკები აქვს, ვიდრე პტოლემეაიოსს. მათში პირველი ყოფილა მსოფლიოს რუკა, რომელიც, როგორც ს. ერემიანი ამბობს, აღუდგენია ქ. პატკანოვს თავის წიგნში.

ს. ერემიანის ეს მითითება თავისთავად კითხვას ბადებს, რადგან ქ. პატკანოვს თავის წიგნში მოცემული აქვს ორი მსოფლიოს რუკა (სხვა რუკა იქ საერთოდ არ არსებობს). ორივეს აწერია პტოლემეაიოსის რუკაო (ერთს რუსულად — Карта Птолемея, მეორეს სომხურად *քարտէս Պտղամէայի* — პტოლემეაიოსის რუკა), ს. ერემიანთან

მითითებულია ეს უკანასკნელი. ამასთან ნათქვამია, რომ ეს რუკა წარმოშობილია „აშხარაცუიციის“ ავტორისა და პტოლემეაიოსის მსგავსი წარმოდგენებისგან მსოფლიოზე და, თუმცა გარეგნულად ისინი ერთმანეთს ჰგვანან, მაგრამ წვრილმანებით კი განსხვავდებიან. ამასთან დაკავშირებით შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ განსხვავება ამ რუკებს შორის წარმოდგება მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი სხვადასხვა პროექციით არიან შედგენილნი.

მსოფლიოს რუკის გარდა, ს. ერემიანის სიტყვით, ყოფილა კიდევ ევროპის ორი, აფრიკის ერთი და აზიის 11 რუკა. ამასთან ავტორს გარკვეული აქვს აგრეთვე ყოველი ამ რუკის შემადგენლობაც, ე. ი. რა იყო გამოსახული თითოეულ რუკაზე.

რას წარმოადგენს სინამდვილეში ამ თვალსაზრისით „აშხარაცუიცი“?

ეს არის მოკლე გეოგრაფიული მიმოხილვა ავტორისდროინდელი მსოფლიოსი. მიმოხილვა იწყება ევროპის უკიდურესი დასავლეთ ნაწილიდან და მოდის აღმოსავლეთისაკენ. იგი მთავრდება შორეული აღმოსავლეთის აღწერით. უკვე კარგა ხანია შენიშნულია, რომ ზოგადად იგი იმეორებს პტოლემეაიოსის სქემას, აღწერის თანამიმდევრობას, თუმცა კი რიგ შემთხვევებში ეს თანამიმდევრობა დარღვეულია. სხვათა შორის, ს. ერემიანი არ მიუთითებს ზოგიერთ ამ დარღვევაზე. მაგალითად, ევროპის აღწერა პტოლემეაიოსთან იწყება ჰიბერნიით, ე. ი. ირლანდიით, შემდეგ მოდის ალბიონი, შემდეგ ესპანეთი, „აშხარაცუიციში“ კი პირველად ესპანეთი იხსენიება, შემდეგ კი ბრიტანელთა ქვეყანა. შემდგომში ევროპის აღწერაში „აშხარაცუიციში“ გამოტოვებულია მთელი რიგი ქვეყნებისა. აქ ვგულისხმობთ არა მხოლოდ ისეთ ქვეყნებს, რომლებმაც პტოლემეაიოსსა და „აშხარაცუიციის“ შორის არსებულ დროში სახელი იცვალეს ან სხვა ქვეყნებს შეუერთდნენ, არამედ ისეთსაც, როგორცაა კორსიკა. აზიის აღწერას ვრცელ რედაქციაში აკლია არუასტანი. მოკლე რედაქციაში არუასტანი არის, ოღონდ არა იქ, სადაც უნდა იყოს პტოლემეაიოსის მიხედვით. ს. ერემიანს არუასტანი მოკლე რედაქციიდან გადააქვს ვრცელ რედაქციაში, სვამს იქ, სადაც უნდა ყოფილიყო პტოლემეაიოსის თანახმად, ყოველგვარი აღნიშვნის გარეშე. შემდეგ ამ ნაკვეთს ადარებს პტოლემეაიოსს და ამბობს, რომ „აშხარაცუიცი“ იგივე თანამიმდევრობა აქვს დაცულო. უნდა ითქვას, რომ ასეთი მოქმედება არ არის გამართლებული, რადგან ეს დარღვევა არსებითად ვითარებას არ ცვლის, და მის გარეშეც იგივე სურათი იქნებოდა. როგორც ითქვა, რიგ შემთხვევებში „აშხარაცუიცი“ სიტყვა-სიტყვით ემთხვევა პტოლემეაიოსის „გეოგრაფიის“ ტექსტს. გარდა ამისა, პტოლემეაიოსის გავლენა იგრძნობა იმაშიც, რომ ფიზიკუ-

რი გეოგრაფიის მონაცემები: მთები, მდინარეები, კუნძულები „აშხარა-
 ცუიცის“ ავტორს აშკარად პტოლემეიოსისგან აქვს აღებული. იღებს
 იგი რიგ სხვა მონაცემებსაც. ს. ერემიანს მიაჩნია, რომ იგი პტოლე-
 მაიოსიდან ტოვებდა მხოლოდ იმას, რაც შეესატყვისებოდა
 მის ეპოქას. სინამდვილეში კი „აშხარაცუიცის“ ავტორი ცვლი-
 და პტოლემეიოსს მაშინ კი არა, როდესაც პტოლემეიოსი
 არ შეეფერებოდა მის ეპოქას, არამედ მაშინ, როდესაც მას ეს შეეძ-
 ლო, ე. ი. მაშინ, როდესაც მას ჰქონდა ახალი, განსხვავებული, უფრო
 ზუსტი მონაცემები. ეს მტკიცდება იმით, რომ როგორც თვით ს. ერე-
 მიანმა შენიშნა, რაც უფრო უახლოვდება „აშხარაცუიცი“ სომხეთს,
 მით უფრო კლებულობს პტოლემეიოსის ცნობები და მატულობს ორი-
 გინალური მასალა. ეს ასე რომ არ იყოს, გამოვიდოდა, რომ პტოლე-
 მაიოსის ეპოქიდან VII ს-მდე ყველაზე მეტად მსოფლიოში სომხეთი
 შეიცვალა, დასავლეთ ევროპას კი არავითარი ცვლილება არ განუცდია.
 ცხადია, იმ ნახევარი ათასწლეულის განმავლობაში, რაც გავიდა პტო-
 ლემეიოსის „გეოგრაფიის“ დაწერიდან, მსოფლიომ უდიდესი ცვლი-
 ლებები განიცადა, ასე რომ „აშხარაცუიცის“ ავტორს სრულებით
 ახალი წიგნი უნდა დაეწერა. ეს კი, როგორც ვხედავთ, არ მოხდა. ის,
 რომ უკიდურეს დასავლეთ ევროპის აღწერაში „აშხარაცუიცი“ ეკ-
 თხვევა პტოლემეიოსის „გეოგრაფიას“, ს. ერემიანის სიტყვით, იხსენ-
 ბა იმით, რომ „დასავლეთ რომის იმპერიის ტერიტორია „აშხარაცუ-
 იცის“ „ავტორის ინტერესს ფარგლებს გარეთ იყო. აქ ძლიერი იყო
 ანტიკური ლიტერატურის ტრადიციები და ამიტომაც ამ ნაწილში იგი
 (ე. ი. „აშხარაცუიცი“) საკმაოდ ემთხვევა პტოლემეიოსისა და პაპოს
 ალექსანდრიელის აღწერილობებს“. მაგრამ სად იყო ეს ტრადიციები
 ძლიერი — დასავლეთ რომის იმპერიის ტერიტორიაზე, თუ გეოგრაფი-
 ულ ლიტერატურაში? ორივე შემთხვევაში, ვფიქრობთ, აზრი სწორი
 არ უნდა იყოს. შესაძლებელია ზედმეტყველა ლაპარაკი იმაზე, რომ ან-
 ტიკური ლიტერატურის ტრადიციები VII ს-ში ალბათ ყველაზე მეტად
 სწორედ დასავლეთ ევროპაში, ყოფილ დასავლეთ რომის იმპერიის
 ტერიტორიაზე იყო შერყეული. საკმარისია გავიხსენოთ ის ცვლილე-
 ბები, რომლებიც განიცადა დასავლეთ ევროპამ პტოლემეიოსის მომ-
 დევნო ხუთასი წლის განმავლობაში. აქ მთლად, და თანაც არაერთხელ
 შეიცვალა ეთნიკური, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული, ეკო-
 ნომიური ვითარება. რამდენმა ხალხმა გადაიარა ამ ქვიწყებზე. ათეუ-
 ლობით სამეფო დაარსდა და მოიშპო. იქ, სადაც პტოლემეიოსის დროს
 ჯერ კიდევ სავსებით არ იყო დაშლილი პირველყოფილ-თემური ურ-
 თიერთობანი, ამ დროს უკვე ფეოდალური წყობილება არის. საინტერე-
 სოა, რომ თვით ს. ერემიანი ერთგან (გვ. 12) ამტკიცებს, რომ ანტიკური
 კულტურის ტრადიციები ყველაზე კარგად შემოინახა სომხეთში, სა-

დაც განსხვავებით დასავლეთ ევროპისაგან, ფეოდალიზმი შინაგან განვითარების ნაყოფი იყო და ამიტომ კულტურის წყვეტა ანტიკურ ეპოქასთან არ ყოფილა.

თუ ს. ერემიანი გულისხმობს, რომ ანტიკური ტრადიციები ძლიერი იყო VI—VII საუკუნეების გეოგრაფიულ ლიტერატურაში და ამიტომ არ აღწერს თავისთვის თანამედროვე ვითარებას „აშხარაცუციის“ ავტორი, მაშინ როგორ მოხდა, რომ „აშხარაცუციის“ ავტორს, რომელიც თვით ერემიანის სიტყვით, „თავისი ეპოქის შვილი იყო“, არავითარი ყურადღება არ მიუქცევია იმ უზარმაზარი ცვლილებებისათვის, რაც მოხდა ქვეყნად და ლიტერატურული ტრადიციებით უწერია თავისი „გეოგრაფია“? მაგრამ, ცხადია, ეს ასე არ უნდა ყოფილიყო. ისევე, როგორც ის, რომ გეოგრაფიულ ლიტერატურაში დასავლეთ ევროპაზე ანტიკური ტრადიციები იყო ძლიერი.

ასევე ვერ გავიზიარებთ დებულებას იმის შესახებაც, რომ სირიაზე „აშხარაცუციის“ ცნობების დამთხვევა პტოლემეოსის ცნობებთან, თითქოს გამოწვეულია იმით, რომ „სირია ეგვიპტესთან ერთად რჩებოდა ანტიკური საზოგადოებრივი წყობისა და კულტურული ტრადიციების უმთავრეს დამცველად“. ჯერ-ერთი, საკამათოდ გვეჩვენება ის დებულება, თითქოს VI—VII საუკუნეების სირია, იმდროინდელი ქრისტიანობის ერთ-ერთი კერა და იდეოლოგიური ცენტრი, ანტიკური კულტურული ტრადიციების მთავარი დამცველი ყოფილიყო. მაგრამ თუნდაც ასე რომ ყოფილიყო, რატომ აიძულებდა ეს გარემოება „აშხარაცუციის“ ავტორს აეწერა სირია ისე, როგორც ეს გაკეთებული აქვს პტოლემეოსს. რომელიმე ქვეყნის გეოგრაფიული აღწერისას განა ამ ქვეყანაში არსებულ კულტურულ ტრადიციებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ?

ჩვენი აზრით, ყველაზე ბუნებრივი ახსნა ზემოგანხილული მოვლენისა მდგომარეობს იმაში, რომ „აშხარაცუციის“ ავტორი ცუდად იცნობს გეოგრაფიულად დაშორებულ ქვეყნებს და უკეთ საკუთარ სამშობლოსა და მასთან ახლო მდებარე ადგილებს. საფიქრებელია, რომ ისეთ შორეულ ქვეყნებზე, როგორცაა, ვთქვათ, ბრიტანია, ან სკანდინავია, ავტორს არა მარტო ზეპირი წყაროების ნაკლებობა ჰქონდა, არამედ ლიტერატურულიც. რაც უფრო უახლოვდებოდა იგი თავის სამშობლოს, მისი წყაროები მრავლდებოდნენ და უფრო თანამედროვენი ხდებოდნენ. ასეტივე აზრი აქვს გამოთქმული ცნობილ გეოგრაფოსს კიპერტს. 1873 წ. ბერლინის აკადემიის სხდომაზე მან წაიკითხა მოხსენება „მოღსეს ხორენაცისად მიღებული გეოგრაფიული კომპენდიუმის შედგენის შესახებ“. აქ კიპერტი ამტკიცებს, რომ ის აღვილები, სადაც აღწერილია ევროპა, აფრიკა, არაბეთი და აღმოსავლე-

თი აზია, ამოღებულია რომელიღაც ბერძნული თხზულებიდან III (IV?) ს-ისა; რომაული აზიის რედაქცია უნდა ეკუთვნოდეს დროს თეოდოსი 1-სა და იუსტინიანეს შორის, ხოლო სომხეთის და აღბათ მთელი ირანული აზიისა კი — იუსტინიანესა და მაკრიკეს შორის დროს. ე. ი. კიპერტის დაკვირვებით, რაც უფრო ვუახლოვდებით სომხეთს, ცნობები სულ უფრო ახალი ხდება. მართალია, კიპერტის დასკვნა (თუ ამ უკანასკნელ, ყველაზე ახალ ნაწილს, ე. ი. სომხეთისა და ირანის აზიის აღწერას ამოვიღებთ, მივიღებთ რედაქციას, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ ხორენაცის მიერ დაწერილად V ს-ის პირველ ნახევარში) სწორი არაა და მიუღებელია, მაგრამ მისი ეს დაკვირვება უთუოდ ანგარიშგასაწევია.

ამრიგად, ირკვევა, რომ „აშხარაცუციის“ ავტორს პტოლემეაიოსისაგან აუღია თავისი წიგნის ზოგადი სქემა, აგებულია პრინციპი და ზოგიერთი ცნობა. უმთავრესად ფიზიკური გეოგრაფიიდან. ამასთან, ეს შეეხება უმთავრესად ავტორისთვის დაშორებულ ქვეყნებს. ამდენად „აშხარაცუციის“ ავტორი უთუოდ მეტად დავალებულია პტოლემეაიოსისგან, რომლისგანაც მას ფაქტურად აღებული აქვს მთავარი — იდეა მსოფლიოს გეოგრაფიის შედგენისა და ამ გეოგრაფიის აგების პრინციპი. მაგრამ ამავე დროს, „აშხარაცუციის“ გააჩნია მთელი რიგი თავისებურებანი, რომლებიც მნიშვნელოვნად ასხვავებს მას პტოლემეაიოსის „გეოგრაფიისაგან“. უნდა ითქვას, რომ რიგი ამ განსხვავებებისა შემჩნეული აქვს ს. ერემიანს. სხვათაშორის, თავის წიგნში ს. ერემიანი არაერთგზის ლაპარაკობს იმაზე, რომ დღევანდლამდე სპეციალისტები ძირითადად ყურადღებას აქცევდნენ „აშხარაცუციის“ იმ მომენტებს, რომლებიც აკავშირებენ მას პტოლემეაიოსის „გეოგრაფიასთან“ და სავსებით უგულვებელყოფდნენ იმას, რაც ორიგინალურია ამ თხზულებაშიო. ს. ერემიანის ეს საყვედური სწორია. გავიხსენოთ, რომ „აშხარაცუციის“ ხანდახან პტოლემეაიოსის „გეოგრაფიის“ თარგმანადაც კი მიიჩნევდნენ. ა. სუქრიანის წიგნი ასეა კიდევაც დასათაურებული: „Géographie de Moïse de Chorène d'après Ptolemées“. მაგრამ თვით ს. ერემიანს იმდენად ძლიერი სურვილი აქვს დაამტკიცოს „აშხარაცუციის“ ორიგინალობა, რომ ამით იგი თავისავე ძირითად დებულებასთან ერთგვარ წინააღმდეგობაშია.

მართლაც, ს. ერემიანის თანახმად, ასეთი ვითარება რსახება: „აშხარაცუციის“ პტოლემეაიოსის ტექსტს მისდევს დასავლეთ რომის იმპერიის აღწერაში, ხოლო, როდესაც იგი გადმოდის აღმოსავლეთ რომის იმპერიის ტერიტორიაზე, სულ უფროდაუფრო სცილდება მას. განსხვავება თავს იჩინს თვით ამ ქვეყნებსა გაყოფაშიც. „აშხარაცუციის“ საზღვარს მათ შორის სხვაგან სდებს და ამდენად ამ ქვეყნების შემადგენ-

ლობა სხვანაირია. მცირე აზიის აღწერაში „აშხარაცუიცი“ იძლევა მის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ დაყოფას VI—VII საუკუნეებში. ამასთან დამატებულია კუნძულ კვიპროსის აღწერაც. პტოლემეაიოსისგან აქ დატოვებულია ფაქტიურად მხოლოდ ქვეყნების თანამიმდევრობა. ძალიან ცოტა რამ არის შემორჩენილი პტოლემეაიოსისგან კოლხეთისა და აზიის სარმატიის აღწერაში. ქართლის, ალბანეთის, და დიდი სომხეთის აღწერა სრულიად ახალ მასალაზეა აგებული. ამასთან ამ ქვეყნის აღწერას წიგნის დიდი ნაწილი უჭირავს, იგი ძირითადია „აშხარაცუიცი-სათვის“. ფაქტიურად მთლად ახლებურად არის დაწერილი „შუამდინარეთი“, „სპარსეთი“. დამატებულია რუკა „ერანშაჰრი“, რომელიც პტოლემეაიოსს საერთოდ არა აქვს. მართალია, რიგი რუკებისა იმავე ქვეყნებს აღწერდნენ, რომლებსაც პტოლემეაიოსის რუკები, მაგრამ მათში მხოლოდ თანამიმდევრობა იყო დარჩენილი პტოლემეაიოსისგან, შინაარსი კი ახალი იყო. განსხვავებული იყო, აგრეთვე, აზიის აღწერაც.

ამრიგად, ს. ერემიანის აღწერის თანახმად, ისე გამოდის, რომ „აშხარაცუიცი“ ავტორს ფაქტიურად სრულიად ახალი, ორიგინალური წიგნი დაუწერია, რადგან პტოლემეაიოსიდან მას აუღია მხოლოდ საერთო გეგმა, გაუმეორებია მისგან მხოლოდ დასავლეთ რომის იმპერიის, აფრიკისა და სირიის აღწერა და ერთი საერთო რუკა მსოფლიოსი, დანარჩენი კი თითქმის ყველაფერი ორიგინალური მოუცია. ამდენად, ს. ერემიანი თანამიმდევრული არაა, როდესაც აცხადებს, რომ „აშხარაცუიცი“ იმდენად ჰგავს „გეოგრაფიას“, რომ მათ ავტორებს ზუსტად ერთნაირი მიზნები უნდა ჰქონოდათ. აქ აღარას ვამბობთ იმაზე, რომ თვით ს. ერემიანის მიხედვითაც სინამდვილეში განსხვავება კიდევ უფრო მეტია: მაშასადამე, ს. ერემიანის გამოკვლევაში ეს ორი დებულება, ერთი მხრივ, „გეოგრაფიისა“ და „აშხარაცუიცი“ მსგავსებაზე და, მეორე მხრივ, კი, „აშხარაცუიცი“ ორგინალობაზე, ერთმანეთთან შეთანხმებული არაა.

ამასთანავე, „აშხარაცუიცი“ და „გეოგრაფიას“ შორის მსგავსებაც უფრო მეტია, ვიდრე ეს აღნიშნული აქვს ს. ერემიანს, რადგან თითქმის ყველგან, იქაც კი, სადაც „აშხარაცუიცი“ თითქოს საესებით ორიგინალურია, იგრძნობა პტოლემეაიოსის გავლენა, იქნება ეს ფაქტობრივი მონაცემების გამეორება, თუ სხვა რამ.

მაგრამ ახლა ისმის კითხვა: ყველა ეს მსგავსება საკმარისია, თუ არა იმისთვის, რომ გაკეთდეს დასკვნა: „აშხარაცუიცი“ იმდენად ჰგავს „გეოგრაფიას“, რომ მათ ავტორებს ერთნაირი მიზნები ჰქონიათ და „აშხარაცუიცი“ ატლასს წარმოადგენდაო. ვფიქრობთ, არა, რადგან განსხვავება, რომელიც არსებობს „აშხარაცუიცი“ და პტოლემეაიოსის

„გეოგრაფიას“ შორის, გამორიცხავს ამ შესაძლებლობას. ეს განსხვავება მდგომარეობს შემდეგში: პტოლემეოსის „გეოგრაფიაში“ ყოველი ქვეყნის აღწერის დროს იხსენიება უამრავი გეოგრაფიული დასახელება და ყოველ მათგანს მიწერილი აქვს მისი გეოგრაფიული გრძედისა და განედის რიცხვები. ამდენად, „გეოგრაფიის“ მკითხველს თვით შეუძლია შეადგინოს გრადუსული ბადე და ამ ბადეზე პტოლემეოსის მიერ მითითებულ ადგილას დაიტანოს მოხსენიებული პუნქტი. ამგვარად, ცხადია, შეიქმნება რუკა (თუმცა არა სრულყოფილი, რადგან გაძნელებდა ქვეყნების საზღვრების დატანა. საქმე ისაა, რომ „გეოგრაფიაში“ არ არის და არც შეიძლებოდა მოხსენიებული ყოფილიყო ქვეყნის, კუნძულის, ზღვის ან სხვა მსგავსი გეოგრაფიული ფენომენის კონტურის ყოველი წერტილი). მაინც, ძირითადი რამ შეიძლება წარმოდგენილ იყოს. ყოველ შემთხვევაში, არსებულ რუკაზე შეიძლება მოცემული პუნქტის დატანა, შემოწმება, გასწორება. მაგალითისთვის შეიძლება განვიხილოთ პტოლემეოსის მიერ მოცემული იბერნიისა და ალბიონის აღწერა. „გეოგრაფიაში“ ისინი შეადგენდნენ ევროპის პირველ რუკას. ამ ქვეყნების აღწერისას მოცემულია 179 გეოგრაფიული პუნქტის გრადუსული მონაცემი, ე. ი. ევროპის პირველ რუკაზე იქნებოდა ორასამდე, თუ მეტი არა, წარწერა. კიდევ უფრო დატვირთული იქნებოდა ევროპის მეორე რუკა, სადაც გამოსახული იყო ესპანეთი. აქ მოტანილია 536 პუნქტის გეოგრაფიული მდებარეობის განსაზღვრა. როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ „აშხარაცუიცი“? „აშხარაცუიცი“ პირველ რუკაზე, თუ კი ასეთი არსებობდა, გამოსახული უნდა ყოფილიყო ევროპის მთელი დასავლეთი ნაწილი: ესპანეთი, ბრიტანია. გალია, გერმანია, დალმაცია, იტალია, სარდინია, სიცილია. აქედან ესპანეთზე, ბრიტანიაზე, გალიაზე, დალმაციაზე გრადუსული აღნიშვნით მოცემულია მხოლოდ სიგრძე და სიგანე. გერმანიაზე, იტალიაზე, სარდინიისა და სიცილიაზე ესეც არაა. ამ ნაწილში მოცემული არაა არც ერთი გეოგრაფიული დასახელების გრადუსებში განსაზღვრა. საერთოდ ესპანეთში მოყვანილია სულ შვიდი გეოგრაფიული დასახელება, ბრიტანეთში — ორი, გალიაში — ორი, გერმანიაში — ოთხი, დალმაციაში — შვიდი, იტალიაში — ცამეტი, სარდინიაში — ორი, სიცილიაში — ოთხი, სულ 40-მდე გეოგრაფიული დასახელებაა. ამ რიცხვში შედის თვით ქვეყნების დასახელებაც. ამრიგად, გამოდის, რომ ფაქტიურად რუკა სულ მთლად ცარიელი იყო (მასზე მხოლოდ 40 წარწერა ყოფილა). თითო ქვეყანაზე მოდის სულ ოთხი-ხუთი ლეგენდა-წარწერა. ამასთან არც ერთ მათგანს არ ახლავს რაიმე (მით უმეტეს გრადუსული) გეოგრაფიული განსაზღვრა. ცხადია, ასეთი მონაცემებით სრულიად შეუძლებელია რუკის შედგენა. ამგვარად, საეჭვოდ გვეჩვენება ის მოსაზრება, თითქოს „აშხარაცუიცი“

რუკების შესადგენი სახელმძღვანელო ყოფილიყოს. განსაკუთრებით ცხადად ჩანს ეს იქიდანაც, რომ ტექსტში ძალიან იშვიათადაა მოტანილი მდინარეების სახელები. სამაგიეროდ, ხშირად არის მოხსენიებული ამ მდინარეთა რიცხვი. მაგალითად, ბრიტანელთა ქვეყნის აღწერაში ნათქვამია, რომ მასში არის „მდინარე დიდი თექვსმეტი“, გალიაში „მდინარე ოცდასამი“. ცხადია, რომ ასეთი მოხსენიებით, ე. ი. მხოლოდ რიცხვის დასახელებით, გარეშე სახელისა, გარეშე ამ მდინარის რომელიმე პუნქტის გრადუსულ ბადეზე ლოკალიზაციისა, ყოვლად შეუძლებელია მათი რუკაზე დატანა. მაგრამ ეს ფაქტი მიგვიჩვენებს სხვა გარემოებაზეც. ზევით ჩვენ ვნახეთ, რომ პტოლემეაიოსის „გეოგრაფიის სახელმძღვანელოს“, ან „რუკების შედგენის სახელმძღვანელოს“ ორი ძირითადი მიზანი ჰქონდა: 1. საშუალება მიეცა მკითხველისთვის, თვითონ შეედგინა რუკა და 2. დამახინჯებისაგან დაეცვა რუკაზე მოხსენიებული სახელები. როგორც ვნახეთ, პირველი მიზანი „აშხარაცუიცი“ არა ჰქონია. მდინარეების, მთების, კუნძულების მხოლოდ რიცხვის ხსენება, მათი სახელის დაუსახელებლად, მიგვიჩვენებს იმაზე, რომ, როგორც ჩანს, „აშხარაცუიცი“ არც მეორე მიზანი უნდა ჰქონოდა. „აშხარაცუიცი“ ავტორი რომ ცდილობდეს, თავისი რუკის სახელები დამახინჯებისგან დაიცვას, ცხადია, ის ამ სახელებს უსათუოდ მოიხსენიებდა. აკი ავტორი თვითონაც აღნიშნავს: „ხოლო ვწერთ მდინარეებს მხოლოდ სახელოვანთ, ქალაქებს ძლიერებს, აღუნიშნავდ ვტოვებთ რა უმნიშვნელოთ“. (სუქრ. გვ. 14). აშკარაა, რომ „აშხარაცუიცი“ ავტორს წინ უღევს რაღაც წყარო, საიდანაც იღებს მნიშვნელოვანი ქალაქების, მდინარეების, მთების დასახელებას. დანარჩენებს კი იგი მხოლოდ ითვლის და ამბობს, ამდენი და ამდენი მდინარე ან მთაო. ეს წყარო, ცხადია, პტოლემეაიოსია (ან მასზე დაფუძნებული პაპოს ალექსანდრიელი). ეს ჩანს იქიდანაც, რომ პტოლემეაიოსის ტექსტში დასახელებული მდინარეების, მთების ან სხვა ამდაგვარი დასახელებების რიცხვს ძირითადად ემთხვევა „აშხარაცუიციში“ მოყვანილი რიცხვები.

„აშხარაცუიცი“ ავტორის მიერ გეოგრაფიულ სახელწოდებათა რიცხვის დასახელება გვიჩვენებს იმასაც, რომ, წინააღმდეგ ფიშერის მტკიცებისა, „აშხარაცუიცი“ ავტორი, ეტყობა, სარგებლობს პტოლემეაიოსის ტექსტით და არა რუკებით. ცხადია, რუკაზე ამ დასახელებათა დათვლა უფრო ძნელია, ვიდრე პტოლემეაიოსის მიერ დასახელებულ სიებში. ამიტომ ნაკლებად სავარაუდებელია, რომ „აშხარაცუიცი“ ავტორი რუკებზე ითვლიდა მდინარეებს, მთებს, ქალაქებს, „აშხარაცუიციდან“ ზემოთ მოტანილი მაგალითები ასახავდნენ ვითარებას, რომელიც არის ვრცელ რედაქციაში. კიდევ უფრო მეტი საბუთია ჩვენს სასარგებლოდ მოკლე რედაქციაში, სადაც გეოგრაფიული დასა-

ხელებანი უფრო ნაკლებია. ყურადღებას იქცევს აგრეთვე ერთი ფრაზა, რომელიც გვხვდება მოკლე რედაქციაში პირველივე ქვეყნის, ესპანეთის, აღწერაში, აქ ნათქვამია: „და არა მარტო გავართა და ქალაქთა, არამედ გადავწყვიტეთ დაეწეროთ მხოლოდ სახელოვან მთებზე, ძლიერ მდინარეებზე, მძლავრ ქალაქებზე და თუ რამ მნიშვნელოვანი იქნება, ისე რომ არ მოვიხსენიოთ რიცხვნი, ზომანი და წერილმანი ამბები“ (პატკ. გვ. 8). როგორც ვხედავთ, ავტორი, ასე ვთქვათ, დემონსტრაციულად აცხადებს, რომ იგი განზე ტოვებს „რიცხვებს, ზომებს და წერილმან ამბებს“. ცხადია, „რუკების შედგენის სახელმძღვანელოს“ ავტორისგან ეს განცხადება სავსებით გაუგებარი იქნებოდა, მართალია, ეს ფრაზა მოიპოვება მხოლოდ მოკლე რედაქციაში, მაგრამ ვფიქრობთ, რომ მის უგულვებელყოფა მაინც არ შეიძლება. მით უმეტეს, რომ ის ასახავს საქმის რეალურ ვითარებას.

აქ შეიძლება დიბადოს ასეთი ექვი: ეს ფრაზა მოიპოვება მოკლე რედაქციაში, რომელიც ისევე როგორც ვრცელი, თავდაპირველი, სრული დედნის შემოკლებას წარმოადგენს. იქნებ ეს ფრაზა ეკუთვნის მოკლე რედაქციის რედაქტორს (მით უმეტეს, რომ ეს ფრაზა არ არის ვრცელ რედაქციაში) და არა „აშხარაცუიცის“ ავტორს. ამ ექვის წინააღმდეგ შეიძლება ითქვას შემდეგი: მოკლე რედაქციაში ეს ფრაზა შეიძლება გაჩენილიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სრულ რედაქციაში იქნებოდა მოყვანილი „რიცხვნი და ზომანი“ (ე. ი. გრადუსული აღნიშვნები). თუ ეს ასე იქნებოდა, შეუძლებელია, ამის კვალი არ დარჩენილიყო ვრცელ რედაქციაში მაინც (ეს კი ასე არ არის). თუ სრულ დედანშიც არ იყო „რიცხვნი და ზომანი“, რატომ ჩაწერდა ასეთ ფრაზას მოკლე რედაქციის ავტორი? ცხადია, ეს ფრაზა მოდის თავდაპირველი, სრული რედაქციიდან.

ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ იმ დროს, როდესაც პტოლემეაიოსი თავისი წიგნის შესავალში დაწვრილებით ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ უნდა აიგოს გრადუსული ბადე, როგორ შეიძლება გადატანილ იქნას სიბრტყეზე სფეროს (ე. ი. გლობუსის) ზედაპირი, რაგვარი პროექციები არსებობს რუკებისა, „აშხარაცუიცის“ ავტორი ორიოდ სიტყვით ჩერდება ამ საკითხებზე, თანაც ისე, რომ პრაქტიკულად მისი ცნობების გამოყენება შეუძლებელია.

განვიხილოთ ს. ერემიანის სხვა საბუთებიც, რომლითაც იგი ცდილობს დაპტკაცოს რუკების არსებობა და განსაზღვროს თითოეული რუკის შინაარსი. ესპანეთის, ბრიტანიის, გალიის, გერმანიის, დალმაციის, იტალიის, სარდინიის, სიცილიის აღწერის შემდეგ „აშხარაცუიცში“ არის ფრაზა — „დავამთავრეთ რა ეს რიგი, მივბრუნდეთ ჩრდილოეთისკენ, ოკეანის დანარჩენ ნაწილისკენ და უცნობ მიწისკენ, და-

ნარჩენი ევროპია მივიყვანოთ სამხრეთამდე, ვიდრე იონთა ზღვამდე“ (სუქრა., გვ. 16). მართალია, აშკარაა, რომ ავტორი აქ ამთავრებს ევროპის რომელიღაც ნაწილის აღწერას (როგორც ს. ერემიანს მიაჩნია, 395 წ. იმპერიის გაყოფის შემდეგ დასავლეთ რომის იმპერიას), მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ აქ ჩვენ მაინცდამაინც რუკა უნდა ვიგულისხმოთ? განა ავტორს არ შეეძლო პირდაპირ ეთქვა: დამთავრდა ევროპის პირველი რუკაო? ასეთივე რუკის დამამთავრებელ და დამდასტურებელ ფრაზად მიიჩნევს ს. ერემიანი ფრაზას: „აი, დამთავრდა ეგრეთწოდებული მიჯერკრაიჩი“ (აღსანიშნავია, რომ პირველი „საბუთი“ მოიპოვება ვრცელ რედაქციაში, მეორე მოკლეში, პატკ., გვ. 15). „მიჯერკრაიჩი“ ნიშნავს მცირე აზიას. აქაც სრულიად არაა სავალდებულო, რომ ეს ფრაზა მაინცდამაინც აღნიშნავდეს „აი დამთავრდა ეგრეთწოდებული მიჯერკრაიჩის რუკაო“. კიდევ უფრო ხელოვნურად გამოიყურება ანგვარი დასაბუთება მესამე მაგალითში. დიდი სომხეთის აღწერის შემდეგ (ისევ მხოლოდ მოკლე რედაქციაში) ნათქვამია: „აი, დამთავრდა ყოველი სომხეთი“ (პატკ., გვ. 20). წინააღმდეგ სავსებით ცხადი მითითებისა, ს. ერემიანს მიაჩნია, რომ ამ რუკაზე გადმოცემული იყო კოლხეთი, ქართლი, ალბანეთი და დიდი სომხეთი. იმისთვის, რომ დაასაბუთოს თავისი აზრი, იგი აყენებს დებულებას იმის შესახებ, რომ თითქოს „აშხარაცუციის“ ავტორისთვის ამიერკავკასიის ეს ქვეყნები ერთ ქვეყანას წარმოადგენდა და ისინი ერთ ერთეულად იყო წარმოდგენილი ამ რუკაზეც. ამასთან, იგი ფიქრობს, რომ ამ რუკას შეიძლება რქმეოდა „Հայք“ ან „Սելասպրահայոց Հայոց“. ქვემოთ ჩვენ სპეციალურად მოგვიხდება ლაპარაკი ს. ერემიანის დებულებაზე ამიერკავკასიის ერთიანობის შესახებ. ამჯერად ვიტყვი მხოლოდ, რომ ეს მოსაზრება არ დასტურდება პირველ რიგში თვით „აშხარაცუციით“, რომელიც არა მარტო მშვენიერად ასხვავებს ერთმანეთისგან ამიერკავკასიის ქვეყნებს და ცალ-ცალკე აღწერს მათ, არამედ როგ შემთხვევაში იმასაც კი აღნიშნავს ხოლმე, რომ ესა და ეს ქვეყანა სომხეთს ეკუთვნოდა, ამყამად კი ქართლს, ან ალბანეთსაო. ამგვარად, რუკის დამამტკიცებელი ეს საბუთი აშკარად ხელოვნურია და მიუღებელი.

ყურადღებას იქცევს ისიც, რომ „აშხარაცუციის“ ბოლოს ნათქვამია: „აჰა, დამთავრდა ყოველი მსოფლიო და სიტყვათა თანამიმდევრობა“ (პატკ., გვ. 26). აქედან ჩანს, რომ ეს არის ავტორისთვის დამახასიათებელი ფრაზა.

შესაძლოა ეს იმის დამამტკიცებელ საბუთად მიგვეჩინა, რომ ავტორს სურს აღნიშნოს მსოფლიო რუკის დამთავრება, მაგრამ აღნიშნულ შემთხვევებში თუ რაღაცა საბუთი მაინც არის რუკის განმსაზღვრელი, სხვაგან ესეც არაა. რა საფუძველი არსებობს, მაგალითად,

იმისათვის, რომ ტაპრობანას კუნძულს (ცვილონი) ცალკე რუკა ჰქონოდა და დათმობილი. არავითარი მინიშნება ამაზე ტექსტში არაა. გავითვალისწინოთ ამასთან, რომ ვრცელ რედაქციაში ამ კუნძულთან დაკავშირებით მოხსენიებულია მხოლოდ 7 საკუთარი სახელი, მოკლე რედაქციით კი — ერთი. ან რატომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ცალ-ცალკე რუკები ჰქონდათ დათმობილი ჩინეთსა და ინდოჩინეთს? პირველზე მხოლოდ სამი გეოგრაფიული სახელია მოხსენიებული (ვრცელ რედაქციაში, მოკლეში — ორი), მეორეზე კი ორი (ვრცელში, მოკლეში — ერთი). ძნელი წარმოსადგენია რუკა, რომელზედაც მხოლოდ ორი-სამი წარწერაა. ამასთან მხედველობაშია მისაღები, რომ ამ ქვეყნების აღწერაში ძირითადი ადგილი უჭირავთ ამ ქვეყნების ბუნებრივი სიმდიდრეებისა და ნაწარმის აღწერას. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ გამოდის, ავტორს მეტად არათანაბრად გაუნაწილებია თავისი მასალა. ინდოჩინეთის აღწერას უკავია ცხრა სტრიქონი, ხოლო ამიერკავკასიის ქვეყნებისას კი (ს. ერემიანის თანახმად ერთსაც და მეორესაც თითო რუკა ეთმობოდათ) 240, ე. ი. 27-ჯერ მეტი.

აღსანიშნავია, რომ ამ რუკაზე მხოლოდ სამხეთში 361 დასახელებაა, ინდოჩინეთში კი — ერთი.

ხელოვნურად გამოიყურება აგრეთვე, ჩვენი აზრით, პარალელის გავლება „აშხარაცუიცსა“ და რუსულ „Книга Большому Чертежу“ შორის, აქ თვით სათაურიდანაც კი ჩანს, რომ ეს წიგნი რუკას (чертеж), ერთვის და ეს პირდაპირ არის კიდევაც ნათქვამი წიგნის წინასიტყვაობაში.

კითხვას ბადებს შემდეგი დებულებაც, დაკავშირებული ზემოგანხილულ დებულებებთან. ს. ერემიანის სიტყვით, „აშხარაცუიცის“ დროს უკვე ცხადი იყო, რომ პტოლემეაიოსის მიერ საცხოვრებელი ადგილების ლოკალიზაციის ძირითადი მეთოდი, დაფუძნებული ასტრონომიულ გამოთვლებზე, მოკლებული იყო რეალურ მონაცემებს და ცხადი იყო, რომ მის მიერ მოცემული საცხოვრებელი ადგილების განედისა და გრძედის მონაცემები მეტწილად მოგონილი იქნებოდა, ხოლო ამ ლოკალიზაციის დაზუსტებისათვის პტოლემეაიოსი სინამდვილეში იტინერარების მონაცემებს მიმართავდა. და, მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ „აშხარაცუიცის“ ავტორს იქ, სადაც პტოლემეაიოსის „გეოგრაფიის სახელმძღვანელოს“ მოკლე შინაარსს იძლევა, მოაქვს პტოლემეაიოსის კარტოგრაფიული გამოთვლების გარკვეული მონაცემები, ხოლო იქ, სადაც ის დამოუკიდებელია, განსაკუთრებით დიდი სომხეთის, ქართლის, ალბანეთისა და სასანური ირანის აღწერისადმი მიძღვნილ თავებში, ის სრულიად უყურადღებოდ ტოვებს პტოლემეაიოსის გრადუსულ ბადეს და ბრწყინვალე შედეგებს აღწევს“ (გვ. 16 II).

მაშასადამე, „აშხარაცუიციის“ დაწერის დროს გამოაშკარავებულა პტოლემეაიოსის რუკების მათემატიკური საფუძვლის უვარგისობა. როდესაც „აშხარაცუიციის“ ავტორი უგულვებელყოფდა ამ საფუძველს, იგი ბრწყინვალე შედეგებს აღწევდა. უნდა ვიფიქროთ, რომ „აშხარაცუიციის“ ავტორის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი პტოლემეაიოსის გასწორებაც ყოფილა. მით უმეტეს, რომ თურმე პტოლემეაიოსი ბოჭავდა მას, ხელს უშლიდა ბრწყინვალე შედეგებისთვის მიეღწია.

ჯერ ერთი, უნდა ითქვას, რამდენადაა სწორი, თითქოს „აშხარაცუიციის“ დაწერის დროს გამოქვდავებულიყოს პტოლემეაიოსის გამოთვლების მცდარობა. პტოლემეაიოსისა სჯეროდათ მთელი შუა საუკუნეების მანძილზე და თვით ახალ დროშიც კარგა ხნის განმავლობაში. ამასთან სჯეროდათ ისეთ გამოჩენილ პირებსაც, როგორც იყო თუნდაც ქრისტეფორე კოლუმბი; როგორც ფიქრობენ, სწორედ ამ რწმენას უნდა უმადლოდეს კაცობრიობა კოლუმბის მოგზაურობას. ამიტომ საეჭვოა, რომ „აშხარაცუიციის“ ავტორს შეენიშნოს ეს მცდარობა. ყოველ შემთხვევაში, თუ ამას დავუშვებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს უკანასკნელი შეეცდებოდა გაესწორებინა პტოლემეაიოსის შეცდომები. ამ მხრივსაყურადღებოა, რომ სწორედ ამიერკავკასიის ქვეყნების აღწერისას, რომლებსაც ავტორი ყველაზე უკეთ იცნობდა, და ყველაზე სრულად აღწერდა, ავტორს არც ერთი რიცხვობრივი მონაცემი არ მოაქვს, რაც გვიჩვენებს, რომ მას არაფერი არა აქვს დაპირისპირებული პტოლემეაიოსისთვის. სხვა შემთხვევებში, როგორც ითქვა, მას აქვს ცოტაოდენი რიცხვობრივი მონაცემები და ისინი პტოლემეაიოსისგანაა აღებული. ამ თვალსაზრისით საინტერესოა „აშხარაცუიციის“ შესავალი. აქ ავტორი რამდენიმეჯერ ახსენებს პტოლემეაიოსს. აღნიშნავს, რომ მან მთელი მიწა გაზომაო დასავლეთით ესპანეთის უკიდურესი წერტილიდან სინაელთა ქვეყნის კიდემდე, და სამხრეთით ცხელი სარტყლიდან უცნობ მიწამდე ჩრდილოეთისკენ. „მისგან აიღო შემოკლებით პაპოს ალექსანდრიელმა, რომლისგანაც ჩვენც გადმოვწერეთ, დავტოვეთ რა მხოლოდ დიდი და მნიშვნელოვანი: მანძილთა ზომა, რომელიც გაკეთებულია არა დედამიწის ზედაპირზე, არამედ მთების მწვერვალებზე იარაღებით“ და სხვ. (პატკ. გვ. 3). ამგვარად, როგორც თვით „აშხარაცუიციის“ ავტორი ამბობს, მას ზომები აუღია პტოლემეაიოსისაგან პაპოსის მეშვეობით. იგი არსად არ ამბობს, რომ თვითონ რაიმე გაზომვები ჩაეტარებინოს. ეს მტკიცდება იმითაც, რომ, როგორც ვთქვით, ამიერკავკასიის ქვეყნების აღწერაში არავითარი ციფრობრივი მონაცემი არაა. ცხადია, „აშხარაცუიციის“ ავტორს თუ რაიმე დამოუკიდებელი დაკვირვებები ექნებოდა, სწორედ აქ მოიტანდა. შემდეგ პტოლემეაიო-

სი დაპირისპირებულია კოზმა ინდიკოპლევსტთან და უპირატესობაც მას ეძლევა. ასევე რამდენიმე ხნის შემდეგ „აშხარაცუიციის“ ავტორი აცხადებს, რომ მას პტოლემეაიოსისა უფრო სჯერა, ვიდრე სხვებისა იმ საკითხში, თუ რამდენად ვრცელდება მსოფლიო ოკეანე. მართალია, შემდეგ ის აღარ იზიარებს პტოლემეაიოსის შეხედულებებს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევებში პტოლემეაიოსი აშკარად უფრო სწორია.

„აშხარაცუიციში“ ვკითხულობთ: „დასახელებული მიწის შუა ნაწილად პტოლემეაიოსი ასახელებს ბედნიერ არაბეთს, მაგრამ მე არა მჯერა მისი, რადგან ბედნიერ არაბეთს, საიდანაც სამხრეთის დედოფალი მოვიდა, სახარება ქვეყნის კიდეს უწოდებს. შუა ადგილი ისეთ ადგილს ეწოდება, რომელიც ერთნაირი მანძილითაა დაშორებული ყველა ბოლოდან, სწორედ ასეთი მდებარეობა უჭირავს იერუსალიმს, რასაც ემოწმება წმინდა წიგნი, თუმცა პტოლემეაიოსის გრადუსების თანახმად გამოდის, რომ (იერუსალიმის) აღმოსავლეთით ბევრად მეტია დასახლებული მიწა. ჩვენ კი აღვწერთ ორი გრადუსის ერთში გაერთიანებით.“

ასევე პტოლემეაიოსის გაზომვით სამხრეთისკენ (იერუსალიმიდან) მანძილი 8 გრადუსით მეტია, ვიდრე ჩრდილოეთისკენ, მაგრამ ჩვენ აქაც შევეერთებთ ორ გრადუსს ერთში, შევინარჩუნებთ რა უცვლელად 80 გრადუსს, რადგანაც (დედამიწა სივანეში) ეწეროა. გავყოთ 100 ორზე და ჩვენ მივიღებთ 50-ს და აღვწერთ ამ საფუძველზე. ასევე თუ სამხრეთის ცხელი სარტყლის 8 გრადუსს გავყოფთ შუაზე, მივიღებთ ოთხს, რაც საკმაოდ ზუსტად შეეფარდება პტოლემეაიოსის მიწის აღწერას“.

როგორც ვხედავთ, აქ „აშხარაცუიციის“ ავტორმა პტოლემეაიოსთან შედარებით უპირატესობა მიანიჭა სახარებას, რაც, რასაკვირველია, მის სასარგებლოდ არ ლაპარაკობს. ორივე შემთხვევაში, ცხადია, პტოლემეაიოსი უფრო სწორია, ვიდრე „აშხარაცუიციის“ ავტორი, როდესაც ამბობს, რომ იერუსალიმის აღმოსავლეთით და სამხრეთით ქვეყანა უფრო მეტზე ვრცელდება. პტოლემეაიოსის გავლენისაგან განთავისუფლების შემდეგ თუ რა შედეგებს მიიღწია მან, აღნიშნავს ქ. პატკანოვი: «Все это место, где говорится о произвольном распределении градусов широты и долготы едва ли может быть понятно кому-нибудь. Поэтому оба переводчика этой Географии, братья Вистоны и Сен-Мартен, передали только слова, а не смысл текста. В этом бесцеремонном хозяйничаньи градусами можно допустить положительный смысл только под условием непризнания в авторе самых элементарных понятий о Математической Географии. Лишь в таком случае можно понять смысл произвольных урезываний автора, при желании

его доказать во чтобы то ни стало, что Иерусалим лежит в центре Обитаемой земли».

შემდეგ პატკანოვი არჩევს „აშხარაცუიციის“ ავტორის მიერ შემოთავაზებულ რიცხვებს, ასაბუთებს მათ სრულ უაზრობას და შენიშნავს: «И это он называет точным подражанием Птолемею».

ამგვარად, როგორც ირკვევა, „აშხარაცუიციის“ ავტორი საკმაოდ ცუდად ერკვეოდა ასტრონომიასა და დედამიწის გაზომვის საკითხებში. ამიტომ, ცხადია, მისი მიღწევები ამიერკავკასიის აღწერაში აიხსნება არა იმით, რომ იგი ამ შემთხვევაში სცილდება პტოლემეოსის მავნე გავლენას, არამედ უბრალოდ იმით, რომ როგორც აქაური მკვიდრი უკეთ იცნობს ქვეყანას და როგორც ემპირიკოსი აღწერს მას.

ჩვენ განვიხილეთ აკად. ს. ერემიანის ძირითადი დებულებები „აშხარაცუიციის“ ხასიათზე. ამ დებულებაზე მას აშენებული აქვს რიგი მოსაზრებებისა. მას შემდეგ, რაც მკვლევარმა ივარაუდა „აშხარაცუიციის“ ტექსტთან ერთად რუკების არსებობაც, იგი ლაპარაკობს ამ რუკების შემდგომი ბედის შესახებ. ს. ერემიანის სიტყვით, ეს რუკები, რუკების ატლასი წიგნთან ერთად არაერთხელ გადაწერილა. ამ გადაწერის დროს მათზე ბევრი რამ შეცვლილა, რაც თანდათან რუკებიდან ტექსტშიც შედიოდა და ამგვარად სხვადასხვა ვარიანტები იქმნებოდა. ეს ჩანამატები ძირითადად VII—VIII სს-ზე გვიანდელი არაა, ამიტომ საფიქრებელია, რომ რუკები ამის შემდეგ არ ყოფილა (19 II) რუკების დაკარგვის შემდეგ საერთოდ დაავიწყდათ კიდევაც მათი არსებობა და ატლასის სახელი „აშხარაცუიცი“ დაერქვა მთელს წიგნსო (17 I. II).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზემოთ უკვე გამოჩნდა, თუ რამდენადაა სათუო რუკების არსებობის დაშვება, რაც, ცხადია, საეჭვოს ხდის მასზე დამყარებულ სხვა მოსაზრებებსაც, მაგრამ ორიოდ სიტყვით შევჩერდებით ამ უკანასკნელზეც. უეჭველია, რუკის გადახაზვა მეტ დაკვირვებას, ნიჭსა და ცოდნას მოითხოვს, ვიდრე ჩვეულებრივი ტექსტის გადაწერა. ამიტომ თუ კი ლაპარაკია იმაზე, თუ რა განიცდის ცვლილებას პირველ რიგში, ცხადია, ეს ტექსტია და უკვე შემდგომ რუკა.

მართალია, „აშხარაცუიციში“ შეტანილი ჩანამატების მნიშვნელოვანი ნაწილი VII—VIII სს-შია გაკეთებული, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მოგვიანო ხანების ჩანამატების რიცხვმა დიდად დაიკლო ტექსტის კრიტიკის საფუძველზე. როგორც ცნობილია, „აშხარაცუიციში“ არის რიგი ინტერპოლაციებისა, რომელიც საფუძველს აღწევდა სენტ-კრუასა და სენ-მარტენს, „აშხარაცუიცი“ IX—X საუკუნეებში დაწერილად ჩაეთვალიათ. XIX ს. არემონოლოგებმა, განსაკუთრებით ლ. ინჰიჰიანმა და ქ. პატკანოვმა დაამტკიცეს, რომ საუკეთესო,

უძველეს ხელნაწერებს ეს ინტერპოლაციები არ ჰქონდა. ამითი ის კი არ დამტკიცდა, რომ VII—VIII სს-ის შემდეგ „აშხარაცუიცი“ ცვლილებას არ განიცდიდა, არამედ ის, რომ ასეთი ცვლილებები დიხასციყო, ოღონდ ეს ცვლილებები მოგვიანო ხანისა იყვნენ. ამ მხრივ „აშხარაცუიცი“ არავითარ გამონაკლისს არ წარმოადგენს.

ცალკე განხილვის საგანია თხზულების სათაურის საკითხი.

ს. ერემიანის სიტყვით, ძველ სომხურში „აშხარაცუიცი“ აღნიშნავდა რუკას, ატლასს. აქ იგი იმოწმებს ჰაიკაზიანთა და მალხასიანციის ლექსიკონებს — ბერძნულ *Χαρτογραφία*-სა და *ιστογραφία*-ს აღნიშნავდნენ *աշխարագիր* და *სրկրագրութիւն* სიტყვებით. ჩვენს განსახილველ თხზულებას, ჩანს, ერთ-ერთი ამ ორიდან ჰქონდა სათაურად. მას შემდეგ, რაც რუკები დაიკარგა, მათი სახელი შერჩა დარჩენილ ტექსტს. ეს ახსნა ბადებს კითხვას: რატომ შერჩა სათაური? ერქვა კი „დაკარგულ“ ნაწილს „აშხარაცუიცი“? ამ მხრივ საყურადღებოა, რომ თხზულების ავტორი რუკას *քարտէս* უწოდებს; დიდი სომხეთის აღწერის დასაწყისში ნათქვამია: „აწ მსურს მათ (ე. ი. დიდი სომხეთის) ქვეყნებზე დაწერილებით მოყოლა, თუმცა მცირედად დაეშვრები წიგნებსა და რუკაზე“ (პატკ. გვ. 17). ამრიგად, რუკას თვით „აშხარაცუიცი“ ავტორი უწოდებს *քարտէս*.

„აშხარაცუიცი“ სათაურის საკითხს იხილავდა აშ. აბრაამიანიც. მისი სიტყვით, ამ წიგნის ავტორს თავისი თხზულების სათაურად აუღია პაპოს ალექსანდრიელის წიგნის სათაური „*Χαρτογραφία οἰκουμένης*“, რაც სომხურად „*სრკრագრაფი*“ უნდა ყოფილიყო. ჩვენ ეს აზრიც სათუოდ მიგვაჩნია. ხოროგრაფია, როგორც სწორად აღნიშნავს ს. ერემიანი, ძველ სომხურში გადმოიციემოდა *աշխարագիր* ტერმინით. აქ სიტყვა-სიტყვითი დამთხვევაა (ხოროგრაფია = აშხარაგირს). საინტერესო მონაცემებს იძლევა ამ თვალსაზრისით ერევნის მატენადარანში დაცული 36 ხელნაწერი. მათგან 14-ის სათაურში მოხსენიებულია „აშხარაგირ“, მხოლოდ 7-ის სათაურადაა „აშხარაცუიცი“, სხვა სათაურითაა მოღწეული 7 ხელნაწერი და 8 ხელნაწერს საერთოდ არავითარი სათაური არა აქვს. მაშასადამე, ყველაზე ხშირად გვხვდება „აშხარაგირ“, მაგრამ ეს არის, ასე ვთქვათ, მხოლოდ რაოდენობრივი მხარე. არსებითად თუ კი მივუღებთ, აღმოჩნდება, რომ „აშხარაგირ“ ეწოდება სიძველით მეორე ხელნაწერს (XIII ს.). XII ს., ყველაზე ძველ, ხელნაწერს სათაური აკლია და ამიტომ მასზე მსჯელობა არ შეგვიძლია. „აშხარაგრუთიუნი“ მოხსენიებულია სიძველით მეოთხე (XIV ს.) ხელნაწერში, რომელიც, თვით აშ. აბრაამიანის სიტყვით, საუკეთესოთაგანია

მატენადარანის ხელნაწერებში (№ 582). ნიშანდობლივია, რომ აშ. აბრამიანმა სწორედ ეს ხელნაწერი გამოსცა ანანია შირაკაის თხზულებათა კრებულში, რაც ნიშნავს, რომ მას არათუ ერთ-ერთ საუკეთესოდ, არამედ ყველაზე უკეთესადაც კი მიაჩნია ეს ხელნაწერი.

მართალია, სათაურად „ამხარაყუციცი“ საკმაოდ ადრე ჩნდება, სიძველით მესამე ხელნაწერში — XIV ს-ისა, მაგრამ ძირითადად, შვიდიდან ექვს შემთხვევაში, ე. ი. გარდა ზემოხსენებული ხელნაწერისა, იგი გვხვდება XVII ს. მეორე ნახევარსა და XVIII ს-ში გადაწერილი ხელნაწერების სათაურად. ის გარემოება, რომ „ამხარაყუციცი“ ასე თუ ისე ხშირდება თხზულების სათაურად ასე გვიან (XVII—XVIII სს.), აგრეთვე მოწმობს იმას, რომ თავიდანვე ეს სახელი არ ჰქონია ამ წიგნ-ატლასს. ცხადია, ეს სახელი უნდა დამკვიდრებულყო ატლასის დაკარგვისთანავე, თუ ასეთი რამ მოხდა, და არა 800—900 წლის შემდეგ. „ერკრაჰაფი“ მიღებულია სათაურად მე-17 ს. ხელნაწერში, რომელიც გადაწერილია 1639—1652 წლებში. ამასთან აქ, სათაურში, მთლად გამართული წინადადება არაა. იკითხება ასე „*Մուկէսի խորհնացւոյ աստուգակ է, երկրաչափ յաղագս աշխարհագրութեան աիხգերաց*“ — „მოვსეს ხორენაცის უთქვამს მიწის ზომა შესახებ დღემიწის აღწერისა“. ბოლო სიტყვები წარმოადგენს საკუთრივ თხზულების დასაწყისს და როგორც ვხედავთ, საკმაოდ უხერხულად არის ნახმარი.

როგორც ვხედავთ, ირკვევა, რომ ყველაზე მეტი საბუთი არსებობს იმისა, რომ „ამხარაყუციცის“ თავდაპირველი სათაური „ამხარაგრუთიუნი“ ყოფილიყო. ვფიქრობთ, ამ დებულებას ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ ეს სიტყვა ჩვენთვის ხელსაყრელი მნიშვნელობით იხმარება წიგნის დასაწყისში.

ვრცელი რედაქცია:

Մաստուածաշունչ գիրս ոչ գտանի կատարեալ դիտութիւն աշխարհաց որպիսութեանց, վասն որով հարկաւորիմք ձեռնարկել յարտաքինսն, որք զաշխարհագրութիւն յարմարեցին 'ի ճանապարհորդութենէ եւ 'ի նաւարկութենէ, եւ ստուգեցին երկրաչափութենէ. եւ ինքն երկրաչափութիւն գտաւ յաստուգարաշխութենէ.

საღმრთო წიგნებში არ მოიპოვება სრული მეცნიერება ქვეყანათა რაგვარობის შესახებ, რის გამოც იძულებული ვართ ხელი მოკვიდოთ გარეშე [წიგნებს], რომელთაც ქვეყნის აღწერა გამართეს [სახმელეთო] მოგზაურობათა და ნაოსნობის მიხედვით. და დააზუსტეს ქვეყნის გაზომვით. ბოლო თვით ქვეყნის გაზომვა წარმოიშვა ვარსკვლავთმრიცხველობისაგან.

ამ ნაწყვეტიდან კარგად ჩანს, რომ ავტორი წერს წიგნს გეოგრაფიაზე, „ქვეყანათა რაგვარობის შესახებ“, ანუ „ქვეყნის აღწერის“ შესახებ. ცნება „ქვეყნის აღწერა“ გადმოცემულია ზიტყვით „აშხარაგრუთიუნ“, რაც სავსებით შეესაბამება სინამდვილეს, რადგან „აშხარა-ცუიცი“, მართლაც, „ქვეყნის აღწერის“ წიგნს წარმოადგენს. „აშხარაგრუთიუნი“ გამართული ყოფილა სახმელეთო და საზღვაო მოგზაურობათა შედეგად და დაზუსტებული „ქვეყნის გაზომვით“. ეს ცნება გადმოცემულია სიტყვით „ერკრაჩაფუთიუნ“. „ერკრაჩაფუთიუნ“, „ქვეყნის გაზომვა“ სრულიადაც არ გამოდგება „აშხარაცუიცი“ სათაურად, რადგან, როგორც ითქვა, ეს წიგნი სინამდვილეში ქვეყნის აღწერას და არა გაზომვას ისახავს მიზნად.

ასევე საყურადღებოა მოკლე რედაქციის მონაცემიც:

*შაღაფა აჯისარაფრი-
ქსანს ქასთოაბაქს ფირა იჯ
ოღრე ფთანხბე ინიქ ასახსაქ
აქქ ყიქენ ჩნჯ ფიღს იღრე, ლ აქს
ფქილარანას ლ თაქანსქი*

დედამიწის აღწერის შესახებ
წმინდა წერილში ვერაფერი ვნა-
ხეთ თქმული გაბმით, არამედ რა-
ღაც გაბნეული გადმოცემები,
ისიც ძნელად გასაგები და ბნელი.

აქედანაც კარგად ჩანს, რომ ავტორის მიზანია, დაწეროს „ქვეყნის აღწერა“ — „აშხარაგრუთიუნი“. ამრიგად, საფიქრებელია, რომ სწორედ „აშხარაგრუთიუნი“ უნდა ყოფილიყო წიგნის სათაურიც.

ძალზედ საყურადღებოა საკითხი იმის შესახებ, თუ რა პრინციპი აქვს საფუძვლად დადებული წიგნს მსოფლიოს აღწერაში. „აშხარა-ცუიცი“ ტექსტის შესწავლას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ეს არის მსოფლიოს აღწერა არა პოლიტიკური, ან ადმინისტრაციული, არამედ გეოგრაფიული ერთეულების მიხედვით. მთელი მსოფლიო დაყოფილია სამ მთავარ ნაწილად — ევროპად, აფრიკად და აზიად. ავტორს რომ პოლიტიკური პრინციპი აეღო, იგი ასე ვერ დაყოფდა მსოფლიოს, რადგან ბიზანტიის აღწერაში შევიდოდა ევროპაც, აზიაც და აფრიკაც. ყოველი მათგანი თავის მხრივ იყოფა ნაწილებად, რომლებიც ძირითადად, როგორც ჩანს, გეოგრაფიულ ერთეულებად არიან მიღებული (ბევრი რამ ამ მხრივ „აშხარაცუიცი“ ავტორს, ჩანს, აღებული აქვს პტოლემეაიოსისგან, მაგრამ ისესხა ეს მან სხვისგან, თუ თვით მისივე მოგონილია ეს ამბავი, არსებითად ვითარებას არ ცვლის). რის მიხედვით არიან ეს ქვეყნები ერთმანეთისგან გამოიჯნული? რიც შემთხვევაში ფიზიკურ-გეოგრაფიული მონაცემებით (ნახევარკუთხეული, კუნძული),

ზოგჯერ ეს ქვეყანა შეიძლება ემთხვეოდეს რაიმე დიდ გეოგრაფიულ არეალს, ვთქვათ ჩრდილოეთის მხარეს. ან ისტორიულად ჩამოყალიბებულ ეთნიკურ ერთობას. მაგ. გალია, გერმანია, ზოგჯერ კი პოლიტიკურ ერთეულსაც. მაგრამ ეს შემთხვევითია. დაყოფის საფუძველი არაა პოლიტიკური, ანადმინისტრაციული. ქვეყნები არაა განხილული სახელმწიფოებისა და მათი ადმინისტრაციული დანაყოფების თანახმად. პოლიტიკურ მომენტებს რაოდენ პატარა ადგილი უჭირავთ წიგნში, ჩანს იქიდანაც, რომ მეფეც კი სულ ორჯერაა მოხსენიებული, ერთხელ „ჩრდილოელთა მეფე ხაკანი“ და მეორედ ჩინელთა „მეფე ჭენბაკური სახელად“. რჩება შთაბეჭდილება, რომ ავტორი ამას აკეთებს სრულიად შეგნებულად. იმ დროისათვის, რა დროინდელი ცნობებიც უნდა ჰქონდეს ჩვენს ავტორს, ე. ი. VI—VII სს., ევროპაში საკმაოდ ბევრი სახელმწიფო არსებობდა. ესპანეთში იყო ვესტგოთების სამეფო, ბრიტანეთში ანგლო-საქსების სამეფოები, გალიაში მეროვინგული სამეფოები, იტალიაში ლანგობარდების სამეფო და ბოლოს ბიზანტიის იმპერია. „აშხარაცუიცი“ ავტორმა, შეიძლება ითქვას, თოჯზე მოსიარულის მოხერხებულობა გამოიჩინა და არც ერთი მათგანი არ ახსენა. საოცარია, მაგრამ ბიზანტიაც კი არც ერთხელ არაა მოხსენიებული. საერთოდ ასეთი ერთეული „ბიზანტია“ არც კი იგულისხმება „აშხარაცუიცი“ში“. კონსტანტინოპოლი დასახელებულია როგორც თრაკიის დედაქალაქი. ამასთან თრაკიაც არ იგულისხმება პოლიტიკურ ერთეულად, არამედ რაღაც განყენებულ ქვეყნად.

ასეთივე მდგომარეობაა აფრიკისა და აზიის აღწერაშიც. სათითაოდ არის აღწერილი მცირე აზიის ქვეყნები და არც ერთხელ არაა აღნიშნული, რომ ისინი ბიზანტიის იმპერიაში შედიან. ასევე ცალცალკეა აღწერილი შუამდინარეთი, ბაბილონეთი, სპარსთა ქვეყანა, მიდია, ხუზისტანი, ფარსი, არიელთა ქვეყანა და არაა ნათქვამი, რომ ყველაფერი ეს ერთი სახელმწიფოა — ირანი. ბუნებრივია, რომ ასევე დაუნაწევრებლადაა მოხსენიებული ინდოეთი, ჩინეთი, ინდოჩინეთი. სწორედ ის გარემოება, რომ ჩვენ არა გვაქვს მოცემული რომელიმე განსაზღვრული ეპოქისათვის დამახასიათებელი პოლიტიკური, ან ადმინისტრაციული დაყოფის სურათი, ქმნის ერთ-ერთ უმთავრეს სიძნელეს „აშხარაცუიცი“ს დათარიღებაში. როგორც ირკვევა, „აშხარაცუიცი“ ავტორი ნაკლებად ამყლავნებს, თუ რომელი ეპოქის შვილია.

თუ ჩვენ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ „აშხარაცუიცი“ში წარმოდგენილ დიდი სომხეთის დაყოფას, ვფიქრობთ, რომ ზოგი რამ გასაგები გახდება. დიდი სომხეთის აღწერა მეტად დამახასიათებელია ზემოგამოთქმული თვალსაზრისით. ჩვენ არ ვიცით ზუსტად, როდისაა აღწერილი „აშხარაცუიცი“, ამიტომ ვერ ვიტყვი, როგორ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი მასში დიდი სომხეთი. ყოველ შემთხვევაში ცნო-

ბილია, რომ „აშხარაცუიცი“ დაწერილია არაუადრეს VI ს-ის დასასრულისა. ამ დროს კი დიდი სომხეთი როგორც პოლიტიკური ერთეულად არ არსებობს. იგი სხვადასხვა ზომით სხვადასხვა ეპოქაში გაყოფილია ირანსა და ბიზანტიას შორის. 387—591 წწ. შორის დიდი სომხეთის ორი ნაწილი—მათალი სომხეთი და წოფქი ბიზანტიამაია, დანარჩენი კი ირანს ეკუთვნის. ირანისთვის კუთვნილი ქვეყნიდან ზოგი ოლქი უშუალოდ ირანის შემადგენლობაშია, ხოლო ქვეყნის ცენტრალური ნაწილი ცალკე ერთეულად 428 წლამდე სამეფოს, ხოლო მას შემდეგ კი სამარზპანოს სახით შედის ირანში. ეს ცენტრალური ნაწილი შემდგომში ცალკე შაჰრად იქცევა. 591 წ. შემდეგ ხდება ხელახალი განაწილება სომხეთის ცენტრალური ნაწილის, რომლის დასავლეთი მხარე ბიზანტიელების ხელში გადადის. VI ს. დასაწყისში ირანი ახერხებს დროებით დაბრუნებას 591 წ. დაკარგული სომხურ მიწებისა, მაგრამ 592 წ. იმპერატორი ჰერაკლე აღადგენს 591 წ. სტატუსს. ამგვარად, „აშხარაცუიცი“ ავტორს, ცხადია, შეეძლო მოეცა დიდი სომხეთის პოლიტიკური ვითარების ნიშანდობლივი აღწერა, მაგრამ არაფერი ამისდაგვარი აქ გაკეთებულად არ არის. არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი სომხეთის რეალურ ვითარებაზე. სომხეთი ნაჩვენებია, როგორც ერთგვარი ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეული, რომელიც არსებობდა 387 წ. გაყოფამდე. ამგვარად, როგორც ვხედავთ, უგულვებელყოფილია პოლიტიკური მომენტი, ყოველ შემთხვევაში ავტორისთვის თანამედროვე ეპოქის თვალსაზრისით მაინც. მართალია, ზემოთ ითქვა, რომ სომხეთი წარმოდგენილია 387 წ. წინაღობიდან პოლიტიკურ საზღვრებში, მაგრამ ეს არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ავტორს სურს წარმოადგინოს წარსული პოლიტიკური ვითარება. ეს რომ ასე იყოს, იგი უთუოდ არც სიტყვას დააკლებდა და აღნიშნავდა, რომ მოცემული აქვს დიდი სომხეთის სამეფო, ან სხვა რაიმე პოლიტიკური მომენტი. აქ კი ამაზე არაფერია ნათქვამი. შთაბეჭდილება ისეთია, რომ ავტორი აღწერს რაღაც ისტორიულად ოდესღაც ჩამოყალიბებულ გეოგრაფიულ ერთეულს. ასევეა წარმოდგენილი სომხეთის შემადგენელი ნაწილებიც.

„აშხარაცუიცი“ დიდი სომხეთი წარმოდგენილია 15 ქვეყნად — ნაჰანგად. რას წარმოადგენდა ნაჰანგი „აშხარაცუიცი“ ავტორისთვის? ვფიქრობთ, რომ აქაც პირველ პლანზე წამოწეულია ისტორიულ-გეოგრაფიული პრინციპი. ამ თხუთმეტ ნაჰანგში ზოგიერთი პოლიტიკური ერთეულს წარმოადგენდა, სამაგიეროდ ზოგი მხოლოდ გეოგრაფიული ერთეული იყო. მაგალითად, აირარატი შეიძლება განხილულ იქნას როგორც პოლიტიკური ერთეული. სანამ სომხეთში არშაქიდები მეფობდნენ, აირარატი მეფის დომენს წარმოადგენდა და ამდენად მას ალბათ ექნებოდა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულის დამახასია-

თებელი ნიშნებიც. არშაკიდების ძალაუფლების მოსპობის შემდეგ აირარატი სომხეთის მარზპანის გამგებლობაში შევიდა. აირარატიდან აგრეთვე გადასახადს მარზპანი ხმარობდა პირადად და ამავე გადასახადით იკვებებოდა სომხეთში მდგარი ირანელთა ჯარი. ძნელი სათქმელია, რა ვითარება იყო „აშხარაცუციის“ დაწერის დროისათვის, მით უმეტეს, რომ ისიც არ ვიცით ზუსტად, რა დროს დაიწერა ეს წიგნი (აქ, ცხადია, წლებს აქვს მნიშვნელობა). ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ სომხეთის ეს ცენტრალური და უმნიშვნელოვანესი რაიონი ამ დროს თუ არა, წინა ეპოქაში მაინც უნდა ყოფილიყო პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეული. პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულად შეიძლება ჩაითვალოს ტაიქის ნაჰანგი, რადგან მთელი ეს ქვეყანა ერთ ფეოდალურ ერთეულს, მამიკონიანების სამფლობელოს წარმოადგენდა. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს სიუნიქის შემთხვევაშიც, რომელიც აგრეთვე ერთი ფეოდალური სახლის სამფლობელო იყო. მეტიც შეიძლება ითქვას. 571 წ. სიუნიქი საერთოდ გამოეყო სომხეთს და ცალკე შაჰრად შევიდა ირანის სახელმწიფოში. ასე იყო იგი 640 წლამდე. ცალკე პოლიტიკური ერთეულები იყვნენ თავის დროს გუგარქი, მეოთხე სომხეთი, ალძნიქი. გუგარქი ჯერ კიდევ II ს. ძვ. წ. წაართვეს სომხებმა იბერიას (სტრაბონი). სომხეთის სამეფოში იგი ცალკე ერთეულად, საპიტიახშოდ, ჩამოყალიბდა. ამას, ჩანს, ხელს უწყობდა ისიც, რომ იგი ეთნიკურად განსხვავდებოდა. გუგარქს ჰქონდა მიდრეკილება, ისევე იბერიას დაჰბრუნებოდა. ასე მოხდა კიდევაც 387 წ. მეოთხე სომხეთი წოკვის სახელით ერთ-ერთ უძველეს სომხურ სამეფოს წარმოადგენდა. ტიგრან II დროს იგი დაპყრობილ იქნა და, როგორც ფიქრობენ, ამ დროს მისი მეფე ბდეშხად იქცა. სამივე ეს საპიტიახშო დიდ სომხეთს ჩამოსცილდა 387 წ. ამასთან საინტერესოა, რომ 536 წლამდე მეოთხე სომხეთი შედგებოდა ხუთი თუ ექვსი სატრაპიისაგან, მას ასე ერქვა კიდევაც — „სატრაპთა სომხეთი“. ამ პერიოდში იგი, ცხადია, პოლიტიკურ ერთიანობას აღარ წარმოადგენდა, რადგან პიტიახშობა აქ გაუქმებული იყო. 536 წ. იგი ისევ იქცა ადმინისტრაციულ ერთეულად იუსტინიანეს ბრძანებით, როდესაც მისგან შეიქმნა ეგრეთწოდებული მეოთხე სომხეთი. გუგარქისა და ალძნიქის შემდგომი ბედი, როგორც პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულებისა, უცნობია. თუმცა VII ს.-ში ისინი სომეხი ავტორისთვის მხოლოდ ისტორიული კატეგორია თუ შეიძლება იყვნენ. როგორც ირკვევა, ისინი როდესაც მაინც წარმოადგენდნენ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულებს. სამაგიეროდ, „აშხარაცუციში“ დასახელებულ ნაჰანგთა სიაში ჩვენ ვხედავთ ისეთებსაც, რომლებიც, რამდენადაც ცნობილია, ასეთად არასოდეს ყოფილან. მაგალითად, ვასპურაკანი, უდიდესი სომხურ ნაჰანგთა შო-

რის; ამ ნაპანგის ტერიტორიას ჩვენ შეგვიძლია თვალი გავადევნოთ III—IV საუკუნეებიდან. ამ დროიდან იგი ერთიანობას პოლიტიკურ-ადმინისტრაციული თვალსაზრისით არ წარმოადგენდა. ვასპურაკანის სხვადასხვა ქვეყანა ეკუთვნოდა უდიდეს სანახარარო გვარებს: არწრუნებს, მარდპეტებს, რშტუნებს, ამატუნებს. მათ გარდა აქ იყო მრავალი წვრილი სანახარარო გვარი (ანძევაცი, ტრაპატუნი, ერვანდუნი, ვარძავეუნი და სხვ.). როგორც ვხედავთ, ეს უზარმაზარი ქვეყანა მრავალი მეტნაკლები სიდიდის ერთეულისაგან შედგებოდა. ასევე ერთ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულად არასოდეს ყოფილა მეორე უდიდესი სომხური ნაპანგი — ტარუბერანი. იგივე ითქმის მაღალ სომხეთზე. ეს უკანასკნელი ბიზანტიამ მიიღო 387 წლიდან 536 წლამდე. ისიც, როგორც სატრაპთა სომხეთი, შინაგანი დამოუკიდებლობით სარგებლობდა და მას, ჩანს, ადგილობრივი ნახარარები განაგებდნენ. 536 წ. მას შეუერთდა მცირე სომხეთისა და პოლემონის პონტოს ნაწილები და ამის შემდეგ, მართლაც, ვახდა ადმინისტრაციულ ერთეულად, მაგრამ ამ შეერთებების წყალობით არა მაღალი სომხეთის სახით, არამედ უფრო დიდ ერთეულად.

ეს ნაპანგები როგორც პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და გეოგრაფიული ერთეულები, ჩანს, სხვადასხვა ეპოქაში და სხვადასხვა პირობებში ჩამოყალიბდნენ. ზოგი მათგანის საფუძველი ყოფილა ეთნიკურ-პოლიტიკური მომენტი. ასეთები იქნებოდნენ ტაიქი, მოკქი (მოკები აქ ძველად მოსახლე ტომი იყო), სიუნიქი, უტი, გუვარქი. ზოგისა მხოლოდ პოლიტიკური — აირარატი. ზოგი მათგანი კი, ჩანს, არსებობდა მხოლოდ როგორც გეოგრაფიული ცნება — ტარუბერანი, ვასპურაკანი, მაღალი სომხეთი. აქ უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ნაპანგს, თუ ის სანახარაროს არ ემთხვეოდა, თავისი საერთო ადმინისტრაცია არ ჰქონდა.

ზემოთქმული, ვფიქრობთ, უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სომხეთის ნაპანგების აღწერისას ავტორი ჩამოთვლის არა პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულებს, არამედ ქვეყნებს ისტორიულ-გეოგრაფიული გაგებით. აქ წარმოდგენილია სომხეთი ისტორიულ-გეოგრაფიული გაგებით და ასეთივე საზღვრებში.

მივყვით შემდგომ. ყოველი ნაპანგი აღწერილია იმ გვარების შემადგენლობით, რომელნიც მასში შედიოდნენ. რას წარმოადგენდნენ ეს გვარები? ვფიქრობთ, რომ აქაც იგივე პრინციპია გატარებული, რაც ადრე იყო. „აშხარაკუციში“ გვარები გეოგრაფიული ერთეულები უნდა იყოს. სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია აზრი, რომ პლინიუსთან მოხსენიებული სომხეთის 120 სტრატეგია უნდა აღნიშნავდეს „აშხარაკუციის“ გვარებს (სხვათაშორის, „აშხარაკუციში“ ჩამოთვლილია 189 გვარი). ეს მოსაზრება, ჩვენი აზრით, მისაღებია.

მართლაც, სტრატეგია-გავარის იგივეობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ პლინიუსთან დასახელებული ერთი სტრატეგია — კარანიტა — ემთხვევა გავარ კარინს. ამაზე ლაპარაკობს რიცხვიც. სამწუხაროდ, ძნელი გასარკვევია, რას წარმოადგენდა პლინიუსის სტრატეგიები. აღსანიშნავია, რომ სტრაბონთან ეს სტრატეგიები მოხსენიებული არაა. ამის საფუძველზე ნ. აღონცი ფიქრობდა, რომ სტრატეგიებმა ოფიციალურად სანქცია მიიღეს სომხეთის პირველი არშაკიდი მეფის ტრდატის დროს, თვით სტრატეგიების წარმოშობა კი, მისი აზრით, განეკუთვნება უფრო აღრინდელ ხანას და ადგილობრივ ნიადაგზე უნდა ვიგულისხმოთ. ამასთან ნ. აღონცს მიაჩნია, რომ სტრატეგიებს აღმინისტრაციული ხასიათი არ უნდა ჰქონოდათ (გვ. 434).

საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული გავარების შესახებ აკად. ს. ერემიანს, რომლის სიტყვით, სომხეთში პლინიუსის სტრატეგია-პრეფექტურები ე. ი. გავარები, წარმოადგენდნენ საგადასახადო ერთეულს. შემდგომში, როდესაც წარმოიშვა სანახარარო-სამფლობელოები, მათში შევიდა თითო, ან რამდენიმე გავარი. მაგრამ სამეფო სამდივნოში გავარები დარჩნენ საგადასახადო ერთეულებად. მაშინაც კი, როდესაც სომხეთში მეფობის მოსპობის შემდეგ ბიზანტიელებმა და ირანელებმა სომეხ ნახარარებს დაუმტკიცეს მათი უფლებები მემკვიდრეობითად, გავარებმა შეინარჩუნეს თავიანთი ძველი მნიშვნელობა. სამარზუპანო სომხეთში ისინი საგადასახადო თვალსაზრისით ექვემდებარებოდნენ პაზარაპეტებს. ამიტომაცაა, რომ „აშხარაცუიც“-ში დიდი სომხეთი სრულიად არაა წარმოდგენილი სანახარაროებად დაყოფილი. პერიოდულად ეწყობოდა ქვეყნის აღწერები, რაც დაკავშირებული იყო ახალი დინასტიის გამეფებასთან, ან ქვეყნის დაპყრობასთან უცხო მფლობელის მიერ. აღწერის დროს ჩვეულებრივ იცვლებოდა გავარის ტერიტორიული შემადგენლობა და სასაზღვრო ქვები, საჰმანები. ცნობილია საჰმანები ძვ. წ. III ს. სევანიდან არტაშეს I დროს დადგენილი (II ს. ძვ. წ.) — „არტაშისაკან“, ახ. წ. III ს. „არტაშისაკან“, ტრდატის დროინდელი „არტაშისაკან“ (რატომ „არტაშისაკან“ და არა სხვა, ტრდატი ხომ სხვა დინასტიას ეკუთვნოდა?). ამავე დროს მოხდა გაჰმანაკისა და ზორანამაკის აღდგენაც. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში ხდება დიდი ცვლილებები სანახარაროთა ცხოვრებაში, გავარები მაინც რჩებიან საგადასახადო ერთეულებად, მიუხედავად იმისა, ემთხვეოდა თუ არა ისინი სანახარაროებს. ახალი აღწერა მოხდა 439 წ. ხოლო მანამდე, 432 წ., მიღებულ იქნა ახალი გაჰმანაკი და ზორანამაკი. დაბოლოს აღწერა მოხდა კავად I მეფობის დასასრულსა (488—531) და ხოსრო ანუ შირვანის მეფობის დასაწყისში (531—578). „აშხარა-

ციუციის“ ავტორს ხელთ ჰქონდა აღწერის ეს წიგნები, გაჰნამაკები და ზორანამაკები. მათ საფუძველზე დაწერა თავისი წიგნი.

მიუხედავად თავისი გამართულობისა, ეს თეორია მრავალმხრივ საკამათოდ გვეჩვენება. ძირითადი, რაც იწვევს წინააღმდეგობას, არის საკითხი — იყო თუ არა გავარი საგადასახადო ერთეულად ძველ სომხეთში. უნდა ითქვას, რომ არავითარი პირდაპირი ცნობა ამის შესახებ ჩვენ არა გვაქვს. აკად. ჰ. მანანდიანი სპეციალურად იკვლევდა საკითხს საგადასახადო სისტემისა ძველ სომხეთში. მისი დასკვნით, ბღეშები და მსხვილი ნახარალები მეფეს გადასახადებს არ უხდიდნენ. სომხეთის მეფისთვის მათ მხოლოდ უნდა მიერთმით საჩუქარი. ამ მხრივ საინტერესოა ის გარემოებაც, რომ, როდესაც 387 წ. ბიზანტიამ მიიღო დიდი სომხეთის ნაწილები, ე. წ. სატრაპთა სომხეთი, ანუ გვიანდელი IV სომხეთი, ამ ქვეყნის სანახარაოებმა შეინარჩუნეს შინაგანი დამოუკიდებლობა და ამასთან ბიზანტიის კეისარს უხდიდნენ მხოლოდ „გვირგვინის ოქროს“⁴³. ჩვენ ვიცით, რომ საპიტიაწოები ჩამოშორდნენ სომხეთს 387 წ., რადგანაც „აშხარაცუციის“ ავტორმა იცის მათი დაყოფა გავარებად. ირკვევა, რომ ამ თარიღამდეც არსებობდა ამ ქვეყნების დაყოფა გავარებად. მაგრამ თუ საპიტიაწოები გადასახადს არ იხდიდნენ, მაშინ გავარებიც არ იყვნენ საგადასახადო ერთეულები. შაშ რაღას წარმოადგენდნენ ეს გავარები? იგივე უნდა ითქვას ისეთ დიდ სანახარაოებზე, როგორც იყო ტაიქი ან სიუნიქი. ცხადია, თუ ეს სანახარაოებიც არ იხდიდნენ გადასახადებს, არც მათი გავარები იყვნენ საგადასახადო ერთეულები, ყოველ შემთხვევაში ისინი არ წარმოგვიდგებიან სახელმწიფო მასშტაბის საგადასახადო ერთეულებად. არა გვგონია, რომ ისინი სანახარაოს საგადასახადო ერთეულებად შეიძლებოდეს მიგველო, რადგან გავარები როგორც საგადასახადო ერთეულები მეტად დიდია სახელმწიფო მასშტაბით, არა თუ ცალკე სანახარაოსი.

თუ ჩვენ მივიღებთ, რომ გავარი არის უწვრილესი საგადასახადო ერთეული, გამოვა, რომ საგადასახადო სიებს, ალბათ, დაახლოებით ისეთივე სახე ექნებოდათ, როგორც აქვს თვით „აშხარაცუციის“, რომლის უწვრილესი ერთეული აგრეთვე გავარია. მაგრამ, ცხადია, რომ ასეთი საგადასახადო სიის პრაქტიკულად გამოყენება შეუძლებელი იქნებოდა თავისი დიდი მასშტაბების გამო. საგადასახადო ერთეულად, საფიქრებელია, ყოფილიყო სასოფლო თემი, ამიტომ საგადასახადო სიებიც ამ სასოფლო თემების მიხედვით იქნებოდა აღწერილი. ამ შემთხვევაში ეს სიები ძალიან დაწვრილებითი იქნებოდა, იქ ხომ ყოველი სასოფლო და საქალაქო თემი მოიხსენიებოდა. თუ „აშხარაცუციის“

⁴³ ლ. შ ა ნ ა ნ ი კ ა ნ, *Филологический вѣстник Закавказья*, გვ. 89.

ავტორს ასეთი სიები ექნებოდა, საფიქრებელია, მისი აღწერა ბევრად უფრო დაწვრილებითი იქნებოდა. აქ კი ზოგიერთი ნაჰანგის აღწერაში მხოლოდ გავარებია ჩამოთვლილი. საუკეთესო შემთხვევაში მოცემულია გავარების მდებარეობა ურთიერთმიმართ — („ეს ამის აღმოსავლეთითაა“), დასახელებულია უმთავრესი მდინარეები ნაჰანგისა, სიმაგრეები, ძალიან იშვიათად ქალაქები და საკმაოდ ხშირად ფაუნის წარმომადგენლები.

საყურადღებოა, რომ თვით ს. ერემიანი იძულებულია აღნიშნოს: „მხოლოდ შემდგომში, როდესაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა სომეხი ნახარების მემკვიდრეობითი მიწისმფლობელობა, დროთა განმავლობაში „აშხარაცუიცი“-ში მოცემული გავართა დაყოფის სისტემა დაირღვა. წინ გამოვიდა ახალი ტერიტორიული დაყოფა, რომელშიც არ იყო განსაზღვრული სისტემა, რაც დამახასიათებელია ფეოდალური ეპოქისათვის. მართალია, ამ გავარების უდიდესი ნაწილი ჯერ კიდევ რჩებოდა, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ჩვეულებრივ ყოველი გავარი შეეფარდებოდა ოროგრაფიულ ერთეულს — იგი ჩაკეტილი ველი, ზეგანი, ან ხევი იყო, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით დაყოფილი იყო და სხვადასხვა ფეოდალურ სამფლობელოს საზღვრებში იყო“ (გვ. 22—23). ს. ერემიანი, როგორც ვხედავთ, გვიანდელი ეპოქისთვის, მას შემდეგ, რაც „სავსებით ჩამოყალიბდა სომეხი ნახარების მემკვიდრეობითი მიწისმფლობელობა“, გავარებს მხოლოდ გეოგრაფიულ ერთეულებად მიიჩნევს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ გავარები ასეთად უნდა იყვნენ მიჩნეულნი ადრინდელ ეპოქაშიც. ყოველ შემთხვევაში, IV—V საუკუნეებშიც, VII საუკუნეზე, „აშხარაცუიციის“ დაწერის დროზე რომ აღარ ვილაპარაკოთ, გავარების წარმოშობასა და არსებობაზე იგივე შეიძლება ითქვას, რაც ნაჰანგებზე. ჩანს, რიგ შემთხვევებში ისინი წარმოშვა ეთნიკურმა, რიგ შემთხვევებში პოლიტიკურმა ან შეზღუდულმა გეოგრაფიულმა პირობებმა. საყურადღებოა, მაგალითად, რომ აირარატის გავარები უკლებლივ ნაწილდებოდნენ არეზის შესართავების ხეობებში: კარახის ზემო დინებაზე იყო ნილი, ქვემოზე — არაგაწ-ოტნი, ჰრანზდანის ზემო დინებაზე იყო ვარაყუნნი, ქვემოზე — კოტაიქი, აზატის ზემო დინებაზე — მაზაზი, ქვემოზე — ვოსტანი დვინი, მდ. ვედის ხეობაში იყო ურწი და არაწი, შემდეგ კი შარუხის დაბლობი და სხვ⁴⁴. გეოგრაფიულ პირობებთან ერთად, ჩანს, დიდი როლი შეასრულა გავარების წარმოშობაში ეთნიკურმა სიჭრელემ, რომელიც უძველესი დროიდან არსებობდა სომხეთის ტერიტორიაზე. ეთნიკური სახელებიდანაა წარმოშობილი მრავალი გავარის სახელწოდება (სპერი, ხუთი, ჯავახქი, კლარჯქი, მოკქი).

⁴⁴ Н. Адонц დასახ. ნაშრ., გვ. 302.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ გავარი არ ყოფილა სანახარაროს საფუძველი. იყო შემთხვევები, როდესაც სანახარარო შედგებოდა რამდენიმე გავარისაგან (ტაიქი, სიუნიქი, გუგარქი...) და, პირიქით, ერთ გავარში რამდენიმე სანახარარო მდებარებოდა. საინტერესოა, რომ ტარუბერანის მთავარ გავარის ტარონის ნაწილი ეკუთვნოდა მამიკონიანებს, ნაწილი კი ეკლესიას, რომლის მიწები სომხეთის გაქრისტიანებამდე ეკუთვნოდა ვაჰუნის წარმართულ ტაძარს. რომ გავარი და სანახარარო ერთმანეთს არ ემთხვევა, ჩანს იქიდან, რომ „აშხარაცუიციის“ თანახმად სომხეთში VII ს-ში არის 189 გავარი, ხოლო ნ. ადონცის გამოთვლით VI ს-ში სომხეთში უნდა ყოფილიყო 50-მდე სანახარარო. მაშასადამე, თუ გავარი სანახარაროსგან განსხვავებული პოლიტიკური ორგანიზმი იყო, მას თავისი მმართველობაც ექნებოდა, მაგრამ წყაროებში არც ერთხელ არ იხსენიება გავარის რაიმე ადმინისტრაცია, როგორც ასეთი.

უნდა ითქვას, რომ გავარებისა და ნაპანგების წარმოშობის საკითხი მეტად რთულია, მას აქვს არა მარტო კონკრეტული, არამედ ზოგადთეორიული მხარე და მის გადაწყვეტას დიდი კვლევა სჭირდება. აქ ჩვენ მხოლოდ ზოგიერთი მოსაზრება გვაქვს წარმოდგენილი ამ საკითხზე. ერთი რამ კი ჩვენთვის ნაკლებად საეჭვოა, ის, რომ „აშხარაცუიციის“ ავტორის დროს გავარი არ იყო საგადასახადო ერთეული. არ იყო ის არც პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულიც. ამდენად ამ შემთხვევაშიც „აშხარაცუიციის“ ავტორი იძლეოდა ქვეყნის აღწერას გეოგრაფიული თვალსაზრისით და თავისი წესისთვის არ უღალატნია. მაგრამ რატომ უნდა მოეცა „აშხარაცუიციის“ ავტორს სომხეთის გეოგრაფიული აღწერა საგადასახადო ერთეულების მიხედვით? რამდენადაც ვიცით, ეს საკმაოდ უჩვეულო ამბავია გეოგრაფიულსა და კარტოგრაფიულ ლიტერატურაში. ეს ვითარება, აკად. ს. ერემიანის აზრით, აიხსნება იმით, რომ როგორც ზევით ითქვა, „აშხარაცუიციის“ ავტორის ძირითად წყაროებს შეადგენდნენ ქვეყნის აღწერის წიგნები, გაქანამაკები და ზორანამაკები.

როგორც ვნახეთ, ს. ერემიანი ჩამოთვლის რამდენიმე აღწერას, რომელიც მოხდა სომხეთში. ერთ-ერთი, რიგით არაპირველი აღწერა, მისი სიტყვით, მოხდა ტრდატის (287—332) დროს. ამავე დროს ყოფილა აღდგენილი გაქანამაკი და ზორანამაკი. ეს დოკუმენტები, რომლებიც იძლეოდნენ ქვეყნის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ და სამხედრო დაყოფას, ინახებოდნენ სამეფო სამდივნოში. ს. ერემიანის სიტყვით, „აშხარაცუიციის“ ავტორი ისეთ დაწვრილებით ცოდნას ამჟღავნებს ამ დროინდელი პოლიტიკური და ადმინისტრაციული დაყოფისა, რომ მას უნდა გამოეყენებინა ეს დოკუმენტებიო. შემდეგ, ახალი

გაჰანამაკი და ზორანამაკი იყო შედგენილი 432 წ. აღწერა ჩატარდა 439 და თითქმის ზუსტად ერთი საუკუნის შემდეგ. აი, ეს წყაროები ჰქონდა ხელთ „აშხარაკუიციის“ ავტორსო.

რასაკვირველია, გამორიცხული არ არის, რომ „აშხარაკუიციის“ ავტორი იცნობდა ამ დოკუმენტებს, მაგრამ, ჩვენი აზრით, ისინი არ იყვნენ მისი ძირითადი წყაროები. ავტორს რომ ხელთ ჰქონოდა ტრადიტის დროს, ე. ი. 298—332 წლებს შორის ჩატარებული აღწერის წიგნი, მაშინ მის აღწერას სხვაგვარი ხასიათი ექნებოდა იმ მხრივაც, რომ ამ აღწერის წიგნში არ იქნებოდა შეტანილი საპიტიანოებები და, საფიქრებელია, დიდი სანახაროებიც როგორც ის ქვეყნები, რომლებშიც აღწერა არ ტარდებოდა (როგორც ითქვა, ისინი განთავისუფლებულნი იყვნენ გადასახადებისაგან). დანარჩენი მიწები კი „აშხარაკუიციში“ აღწერილი იქნებოდა თანაბრად. ამ მხრივ მეტად საყურადღებო დაკვირვება აქვს ნ. აღონცს. მისი სიტყვით, «Вообще описание армянских областей ведется в Географии неравномерно: из 15 стран подробно описаны только Айрарат, Таруберан, Четвертая Армения и Тайк; остальные страны перечисляются с их подразделениями, без указания на дислокацию последних. Именно такая неровность замечается и в описании Васпуракана. Это двойственное отношение следует объяснить, очевидно тем, что автор Географии неодинаково хорошо знал описываемые местности: центральные области изображаются несравненно обстоятельнее, чем окраинные» (314—315).

მაწვე შენიშნა, რომ ვასპურაკანის აღწერისას მისი 36 გავარის პირველი 18 გავარი გარკვეული პრინციპით არის დალაგებული, დანარჩენი კი არეულია. ამგვარად, ირკვევა, რომ ავტორს ჰქონდა კარგი ცნობები აირარატზე და ტარუბერანზე, რაც ს. ერემიანის თვალსაზრისით, ბუნებრივი იქნებოდა, რადგან ეს ნაჰანგები უთუოდ აღწერაში მოხვდებოდნენ. მაგრამ ამავე დროს ავტორს ასეთივე კარგი ცნობები ჰქონია მეოთხე სომხეთზე და ტაიქზე, რომლებშიც ეს აღწერა ალბათ არ ჩატარდებოდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მეოთხე სომხეთი ჩამოშორდა დიდ სომხეთს 387 წ. ირკვევა აგრეთვე, რომ ვასპურაკანის ნაწილს ავტორი უკეთ, ნაწილს კი უარესად იცნობდა. ჩანს, ავტორს ტოლფასოვანი ცნობები არა ჰქონია.

საყურადღებოა, აგრეთვე, შემდეგიც. ფავსტოს ბუზანდის ისტორიიდან ვიცით, რომ არშაკ II დროს (345—367) ირანთან მრავალწლიანმა ომებმა სომხეთი სავსებით გააჩანაგეს. დამარცხებებმა და დღლილობამ სულიერად გატეხეს არშაკის ქვეშევრდომები: „დაიწყო დაშლა მეფის ბანაკში, დაიწყეს მეფე არშაკის მიტოვება და წასვლა

დაეს დაშლა დაიწყო დიდ-დიდ დიდებულთაგან. ჯერ ალძნიქის ბღეშხი და ნოშირაქანის ბღეშხი და მაჰკერ-ტუნია და ნიჰორაკანის და დანის და მთელი ალძნიქის ნახარაობა, მათი ჯარი და მთელი ალძნიქის გვარი აჯანყდა სომეხთა მეფის არშაკის წინააღმდეგ და წავიდა და მიუვიდა სპარსთა მეფე შაჰუჰს“. ასევე მოიქცნენ სხვა განაპირა ოლქების მმართველებიც. ფავსტოსის ცნობით, არშაკის მთავარსარდალმა მუშელმა დალაშქრა ეს ქვეყნები და დაუბრუნა სომხეთის მეფეს. მართლაც, ისინი შემდგომში იხსენიებიან სომხეთის შემადგენლობაში. არ იხსენიება მხოლოდ ისეთი დიდი ერთეული, როგორც იყო ნოშირაქანის საპიტიახშო. ნოშირაქანის საპიტიახშოს ჩამოცილება სომხეთიდან მომხდარა არაუგვიანეს 365 წლისა. მართალია, არშაკის მეფობის წლები 367-მდე გრძელდება, მაგრამ ბოლო პერიოდი ამ ხანისა მან ირანელთა ტყვეობაში გაატარა. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ „აშხარაცუციში“ ნოშირაქანის საპიტიახშო, აგრეთვე ნიჰორაკანი, დანის არ იხსენიებიან, რაც გვაფიქრებინებს, რომ მის ავტორს არა ჰქონია ისეთი სრული და ადრინდელი წყაროები, როგორც ეს ს. ერემიანს მიაჩნია. ჩანს, ეს წყაროები IV ს. 60-იან წლებზე ადრინდელი არ ყოფილა.

„აშხარაცუციის“ ავტორს რომ თავის ძირითად წყაროებად აღწერის წიგნები, გაჰანამაქები და ზორანამაქები გამოეყენებინა, მაშინ მის თხზულებაში, უეჭველია, მეტ ადგილს დაიჭერდა პოლიტიკური დაყოფა. ამ სამი წყაროდან ორი უკანასკნელი ხომ სწორედ ამაზე იყო აგებული. გაჰანამაქი იყო წიგნი, რომელიც არკვევდა ყოველ სანახარაროს პოლიტიკურ ადგილს სახელმწიფოში, ხოლო ზორანამაქი კი მის პოლიტიკურ ძლიერებას. არ არის აუცილებელი ვიფიქროთ, რომ თუ არა სახელმწიფო დოკუმენტების საშუალებით, „აშხარაცუციის“ ავტორს არ შეეძლო თავისი წიგნი დაეწერა. თვით ის ფაქტი, რომ მან ამ საქმეს ხელი მოჰკიდა, გვიჩვენებს, რომ მას საამისო მიდრეკილებაჲ ჰქონდა, ცოდნაც და სურვილიც, გაეკეთებინა ეს საპატიო საქმე. ამასთან იგი იცნობდა მსოფლიო გეოგრაფიულ ლიტერატურას და იცოდა ამ საქმის პრინციპები. როგორც თვით ამბობს, სომხეთის აღწერისას მას წიგნები და რუკებიც გამოუყენებია. ასე რომ, არაა სავალდებულო მის წყაროებში ვეძიოთ მაინცდამაინც მეტად არქაული და მაინცდამაინც უაღრესად სრული და ზუსტი ცნობები. ეს რომ ასეა, ჩანს იქიდანაც, რომ „აშხარაცუციის“ ავტორს ძალიან არასრული და ამასთან არასწორი ცნობები ჰქონდა მცირე სომხეთზე. მაგრამ ამაზე სპეციალურად ჭკვემით ვილაპარაკებთ.

ზემოთქმულთან არის დაკავშირებული ს. ერემიანის წიგნში წამოყენებული მისი სხვა ერთ-ერთი უმთავრესი დებულება იმის შესახებ, თუ რა ეპოქის სომხეთია აღწერილი „აშხარაცუციში“. ს. ერემიან-

ნის სიტყვით, „აშხარაცუიციში“ მოცემულია სომხეთი ორ ეპოქაში: 387 წლამდე და 591—610 წლებში (გვ. 7). მაგრამ ეს, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ზოგადი მონახაზია. შემდგომში ავტორი აზუსტებს თავის მოსაზრებას. „დიდი სომხეთის რუკაზე გამოისახა სომხური სახელმწიფოს პოლიტიკური საზღვრების ყველა ის ცვლილებები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ 298—387 წწ. შორის. რუკაზე აღნიშნული იყო პოლიტიკური საზღვრები ნიზიბინის 40-წლიანი ზავის (298—338 წწ.) და მისი მომდევნო 338—363 და 363—387 წწ. მომხდარი ცვლილებები. როგორც ვხედავთ, VII ს. დასაწყისში, ე. ი. 200 წლის შემდეგ, შედგენილ იქნა რუკა სომხეთისა IV ს-ში, როდესაც იგი ჯერ კიდევ დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარმოადგენდა“. ერემიანის სიტყვით, „აშხარაცუიციის“ ავტორი დაწვრილებით იცნობს იმ პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ დაყოფას, რომელიც განმტკიცდა 298 წ. შემდეგ და შეირყა 338 წ. შემდეგ [23₁]. შემდეგ ავტორი ამბობს, „აშხარაცუიციში“ იმდენად დაწვრილებითი ცნობებია, რომ ძალაუვნებურად კითხვა იბადება, ხომ არ ჰქონდა მის ავტორს IV ს. პირველი მეოთხედის წყაროებიო. სამწუხაროდ, ს. ერემიანი აღარ ასაბუთებს თავის დებულებას იმის შესახებ, რომ დიდი სომხეთის რუკაზე აისახა ყველა ის ცვლილება, რომელიც მოხდა 298 წლიდან 387 წლამდე. ავტორის ამ დებულებას არსებული მასალა არ ადასტურებს. პირიქით, ზევით ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ „აშხარაცუიციის“ ავტორის წყაროები IV ს. 60-იან წლებზე აღრინდელი არ უნდა იყოს. ამავე დროს, დიდი სომხეთი „აშხარაცუიციში“, მართლაც, წარმოდგენილია იმ ფარგლებში, რომელიც მას ჰქონდა 387 წლამდე. ს. ერემიანის აზრით, „აშხარაცუიციის“ ავტორმა არა მარტო აღწერა დიდი სომხეთი IV ს-ში, არამედ წარმოადგინა მისი რუკაც, ე. ი. გამოდის, რომ „აშხარაცუიციის“ ავტორს შეუქმნია სომხეთის ისტორიული რუკა (თვით ს. ერემიანის სიტყვით, 200 წლის წინანდელი სომხეთისა, სინამდვილეში კი თითქმის 300 წლის წინანდელისა, თუ მივიღებთ ს. ერემიანისეულ დათარიღებას „აშხარაცუიციისა“ VI—VII ს. მიჯნით და იმას, რომ ამ რუკაზე ასახული ყოფილა IV ს. პირველი მეოთხედის ვითარებაც).

რითი აიხსნება „აშხარაცუიციის“ ავტორის მისწრაფება ძველი ვითარების აღწერისაკენ? ს. ერემიანი ამას ხსნის შემდეგნაირად: როგორც ცნობილია, VI ს. დასასრულს ირანში მოხდა დიდი არეულობა. შაპი ორმიზდ IV მოკლულ იქნა. მისი მემკვიდრე ხოსროვი გაიქცა ბიზანტიაში დახმარების სათხოვნელად. დახმარების სანაცვლოდ იმპერატორ მაკრიკეს იგი აღუთქვამდა სომხეთისა და ქართლის დიდი ნაწილის დათმობას. მისმა მოწინააღმდეგეებმა ბაჰრამ ჩუბინმა, რათა თავის მხარეზე მიემხრო სომეხი დიდებულები, წერილი მისწერა მათ და აღუთქვა სომხეთის დამოუკიდებლობის აღდგენა. ამასთან იგი პირდებ-

ბოდა მათ, აღედგინა სომხეთი ძველ ფარგლებში და კიდევ უფრო ფართოდაც. „და თუ მე გავიმარჯვებ, ვფიცავ დიდ ღმერთს არამაზღს და უფალ მზეს და მთვარეს, ცეცხლსა და წყალს, მიძრსა და ყოველთა ღმერთთა, რომ თქვენ მოგცემთ სომეხთა სამეფოს. ვინცა თქვენ გსურდეთ, ქმენით თქვენს მეფედ. და მოგცემთ თქვენ ყოველს ქვეყანას სომეხთასა, ვიდრე კაპკოპამდე და აღვანთ კარამდე და ასურთა მხრიდან არუასტანს, მშზინს და ნორშირაკანს, ვიდრე არაბთა საზღვრამდე, რამეთუ თქვენს წინაპართა დროს სწორედ თქვენი იყო. და დასავლეთით კი ვიდრე კაბადოკიის კესარიამდე. მე კი არ გავბედავ ზარასპზე გადმოსვლას“. ეს წერილი მოყვანილია VII ს. ისტორიკოს სებეოსთან. თუნდაც სებეოსის მოგონილი იყოს, იგი მაინც გამოხატავს პოლიტიკურ მისწრაფებებს, რომლებიც ბატონობდნენ „სომეხი ნახარებისა და სასულიერო პირთა შორის, ეს იყო სომხეთის ქვეყნის დამოუკიდებლობისა და გაერთიანების იდეა, რომელმაც უკანასკნელად თავისი განხორციელება პპოვა ტრდატ დიდის მეფობის ეპოქაში, რომელსაც მამართა „აშხარაცუიცი“-ის ავტორმა თავისი დიდი სომხეთის რუკაზე გამოსახატავად“ (გვ. 27).

ამრიგად, „აშხარაცუიციის“ ავტორი მიმართავს ტრდატის დროინდელი სომხეთის აღწერას იმიტომ, რომ ამ ეპოქაში სომხეთის დამოუკიდებლობისა და გაერთიანების იდეამ უკანასკნელად პოვა თავისი განხორციელება. ამაზე უნდა ითქვას შემდეგი: 1. გამოდრს, რომ „აშხარაცუიციის“ ავტორს ძირითადად პოლიტიკური მოტივები ამოძრავებდა, როდესაც ტრდატის ეპოქას აღწერდა. მაგრამ ჩვენ ზევით ვნახეთ, რომ სწორედ პოლიტიკური მხარეა ყველაზე ნაკლებად წარმოდგენილი „აშხარაცუიციში“. 2. ტრდატის ეპოქა მომდევნო ეპოქებესაგან (387 წლამდე) მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ამ დროს სომხეთში არის ნორშირაკანის საპარტიანზო (ჩამოსცილდა სომხეთს IV ს. 60-იან წლებში), მაგრამ ამ საპარტიანზოს „აშხარაცუიციის“ ავტორი არ იცნობს. ამიტომ მისთვის ტრდატის ეპოქა არაფრით არ უნდა განსხვავდებოდეს არშაკ II ეპოქისაგან. მაშასადამე, მას თავისი იდეალები ისევე შეეძლო დაენახა ამ უკანასკნელის მეფობაშიც და სრულებითაც არ იყო მისთვის სავალდებულო ტრდატის ეპოქის აღწერა. უნდა ითქვას, ს. ერემიანი თვითონ ხდის საეკვოდ თავის დებულებას. იგი წერს: „სამარზბანო სომხეთისთვის „აშხარაცუიცი“-ის ავტორი საფუძვლად იღებს კეისარ მავრიკეს (578—602) დროს 591 წ. ახალი ტერიტორიული დაყოფის შედეგად მიღებულ ახალ ადმინისტრაციულ დანაყოფებს, რომლებიც ერთად აღებული ტრდატ დიდის ეპოქის დიდი სომხეთის ტერიტორიის ადმინისტრაციული დაყოფის სურათს წარმოადგენდნენ — დიდი სომხეთი, როგორც ქვეყანა, დაყოფილი იყო 15 ნაჰან-

გად. ჩვენს ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ გამოკვლევაში დაწვრილებით ვჩერდებით დიდი სომხეთის ადმინისტრაციულ დაყოფათა წარმოშობის საკითხზე, ხოლო აქ აუცილებლად მიგვაჩნია შევნიშნოთ მხოლოდ, რომ ტრდატ დიდის ეპოქის დიდი სომხეთის ტერიტორიული დაყოფა 15 ნაპანგად, მართლაც, არსებობდა მოკლე ხნით, 591 წლით დაწყებული, ვიდრე 610 წ. ახლო ხანებამდე, როდესაც ტახტზე ასულმა კეისარმა ჰერაკლე I (610—640) მოსპო ყველაფერი ის, რაც დაკავშირებული იყო მავრიკეს სახელთან“ (გვ. 24_{II}). შემდეგ ს. ერემიანი აგრძელებს: „ეს ის დრო (ე. ი. 591—610 წწ. ნ. ჯ.) იყო, როდესაც კეისარმა მავრიკემ 591 წლის ხელშეკრულებით სასანურ ირანთან, ამ დროს გამეფებულ ხოსრო II ფარვეზის (591—628) სახით, გაბატონდა რა სომხეთის უდიდეს ნაწილზე, ახლად მოპოვებულ სომხურ მიწებში შეიტანა იმპერიისთვის დამახასიათებელი პროვინციული დაყოფა და ემზადებოდა ამ ნაწილში სანახარაროთა მოსპობისათვის. უქვეყლია, ეს გარემოება იყო იმის ძირითადი მიზეზი, რომ ნახარარებმა პირველივე ხელსაყრელი შემთხვევით ისარგებლეს, დაუყოვნებლივ შეუერთდნენ ხოსრო II ფარვეზს და მოსპეს ახალი ადმინისტრაციული დაყოფა“ (გვ. 24—25).

როგორც ცნობილია, მავრიკე კეისარი დაეხმარა ხოსროს მამისეულ ტახტზე ასასვლელად. სამაგიეროდ ახლად გამეფებული ხოსროსგან მან მიიღო სომხეთის დიდი ნაწილი, მთელი დასავლეთი სომხეთი დვინამდე (და საქართველოს ნაწილიც თბილისამდე). ს. ერემიანის სიტყვებიდან ჩანს, რომ ახლადმოპოვებულ მიწებზე მავრიკეს ჩაუტარებია ახალი ადმინისტრაციული დაყოფა, რომელიც წარმოადგენდა იმპერიისთვის დამახასიათებელ პროვინციულ დაყოფას. როგორი იყო ეს დაყოფა, ამაზე ს. ერემიანი არაფერს ამბობს. მაგრამ მისი სიტყვებიდან ჩანს, რომ იმავე 591 წელს, როდესაც მავრიკემ მიიღო ხოსროსგან სომხეთი დვინამდე, მას სომხეთი 15 ნაპანგად დაუყვია. მავრიკეს პროვინციებად დაყოფა გრძელდებოდა 610 წლამდე და იმავე დროს გაგრძელებულა 15 ნაპანგად დაყოფაც. გამოდის, ნაპანგებად დაყოფა იწყება იმ წელს, როდესაც პროვინციებად დაყოფა, დამთავრდება ამ უკანასკნელთა მოსპობასთან ერთად. როგორც ვხედავთ, ნაპანგებად დაყოფა ემთხვეოდა პროვინციებად დაყოფას. ს. ერემიანის სიტყვით, 591—610 წლებში სომხეთი ისევე, როგორც ტრდატის დროს, დაყოფილი იყო 15 ნაპანგად და სწორედ ამ დროს დაიწერა „აშხარაცუიცი“ (ამაზე ქვემოთ). მაგრამ თუ ეს ასეა, მაშ რაღად სჭირდებოდა „აშხარაცუიცი“ ავტორს მაინცდამაინც ტრდატის დროინდელი სომხეთის აღწერა? რა გვიშლის ხელს ვიფიქროთ, რომ მას თავისი თანამედროვე ვითარება აქვს აღწერილი? ეს არის ამ საკითხის, ასე ვთქვათ, ლოგიკური მხარე. განვიხილოთ ახლა საკითხის ფაქტიური მხარე. ს. ერემიანი ამბობს:

„სამარზპანო სომხეთისთვის „აშხარაცუცი“-ის ავტორი იღებს საფუძვლად კეისარ მავრიკეს (578—602) დროს 591 წ. ახალი (ტერიტორიული) დაყოფის შედეგად მიღებულ ახალ ადმინისტრაციულ დანაყოფებს... დიდი სომხეთი როგორც ქვეყანა დაყოფილი იყო 15 ნაპანგად“-ო. სამარზპანო სომხეთი ეწოდებოდა სპარსეთის სომხეთს 428 წლის შემდეგ, როდესაც აქ მეფობა მოიხპო და სომხეთის გამგებლად მარზპანი ინიშნებოდა. სამარზპანო სომხეთი შედგებოდა სულ ექვსი ნაპანგისგან: აირარატი, ტარუბერანი, ვასპურაკანი, სიუნიქი, ტაიქი და მოკქი. ასე შემცირდა სომხეთი 387 წ. 15 ნაპანგიდან ორი — მაღალი სომხეთი და წოფქი, წაიღეს ბერძნებმა, გუგარქი — ქართლმა, უტიქი და არცახი — ალბანეთმა, ფაიტაკარანი და პერსარმენია შეუერთდა ატროპატაკანს, კორჭიაქი და არზანენა შევიდნენ ხორვარანის ქუსტაქში, პირველი ედიაბში (ალიაბენე) და მეორე არუასტანში⁴⁵. როგორც ვხედავთ, სამარზპანო სომხეთი წარმოადგენს დიდი სომხეთის (ტრდატის დროინდელი სომხეთის) თითქმის მესამედს (მას აქვს მხოლოდ 6 ნაპანგი წინააღმდეგ 15-ისა ტრდატის დროს). ცხადია, რომ „აშხარაცუცი“-ის ავტორი ვერასგზობ ვერ აიღებდა სამარზპანო სომხეთისთვის კეისარ მავრიკეს მიერ შექმნილ დანაყოფებს, რომლებიც ტრდატის დროინდელ სომხეთის ძალს წარმოადგენდნენ. მაგრამ არც ეს უკანასკნელი აზრია სწორი. მავრიკეს მიერ მიღებული სომხეთის ნაწილი არ შეიძლებოდა ყოფილიყო 15 ნაპანგად დაყოფილი კიდევ იმიტომაც, რომ იგი წარმოადგენდა სამარზპანო სომხეთის (6 ნაპანგის) მხოლოდ ნაწილს. სებეოსი გადმოგვცემს, რომ ხოსრომ მავრიკეს მოკლა „მთელი არუასტანი მწბინამდე, და სომეხთა მიწა, რომელიც მის გამგებლობაში იყო, ტანუტერთა ქვეყანა მდინარე ჰრაზდანამდე გავარ კოტაიქით ადგილ გარნიმდე ბზუნთა ზღვამდე, გრესტამდე კოლოვიტის გავარის ჩათვლით ჰაციუნამდე და მაქუმდე, ხოლო ვასპურაკანის გუნდის მხარე დარჩა სპარსთა მეფის მორჩილებაში“. როგორც აქედან ირკვევა, ახალი საზღვარი გადიოდა გარნი—ჰაციუნ—მაქუ—არესტის ხაზზე, ე. ი. მავრიკეს მიუღია ტაიქი, აირარატი და ტარუბერანი, ხოსროს კი დარჩენია სიუნიქი, ვასპურაკანი და მოკქი. თუ დიდი სომხეთის ადრე მიღებულ ორ ნაპანგსაც ჩავთვლით (თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ პირველ მათგანს — მაღალ სომხეთს, როგორც ვნახეთ, ახალი საზღვრები აქვს 536 წ. იუსტინიანეს ნოველის შემდეგ), მივიღებთ, რომ ბიზანტიელთა ხელში 591 წ. არის დიდი, ტრდატის დროინდელი 15 ნაპანგიანი სომხეთის მხოლოდ ხუთი ნაპანგი (მაღალი სომხეთი, მეოთხე სომხეთი, ტაიქი, ტარუბერანი, აირარატი). ამ-

⁴⁵ Н. Адонц, гв. 2. Мѣнаніян, II, гв. 240—241.

დენად, ყოველგვარი მსჯელობა იმაზე, რომ 591—610 წწ. შორის ბიზანტიის სომხეთი 15 ნაპანგად იყოფოდა, ისევე, როგორც ტრდატის დროს, ფაქტიურად სწორი არაა.

ს. ერემიანი თავისი წიგნის პირველსავე გვერდზე წერს, რომ „ამხარაუცი“ სომხეთს წარმოადგენს 387 წლამდე, როდესაც იგი ვრცელი. ცენტრალიზებული სახელმწიფო იყო „დიდი სომხეთის“ სახელწოდებით 591—610 წწ. შორის. „ამ ეპოქაში სომხეთის პოლიტიკური საზღვრები, სრულიად სხვაა“ — ამბობს ს. ერემიანი, რაც საკვებით სწორი დებულებაა.

ზემოთ ჩვენ მოვიყვანეთ ს. ერემიანის სიტყვები: „ტრდატ დიდის ეპოქის დიდი სომხეთის ტერიტორიული დაყოფა 15 ნაპანგად, მართლაც, არსებობდა 591 წლით დაწყებული, ვიდრე 610 წ. ახლო ხანებამდე, როდესაც ტახტზე ასულმა კენსარმა პერაკლე I (610—640) მოსპო ყველაფერი ის, რაც დაკავშირებული იყო მავრიკეს სახელთან“. ეს დებულება იწვევს შენიშვნებს. ჯერ-ერთი, საიდან ჩანს, რომ მავრიკემ ახლადმდებულ სომხეთის ნაწილში ჩაატარა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებები? სებეოსს, რომელიც დაწვრილებით აღწერს ამ ეპოქას, არაფერი აქვს ამაზე ნათქვამი. ცვლილებები შეეხო მხოლოდ IV სომხეთს (ამაზე ქვემოთ), მაგრამ ეს ხომ სომხეთისგან ჯერ კიდევ 387 წ. ჩამოცილებული ნაწილია, ამასთან იგი მხოლოდ ერთი ნაწილია სომხეთისა და არა მთელი ტერიტორია სპარსელთაგან მიღებული. სწორი არაა ისიც, თითქოს პერაკლეს შეეძლო მოესპო 610 წ. მახლობელ დროში მავრიკეს მიერ შემოღებული დაყოფა. როგორც ცნობილია, 602 წ. აჯანყებულმა ფოკამ მოკლა მავრიკე და თვით დაჯდა კეისრის ტახტზე. 603 წ. თუ 604 წ. ვითომცდა თავისი კეთილმყოფელის მავრიკეს შურის საძიებლად გამოვიდა ხოსრო და არათუ 591 წ. დათმობილი სომხური მიწები, არამედ მთელი მახლობელი აღმოსავლეთი წაართვა ფოკას. ირანელთა ჯარები კონსტანტინოპოლის კედლებამდე მივიდნენ. 610 წ. ბიზანტიის ტახტზე ავიდა პერაკლე. თავისი მეფობის პირველ პერიოდში იგი მეტად მძიმე მდგომარეობაში იყო. სპარსელები კონსტანტინოპოლთან იყვნენ, შაჰი მოლაპარაკებასაც კი არ ინდომებდა მასთან. მხოლოდ 622 წ. ხანგრძლივი მომზადების შემდეგ შეძლო პერაკლემ აქტიური მოქმედება დაეწყო და შეტევაზე გადასულიყო. სომხეთშიც იგი ამ წლებში შევიდა. ცხადია, მანამდე იგი ვერაფრით ვერ შეძლებდა მოესპო მავრიკეს მიერ შემოღებული დაყოფა. გასათვალისწინებელია, რომ სამხედრო მოქმედება 628 წლამდე გრძელდებოდა. საფიქრებელია, რომ ამ დროის განმავლობაში პერაკლეს არ ეცლებოდა ადმინისტრაციული რეორგანიზაციისათვის. მაგრამ ანგარიშგასაწევი ისიც, რომ სებეოსს არც პერაკლეს მიერ ჩატარებული რაიმე ღონისძიებებზე აქვს შენიშვნა, თუნცა

მისი ეპოქა კიდევ უფრო დაწვრილებით აქვს აღწერილი, ვიდრე მარკიანი. ამასთან, ვფიქრობთ, ამ შემთხვევაშიც ს. ერემიანი არაა მთლად თანმიმდევრული. ჩვენ მოყვანილი გვქონდა ს. ერემიანის ის სიტყვებიც, სადაც ნათქვამია, რომ სომეხმა ნახარარებმა „პირველივე ხელსაყრელი შემთხვევით ისარგებლეს, დაუყოვნებლივ შეუერთდნენ ხოსრო II ფარვეზს და მოსპეს ახალი ადმინტრაციული დაყოფა“. ზევით ჩვენ ვნახეთ, რომ ს. ერემიანის თანახმად, ეს ახალი ადმინტრაციული დაყოფა ემთხვეოდა ძველ, ტრადიციულ დროინდელ დაყოფას ნაპანგებად. ვნახეთ, რომ იგი მოუსპია ჰერაკლეს. ახლა ვხედავთ, რომ დაყოფა მოუსპიათ სომეხ ნახარარებს. ამასთან ს. ერემიანი აცხადებდა, რომ „აშხარაცუციის“ ავტორი გამოხატავდა სომეხ ნახარარათა მისწრაფებებს და მას იდეალად ეხატებოდა ტრადიციულ დროინდელ სომხეთი თავისი დაყოფით. თუ ეს დაყოფა იდეალური იყო სომეხი ნახარარებისთვის, რატომღა სპობდნენ მას? არც ისაა სწორი, თითქოს სომეხი ნახარარები „დაუყოვნებლივ შეერთებოდნენ ხოსრო II ფარვეზს“. სებეოსს ეს ამბები ძალიან კარგად აქვს აღწერილი. მისი აღწერიდან ჩანს, რომ სომეხ ნახარარათა ნაწილი ბერძენთა მხარეზე იბრძოდა, ნაწილი კი ირანელთა, ნაწილი ინდოევროპულად იყო განწყობილი. იმისი თქმა, თითქოს ნახარარათა პოლიტიკაში მოხდა რაიმე საყოველთაო გარდატეხა, სწორი არაა.

ზევით ითქვა, რომ ს. ერემიანის აზრით, „აშხარაცუციში“ სომხეთი და ამიერკავკასია მოცემულია ორ ეპოქაში — 387 წლამდე და ავტორის თანამედროვე ეპოქაში — 591—610 წლებში. ს. ერემიანის სიტყვით, როდესაც „აშხარაცუციის“ ავტორი აღწერს საკუთრივ დიდ სომხეთს, ქართლსა და ალბანეთს, იგი იძლევა ამ ქვეყნების სურათს, რომელიც არსებობდა 387 წლამდე. ხოლო „ერანშაჰრის“ აღწერაში ეს ქვეყნები მოცემულია ავტორის თანამედროვე ეპოქაში (გვ. 14₁). „უკანასკნელ შემთხვევაში ავტორი, უეჭველია, თავისი ეპოქის პოლიტიკურ რუკას იძლეოდა იმ სახელმწიფოსი, რომელშიაც თითონაც ცხოვრობდა“ (გვ. 26 II). ამის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: ვრცელ რედაქციაში მოცემულია ირანის ქვეყნების შემდეგნაირი აღწერა: მესოპოტამია, ბაბილონი, ჩამატებულია ბედნიერი არაბეთი, რომელიც ირანში არ შედიოდა; შემდეგ გრძელდება ისევ ირანის ქვეყნები: სპარსთა ქვეყანა, დაყოფილი ოთხად, ქუსტი ხორუარან (გასწორების შემდეგ, დედანშია ხორასან), ქუსტი ნემროჯ, ქუსტი ხორასან, ქუსტი კაპკოპ. უკანასკნელი შედგება 13 ქვეყნისგან, რომელთა შორის მოხსენიებულია „ატრაპატაკან, არმნ (რომელიც არის ჰაიქი), ვარჯან (რომელიც არის ვიარქი), რან (რომელიც არის ალუანქი), ბა-

ლასაკანი, სოსაკანი და სხვ. მაშასადამე, აქ ამიერკავკასიის ქვეყნები მოხსენიებულია განმეორებით (ისინი ცალკე ზევით უკვე იყვნენ აღწერილნი). ოღონდ ირანის ერთ-ერთი ოლქის შემადგენლობაში. შემდეგ მოდის აღწერაში მარქ (მიდია), ელიმელთა ქვეყანა, პარსკქ, არიქ. ეს ოთხი უკანასკნელი ქვეყანა ფაქტიურად იგივე ირანის ოთხი ნაწილია. ქუსტი კაპკოპ უდრის შემდგომში აღწერილ მარქს. პირველში ნახსენებია 14 ქვეყანა, მეორეს აღწერაში ნათქვამია, „პტოლემეაიოსის მის ქვეყნებად ასახელებს კასბს, ქაგაგუშს, გელქს, დილმუქს“ (სუქრ., გვ. 41). აქ თითქოს ავტორს სურს თქვას, რომ ასეა პტოლემეაიოსის თანახმად, მე კი სხვაგვარად მაქვსო. თუ ჩვენ ამ ოთხი ქვეყნის სახელს შევუდარებთ ქუსტი-კაპკოპში მოხსენიებულ ქვეყნებს, ვნახავთ, რომ ოთხიდან ორის სახელი ემთხვევა (გელან-ს გელქ და დლმუქ-ს დილმუქ). ქუსტი ხორვარანი შეეფარდება ელიმელთა ქვეყანას. პირველის აღწერაში დასახელებულია 3 ქვეყანა, მეორეში — არც ერთი. სწორედ იმიტომ, ალბათ, რომ ეს იგივე ქვეყანაა და ავტორს არ შეეძლო გამეორება. იგივე ვითარებაა ქუსტი ნემროჯსა და პარსკქს შორის. პირველში დასახელებულია 13 ქვეყანა, მათგან ორი კუნძულია. მეორეში მხოლოდ ერთი ქვეყანაა და ნათქვამია, რომ პარსკქს ორი კუნძული აქვსო. ქუსტი-ხორასანში დასახელებულია 26 ქვეყანა, მის პარალელურ არიქში — 11. მათგან 9 მეორდება. ცხადია, რომ ერთი ოთხეული უთუოდ გვიანაა ჩამატებული. გადასაწყვეტია, რომელი? საყურადღებო მონაცემები აქვს მოკლე რედაქციას. აქ ასეთი რიგია: მესოპოტამია, ბაბილონეთი, უდაბნო არაბეთი, ბედნიერი არაბეთი. შემდეგ ვრცელ რედაქციაში მოდის სპარსთა ქვეყანა, რომელიც ოთხადაა დაყოფილი, მოკლეში ეს გამოტოვებულია და პირდაპირ მოდის მარქ, რომელზედაც ნათქვამია: „რომელსაც ეძახიან ქუსტი-კაპკოპქ“-ს, შემდეგ არუასტანი, „ელიმელთა, რომელსაც უწოდებენ ქუსტი ხორვარანს (დედანში ხორასან)“, „პარსკქ, რომელსაც უწოდებენ ქუსტი ნემროჯს“, და „არიქ, რომელსაც უწოდებენ ქუსტი ხორასანს“. ამ ქვეყნების შემადგენელ ნაწილებად მოკლე რედაქციაში მოხსენიებულია იგივე ქვეყნები (მცირე განსხვავებით), რაც ვრცელი რედაქციის პირველ წყებაში. გამოდის, რომ მოკლე რედაქციის ავტორს შეუერთებია ორივე წყება, სახელები აუღია მეორე წყებიდან, ქვეყნების ჩამოთვლა კი — პირველიდან. განსაკუთრებით საინტერესოა ის გარემოება, რომ მოკლე რედაქციაში მარქის, ქუსტი-კაპკოპის აღწერაში გამოტოვებულია არმნ, ვარჯან, რან, ბალასაკან და სისაკან. რითი უნდა აიხსნას ეს? აქ დასაშვებია რამდენიმე შესაძლებლობა: 1. თავდაპირველ დედანში ავტორის უცოდინარობით მოცემული იყო ორი წყება. ვრცელ რედაქციაში იგი დარჩა, მოკლე რედაქციის ავტორმა კი იგი სამართლიანად ჩათვალა გამეორებად, შეაერთა და აგრეთვე როგორც გამეორება ამო-

ილო ამიერკავკასიის ქვეყნები. 2. თავდაპირველად სრულ რედაქციაში იყო ის ვითარება, რომელიც წარმოდგენილია მოკლემში. ვრცელი რედაქციის ავტორმა კი უცოდინარობით დამატებით შეიტანა კიდევ ერთი წყება და დაუმატა ამიერკავკასიის ქვეყნებიც. ჩვენ უფრო მისალმებად მიგვაჩნია მეორე ვარიანტი. ამ შემთხვევაში მივიღებდით, რომ ისეთი დიდი შეცდომა, როგორცაა ოთხი ქვეყნის ორ-ორჯერ სხვადასხვა სახელით აღწერა, მოუვიდა რედაქტორს და არა ავტორს, ე. ი. ამიერკავკასიის ქვეყნების ორჯერ — ერთხელ ცალკე, ერთხელ კი ირანის შემადგენლობაში აღწერა ეკუთვნის რედაქტორს და არა ავტორს. ამასთან ამიერკავკასიის ქვეყნების სახელები ირანის აღწერაში სხვა, ირანული, ფორმითაა მოცემული. ესეც გვაფიქრებინებს, რომ აქ ორი ავტორი გვყავს (თუმცა ამის ახსნა შეიძლებოდა იმით, რომ ირანის აღწერაში ამიერკავკასიის ქვეყნების სახელები მოცემულია ირანული ფორმით). საბოლოოდ, გადაწყვეტით რაიმეს თქმა მეტად ძნელია. შეიძლება დავუშვათ ის შესაძლებლობაც, რომ ამიერკავკასიის ქვეყნების აღწერისას პირველ შემთხვევაში „აშხარაცუციის“ ავტორი მიზნად ისახავდა მოეცა მათი გეოგრაფიული აღწერა. ირანის აღწერაში კი მათი ხსენება მხოლოდ პოლიტიკურ ცნობას წარმოადგენდა. ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ ამიერკავკასიის ქვეყნებს ირანში მოხსენიების დროს ბევრი რამე ბუნდოვანია და დასაზუსტებელი. ამიტომ კატეგორიული მსჯელობა ამ საკითხზე სასიფათოდ მიგვაჩნია.

მაგრამ დავუშვათ, რომ ამიერკავკასიის ქვეყნების ხსენება ერანშაჰრში „აშხარაცუციის“ დედანში იმთავითვე იყო, როგორც ეს ს. ერემიანს მიაჩნია. ამ შემთხვევაში ერემიანისეულ დათარიღებას (591—610) „აშხარაცუციის“ დამატებითი სიძნელებები გაუჩნდებოდა. საქმე ისაა, რომ 591 წ. ირანს დარჩა სომხეთისა და ქართლის მცირე ნაწილი (შით უმეტეს სომხეთისა, „აშხარაცუციის“ ამ ადგილას სისაქანი — სივნიეთი სომხეთისგან ცალკეა მოხსენიებული. ირანის სომხეთი ამ დროს მხოლოდ ვასპურაკანისა და მოკქის — ორი გავარისგან შედგება). ამ შემთხვევაში „აშხარაცუციის“ ავტორი იტყოდა: „არმნ, რომელიც არის ჰაიქი, ვარჯან, რომელიც არის ვირქ“? ფაქტიურად ხომ აქ ჰაიქისა და ვირქის მხოლოდ პატარა ნაწილები უნდა იგულისხმებოდეს! შეიძლებოდა გვეფიქრა ასე: 591 წ. შემდეგ, როდესაც ირანს ცალკე სომხეთისგან შერჩა ვასპურაკანი და მოკქი, ირანელებმა ირანის სხვა რაიონებიდან გამოყოფის დიდი სომხეთის ის ქვეყნები, რომლებიც ირანმა ჯერ კიდევ 387 წ. მიიღო, შეუერთეს ისინი ვასპურაკანსა და მოკქს და ახალი ერთეული ჰაიქი შექმნესო, რომელიც იგულისხმება ერანშაჰრის შემადგენლობაში. მართლაც, ირანელებს შეეძლოთ გამოეყოთ ფარტაკარანი, პარსკაჰაიქი, კორჰაიქი და არზანენა. მაგრამ ამ შემთხვევაში ამ ერთეულში პირველ რიგში მაინც სიუნიქი შევიდოდა,

ის კი, როგორც ვნახეთ, ცალკეა მოხსენიებული ერანშაჰრში. ამასთან ამ თვალსაზრისით კარგი ცნობებია დაცული სებეოსთან, რომელიც არაერთხელ ლაპარაკობს ვასპურაკანის გუნდზე (ასე ერქვა, 591 წ. ირანს რომ სომხეთი დარჩა, იმ ნაწილს) და არსად არაა რაიმე ლაპარაკი იმაზე, რომ ამ ნაწილს ძველისძველი მიწები შეუერთდაო.

დავუბრუნდეთ ახლა ს. ერემიანის დებულებას იმის შესახებ, რომ სომხეთი და ამიერკავკასიის ქვეყნები აღწერილია ორ ეპოქაში — 387 წლამდე და 591—610 წლებში. ვფიქრობთ, რომ ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს ფაქტიურად არ დასტურდება.

მაგრამ უეჭველია, რომ „აშხარაცუიციში“ მაინც არის მონაცემები, რომლებიც იძლევიან სომხეთის სურათს IV ს. 80-იან წლებში. ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, ისევე და ისევე არის ის, რომ „აშხარაცუიციის“ ავტორს არ სურს და არ შეუძლია პოლიტიკურ მხარეს მიაქციოს ყურადღება და ძირითადად იძლევა გეოგრაფიულ-ისტორიულ აღწერას, რაზედაც ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი. სხვაგვარად მას არც შეეძლო მოქცეულიყო. ამ მხრივ პირველ რიგში ჩვენ მხედველობაში უნდა მივიღოთ „აშხარაცუიციის“ ძირითადი წყარო. როგორც ზევით იყო აღნიშნული, „აშხარაცუიციის“ ავტორისთვის ძირითად წყაროს წარმოადგენდა პტოლემეოსის „გეოგრაფია“, ან მასზე დაფუძნებული პაპოს ალექსანდრიელის თხზულება. მაგრამ „აშხარაცუიციის“ ავტორს. უეჭველია, ესმოდა, რომ იმ სამი-ოთხი (თუ ოთხი-ხუთი) საუკუნის განმავლობაში, რომელიც მას აცილებდა თავისი წყაროებისაგან, მსოფლიოში ბევრი რამ გამოიცვალა. ამიტომ იგი იძულებული იყო, ამ ავტორებისგან თავის თხზულებაში დაეტოვებინა ის, რაც ყველაზე ნაკლებად იცვლება (ე. ი. გეოგრაფიული აღწერილობები) და ამოეღო ის, რაც იცვლება ყველაზე მეტად (ე. ი. პოლიტიკური ხასიათის ვითარებანი). ამ მხრივ მას ისიც უბიძგებდა, რომ მისი ზემოდასახელებული ძირითადი წყაროები სწორედ უფრო მეტად მსოფლიოს გეოგრაფიულ აღწერილობას წარმოადგენდნენ⁴⁶.

საკუთრივ სომხეთის აღწერისას ავტორის წინაშე კიდევ უფრო დიდი პრობლემები იდგა. რა პრინციპზე უნდა დაემყარებინა ავტორს ეს აღწერა? წარმოვიდგინოთ სომხეთის პოლიტიკური ვითარება VI—VII სს. სომხეთის ყოფილი 15 ნაჰანგიდან („აშხარაცუიციის“ ავტორის-

46 აქ უნდა ითქვას, რომ „აშხარაცუიციის“ ავტორს არა აქვს მოცემული მისი თანამედროვე სომხეთის ვითარება. სომხეთი წარმოდგენილია ერთ სხეულად ორივე ადგილას: ერთგან დიდი სომხეთი თავისი 15 ნაჰანგით, მეორეგან კი „არმნი, რომელიც არის ჰაიქი“. ეს რომ ასეა, იქიდანაც ჩანს, რომ სომხეთის აღწერა იმდენად არანაშანდობლივია, რომ ძნელდება მისი დაწერის დროის დადგენა.

თვის ყველა ისინი, ალბათ, ძირითად სომხურ მიწებს წარმოადგენდნენ) ორი — მაღალი სომხეთი და წოფქი, უშუალოდ ბიზანტიურ ქვეყანას წარმოადგენდა. გუგარქი შედიოდა ქართლში, უტი და არცახი — ალბანეთში, ფაიტაკარანი და პარსკაპაიქი — ატრპატაკანში, კორქაიქი და არზანენა — უშუალოდ ირანში. დარჩენილი ექვსი ნაპანგი შეადგენდა სომხეთს, ირანის სამარზპანოს, ისიც 571 წლამდე. ამ წელს მას გამოეყო სიუნიქი და ცალკე შაჰრად შევიდა ირანში. 591 წ. დარჩენილი 5 ნაპანგიდან სამი გადავიდა ბიზანტიელთა ხელში, ხოლო ორი დარჩათ ირანელებს. 603—604 წწ. ირანელებმა მოახერხეს ბიზანტიის აღმოსავლეთის პროვინციების ხელში ჩაგდება დაახლოებით 622 წლამდე. შესაძლებელია, ამ დროს მოხდა სომხეთის ცენტრალურ ნაპანგთა გაერთიანება. თუმცა ესეც საეჭვოა, რადგან, როგორც ითქვა, სიუნიქი ამ დროსაც ცალკე შაჰრად არის წარმოდგენილი. ამასთან არაა მოსალოდნელი, რომ ირანელებს ორსაუთუნინახევრის წინ თავის პროვინციებზე გამოცხადებული ქვეყნები დაებრუნებინათ სომხეთისთვის. ამ პირობებში „აშხარატუციის“ ავტორს რომელი სომხეთი უნდა აეწერა?

ს. ერემიანის წიგნს დამატების სახით დართული აქვს ამიერკავკასიის ქვეყნების შესახები ტექსტი „აშხარატუციიდან“. ამ დამატების სათაური ასეთია: „აშხარატუციის“ ვრცელი რედაქციის დიდი სომხეთისა და მეზობელი ქვეყნების რუკის შემტველი თავები (ცდა დედნის აღდგენისა). დედანი აშხარაბარზე თარგმანით“ (გვ. 100). როგორც სათაურიდან ჩანს, ს. ერემიანი იძლევა ვრცელი რედაქციის სათანადო აღგილების აღდგენის ცდას. იბადება კითხვა, რატომ მაინცდამაინც ვრცელი რედაქციის? ავტორი ამაზე პასუხს არ იძლევა. საერთოდ, როგორც უკვე მოგვიხდა ლაპარაკი, ჯერ კიდევ არაა გადაწყვეტილი საკითხი ვრცელი და მოკლე რედაქციების ურთიერთობისა.

ამის შესახებ უკანასკნელად გამოთქმული აზრის თანახმად (პ. მანანდიანი, მარკვარტი), ორივე რედაქცია წარმოადგენს თავდაპირველი დედნის შემოკლებას. ეს რედაქციები ერთმანეთისგან დამოუკიდებელი უნდა იყვნენ. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ვრცელი რედაქცია ორჯერ მეტია მოკლეზე და საერთოდ უფრო სრულია, რიგ შემთხვევებში მოკლე რედაქციას მეტი ცნობები აქვს, ვიდრე ვრცელს. მაშასადამე, რიგ შემთხვევებში იგი უფრო ახლო დგას თავდაპირველ დედანთან. მკითხველისთვის უთუოდ საინტერესო იყო, გაერკვია — ავტორის განზრახვა ვრცელი რედაქციის დედნის აღდგენისა ნიშნავს თუ არა იმას რომ, ავტორის აზრით, ვრცელი რედაქცია უფრო ახლოს დგას თავდაპირველ დედანთან? თუ ეს აღდგენა მხოლოდ ერთ-ერთი საფეხურია ამგვარი ხასიათის შრომაში, რომელიც შემდგომში გულისხმობს მოკლე რედაქციის დედნის აღდგენასაც, ხოლო საბოლოო მიზნად ისა-

ხავს თავდაპირველი დედნის დადგენას? სამწუხაროდ, ამაზე ავტორი არაფერს ამბობს.

კიდევ მეტი. ავტორი არაფერს გვამცნობს იმის შესახებ, თუ როგორ ჩაატარა ეს აღდგენა. მაგ., ჩვენ არ ვიცით, რა ტექსტით ისარგებლა მან მუშაობისას. დღესდღეობით ცნობილია მხოლოდ ერთი ტექსტი ვრცელი რედაქციისა, გამოცემულია ა. სუქრიანის მიერ. ს. ერემიანმა მხოლოდ ამ ტექსტით ისარგებლა, თუ მას ხელთ ჰქონდა რომელიმე სხვა ხელნაწერი მის მიერ აღმოჩენილ-მიკვლეული? ასევე არაფერს ამბობს ავტორი იმის შესახებ, თუ რა პრინციპებით ხელმძღვანელობდა თავის მუშაობაში. რა როლი შეასრულა ამ აღდგენის საქმეში მოკლე რედაქციამ, იყო თუ არა ეს რედაქცია საერთოდ გამოყენებული და, თუ იყო, რომელი ვარიანტი მისი. ალაგ-ალაგ აღდგენილი ტექსტი კვადრატულ ფრჩხილებშია ჩასმული, რაც, ალბათ მიუთითებს იმაზე, რომ ეს ნაწილი ავტორის მიერაა აღდგენილი. მაგრამ ავტორი არსად არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ ეს აღდგენა რის საფუძველზეა გაკეთებული, მომდინარეობს რომელიმე ხელნაწერის ნაირწყაიბიდან, თუ მხოლოდ ავტორისეული კონიექტურაა.

ზემოთქმულის გამო იძულებული ვართ შევეცადოთ, თვითონ გავერკვეთ ყველა ზემოთ დასმულ საკითხში.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ვრცელი რედაქციის ტექსტად ს. ერემიანს, ჩანს, გამოუყენებია ა. სუქრიანის გამოცემის ტექსტი. მართალია, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ს. ერემიანის აღდგენილ ტექსტში რიგი ადგილებისა ჩამატებულია, მაგრამ საერთოდ ჩვენ მაინც მასში ვერაფერს ვნახავთ ისეთს, რაც გვაფიქრებინებდეს სხვა ტექსტის გამოყენებას. მაგ., სუქრიანის ტექსტს აკლია პირველი და მეორე სომხეთის აღწერა. სუქრიანს თავის გამოცემაში ამ ქვეყნების აღწერა შეუტანია მოკლე რედაქციიდან. ასევე აკეთებს ს. ერემიანიც, რომელიც ამ შემთხვევაში მიუთითებს მოკლე რედაქციის ა. აბრაამ-ანისეულ გამოცემაზე. ასევე მოკლე რედაქციიდან შეაქვს მას კაპადოკიის პონტოს აღწერა.

როგორც უკვე ითქვა, ავტორს გამოუყენებია მოკლე რედაქციაც. საჭირო იყო აღნიშნვა, თუ მოკლე რედაქციის რომელი ხელნაწერი, ან გამოცემა გამოყენებული. საქმე ისაა, რომ არსებობს მოკლე რედაქციის რამდენიმე ათეული ხელნაწერი, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. აშ. აბრაამიანი, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა მოკლე რედაქციის ხელნაწერები, ამბობს: „ძველ სომხურ ხელნაწერებში „აშხარააცუიციებმა“ შედარებით ყველაზე მეტი ცვლილება განიცადეს. არ არის თითქმის არც ერთი ხელნაწერი ტექსტი „აშხარააცუიციისა“, რომელიც სიტყვა-სიტყვით ემსგავსებოდეს

შეორეს: ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან ან აგებულიებით, ან შინაარსით და ან ნაწერის წანაკითხით⁴⁷. შემდეგ იგი აღნიშნავს, რომ, მიუხედავად ამ განსხვავებებისა, ეს ტექსტები არ არიან საკმარისად შესწავლილი⁴⁸. თვით აშ. აბრაამიანმა რამდენადმე შეავსო ეს ხარვეზი იმით, რომ გამოსცა ერთ-ერთი (№ 582), მისი აზრით საუკეთესო, ხელნაწერი. ამრიგად, ამჟამად ვაგვაჩნია „აშხარატუცის“ მოკლე რედაქციის რამდენიმე ათეული ხელნაწერი და რამდენიმე გამოცემა, რომელთაგანაც ძირითადია პატკანოვისა და აბრაამიანისეული. მაგრამ ამასთან არ არსებობს მოკლე რედაქციის მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტი, დამყარებული ყველა ხელნაწერის ჩვენებებზე. ამიტომ ზედმიწევნით ზუსტი რომ ყოფილიყო, ს. ერემიანს ჯერ ასეთი ტექსტო უნდა შეემუშაებინა და შემდეგ იგი უნდა შეედარებინა ვრცელი რედაქციისთვის. ეს კი არა და, ისიც კი გაურკვეველია, თუ რეალურად რომელი ხელნაწერის მონაცემი შეუჯერა მან აღსადგენ ტექსტს. შენიშვნაში მესამე გვერდზე იგი აღნიშნავს, რომ „აშხარატუცის“ ვრცელ რედაქციას აკლია პირველი და მეორე სომხეთისა და კაპადოკიის აღწერა, რაც მცირე რედაქციიდან მოგვაქვსო. აქ მითითებულია აშ. აბრაამიანის გამოცემა. ასმეორე გვერდზე, აგრეთვე შენიშვნაში ნათქვამია: „აშხარატუცის“ მოკლე რედაქციაში „ტაპასარანქი“ „კატაპასტიანქ“-ის ფორმით იხსენიება. ასეთი ფორმა გვხვდება პატკანოვისეულ გამოცემაში (აბრაამიანთან „ტაპასტავანქ“-ია). მაშასადამე, ამ შემთხვევაში პატკანოვის გამოცემაა გამოყენებული. იგივე გამოცემა უნდა იგულისხმებოდეს შენიშვნაში ასმეოთხე გვერდზე, სადაც ნათქვამია, რომ მოკლე რედაქციაში ჰუნარაკერტის მაგივრად ხანციხე (დამახინჯებულად ხანიცხ) იკითხება. ხანიცხ იკითხება პატკანოვისეულ გამოცემაში, აბრაამიანთან ხანისხია.

თვით აღდგენილ ტექსტში ს. ერემიანს ზოგი რამ შეაქვს მოკლე რედაქციიდან. გარდა ზემოხსენებული ადგილებისა, ავტორი არსად აღნიშნავს, თუ საიდან რა შეუტანია აღდგენილ ტექსტში. შედარებით ირკვევა, რომ ყველა ესენი გაკეთებულია პატკანოვისა და აბრაამიანის გამოცემებიდან, უფრო მეტად ამ უკანასკნელიდან.

ამრიგად, როგორც ირკვევა, ს. ერემიანის აზრით, მოკლე რედაქციის მონაცემები ანგარიშგასაწევია. იმ შემთხვევაში, როდესაც ვრცელი რედაქციის ტექსტი ნაკლებია, ს. ერემიანს სათანადო ადგილები შეაქვს მოკლე რედაქციიდან. კიდევ მეტიც, მთელ რიგ შემთხვევებში

⁴⁷ სკ. ს ქ რ ა ნ ა მ ა ნ ი, სიონისაგან ქსოაქსქიქი „სქსორნაგიე“-ქ ნეჩინასქი წარეჩი ჯიიქი. მხრსქან, 1940, გვ. 9.

⁴⁸ იქვე.

ს. ერემიანი მოკლე რედაქციას უპირატესობასაც კი ანიჭებს; მაგ., მაშინ, როდესაც გეოგრაფიულ სახელებს იგი მოკლე რედაქციის მონაცემების თანახმად ასწორებს და არ ტოვებს ისე, როგორც ეს არის ვრცელში. ზოგჯერ მოკლე რედაქციის კვალად არის გასწორებული სინტაქსური წყობაც. საინტერესოა, რომ დიდი სომხეთის აღწერაში ვრცელსა და მოკლე რედაქციებს შორის არის განსხვავება ნაჰანგთა თანამიმდევრობაში. პატკანოვისა და აბრაამიანის გამოცემათა თანახმად, ასეთი თანამიმდევრობაა: გუგარქ, ტაიქ, აირარატ (პატკ. 28; აბრ. 350). სუქრიანით — აირარატ, გუგარქ, ტაიქ (სუქრ. 33—34). ს. ერემიანი თავის ტექსტს მოკლე რედაქციის მიხედვით ასწორებს (გვ. 109—110). რატომ არ ასახელებს ავტორი თავის წყაროს? საფიქრებელია იმიტომ, რომ მაშინ მას მოუხდებოდა დაესახელებინა ორი ხსენებული გამოცემა იმ დროს, როდესაც, როგორც აღვნიშნეთ, არსებობს მრავალი ხელნაწერი განსხვავებული წანაკითხვით. ცხადია, დამაჯერებლობა არ ექნებოდა ავტორის კატეგორიულ მსჯელობას, დამყარებულს მხოლოდ ორი გამოცემის მონაცემებზე, როდესაც მათს გვერდით ათეულობითაა ხელნაწერი. ან არა და ავტორს უნდა შეესწავლა ყველა ეს ხელნაწერი, რაც, ჩანს, მას არ გაუკეთებია.

ვნახოთ ახლა, როგორა აქვს აღდგენილი ს. ერემიანს ვრცელი რედაქციის მის მიერ გამოცემული ადგილები.

როგორც სათაურიდან დავინახეთ, ავტორს მიზნად დაუსახავს ვრცელი რედაქციის დედნის აღდგენა. უნდა ითქვას, რომ ეს მეტიმეტად რთული ამოცანაა. მართლაც, მხოლოდ ერთი ვარიანტით თავდაპირველი სახის აღდგენა ძალიან ძნელია. მაქსიმუმში, რისი გაკეთებაც აქ შეიძლება, არის ამკარად დამახინჯებული ადგილების გასწორება. ისიც, უნდა გასწორდეს ის ადგილები, რომლებიც დამახინჯებულად ჩაითვლება საკუთრივ ვრცელი რედაქციის მიმართ და არა საერთოდ „აშხარაცუიცის“ — თავდაპირველი ტექსტის მიმართ. საქმეს ართულებს შესადარებელი მასალის უქონლობა. ალაგ-ალაგ ავტორს ჩატარებია აღნიშნული სამუშაო, გაუსწორებია ზოგიერთი წინადადების სინტაქსური წყობა და რიგი საკუთარი სახელებისა. ძირითადად კი ავტორმა ვრცელი რედაქცია შეავსო მცირე რედაქციის იმ ადგილებით, რომლებიც აკლია ვრცელ რედაქციას. მაგ.: აზიის სარმატიის აღწერის უკანასკნელი ფრაზა ნაწილობრივ აღებულია სუქრიანის გამოცემიდან, ხოლო რაც მასზე მეტი იყო მოკლე რედაქციაში, შეტანილია ამ უკანასკნელიდან:

„*ს. სარგანან [შაყალაირ ნიგა [ირქ ატქო სარკრავ], ს. სარქონ-
 72ქიოქ, ნიგა [შარკირჩ], კჩხ სარგანაოქ [ჩ ჩარსავ ადღენ]*“
 (ერემიანი, გვ. 103; პატკ., გვ. 16; აბრ., გვ. 348; სუქრ., გვ. 27).

ვრცელ რედაქციას აკლია ორი ნაპანგის, ფილიტაკარანისა და უტი-
ქის აღწერა. სუქრიანის კვალად ერემიანსაც ამ გავარების აღწერა მცი-
რე რედაქციიდან შეაქვს.

სიროის აღწერაში ჩამატებულია *ჟაღაჟუ მადომა, კირიგ მქ ზ
ნიონა' იქ ანისიოაჟიბ აყასისქინ ზ ფიქქინ.*

ამგვარი მაგალითების ფრიალ გამრავლება შეიძლება. ვფიქრობთ,
მოტანილიც საკმარისია. როგორც ირკვევა, ს. ერემიანი უდარებს ერთ-
მანეთს მოკლესა და ვრცელ რედაქციებს. როდესაც მოკლეში აღმო-
ჩნდება ისეთი რამ, რაც არაა ვრცელში, იქნება ეს მთელი ნაპანგის აღ-
წერა, რომელიმე პუნქტის დასახელება, თუ საერთოდ რაიმე დახასია-
თება, იგი ვრცელ რედაქციას ავსებს მოკლეს მონაცემებით. ეს, ჩვენი
აზრით, გადახვევაა ავტორის მიერ დასახული მიზნიდან — აღადგინოს
ვრცელი რედაქციის პირვანდელი სახე. საქმე ისაა, რომ ორივე რედაქ-
ცია, მიღებული აზრის თანახმად, წარმოშობილია ერთმანეთისგან დამოუ-
კიდებლად, ეს კი ნიშნავს იმას, რომ სრულებითაც სავალდებულო არაა
ვივარაუდოთ — ვრცელი რედაქცია შეიცავდა ყველა იმ ცნობასაც,
რომელიც არის მოკლეში. უფრო სწორია ვიფიქროთ, რომ ამ რედაქ-
ციებს იმთავითვე პქონდათ სხვადასხვა ცნობები. ს. ერემიანის მიერ
ჩატარებული სამუშაო უფრო საერთო წყარო-დედნის აღდგენის ცდაა,
ვიდრე ვრცელი რედაქციის თავდაპირველი სახისა. მაგრამ ამ დედნის
აღდგენა ამჟამად ჩვენ ნაადრევად მიგვაჩნია, რადგან ამისთვის ჯერ
საჭიროა დადგინდეს მოკლე რედაქციის კრიტიკული ტექსტი, დამყარე-
ბული ყველა ხელნაწერის მონაცემებზე. შემდეგ ეს ტექსტი უნდა იქ-
ნას შედარებული სუქრიანის ტექსტთან და ამის საფუძველზე გაკეთ-
დეს ცდა თავდაპირველი დედნის აღდგენისა.

როგორც ზემოთ ითქვა, ს. ერემიანის მიერ ვრცელი რედაქციის
ტექსტის აღდგენა მნიშვნელოვან წილად გამოიხატა ვრცელი რედაქ-
ციის შევსებით მოკლე რედაქციის ცნობებით. მაგრამ ავტორი ამაშიც
ყოველთვის თანმიმდევრული არ არის. არის რიგი შემთხვევებისა, რო-
დესაც ავტორი არღვევს ამ პრინციპს და მცირე რედაქციის ცნობები-
დან არ იყენებს ისეთ ცნობებს, რომლებიც ყველა მონაცემის მიხედ-
ვით თითქოს არ უნდა გამოეტოვებინა. მაგ., პირველი სომხეთის აღწე-
რაში ავტორმა არ შეიტანა მთა არგოსი. პირველ სომხეთში არგოსის
მთა მოხსენიებულია როგორც პატკანოვის, ისე აბრაამიანის გამოცემა-
ში (პატკ., გვ. 15; აბრ., გვ. 347). უნდა ითქვას, რომ არგოსის ხსენე-
ბას ამ ადგილას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. თავის დროზე ქ. პატ-
კანოვი წერდა: „ამასთან შესანიშნავია, რომ ჩვენი ავტორი (ე. ი. „გეო-
გრაფიის“ ავტორი — ნ. ჯ.) პირველი სომხეთს უწოდებს კაპადოკიას

არგეოსის მითითურთ, ე. ი. იმავე ოლქს, ქალაქს კესარიით, რომელსაც პირველ სომხეთად მიიჩნევს ხორენელიც, იმ დროს, როდესაც რომაელი და ბერძენი ავტორები კაპადოკიის ამ ნაწილს სომხეთს არ უწოდებდნენ⁴⁹. ასეთი მნიშვნელოვანი ცნობის გამოტოვება ყოველგვარი კომენტარის გარეშე საეხებით გაუმართლებელია.

ზევით ჩვენ ნათქვამი გვაქვს, რომ ქართლის აღწერაში ს. ერემიანმა მცირე რედაქციიდან შეიტანა რამდენიმე ხეობის სახელი. ამავე დროს ავტორს სრულიად გაუგებარი მიზნით გამოუტოვებია ქალაქი სამშვილდე, რომელიც იხსენიება პატკანოვისეულსა და აბრაამიანისეულ გამოცემებში (პატკ. გვ. 17; *Մամչուդէ*; აბრ. გვ. 348 — *Մամչուդէ*).

ალბანიის აღწერაში მცირე რედაქციიდან არ არის შეტანილი ფრიალ მნიშვნელოვანი დახასიათება ამ ქვეყნისა: *Ունի դաշուս արգա-
լանդս, քարաքս ს բերդս և գեղաքարաքս, գիտս բაզილას, ხրիդու-
նս, հვიդս. և և գასաուք სն ախიքիქ* (პატკ. გვ. 17; აბრ. გვ. 348).

ვასპურაკანის აღწერაში ავტორს გამოუტოვებია *Մարանդ*, რომელიც არის როგორც პატკანოვის, ისე აბრაამიანის გამოცემებში (პატკ., გვ. 19; აბრ., გვ. 350) და სხვ.

მაინც ტექსტის გამოცემის თუ აღდგენის ამ ცდის ყველაზე დიდი ხარვეზია ის, რომ ეს ტექსტი თითქმის სრულიად მოკლებულია ყოველგვარ კომენტარს. ს. ერემიანის მიერ გამოცემულ ტექსტს სუქრიანის ტექსტთან შედარებით სამასზე მეტი შესწორება-აღდგენა-ცვლილება აქვს. აქედან თვით ტექსტში ეს ცვლილებები აღნიშნული აქვს არაუმეტეს ერთი მეოთხედისა. ეს აღნიშვნა გამომხატულია კვადრატული ფრჩხილებით, რომლებშიც ჩასმულია ზოგი აღდგენილ-გასწორებული, თუ ჩამატებული ადგილი. მაგრამ ამ ფრჩხილების გარდა სხვა რამ აღნიშვნა არაფერია, ამიტომ მკითხველმა არ იცის, რა სახე ჰქონდა აღდგენამდე სათანადო ადგილს, რანაირად იქნა იგი აღდგენილი, რომელი ტექსტიდან არის ეს ადგილი მოტანილი, რა მოსაზრებით იქნა იგი აღდგენილი, თუ გასწორებული ავტორის მიერ ასე და არა სხვაგვარად და სხვ. დანარჩენი შეეცვლილი ადგილების სამი მეოთხედის შესახებ კი ავტორი საერთოდ არავითარ ცნობას არ გვაწვდის, თვით კვადრატული ფრჩხილებიც კი არ არის გამოყენებული. აქ მკითხველმა თუ თვითონ არ შეუღარა ყველა არსებული გამოცემა ერემიანისეულს, ისე ვერც კი გაიგებს, განიცადა თუ არა რაიმე ცვლილება ტექსტმა და თუ განიცადა — რა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სრულიად აუცილებელია

⁴⁹ Патканов К. П., Армянская география VII века, по р. X, С.-П., 1877, с. 35. (რუსულ ტექსტ., შენ.).

სპეციალური კომენტარი და ახსნა ისეთი აღდგენისა, როგორცაა მაგ., *საორც*-ისა. პატკანოვის გამოცემაში არის *საორც* (გვ. 16), აბრაამიანისეულში *საორც* (347), ხოლო ერემიანისთვის ამოსავალ სუქრიანისაში კი *ორცა* (გვ. 26); ან *შხღასან*-ისა *ღბსღასან*-იდან (სუქრ., პატკ. *ბხასან*, აბრ. *ბახან*). ან *ქჯხც*-ისა *ქც*-იდან.

არსად არ არის აღნიშნული ის, რომ თავების სათაურები გამოცემლის მიერაა გაკეთებული, რომ თავებმა დასაწყისში მოხსნილია ნუმერაცია; რომ ბევრგან ჩამატებულია ან გამოკლებულია ფრაზები. ტექსტს დართული აქვს ჩვიდმეტი შენიშვნა, რომელთაგანაც საკუთრივ ასეთი ადგილების განმარტებას მხოლოდ რამდენიმე შეეხება.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე ისიც, რომ ტექსტის გამოცემისას გვქვს მთელი რიგი უზუსტობანი. მაგ., 101-ე გვერდზე მეოტის ზღვა სამი ფორმითაა მოხსენიებული: *შხიასა*, *შხაქსა*, *შხიასა*. ავტორი არ ცვლის სუქრიანის ტექსტის დაწერილობას. სხვა შემთხვევებში ავტორი მეტისმეტად დაშორებულ ფორმებს აღადგენს ხოლმე, აქ კი რატომღაც შეიკავა თავი სავსებით ცხადი შეცდომის გასწორებისაგან. მეტიც, ტექსტის თარგმანშიც კი ორგვარი დაწერილობაა: *შხიასა* და *შხიქსა*.

იმავე გვერდზე ტექსტში მდინარე კორაქსი დაწერილია *ჰოთაღა* ფორმით, ხოლო მთა კორაქსი *ჰოთაღა* ფორმით; ორივე სიტყვა ერთი ძირისაა. საინტერესოა, რომ *ჰოთაღა*-ში *ჰ* კვადრატულ ფრჩხილებშია ჩასმული, რაც გვიჩვენებს, რომ *h* ავტორის მიერაა აღდგენილი. თუ ავტორს უფრო სწორად *h* მიაჩნია, როგორც ეს შენახულია პირველ შემთხვევაში, რაღად აღადგენს მეორე შემთხვევაში *h*-ს? თარგმანში ორივეგანაა *ჰოთაღა*. სამაგიეროდ, ს. ერემიანის მიერ შედგენილ განმარტებაში მდინარე და მთა კორაქსი შეტანილია *ჰოთაღა* ფორმით (გვ. 61).

იმავე გვერდზე ვრცელი ტექსტის *შღასანას*-ს ასწორებს *შოასანას*-ად, მაგრამ მის შემდეგ ერთი სიტყვის გამოკლებით მომდევნო ადგილას ისევ *შღასანას* ტოვებს!

101-ე და 102-ე გვერდებზე რამდენჯერმე ტექსტში გვხვდება *ჰააქცე ბიქ* ამოღებული სუქრიანიდან (თარგმანში *ჰაააქცე*). 102-ე გვერდზე ორჯერ ჩნდება ტექსტში *ჰაააქცე*, პირველ შემთხვევაში ავტორის მიერ აღდგენილ ადგილას. მანამდე, როგორც ვნახეთ, წერდა „F“-ს. რატომ აღადგინა აქ „აა“? მეორეჯერ იქ, სადაც სუქრიანთაგანაც კი *ჰაააქცე* არის! ე. ი. ავტორმა აქ უკვე გადაასხვაფერა თავისი

[მთავრებილი] უშვებს ორ მდინარეს, ვარდანესს, რომელიც იწყება კავკასის პირდაპირ და აღწევს დასავლეთსა და ჩრდილოეთს, ვიდრე ერთვის მეოტისს [ტბას] და პონტოს ზღვას“ (იქვე).

აქ გაუგებრობა მეტია:

1. რას ნიშნავს კავკასის მთები გადაჭიმულია კორაქსის მთებამდე? თვით ერემიანის სიტყვით, მდ. კორაქსი არის ბზიფი, ხოლო კორაქსის მთები ბზიფის ქედი (გვ. 61). გამოდის, რომ კავკასი გრძელდება ბზიფის ქედამდე (აღბათ აღმოსავლეთიდან, სხვაგვარად შეუძლებელია), რაც სწორი არაა, რადგან აქედან კიდევ დაახლოებით კავკასიონის ერთი მეოთხედი. მართალია, ამ ადგილს ატყვია პტოლემეოსის გავლენა, მაგრამ, პტოლემეოსის თანახმად, კავკასი მთავრდება კორაქსის ქედით, ე. ი. კორაქსის ქედი კავკასის ნაწილად იგულისხმება და არა მის გარეთ მდებარედ.

2. „კავკასი უშვებს ორ მდინარეს, ვარდანესს, რომელიც იწყება კავკასის პირდაპირ...“ ჯერ-ერთი, აქ აშკარად უჩვეულოდ ისმის მდინარეზე გამოთქმა „იწყება კავკასის პირდაპირ“. და მეორეც, თუ „კავკასი უშვებს ორ მდინარეს“, რომელთაგან ერთ-ერთი ვარდანესია, როგორ შეიძლება ამავე დროს ეს მდინარე კავკასის პირდაპირ იწყებოდეს.

სხვათაშორის, კითხვას ბადებს ამ ადგილის ერემიანისეული თარგმანიც, სადაც ვკითხულობთ: „კავკასის მთავრებილი უშვებს ორ მდინარეს, ვარდანესს, რომელიც იწყება კავკასის პირდაპირ და აღწევს დასავლეთსა და ჩრდილოეთს, ვიდრე ერთვის მეოტის [ტბას] და პონტოს ზღვას“. როგორც შეიძლება მდინარე ერთდროულად მეოტის ტბასაც ერთვოდეს და პონტოს ზღვასაც. ტექსტში ნათქვამია „*ἡ δὲ ἄνω ἰσθμὸς ἔχει τὴν ἑξῆς ὁρίαν*“ „ერთვის მეოტისა და პონტოს ზღვას შორის“. ვარდანესი ყუბანს აღნიშნავს, რომელიც მართლაც, შავი და აზოვის ზღვებს შორის ერთვის შავ ზღვას.

ცალკე უნდა შევჩერდეთ მცირე სომხეთის აღმწერი ტექსტის აღდგენაზე. ოღონდ აქ დაგვეჭირდება მოკლე ექსკურსი მცირე სომხეთის ისტორიაში.

მცირე სომხეთი (ეგფრატის გაღმა, დასავლეთით მდებარე სომხეთი) დაახლოებით 111 წ. დაიპყრო მითრიდატე პონტოელმა. მისი დამარცხების შემდეგ იგი გადავიდა რომაელთა ხელში. როგორც ჩანს, თეოდოსი დიდის დროს, 378—386 წწ. შორის მცირე სომხეთი ორად იქნა დაყოფილი: პირველ სომხეთად, ცენტრით ქალაქ სებასტიაში და მის სამხრეთით მდებარე მეორე სომხეთად, ცენტრით ქალაქ მელიტე-

ნეში⁵⁰. სომხეთის 387 წ. გაყოფის შემდეგ აღმოსავლეთ რომის იმპერიამ მიიღო საკუთრივ დიდი სომხეთის დასავლეთი ნაწილიც (ევერატის მარცხენა, ან აღმოსავლეთის სანაპირო). ახლადშემოერთებული მიწებიც ორად იყოფოდა: ჩრდილოეთ ნაწილს რომაული ნომენკლატურით ეწოდებოდა შიდა სომხეთი, სამხრეთ ნაწილს კი სატრაპთა სომხეთი, ან ავტონომიური სატრაპიები. პირველი და მეორე სომხეთი (მცირე სომხეთი) აღმოსავლეთ რომის იმპერიის ჩვეულებრივ, რიგით პროვინციებს წარმოადგენდნენ. შიდა სომხეთი და სატრაპთა სომხეთი კი იმპერიის ფედერატებად ითვლებოდნენ და საშინაო საქმეებში ავტონომიით სარგებლობდნენ.

536 წ. იმპერატორმა იუსტინიანემ ჩაატარა სომხური მიწების რეორგანიზაცია. შიდა და სატრაპთა სომხეთიც რიგით პროვინციებად იქცნენ. ამასთან მათ ახალი ადმინისტრაციული დაყოფა მიეცათ. შიდა სომხეთს დაემატა ყოფილი პირველი სომხეთის ჩრდილო და პოლემონის პონტოს ნაწილები. ამ ახალ ერთეულს დაერქვა პირველი სომხეთი. მისი ცენტრი იყო ქალაქი ვიზანა, რომელსაც დაერქვა იუსტინიანოპოლი. ყოფილი პირველი სომხეთის დანარჩენ, სამხრეთ ნაწილს დაემატა პოლემონის პონტოსა და ელენოპონტის ნაწილები და შეიქმნა მეორე სომხეთი, ცენტრით სებასტიაში. ყოფილ მეორე სომხეთს დაერქვა მესამე სომხეთი, მისი ცენტრი დარჩა მელიტენეში, სატრაპთა სომხეთს დაერქვა მეოთხე სომხეთი (ცენტრი ქალაქ მარტიროპოლში).

როგორ არის წარმოდგენილი მცირე სომხეთი „აშხარაკტიკში“?

ვრცელი რედაქცია ამ ადგილას ნაკლულია. აქ არის მხოლოდ ერთი სომხეთი — „ქვეყანა მეორე სომხეთი, რომელსაც ახლა ეწოდება პირველი სომხეთი“. აქ აშკარად იგულისხმება ძველი დასახელების მეორე და იუსტინიანეს დროინდელი მესამე სომხეთი, რადგან, როგორც აღწერიდან ჩანს, იგი მდებარეობდა კილიკიის მეზობლად და სირიის კომაგენედან იყოფოდა ამანოსის მთით. ამას ადასტურებს ისიც, რომ სირიასთან იგი დაკავშირებული ყოფილა ორი კარით (სუქრ., გვ. 24—25).

საინტერესოა ქვეყნის დასახელება: მეორე სომხეთი, რომელსაც ახლა ეწოდება პირველი სომხეთი. როგორც ითქვა, ამ ქვეყანას მეორე ერქვა იუსტინიანეს წინ, 536 წლიდან კი მესამე სომხეთი. პირველ სომხეთად იგი არასოდეს არ ყოფილა ცნობილი. ასე რომ აქ აშკარა შეცდომაა.

საფიქრებელია, რომ ვრცელ რედაქციაში თავდაპირველად სხვა ნაწილიც იქნებოდა მცირე სომხეთისა. თვით სახელწოდება ამ ქვეყნისა

⁵⁰ Н. А д о н ц, Армения в эпоху Юстиниана, с. 89.

(„მეორე სომხეთი“) გვიჩვენებს, რომ, ავტორის აზრით, სხვა სომხეთიც უნდა ყოფილიყო (აქ, ცხადია, არ იგულისხმება დიდი სომხეთი, რადგან ეს უკანასკნელი სწორედ ამ სახელით და არა პირველ სომხეთად იხსენიება ტექსტში). აღსანიშნავია, რომ სუქრიანის ტექსტს მოკლერედაქციასთან შედარებით აკლია აგრეთვე მცირე სომხეთის მომდევნო კაპადოკიის პონტოც. საერთოდ უნდა ითქვას, რომ მცირე აზიის („აზხარაცუიციის“ სახელწოდებით „მიჯერკრეაიქ“, მასში შედის მცირე სომხეთიც) აღწერას სრული სახით არ მოუღწევია ჩვენამდე. მას აკლია აგრეთვე ონორიის, პამფილიისა და მეორე კაპადოკიის აღწერაც. რომ ეს ნაწილები თავდაპირველად იყვნენ არა მარტო მოკლერედაქციაში, არამედ ვრცელშიც, ჩანს იქიდანაც, რომ პაფლაგონიის აღწერაში ნათქვამია (ისევე, როგორც მოკლერედაქციაში) იგი (ე. ი. პაფლაგონია) ონორატას (ცხადია, ეს იგივე ონორიაა) აღმოსავლეთით მდებარეობს.

იმის გასარკვევად, თუ როგორ იყო წარმოდგენილი აქ მცირე სომხეთი, უნდა მოვიშველიოთ მოკლერედაქცია, რომელსაც, როგორც ზევეთ დავრწმუნდით, თვით ს. ერემიანაც დიდად უწევს ანგარიშს.

პატკანოვის გამოცემაში მცირე სომხეთის იგივე ნაწილი აგრეთვე მეორე სომხეთად იხსენიება. გარდა ამისა, აქ დასახელებულია კიდევ ორი სომხეთი: პირველი და მესამე. პირველ სომხეთზე ნათქვამია, რომ იგი „პირველი კაპადოკიის აღმოსავლეთით მდებარეობს მეორე სომხეთის გვერდით და აღმოსავლეთით ისაზღვრება ევფრატით“ (პატკ. გვ. 15). ამგვარად, პირველ სომხეთს დასავლეთით ესაზღვრება პირველი კაპადოკია, აღმოსავლეთით — ევფრატი. რადგან მეორე სომხეთი უკიდურესი სამხრეთი ნაწილია მცირე სომხეთისა (იგი სირიის მოსაზღვრება), ცხადია, რომ პირველი სომხეთი მეორის ჩრდილოეთი მეზობელია.

მესამე სომხეთზე ნათქვამია, რომ იგი „კაპადოკიის აღმოსავლეთით მდებარეობს და აღწევს ევფრატამდე“ (პატკ. გვ. 15). ცხადია, რომ მესამე სომხეთი პირველის მეზობლად, მის ჩრდილოეთით მდებარეობს. ამრიგად, პატკანოვის ვარიანტის თანახმად მცირე სომხეთი იყოფა სამად. შემდეგი თანამდებერობით ჩრდილოეთიდან სამხრეთ-საკენ: მესამე, პირველი, მეორე. აბრაამიანის გამოცემით, ყველაზე სამხრეთით მდებარე სომხეთი ჯაქედ, უბრალოდ სომხეთად იხსენიება. უნდა გვეფიქრა, რომ ეს უნდა იყოს მესამე სომხეთი, რადგანაც დანარჩენი ორი ნაწილი პირველ და მეორე სომხეთად იწოდება. მაგრამ პირველი სომხეთის აღწერაში, რომელიც მოსდევს ჯაქედის აღწერას, ისევე როგორც პატკანოვის ვარიანტში, ნათქვამია, „მეორე სომხეთის გვერდით“ მდებარეობსო. რადგანაც სავარაუდებელია, რომ ქვეყნის მდებარეობას ავტორი განსაზღვრავს ცნობილით და არა უცნობით, ამ შემთხვევაში უკვე ნახსენები ჯაქედით და არა პირველი სომხეთის მომ-

ვაზან-ად, ანუ ლეონტოპოლის-ად... ჩვენ მივაკუთვნეთ მას ქალაქებში თეოდოსიოპოლისი, რომელიც წინათაც მას ეკუთვნოდა, აგრეთვე სატალა, ნიკოპოლი და კოლონია, რომელნიც წავართვით ეგრეთწოდებულ პირველ სომხეთს, კიდევ ტრაპეზუნტი და კერასუნტი ყოფილი პოლემონის პონტოს შემადგენლობიდან⁵¹.

თეოდოსიოპოლისი, როგორც ცნობილია, იგივე სომხური კარნუქალაქია. იგი მდებარეობდა ზენა (მაღალი) სომხეთის აღმოსავლეთ საზღვარზე. საინტერესოა, რომ ამ მხარეს სხვაგვარად კარნოსაც ეძახდნენ, რაც ნიშნავს კარინის მხარეს. 387 წ. შემდეგ ზენა სომხეთი აღმოსავლეთ რომის იმპერიამ მიიღო სომხეთის გაყოფის შედეგად, რომაელთა ადმინისტრაციაში მას შიდა სომხეთი ეწოდებოდა. ქალაქი ვაზანა არის ქალაქი ვეანი, ბიზანა, რომელიც შედიოდა ამავე მაღალი სომხეთის მანანალის გავარში, დაახლოებით მაღალი სომხეთის ცენტრში. მაშასადამე, მაღალი სომხეთის ორი პუნქტი, უკიდურესი აღმოსავლეთისა და ცენტრალური, შედიოდა 31-ე ნოველით შექმნილ პირველ სომხეთში. ამიტომ საფიქრებელია, რომ მაღალი სომხეთის დანარჩენი ნაწილებიც ამავე ახლადშექმნილ ერთეულში შევიდნენ. მაგრამ „აშხარაცუიციში“ მაღალი სომხეთი პირველი სომხეთისგან ცალკეა მოხსენიებული და სათითაოდ არის ჩამოთვლილი მაღალი სომხეთის ცხრავე გავარი, მათ შორის მანანალი და კარინი.

ამრიგად, ირკვევა, რომ XXXI ნოველით შექმნილი პირველი სომხეთის ძირითადი ნაწილი, მისი დედაქალაქითა და სამხედრო ცენტრით (თეოდოსიოპოლში იჯდა ქვეყნის სამხედრო გამგებელი) „აშხარაცუიციში“ ცალკეა მოხსენიებული. ამიტომ მცირე სომხეთი სამად დაყოფილად გამოდის. გამოდის, რომ ახლადმიღებული პირველი, მეორე, მესამე სომხეთი ყველა მცირე სომხეთის ტერიტორიებისგანაა შედგენილი, რაც სწორი არაა. არც იუსტინიანეს წინ და არც მის დროს მცირე სომხეთი სამად არ ყოფილა დაყოფილი. იუსტინიანეს წინ მცირე სომხეთი იყოფოდა ორად; პირველ და მეორე სომხეთად. იუსტინიანეს ნოველითაც ასევე იყო. ყოფილმა მეორე სომხეთმა მხოლოდ სახელი გამოიცვალა და მესამე სომხეთად იქცა, ყოფილმა პირველი სომხეთის სამხრეთ ნაწილმა შეადგინა მეორე სომხეთი, ჩრდილოეთ ნაწილი კი შეუერთდა მაღალ სომხეთს და მასთან ერთად შეადგინა პირველი სომხეთი. ამისი ახსნა შეიძლება იმით, რომ ან „აშხარაცუიციის“ დაწერის დროისათვის უკვე მომხდარი იყო ახალი ადმინისტრაციული დაყოფა სომხური მიწებისა, რომელმაც შეცვალა ძველი ვითარება, ან „აშხარაცუიციის“ ავტორი კარგად არ იცნობდა არსებულ ვითარებას. ჩვენი აზრით, უკანასკნელი მოსაზრება უფროა სავარაუდებელი. მართლაც,

⁵¹ Н. Адонц, op. c., გვ. 174.

თუ ჩვენ მცირე სომხეთის აღწერას შევუდარებთ დიდი სომხეთის ქვე-
 ყნების აღწერას, ვნახავთ, რომ პირველი ბევრად უფრო ზოგადად არის
 შესრულებული და მნიშვნელოვნად ნაკლებ ცნობებს შეიცავს, ვიდრე
 მეორე. მაგალითისათვის განვიხილოთ ვრცელ რედაქციაში არსებულ
 მეორე სომხეთის აღწერა: „ქვეყანა მეორე სომხეთი, რომელიც ახლა
 იწოდება პირველ სომხეთად, კილიკიის აღმოსავლეთით ტავროსის
 მთებთან, ამანოს მთის გვერდით, რომელიც ჰყოფს მას სირიის კომა-
 გენედან ვიდრე ევფრატამდე. აქვს სხვა მთებიც: ზიგონი, ბასილიკონი
 და კრორმანდონი. და იგივე მდინარე პირამისი, პარატისი, კავკასი და
 კარომოსოსი და ორი გამოსასვლელი კარი სირიიდან“ (სუქრ. გვ. 24—
 25). მოკლე რედაქციაში, ცხადია, კიდევ უფრო ნაკლებია, მაგრამ აქაც
 კარგად ჩანს, რომ ფაქტიურად გარდა გეოგრაფიული ადგილმდებარეო-
 ბის განსაზღვრისა და რამდენიმე მდინარის დასახელებისა საკუთრივ
 ქვეყანაზე არაფერია ნათქვამი. სხვათაშორის, თუ ჩვენ დავუკვირდებ-
 ბით ტექსტს, საკუთრივ სომხური დასახელება აქ მხოლოდ სომხეთია
 (Հայք). მეტი არც ერთი სომხური სიტყვა არაა. არის კილიკია, ტავ-
 როსი, ამანოსის მთა, კომაგენე, ევფრატი, ზიგონი, ბასილიკონი და სხვ.
 მთების და მდინარეებზე არასომხური დასახელებანი. შევადაროთ ამ აღ-
 წერას მისივე მეზობელი ქვეყნის დიდი სომხეთის ნაწილის, ე. წ. მე-
 თოხე სომხეთის, აღწერალობა. „[დიდი] სომხეთის ქვეყანა მეოთხე
 სომხეთი, რომელიც არის წოფქის მხარე, მაღალი სომხეთის გვერდით,
 აღმოსავლეთიდან ესაზღვრება მელტინე ქალაქს, ხოლო სამხრეთით
 შუამდინარეთს, აღმოსავლეთით ტარონს. აქვს რვა გავარი. ხორძიანი
 აღმოსავლეთიდან ჩრდილოეთით, მასზე გადის მდინარე მეორე (სხვა)
 გაილი კოლოქსიდზე გავლით. ჰაშტეანქი, რომლისგანაც მომდინარეო-
 ბენ მდინარე ტიგროსის წყაროები. ხოლო ხორძინის დასავლეთით არის
 გავარი პალნატუნი იმავე სახელის მქონე ციხის პირდაპირ. ხოლო მის
 პირდაპირ სამხრეთისკენ გავარი ბალახოვიტია. ხოლო მათი დასავლეთ-
 თით წოფქი და გავარი ანძითი სამხრეთისკენ. ამ წოფქში არის პორეს
 ციხე. ხოლო მათ დასავლეთით გავარი დეგიკია, რომელშიაც არის ცი-
 ხეები კრანი, ქრვიკი და სოკი, რომელთა პირდაპირ სამხრეთისკენ არის
 გავარი გორეგი, რომელზედაც გადის არაწანი და ერთვის ევფრატს ქა-
 ლაქ ლუსათარიკთან, შემდეგ მიდის დასავლეთისკენ და აღის მცირე
 სომხეთის საზღვრებთან მელტინეს აღმოსავლეთით. შემდეგ მას ერთვის
 კავკასი, რომელიც მოდის დასავლეთიდან მთიდან, რომელსაც ჰქვია
 ზიგონ ვასითეონი. ხოლო სანამ ის შეუერთდებოდეს ევფრატს, მას
 ერთვის მდინარე კარამინონი, რომელიც მოდის ტავროსის მთიდან,
 ერთვის ევფრატს და მიდის სამხრეთისკენ, ჰკვეთს ტავროსის მთას. ამ
 ადგილას იპოვება აქემარინი, და აქვს მეოთხე სომხეთს საქონელი,
 ფრინველი, ხოლო ნადირისგან ლომი“ (სუქრ. გვ. 30).

როგორც ვხედავთ, მეორე სომხეთის აღწერისგან განსხვავებით აქ დასახელებულია მეოთხე სომხეთის ყველა გავარი, უმთავრესი ქალაქები, ციხეები, მოცემულია ქვეყნის ზოგადი ეკონომიკური დასახისათება, დასახელებულია ფაუნის საყურადღებო წარმომადგენელი, ბევრად უფრო დაწვრილებით არის წარმოდგენილი მდინარეთა სისტემა. ეს აღწერა არ არის გამონაკლისი, მეტნაკლებად იგივე ვითარებაა დიდი სომხეთის სხვა ნაწილების აღწერაშიც.

როგორც უკვე ზემოთ იყო აღნიშნული, მცირე სომხეთის სხვა ნაწილები სუქრიანის ტექსტს აკლია. ისინი ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ მოკლე რედაქციის მიხედვით, ოღონდ რათა შეფარდება არ დაირღვეს, მათი შედარება საჭირო იქნება გაკეთდეს დიდი სომხეთის ნაწილების იმავე მოკლე რედაქციაში არსებულ აღწერასთან. იქაც იგივე ვითარებაა, რომელიც ჩვენ ვნახეთ ვრცელი რედაქციის სათანადო აღგლები გაცნობისას. საინტერესოა, რომ აქაც მცირე სომხეთის სამივე ნაწილში ერთადერთი სომხური დასახელებაა თვით ქვეყნის სახელი ლაქი (სომხეთი). შთაბეჭდილებას იმისას, რომ ავტორი კარგად არ იცნობს მცირე სომხეთს, აძლიერებს ისიც, რომ აქ პირველი სომხეთის შემადგენლობაში დასახელებულია მთა არგეოსი, ე. ი. კაპადოკიის ის ნაწილი, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, არასოდეს არ შედიოდა მცირე სომხეთში. საერთოდ, აქ თვით საზღვრებიც კი არაა მოცემული ამ ქვეყნებისა; ავტორი გვამცნობს ზოგადად — ეს ამის აღმოსავლეთით მდებარეობსო.

ამრიგად, მცირე სომხეთის აღწერა მოცემულია მეტად ზოგად ხაზებში. ფაქტიურად აქ მხოლოდ მისი დასახელებაა და ძალიან ზოგადი გეოგრაფიული აღგიომდებარეობის განსაზღვრა. მისი დაყოფა მცდარად არის წარმოდგენილი. არეულია ცალკეული ქვეყნების სახელები. ერთ-ერთი მისი ნაწილის შემადგენლობაში შეტანილია ტერიტორია, რომელიც მასში არასოდეს არ შედიოდა. ზემოთქმულის საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ „ამხარაცუიციის“ ავტორს სრული და სწორი ცნობები მცირე სომხეთზე არა აქვს. ყოველივე ზემოთქმული მნიშვნელოვან პრობლემებს სვამს მკვლევრის წინაშე. რატომ კარგად არ იცნობს „ამხარაცუიციის“ ავტორი მცირე სომხეთს? რატომ აქვს მას მცდარი ცნობები მის შესახებ? რატომ არის მცირე სომხეთი ცალკე აღწერილი დიდი სომხეთის იმ ნაწილებისგან, რომლებიც მცირე სომხეთის მსგავსად 387 წლიდან ბიზანტიელებს ექირათ? როდის უნდა დაწერილიყო „ამხარაცუიცი“, თუ კი მისმა ავტორმა ესოდენ ცუდად იცოდა VI ს. შუა ხნის ვითარება?

მთელი ეს საკმაოდ ვრცელი ექსკურსი იმისთვის დაგვიკირდა, რომ გასაგები იყოს, თუ რა მნიშვნელობა აქვს „ამხარაცუიციის“ შესწავ-

ლისთვის მასში მოცემულ მცირე სომხეთის აღწერას. ვნახოთ ახლა, როგორ არის ეს ნაწილი წარმოდგენილი ს. ერემიანის გამოცემაში.

პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ისევე როგორც სხვაგან, აქაც ავტორი კომენტარს არ უყვებებს მის მიერ წარმოდგენილ ტექსტს, თუმცა კი, როგორც დავრწმუნდებით, ამ ტექსტმა არსებითი, პრინციპული ხასიათის ცვლილებები განიცადა. ამდენად, ჩვენ არ ვიცნობთ იმ მოსაზრებებს, რომლებითაც ხელმძღვანელობდა ავტორი და არა გვაქვს საშუალება, ვიმსჯელოთ მისი კონიექტურების სისწორეზე. განვიხილოთ ერემიანისეული ტექსტი.

პირველად მოტანილია მეორე სომხეთის აღწერა სუქრიანის რედაქციიდან. ტექსტში, როგორც უკვე მოგვიხდა ლაპარაკი, ნათქვამია. „ქვეყანა მეორე სომხეთი, რომელიც ახლა იწოდება პირველ სომხეთად“. ს. ერემიანი ასწორებს „ქვეყანა მეორე სომხეთი, რომელიც ახლა იწოდება მესამე სომხეთად“. ისტორიული თვალსაზრისით აღდგენა სწორია, მეორე სომხეთს, მართლაც, ეწოდა შემდგომში მესამე სომხეთი, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაა საკმარისი საბუთი ასეთი შესწორების შესატანად, ამ შესწორების გასაკეთებლად საჭიროა დამტკიცდეს, რომ „აშხარაცუიციის“ ავტორმა, მართლაც, ასე დაწერა. რა გარანტია გვაქვს იმისა, რომ იგი სწორად აღწერდა ყველაფერს? ამგვარი აღდგენა სხვა არაფერია, თუ არ ჩვენი ცოდნის მოხმარება, ფაქტიურად თანაავტორად გახდომა. ამ გასწორების შედეგად ტექსტი ისტორიული თვალსაზრისით გამართული ხდება. გამოდის, რომ ავტორმა იცის, რომ მისი დროს მესამე სომხეთს ძველად მეორე სომხეთი ერქვა. მაშასადამე, „აშხარაცუიციში“ იკვეთება ორი ფენა: ავტორის თანამედროვე და მისი წინამავალი. ეს არის ძირითადი შესწორება, რომელიც შეტანილია ტექსტში და მას, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ს. ერემიანის მთელი კონცეფციისთვის.

ძალზე მნიშვნელოვანია შემდეგიც. ს. ერემიანს ყოველი ნაწყვეტი დასათაურებული აქვს. მას არსად არა აქვს აღნიშნული, რომ ეს დასათაურება მისია და არა „აშხარაცუიციის“ ავტორისა. ამდენად მკითხველს, ცხადია, ჰგონია, რომ სათაურები თვით ტექსტიდანაა. ამ ნაწყვეტის სათაურია „*Մադագիս სիկიւրդ ձալոց*“ — „მეორე სომხეთის შესახებ“. ჩვენ ვნახეთ, რომ თვით ტექსტში არის „მეორე სომხეთი, რომელსაც ახლა ეწოდება პირველი“ (სუქრიანით). მკითხველს რჩება შთაბეჭდილება, რომ „აშხარაცუიციის“ ავტორისათვის უფრო მნიშვნელოვანია ამოსავალი ძველი ვითარება. საწინააღმდეგო შემთხვევაში იქნებოდა „პირველი სომხეთი, რომელსაც წინათ ერქვა მეორე“. მაგრამ ეს მხოლოდ შთაბეჭდილებაა, რადგან „აშხარაცუიციის“ ავტორის ფრაზა არ ატარებს კატეგორიულ ხასიათს და ჩვენც არ შეგვიძლია გადაწყვე-

თანავეტორობას გულისხმობს „აშხარაცუციის“ ავტორთან და არა ტექსტის აღდგენას, რადგან თვით ს. ერემიანის რუკის თანახმად აქ არის სხვა მდინარეებიც, რომლებიც არ შესულან „აშხარაცუციში“. აქ ს. ერემიანს უნდა გაეთვალისწინებინა შემდეგიც: „აშხარაცუციის“ მოკლე რედაქციის პატკანოვისეულ ვარიანტში ნათქვამია, რომ მეორე სომხეთში ოთხი მდინარეაო (თვით მდინარეები დასახელებული არაა). აბრაამიანისეულ ვარიანტში ნათქვამია — სამი მდინარე არისო. ცხადია, საფიქრებელია, რომ ეს რაღაცნაირად ასახავს პირველადი დედნის მდგომარეობას.

სუქრიანის რედაქციაშიც, ისევე როგორც პატკანოვთან, ოთხი მდინარეა დასახელებული, მაგრამ ერემიანის ჩამატებებით კი აქ უკვე ექვსი გახდა. შემდეგ აგრეთვე ყოველგვარი აღნიშვნის გარეშე „კავკას“ („ყაყას“) გასწორებულია „ყჩაყას“-ად. არის კიდევ რამდენიმე უმნიშვნელო შესწორება. თუმცა რიგი ამ შესწორებებისა სწორი უნდა იყოს, მაგ. *ყაყასჩა*-ის გასწორება *ყჩაყასა*-ად, *მჩინ-ჩაა-ჩიქინ*-ის ერთ სახელად წაკითხვა, მაგრამ ფორმა, რომლითაც გაკეთებულია ეს შესწორებები, სადავოა.

კიდევ უფრო მეტი ცვლილებები განუცდია მცირე სომხეთის დანარჩენი ნაწილის აღწერას. როგორც უკვე იყო ნათქვამი, სუქრიანთან მოიპოვება მხოლოდ ზემომოყვანილი ნაწილი, დანარჩენი აკლია. ამიტომ ჩვენ მსჯელობა შეგვიძლია მხოლოდ მოკლე რედაქციის მიხედვით.

უკვე ითქვა ისიც, რომ მოკლე რედაქციაში გვაქვს მცირე სომხეთის კიდევ ორი ნაწილი: პირველი და მესამე სომხეთი (ზევით ჩვენ სპეციალურად განვიხილეთ ის საკითხი, რომ აბრაამიანის ვარიანტში არსებული მცირე სომხეთი შეცდომით უნდა მომდინარეობდეს მესამიდან). ითქვა ისიც, რომ ისტორიულ სინამდვილეს არ შესაბამება მცირე სომხეთის სამ ნაწილად მოხსენიება; მცირე სომხეთის ყველაზე ჩრდილოეთი ნაწილის მესამე სომხეთად მიჩნევა და პირველ სომხეთში არგოსის მთის მოხსენიება. აქად ს. ერემიანმა კი მოკლე რედაქციის პირველი და მესამე სომხეთი გააერთიანა. იყო ასე:

*სიანჯინ ჯაქც, ქსიქე ჯაქიქ
აოაჯინ ჯაყაჯიქიქიქ აო ხრი
ხრიქორქ ჯაქიქ, ჯ სანამანი ქს-
ქიქ ხიქრაოაქ. ჯ ქსაონ იონქ
ქსიქქიქ, ჯ ქსიქ სქსაონ ქსიქქა
ჯ აქქ მანონაქ:*

პირველი სომხეთი პირველი კაპადოკიის აღმოსავლეთით მდებარეობს, მეორე სომხეთის გვერდით. იგი აღმოსავლეთიდან ისაზღვრება ეფფრატით და აქვს მთა არგოსი, ოცდაათი მდინარე, ალისი და სხვანი მცირენი.

*სერციფ ჯაქე სნ ირ ღანს კორ-
ხსიქსე ყათაყაიქიქიქი, ხ სერქაჯნ
თარაბქი ძენჯხ ესქირაათ. ხ თნქ
აქქ ეხთი სერქი, ხ ქსქჩნსი მათ-
ჯომა მსტამსბი გუანსხქრქო.*

მესამე სომხეთი არის კაპადო-
კიის აღმოსავლეთით. იგი გრძელ-
დება ევფრატამდე და აქვს სხვა
ორი მდინარე და მრავალი დიდი
მთა ოცდაორი.

ს. ერემიანის აღდგენით ეს აღგილი გამოიყურება შემდეგნაირად:

*[მქიარჯ შთაჯჩნ ჯაქე, ირ
აიჯ კიჯჩნ] ხსქირაქ ჯაქე, ირ
კაქ ქსქსე ყათაყაიქიქიქი-ხ სერ-
ქაჯნ თარაბქი ძენჯხ ესქირაათ:
ხ თნქ [მქჩს ესო ხ] აქქ ეხ-
თი სერქათ [ირქს ხ ზაქქ-
ქჩს], ხ სერქნსი მათჯომა ხ მსტამ-
სბი*

[ქვეყანა პირველი სომხეთი,
რომელსაც ახლა ეწოდება] მეორე
სომხეთი. იგი არის კაპადო-
კიის აღმოსავლეთით და გრძელ-
დება ევფრატამდე. მას აქვს [მდი-
ნარე ალესი და] სხვა ორი მდი-
ნარე [არესი და გაილ-გეტა] და
მრავალი და დიდი მთა.

როგორც ითქვა, ს. ერემიანმა გააერთიანა პირველი და მესამე სომ-
ხეთის აღწერა ერთი ქვეყნის აღწერად. ამის შედეგად გამოვიდა, რომ
„აშხარაცუციში“ მცირე სომხეთი ორად არის დაყოფილი, ე. ი. მოის-
პო ის წინააღმდეგობა ისტორიულ სინამდვილესთან, რომელიც მანამდე
არსებობდა ამ თხზულებაში. შემდეგ ამ აღდგენილ ნაკვეთში მოკლე
რედაქციის პირველი სომხეთის აღწერიდან ს. ერემიანმა შეიტანა სი-
ტყუები *შთაჯჩნ ჯაქე* და თავის მხრივ დაუმატა *ირ აიჯ კიჯჩნ სერქი-
რიქ ჯაქე (ხსქირაქ ჯაქე)*, „რომელსაც ახლა ეწოდება მეორე სომხე-
თი“ („მეორე სომხეთად“). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დასახელებუ-
ლია აბრაამიანის ვარიანტში მცირე სომხეთის ყველაზე ჩრდილოეთი
ნაწილი, რომელსაც პატრიარქის ვარიანტით მესამე სომხეთი ეწოდება.
ჩვენ ზევით უკვე გვქონდა სპეციალური მსჯელობა იმის შესახებ, რომ
აბრაამიანის ვარიანტის „მეორე სომხეთიც“ „მესამედან“ უნდა იყოს
შეცდომით წარმოდგარი. მაგრამ ეს ასეც რომ არ იყოს, არავითარი
საფუძველი არ არსებობს, ეს „მეორე სომხეთი“ ასეთ კონტექსტში და-
ვაკავშიროთ პირველთან („პირველი სომხეთი, რომელსაც ახლა ეწო-
დება მეორე“). ამ მანაპულაციის შედეგად მივიღეთ ისევ ორი ფენა:
ძველი სახელწოდება „პირველი სომხეთი“ და ახალი — „მეორე სო-
მხეთი“. ცხადია, ამან კიდევ უფრო უნდა დაარწმუნოს მკითხველი,
რომ „აშხარაცუციში“ წარმოდგენილია ორი ფენა. კიდევ მეტი, ამ
შთაბეჭდილების კიდევ უფრო გასაძლიერებლად ამ შემთხვევაშიც
ს. ერემიანს ამ ნაკვეთის სათაურად გააქვს ძველი ფენის სახელწოდე-

ბა. ნაკვეთს ჰქვია „პირველი სომხეთის შესახებ“. ამითი მოიხსნა ის შეცდომა, რომელიც დაშვებულია „აშხარაცუციის“ ტექსტში მცირე სომხეთის ნაწილების დასახელების თვალსაზრისით. მართლაც, თითქოს ყველაფერი თავის ადგილზეა: მცირე სომხეთი ორადაა გაყოფილი, ჩრდილო ნაწილის ძველი სახელწოდებაა პირველი სომხეთი. ახალი სახელი კი — მეორე, სამხრეთი ნაწილისა და შესაბამისად — მეორე და მესამე სომხეთი. ამასთან აღსანიშნავია, რომ ერემიანის „პირველი სომხეთის“ აღწერიდან გამოტოვებულია აგრეთვე მთის ხსენებაც. ამრიგად, დაძლეულია ეს ტერიტორიული შეცდომა, რომელიც ჰქონდა ძველ ტექსტს. სპეციალურად უნდა აღინიშნოს ის, რომ ასეთი ინტერპოლაციის შესახებ ავტორს არაფერი აქვს ნათქვამი, მხოლოდ კვადრატულ ფრჩხილებშია ჩასმული სიტყვები: „ქვეყანა პირველი სომხეთი, რომელსაც ახლა ეწოდება...“

მაგრამ, ცხადია, ასეთი გადაწყვეტა იმ მნიშვნელოვანი პრობლემებისა, ზემოთ რომ მოგვინდა ლაპარაკი, შეუძლებელი იყო. და, მართლაც, ავტორს მხედველობიდან გამორჩა, რომ მისი რედაქციის შემდეგაც კი დადაუპრელი ამოცანები დგება. ახალი რედაქციით გამოდის, რომ ძველი პირველი სომხეთი უდრის „აშხარაცუციის“ ავტორის თანამედროვე მეორე სომხეთს. ეს კი სწორი არაა. იუსტინიანეს XXXI ნოველაში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ახლადჩამოყალიბებულ მეორე სომხეთში ყოფილი პირველი სომხეთიდან შევიდა ქალაქები: სებასტია და სებასტოპოლი, ე. ი. ქვეყნის მხოლოდ სამხრეთი ნაწილი (მას დაემატა პოლემონის პონტოსა და ელენოპონტის ნაწილებიც), ყოფილი პირველი სომხეთის ჩრდილო ნაწილი კი ქალაქებით: სატალათი, ნიკოპოლითა და კოლონიით შეუერთდა შიდა სომხეთს და შეადგინა ახალი პირველი სომხეთი. ამრიგად, ძველი პირველი და ახალი მეორე სომხეთი ერთმანეთს ვერ ფარავენ.

როგორც ვნახეთ, ს. ერემიანის რედაქციის შედეგად მივღეთ, რომ ყოფილ პირველ სომხეთს „ახლა“ (იგულისხმება „აშხარაცუციის“ დაწერის დრო) ჰქვია მეორე სომხეთი, ყოფილ მეორე სომხეთს — მესამე, არის აგრეთვე მეოთხე სომხეთიც, მაგრამ რომელიდაა ის ქვეყანა, რომელსაც „ახლა“ პირველი სომხეთი ეწოდება? ასეთი ქვეყანა ერემიანისეულ ტექსტში არაა. ვერც იქნებოდა, რადგან „ახალი“ პირველი სომხეთი წარმოადგენდა ყოფილი შიდა სომხეთის („აშხარაცუციის“ მაღალი სომხეთის) და ყოფილი პირველი სომხეთის ჩრდილო ნაწილის გაერთიანებას, „აშხარაცუციმა“ კი ასეთი ერთეული არ იცის: ამჯერად ს. ერემიანმა „აშხარაცუციის“ ავტორს მიაწერა ის, რაც მას არ გაუკეთებია.

სწვა ცვლილებებზე, რომლებიც ემჩნევა ტექსტს ს. ერემიანის აღდგენის შედეგად, სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ავტორს ჩაუმატებია მდინარეების ირისისა და გაილ-ფეტის (საყურადღებოა ამ უკანასკნელის გასომხურებული ფორმა გაილ-გეტ) სახელები.

ვფიქრობთ, ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ავტორის მიერ არჩეული ტექსტის აღდგენის მეთოდი და ფორმა ბევრს საკამათოს შეიცავს.

ვ. ს. ნალბანდიანი. თბილისის სომხურ მწერლობაში

ერევანი. 1958 (სომხურ ენაზე)*

რეცენზია

ჩვენს მეხსიერებაში ჯერ კიდევ ცოცხალია ის მღელვარება, რომელიც ყველა ჩვენთაგანმა, ყველა თბილისელმა და ყველა ქართველმა განიცადა სახელოვანი დედაქალაქის, თბილისის, ათასხუთასი წლისთავის დღესასწაულის დღეებში. თბილისი ქართველი ხალხის სიბრძნისა და გმირობის ქალაქია, იგი ქალაქია ჩვენი დიდებული წინაპრებისა და მომავალ გამარჯვებულ თაობათა. თბილისი ჩვენი სილამაზეა და სიამაყე. იგი არის ჩვენი ძმობის, სტუმართმოყვარეობის და მეგობრობის ქალაქი. მართლაც, ჩვენ ბევრჯერ გვიამაყნია იმით, რომ თბილისი ჭეშმარიტად ხალხთა ძმობის ქალაქია. დიდ საზღვაო ქალაქებშიც კი იშვიათია ის ინტერნაციონალურობა, იმდენი სხვადასხვა ეროვნების ხალხი, თბილისში რომ ცხოვრობს: ქართველი, სომეხი, რუსი, ებრაელი, აზერბაიჯანელი, ქურთი, უკრაინელი, პოლონელი და უამრავი სხვა რამდენიმე ათეული სხვადასხვა ხალხი, ენა, ზნე. ამიტომაც იყო, რომ თბილისის ზეიმი მარტო ქართველი ხალხის ზეიმი არ ყოფილა. ამ დღეებში ჩვენთან თავი მოიყარა ყველა ჩვენმა მეგობარმა და თბილისის თაყვანისმცემელმა. ბევრი სტუმარი ეწვია ჩვენს ქალაქს ჩვენი უზარმაზარი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან და კიდევ უფრო მეტს უნდოდა ყოფილიყო აქ, ჩვენთან ერთად. რამდენი ლექსი ითქვა თბილისის საქებრად, რამდენი მილოცვა და საჩუქარი მიიღო მან. ბევრი რამ ითქვა და დაიწერა თბილისის შესახებ ნომძე რესპუბლიკებშიც; მაგალითად, სომხეთში თბილისის იუბილეს სპეციალური ნომრები უძღვნეს ერევნის გაზეთებმა. თბილისზე დაიბეჭდა ბევრი სტატია სომხეთის სხვადასხვა ჟურნალებშიც. განსაკუთრებული სიხარული გამოიწვია თბილისელებში ერევნელების ერთმა დიდმა საჩუქარმა: მათერევნის ერთ-ერთ უდიდეს და ულამაზეს ქუჩას თბილისის სახელი დაარქვეს. ცხადია, სომეხი ხალხის ასეთი გულითადი გამოხმა-

* დაიბეჭდა ჟურნალში „ცისკარი“, 1959 წ. № 2.

ურება ჩვენი დღესასწაულისა თბილისელებსათვის დიდად სასიამოვნო იყო, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ შესაძლებელია ბევრ ჩვენთაგანს მაინცდამაინც არც კი გაჰკვირვებია იგი და რამდენადმე ბუნებრივადაც კი ჩათვალა. ეს რომ გასაგები გახდეს, ერთი თვალის გადავლებაც კი საკმარისია ჩვენი ხალხების ურთიერთობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაზე.

თითქმის ორიათასწუთასი წელია, რაც ქართველები და სომხები ერთმანეთის გვერდიგვერდ ცხოვრობენ. ეს მცირე დრო როდია. ამ ხნის განმავლობაში არა ერთი უძლიერესი სახელმწიფო დაემხო და არაერთი ამაყი ხალხი აღიგავა პირისაგან მიწისა. და თუ კი ჩვენმა, შედარებით არამრავალრიცხოვანმა, ხალხებმა ასე შეუღრეკელად გაუძლეს ათასგვარ სიძნელებს და შეინარჩუნეს თავისი თავი და თავისი უბრწყინვალესი კულტურა, ამის ერთ-ერთი მიზეზი ამ ორი ხალხის ურყევი მეგობრობაცაა. ყოველ საჭირო შემთხვევაში ეხმარებოდნენ ისინი ერთმანეთს და მოძმე არასოდეს დაუგდიათ გასაჭირში. სომხეთი პირველი ღებულობდა სამხრეთიდან შემოსეული მტრის პირველ დარტყმას და ამითი საქართველოსაც უმსუბუქებდა თავდაცვას. თავის მხრივ საქართველო ჩრდილოეთის მომთაბრე ტომების შემოსევებისგან იფარავდა სომხეთს (ასე მიეყრდნობა ერთმანეთს ზურგიტ მტრისაგან ალყაშემორტყმული ორი თავგანწირული მეომარი). თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ სამხრეთიდან ჩვენი ხალხებზე მომავალი საფრთხე უფრო დიდი იყო მუდამ. მაგრამ ჩვენი მეგობრობა მართლ ბრძოლის ველზე როდი მტკიცდებოდა. იგი ჩვენი ხალხების ცხოვრების სხვა მხარეებსაც მოიცავდა. მათ შორის მუდამ იყო ცხოველი ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა. გზები სასუსე იყო ქარავნებით, ხოლო სომეხ მწიგნობარს ისევე შეეძლო წაეკითხა სომხურად „ქართლის ცხოვრება“ და „შუშანიკის მარტვილობა“, როგორც ქართველს ქართულად სანდუხტისა და მესუყავეთა წამებანი. ამ ხალხებს შორის უახლოეს კავშირებს ისიც მოწმობს, რომ ქართულში უამრავი სომხური სიტყვაა და პირიქით. ბევრი სიტყვა, რომელიც დღეს საესებით ქართულად უღერს, მაგალითად მიამიტი, ერკემალი და სხვ. წარმოშობით სომხურია. ასეთივე მდგომარეობაა სომხურშიც. ასევე ხუროთმოძღვრებაში და ხელოვნების სხვა დარგებშიც, მეცნიერებაში და უბრალო ზნე-ჩვეულებებშიც. ქართული ვაზიც — საფერავი, დღეს ისევე ჰყვავის სომხეთის ცხელი მზის ქვეშ, როგორც თავის სამშობლოში.

ყველაფერი ამის გამო იყო, რომ ვამბობდით, მოძმე სომხების გულთბილი დამოკიდებულება თბილისის დღესასწაულისადმი მთლად საკვირველი არ უნდა იყოს-მეთქი. თბილისი ხომ სწორედ ცენტრია ამ ქართულ-სომხურ კავშირებისა. აქ ცხოვრებდა ბევრი გამოჩენილი სომეხი მოღვაწე და თვით სომხეთის ისტორიის არაერთი ფაქტი თბი-

ლისთანაა დაკავშირებული. თბილისში მიიღო განათლება და დაწერა თავისი ცნობილი რომანი „სომხეთის წყლულები“ დიდმა სომეხმა მწერალმა ხაჩატურ აბოვიანმა. აქ ცხოვრობდნენ სომხური ლიტერატურის გამოჩენილი მოღვაწეები: რ. ალამდარიანი და დრამატურგი გ. სუნდუკიანი. თბილისში გამოდიოდა მრავალი სომხური ჟურნალ-გაზეთი, აქ დაიბეჭდა უამრავი სომხური წიგნი. დაბოლოს, თბილისში ცხოვრებდა და მოღვაწეობდა დიდი სომეხი მწერალი ოვანეს თუმანიანი, საქართველოს დიდი მეგობარი და მოყვარული, რომელიც თურმე ხშირად ამბობდა: „ერთი გზა გვქონდა ძველად, ერთი კულტურა ჰყვოდა ჩვენს შორის და მომავალიც ერთი გვაქვს“.

• თბილისელებმა მოძმე ერევნელებისაგან კიდევ ერთი ძვირფასი საჩუქარი მიიღეს. ეს არის ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორის, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ვაჩე სმბატის ძე ნალბანდიანის წიგნი — „თბილისი ძველ სომხურ ლიტერატურაში, (დასაწყისიდან XVIII საუკუნის გასულამდე)“. წიგნი თბილისის იუბილეს დღეებისათვის დაიბეჭდა და ავტორმა იგი „საქართველოს დედაქალაქ თბილისის დაარსების 1500 წლისთავს“ უძღვნა. წიგნი საშუალო ზომისაა (170 გვერდი), სუფთად და ლამაზად გამოცემული, მისი რედაქტორია პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგი.

საერთოდ ცნობილია, რომ ძველ სომხურ საისტორიო მწერლობას საქართველოს შესახებ უამრავი და უძვირფასესი ცნობები შემოუნახავს, ასევე თბილისზედაც. წიგნის დანიშნულებაზე ავტორი შესავალში აღნიშნავს: „საქართველოს უძველესი დედაქალაქი თბილისის შესახებ ძველ და შუა საუკუნეების სომხურ ლიტერატურაში მრავალრიცხოვანი მასალებია და ცნობები. მათი შეგროვება, ერთად მოტანა, დამუშავება და განზოგადება საკმაოდ ძნელი საქმეა. წინამდებარე შრომის მიზანი არ არის ყველა ამ მასალისა და ცნობის სრული და ამომწურავი გადმოცემა და განხილვა. ამ წიგნაკის მიზანია მკითხველს წარმოუდგინოს მხოლოდ ერთი რიგი მნიშვნელოვანი ცნობებისა, რომლებიც დაცული არიან სომხურ ლიტერატურაში თბილისის ისტორიის შესახებ, დაწყებული ძველი დროიდან ვიდრე XVIII საუკუნის ბოლომდე“ (გვ. 3). მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი მხოლოდ სომხურ წყაროებს როდი იყენებს. საჭირო ადგილას ის იშველიებს აგრეთვე ქართულ, ბერძნულ, არაბულ, რუსულ და იტალიურ წყაროებსაც.

წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ მთელი წიგნი დაწერილია ქართველი ხალხის წარსულის დიდი ცოდნითა და სიყვარულით. მთელი წიგნის მანძილზე ხაზგასმით აღნიშნავს ავტორი იმ ტრადიციულ მეგობრობას, რომელიც ჰქონდათ ერთმანეთთან სომეხ და ქართველ

ხალხებს; „საუკუნეთა სიღრმიდან მოდის ორი მოძმე ხალხის, ქართველებისა და სომხების მეგობრობა. იგი ისევე ძველია, როგორც თვით ეს ხალხები. მისი მრავალსაუკუნოვანი სიძველის მქონე ფესვები მიდიან ძალიან ღრმად და უხსოვარ, წინაისტორიულ დროებს აღწევენ. ამ მეგობრობისა და ძმობის შესახებ გულითადი სიტყვებით გვიამბობენ სომხურ და ქართულ ისტორიულ ძეგლებსა თუ მატინეებში დაცული და საუკუნეთა ნისლში ჩვენამდე მოღწეული ხალხური ტრადიციები და გადმოცემები“ — წერს ავტორი (გვ. 5) და იქვე იხსენიებს, რომ სახელგანთქმული XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის სიტყვით სომეხთა მამამთავარი ჰაიკი, ქართველთა მამამთავარი ქართლოსი და ექვსი სხვა კავკასიელი ხალხების მამამთავრები: ბარდოსი, მოვკანი, ლეკოსი, ჰეროსი, კაჯაღსი და ეგროსი ნოეს შთამომავალ თარგამოსის შვილები, ღვიძლი ძმები იყვნენ (იქვე). როგორც საესებით სამართლიანად აღნიშნავს ავტორი, სომეხ-ქართველთა ეს ოდინდელი მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა საუკუნეთა მანძილზე, როდესაც სომეხი და ქართველი ხალხები მხარდამხარ იბრძოდნენ უცხოელი დამპყრობლებისა და ასიმილატორების წინააღმდეგ. „თითქმის ერთნაირი შეიქნა ქართველებისა და სომხების მწარე გამოცდილებით აღსავსე ისტორიული ბედო. ისინი ყველგან ერთად იყვნენ, როგორც სიხარულსა და ღზინში, ისე გაჭირვების ტრაგიკულ დღეებში. ამ ორი ხალხის სამხედრო მეგობრობა და ურთიერთდახმარება შეიქნა მათი ხსნის ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წმინდა რგოლთაგანი, რომელზედაც მოკიდებულმა ამ ხალხებმა თავი დააღწიეს ურიცხვ და უამრავ გაჭირვებათა დახლართულ ლაბირინთებს, გადარჩნენ და მოაღწიეს ჩვენს დრომდე“ (გვ. 10). ასევე განსაკუთრებული სიყვარულითა და აღტაცებით წერს ავტორი თბილისზე. მაგრამ სჯობს რომ ამჯერადაც თვით ავტორს დავუთმოთ სიტყვა: „ორი მოძმე ხალხის მეგობრობის ერთგვარ სიმბოლოდ იქცა საქართველოს უძველესი დედაქალაქი თბილისი. ათასერთი სასწაულითა და მომხიბველობით აღსავსე ეს ქალაქი ჰეშმარიტად ამიერკავკასიის ხალხების ძმობის აკვანია. საქართველოს დედაქალაქში საუკუნეთა განმავლობაში ერთად ცხოვრობდნენ; საერთო აზრითა და ოცნებით სუნთქავდნენ, საერთო საზრუნავითა და ტკივილით იტანჯებოდნენ ქართველი და სომეხი, იყოფდნენ რა როგორც ბედის სიმუხთლეს, ისე გამარჯვების სიხარულს.

თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო სომხეთი უმთავრესად პირველი ხედებოდა უცხოურ შემოტევებს, პირველი იღებდა ამიერკავკასიაში შემოჭრილი ურდოების შემოტევის პირველ დარტყმას. გასაგებია, რომ ამ გარემოებამ არსებითი როლი ითამაშა სომეხი ხალ-

ხის მკმუნვარე ბედში. ჯერ კიდევ ადრინდელ საუკუნეებში სახელმწიფოს დამოუკიდებელი პოლიტიკური მმართველობის დაკარგვის შემდეგ მუდამ მოსალოდნელი და მოულოდნელი თავდასხმების საფრთხის წინაშე მდგომი სომეხი ხალხი ძალიან ხშირად იძულებული იყო ხოლმე თავისი მშობლიური ქვეყანა, საკუთარი სახლი და კარი მიეტოვებინა და თავისუფლება უცხო ციხეებში ეძებნა. და აი სწორედ ამ დროს, ჩვენი ხალხის ისტორიის მწარე და მკაცრ წუთებში მოძმე ქართველი სიყვარულითა და დაყოვნების გარეშე უწყვილიდა სომეხს დახმარების ხელს. არც ერთხელ არ ყოფილა, რომ ქართველთა დედაქალაქის სტუმართმოყვარე კედლებს არ შეეწყალებინათ და არ შეეფარებინათ უცხო იატაგანს გადარჩენილი და დახმარების მსაჭირობელი სომეხი. ამ განსაცვიფრებელ ქალაქში სომეხი საუკუნეთა განმავლობაში სარგებლობდა ქართველის გულშია სტუმართმოყვარეობით, სამაგეროს კი თავისი გულწრფელი და მოუსყიდავი მეგობრობით უხდიდა. ეს არის მიზეზი იმისა, რომ თბილისი მუდამ ესოდენ ძვირფასი იყო არამარტო თბილისელი ქართველებისათვის, არამედ მისი თანამოქალაქე სომეხისათვისაც. სავსებით გასაგებია, რომ თბილისის თავზე მოწეული უბედურება და ჭირი ესოდენ ღრმა ჭრილობას აყენებდნენ არა მარტო თბილისელი ქართველის, არამედ მისი თანამოქალაქე სომეხის გულსაც, და პირიქით, ქართველთა დედაქალაქის ყოველი წარმატება აღაქვებდა არა მარტო თბილისელი ქართველის, არამედ მისი მეზობელი სომეხის გულსაც“ (გვ. 10—11).

როგორც მოსალოდნელი იყო, წიგნი აგებულია ქრონოლოგიურ პრინციპზე. ავტორი მოუთხრობს მკითხველს თბილისის ისტორიას და იქ, სადაც არსებობს რაიმე ცნობა სომხურ ლიტერატურაში, ურთავს ამ ცნობას. სხვათა შორის, ავტორს მოჰყავს საინტერესო ამონაწერი ერთი შუა საუკუნეების ხელნაწერიდან. ამ ამონაწერში ლაპარაკია იმ სამკურნალო თვისებებზე, რომელიც აქვს ერთ-ერთ წყაროს თბილისში: დავრდომილებსა და სხვა ავადმყოფებს კურნავსო (გვ. 17).

ძალიან საინტერესოა თბილისის დაარსების შესახებ შემონახული მოკლე ცნობა. იგი დაცული აქვს XIII საუკუნის სომეხ მემკვიდრე მხითარ აირივანეციის (აირივანელს) თავის „ქრონოლოგიურ ისტორიაში“. ამ თხზულებაში მემკვიდრე სხვათა შორის მოტანილი აქვს ქართველ მეფეთა სია. ოთხი მეფის სახელის გასწვრივ მას საჭიროდ ჩაუთვლია შენიშვნების გაკეთება. სწორედ ეს შენიშვნებია ჩვენთვის საინტერესო: „ფარნავაზი, პირველი მეფე“. „მიპრანი, ამან ნუნეს ქადგებით იწამა ქრისტე“. „ვახტანგ, ამან აღაშენა თბილისი“. თუმცა კი მხითარ აირივანეციის ეს ცნობები, როგორც ჩანს, ქართულ წყაროებს ეყრდნობა, მაგრამ, როგორც ავტორი აღნიშნავს: „ამრიგად, სომხური ისტორიული წყარო ამტკიცებს ქართულ მკვიდრებსა და ხალხურ გად-

მოცემებში დაცულ ცნობებს თბილისის ვახტანგ ქართველთა მეფის დროს დაარსების შესახებ“ (გვ. 22). ამის გარდა, აქ ავტორის სიტყვით საყურადღებოა შემდეგიც. მხიარ აირივანელი სასულიერო პირი იყო. მისთვის, ცხადია, ქრისტეს დაბადება სრულიად არაჩვეულებრივი მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენდა. რამდენად მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო მისთვის თბილისის დაარსება, რომ იგი ამ ორ მოვლენას ერთად ახსენებდეს (იქვე).

პირველად თბილისის ხსენებას სომხურ ლიტერატურაში ჩვენ ვხვდებით მეშვიდე საუკუნის სახელგანთქმული სომეხი ასტრონომის, მათემატიკოსის და გეოგრაფოსის ანანია შირაკაცის (შირაკელის) — თხზულებებში. „საქართველოს ქალაქებია თბილისი, სამშვილდე, მცხეთა“ — წერს ანანია თავის „გეოგრაფიაში“. ორჯერ გვხვდება თბილისის ხსენება იმავე საუკუნის ისტორიკოს სებეოსთან. განსაკუთრებით დიდ ადგილს უთმობს ავტორი მოვსეს კლანკატვაციის ცნობებს თბილისის შესახებ. და სავსებით სამართლიანადაც. მეშვიდე საუკუნის ისტორიკოსი მოვსეს კლანკატვაცი თავის თხზულებაში „ალვანეთის ქვეყნის ისტორია“ დაწვრილებით მოგვითხრობს ბიზანტიის კეისარ ჰერაკლეუსა და ხაზართა გაერთიანებული ჯარების მიერ თბილისის აღყას 626 წ., ხაზარების მიერ თბილისის აღებასა და აოხრებას 627 წ. ეს ცნობა ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთხელ ყოფილა გამოყენებული და მკითხველისათვის კარგად იქნება ცნობილი. ეს ის ამბავია, ალყაშემორტყმულმა თბილისელებმა რომ კეისარი და ხაზართა ხაკანი სასაცილოდ აიგდეს: ქალაქის გალავანზე გადმომდგარი ქართველები ბიზანტიელებს უძახოდნენ თურმე, თქვენს მეფეს თხი: წვერები და გაცის კისერი აქვსო, ხოლო ხაზარებს კი დიდ კვახს უჩვენებდნენ, რომელზედაც ადამიანის სახე იყო გამოხატული, აი, თქვენი ხაკანო. ამ ამბავთან დაკავშირებით ავტორი შენიშნავს: „ალბათ ამ დროიდან მოსდევს ქართველ ხალხს მისი დამახასიათებელი სული. ხალხს, რომელიც მუდამ მალა თავაწეული მოაბიჯებდა და არაფრის წინაშე არ შემდრკალა თავისი ბედის ყველაზე მძიმე წუთებშიც კი. ხუმრობა და გონებაშახვილობა, მხიარულება და სიცილი ქართველი ხალხისაგან განუყოფელი თვისებებია“ (გვ. 39).

შემდეგ ავტორი ეხება არაბთა წინააღმდეგ ამიერკავკასიის ხალხების საერთო ბრძოლის პერიოდს. იგი იმორწმებს ძველ სომეხ ისტორიკოსებს: ლევონდს (VIII ს.), ჰოვხანეს დრასხანაკერტელს (X ს.). ასოლიკს (XI ს.), სტეფანოს ორბელიანს (XIII ს.), აგრეთვე „ქართლის ცხოვრებას“, „აბო ტფილელის წამებას“. დიდი ამონაწერი მოაქვს X ს. სომეხი ისტორიკოსის თოვმა არწრუნის წიგნიდან „არწრუნთა სახლის ისტორია“. თოვმა არწრუნის აქვს დაწვრილებითი აღწერა ბულა თურქის მიერ 853 წ. თბილისის აღებისა და აოხრებისა. იმ

დროს თბილისის ზღუდეები და ქალაქის სხვანაგებობები უმთავრესად სისა ყოფილა. ბუღას ცეცხლი წაუქილებია ქალაქის კედლებისათვის და ისე აუღია თბილისი. სხვათა შორის, ამავე ამბავზე, ბუღას მიერ თბილისის აღებაზე, გვიამბობენ აგრეთვე არაბი ისტორიკოსები ალი-ალ-მასუდი და ტაბარი. ავტორი აჯერებს მათს ცნობებს სომეხ ისტორიკოსთა ცნობებთან. ტაბარის ცნობების ანალოზის შედეგად ავტორი ასკვნის, რომ IX ს. შუაწლებში თბილისში უკვე იყო სომხური მოსახლეობა, რომელიც მაშინაც ქართველებთან ერთად იღებდა მონაწილეობას მტრისაგან ქალაქის დაცვაში. დიდ ადგილს უთმობს ავტორი საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლასა და თბილისის უცხო დამპყრობლების ხელიდან განთავისუფლების ისტორიას. განსაკუთრებით დაწვრილებით მოგვითხრობს ავტორი დავით აღმაშენებლის ბრძოლას თურქ-სელჩუკებს წინააღმდეგ, მის მიერ თბილისის განთავისუფლებაზე. იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ბრძოლას თურქ-სელჩუკთან სამყაროს წინააღმდეგ, ავტორი ამბობს: „აუცლებელია აღინიშნოს ის, რომ დავით აღმაშენებლის ამ ძლიერამოსილ ლაშქრობებსა და დაპყრობებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ არა მარტო საქართველოს გაერთიანებისათვის, და საქართველოს ერთიანი მონარქიის გაძლიერებისათვის, არამედ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე მეზობელი ხალხების განმათავისუფლებელი ბრძოლის გაშლისათვის“. სავსებით სწორია აკად. ჰ. მანანდიანი, როდესაც წერს ამის შესახებ: „დავით მეფის გამარჯვებებს საერთო მტერზე სომხებით დასახლებულ საქართველოს მოსაზღვრე ოლქებში შეჰქონდათ აღფრთოვანება და სომხებს იმედს უნერგავდნენ იმისას, რომ საქართველოს დახმარებით ისინიც შესძლებდნენ ფეხზე წამოდგომას და უცხოელთა ბატონობისაგან განთავისუფლებას“ (გვ. 87).

შემდეგ ავტორი იხილავს კირაკოს განძაკელის (XIII ს.) ცნობებს თბილისის აღების შესახებ ჯალალედინისა და მონღოლების მიერ. განსაკუთრებით საინტერესო ცნობები შემოუნახავს კირაკოს განძაკელს ულუ დავითის აჯანყების შესახებ მონღოლების წინააღმდეგ.

თბილისის ხსენებას ვხვდებით არამარტო ისტორიულ თხზულებებში. არამედ პოეზიაშიც. მაგალითად, თბილისის აღებაზე თემურლენგის მიერ ლაპარაკობს ლექსში ამ ამბის თანამედროვე და თვით თვალთმხილველი გრიგორ ხლათეცი (ხლათელი), მაგრამ, ცხადია, განსაკუთრებით ბევრ ცნობას ჩვენ მაინც ისტორიკოსებთან შევხვდებით. მაგ., XIV—XV სს. ისტორიკოს თოვმა მეწოფელს ბერძენი რამა აქვს საყურადღებო თბილისის და საერთოდ საქართველოს შესახებ. ასევე ძალიან საინტერესო ცნობები აქვს აგრეთვე მეორე თანამედროვეს, გრიგორ გადამწერს, რომელიც აღწერს თემურ-ლენგის მეხუთე, 1400 წლის, შემოსევას საქართველოში, იმ საშინელ სისხლისღვრასა და ქვე-

ყნის განადგურებას, რაც მოჰყვა თემურ-ლენგის ლაშქრობებს. „ამ ლაშქრობათა შედეგები იმდენად მძიმე იყო, რომ ისინი დიდხანს, ძალიან დიდხანს იგრძნობოდნენ. ამ გამანადგურებელი შემოსევების შედეგადაც ქართველი ხალხი არ მოიდრია უცხოელ დამპყრობლებთან დამოუკიდებელი არსებობისათვის ბრძოლაში. მან გასძლო თავისი სულიერი, ფიზიკური და სამხედრო ძლიერების წყალობით, იმ არაჩვეულებრივი სიყვარულის წყალობით, რომლითაც იგი გამსჭვალულიყო თავის სამშობლოსადმი, რომლის ესოდენ ერთგული იყო იგი. აონრდა ქვეყანა, დაინგრა ქალაქები, სოფლები და ციხეები, მოისპო ბალები, ნათესები და ხალხის არსებობის სხვა საშუალებები, ბრძოლებში დაეცა და ტყვედ იქნა წაყვანილი მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი, მაგრამ ყველაფერი ამის შემდეგაც ვერ შესძლო საზიზღარმა მტერმა ჩაეხშო ქართველი ხალხის თავისუფლებისმოყვარე და ამაყი სული“ (გვ. 120). ცნობილია, რომ XV ს. პირველ ნახევარში, ალექსანდრე I დროს (1412—1442 წწ.). საქართველომ ოდნავ მოითქვა სული. ამ დროს ძალიან გაძლიერდა სომეხ ლტოლვილთა გადმოსახლება საქართველოში, განსაკუთრებით კი თბილისში. „მაჰმადიანურ მფლობელობაში სომხეთის ბედი დღითიდღე მძიმდებოდა. მათს წინაში მუდამ იდგა საშინელი საფრთხე ფიზიკური მოსპობის, უკვალოდ გაქრობისა ან ძალით გადასახლებისა. ბუნებრივია, რომ ამ პირობებში საქართველო სომხებისათვის საიმედო თავშესაფარად უნდა ჩათვლილიყო. იქ მოძმე ქართველი ხალხის სტუმართმოყვარე კედლებში, მის ჭერქვეშ უშიშარი ცხოვრების პოვნა შეიძლებოდა“ (გვ. 121) — აღნიშნავს ავტორი.

ავტორს ბევრი ცნობა მოჰყავს შემდგომი პერიოდის თბილისზე დაც. უნდა ითქვას, რომ სომეხ ისტორიკოსებს, პოეტებსა თუ უბრალო გადამწერლებს არც ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი თბილისის ცხოვრებიდან უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ. ბევრნი არიან ისინი, ვისაც თბილისის შესახებ საინტერესო მასალები შემოუნახავთ. აი მათი სახელებიც: ჰოვჰანეს გადამწერი. ანანია სებასტელი, ჰოვჰანეს წარელი, არაქელ დავრიყელი, ჰაკობ კარნელი და მრავალი სხვ. გამოჩენილი სომეხი პოეტი და მხატვარი ჰოვენათან ნაღაში, რომელიც ვახტანგ VI მოწვევით ჩამოვიდა თბილისში და კარის პოეტი და მხატვარი გახდა, უმდერის თბილისს:

„ვაქებ გულით მხიარულით
ძვირფასს, დიდებულსა
პატროსან თბილისს ქალაქს“.

განსაკუთრებით დიდხანს ჩერდება ავტორი ალა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აღებაზე. ამ საშინელი ტრაგედიის მომსწრე არაერთ სომეხს აქვს აღწერილი თბილისის თავზე დამტყდარი ეს უბედურება:

აი, მაგალითად, კონსტანტინოპოლში ვილაცას (სახელი არაა ცნობილი) გამოუცია წიგნი, რომელიც წარმოადგენს თბილისის აღებიდან მხოლოდ ოთხი თვის შემდეგ დაწერილი სხვა წიგნის შემოკლებას. ამ წიგნის სათაურია „მოლკე ისტორია საშინელი დანგრევით ქალაქ თბილისის აოხრებისა, რაიცა ავაზაკური ომით ჰქმნა ალა მეჰემეტ ხანმა, გააქცია რა ქართველთამოხუციმეფე ჰერაკლე მეორე, წელსა უფლისა 1795 ს.“ (ამ წიგნის ტექსტი პირველად პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა გამოსცა). თბილისის დანგრევას ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მის დამსწრეზე, შუასაუკუნეების სომხური პოეზიის უკანასკნელი პერიოდის გამოჩენილ წარმომადგენელზე, ჩამჩი-მელქოზე, რომელმაც თავისი განწყობილება ლექსის აღლევებული სტრატეგიებით გადმოსცა. შემდგომ საუკუნეებშიც ამ ამბავს არაერთმა სომეხმა მწერალმა, და მათ შორის ახალი სომხური ლიტერატურის ფუძემდებელმა ხაჩატურ აბოვიანმაც უძღვნა თავისი ნაწარმოები.

თავის წიგნს ავტორი შემდეგი სიტყვებით ამთავრებს: „საყოველთაოდ ცნობილია, რომ XIX—XX საუკუნეებში თბილისმა განსაკუთრებული როლი შეასრულა ამიერკავკასიის ხალხების ცხოვრებაში. იქ შეიქმნენ პირველი მუშათა მარქსისტულა წრეები, რომლებმაც შემდეგში რევოლუციურ მოძრაობათა გაშლაში დიდი როლი შეასრულეს. თბილისის როლი დიდი იყო ამიერკავკასიის ხალხების არამარტო პოლიტიკურ ცხოვრებაში, არამედ მათი კულტურის, ლიტერატურის და ხელოვნების განვითარებაშიც. თბილისი ჰეშმარიტად გახდა სომხური კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერათაგანი.

ამიერკავკასიის ხალხების ძმობის აკვანმა, საქართველოს უძველესმა დედაქალაქმა, დღესაც შეინარჩუნა თავისი ჯადო ამ ხალხებზე. მათთვის იგი ძვირფასია, საყვარელი და ღვიძლი. ამიტომაც საგსებით ბუნებრივია, რომ თბილისის ცხოვრებამ ესოდენ დიდი გამოხატულება ჰპოვა არამარტო ძველ და შუა საუკუნეთა სომხურ ლიტერატურულ ძეგლებში, არამედ ახალ და საბჭოთა ეპოქის ლიტერატურულ ნაწარმოებებშიც“¹.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ვ. ნალბანდიანის წიგნი მრავალმხრივ ღირსშესანიშნავი ნაშრომია. მისი მთავარი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ მასში ერთად არის თავმოყრილი ის უამრავი ცნობა და ხსენება თბილისის შესახებ, რომელიც არსებობს ძველ სომხურ ლიტერატურაში. ავტორს ისინი ამოუკრეფია არამარტო ისტორიული თხზულებებიდან, არამედ სხვა ხასიათის ლიტერატურული ძეგლებიდანაც.

¹ ი. ს. ზ ა რ ა ნ ი ე ა ნ. ჩ რ ი ქ ს ი ნ ნ ა ყ ა მ ა ო ხ ნ ა ვ ი რ ი ა ნ ძ ხ ე. ხ რ ს ი ა ნ. 1958.

შოგზაურთა ჩანაწერებიდან, მემუარებიდან, მხატვრული ნაწარმოებებიდან, გადამწერლების მიერ ხელნაწერზე გაკეთებული შინაწერებიდან. მართალია, ყველა ეს ცნობა უმთავრესად თბილისის პოლიტიკურ ისტორიას შეეხება, მაგრამ ეს თვით პირველწყაროებითაა განპირობებული, როგორც ამას ავტორიც აღნიშნავს შესავალში: „აუცილებლად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ სომხურ ლიტერატურაში დაცული ეს ცნობები უმთავრესად შეეხებიან უცხო შემოსევებს, ქვეყნის აზხრებას, ტყვეთა წაყვანასა და სხვ. ჩვენს ლიტერატურაში, სამწუხაროდ, ცოტა შემოინახა საქართველოს დედაქალაქის მოსახლეობის შინაგანი ცხოვრების, ყოფის, ცხოვრების წესისა და სოციალური ისტორიის შესახებ მასალები, რაიცა საერთოდ დამახასიათებელია სომხური ლიტერატურისათვის“ (გვ. 3—4). მაგრამ ეს წიგნი საინტერესო იქნება არა მარტო სპეციალისტი ისტორიკოსებისთვის, ფართო მკითხველიც თავისთვის ძალიან ბევრს რასმე საინტერესოს ნახავს შიგ. საქმე იმაშია, რომ ყველა ეს ცნობა მშრალად არ არის მოწოდებული. მთელი წიგნი წარმოადგენს გაბმულ თხრობას თბილისის ისტორიისას, სადაც თავ-თავის ადგილას, ქრონოლოგიური მოთხოვნების მიხედვით, ჩართულია ესა თუ ის ცნობა. ამასთან უნდა ითქვას, რომ თბილისის ისტორია წარმოდგენილია საერთოდ საქართველოს ისტორიასთან შვიდრო კავშირში ისე, რომ სომეხი მკითხველი ბევრ რამეს გაიგებს არა მარტო თბილისის, არამედ საქართველოს წარსულიდანაც. წიგნი დაწერილია ცოცხლად და საინტერესოდ. უნდა ვიფიქროთ, რომ სომეხი მკითხველი ამ წიგნს დიდის ინტერესით მიიღებს, ხოლო ახლო მომავალში იგი ქართულად ითარგმნება და ქართველ საზოგადოებასაც მიეცემა საშუალება მისი გაცნობისა.

რედ აქტორების სახან

კრებულში შესულია ნიკოლოზ (ლაშა) ჯანაშიას ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ნარკვევები, რომელთაგან ნაწილი გამოქვეყნებულია, ნაწილი კი პირველად ქვეყნდება მის არქივში დაცული დედნებს მიხედვით, ამათგან თავისი მნიშვნელობითა და მოცულობით გამოირჩევა ნაშრომები „გოგარენე“-„გუგარქის“ შესახებ, „სომხურ ანონიმურ გეოგრაფიასთან“ და „ეპისტოლეთა წიგნთან“ დაკავშირებით. პირველი ორი შესრულებული იყო ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძველი ისტორიის განყოფილებაში 1962—1965 წლებში და იქვე იყო წაკითხული მოხსენებების სახით. ეს შრომები ავტორს თვითონ გამოსაცემად არ გაუშადადებია, მაგრამ მათი გამოქვეყნება მისი გარდაცვალების შემდეგ შემდგენლებმა და რედაქტორებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, რადგან ავტორის მიერ გაწეული შრომატევადი სკრუპულოზური კვლევა-ძიების შედეგებს მნიშვნელობა აქვს დასმული პრობლემების შესწავლისათვის, მიუხედავად იმისა, რომ აქ არ არის გათვალისწინებული უფრო მოგვიანებით გამოქვეყნებული ლიტერატურა. რაც შეეხება ნარკვევს „ეპისტოლეთა წიგნთან“ დაკავშირებით, იგი ავტორის

სიციოცხლის უკანასკნელ წლებშია შესრულებული, გადამუშავებული და დამთავრებულიც. მაგრამ იმის გამო, რომ არც ეს შრომა და არც ადრე დასახელებულნი, ავტორს თვითონ არ გაუმზადებია გამოსაცემად, საჭირო შეიქნა მათი რედაქციული გამართვა, თუმც ავტორისეულ ტექსტს რაიმე არსებითი ხასიათის ცვლილება არ განუცდია.

ქართლი IV—V საუკუნეებში	3
1. ქართლის IV ს. პირველ ნახევარში. ქრისტიანობის გამოცხადება სახელმწიფო სარწმუნოებად	3
2. ბრძოლა ირანის აგრესიის წინააღმდეგ ქართლში IV საუკუნის მეორე ნახევარსა და V საუკუნის პირველ ნახევარში	23
3. ქართლი V ს. მეორე ნახევარში. ვახტანგ გორგასალი	37
ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან (გოგარენე-გუგარქი)	55
„ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს წყაროებისათვის	92
უძველესი ცნობა ქართველთა მოქცევაზე	112
კორიუნის ერთი ცნობის ინტერპრეტაციისათვის	124
არსენი საფარელის „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“-ს ერთი აღ- გილის გაგებისათვის	154
შენიშვნები „ეპისტოლეთა წიგნზე“	163
სომხური ანონიმური გეოგრაფია	243
ვ. ს. ნალბანდიანი. თბილისი სომხურ მწერლობაში. ერევანი, 1958 წ. (რეცენზია)	337
რედაქტორებისაგან	347

დაბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 3228

გამომცემლობის რედაქტორი რ. ფეიქრიშვილი
მხატვარი თ. კოხრეიძე
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე
ტექნიკური რედაქტორი ც. ქაშიშვილი
კორექტორები: მ. მახარაძე, ნ. ფიფია

ვალეცა წარმოებას. 15.7.1986; ხელმოწერილია დასაბეჭდად 11.9.1986;
ქაღალდის ზომა 60X90¹/₁₆; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდო თაბახი 22.0;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 20.4;
პირობითი საღებავ-გატარება 22.0;
უე 01254; ტირაჟი 3000; შეკვეთა № 2257;
ფასი 3 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси 380060, ул. Кутузова, 19

Джанашиа Николай Семенович

ИСТОРИКО-ИСТОЧНИКОВЕДЧЕСКИЕ ОЧЕРКИ

(на грузинском языке).

«МЕЦНИЕРЕБА»

ТБИЛИСИ

1986

1. გ. მარგიანი, ბოსლეველი (საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი).
2. ჯ. ლომაშვილი, ვაჟა-ფშაველას საისტორიო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი.
3. პ. რატიანი, საქართველოს ახალი ისტორიის ნარკვევები.
4. მასალები შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის საქართველოში (ტომი IV).